

39 (08)

9-938

КОМИТЕТ ПО ДЕЛАМ КУЛЬТУРНО-ПРОСВЕТИТЕЛЬНЫХ УЧРЕЖДЕНИЙ  
ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

---

**Т Р У Д Ы**  
**ЗУГДИДСКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО**  
**ИСТОРИКО-ЭТНОГРАФИЧЕСКОГО**  
**МУЗЕЯ**

(на грузинском языке)

I

ТБИЛИСИ

1947


39 (65)  
8-938

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან აკრედიტირებული  
კულტურულ-საგანმანათლებლო დანესაზღვრების საქმეთა კომისიის

P-8974 მ.კ. 2015-16442.

ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტ-  
ეთნოგრაფიული მუზეუმის  
შ რ ო მ ე ბ ი

I



ზუგდიდის მუზეუმის გამოსცემა

თბილისი

1947

პ. შგ. რედაქტორი ა. აფაშიძე.

**საკრედიტო კოლეგია:**

ნ. გოკუჩავა, ბ. გოგიჩია, ი. გოგინა (მუხეუმის დირექტორი),  
დოც. კ. გრიგოლია, პროფ. შ. ჩხეტია, ს. ცაიშვილი (პ/შგ. მდივანი).

გადაეცა წარმოებას 10/IX-46 წ. ხელმოწერილია  
დასაბეჭდად 20/II 1947 წელს. სასტამბო  
თაბახი 26, სააგტორო თაბახი 24.  
ანაწყ. ზომა 6×10. უფ 02703.  
სტამბის შეკვ. № 578.  
ტირაჟი 1 500.

✱ ✱





## О Г Л А В Л Е Н И Е

От музея . . . . .	IX стр.
И. Гогиа, Крестьянское восстание в Мегрелии в 1857 г. . . . .	1 „
П. Закараиа, Джегета . . . . .	71 „
И. Гогиа, Зугдидский ботанический сад . . . . .	87 „
С. Цаишвили, О псевдонимах Григория Даднани („И. Гегечкори“ и „Колхидели“) . . . . .	109 „
„ „ Письма Иона Меунаргия . . . . .	131 „
С. Цаишвили, И. Гогиа—Письма к Ионе Меунаргия . . . . .	173 „
Гр. Орбелиани, Письма (Публикация С. Цаи- швили) . . . . .	297 „
С. Цаишвили, Послужной список Григория Ор- белиани . . . . .	345 „
Мамиа Гурнели, Сказка-поэма (новый ва- риант) . . . . .	373 „
С. Кубанейшвили, К вопросу о первой по- пытке перевода и издания на русском языке поэмы Ш. Рус- тавели: „Витязь в тигровой шкуре“ . . . . .	385 „
Указатель имен . . . . .	393 „

## საკათეგორიკო და ნახაზების სია

1. ზუგდიდის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა	XI 38
2. ყმების გაყიდვა ფეოდალურ სამეგრელოში	7
3. ბატონისაგან დასჯილი გლეხი ხუნდზე	17
4. აჯანყების მეთაური უტუ მიქავა აპატიმრებს მოწინააღმდეგე თავად-ახნაურებს	29
5. სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე	67
6. ჯეგეთას გენ. გეგმა (ნახაზი)	72
7. ჯეგეთა. გეგმა II (ნახაზი)	74
8, 9. ჯეგეთა. II და III განაკვეთები (ნახაზი)	75
10. ჯეგეთა. პილასტრის დეტალი (ნახაზი)	76
11. ჯეგეთა. განაკვეთი I (ნახაზი)	77
12. ჯეგეთა. ეკლესიასთან მდებარე შენობის ნანგრევი	78
13. ჯეგეთა. გეგმა I (ნახაზი)	79
14. ჯეგეთა. განაკვეთი II-II (ნახაზი)	80
15. ჯეგეთა. განაკვეთი I-I (ნახაზი)	81
16. ჯეგეთის ეკლესიის წინა ფასადი	82
17. ჯეგეთა. წარწერა (ფოტო)	83
18. ჯეგეთა. მეჩონგურე (ფოტო)	85
19. ტბა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში	100
20. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტბის მიდამო	102
21. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ხეივანი	104
22. გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი)	111
23. დავით დადიანი (მთავარი)	123
24. იონა მეუნარგია (ჟუჟანასკნელი სურათი)	133
25. იონა ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა	171
26. იონა მეუნარგია (90 წლებში)	175
27. კალადიდელი (ახალგაზრდობაში)	245
28. მიხეილ მეუნარგია	251
29. აკაკი წერეთელი და ი. მეუნარგია	271
30. გრიგოლ ორბელიანი (კოლხინის ნახატი—საქ. სახ. ლიტერატურ- რული მუზეუმის კოლექციიდან)	301
31. მამია გურიელი	373

## შაჰჩხაული შაჰრომაზის განსწავლა

გვერდი	სტრიქონი ხვერიდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
7	11	ფიზი იურად	ფიზიკურად
20	6	ნიწილობრივ	ნიწილობრივ
35	3	ოგიერთი	ზოგიერთი
105	25	გამდიდრდება	გამდიდრება
106	11	ბატობის	ბატონობის
115	2	არ ეცოდინებოდა	ეცოდინებოდა
115	4	იხსენიება?	იხსენიება.
116	40	ნა ავდა	ნახავდა
137	35	„დროე ის“	„დროების“
139	11	თარგმნონ	თარგმნოს
142	24	მოწოდებას	მიწოდებას
161	9	<b>Имеется</b>	<b>Имеется</b>
185	7	1882	1887
276	8	თრბელიანი	ორბელიანი
276	25	1. ამფი (?)	1. ამფი—ა. გ. ამფითეატროვი
282	14	1. პ. უმიკაშვილი	9. პ. უმიკაშვილი
296	7	წიგნი	წიგნის
312	23	კოცებუს.	კოცებუს,
337	10	14. კნიაზი კონსტანტინე— იგულისხმება მუხრან-ბატონი.	14. კნიაზი კონსტანტინე (?).

286 გვ. მე-6 შენიშვნა უნდა იკითხებოდეს ასე: ლაპარაკია გრიგოლ ორბელიანის წერილებზე, რომელიც იონა მეუნარგიას გამოსაცემად ჰქონია გამზადებული 900-იან წლებში. ამჟამად დაცულია ზუგდიდის მუზეუმში.

სტამბის ქართული შრიფტის სიძველისა და გაცვეთილობის გამო ბეჭდვის დროს მთელი რიგი ასოებისა მკრთალად ან სულაც არ გამოდიან, რაც ხელს უშლის ზოგიერთი სიტყვის სწორად ამოკითხვას.

## მ უ ზ ე უ მ ი ს ა ზ ა ნ

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი საბჭოთა ხელისუფლების პირმოა. მას საფუძველი ჩაეყარა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე.

თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე აღნიშნულმა მუზეუმმა დიდძალი ექსპონატები დააგროვა; ამ დაგროვების უმთავრესი მასაზრდოებელი წყარო იყო სამეგრელოს მთავრისეულ სასახლეებში დაცული არქივები და ნივთები.

მათი დამუშავება და ექსპონირება მუზეუმმა თავიდანვე დაიწყო, რის შედეგადაც რიგ წლების განმავლობაში მუზეუმს გამოფენილი ჰქონდა მარტო დადიანისეული სასახლის ნივთები, რაც, ცხადია, მხოლოდ ნაწილობრივ თუ ასახავდა სამეგრელოს კულტურას, ისტორიასა და ყოფაცხოვრებას.

ამ გარემოებას თავის დროზე მიექცა ჯეროვანი ყურადღება და მუზეუმიც გადახალისებულ იქნა: მუზეუმი გაფართოვდა და განმტკიცდა როგორც მატერიალური ბაზის, ისე კვალიფიციური კადრების მხრივაც, გაცხოველდა და გაძლიერდა აგრეთვე მეცნიერული და მეცნიერულ-ტექნიკური მუშაობა, მოეწყო რამდენიმე ახალი გამოფენა, ხოლო არსებული გამოფენები დამატებითი ექსპონატებით შეივსო.

ამჟამად ზუგდიდის მუზეუმი შესდგება ოთხ ძირითად განყოფილებისაგან: I. ისტორიულის, II. ეთნოგრაფიულის, III. სოციალისტური მშენებლობისა და IV. ლიტერატურულისაგან.

დასახელებულ განყოფილებებს გამართული აქვთ თავისი გამოფენები: მაგალითად, ისტორიულ განყოფილებას მოწყობილი აქვს შემდეგი გამოფენები: ა) ფეოდალური ხანა სამეგრელოში, ბ) გლეხთა მოძრაობა სამეგრელოში, გ) სამეგრელოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, დ) არქეოლოგია და ე) ნუმისმატიკური კოლექციები; ეთნოგრაფიულ განყოფილებას მოწყობილი აქვს სამეგრელოს ყოფაცხოვრების ამსახველი გამოფენა;



სოციალისტური მშენებლობის განყოფილების გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ამ მხარეში გაშლილი მშენებლობის ყველა დარგი (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, სახალხო განათლება, კულტურა და სხვ.); ლიტერატურულ განყოფილების გამოფენაზე წარმოდგენილია XIX საუკუნის ქართული მწერლობა.

მუზეუმში ცალკე ადგილი აქვს დათმობილი დიდ სამამულო ომისადმი მიძღვნილ გამოფენას, სადაც ფართოდ არის ასახული ქართველი ხალხის მონაწილეობა ავარისტ-დამპყრობელთა წინააღმდეგ გამიჯნულ ბრძოლაში.

აღნიშნული გამოფენები მნახველებში დიდ ყურადღებასა და ინტერესს იწვევენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდის მუზეუმში საქართველოს ისტორიის, კულტურის, ყოფაცხოვრების და გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედებითი მუშაობისა და ღვაწლის გასაშუქებლად საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი საარქივო მასალებია დაცული, ისინი სპეციალისტ მკვლევართა და ფართო საზოგადოებისათვის გამომზეურებული და ცნობილი დღემდე არ ყოფილა.

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, მისი გადახალისების შემდეგ, აქტიური მუშაობა გაიშალა აქ დაცულ საარქივო მასალების მეცნიერულად შესწავლის მიმართულებითაც. ამ მუშაობის ნაყოფია „შრომათა“ წინამდებარე კრებულიც.


კრებულში მოთავსებულია ნარკვევები და დოკუმენტალური მასალები; ისინი ჩვენი მდიდარი წარსულის სხვადასხვა მომენტებს ასახვენ. ასეთებია—ნარკვევები: 1. გლახთა აჯანყება სამეგრელოში 1857 წელს, 2. ძველი საკულტო ტაძრის „ჯეგეთას“ შესახებ, 3. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ისტორიისათვის, 4. „გეგეჭკორ-კოლხიდელის“ იგივეობის საკითხისათვის, 5. ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის პირველი ცდები, და ტექსტები: 6. გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა მდიდარი ეპისტოლარული მასალა, 7. გრიგოლ ორბელიანის ნამსახურობითი სია, 8. მამია გურიელის პოემის უცნობი ვარიანტი და ა. შ.

„შრომების“ წინამდებარე ტომი—პირველი ცდაა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა მის მეორე წარმოებულ მუშაობის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის საქმეში. ამ პირველ ცდას მრავალი ტექნიკური და სხვა სახის დაბრკოლებანი ელობებოდა წინ, უმთავრესად კი—ის გარემოება, რომ მუზეუმში, მისი არსებობის 25 წლის მანძილზე დაგროველ ისტორიულ-



ეთნოგრაფიული და სხვა ხასიათის მასალების დამუშავება მოითხოვდა არა ერთისა და ორი დარგის სპეციალისტთა გამოცდილ ხელს, ხოლო მათი მოზიდვა და ამ საქმეში ჩაბმა, ჩვენი მუზეუმის სინამდვილეში, არც ისე ადვილი იყო.

უკანასკნელ ხანებში საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომისა, მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაიკომისკომისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელობითა და უშუალო დახმარებით დაძლეულ იქნა ყველა დაბრკოლება და მუზეუმის „შრომების“ ეს პირველი ტომი გამოიცა.



ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა.

„შრომების“ მთავარი მიზანია — გამოქვეყნება იმ საარქივო მასალებისა და მხარესთან დაკავშირებულ ისტორიულ მოვლენათა გამაშუქებელი დოკუმენტებისა, რომლებიც დღემდე გამოუმჯავრებელი და ამდენად ხელმიუწვდომელი იყო ფართო საზოგადოებისა და დაინტერესებულ მკითხველთათვის.

კრებული მიზნად ისახავს გაარკვიოს საქართველოს ამ მხარესთან დაკავშირებული საკითხები, მუზეუმის პროფილის შესაბამისად.

ვფიქრობთ, რომ ამას გარკვეული მნიშვნელობა ექნება არა მარტო ერთი კუთხის, არამედ საერთოდ საქართველოს XIX საუკუნის სოციალ-პოლიტიკური ვითარებისა და აზროვნების განვითარების ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესასწავლად.

მუხეუმი და „შრომების“ რედაქცია კმაყოფილებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას, რომელიც კი გამოთქმული იქნება შრომების წინამდებარე კრებულის შესახებ.

ეს გამოცემა, როგორც პირველი ნაბიჯი, უნაკლო არ იქნება, მაგრამ იმედი გვაქვს, ხელმძღვანელ ორგანოებისა და სპეციალისტების დახმარებით, მსგავსი დეფექტები შემდეგ ტომებში თანდათან აცილებული იქნება.

# გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1857 წელს

ნარკვევი \*

„... ჩვენ, ბოლშევიკებს, ყოველთვის გვაინტერესებდა ისეთი ისტორიული პიროვნებები, როგორც იყვნენ ბოლოტნიკოვი, რაზინი, პუგაჩოვი და სხვ.. ამ ადამიანთა გამოხატულებში ჩვენ ვხედავდით ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხობის სტიქიური აჯანყების გამოხატულებას. ჩვენთვის ყოველთვის ინტერესს წარმოადგენდა გლეხობის ასეთ აჯანყებათა პირველი ცდების შესწავლა...

გლეხთა ცალკეული აჯანყებები, იმ შემთხვევაშიაც-კი, თუ ისინი არ არიან ისეთი ყაჩაღური, დაურაზმავი, როგორც იყო სტენკა რაზინის აჯანყება, ვერაფერს სერიოზულს ვერ გამოიწვევენ...

გლეხთა აჯანყებებს შეუძლიათ წარმატება გამოიწვიონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეხამებული არიან მუშათა აჯანყებებთან და თუ მუშები ხელმძღვანელობენ გლეხთა აჯანყებებს“...<sup>1</sup>

დიდი ბელადის ამ სიტყვებიდან სავსებით გასაგებია 1857 წ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ბედი, მაგრამ იგი მაინც, როგორც საზოგადოებრივი და ისტორიული აქტი ინტერესსა და შესწავლის საგანს წარმოადგენს.

\* ვაქვეყნებთ რა ამ მასალებს, შევნიშნავთ, რომ ამ შრომაში არა გვაქვს პრეტენზია ამ საკითხის გარშემო რაიმე ახალი, საკუთარი აზრის გამოთქმისა, ან ამ აჯანყების ისტორიის საკითხების თავისებურად გადაჭრისა. პირიქით, როგორც ამას მკითხველი დაინახავს, იგი მთლიანად დამყარებულია ამ საკითხის გარშემო უკვე გამოქვეყნებულ შრომებსა და ოფიციალურ წყაროებზე.

ჩვენი უმთავრესი მიზანია, მივაწოდოთ დაინტერესებულ მკითხველებს ზოგიერთი დღემდე უცნობი საარქივო მასალა, რომლის ნაწილი თავიდანვე ინახებოდა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და ნაწილიც ამ უკანასკნელ წლებში იქნა მოპოვებული.

ეს მასალები, რომ უფრო ხელმისაწვდომი გახდეს, როგორც ფართო საზოგადოების, ისე სპეციალისტ მკვლევართათვის აღნიშნული საკითხის შესწავლისა და მის გარშემო სწორი დასკვნების გასაკეთებლად, მოყვანილია არა ამონაწერებისა და ციტატების სახით, არამედ მთლიანად, მათი ავტორთა მეტყველებების სტილისა და ორთოგრაფიის დაცვით.

საარქივო მასალაი ახორცშესხმისა, შეკავშირებისა და სისტემატიზაციის მიზნით წამოძვარებული აქვს განმარტებითი ტექსტი, რომელიც ემყარება არსებულ ოფიციალურ წყაროებს, რომელთა სისწორეს ერთხელ კიდევ ადასტურებენ ამ შრომაში მოყვანილი დოკუმენტები.

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, „საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლიუდვიგთან“, ჟურნ. „ბოლშევიკი“ — 1932 წ. № 8, გვ. 37.



1857 წელი სამეგრელოს გლეხთა უმანკო სისხლით არის აღ-  
ბეჭდილი საქართველოს მშრომელთა მოძრაობის ისტორიის ფურც-  
ლებზე და ეს სისხლი—მლაღადებელი წარსული ცხოვრების სიღუბ-  
ჭირისა, ადამიანის მიერ ადამიანთა ტანჯვა-წამებისა, წითელ ზო-  
ლად გაჰყვება საუკუნეთა ხსოვნას.

რომ ნათელი იყოს, თუ რამ გამოიწვია სამეგრელოს გლეხთა  
მასების დიდი ამბოხება 1857 წ., უნდა გავითვალისწინოთ ამ კუთ-  
ხის მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ამისათვის  
გაკვრით უნდა გადავავლოთ თვალი ამის შესახებ არსებულ ოფიცია-  
ლურ წყაროებს და საარქივო მასალებს.

გულის გამგმირავ და სულის შემზარავ სურათს წარმოადგენ-  
და სამეგრელოს მშრომელთა ცხოვრება ბატონყმობის დროს. გან-  
საკუთრებით შემადრწუნებელი იყო იგი მე-19 საუკუნის პირველ ნა-  
ხევარში, როდესაც მის გარშემო ორი ძლიერი მეტოქე მეზობელი  
სახელმწიფოს (თვითმპყრობელური რუსეთისა და ოსმალეთის)  
ინტერესები ერთიმეორეს ეჯახებოდა და ორივეს პოლიტიკა  
ძალაუნებურად, საბედისწეროდ ენასკვებოდა სამეგრელოს ბედს...

როგორც ცნობილია, „ქართლის ბედი“ და, მათსადაამე, სამეგ-  
რელოსიც, როგორც საქართველოს ერთი ნაწილისა, — პოლიტიკურად  
საბოლოოდ გადაიჭრა რუსეთთან შეერთების 1801 წლის ისტორიუ-  
ლი აქტით. ამ ისტორიულმა სინამდვილემ საბედნიეროდ გაუღიმა  
სამეგრელოს, იხსნა ის მცირე აზიის ბარბაროსთა ბრძკვალებიდან,  
ააცდინა თავის მოქმეთა—ლაზების, მესხების და სხვათა უკუღმართ  
ბედს და საბოლოოდ დააკავშირა დიდ რუსეთთან.

ამგვარად, მრავალი საუკუნის განმავლობაში განუწყვეტელი ომე-  
ბის ფორიაქითა და ორომტრიალით ილაჯგაწყვეტილმა ქვეყანამ,  
შედარებით, თათქოს დაიწვენა. მაგრამ იმ ხანად დასვენება მხოლოდ  
მოჩვენებითი იყო. არსებითად კი „სამეგრელოს რუსეთის ქვეშევრ-  
დობად გახდომას (1803) არავითარი გაუმჯობესება არ შემოუტა-  
ნია. რუსეთის ცარაზმის შემოსვლით მშრომელი გლეხობა მოექცა  
ორმაგი ექსპლოატაციის მძიმე უღელქვეშ თვითმპყრობელობის  
ბიუროკრატიული აპარატისა და თავადაზნაურთა უსაზღვრო მკვლე-  
ფელობის სახით“<sup>1</sup>. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ  
გლეხთა საკითხი იმდროინდელ რუსეთში შედარებით უფრო წინ  
იდგა, ვიდრე საქართველოში (კერძოდ სამეგრელოში კი გაცილებით  
უარესი მდგომარეობა სუფევდა). რუსეთის მმართველობის დამყა-  
რებასთან ერთად, ჩვენში ორი ახალი შუქი იჭრება, — ერთი მხრით  
— რუსეთისა და, მეორე მხრით (და ისიც ნაწილობრივ აღებ-მიცე-  
მობასთან დაკავშირებით) — დასავლეთ ევროპის კულტურისა. ისინი

<sup>1</sup> იხ. ამხ. მიხ. ბარამიას სტატია: „გლეხთა აჯანყება სამეგრელო-  
ში 1857 წ.“ გაზ. „კომუნისტი“—1937 წ. № 134.

დღითი-დღე იკიდებენ ფეხს და მათი გავლენით თანდათან იცვლება ძველი სოციალური წყობილებაც.

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა 1803 წელს კიდევ ცალკე აქტით მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა, მისი შემდეგი მემკვიდრეები, პოლიტიკურად უკვე განწირულნი და სულთმობრძავნი, მაინც უკან იცქირებოდნენ და ებლაუჭებოდნენ ძველს, დაზავებულ წყობილებას, რომელსაც საშინელ მდგომარეობაში ჰყავდა მშრომელი გლეხობა. გლეხთა ცხოვრების გამაუმჯობესებელ რეფორმებზე სრულიად არას ფიქრობდნენ, არც ქვეყნის შინაური ბატონ-პატრონნი, არც გარედან ახლად ფეხმოკიდებული რუსეთის ცარიზმის წარმომადგენლები. სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა, „ევროპულად განათლებულმა“ დავით დადიანმა საშინელი „კულტურტრეგერობა“ გამოიჩინა ლიბერალურად მოაზროვნე პროგრესიული ინტელიგენციის დევნა-შევიწროებით<sup>1</sup>, ხოლო ბატონისა და ყმის ურთიერთობაში ისეთი რეფორმა შეიტანა, რომ თუ მანამდე ბატონების სასარგებლოდ ბეგარის სახით მომუშავე ყმებს ბატონი აძლევდა ხარჯს (საჭმელ-სასწილს), ამიერიდან მან აიძულა ყმები თავიანთი ხარჯით ემუშავნათ მებატონეთა სამუშაოზე<sup>2</sup>.

დაძახასიათებელია აგრეთვე სამეგრელოს დედოფლის ეკატერინეს წერილი მეფის ნაცვლის თანამდებობის აღმასრულებელ თავ. ვასილ ბებუთოვისადმი 1857 წლის 14 ივნისის თარიღით, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ფინალის პერიოდში. „უპირველეს ყოვლისა ზე მინდა და საჭიროც ასეა, — სწერს დედოფალი — აღდგენილ იქნეს იგივე წყობილება და იგივე უფლებები [მებატონეებისა], რომელიც იყო და, რომელსაც არამც თუ მხარი დაუჭირეს [რუსეთის მოხელეებმა], არამედ სრულიად გააქარწყლეს და მით დაანახვეს შავ მასას, რომ მათ ვააჩნდათ სამართლიანი საბაბი აჯანყებისათვის“.<sup>3</sup>

რასაკვირველია დედოფალი აქ, ამ უკანასკნელ ფრაზაში, აჭარბებს. რუსეთის მეფის მოხელეებს სრულიადაც არ გაუქარწყლებიათ მებატონეების უფლებები, მაგრამ დედოფალს მაინც ასე ეჩვენება იმ ორპირული და ორჭოფული პოლიტიკის შედეგად, რომლითაც რუსი მოხელეები მებატონეთა საქმის გაკეთებას და იმავე დროს ლიტონი სიტყვებით, დაყვავებით, გლეხების გულის მოგებას, გადაბირებას თანაბრად ცდილობდნენ, და ისე ერთბაშად, უხეშად, იარაღით არ დაესხნენ თავს გლეხებს, როგორც ეს დედოფალს ეწადა. როცა გაგარინმა უთხრა: „დიდი ხანია არსებობს აზრი გლეხთა განთავისუფლებაზე და რაღა დღეს, რაღა

<sup>1</sup> იხ. შ. დადიანის პიესა „გეგეჭკორი“; ბოროზდინის „სამეგრელო“ გვ. 77. და ი. მეუნარგია, „სამეგრელო დავით დადიანის დროს“, გვ. 33.

<sup>2</sup> იხ. ბოროზდინი, „სამეგრელო“ — გვ. 71.

<sup>3</sup> იხ. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრ. საზ. მუზეუმის არქივი № 86., გვ. 6.

ხვალ“-ო, ეკატერინემ უპასუხა: „ყოველ შემთხვევაში სამეგრელო-დან არ უნდა დავიწყოთ ეგ საქმეო“... იმათ უნდა იცოდნენ (რუსეთის მოხელეებმა—ი. ე.), რომ ვიდრე მე ვსუნთქავ, არასოდეს არ ვიტყვი, რომ ჩემს შვილს წაერთვას სამთავრო“-ო...<sup>1</sup>

მეორე წერილში, იმავე 1857 წლის 18 ივნისის თარიღით, იმავე ბებუთოვს დედოფალი სწერს:<sup>2</sup>

„Я больше ничего не просила и не прошу кроме того, чтобы с самого начала и повсеможною скоростью ввести точно тот же порядок и устройство, какие были прежде“ და სხვა...

გარეშე მტრები, სამეგრელოს ბუნებრივ სიძლიერისა და ხელოვნური ავლადიდების გვერდით, კარგად ხედავდნენ მის პოლიტიკურ არარაობას, სამხედრო უმწეობას და იმპერიალისტურ აგრესიით აღტყინებულ მეზობლებს—სამხრეთიდან თურქეთს, რომელსაც ინგლისი და საფრანგეთიც უმაგრებდნენ ზურგს, და ჩრდილოეთიდან მეფის რუსეთს. მტრებს პირი ნდომის ნერწყვით ევსებოდათ ამ, ერთი მხრით გემრიელი და, მეორეს მხრით, აუტოლებელი ლუკმის წინაშე. გემრავლი იყო იგი როგორც დამოუკიდებლად არსებობისა და თავდაცვის უნარს მოკლებული სავაჭრო ბაზარი და ნედლეულის მდიდარი წყარო, ხოლო აუცილებელი, როგორც გეოგრაფიული საფარი ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის და კიდევ უფრო, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის (ლეიპციგ—ფრანკფურტ—ოდესა—რედუტკალე—თბილისი—ერევანი—ნახჭევანი—თავრიზი) სავაჭრო-სატრანზიტო გზა.

თურქეთი მას დიდი ხნიდან სთვლიდა თავისი იმპერიალისტური მადის მსხვერპლად, მაგრამ არც მეფის რუსეთი სომობდა თავის კერძს.

მთავარი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ როგორც მოქიშპე მხარეების მთავრობებისათვის, ისე სამეგრელოს სამთავროს მფლობელ მებატონეთათვის მშრომელი გლეხობა და მისი ინტერესები ყველაზე ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენდა; არავინ არავითარ ანგარიშს არ უწევდა გლეხებს და, როგორც საერთოდ ყოველთვის ხდებოდა ძველად ასეთ შემთხვევებში, უბედურება მთელი თავისი სიმძაფრით მშრომელთა ამ კატეგორიას დააწვა ყოველმხრივ...

რუსეთ-ოსმალეთის დამოკიდებულება დიდიხნიდანვე იყო გამწვავებული. 1853 წლის ზაფხულიდან მათი განწყობილება ახალ, საომარ ფაზაში გადავიდა ყირიმის ომის სახით. ამ ომში ოსმალეთს მხარს უჭერდნენ ინგლისი, საფრანგეთი, სარდინ ა; ავსტრია-მაც „წარსული სიკეთე ცუდად უზლო რუსეთს“. ომმა ფართოდ

<sup>1</sup> ზუგდიდის მუზეუმის არქივიდან.

<sup>2</sup> იხ. ზუგდიდის ისტ.-ეთნოგრ. სახ. მუზეუმის არქივი № 86, გვ. 16.



სიათი მიიღო თავისი საბრძოლო სივრცის მიხედვით საერთოდ და, კერძოდ ამიერკავკასიაში.

უკანასკნელად 1854 წლის მაისიდან ოსმალეთის ჯარმა ფერხად-ფაშას მეთაურობით დაიკავა სამურზაყანო და აფხაზეთი. ოსმალთა ჯარის დიდი ნაწილი კი ომერ-ფაშას ხელმძღვანელობით სამეგრელოს შემოესია და მთელი სამეგრელო ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა, ვიდრე 1855 წლის ნოემბრის ბოლომდე, როცა გენერალმა მურავიოვმა ყარსი აიღო, ოსმალთა ჯარებმა იწყეს უკანდახევა და ომერ-ფაშა იჭულგებულ იყო გაეყვანა ჯარი სამეგრელოდანაც. ამ დროს ზუგდიდში დაბანაკებული ოსმალთა ჯარის ნაწილიც, ისკანდერ-ფაშას ხელმძღვანელობით, გაემართა ყულევისაკენ, რომ ომერ-ფაშას უკანდახეულ ჯარებს შეერთებოდა. გზაში მათ თავს დაესხა მეგრელთა მილიცია და ოსმალთა რაზმის დიდი ნაწილი ტყვედ წამოიყვანა. ამით გაბრაზებული ისკანდერ-ფაშა დაბრუნდა ისევ ზუგდიდში, შურისძიების მიზნით ცეცხლი წაუკიდა მთელ დაბას, გადასწვა მთავრის სასახლე, წინასწარ-კი სასახლიდან გააზიდვინა ყველა ძვირფასი ნივთი და სრულიად გააკათინა სასახლის მშვენიერი ბაღი.

ომერ-ფაშა, სამეგრელოში შემოსვლის პირველი დღიდანვე, ვითომდა დიდი გულწრფელი გრძნობებით გამთბარ წერილებს სწერდა სამეგრელოს მმართველს—დედოუალ ეკატერინეს,—ამ დროს ლეჩხუმში (მურის ციხეში) გახიზნულს და არწმუნებდა მას, რომ:

„აწინდელი ომი, დაწყებულია იმ სამართლიანი განზრახვით, რათა წინააღმდეგობა გაეუწიოთ და ბოლო მოვუღოთ რუსეთის იმპერატორის სურვილს—სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობისასო“<sup>1</sup>. ის თავს უჩვენებდა, ვითომც „მეგრელიის ხალხის კეთილდღეობისათვის“ იღვწოდნენ მისი მბრძანებელი სულთანი და მისი მოკავშირე დიდი სახელმწიფოები და სწერდა:

„ჩემმა ჯარმა, სამეგრელოში შემოსვლისას დაინახა, რომ აქაურ მკვიდრთა ერთ ნაწილს ხელში იარაღი აუღია, სხვები გაქცეულან და თავი გაუნებებიათ თავის სახლკარისა და ქონებისათვის, რომელიც, თანახმად საერთაშორისო კანონებისა, ნადავლად უნდა ჩაითვალოს... მე ნწადია, რამდენადაც კი შეიძლება, ტანჯვა შევეუმცირო ამ საწყალ ხალხს... ჩემი ჯარისკაცები სასტიკად დაემაჯგე და ამით დავუშალე მკვიდრთა რბევა-აწიოკება“...<sup>2</sup>

<sup>1</sup> იხ. ბოროზდინი, „სამეგრელო“ გვ. 26.

<sup>2</sup> იქვე, ბოროზდინი, გვ. 27.

მაგრამ ყველაფერი ეს იყო მხოლოდ სიტყვები, გახიზნული დედოფლის გადასაბირებლად და ზუგდიდში ჩამოსატყუებლად.

სინამდვილეში კი თურქების ჯარისკაცთა და მათონ ნადავლით ხელის მოსათბობად მიტმანნილ ბრბოების თავგასულ თარეშს საზღვარი არ ჰქონდა. მეგრელების ოჯახები დაცარიელებული იყო, ხალხს, მართლაც მთებსა და ტყეებში შეეფარებია თავი, უპატრონოდ დაყრილ ქონებას უწყალოდ აჩანაგებდა ოსმალთა ათქულაჯასიანი არმია. მთელი კუთხის ავლადიდება და სარჩოსაბადებელი გამხეცებულ ბრბოების კერძად იქცა.

მეორე მხრით თვით ოსმალთა მოპირდაპირე რაზმები, რომელთაც ზოგიერთი მემამულე თავად-აზნაური ხელმძღვანელობდა, სამეგრელოს ზურგზე დაუსჯელად გადადიოდნენ მალაყებს და მტერთაგან მიყენებულ ზიანს უმრავალკეცებდნენ.

ასე გაგრძელდა 1856 წლის მარტის ბოლომდე, როცა გამოქვეყნდა პარიზის ზავი რუსეთ-ოსმალეთის საბოლოო მორიგების შედეგად.

ამ საშინელი პერიოდის გაკვრით ილუსტრაციას იძლევა თვით დედოფლის მიერ ბოროზდინისადმი<sup>1</sup> მიწერილი წერილი:<sup>2</sup>

„ომერ-ფაშა ჯერ ძალიან წყნარად მოდის (ამ დროს ომერ-ფაშამ თავის კორპუსიანად მდ. ცხენისწყლიდან უკან რედუტ-კალესკენ (ყულევისაკენ) დაიწყო დახევა. ი. გ.), ჩვენი ჯარები მდინარეზე ვერ გადაიყვანეს. როგორც მოგეხსენებათ, თავ. მუხრან-ბატონმა ყველაფერს ადრევე წაუჭიდა ცეცხლი. სამეგრელოში აღარც ხიდებია სადმე, აღარც ნავეები. ახლა თვითონ წავიდა და თან წაიღო 500 შტუცერი<sup>3</sup>, გაიყოლია იმერელთა და მეგრელთა მილიცია, აგრეთვე დონის სახაზო ყაზახრუსები. თავის მოქმედებ. ს. პარტიზანულ ბრძოლას უწოდებს, მაგრამ, გარწმუნებთ, მტერს იმდენსავე დააკლეს, რამდენსაც თქვენ დააკლებთ ცაგერიდან, ეს კია, რომ სამეგრელოს საშინლად ანგრევენ და ანადგურებენ. 9.000-მდე კაცი ეყოლება და წარმოიდგენთ, აღარც პროვიანტი აქვს და აღარც ფურაჟი, ყველაფერი მეგრელების კისრიდან უნდა

<sup>1</sup> კორნელი ბოროზდინი იყო კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მონღე. ამ კანცელარიის დირექტორმა გამოგზავნა ის სამეგრელოს მთავრის სასახლეში დედოფლის მიწერმოწერის საწარმოებლად. ამავე დროს ბოროზდინს უნდა ეკისრნა მთავრის შეილების—ნიკოლოზისა და ანდრეას—ადმხრდელობა. ჩამოვიდა ზუგდიდში 1854 წლ. 29 აპრილს; როცა სამეგრელოში ოსმალთა ჯარი შემოვიდა, ბოროზდინი თავის მოწათფებით დროებით ცაგერში გადასახლდა.

<sup>2</sup> იხ. ბოროზდინი, „სამეგრელო“ გვ. 67.

<sup>3</sup> სისტემა თოფისა.

ამოვიდეს. გული მიკვდებოდა, როცა მცხოვრებნი ტირილითა და გოდებით უვარდებოდნენ ჩემს ცხენს დეხებში, პირდაპირ საწინელება ხდება აქ“... და სხვა...

აქიდან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობა იქნებოდა სინამდვილეში, როდესაც ზებატონეც-კი, ასე გულის ტკივილით აღნიშნავს ამ ანბების სიმწვავეს.



ყმების გაყიდვა ფეოდალურ სამეგრელოში.

მნ. ხუციშვილი.

უკვე მეორე წელი იყო, რაც საეგრელოს მშრომელი გლეხობა მოსწყდა თავის კერას, თავის მიწაწყალს, სამეურნეო საქმიანობას, შემოსავალი წყარო არსაიდან იყო, გასავლი კი — გამრავალკეცებული. ხალხი სრულიად დაეცა ეკონომიურად, ხოლო ფიზიურად განადგურების პირას დადგა.

მაგრამ როგორც აღვნიშნე, მთელი ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა ეს დანაკლისა და უბედურება საბოლოო ანგარიშით მთლიანად დააწვა მდაბიო ხალხს, მშრომელ გლეხობას...



სამეგრელოს ბატონყმურ ურთიერთობაში თავიდანვე ისეთი ველური და ვერაგული ტრადიცია იყო, რომ ყმა მთელი თავისი უძრავ-მოდრავი ქონებით და ცოლ-შვილით, ბატონის სრულს კერძო საკუთრებას შეადგენდა; ის მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას და ხშირად ხდებოდა ადვ-მიცემობის საგნად ისევე, როგორც რომელიმე მძარე ხარისხის საქონელი. და ეს დაკანონებული იყო ვახტანგ მეფის „დებულებით“, ისე რომ ჩივილის უფლებაც არ ჰქონდა გლახს და, რაც უნდა უსაართლოდ დასჯილიყო იგი, მისი საჩივარი არსად მიიღებოდა (იხ. ვახტანგ მეფის კანონი: წ. 2, მუხ. 167).

„მაღალი წოდება სამეგრელოში — ამბობს მოგზაური შარდენი — თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების ბატონ-პატრონია, იმას უშვრება, რაც უნდა: წაართმევს ცოლს, შვილებს, შეუძლია გაჰყიდოს და მოიხმაროს ყველაფრისათვის, რაც მოეჭიქება... ყოველი გლახი ინახავს მებატონეს თავის საჭმელ-სასმელით ერთ, ორ, ან სამ დღეს წელიწადში, ამიტომ უმადლესი წოდება მთელი წლის განმავლობაში ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადადის და პირიდან ლუკმას აცლის გლახს“.

ამის დამადასტურებელი მრავალი წერილობითი დოკუმენტი მოგვეპოება, საიდანაც მოვყვანთ რამდენიმე მათგანს მთლიანად და უცვლელად:

1. — ჩყლ-ს წელსა ნოემბრის იბ-ს.

„ქ. თვით დაუსაბამოისა და შეუცდომელისა მღვთისა ბრძანებულისა გონებით სიმართლით ჭეშმარიტს ნასყიდობის წერილს გაძლევეთ ჩვენ შელია ბესარიონ ლევანის-ძე და შელია ზურაბ მამუქიას-ძე შენ საიჩუოს მცხოვრებს აზნაურს ლევან გიორგის-ძეს თულარიას ამა საგანსა ზედა, რომელ მამაპაპით ჩვენი საკუთარი მოჯალაბე არახანია მეტია და მისი შვილები: ქაქუჩია, ვატანია მოგყიდეთ და თუაჩი სრული გამოგართვით როგორც გული შეგვიჯერდება და აწყავდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ყოვლისა კაცის უდავებლად; არც ჩვენ და არც ჩვენი ძე და მომავალი, არცა შენ და არცა შენს ძესა და მომავალს არ ედაოს და, თუ ვინმე ამ ხსენებულს მოჯალაბეში მოდავე აღმოგიჩნდეს, ანუ შენ, და ანუ შენს ძესა და მომავალს, მაშინ ყოვლის ვარის უთქმელად, ჩვენ მოგაცილოთ და ის მოჯალაბე შენ გაკუთნოთ. ესრეთ განსაკუთრებით მოკვიყიდნია; აწ მოწმობს წერილსა ამას თვით დაუსაბამო ღმერთი და კაცთაგან შელია როსტომ, შელია ქაიხოსრო და ბერუკა, მარლანია ბეჟან, პაპასქირი ათაია და მე ამა ხსენებულის შელიების თხოვნით ვაწერ კნიაზ დუტუ დადიანოვი და მოწამეცა ვარ იმისი და თვით

ბესარიონ და ზურაბ ხელს აწერენ + + ვმოწმობ წერილსა ამას მანუხარის ძე კნიაზ პრაპორშჩიკ დადიანოვი“<sup>1</sup>.

2. ათას რვაას ორმოცდა ცხრამეტსა წელსა ივლისის პირველსა დღესა —

მე ქუემორე ამისა ხელის მომწერი სამეგრელოს სამთავროის სენაკის ოკრულის სალიპარტიანოს მცხოვრები აზ-ი დათიკა ლევანის-ძე ანჯაფარიძე, გაძღვევ ამა მტკიცესა და საუკუნო გასათაუბელს ნასყიდობის ხელის წერილს, თქუენ იმაუე სამთავროის, ოკრულის და სოფლის მცხოვრებს ერთ მეგვარეს ჩემსა აზ-ს მღვდელს სამსონ ანჯაფარიძეს, მას შინა რომელ მამა-პაპით კუთვნილი ჩემდამი გლეხი ამავ სოფელსა შინა მცხოვრები ტოჩიელა ახალკოჩის შვილი გადილია თვისის ცოლით და შვილით ივანეთი მოგყიდეთ თქვენ და ფასი გულის საჯერი ჩემი მივიღე რიცხვით ოთხმოცი მანეთი ვერცხლის ფული. აღნიშნული ესე გლეხი გეკუთვნის თქვენ ამიერიდან ყოვლის თვისადმი სამსახურითა და გარდასახადითა დებულებით, ადგილ-მამულით წილით, საფლავით უძრავ მოძრავის, საძებრისა და უძებრით, ერთის სიტყვით ყოვლის საცხოვრებელითა, თქვენ შვილთა და შმთა [შემდგომთა] შთამომავლობათა თქვენთა, უდაურად ჩემგან შვილთა და შ-თა [შთამომავლობათა] ჩემთაგან, და უკეთუ ვინმე ამაზედ მოდავე აღმოჩნდება მაშინ თანამდებ ვარ მე და შთამანი [შთამომავალნი] ჩემნი, მოგაცილოთ და უზრუნველგყოთ ყოვლისა პასუხის გებისაგან დასამტკიცებლად ამა სამარადისო უცვალეებელისა ნასყიდობის ხელის წერილისა, საკუთრის ხელითა წერის უცოდინარობისა გამო ჯვარს ვაჯდენ. +

მოწამე არიან წერილისა ამის ქუემორე ხელის მომწერნი —  
ვემოწმები წერილსა ამას თავადი ალექსი დგებუაძე.

ვემოწმებით წერილსა ამას:

- აზნაური სისო ანჯაფარიძე,
- აზნაური მორაზ ანჯაფარიძე,
- აზნაური სპირიდონ ანჯაფარიძე,

დიმიტრი ანჯაფარიძე, რადგან ამათ წერა არ იციან, ნაცკლად მათდა ხელს ვაწერ პირჩენიკი<sup>2</sup> ივანე გულორდავა.

პირის-პირ თხოვნითა აზნაურის დათიკა ანჯაფარიძისა და ვსწერე ნასყიდობისა წერილი ესე აზნაურმან გრიგოლ ანჯაფარიძემ“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის მთავრისეული არქივი.  
<sup>2</sup> ორთოგრაფია დაცულია დედნისა.  
<sup>3</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქივი.

ძმათა გაყოფის დროს სხვა უძრავ-მოდრავ ქონებასთან ერთად გლახეზსაც იყოფდნენ ხოლმე ურთიერთშორის, როგორც კერძო საკუთრებას.

ყოველივე ეს დაკანონებული იყო თვით უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ხოლო უკანასკნელად ერთხელ კიდევ განმტკიცა იგი სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა დავით დადიანმა მის სამთავრო ტახტზე ასვლისას, 1841 წელს № 1 ბრძანებით.

დავით დადიანი ცდილობდა გაეტარებია რეფორმები და ზოგიერთი სიახლე შეეტანა თავის სამთავროს ძველებურს მართვა-გამგეობაში და ყმების ყიდვა-გაყიდვაზეც გამოსცა ახალი დეკრეტი. მაგრამ არც ერთი მისი „რეფორმა“ არ იყო პროგრესული და მშრომელი ხალხის—გლახობის საკეთილდღეოდ მიმართული, პირიქით, ეს „რეფორმები“ მუდამ გამოდიოდა მთავრის პირადი სარგებლობა და გამდიდრების მიზნებიდან. მაგ., მან მოსპო მებატონის ბეგარაზე მოპუშავე გლახების ბატონის ხარჯზე კვება და დააწესა გლახების მუშაობა ბატონის მამულში თვით გლახებისავე ხარჯით. ამით მან გააორკეცა გლახების ბეგარა და სამაგიეროდ ყოველწლიურად ათეული ათასი მანეთის ეკონომია შეუქმნა თავის სალაროს.

ამ შემთხვევაშიც, როდესაც იგი აქვეყნებს ყმების ყიდვა-გაყიდვის ქვემოთ მოყვანილ დეკრეტს, სრულიადაც არ აინტერესებს თვით ფაქტი ყმებით ვაჭრობისა, როგორც საშინელი არაადამიანური მოვლენა და სამუდამოდ წარუშლელი შავი ლაქა კაცობრიობის ისტორიაში, არამედ მისი მიზანია ყმებით ვაჭრობის ოპერაციები ხდებოდეს სამთავროს უშუალო კონტროლის ქვეშ, სწარმოებდეს მისი ზუსტი აღრიცხვა—რეგისტრაცია, რაც მის სალაროს შესძენდა აგრეთვე წლიურად ათეულ ათას მანეთებს.

აი ეს დოკუმენტიც:

„მინგრელიის უზენაესის სასამართლოსაგან ამავე სასამართლოს მეორე კლასის მდივანბეგს, უფალს პრაპორჩიკს და კავალერს თავადს სიკო ჩიქოვანს.

მისი უგანათლებულობა მემკვიდრე და მმართველი მენგრელიისა დავითი, თვისის მოწერილობით № 1-თა უბრძანებს ამა სასამართლოსა განსაცხადებლად ადგილობრივთ მოხელეთადმი, რომ



მელ შესვლისა მისსა მპართველობასა შინა<sup>1</sup> იხილა მან, რომელ-  
მცხოვრებნი სამეგრელოსანი, თავადაზნაურნი, სამღვდელონი და-  
თითქმის გლეხნიცა აწარმოებენ ჭა სყიდვასა, ჩუქებასა და დაგი-  
რავებასა უძრავთა, გინა მოძრავთა, ყმათა და მამულისა, კერძო-  
ბითის ბარათით შეიკვირიან ასე, რომელ სინამდვილე, ანუ სიყალბე-  
მათ სიგელთასა ძნელად გამოსაცნობელ არს; ამისათვის მოსასპო-  
ბელად ესრეთისა უწყსოებნისა დასდებს იგი შემდეგსა განკარგუ-  
ლებასა.

ა. თავაჯნი, გინა აზნაურნი და სამღვდელონი უკეთუ სყიდუ-  
ლობდენ ურჯიერთისაგან, ანუ გასყიდუნენ, გინა აგირავებდნენ  
ჩაჭულსა და ყმასა უმცირეს ას ორმოცდა ათის მანეთისასა, დაი-  
მოწმებოდეს, რომელ არავითარიმე საშუალება დაბრკოლებისა არ  
არს მას შინა, მაშინ თქვენ მაზრის გამგებელმან უნდა წარმოუდ-  
გინოთ ამა სასამართლოსა დასამტკიცებლად.

ბ. უმეტეს ას ორმოცდა ათის მანეთის საღირლისა ყმის და  
მამულის ნასყიდობაებნი, ამა სასამართლომან უნდა წარუდგინოს  
მის უგანათლებულესობას დასამტკიცებლად.

ხოლო თამასუქნი ვახშისა ორმოცდა ათს მანეთამდის დაიმტკი-  
ცებოდნენ მაზრის მდივანბეგთაგან და უმეტესი ამისა ამა უზენაესო  
სასამართლოსაგან.

გ. გლეხთა ნუ მიეცემასთ ნება ნურცა ყმის გასყიდვისა, ნურ-  
ცა სყიდვისა, ნურცა მძმჭითეებისა, გინა დაგირავებისა. უნდა იქო-  
ნით თქვენ ამ საკანზედ განკერძოებული ჟურნალი ნომერსა ქვე-  
შე, და წლითწლად უნდა წარმოუდგინოთ მისს უგანათლებულე-  
სობას, დასაცველად მისს კანცელარიაშიდ.

ბრძანებისამებრ მისის უგანათლებულესობისა, სასამართლო  
ესე წარუწერს თქვენს ბრწყინვალეობას, ზემო განცხადებული სჯულ-  
დებულება, განაცხადოთ ერთობით სახალხოდ თქვენდამი რწმუნე-  
ბულს მაზრაში, და პირველის იანვრიდამ ამა ჩყმა-სა წლისა იხელთ-  
მძღვანელოს ყოველგან; და ამიერიდან თვინიერ ზემო თქმულთაებრ  
დამტკიცებული საბუთი იქნას ყოველითურთ უქმ.

<sup>1</sup> ბოროზდინი ამბობს: „ლევან დადიანი გარდაიცვალა 1846 წ. და სიკე-  
დილამდე ოთხის წლით ადრე, ესე იგი 1842 წ., სამეგრელოს მართვაგამგეობა-  
გადასცა უფროს შვილს დავითს“-ო (იხ. „სამეგრელო“ ბოროზდინისა, გვ. 4).  
მაგრამ როგორც ჩვენ მიერ ახლად მოპოებულს, ზუგდიდის მუზეუმის არქივში  
დაცულ, ზემოთ მოყვანილ სიგელიდან ჩანს, დავითი უკვე 1841 წლის  
იანვრიდან მართავდა სამთავროს.

მსაჯულთუხუცესი კნიაზ ნიკოლაი დადიანი.

№ 8. 5 იანვარს 1841 წ.

გრიგოლიოპოლი<sup>1</sup>.

„მებატონეები არ იხვედნენ არაფრის წინაშე, — ამბობს ფ. მაზარაძე<sup>2</sup>, — იმათთვის არ იყო არც შიში და არც სირცხვილი. ვლახის ოჯახის განადგურება და აწიოკება, ყმების გაყიდვა, დედაკაცი თავის ძალადობით ნამუსის ახდა, „პირველი ღამე“, ურჩი ყმების სასტიკად დასჯა და იმათი ქონების მითვისება, — იმათთვის სანაქებო საგმირო საქმე იყო. მებატონეები აღარ ზოგავდნენ ყმებს; უბრალო დანაშაულისათვის ადამიანს სასტიკად სტანჯავდნენ, აზამდნენ ურემში, აგდებდნენ თონეში, აუპატიურებდნენ დედაკაცებს;... ყმას არც თავისი ქალის გათხოვება შეეძლო და არც ცოლის მოყვანა ბატონის ნებადაურთველად და ამის შემდეგაც „პირველი ღამე“ ბატონისა იყო... მხოლოდ მხეცებს და არაადამიანებს შეეძლოთ ყმების ჭეხე გაკვრა, მილურსმვა, მოხუცებულ მამაკაცებისა და დედაკაცების კვერში შებმა და ხარებივით წინ გარეკვა, ქალწულ ქალების ძალადობით ნამუსის ახდა“ და სხვ. ყოველივე ეს-კი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბატონ-ყმობის ხანაში.

ამ საზიზღარ ძალადობაში მებატონეები ღმერთსა და სარწმუნოებას, ეკლესიასა და სამღვდლოებას იშველიებდნენ, უმეცრებითა და ცრუმორწმუნეობით განამტკიცებდნენ თავიანთ „ზეადამიანურს“, სინამდვილეში-კი არაადამიანურ უფლებებს.

„ყმები თვით ღმერთმა გააჩინა ბატონებისთვისო ყმების დანიშნულება — ბატონების სანსახურია და ყმებიც მხოლოდ ამისათვის არსებობენო“. ე. ი. თავისთვის, თავის საკუთარი ცხოვრებისათვის არსებობის არც უფლება და არც დანიშნულება გლახს არა ჰქონდა და არც უნდა ჰქონოდა მათის (მებატონეების) აზრით.

<sup>1</sup> გრიგოლიოპოლი არის იგივე ზუგდიდი. სამეგრელოს მთავრებიდან პირველი გრიგოლ დადიანი გახდა რუსეთის ქვეშევრდომი. 1803 წლის 1 დეკემბერს მიიღო მან ფიცი თავისი სამთავროთი რუსეთის ქვეშევრდომობაზე, რის შემდეგ ჩააბარეს მას უმაღლესი ოქროს ღრამატა, რომელშიც აღნიშნული იყო მისი ინვესტიტურა, ებოძა სარდლის წოდება, ესე იგი სამეგრელოს ჯარების უფროსობა და წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი. მისი რეზიდენცია სოფ. ზუგდიდი გააქალაქეს და სახელად უწოდეს: „გრიგორიოპოლი“ (იხ. ბოროხდინი „სამეგრელო“, გვ. 4—5).

<sup>2</sup> იხ. ფ. მაზარაძე, „დანიელ კონჭაძე და მისი დრო“ გვ. 35—36.

„ფაქტები უსულდმერთო ძალდატანებისა — ამბობს ბოროზდინი — რომლის მსხვერპლად ბატონები ხდიდნენ გლეხებს, ახლაც საძებარი არა გვქონდა, ესენი ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხვდებოდა. აი, თუნდაც მოუსმინოთ იმ ქალს, რომელიც გამოიპარა ბატონის სასახლიდან და ქურდულად მოაღწია ოლქის უფროსთან-მარტო გარეგნობაც კი გამოგვიხატავს მის უკიდურეს გაჭირვებასა და უპოვარებას: ტანს უფარავს ძონძები, მისი ტიპი სრულებით არა ჰგავს მეგრელ ქალისას, რომელიც მთელს აღმოსავლეთშია განთქმული თავისი სილამაზით; ჩვენს წინა დგას სულ სხვა, დაჩივებული, დატანჯული, დაკნინებული რასა. აი რა უჭირს ქალს: „მე—მოჯალაბე გახლავართ,—მეუბნება ქალი,—ამადა-ამ თავადისა, მისგან ორი შვილი გამიჩნდა: ბიჭი და გოგო. მერე აიღო და მავან მებატონეს მიმყიდა. წინანდელმა მებატონემ ჩემი შვილები ვილაც-ვილაცეებს ჩიჰყიდა. ახალი ბატონის ხელში სამი შვილი გამიჩნდა და ახლა უნდა ეს შვილები გამიყიდოს. ჯერ უფროს შვილისაგან იწყებს; რომ გაიგო მე ჩივილს ვაპირებდი, დამემუქრა,—შენ თვითონ აფხაზეთში გაგყიდო, — გამოვიქეცი, თორემ მუქარას აასრულებდაო“ (გვ. 140).

შეიძლებოდა ამაზე შორს წასულიყო ადამიანით ვაჭრობა!?

ახლა სხვა მაგალითი თუ გნებავთ: დგას ორი მთხოვნელი, — მამაკაცი და დედაკაცი; სამი წლის წინად თავი შეასყიდეს ბატონს ათ თუმნად, ხოლო ამ ფულის საშოვნელად თავიანთი ქალი, შვიდი წლის გოგო, მეორე ბატონს დაუგირავეს. გოგოს გამოხსნის ვადა დადგა, მოუტანეს ფული, მაგრამ მსესხებელმა გადაჭრით უარი უთხრა გოგოს დაბრუნებაზე. ქალაქში, რომლის ძალით ეპატრონება გოგოს, ნათქვამია — „ნასყიდიაო“. მართლაც, წერის უცოდინარობის გამო, ამ უბედურთათვის ჯვარის სახე გამოუყვანინებიათ არა „გირაოს“, არამედ „ნასყიდობის“ ქალაქზედ, ესენი თავიანთ ხელის მოწერაზე უარს არ ამბობენ და უნდა გამოეთხოვონ თავიანთს ერთად-ერთს ბავშვს...

ამ საჩივრის მოსმენა არც-კი გათავებულებიყო, ისე შემოვიდა გამხდარი, შეშინებული კაცი; არეულად ლაპარაკობს, გარშემო იხედება და ეშინიან—ყურს არაფერ მივდებდეს, რომ ბატონზე საჩივლელად მოვსულვარო. აბა ყური დაუგდეთ მის თავგადასავალს. შვიდ ბატონს ეკუთვნის, შვიდნივე ერთიმეორის მახლობელი ნათესავეები არიან—ახნაური შავდიები, და შვიდ სახლში მსახურობს, თითო დღეს თითო სახლში და ერთ სახლიდან მეორეში გადადის.



კვირაში შვიდი დღის განმავლობაში მუშაობს, შეუსვენებლივ, მისთვის უქმე არ არის, ყველგან სცემენ და ნახევრად მშიერს ამყოფებენ. თხოულობს — ისე მწარედ არა სცემონ ხოლმე (ორ მის ბატონს საშინლად ჰყვარებია ცემა), — და საჭმელიც ცოტა მეტი აჭამონ; თავის გამოხსნის თხოვნა აზრადაც არ მოსდის...

ხელში, ეს სამი ფაქტი მომხვდა... ასეთი ფაქტები-კი იმდენია, რომ ჩამოთვლაც შეუძლებელია.

საზიზლარი იყო ბატონ-ყმობა რუსეთში, მაგრამ შიდა გუბერნიებში აქსად შევხვედრივარ ისეთ რამეს, როგორიც სამეგრელოში ვნახე“-ო დაასკვნის ბოროზდინი.

ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, მართლაც და რა საშინელება უნდა ყოფილიყო სამეგრელოს გლეხთა მდგომარეობა, რომელსაც ასე განცვიფრებაში მოჰყავს თვით რუსეთის მეჯის მთავრობისაგან უაღრესი ნდობით აღჭურვილი აგენტი — მოხელე ბოროზდინი, რომელიც, მიუხედავად მისი ლიბერალობისა და ობიექტურობისა, არ შეიძლება არ ყოფილიყო მაშინდელი დიდპყრობელური რუსეთის იმპერიალისტური ტენდენციის მატარებელი. ყოველ შემთხვევაში, რაც უნდა რწმუნისა არ ყოფილიყო იგი, მას თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მეტის თქმაც არ შეეძლო. აზიტომ, თუმცა მას მიერ თავის ნაშრომში გადმოცემული ფაქტები იმ წარსულიდან უსათუოდ დიდ ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენენ, მაგრამ ყველაფერი ის, რასაც იგი ამ ფაქტების გასაშუქებლად ამბობს, ცხადია, არ შეიძლება უღაო ჭეშმარიტებად იქნეს აღიარებული, და მათი ჭეშმარიტი გაშუქება ზოგჯერ უნდა ვეძიოთ არა თვით სტრიქონებში, არამედ სტრიქონებს შუა.<sup>1</sup>

მართლაც და იმდენად დამცირებული იყო ოდიშში გლეხობა ბატონების მიერ, იმდენად გათეილი და უარყოფილი იყო მათში ადამიანური ღირსებები, რომ ადამიანის სახელის დარქმევის უფლებაც კი არა ჰქონდათ მათ. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს იმ დროის გლეხთა სახელები, რომლებიც მრავლად ზოიპოვება სხვადასხვა დავთრებში:<sup>2</sup> ავილოთ ბ ე ბ ე ლ ი ა ჯ ო ლ ო რ ი ა ს - ძ ე რ ა ფ ა ვ ა, რომელიც 1857 წელს უ.ტ.უ შიქავას მეთაურობით სამეგრელოს გლეხთა აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის რუსე-

<sup>1</sup> მაგალითად, ბატონები რომ ყმებს უსამართლოდ სტანჯავდნენ, ეს მართალია, მაგრამ „რუსეთის მეფის მთავრობა ვითომ ამ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შემოვიდაო“, ეს კი არ არის მართალი. სინამდვილეში კი თუ რა ამოქმედებდა რუსეთის მეფის მთავრობას, ამაზე უკვე მოგახსენეთ.

<sup>2</sup> იხ. საგადასახადო დავთრები ზუგდიდის მუხეუმში.

თის მეფის მთავრობის მიერ გადასახლებულ იქნა ციმბირში. იგი გადასახლებაშივე მოკვდა და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

რას ნიშნავს ბებელია ჯოღორიას-ძე?

„ჯოღორი“ მეგრულად ძალღს ჰქვია, „ბებელი“-კი საერთოდ, სიბინძურეს და, კერძოდ, ძალღის განავალს. ამრიგად, ზემოთ დასახელებულ რაფავას მამას „ძალღი“ რქმევია, ხოლო შვილს—ძალღის განავალი. ასეთი უმსგავსო, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი სახელები აქ იშვიათი არ ყოფილა. ზოგ მათგანს დღემდეც მოუღწევია. ასეთებია: ჯოღორია, ლაკვიშია, ბებელია, ღეჯია, გოჯოია, ძოკია, კიკოია, ცაკვია, ყვაბაია, თიყვაია და სხვ.

განა ამაზე შორს შეიძლება წავიდეს ადამიანში ადამიანობის უარყოფა და შეურაცხყოფა?..

დღემდე მოღწეულია ამგვარი გაღმაცემა: წყალდიდობის დროს მღ. ენგურმა კალაპოტი გაღმოლახა. ერთი ტოტი მარცხენა ნაპირიდან მქუხარე ნაკადად შეიჭრა ღამით სოფ. რუხში. ნაკადმა მრავალი თევზიც თან გაღმოიტანა. უეცრად მოვარდნილი წყალი უეცრადვე დავარდა. ნაკადს გაღმოყოლილმა თევზებმა ვერ ჩაასრეს მთავარ კალაპოტში ჩასვლა და აქა-იქ მშრალზე დარჩნენ. ერთ-ერთი გლეხის — გვარად ჩანგელიას კარზე ერთი დიდი ორაგული გამოერიყა წყალს.

სახლის პატრონმა ჩანგელიამ დიღით იპოვა თავის კარზე ორაგული. გლეხის მშვიერი ოჯახისათვის, რა თქმა უნდა, ეს დიდი განძი იქნებოდა, მაგრამ თვითონ ვერ გაბედა მისი მოხმარება, — „ბატონი შემიტყობს და აშკლებსო“. ისევ ამჯობინა ბატონისათვის ძღვენად მიერთმია: „დამიმადლებს და იქნებ რამე წყალობაც მოიღოსო“ — იფიქრა გლეხმა და მიართვა. ორაგული ბატონს, შესაფერი დამატებებით—ღვინითა და ხაჭაპურებით.

ბატონმა ძღვენი მიიღო, მაგრამ მადღობის ნაცვლად კარისკაცებს უბრძანა — მეძღვე ჩანგელია ბნელ სარდაფში ჩაეკდოთ და ხუნდზე დაესვაო. ბრძანება შეასრულეს. ჩანგელია სამი დღედაღამე ამყოფეს ამ წაჩებაში. მეოთხე დღეს ბატონმა გააშვებინა იგი, მოიხმო თავისთან და ჰკითხა: „იცი, თუარა, რატომ დაისაჯეო“. გლეხმა უარით უპასუხა. ბატონმა გააგებინა: „იმიტომ დაგსაჯე, რომ დღემდე თურმე ორაგულებს შენ მიერთმევდი და ჩემთან-კი არ მოგქონდაო... ახლა წადი და იცოდე: დღეიდან ბეგარად გაღებ ყოველწლივ მომართვა თითო ასეთი ძღვენი ორაგულითო... აბა, როგორ გაბედავდა ბეჩავი გლეხი მოესხნებია ბატონისათვის, რომ დღემდე წყალდიდობას მის კარზე ორაგული არ გამოურიყავს! — მაშინ ხომ სიტყვის შებრუნებისა და ურჩობისათვის ერთის ნაცვ-

ლად ორი და საძი ორაგულით დაბეგრავდა ბატონი, ამიტომ მორჩილებით დაუკრა თავი და გაუდგა გზას. ამიერიდან მას მართლა დაეწერა ბეგარად ორაგული. ამრიგად, უჭირო საჭიროდ გაუხდა საბრალო ჩანგელიას. ამის გამო დღესაც არის ჩვენში ასეთი თქმა: „უჭირო საჭირო ჩანგელიას კარზეო“.<sup>1</sup>

\* \* \*

გლენობაზე ასეთი განუსაზღვრელი ძალა-უფლებით აღჭურვილმა ვაბატონებულმა კლასმა—თავად-აზნაურობამ, რომელიც მუდამ გლენობის სისხლის მწოველი პარაზიტი იყო და სხვა რამ საარსებო არც წყარო და არც უნარი არ გააჩნდა<sup>2</sup>, ამ შემთხვევაშიც, ომისაგან მიყენებული მთელი ზარალ-დანაკლისების ანაზღაურება იწყო ისევ გლენების ზურგიდან მეთათე ტყავის აძრობით. განდა საგადასახადო ბეგართა დავთრებში ახალი დამატებითი მინაწერები, ახალი დამატებითი გადასახადები და თვითნებური საბოჭავები, ყოველგვარი მინაწერების გარეშე. სპეციალურად გამოყოფილი მბოჭავები—ხელოსნები<sup>3</sup> აგროვებდნენ რა შეწერილ გადასახადებს, იმავე დროს არ იყვნენ უფლებას მოკლებულნი დამატებით წაერთმიათ გლენებისათვის შეუწერელი გადასახადები თავიანთ სასარგებლოდაც.

წინანდელზე უფრო მეტად გახშირდა ძალადობა, ქონების გატანა ყმათა ოჯახებიდან, რბევა, აოხრება, აწიოკება, ყმების მოტაცება, ყიდვა-გაყიდვა შიგნით და გარეთ...

თავად-აზნაურთა თვითნებურ, თავგასულ თარეშს საზღვარი არა ჰქონდა. არავინ იყო გლენობის მოსარჩლე, მებატონეთა მამხილებელი და ამ უპატრონო, „უძალლო ქვეყანაში“ ეს თავხედი ვაჟბატონები „უჯოხოდ“, თავისუფლად, თავიანთი პირადი, ქივეულ გულისთქმათა აყოლით დაჯირობდნენ. ურჩობის გამბედავი

<sup>1</sup> არის კიდევ სხვა ვარიანტიც ამ ანდაზისა: „ზღვიდან რომ კირი ამოვარდება, ჩანგელიას კარზე დაეცემაო“.

<sup>2</sup> იხ. დედოფლის წერილი ბებუთოვთან. ხუგდიდის მუხეუმის არქ, № 13-2 გვ. 15.

<sup>3</sup> „ხელოსნობა“ მოურავისებური თანამდებობა იყო იმ განსხვავებით, რომ ხელოსანი ვალდებული არ იყო სასახლეში ეტრიალნა, სხვა მოსამსახურებთან ერთად. მისი საქმე იყო—გადასახადები ეკრიფნა გლენებისაგან ისე, რომ თავისთავიც არ დაევიწყებია და ან მეტი გამოერთმია გლენისათვის, ან უკიდურეს შემთხვევაში, აკრეფილის მეტი წილი თითონა რგებოდა“ (იხ. „ბატონ-ყმობა სამეგრელოში — კ. ბორთხდინი, რაუ. გრისთავი და მურიე, თარგმანი თ. სახოკიასი, გვ. 16).



არავინ იყო და თუ სადმე, ვინმეს, დატანჯულ გულიდან, უნებ-  
 ლიედ, სტიქიურად ოხვრა აღმოხდებოდა, ვინმე გმინვით ამოანთ-  
 ხევდა შეუკავებელს ბოლმას და შეჰბედავდა ბატონს ურჩობას,  
 თუნდაც სრულიად საქართველოს, ვაი მისი ბრალი!.. მისთვის მა-  
 შინვე გაუკითხავად მზად იყო ხუნდები, ბორკილ-ქანჩები, დაღია-  
 ნურ-ხაჯალურები, გახურებული შანთები თვალების ამოსაწვავად,  
 კირით სავსე ორმოები, დილეგები, ჯალათის ხანჯალი სხეულის  
 სხვადასხვა ნაწილების—ხელის, ფეხის, ყურის, ცხვირის და ზოგ-  
 ჯერ-კი თვით თავის—მოსაკვეთად და მრავალი სხვა არაადამიანუ-  
 რი საწამებელი საშუალებები.



ბატონისაგან დასჯილი გლეხი ხუნდზე.

მხ. დ. ჯიჭონაია.

აი როგორ აგვიწერს ამ იარაღებს თ. სახოკია:<sup>1</sup>

1. „პირველი და ყველაზე მეტად გავრცელებული (ალბათ, თავის სიიაფისა გამო) იყო—ხუნდი. ეს გახლავსთ გრძელი, მრგვალი

<sup>1</sup> იხ. „ბატონყმობა სამეგრელოში“—კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიესი. მასალები, თარგ. თ. სახოკიასი, წიგნსტრუქციების მაგიერ—გვ. 1—5.

2. ზუგდიდის მუზეუმის შრომები.

და მსხვილი ძელი, ამოღრუტნული, ფეხების ჩასაყოფად; ფეხების ჩაყოფის შემდეგ მაგრად გაეყრებოდა გათლილი სოლები, რომლის ამოღება „ხუნდზე დასმულ“ კაცს სხვის დაუხმარებლად არ შეეძლო. „ხუნდზე იჯდა“ დამნაშავე მთელი დღეების და კვირეების განპირობებაში. ხანდისხან მჭადის ნატებს მიუვლებდნენ და უფრო ხშირად იმასაც არა. როდესაც ძალ-ღონე გამოეღო და დამნაშავეს და ბატონიც საკმარისად ჩასთვლიდა სასჯელს, გაანთავისუფლებინებდა.

2. დადიანური, ხაჯალური, ანუ ჯაჭვი რკინისა—საკმაოდ გრძელი (ორი-სამი მხარისა) რკინის ჯაჭვია. ერთს ბოლოში რგოლი აქვს. ამ რგოლში დასასჯელს კისერს გააყოფინებდნენ, დაბამდნენ სადმე ბნელს ალაგას და ამყოვებდნენ ასე ცარიელა მჭადისა და წყლის ანაბარა სასჯელის მოხდამდე. ამ ჯაჭვს შახელი „დადიანური“ ალბათ, მისი გამომგონებლის მთავარ დადიანისაგან დაერქვა. ამ ჯაჭვს ხმარობდნენ აგრეთვე გიყების დასაბმელად... და სხვ.

3. დილეგი. დილეგი წარმოადგენს დიდს ამოკირულ ქას. შიგ ავდებდნენ უკვე სასიკვდილოდ განწირულთ. შიგ ჩაგდებულს უკან ამოსვლის იმედზე ხელი სამუდამოდ უნდა აეღო. ჩაგდებდნენ თუ არა ადამიანს დილეგში, იგი ერთბაშად აღმოჩნდებოდა იმაზე წინად ჩაგდებულთა ძვლებს შორის და მოკლე ხანში იმ ძვლებს ემატებოდა მისი განაწამები ძვლებიცა“ და სხვ...

თვით სამეგრელოს მთავარი—„მემკვიდრე მენგრელიისა, დავითი—თავის „გამოცხადება“ № 133-ში, იანვრის 31 დღესა, 1840 წელს, ვითომ კრძალავს ყმათა „სასტიკ“ და „უწყალო დასჯას“ და ამბობს:

...„მშობლისა მიერ ჩემისა და ჩემ-მიერ მრავალგზის არს შენიშნულ, რომელ რომელიმე უფლებიან კნიაზ და აზნაურნი ექცევიან თვისთა ყმათა სასტიკად და უწყალოდ; ...ვითაარცა ახლა ამ ჟამად შეუდგა რომელ კნიაზმან თემურყვა ანჩაბაძემ, თვით დასჯა ქორის გაქცევისათვის მისი გლეხის—ბახუტა აფშილავას-მიერ; გააკეთა ზანდუკი მსგავსად კუბოსა და მას შინა ყავდა დამყვივებული იგი აფშილავა რამდენსამე დროშიდ და აპურებდა მას გამოჭრილ მას შინა ფანჯრიდან. ესრეთი ამა ანჩაბაძისა ქცევა წინააღმდეგ არს საზოგადო ცხოვრებისა და არა-კაცობრივობა“... და ბრძანებს: „კვალად არვინ გაბედოს ქმნა თვისთა გლეხთა ზედა სასტიკი და უწყალო დასჯა“-ო.

მაგრამ იმავე მთავარმა დავითმა თავის ჯალათებს ხელი (მკლავი) მოაკვეთინა სოფ. კახათის მცხოვრებ გლეხ ბაკურია ბაკარაძისათვის იმ საზარელი ხანჯლით, რომელიც დღესაც ინახება ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, როგორც წარსული ცხოვრების უკულმართი წყობილების ნაშთი. ბაკურიას შვილისშვილი დღესაც ცოცხალია, მას და ბევრ სხვასაც კარგად ახსოვთ გადმოცემა ამ შემადრწუნებელ ამბავზე.

ამ საშინელებათა სიმწვავეს მთელი თავისი არსებით განიცდიდნენ გლეხები და მათი სათანადო შეფასების უნარიც თანდათან ღვივდებოდა მათში; ისინი გრძნობდნენ თავიანთს უფრო მაღალ ადამიანურ ღირსებებს მათი მებატონეთა წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ბატონები რიზიანად გაიძახოდნენ: „ვინ ადამიანი? სადაური ადამიანი? ყმები თუ ადამიანები არიან, მაშინ ეგ ჩვენი მურაც ადამიანი ყოფილაო“—<sup>1</sup> გლეხები ადამიანურ უფლებებისაკენ უკვე გადაჭრით გაიციქობოდნენ. მითუფრო, რომ ომისაგან და სააღებმიცემო ურთიერთობით შემოჭრილს უცხოეთის სოციალისტურ იდეათა შუქზე, ზოგიერთი — გონების სიმახვილით დაჯილდოვებული, გამჭრიახი მოწინავე პირები—უკვე შორიდანვე გრძნობდნენ თავისუფლების სიოს მობერვას და თავიანთი შრომის ქურასთან ბრძოლის იდეათა ქურასაც აგიზგიზებდნენ.<sup>2</sup> ესენი გახლდნენ მშრომელთა წიაღიდან გამოსული სახალხო გმირები — საჭილაოელი, აზნაურ კორძაიას ყმა, მეწვრილმანე კოჩა თოდუა; თვით სამეგრელოს მთავრის გლეხი, ხის ჯამჭურჭლების მთლელი—უტუ თოდუა, რომელსაც მისი სიმართლისა და სამართლიანობის მოყვარეობისათვის ხალხმა მეტ სახელად „მართალია“ უწოდა და მესამე—ყველაზე შესანიშნავი, სოფ. ფუქის (წალენჯიხის რაიონი) მცხოვრები, თარნაოზ დადიანის ყმა, მჭედელი უტუ ჯოტოს-ძე მიქავა, ეს ნამდვილი ლეგენდა-

<sup>1</sup> იხ. კ. წუთისოფლელი, „მოჯალაბე“, 1914 წლ. „სახ. გაზეთის“ სურ. დამატება № 7—21.

<sup>2</sup> თვით კოლუბიაკინიც სწერს ქუთაისის გენ. გუბერნატორს 1857 წ. 18 მაისის რაპორტით. „ამბოხების მიზანი ცნობილია მხოლოდ წინამძღოლთათვის და შეწირულთათვის, მაგრამ სიტყვები და იდეები, ხალხში ლოზუნგებად გასროლილნი, აძლევენ მას ისეთ ხასიათს, რომლის დასახელებისათვის უნდა მივმართოთ დასავლეთის რევოლუციურ ნომენკლატურას, მაგალ: „წოდებანი თავადი და აზნაური არ უნდა არსებობდნენ, ვინაიდან ყველა ადამიანები ძმები არიან“ და სხვ... „არ არის აგრეთვე საეჭვო, რომ მმართველობის ნაკლს და შინაურ ბოროტ შთაგონებებს დაერთო დასავლელების იდეათა გავლენა... შემოტანილნი, — მკითხავენ: ვის-მიერ, რა გზით? ვუპასუხებთ: გავლილი ომით, მოვაჭრე უცხოელების აქ ყოფნით, კონტრაბანდებით და, დასასრულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზღვიდან, ქარით“... (იხ. АКТЫ Кавк. арх. ком. т. XII, გვ. 254).



რული პრომეთეოსი, — სამეგრელოს მშრომელთა ადამიანური უფლების აღსადგენად და საკეთილდღეოდ ბრძოლის ცეცხლის მოტანისათვის წამებული.

უტუს სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინემ „სამეგრელოს რევოლუციის დანტონი“ უწოდა ირონაულად, მაგრამ ამ ირონიაში, ნაწილობრივ მაინც, დედოფლისათვის მწარე სინამდვილე გამოსჭვიოდა.



აჯანყების მეთაური უტუ მიქავა აპატიმრებს მოწინააღმდეგე თავადაზნაურებს. მნ. ს. ნადარეიშვილი.

სამეგრელოს გლეხთა 1857 წლის აჯანყების ეს სამი ბელადი, რომელნიც თითქოს მშვიდობიანად ეწეოდნენ თავიანთ ხელობას, იყვნენ დაუძინებელი და შეურიგებელი მოსისხლე მტრები იმდროინდელი სოციალური წყობილებისა — ბატონყმობისა. ისინი თავიანთი ღარიბული სახელოსნო ქოხმახების ბნელი კუნჭულებიდან დღედ აღამ, ფარულად ეწეოდნენ აგიტაცია-პროპაგანდას თავადაზნაურთა წინააღმდეგ, გლეხებს უხელდნენ უმეცრებით დაბინდულ თავლებს, აღვივებდნენ მათში პროტესტანტულ-სულს და ამზადებდნენ მომავალ ამბოხებისათვის.

უტუს, იგივე მართალი თოდუას შესახებ გადმოგვცემს მისი მომს რე ძისწული ნიკო თოდუა:

„უტუს თავისი ხელობის ნაწარმი — ხი' ჯამ-ჭურჭელ ბაზარზე ნაკლებად გაჰქონდა. უფრო მეტად შინ ჰქონდა დაწყობილი ზოგი განზადებული, ზოგი გარანდული. მისი მიზანი ამ ხელობით



ფულის აღება იმდენად არ იყო, რამდენადაც ხალხის მოზიდვა. გლეხები მოდიოდნენ ვითომდა ჭურჭლეულობის საყიდლად და დასაკვეთად, უტუ-კი მათთან აგიტაციას ეწეოდა. მე ნათლად მახსოვს, როგორი ჩამაგონებელი და დამაჯერებელი სიმტკიცით ეტყოდა მოხუცი უტუ მის გარშემო შემოკრებილ გლეხებს: „რო გორც ბალღისათვის ძუძუ, ისევე აუცილებელია გლეხისათვის მიწა და თავისუფლება“-ო...

ასეთივე იყო უტუ მიქავა. მისი სამჭედლო ჯერ მისი სამშობლო სოფელ ფუქში და შემდეგ საიჩუოში (ხუგდიდის რაიონი) მგზნებარე პოლიტაგიტაციის კერა იყო. ამას ვერ უარყოფს თვით მეფის რუსეთის ნახელე — ბოროზდინიც, თუმცა გარკვევით ამის თქმას გვერდს უვლის. აი, რას ამბობს იგი:<sup>1</sup>

მესამე ბელადი და ყველაზე საინტერესო იყო მჭედელი უტუ მიქავა, სოფ. ჯვარიდან<sup>2</sup>. მჭედელი საერთოდ ყველგან, ხალხში უბრალო კაცად არ არის მიჩნეული. როგორც რუსეთის სოფლებში, ისე სამეგრელოშიაც მჭედელი უმეტეს შემთხვევაში იცნობს სხვა და სხვა სამკურნალო ბალახებს, იცის შელოცვები და სხვა... მეგრულ სამჭედლოს გვერდით დუქანიცაა და შიგ კიდევ სულმუდამ ირევა უსაქმური ხალხი; აქ ეუბნებიან ერთმანეთს ახალ ამბებს, ერთი ჯგუფის ალაგას მეორე მოდის, განუწყვეტილად ვაყანებენ, ერთიმეორეს თავის აზრს უზიარებენ, ზოგჯერ საქონელსაც სცვლიან და ვაჭრობენ და ყოველ სადაო შემთხვევაში, ეს ხალხი მიმართავს ხოლმე მჭედელს, რომელმაც, უმეტეს შემთხვევაში, ლაპარაკი იცის თავდაჭერით, მაცდურად, კილოკავით. გლეხთა მოძრაობის დასაწყისიდანვე უტუ მიქავას სამჭედლო შესაკრებელ ადგილად იქცა, ხოლო თვითონ პატრონი, ახალგაზრდა კაცი, ასე ოცდაათი წლისა, მიხვედრილი, ეშმაკი, როგორც უმეტესობა მეგრელთა, გლეხების წინამძღოლად იქცა ისე, რომ თვითონ ამისათვის არც-კი ცდილა, ძალად თავისთავი არავისთვის მოუხვევია. ბუნებით ფიცხი, მალე თვითონ გაიტაცა მისმა როლმა და სულ მოკლე ხანში მოიპოვა უაღრესი ნდობა და უდიდესი პოპულარობა მთელი სამეგრელოს გლეხთა ფართო მასებში და აჯანყების მეთაურად იქცა...

<sup>1</sup> იხ. კ. ბოროზდინი, „სამეგრელო“, გვ. 136—137.

<sup>2</sup> სოფ. ფუქი—უტუ მიქავას სამშობლო, —ჯვარის ყოფილ მაზრაში იყო.

ამ მუშაობას, ამ ავითაცუიას უშედეგოდ არ ჩაუვლია: გლახობა შეიშმუშნა, გლახობა იღვიძებდა, მაგრამ ჯერ იქვე თავის გულში ჩაკეტილად დულდა, ლელავდა, სანამ მოთმინების ძაფი არ გაწყდა და ამ შეკუბებულმა ბოლმამ ერთბაშად, სტიქიურად არ გადმოხეთქა. ატმოსფერა ასაფეთქებლად იყო გამზადებული. მხოლოდ ნაპერწყალი, საბაბი-ლა იყო საჭირო. და აი, ასეთი საბაბი გახდა ერთი გარეუბება, რომელიც ბოლოს, ამ უკვე ძალზე მომწიფებულ სიდუხჭირის მუწუკის გამკვეთ ნესტარად იქცა...

\* \* \*

ოსმალეთთან ომში რუსეთის ჯარი სევასტოპოლთან დამარცხდა, მაგრამ სამაგიეროდ მცირე აზიაში მან მოიპოვა მთელი რიგი გამარჯვებებისა. უკანასკნელად გრაფმა მურავიოვმა აიღო ძლიერი სიმაგრე ყარსი. მაშინვე დაიწყო მოლაპარაკება ზავზე, რომელიც კიდევ დადებულ იქნა პარიზში 18 მარტს 1856 წელს (ძვ. სტ.). ამ ზავის თანახმად ორივე მოწინააღმდეგე მხარეს ხელი უნდა აეღო დაპყრობილ ადგილებზე. ამრიგად, სევასტოპოლი დაუბრუნდა რუსეთს, ყარსი ოსმალეთს დარჩა, შავი ზღვა გამოცხადებულ იქნა ნეიტრალურად, სადაც თავისუფლად შეეძლო ცურვა ყველა სახელმწიფოთა სავაჭრო გემებს. ამით დამთავრდა რუსეთ-ოსმალეთის ომი—ე. წ. „ყარსის ომი“,—მაგრამ სამეგრელოს მშრომელთათვის მას სანუგეშო არა დაუტოვებია რა.

ამავე წლის 26 აგვისტოს დანიშნული იყო რუსეთის მეჯინს ალექსანდრე მეორის კურთხევა, ანუ ტახტზე ასვლა. ამ დღესასწაულზე დედოფალი ეკატერინეც იყო მიწვეული. იგი სრულიად დამშვიდებით გაემზადა სადარბაზოდ და ივლისში გაუდგა გზას რუსეთისაკენ; როგორც სამართლიანად აღნიშნავს კოლხიდელი: „სრულებით დავიწყებას მისცა ხალხის აუტანელი მდგომარეობა, ამ საშინელი ომით უკიდურესობამდე გამძაფრებული“ (ხაზი ჩვენია.—ი. გ.).

წასვლის წინ მან სამეგრელოს მართვაგამგეობა ჩააბარა თავის მაზლს—გრიგოლ დადიანს, მაგრამ ძალიან დიპლომატიურად შეზღუდული უფლებებით, რადგან დიდი ერთგულების ნდობით არ უყურებდა მას<sup>1</sup>. თითქმის უფრო ფართოდ და დამოუკიდებლად მოქმედება შეეძლო გრიგოლის უმცროს ძმას კონსტანტინეს. ამავდროს

<sup>1</sup> იხ. კოლხიდელი, „უტუ მიქავა“, გვ. 29.

სამთავრო ქონების მეთვალყურედ, ანუ სახლთუხუცესად ეკატერინემ დასტოვა დავით ჩიქოვანი, რომელიც ორივე ზაზლზე უფრო მეტ დაპოუკიდებლად მოქმედების უფლებებით იყო აღჭურვილი და არსებითად არც ერთს მათგანს არ ემორჩილებოდა. დედოფალმა მასვე დაავალა მიეღო ენერგიული ზომები ომისაგან აოხრებული მთავრის ქონების აღსადგენად,—აეკრიფა დაგროვილი (ომის პერიოდში გადაუხადელი) გადასახადები, აღედგინა და განეახლებია საუფლისწულო მეურნეობანი და, რაც მთავარია, რუსეთიდან დედოფლის დაბრუნებამდე, შეეკეთებია სასახლე სალხინოში, რადგან მთავრის სასახლე ზუგდიდში ისკანდერთაშას მიერ იყო დამწვარი.

ჩიქოვანი დაუყოვნებლივ და გულმოდგინედ შეუდგა თავისი მბრძანებლის დავალებათა შესრულებას. მას ერთგული თანაშემწე თანამშრომელიც ჰყავდა სასახლეში — გლენტა ნაოხარზე თბილად და ტკბილად მოკალათებული მოურავი მალაქია კუხალეიშვილი. ამათ მორეკეს ხალხი სხვადასხვა სოფლიდან ხარ-ურმებით და დააყენეს სამუშაოზე ხალხისავე ხარჯით... აი, როგორ აგვიწერს ამას ბოროზდინი:

„სალხინოს სასახლის შესაკეთებლად ხალხი რომ მორეკეს, მოსთხოვეს ემუშავნათ, და მათის საჭმელ-სასმელისათვის აღარცკი უზრუნვიათ.

გლენტებმა გულში ჩამარხულ უკმაყოფილებით მოიტანეს თან ხორბალი და სიმინდი და ითხოვეს მთავრის წისქვილზე დაფქვის ნება მიეცათ. დაფქვის ნება მისცეს, მაგრამ დასაფქვავე მინდიც აიღეს. ეს კი ველარ მოითმინეს გლენტებმა და წინააღმდეგობა განაცხადეს: „სამუშაო ბეგარაზე ისედაც ჩვენის საჭმელ-სასმელით მივდივართ და აქ კიდევ ახალს გადასახადს გვაკისრებთო“...<sup>1</sup>

სახლთუხუცესმა მათყურიც არ ათხოვა, ან რა ანგარიშგასაწევი იყო—მისი აზრით—„ბრბოს ყაყანი“—და მინდის აღება განაგრძო. უკვე უკიდურესობამდე ილაჯგაწყვეტილი, მოთმინების უკანასკნელ წერტილამდე მიღწეული და აფეთქების საბაზის მაძიებელი გლენტობისათვის ეს გარემოება საკმარისი შეიქმნა თვისი მოსისხლე კლასის წინააღმდეგ ბრძოლის ამკარა ფორმებზე გადასასვლელად. ახლა საჭირო იყო მხოლოდ ფორმალურა, იურიდიული საფუძვლის დადება საქმისათვის, სამოქმედო გეგმა, ორგანიზაცია. დაუყოვნებლივ აირჩიეს „სხუნუუ“ (მრჩევლები, საბჭო), როგორ-

<sup>1</sup> იხ. კ. ბოროზდინი, „სამეგრელო“, გვ. 71—72.

შიც შედიოდნენ „სქვამაია ნადარაია, შუკოჩია კილასონია, გვატია გადილია“<sup>1</sup>. გადასწყვიტეს დეპუტაცია გაგზავნათ გრიგოლთან საჩივლელად. აირჩიეს რამდენიმე კაცი და გაგზავნეს. გრიგოლმა საკითხის გადაწყვეტა არ იკისრა, რადგან დედოფლის მიერ დატოვებულ ინსტრუქციაში ამის შესახებ არაფერი იყო და ურჩია დედოფლის პეტერბურგიდან დაბრუნებამდე დაეცადათ.

გლეხებმა ამგვარი პასუხი მოხერხებულად გამოიყენეს თავანთი ამოცანისათვის: „დედოფლის ჩამოსვლამდე ნულარ ვიმუშავებთ“... და უმაღლე აიღეს ხელი მუშაობაზე.

ეს იყო მათი პირველი გაფიცვა, არსებული უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, და აქვე ჩაეყარა საფუძველი გლეხების პირველს, თავისებურად ორგანიზებულ შეკავშირებას — აღამიანთა უფლებების მოპოებისათვის საბრძოლველად სწორად აღნიშნავს ანხ. მიხ. ბარამია როცა წერს: „1857 წ. აჯანყება უტუ მიქავას მეთაურობით ეს იყო სამეგრელოს მშრომელთა პირველი შეიარაღებული გაშოსვლა ბატონყმობის დასამხობად“<sup>2</sup>.

სახლთუხუცესმა ჩიქოვანმა პირველად ალლო ვერ აუღო ამ სრულიად უჩვეულო მოვლენას და ვერ შეათვალა, თუ რა დიდ ძალასა და სიძნელესთან ჰქონდა საქმე: მუქართა და საკუთარი ძალებით შეეცადა გლეხების დამორჩილებას. მღელვარების ჩაქრობას, მაგრამ ამაოდ. ერთბაშად წელში გამართული, ძალამოკრეფილი, მრავალრიცხოვანი მასა მისთვის დაუძლეველი შეიქნა. რაკი საუკუნოობით ნაგუბარს, მოზღვავებულ ბოლმას, ერთხელვე გზა გაეხსნა, მისი შეჩერება უკვე არავითარ ძალას არ შეეძლო... მოთმინებიდან გამოსულმა გლეხებმა სცემეს სასახლის მოხელეებს; სახლთუხუცესის ძმამ—ივანე ჩიქოვანმა ძლივს უშველა თავს გაქცევით.

სალხინოს ერთერთ მახლობელ მაღლობზე გაისმა საყვირის ხმა. ეს იყო „სხუნუს“ განაჩენით და განკარგულებით წარმოებული მოწოდება ყველა მშრომელთაძენი — აჯანყებისაკენ. მთელი სოფელი მყისვე ფეხზე დადგა; ზღვა ხალხისა სტიქიურად აბობოქრებულ ტალღებად დაიძრა მაღლობისაკენ. რამდენიმე ათასმა კაცმა სწრაფად მოიყარა თავი საყვირის ხმაზე. ხალხი წვიდა წაჩხურუს ეკლსიის გალავანში, გასტეხეს ეკლესია, გამოიტანეს ხატი, „ძლიერ ხატად“, ანუ „სასწაულთმოქმედ“ ხატად წოდებული და იქვე მტკიცე და გაუტეხელი ფიციით შეჭფიცეს ერთმანეთს ერთგულება, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაეცვათ თავიანთი

<sup>1</sup> იხ. კოლხიდელი—„უტუ მიქავა“ ზვ. 31.

<sup>2</sup> იხ. გაზ. „კომუნისტი“—1937 წ. № 134.



საერთო მიზნები, არ ელატნათ ერთმანეთისათვის, არ გაეცათ საიდუმლოებანი და არ დამორჩილებოდნენ ბატონებს. საერთო მეთაურად აირჩიეს უტუ, იგივე მართალია თოდუა, — მებატონის ყოფილი ქეშიკი. აღმართეს წითელი დროშა — „შილა“ და საყვირის განუწყვეტელი ცემით გაწიეს კიწიისაკენ<sup>1</sup>. გზადაგზა შემოიკრიბეს დანარჩენი გლეხები და ბოლოს დაბანაკდნენ კირილხინჯში — სალხინოსა და სოჟ. კიწიის საზღვარზე.

„აქ მოხდა, მხოლოდ მცირე მასშტაბით, — ამბობს ბორიზდინი ამ ამბების შესახებ, — იგივე შეთქმულება, როგორც იყო შვეიცარიაში, ტყით დაბურულ კანტონებში მე-15 საუკუნეში, ან შეთქმულება ვერსალისა 1789 წელს“ — ი... .

ეს აჯანყება სულ რამდენსამე დღეში მთელს სალიპარტიანოს მოედო<sup>2</sup>.

სახლთუხუცესი დაე. ჩიქოვანი მიხვდა, რომ უკვე უბრალო მოვლენასთან აღარ აქვს საქმე, სასწრაფოდ მიიჭრა გრიგოლ დადიანთან და სთხოვა შეიარაღებული ძალებით დახმარება აჯანყების ჩასაქრობად, მაგრამ აქაც იმედა არ გაუმართლდა.

ძნელი სათქმელია, გრიგოლმა აქ ეკატერინესადმი ლალატისა და აჯანყებულთათვის ხელის შეწყობის მიზნით შეაკავა თავი, თუ თვითონაც გრანობდა საკუთარ უძლურებას ამ გრანდიოზული მოპირდაპირე ძალის წინაშე და ეშინოდა, საქმის გამწვავებით უფრო არ დაეჩქარებინა აჯანყებულთა საბოლოო გაპარჯება. ჩვენ კი უფრო ეს უკანასკნელი უნდა ვიფიქროთ, რადგან თავად-აზნაურობის სისუსტე და მასთან შედარებით აჯანყებულ გლეხთა მასის ძლიერების დიდი უპირატესობა პირველ დღეებიდანვე აშკარა იყო ყველასათვის.

ასე იყო თუ ისე, ფაქტის გახლდათ, რომ გრიგოლმა იმავე ინსტრუქციის მომიზეზებით — „შეიარაღებული ძალებით სალხინოს საქმეებში დახმარება ინსტრუქციაში არ იწვერიაო“, — ჩიქოვანს დახმარებაზე უარი უთხრა.

„ეს ამბები ელვის სისწრაფით მოედო მთელს სამეგრელოსო — ამბობს ბორიზდინი — ყოველ მებატონის მამულში მაშინ იგივე ზდებოდა, რაც მთავრის მამულში. ყოველი მებატონე ცდილობდა

<sup>1</sup> კიწია — სოფელი გეგეჭკორის რაიონში.

<sup>2</sup> სალიპარტიანო შეიცავს მდ. ტეხურის ორსავე ნაპირზე მდებარე 16 სოფელს: ნობული, წაჩხურა, ვაზა, ლეცე, სალხინო, ქაცარი, ოქური, თამოკო, მაცაცინე, თარგამული, ნახურცილუუ, გურძემი, კიწია, დუშაყი, ტალერი, დღვანა და ყინოთა (იხ. კოლხიდელი „უტუ მიქავა“ გვ. 36).

ომისაგან მიყენებული ზარალ-დანაკლისების გლეხის ოფლით აღდგენა-ანაზღაურებას და გლეხებიც ყოველგან გრძნობდნენ და განიცდიდნენ ისეთსავე უსამართლობას, რომელსაც სალხინოს სასახლეში ჰქონდა აღგილი. აიტომაც გლეხები ყველგან ყურმახვილად გამოეხმაურნენ სალხინოში მომხდარ ამბებს, იქ დადებულ უიცს“ (78).

სალხინოში შეფიცული გლეხები ნაწილობრივ წავიდწამოვიდნენ, გაიფანტნენ თავიანთ სოფლებში, სამეგრელოს სხვადასხვა კუხხეში და ყველგან გაიტანეს აჯანყების იდეა. ეს ნი სალხინოს ამბების გამოცდილებიდან სამოქმედო რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ ადგილობრივ გლეხებს. გახშირდა აქა-იქ თავის მოყრა, კრებები; ამ კრებებზე სალხინოს მაგალითის მსგავსად ეკლესიებში, ხატის წინაშე შეჭფაცავდნენ ერთმანეთს ერთგულებას.

ამ დროს სალხინოს „სხუნუ“-ს ერთი წევრი, შუკოჩია კილასონია აჯანყებისათვის ნიადაგს ამზადებდა სამანიჩოში (ახლანდელი წალენჯიხის რაიონი) და ორგანიზაციულ სამოქმედო გეგმებს ამუშავებდა ცნობილ უტუ მიქავასთან ერთად.

„როდესაც გლეხებმა სალიპარტიანო ხელთ იგდეს, — ამბობს კოლხიდელი<sup>1</sup> — მაშინ უკვე მოწყობილი იყო ასაფეთქებელი ნიადაგი „სამანიჩოში“, არალეგალური ორგანიზაციის ერთერთი წევრის შუკოჩია კილასონიას მიერ, აქაურივე სოფ. ფუქის მცხოვრები მთელს ზემო სამეგრელოში — „ლაკადა“-ში, კარგად ცნობილი უტუ მიქავასთან ერთად. ხოლო როდესაც სალიპარტიანოელები, რიცხვით 4.000 კაცი, უტუ თოდუას მეთაურობით ხობის წყლის მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ და ესტუმრნენ წალენჯიხას, მთელი ლაკადის გლეხოზა, როგორც ერთი კაცი, დადგა ფეხზე, მტკიცედ შეჭფიცა სალიპარტიანოელებს და თავის საკუთარი დროშითა და საყვირით შეუერთდა მას.

ამ ზღვა ხალხის, ამ მრავალრიცხოვანი „ურდუმის“ საერთო უფროსად და ხელმძღვანელად — მთავარსარდლად ერთსულოვნად არჩეულ იქნა მჭედელი უტუ მიქავა, რომლის სახელი განზოგადოებული იყო მთელს ოდიშში, როგორც თავისი ხელობით, ისე თავისი შეურიგებელი საარაკო საქციელით თავად-აზნაურობასთან“. მოვიგონოთ უტუს დახასიათება ბოროზდინიდან:

„მან სულ მოკლე ხანში მოიპოვა უაღრესი ნდობა და უდიდესი პოპულარობა მთელი სამეგრელოს გლეხთა მასებში“.

<sup>1</sup> იხ. კოლხიდელი: „გლეხების აჯანყება სამეგრეო, 1857 წ.“ გვ. 37.

„უტუმ უმალ ფეხზე დააყენა მთელი გლეხობა მდინარე ხობის წყლიდან ინგურამდე, სალიპარტიანოელებთან შეერთებული წალენჯიხელებით დაბრუნდა უკან ხობისწყლით და ესტუმრა საიჩუოს (მდინარე ოჩხომურისა და ცივის შუა მდებარე სოფლები), მისთვის უკვე კარგად ნაცნობ მხარეს და ნოქალაქევით ბანდა — მარტვილის რაიონებს. ამ დროის განმავლობაში ფარული ორგანიზაციის ზემოქმედებით მომზადებულმა ბასა სხულუხიამ საქმე გაჩარხა საჭყონდილოში და როდესაც უტუ დაეუფლა ბანდა — მარტვილს, საჭილაო-სუჯუნის რაიონმა, კოჩა თოდუას მეჯაურობით, მოასწრო ბატონის უღლის გადაგდება მარტის თვეში“<sup>1</sup>.

ამრიგად გლეხთა აჯანყების გრიგალი გადადიოდა სოფლიდან სოფლად, ერთი კუთხიდან მეორეზე; მთელი აჯანყებული გლეხობა გაერთიანდა და „უტუს ჯარი“ გაიზარდა 10 — დან 12 ათას კაცამდე და მთელი სამეგრელო ცხენისწყლიდან ინგურამდე მოიცვა აჯანყების უღზობელმა ხანძარმა. ათასობით მეამბოხე, შეიარაღებული თოფებით, ხმლებით, შუბებით, წალღებით, ცულებით, კეტებით და ყველაფრით, ვისაც რითი შეეძლო და რისი საშუალებაც გააჩნდა, დადიოდა თავისი დროშებით და საყვირით სოფლიდან სოფლად, მებატონეთა კარიდად კარზე; გამოყავდათ მათი ოჯახებიდან ბიჭები და მოახლეები და ანთავისუფლებდნენ, დაბეჩავებულს და მშიშარა ყმებს ძალით ერეკებოდნენ მებატონეთა ოჯახებიდან. ურჩებს არც გლეხებსა და არც მებატონეებს არ ინდობდნენ, რისხვად ატყდებოდნენ თავზე, სასტიკად უსწორდებოდნენ, სცემდნენ, არბევდნენ, სწვავდნენ.

აჯანყებულებს ჰქონდათ საკუთარი, მათ მიერვე შეთხზული ლექსი, რომელსაც მხედრულ-მგზავრულ კილოზე ჰღეროდნენ:

ჩარი, ჩარი, ჩარირამა,  
ვორი ვოზოზოია...

აბა, აშო ჯიმაღეფი,  
ყახაყიში სქალეფი,  
თასი მამბუო გოჭყვადილი  
თავად - ჟინოსქუალეფი...

ჩარი, ჩარი, ჩარირამა,  
ვორი ვოზოზოია...

ჩქნი ზისხირს გაფაფუნა,  
მუჭოთი ძორს ყორანეფი,  
კისერიშე გეგნიპოთათ  
უნდებელიშ მოთალეფი...

ჩარი, ჩარი, ჩარირამა,  
ვორი ვოზოზოია...

ბეაიოღშე კოჩა რე დო  
ბეა დალ შე უტუ — მართალი;

<sup>1</sup> იხ. კოლხიდეფი, გვ. 37.

მითი ქაშუოლნანი  
ახავაი თიში ბრალი...

ჩარი, ჩარი, ჩარირამა,  
ვორი ვოხოხოია...

ჟინოსქუფეი კოფილი დო  
დ დიეფი რტინაფილი,  
არძო ხუნდის მიელ ნა  
შიშით გოჩიჩინაფილი...

ჩარი, ჩარი, ჩარირამა,  
ვორი ვოხოხოია...

დადიენს დადიანური,  
ჩიქვანენს ხაჯალური,  
ბედიენს მართახი დო  
კორძაიენს დიდ პალური...

ჩარი, ჩარი, ჩარირამა,  
ვორი ვოხოხოია...

აბა აშო ჯიმალეფი,  
ყახაყიში სქუალეფი,  
თასი მამბუო გოჰყვადილი  
თავად-ჟინოსქუალეფი...

„უტუს ჯარის შეიარაღებული მოგზაურობა — ამბობს კოლხი-  
დელი<sup>1</sup> — იყო წარმოებული ერთგვარი გეგმაგათვალისწინებული  
სახითა და თანქიმდეგობით.

— აი, თვით ის გეგმაც, რომელიც სავალდებულო ნორმად  
მიიჩნია უტუს:

ა) ყველა იმ გლეხებს, რომელნიც ეწინააღმდეგებოდნენ მათს  
განზრახვას და არ შეუერთდებოდნენ მათ, ფიცით, აპარტახებდნენ  
ქონებრივად და სჯიდნენ ფიზიკურად.

ბ) ათავისუფლებდნენ როგორც მოახლეებს, ისე ყოველგვარ  
მოსამსახურეებს, თავად-აზნაურებისა ოჯახებიდან და აქორწინებდ-  
ნენ მათ.

გ) იმ თავადებსა და აზნაურებს, რომელნიც გაუწევდნენ წი-  
ნააღმდეგობა-ურჩობას, ან და ცნობილნი იყვნენ წინედ თავიანთი  
სასტიკი მოპყრობით ყმებისადმი, ანადგურებდნენ უმთავრესად ქო-  
ნებრივად.

დ) ძალით შეიჭრებოდნენ ეკლესიებში და შტურაცხჰყოფდნენ  
აგრეთვე ყველა იმ მღვდლებს და საერთოდ საეკლესიო პირებს,  
რომელნიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ მათ და თავიანთი ქადა-  
გებით ცდილობდნენ მათი მოძრაობის უარყოფას“. ხალხში-კი  
ხელმძღვანელობდნენ შემდეგი პრინციპებით: „თავად-აზნაურთა  
წოდება არ უნდა არსებობდეს, რადგან ჩვენ ყველანი ძმები ვართ.  
ფუფუნება ცოდვაა და ამისათვის აკრძალულია ქარხნის მაუდისაგან,  
სირმით შემკულა ჩოხის ტარება. სავატრო მოგება უნდა იქნეს  
ზომიერი და ამისათვის წესდება ნიხრი არამც-თუ ყველა ბუნებრივ  
წარმოებზე, არამედ ყოველგვარ საქონელზე საერთოდ“<sup>2</sup>

<sup>1</sup> იხ. კოლხიდელი — „უტუს მიქავა“, გვ. 37.

<sup>2</sup> იხ. Акты Кавказ. арх. ком. т. XII, გვ. 254.



მეტად უტეხი და შეუპოვარი იყო უტუ თავის მოქმედებაში. დათმობა, უკან დახევა, გეგმების გადახვევა და ერთხელვე დასახული მიზნის შეკვეცა, ან გაყალბება მას არ სჩვეოდა. ამასთანავე იყო მამაცი, უშიშარი, გამბედავი ვაჟკაცი. აი, როგორ ახასიათებს მას ბოროზდინი: „ბატონებს სწრაფად და ენერგიულად უსწორდებოდა; ქორივით დააცხრებოდა თავზე, წაართმევდა, რასაც-კი მოახელებდა, ამას ურიგებდა გლეხებს და ზოგჯერ ბატონებს ტყვედ დაიჭერდა. განსაკუთრებით მასი რისხვა აღგებოდა თავადებსა და აზნაურებს, რომელიც სხვებზე მეტად იყვნენ ცნობილნი თავისი გულქვაობით. წერა-კითხვის მცოდნე იყო და ფნაწყლიანი ლაპარაკი იცოდა; იგი გული-გულში რომღღე იყო ბატონყმობისა და ყოვლის ღონისძიებით მის შურს იძიებდა თავისი ძმების საუკუნოვან შეწუხებისათვის“<sup>1</sup>.

ყველა ამ თვისებამ მოუხვეჭა უტუს სამეგრელოს გლეხთა ფართო მასებში გმირის სახელთან ერთად უსაზღვრო ნდობა, სიყვარული და პატივისცემა. იგი ვახდა ამ ხალხის იმედად და საყვარელ ჭირისუფლად, სამეგრელოს ახალ მმართველად. ხალხმა იგი განუსაზღვრელ უფლებებით აღჭურვა, მას ემორჩილებოდნენ როგორც მთელი აჯანყებული მასა, ისე ცალკეული ჯგუფების ხელმძღვანელად არჩეული პირები.

უტუს სიმტკიცის, შეუპოვრობისა და გაუტეხელობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სხვათა შორის ერთი შემთხვევა, რომელიც მოხდა აჯანყების ჩაქრობისა და გლეხთა დამშვიდების შემდეგ და რომელსაც მოგვიტხრობს ბოროზდინი<sup>2</sup>—წავუსწრებ აშბავს ცოტა წინ და მოვიყვან ამ ეპიზოდსაც:

„ერთხელ ზუგდიდის ოლქის უფროსმა, თავადმა რაფიელ ერისთავმა<sup>3</sup>, მარტვილის მონასტერში შემოიარა. მას თან ახლდა ცნობილი მეთაური აჯანყებისა უტუ მიქავა. იმ დროს, როცა ერისთავი არქიმანდრიტის სახლის აავანზე იჯდა მონასტერში, ნადედოფლარიც მოვიდა. ერისთავი შესაფერი პატივისცემით მიეგება. ეკატერინემ სთხოვა ერისთავს დამჯდარიყო და მასთან ლაპარაკი გააბა. მოართვეს ჩაი. ამ დროს ვილაცამ მისი ამალის კაცმა უჩურ-

<sup>1</sup> იხ. ბოროზდინი, „სამეგრელო“. გვ. 137.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 149.

<sup>3</sup> ცნობილი ქართველი პოეტი.

ჩუღა ნადედოფლარს, თ ერისთავს მონასტერში მიქავა ახლავ-  
სო. ამ ამბავმა ძალიან დააინტერესა ეკატერინე და ითხოვა წა-  
რედგინათ მისთვის ეს, — როგორც მან დაცინვითა სთქვა, — „სა-  
შეგრელოს რევოლუციის დანტონა“. ერისთავმა იხმო მიქავა, ისიც  
ამოვიდა აივანზე და მდაბალი სალამი ჰკადრა ნადედოფლარს. ამან  
უფრო ახლო მოიხმო და მეტად ალერსიანის კილოთი დაუწყო  
ლაპარაკი:

— შვილო, — უთხრა მან ალერსიანად მიქავას, — გლახებისა-  
გან აჩუღი მეთაური, რატომ პირდაპირ ჩემთან არ მოხვედი და  
არ მოიხსენე მათი გაჭირვება და უბედურება. მე ხომ არაფერი  
ვიცოდი შათის ამბისა, და ჩემთან მოსვლა კი ყველას შეგეძლოთ.  
შენ შეგეძლო, როცა გინდოდა, მაშინ მოსულიყავ ჩემთან და სი-  
მართლე გეთქვა. ეს რატომ მაშინ არა ჰქენი, როცა პეტერბურგი-  
დან დაებრუნდი?!

ამაზე მიქავამ არაფერი უპასუხა და დარცხვენილივით თაფჩაქინ-  
დრული იდგა და ხელში ქუდსა კმუჭნიდა. ამ სიჩუმეში რამდენსამე  
წუთმა გაიარა. — არ გინდა მიპასუხო ჩემს შეკითხვაზე განა? —  
დაიწყო ისევე ეკატერინემ, — მაშასადამე, აღიარებ, რომ ცუდი  
ჰქენი, რომ ჩემთან არ მოხვედი...

მიქავამ თავი აიღო და ძალიან ნელის ხმით დაიწყო ლაპარაკი:

— დედოფალო, მეშინიან, ვაი თუ გაშიწყრეთ და ამიტომ  
გახლავართ ჩუმიად.

— სთქვი, გეთაყვა, სთქვი — სწრაფად სიტყვა გააწყვეტინა  
ეკატერინემ, — სიმართლის თქმისათვის თავის დღეში არ გაგიწყრე-  
ბით.

მიქავამ ერისთავს შეხედა, თითქოს ლაპარაკის ნებასა სთხოვ-  
სო და, როცა ერისთავმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია,  
დაიწყო:

— მაპატიეთ, დედოფალო, რომ არ გეახელით... და არ გეა-  
ხელით იმიტომ, რომ თქვენ ვერას გვიშველით, ძალიანაც რომ  
გნებავდესთ...

მიქავა ერთხანს გაჩუმდა, თითქოს ვერა ბედავს მეტის თქმასო,  
შაგრამ ისევე ასწია თავს, თვალები როგორღაც განსაკუთრებულად  
გაუბრწყინდა და დაიწყო:

— აი აქ, ამ მთის ძირას (მარტვილის მონასტერი მაღალ მთაზე-  
დაა—ი. გ.) გლახი ცხოვრობს, თქვენი გლახი, იმ საცოდავს ამ ერთს  
სააჯს წინათ ჰყავდა ძროხა, ერთად-ერთი მარჩენალი მისი ოჯახის;  
იმ ძროხის რძით იზრდებოდნენ მისი პატარა ბავშვები და ახლა-კი  
ის ძროხა მას აღარა ჰყავს, იგი დაჰკლა თქვენმა ამაღამ, მონას-

ტერში რომ მოგყვით და ახლა მისი ხორციდან მწვადებსა სწვავენ. იმ უბედურს მის ძროხას არავინ და არაფრით უზღავს. თქვე, ეჭვიც კი არა გაქვთ, ისე საცა კი წაბრძანდებით, ყველგან უბედურება და ცრემლი მიგაქვთ. აბა რიდასთვის უნდა გხლებოდით და მომეხსენებინა თქვენთვის უბედურება იმნაირისავე გაჭირვებულის გლახებისა, როგორც ეს გლახია, თქვენ - ხომ იმათ ვერაფრით უშველდით...

მიქაეა გაჩუმდა და თავი ისევ ძირს დახარა. ეკატერინეს საზებე უსაზღვრო წყენა გამოეხატა და ახლა რომ უფლება ჰქონოდა, ამ წამსვე გააქრობდა, ვინც გაუბედა და პირში, ამდენი ხალხის თანდასწრებით, ასე აშკარად ამხილა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თავმდაბლად გაიღიმა და მიქაეას უთხრა:

— კარგი, შეილო, ღმერთმა მშვიდობით გამყოფოს — ხუმრობით დაიწყო ეკატერინემ, როცა მიქაეას „დანტონი“ უწოდა, მაგრამ, როცა მიქაეას პირიდან კვლავ გაიგონა იგივე ხმა უკიდურეს უბედურებამდე მიყვანილ ხალხისა, ის ხმა, რომელიც მან თავის დროზე, როცა ძალაუფლება მის ხელში იყო, ყურად არ იღო, მიხვდა, თუ რარიგ უადგილო იყო ეს ხუმრობა და ეს დაცინვა“...

დაუფრთხლდეთ ისევ აჯანყების ამბავს.

ადგილობრივი თავად-აზნაურობა და საერთოდ მებატონე — მმართველი კლასი სრულიად უძლური აღმოჩნდა ამ დიადი სოციალური მოვლენის წინაშე. შიშისაგან თავზარდაცემულმა იმისმა წარმომადგენლებმა მხოლოდ გაქცევით უშველეს თავს. ზოგი აფხაზეთსა და სვანეთში გაიხიზნა, ზოგმა კი ტყეს შეაფარა თავი.

თითო-ოროლა მებატონე თავად-აზნაურები, ზუგდიდში მყოფ მღვიანებზე ნიკო და დიანის მეთაურობით, აგრეთვე გრიგოლიც და ეპისკოპოსი ჭყონდიდელი თეოფანეც ბევრს ეცადნენ ამბოხების ჩაქრობას, მაგრამ ამაოდ, სრულიად ვერაფერს გახდნენ. როგორც ბოროზდინი ამბობს: „ვერავენ შესჯლო შეჩერებინა ასე უეცრად მოვლენილი მრისხანე სახე გლახთა აჯანყებისა“...<sup>1</sup>

როცა დაინახეს, რომ აჯანყებულთა წინააღმდეგ ძალით ვერას ვახდებოდნენ, გრიგოლმა და ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა თეოფანემ სცადეს მოსარიგებელი მოლაპარაკება და ეწვივნენ მემამოხეთა ჯარს, რომელიც ამ დროს ს. ოხხომურში იყო დაბანაკებული, მაგრამ უტუმ ისინი სრულებით არ მიიღო და შეუპოვრად განაგრ-

<sup>1</sup> იხ. ბოროზდინი, „სამეგრელო“, გვ. 73.



ძო თავისი გეგმების გატარება ბოლომდე, სანამ მთელი სამეგრელო კილითკიდემდე არ მოიარა თავისი „ურდუმით“. წეამბოხეთა ლაშქარმა სრულიად დაშალა და დაანგრია თავად-აზნაურთა ბუდეები. გამოაცალა მათ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ნიადაგი, წაართვა ძალა-უფლება და თვითონ აიღო ხელში ხელისუფლების როლი, და ქვეყნის გამგებლობა და უზენაესი მმართველის უფლებები მიანიჭა თავის სახელოვან გმირს უტუმიქავას.

მეტად საცოდავსა და სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა თავად-აზნაურობა. ისინი დამოუკიდებელ საქმიან ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებლნი, მუდამ და ყველაფერში გოეხების კმაყოფაზე ყოფნას და უშინაარსო, ფუქსავატობას ჩვეულნი, აბსოლუტურად მოკლებულნი აღმოჩნდნენ საკუთარი ძალით არსებობისათვის ბრძოლის უნარს. ეს მდგომარეობა მეტად მკაფიოდ, მახვილი ირონიით გამოხატა ხალხმა ერთ ლექსში<sup>1</sup>, რომელიც უკანასკნელ ხანებამდე იყო გავრცელებული:

უსამართობა აშინოძე ოდიშური ალაგეს,  
პატონობაქ გინილუნი, მუს თქუანა სამანჯელს?  
პატონფეი ნოჭკუმუე ხალხიში თია ჯამანგერს,  
ხალხიქ-თი გეციუ დო ქიმკოყუნა ლაკადენსი.

უსამართო პატონფეი შურო მუთას აბადენს,  
ხალხი დო მუში პატონფექ ნაფიჩხუს გაკანთხეს;  
პატონფექ ეცოდეს, ვარა დუც ქეგლუკვათანდეს,  
შიშიშ დურელი პატონფეი ეკი ქემიოყაყანდეს.

შქირენიში დურელფეს ყუდეშა სერშა ვამარჯეს,  
ყუდე მუჭო ქოძირესი გურქ ჭიჭე დემარგეს;  
ინფეიში მადლოსანფეი წვანერს გიოკაკანდეს.  
გური მეშირილი პატონფეი მინდორს ქემწოყირტანდეს.

მარია დო კესარიას სუმ დუდელი დუმუ ყოფუდეს,  
ოჩამურეშა მითულებუნა შქასერს ქეითიკვაკუდეს.  
ჩხვარუა ვანოქჩედესდო ართიანიშა ქოუტვეფუდეს,  
კაკუტი მეუტახდეს, ხეშე გეგწოლაფუდეს;

კაკუტეფიში ნოტხეფი კურჩის ქეგლანთხაფუდეს,  
ონჯლორეში გურიშენი კოჩი ვემკუნჭაფუდეს;  
მუჭო შხაფილი კერიცალო მუნფეი ქეითიჩქვაფუდეს,  
მუნფეიშ ქომოლ—პატონფეი ცხვეკის ქეიშატახნდეს;

ქორა ქალაღაფუნანი, ორტყაფუ ქომურტყაფუდეს,  
დუმუ ლიბუ ყოფუნანდო ნოყურს ქეიშაბაყნდეს;

<sup>1</sup> იხ. იოს. ყიფშიძე, „Грамматика Мингрельского (Иверского) языка“ 1914 г. გვ. 149.



თით ვაუცირუდეს, თეში ქენურღვაფუდეს;  
 ნვარჩინი ვაშიბუდესნი ხეთ გოუჭაბუდეს,  
 კირზა ვაშიბუდეს დო კიართ ქემშეცახუდეს;  
 ნვარჩინი ვაშიბუდესნი ბირცხათ ქოდუგაფუდეს.  
 ბირცხაშ დონაგეთი ღუმუს პატონეთი ვაურძღაფუდეს.  
 კით მეჭვილი პატონეთს რგილ წყარს გოთეჭაბუნდეს.  
 „ირო თაში იყინია“ ნგარა დოუჭყაფუდეს...

როგორც ვიცით, თვითონ დედოფალი ეკატერინე ამ დროს რუსეთში იყო და სამეგრელოს საქმეებს განაგებდნენ მისი დამხმარე საბჭოს წევრები — გრიგოლ დადიანი და ეპისკოპოსი თეოფანე ჭყონდიდელი. აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, დღემდე გაბატონებულ, მაგრამ ახლა უკვე აშკარა საფრთხის წინაშე დამდგარ თავად-ახნაურობის, მთავრისა და სასახლის ინტერესების ყველაზე ერთგულ დამცველად გამოვიდა ეკლესია და სამღვდელობა — ეპისკოპოს თეოფანე ჭყონდიდელის მეთაურობით. ამის დამადასტურებელი დოკუმენტატური მასალები ხელთ გვაქვს<sup>1</sup>, რომელნიც აშუქებენ, როგორც ზემოთმოხსენებულ აჯანყების ხასიათს, ისე მოპარდაპირე მხარეთა სულსკვეთებას. მოვიყვან ქვემოთ ამ წერილებსაც.

შეიტყობს თუ არა ეპისკოპოსი თეოფანე თავის საიდუმლო აგენტებიდან სალხინოში მომხდარს გლეხთა აჯანყების ამბავს, მაშინვე „ფრიად სასწრაფოდ და საიდუმლოდ“ აფრენს დალუქულ წერილს ბლალოჩინ მღვდელ ნიკოლოზ ბერიძესთან:

ს ა ი დ უ მ ლ

### ბლალოჩინს ბერიძეს!

მოაწია ჩემდამი ცნობამ, რომელ ვითომც ერთა მცხოვრებთა სალიპარტიოსათა ურთიერთ შორის მოეხდინოთ ფიცო, და იგინი ზოგადის მოაზრებით განდრეკილიყვნენ სამსახურთაგან და გარდასახადთა სამთავროისათა; თუმცა ესრეთისა განდრეკილებისათვის მათისა, ვის მიერცა ჯერ არს აუცილებლად იქნების საქმის გამოკვლევა; გარნა ჩემის მხრით სათანადო არს, რათა ვიცოდე, ვინ არის შორის მათსა თავი აღმძრელობისა, სად მოუხდენიათ მათ ისრეთი საზოგადო ფიცო; ეკლესიასა შინა, თუ გარეთ ეკლესიისა, და სახელდობრ რომელს ეკლესიაში, ანუ რომელს ადგილზედ ანუ ვის ოჯახში; რომელს ხატზედ დაუფიცნიათ, დასწრებით მღვდლები ვინმე; ანუ ხატი საიდან, როგორ და რომლის საშუალობით მოუპოვებიათ, რასა მოგიწერ ფრიად საჩქაროდ საიდუმ-

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუხ. არქივი № 13-ა, რიგი წერილებისა მოპოვებულია სოფ. გურძემში (გეგეჭკორის რაიონი) ამ თემის დამუშავებასთან დაკავშირებით.

ლოდ შეკრიბოთ ესრეთი ცნობანი და თვინიერ ყოვლისა დაყოვნებისა წარმო-  
მიდგინოთ.

ბენგრელიის ეპისკოპოსი ჭყონდიდელი თ ე ო ფ ა ნ ე

№ 748.

13 მარტს, 1857 წ.

მიიღო რა თავისი პარდაპირი უუროსისაგან ასეთი ფიცხელი  
განკარგულება, ბლალოჩინი ბერიძე ფიცხლადვე შეუდგა ბრძანების  
განუხრელად შესრულებას და შეუყვებო საპასუხო წერილით  
მოახსენა:

საიდუმლო და საჩქარო

**მისს ყ-დ უსამღუდლოესობას მენგრელიის ეპისკოპოსს  
ჭყონდიდელ თეოფანეს**

ბლალოჩინის ბერიძისაგან

**მ ო ხ ს მ ნ ე ბ ა**

პასუხად ცამეტის მარტიდგან თქუენი ყოვლად უსამღუდლოესობის  
ბრძანებისა პატივი მაქუს მოგახსენოთ, რომელ სალიპარტიანოსთა ერთბამ  
მცხოვრებთა ფიცის მოხთენისაჲვის საიდუმლოდ გამოკითხვითა ვერ მივიღე მე  
ცნობა თუ ვინ არის თავი კაცი თვინიერ, თითოეული სოფლად მიჩემებული  
გლეხი კაცებისა, მათ ჰყავთ თითო სოფლად ორორი კაცი ერთმრგვარენი და  
ხატი მოუპოვებიათ თავიანთ ეკლესიიდან. პირველად თამაკონის მაცხოვრის  
ხატი, მეორედ კიდევ თამაკონის მთავარანგელოზის ხატი და მესამედ წაჩხურუს  
მთავარანგელოზის ხატი და მათ-მათ სოფლად უბრალო ადგილად შეკრებულან  
და აღუსრულებიათ ფიცი თანაშემწეობითა ადგილობითის სტაროსტებთაგან  
და მე, ვითარცა შევხუდი ერთს შესაკრებელს ადგილზედ მოლაპარაკებაში, რო-  
მელნიმე მდაბალნი აზნაურნიცა თანა ეწევიან მათ ვითომც დიდი შეიწროებუ-  
ლი იყუნენ ისინი ჩამორთმევეითა ადგილმამულისა თუ მამაპაპეულის საკუთ-  
ნისა, რომელთა მოლაპარაკეს უკეთუ რაიმე შეგება არ მოგვეცა, ჩუენცა  
განვიწირავთ თავსო, რიმლისა ყოვლად უმორჩილესად პატივი მაქუს მოხსენებად.

ბლალოჩინი მღუდელი ნიკოლოზ ბერიძე

№ 129.

1857 წ. 27 მარტი

გურძემი

წერილიდან ცხადია, რომ ბერიძე ბევრს ეცადა და გაარკვია  
აჯანყების ადგილები: სალიპარტიანო—თამაკონი და წაჩ-  
ხურუს, რომ თითოეულ სოფელში აჯანყებულებს ჰყავთ, თითო  
მეთაურს გარდა, ორორი ერთმოგვარე კაცები, ხელმძღვანელად  
მიჩენილი. მაგრამ გლეხები ისე მტკიცედ ინახავდნენ საიდუმლოებას,

რომ მან ვერ გაარკვია, თუ ვინ იყო „თავი კაცა ამ ბუნტობისა და შეფიცებისა“, — მხოლოდ ერთი რამ გაუგებარია, რომ თითქოს ოგიერთი „მდაბალნი აზნაურნიცა თანა ეწევიან“, ე. ი. იღებენ მონაწილეობას ამ გლეხთა მოძრაობაში. აქ აშკარაა, ან ზოგიერთ აზნაურებს ვერ აქვს შეგნებული აჯანყების მიზანი და, თავიანთ უფალზე რითიმე უკმაყოფილონი, ისინი თანაუგრძნობენ აჯანყებას (თუმცა, როგორც შემდეგი დოკუმენტებიდან დავინახავთ, აჯანყებული გლეხები ახლოსაც არ იკარებდნენ აზნაურებს და საერთოდ უცხო ელემენტებს), ანდა დეკანოზ ბერიძეს ვერ გაუგია აზნაურთა უკმაყოფილების მიზეზი, და უფრო კი უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ყალბ ცნობას აწვდის ეპისკოპოსს აჯანყებაში აზნაურთა მონაწილეობის შესახებ...

ზიილო თუ-არა ეს პასუხი ჭყონდიდელმა, იგი ფიცხლად, იმავე წერილის მეორე ნახევარზე აძლევს ბლალოჩინ ბერიძეს ახალი ბრძანებით ახალ დავალებებს:

### ბლალოჩინ მღვდელს ნიკოლოზ ბერიძეს

საიდუმლოსა მინდობილებასა ამასა ზედა აწ განცხადებულად მოგანდობთ, წარმოგიწერთ შეხვიდეთ გამოკვლევასა შინა ამა საგნისასა ესრედ: უკეთუ შესაძლო იქმნეს იმეცადინეთ შეტყობა უთუოდ ნამდვილად თავთავის კაცებისა, ვგრეთვე სახელდობრ შეიტყოთ უკეთუ ვინმე ურევია სამღვდლო პირები ამას შინა. საიდგან მოიპოვეს მათ ხატები იგი და ვითარ მღვდელთა მისცეს, ანუ სტაროსტებთა, და სტაროსტებთა რა ჯფლებით უპყრიათ კლიტენი ეკლესიისანი რომ თავისუფლად გამოქონან ხატნი ეკლესიისანი, სახელდობრ აღსწეროთ მღვდელნი შეხებულნი ამას შინა უკეთუ ვინმე წარმოსჩნდეს და ვგრეთივე სტაროსტებნი. — ჩამოართოთ კლიტე სტაროსტებთა სადაც ჰქონდესთ ისრეთი, და შთაბაროთ მღვდელთა, და ესრეთი დაწვრილებითი ცნობა მე წარმომიდგინოთ. — ხოლო მღვდელი განაკრძალნი ესრეთ რომელ ვინც ამა ვითარს ბუნტში წარმოსჩნდება შეხებულად განიკუფცებიან მღვდლობისაგან. — რომელს ეკლესიიდგანაც ხატები გაუსვენებიათ, ამა ეკლესიის მღვდელთა ჩვენება ჩამოართვით და წარმომიდგინეთ ამავე ქალაღლითა: —

მენგრელიის ეპისკოპოსი ჭყონდიდელი თ ე ო ფ ა ნ ე.

№ 1006.

6-ს აპრილის, 1857 წელსა.

როგორც ხედავთ, მეტად უცნაური და გულუბრყვილო აზრი მოსვლია ეპისკოპოსს, რომ „შეიძლება მღვდლებიც გამხდარიყვნენ აჯანყების აქტიური მონაწილენი“, ეკლესია და სამღვდლოება ყოველთვის ერთგული დარაჯი იყო ექსპლოატატორთა კლასისა. ეკლესიის მსახურნი არც ამ შემთხვევაში შეიძლებოდა გამხდარიყვნენ

მებატონეთა წინააღმდეგ აჯანყებულ გლეხთა თანამოაზრეებად. ეს კარგად იცის ჭყონდიდელმაც, მაგრამ მაინც ვითომ წინდახედულობას იჩენს და როგორც თვითონვე წინა წერილში ამბობს: „მისი მხრით სათანადო არს, რათა იცოდეს, ვინ არის შორის მათსა თავი აღმძრელობისა“ და „აგრეთვე შეიტყოთ უკეთეს ვინმე ურევია სამღვდელო პირები ამას შინა“... რათა ამაზე თავის დროზე მოახსენოს ბატონს, რომ ამ ერთგულებით მისი გული მოიგოს და ყურადღება დაიმსახუროს თავისი ჭყავის გადასარჩენად და კარიერის უზრუნველსაყოფად. ბლალოჩინი მღვდელი ნიკოლოზ ბერიძეც თავის მხრივ, სწორედ ამავე ზრახვებითა და მიზნებით აღტყინებული, ფიცხლავ და განუხრელად ასრულებს ეპისკოპოსის ახალ დავალებას; მისი ბრძანების თანახმად აწარმოებს იურიდიულ-ადმინისტრაციულ კვლევა-ძიებას ამ ისტორიული ამბების გარშემო, რამდენიმე გლეხისა (უთუოდ ეკლესიის „სტაროსტების“) და თავის ხელქვეითი მღვდლების დაკითხვით.

ხელთა გვაქვს ამ დაკითხვის ჩანაწერის ორი ნიმუში:

I. 1857 წელსა 11 აპრილს.

ჩვენება ჩამოერთვა ამავე წაჩხურუს ეკლესიის ყმას ნიტუელა ბერიშვილისაგან.

წაჩხურუს მთავარანგელოზის მრევლთა აბუნტებისათვის, მე ასრე ვიცი, რომ პირველ ეკლესიიდან გამოასვენა ხატი, სახოგადოს. შესაფიცებლად, სტაროსტამ იმავე ეკლესიისამან შოშიკელა და ბასილა თოდუებმან და შეფიცეს ურთიერთს ორულუს ეწერხედ და ისევ მოასვენეს ხატი ეკლესიაშიდ, გარნაკლიტე-გასაღები, თუ საიდან იშოვეს არ ვიცი და კიდევ მეორედ გაასვენა თვით ბუნტოვშიკმან უტუია თოდუამ იმავე ადგილხედ, სადაც პირველ აღასრულეს ფიცი; ამათ თავაკად დანიშნული არის უტუია, მახუია, შოშიკელა და ბასილა თოდუები. უშორეს ამისა სხვა არ ვიცი რაიცა ვაჩვენე არის სიმაართლე და მას შინა ჯვარის სახედ ხელი მოუსვი +.

II. ჩვენება იესე მღვდლის თოდუასაგან.

მე რომ მკითხავთ ვითომც ბუნტის შესაფიცებლად ჩემის ცოდნით, ანუ კლიტის ნათხოვრობით ანუ შემწეობით გამოესვენებინონ ხატი მე ამახედ სრულიად უცნობელი ვარ ამით, რომ მე დიდის საჭიროების გამო წავედი შორს სამრევლოშიდ და კლიტე დაგუტოვე ეკლესიაზედ მდგომარეს მწირს ბერს იმ განზრახვით, რომ რადგან მრავალნი სამღვდელონი პირნი იმ ეკლესიაზედ იქნება რომელიმე საჭიროება შეხდომოდათ და ეკლესია არ ყოფილიყო დაშული, და რომლისამე ცფიერის ჩვენებით გამოეტყუებიათ ხატი მწირის ბერისათვის ესრედ რომელ, უნდა დაეფიცათ მხოლოდ ეს, რომ ბეჟან დგებუაძეს განვამართლებთო, რომ ამაზიდ უბრალოდ არვინ დანიშნოსო. ამგვარის მიზნით გამოუტყუებიათ ხატი, თორემ ჩემის ცნობით მე ამახედ სრულიად უცნობელი



ჟარ რაიცა ვაზენე არის სიმართლე და ხელი მოვაწერე მე ესე მღვდელმა თოდუამ.

პირველ ჩვენებიდან ვხედავთ, რომ ეკლესიის მცველთა და მსახურთ არ იციან, თუ საიდან მოიტანეს ეკლესიის გასაღები „ბუნტოვნიკებმა“, ან როგორ და რითი მოახერხეს ეკლესიის გაღება.

არც ის არის სინამდვილესთან ახლოს, რომ ვითოვ გლეხებს გამოეტყუებით გასაღები მწირი ბერისათვის, ვინაიდან შეუძლებელია ბერს არ სცოდნოდა გლეხთა აჯანყებისა და შეფიცვის ამბები. არც ისეთი გულუბრყვილო საბუჯით, როგორც არის ვილაც დგებუაძის გამართლება, ბერი არ მოტყუვდებოდა, და ბოლოს, არც აჯანყებულები გაუწევდნენ იმდენ ანგარიშს ბერს, რომ აჯანყების დროს ასეთ უბრალო საქმეზე ცბიერობისთვის მიემართნათ. აქედან უდაოა ერთი, რომ აჯანყებულმა გლეხებმა გასტეხეს ეკლესიები და ძალით გაიტანეს ხატები, მეორეც ისა, რომ პირველი ინიციატორი ამ ეკლესიებიდან ხატების „გამოსვენების“, მათზე ხალხის დაფიცების და მთელი აჯანყების დამწყები და მისი პირველი ხელმძღვანელი — მეთაური ყოფილა უტუია თოდუა. ეს ფაქტი დასტურდება შემდეგ სხვა დოკუმენტებიდანაც.

როგორც მეორე დოკუმენტიდან სჩანს და საფიქრალიც იყო, თვითონ მღვდელი თოდუაც ფიც-სალავათს ამბობს, რომ ამ გაფიცვისა მან არა იცის რა. და ასეთი უმართებულო ცილისწამების გამო შიშით დამფრთხალი მღვდელი, ბრალდებას რომ თავი დააღწიოს, სწორედ იმხანად შორ გზასაც კი იჩენს სამრევლოში — „დიდის საჭიროებისა გამო“; ცხადია, მიცვალებულის წესის აგებას მოიმიზეზებს, ან ნათლობას, ან ზიარებას, მღვდლებს ხომ სოფლებში სახეტიალო სამიზეზო არ გამოეღეოდათ, ერთი კი უდაოა, რომ „გლეხთა აჯანყების საქმეში იგი მონაწილე არ არის“.

მიუხედავად ეპისკოპოსის „უებარი“ დიპლომატიური სიფხიზლისა და მისთა ხელქვეით ბლალოჩინ „მღუდელთა“ მიერ მიღებული „ენერგიული ზომებისა“, აჯანყებული გლეხობა თავისას განაგრძობდა, არ ცხრებოდა, არ იშლიდა „ბუნტს“, და აჯანყების გრივალი დღითიდღე ძლიერდებოდა.

მეორე მხრით, ეპისკოპოსიც არ იშლიდა აჯანყებულთა წინააღმდეგ გალაშქრებას, მარტვილის მონასტრის ბნელ საკანში კარჩაკეტილი, ის ხან მუქარისა და ხან მუდარის წერილებით და გულუბრყვილო მოწოდებებით კვლავ მისწერს სასულიერო „მო-

ნარქი“ ჰყონდიდელი თავის სასულიერო „გენერალს“ ბერიძეს ახალ დავალებებს, ახალი „სამოქმედო გეგმებით“, აჯანყებულ გლეხებისათვის მიზნის მისაღწევად „უებარი“ საშუალების მიწოდებით, რომ გლეხებმა „ბუნტისა“ და ძალადობის ნაცვლად თხოვნით მიმართონ ბატონებს:

### გლალოჩინს ბერიძეს

მოაწია ჩემდამი ცნობამან, რომელ, რომელნიმე მდაბალნი ხალხნი აბუნტებულან და აქუთ ზორბა ბუკის ცემითა და შეფიცებითა ურთიერთისადმი. — რა მიზეზია ესე ვითარი შეკრება და ბუნტობა მათი. თუ რამ გულმტკივნეულობა არის მათ შორის ვისმეხედ და სჭირსთ რაიმე იძულება, ესე თხოვნით უნდა, და არა ბუნტობით. — მე ვითარცა მწყემსთ-მთავარი და მზრუნველი მათი ვსწუხვარ მათთვის ესრეთის მათის შეცთომილებისათვის, — და მამობრივის დარიგებითა ურჩევ მათ რათა დასცხრენ იგინი ესრეთის ბუნტისაგან, ბუნტი და ამგვარი ბუკის დაკვრით შეკრება მათთვის არა თუ არის კარგი რაიმე, არამედ ფრიად მავნებელ, — რასა ზედა წარმოგიწერთ რა დაუმტკიცოთ უფლებასა ქვეშე თქვენთა მყოფთა მღვდლებთა, რათა მათ იმეცადინონ სულიერის სიმშვიდის ქადაგებითა და შეგონებითა ისრეთთა ხალხთადმი, რომელ იგინი დაწყნარდნენ ისრეთისა ბუნტისაგან და მიიქცნენ თავიანთ სახლებში სამუშევრად წლიურისა მათისა საზრდოსა.

მთავარი ჩვენი, და მთავრინა მობრძანდებიან 20 ამა თვისას და მობრძანებამდენ მათსა უთუოდ ყველანი იგინი მიიქცნენ მათ-მათს სახლებში — და უკეთუ რამე უსამართლობა და იძულება მიაყენა ვინმემ, ბატონისაგან ითხოვონ ესრეთი და უთუოდ უსამართლობას არავის გააბედვინებს მათ ზედა. — მე იმედომაქუს, რომ ჩემს მწყემსთმთავარულს შეგონებას და რჩევას დაადგებიან იგინი, რომელიც იქმნების მათთვის ფრიად სასარგებლო.

მენგრელიის ეპისკოპოსი ჰყონდიდელი თ ე ო ფ ა ნ ე.

№ 1080.

9-ს აპრილს, 1857 წ.

როგორც ვხედავთ, აქ ეპისკოპოსი მოწინააღმდეგეთათვის ხელსაყრელ საშუალებაზე უთითებს აჯანყებულ გლეხობას: „არა ბუნტობით“, არამედ მოწყალეების თხოვნით მიმართონ ბატონს. მას ვითომ „მწყემსთმთავარული“ მზრუნველობით დიდად შესტკივა გული გლეხთათვის და საჭიროდ მიაჩნია „მამობრივის“ დარიგებით ურჩიოს მათ ბრძოლის მეთოდის ასე შეცვლა. მღვდლებს კი ავალებს „სულიერი სიმშვიდის ქადაგებით“ შთააგონონ აბუნტებულ ხალხს დაწყნარება, თანაც აიხედებს — „20 აპრილისთვის მთავარი მობრძანდება და ის დაგიფარავთ ყოველ უსამართლობიდანო“.

ამ თავისი „უებარი“ დიპლომატიური რეცეპტით თვითონვე დაინელებული, ეპისკოპოსი თვითკმაყოფილებით აცხადებს: „მე

იმედი მაქვს, რომ ჩემს მწყემსთ-მთავრულს შეგონებას და რჩევას დაადგებიან იგინი, რომელიც იქმნების მათთვის ფრიად სასარგებლო“...

მაგრამ... მისდა სამწუხაროდ, მას იმედები არ გაუმართლდა და გლებობამ არამც თუ „ბუნტი“ არ დაიშალა, პირიქით, შეატყობა, რომ ეპისკოპოსი და სამღვდელოება მის წინააღმდეგ მოქმედებენ და ხელს უშლიან ბრძოლის საქმეში, თვით ეკლესიასა და სამღვდელოებაზეც მიიტანა იერიში. და, აი, ამ იერიშის შედეგია მღვდელ ფარცვანიას განცხადება, რომელშიც იგი მფარველობას და აჯანყებულთა იერიშებიდან დაცვას სთხოვს ეპისკოპოსს:

მისს ყოვლად უსამღვდელოესობას მენგრელიის  
ეპისკოპოსს თ ე ო ფ ა ნ ე ს და კავალერს

თამაჯონის სოფლის წმინდის გიორგის ეკლესიის მღვდლის  
ოქროპირ ფარცვანიასაგან ყოვლად უმორჩილესი

### თ ხ ო ვ ნ ა

სრულის გარემოებით უწყებული ბრძანდება თქვენი მჭუფება, რომელ სალიპარტიანოს მცხოვრებნი ხალხნი აღძრულნი არიან მათის უფლებით ბუნტად, გასრულის წლის დეკემბრის თვიდან და მუნიდან დამოკიდებული ითხოვდნენ იგინი ჩემის ეკლესიის შემავალთა მრევლთა სამთავრო და საბატონოთა გლეხებთა, რომელ მათთან გარეოდენ მათ მიერი უჯვრო განზრახულებაშიდ, გარნა მეცადინეობითა ჩემითა შემოვიკავე მე ჩემდამი რწმუნებული მრევლნი, ვითარცა მეგვარე ჩემი სამთაურო, ეგრეთუე საბატონონი გლენნი ვიდრე დღევანდელს რიცხვადმდენ და დღეს განმყოფნამ გარეშე მცხოვრებთა ბუნტად აღძრულთა ტეზურის გამოღმით ერთბამ და რომელიმე ნამიკოლოუს მცხოვრებთა საკმაო ჯარებთა ორის საყვირის ცემით მომიხტენ მე თჯახშიდ, მოინდომეს პირველად აოხრება ჩემი და შემდგომ მრევლისა, გარნა კვლავ მიხედეს ძმებთა მეგვარეთა ჩემთა, თუ მრევლ<sup>1</sup>.. [ოთ და აოხრებისა წილ თითო კაცი გამოიყვანეს შეს-  
[აფიცა]-ვად მათდა მომთხოვეს მე ეკლესიის კლიტე და საყვირი... რომლამე საშუალ კაცისათა აღარ მიმინებებია საყ-  
[ვირი]... ეკლესიის კლიტე და წაიყვანეს არა მსურუელნი კაცები... მაცხოვრის ეკლესიაზედ შესაფიცავად მათდა, მათის საქმე [ში]..შესაერთებლად, და რომელიც პირი თჯახიდან აკლიან აწუნდა ...ონ ესრეთის გარდამეტებულის ძალადობითა რახედაც აწ მო... მე და ეგრეთუე მრევლნი ჩემის ეკლესიისა — ამა საქმეშიდ... მთავრობისაგან რისხვისა და ხალხისაგანაც... რწმუნებულის ჩემდამო მრევლთაგანის გარდაცვალებულის ყმის ცირუ ბარამიას ქალი ქვრივი უჩაია სართანიასი იყო რა მარჩიელი, რომელზედ სოფლის ჩივილისა გამო არა მცირედი მიწერ-მოწერა ქმნილა განტევეებისათვის გასულს წლებში და ადგილობრივმან ბლალოჩინმა ანჯაფარიძემ

<sup>1</sup> აქ ფურცელი ჩამოხეულია და 12 სტრიქონს ერთ გვერდზე, 5 სტრ. მეორეზე, და 2 სტრიქონს მესამე გვერდზე აკლია ნახევარი, თითო, ან ორორი სიტყვა, რომელთაც აღვნიშნავთ მრავალ-წერტილით.



შეკრა იგი ხელის წერილითა და თვით შვილების—მარჩიელის ხატის დაფიცებით, რომ შემდგომ აღარ გაეზედა ისეთი მცრუ წინასწარმეტყველება და კიდევაც მუნიდან დამოკიდებული ესე ორი წელი გავიდა აღარ შესრულა ქვრივი იგი ისრეთს საქმეში და დღევანდელს რიცხვსა შინა მოხთომა ბუნტებათ ხალხისაგან ამა ჩემს თხოვნაში იხილება და რა რომ მიქცეულან ეკლესიაზედ დასაფიცავად, მაშინ განუკარგულებიან დღევანდელსა რიცხვსა შინა იმა მარჩიელისა საქმე ასრე, რომელ, რომელმანც სამღუდელომ გინა საერომ, დიდმან, ანუ მცირემ უარყოს რჩევისა მისთვის, ესე გარდაუტევიან უსაშინელესისა წყევლით და აუშვეს მარჩიელად, ხოლო განზრახულნი არიან კლიტე ჩემის ეკლესიისა და საყვირი გამომართვან შესაძენელად მათდა აღძრულს საქმეში შეკრებილების დროთათვის, ვითა მრევლნი ჩემნი მიიზიდეს ძალადობით, ისრე და უკეთუ უვარცყავი მე, მაშინ უეჭველი მოხსენება არის ყოვლითურთ აიძულებენ ჩემს მდგომარეობას და ეგრეთვე მცხოვრებთა მრევლთა ჩემთა, ამისთვის ვალად მაძს ყოვლად უქვეშევრდომილესად ვევედრო თქვენს მეუფებას და მოვილტვი საფარველსა ქვეშე თქვენიისა, ინებოთ განკარგულება, სადაცა ჯერ არს წარდგენილთა ამა საქმისათა, რომელ დაგვიფართონ უბრალოთ... ამოხრებელის ხალხისაგან და ინებოს მთაურობამ გინადგან წინააღმდეგი არა ვართ და ძალად ზემორე მოხსენებულისამებრ მიიხდულ არიან ყველა დაიდვას ხსოვნაში აწმყოს დროისათვის განკარგულების მოხთენისასა.

მღვდელი ოქროპირ ფარცვანი ა.

ჩუნხ-სა წელსა  
აპრილის კვ-სა

მიიღებს-რა ამ განცხადებას აჯანყებულების მიერ აკლებულისა და უზომო „შიშსა შინა მყოფის“ მღვდლისას, ეპისკოპოსი ქყონდიდელი თეოფანე იმავე წერილის (განცხადების) მეორე ნახევარზე შენიშვნას აქლევს ბლალოჩინ ბერიძეს დაუდევრობისათვის და ავალცხადებს დაუყოვნებლივ მოახსენოს მას ამ საქმის ვითარება:

### ბლალოჩინს მღვდელს ბერიძეს

როგორც ამა არძისაგან გარემოება სჩანს, თქუენ თანამდებ იყავით წინასწარვე მოგეხსენებით ჩემთვის მათმიერი განზრახულება, რომლისა გამო საჭირო არს შეგინიშნოთ დაუდევნელობა, წარმოგიწეროთ დაუყოვნებლად მომახსენო მე სინამდვილეში არსაა თხოვნა ესე თანა წარმოდგენითა ამ არძისათა.

მენგრელიის ეპისკოპოსი ქყონდიდელი თეოფანე.

№ 1101.

24 აპრილს, 1857.

ხალხზე ვერ იმოქმედა მღვდელ-ეპისკოპოსთა „კეთილშეგონებაში“ და აჯანყებულებმა მაინც „აღასრულეს თვისი ბოროტ განზრახული აზრი ზოგადისა ფიციით მოხდენისა და როგორც დღეს თავყრილთა ხალხთა საქმიდან ცხადად სჩანს, ყოველგვარი მეცა-



დინეობა სამღვდელო დასთა, ხალხის წინამყდროებისათვის, უშედეგოთ დარჩა“<sup>1</sup>. უკანასკნელად უტუხ ჯარი, ეს 10—12 ათასიანი ურდუში 1857 წლის აპრილში დაბარგდა ბანაკად მდინარე ხობის წყლის ნაპირებზე. აჯანყებულები აქედან განაგრძობდნენ გარშემო მდებარე სოფლებზე ზემოქმედებას და მიიწოდნენ ზუგდიდისაკენ. აჯანყების მთელი მიმდინარეობა და უკვე მიღებული შედეგები გლახობას უღაო გამარჯვებას უქადდა, რომ გარეშე ძალა—რუსეთის მეფის მთავრობა—თავისი რეგულარული ჯარებით არ ჩარეულიყო საქმეში.

\* \* \*

იმ დროს, როდესაც აჯანყების ქარცეცხლში გახტეული სამეგრელოს მშრომელი მოსახლეობა დასრულებულ ფორიაქსა და ირომტრიალს განიცდიდა, „მათი უბრწყინვალესობა მთავრინა და კავალერა“<sup>2</sup> ეკატერინე ნოსკოვსა და პეტერბურგში, მეფის სასახლეში, თავის რჩეულ ამალა-შინაყმებთან ერთად, არაჩვეულებრივს განცხრომასა და ნეტარებაში ეტარებდა დროს.

„პეტერბურგსა და ნოსკოვში — ამბობს ბოროზდინი<sup>2</sup>, სადაც ეკატერინეს ნამდვილი აპოთეოზი მოელოდა, იმპერატორმა და იმპერატრიცამ ეკატერინე და მისი შვილები ალერსითა და მოწყალებით აავსეს. საუცხოვო და თავისებური ტანისამოსი, კალმით დახატული სილამაზის ვაჟები და ქალები, გარშემოხვეული საპატიო და მეტად ლამაზის სახის მეგრულ თავადებით, დედოფალი მეტად კარგი საყურებელი იყო“...

„და იმ დროს, როცა ეკატერინეს პეტერბურგში ყველაფერი ასე უღიმოდა, თვით სამეგრელოში დაიწყო მეტად არასასიკეთო საქმე“...

ამავე წლის აპრილში ეკატერინემ დასტოვა რუსეთი და იმავე თვის ბოლოს თბილისში გამოვლით უკვე სამეგრელოს საზღვარს მოადგა.

სოფ. კულაში დაუხვდა მას თავად-აზნაურთა მცირე ჯგუფი გრიგოლისა და ეპისკოპოს თოფანეს მეთაურობით.

აქ ამათგან ყველაფერი დაწვრილებით გაიგო ეკატერინემ, თურა ხდებოდა მის სამთავროში. ცხადია, შეწუხდა ძლიერ. ყველაზე მეტად გრიგოლზე დარჩა უკმაყოფილო. აქედან, თავადების მთე-

<sup>1</sup> იხ. თეოფანე ჭყონდიდელისა წერილი ბლად. ბერიძის მიმართ № 1204 23 მაისი, 1857 წ.

<sup>2</sup> იხ. ბოროზდინი — „სამეგრელო“, გვ. 70.

ლი გუნდის თანხლებით, ეკატერინე შვილებიანად გაემგზავრა გორდში, სადაც ჩავიდა 28 აპრილს. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის თადარიგს და მიიღო, რაც შეეძლო, სასწრაფო ზომები. თავდაპირველად მან მიაფლინა სამეგრელოს დროებითი საბჭოს წევრები — გრ. დადიანი და ეპისკოპოსი ჭყონდიდელი თეოფანე აჯანყების ადგილებზე, აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად და მათ დასამშვიდებლად.

№ 2990.  
8 მაისს 1857 წ.  
გორდი.

წევრთა დროებითისა რჩევისათა, დადგინებულისა  
სამენგრელოს სამთავროსა შინა,  
უმყოფელობისა გამო ჩემისა.

ჩემდამო მოქცეულისა აწ სამენგრელოდ მოგზაურობისა-  
გან რუსეთით ზოაწია ცნობა, რომელ მცხოვრებნი, რომელ-  
თაჲე მთის მხრთ სოფლებთან არიან აღძრულნი თვით უწყე-  
სობადმდე და თავყრილობით გარდადიან სოფლითი-სოფლად,  
არა მსვენელნი ადგილობრთა მათთა განმგეთანი.

საჭიროდ ვპოვებ დავსდვა პირის პირს მოვალეობასა ზედა  
თქვენსა, დაუყოვნებლივ განმგზავრება და მისვლა თქვენი მუნ,  
სადაცა არსო ესე ვითარი უესობა, რათამც შემცდარნი  
ხალხნი მიაქციოთ მოვალეობასადმი თვისისა, სცნოთ და მო-  
მახსენოთ მე მიზეზი ამა აღძრულებისა და დაამშვიდოთ იგი  
საშვალობითა კეთილგონიერებითა. და მასთანავე შეაგონოთ  
მათ, რომელ ზეცა მოკლეს დროში ვიმგზავრებ გორდით ყო-  
ველთა სოფლებთა შინა და მათსაც სოფლებთა და მაშინ, ნე-  
ბას ვაძლევ გამომიცხადონ მე მიზეზნი მაიძულებელნი მათნი  
ამა თავყრილობისადმი და მოელოდნენ ჩემგან ჯეროვანსა  
განხილვასა და კმაყოფილებასა; ხოლო ვითარსცა მდგომარეო-  
ბასა შინა პოვებთ აწ ამა ხალხთ, ანუ თუ დაინახავთ თქვენ  
დაყუდებისათვის მათისა საჭიროდ, რომელთამე ზომათა, მა-  
შინ თქვენ თანამდებ ხართ მომახსენოთ დაწვრლებით თან  
დაძენითა თქვენისა აზრისათა და მოელოდეთ ჩემსა განკარ-  
გულებასა. — ნამდვილსა ზედა ხელს აწერს მართლა მთავრინა  
ეკატერინა დადიანისა <sup>1</sup>.

ამ დროს, აჯანყებულები უკვე ზუგდიდს ემუქრებოდნენ და  
მათი მოსალოდნელი იერიშით შეშინებული ეპისკოპოსი და გრ. და-  
დიანი, ზუგდიდიდან გაქცეულნი უკვე ხობის წყლის პირას იმყოფ-  
ებოდნენ და ამ დავალების შესასრულებლად მიღებული ზომების

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუხეუზის არქივი, № 13, გვ. 1.

შედევებს აცნობებდნენ ეკატერინეს შემდეგი ფრიად არასანუგეშო მოხსენებით:

მისს უგანათლებულესობას მართებელს მენგრელიისას მთავრინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულს და კავალერას წევრთა მიერ საგანმზრახობისათა

### მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

მოწერილობითა თქუენითა შესაგონებლად მშვიდობისა რდაბიოთა შორის ხალხთა აღძრულთა და მიმომსვლელთა სოფლითი სოფლად და მომხთენთა შეფიცულებისა, მოუდინ სოფელს ლესიჭინეს, მათ ვითარმე მოუშორებიათ ლახორა იგი, და ვითარცა განაცხადებენ არ შეუფიცავსთ, გარნა ლაკადისა ზემო სამეგრელოსა გლახთა ყოველთა ჰქონიათ, ვითარცა ვსცანიოთ, თანხმობა, და სადაცა შევლენ ლახორა შემოეგებებიან და მათთან შეერთებულნი მიმოვლენ დასაფიცავად სოფლებთა სხვათა და სხვათა ჭაქვინჯი, კირცხი სამთავრონი სოფლები შეუფიცავან და აწ არიან ხიბულას, და მუნიდგან აპირებენ შესვლას ზუგდიდს. ჩუენ ყოველს ღონეს ვხმარულობთ შესაძლებელს მშვიდობისა და დამყუდროებისასა. — გარნა განძვინებულ არიან, ესრეთ რომელ საეჭვო არს მიიღონ მათ ღმობიერი შეგონება და დარიგება, რომლისათვის ფრიად საჭირო არს ამას ზედა სჯა, ნება და მნებელობა თქვენნი.

ღენერალ მაიორი გრიგოლ დადიანი  
მენგრელიის ეპისკოპოსი თეოფანე

№ 1

11-ს მაისს 1857 წ.

ხობის წყლის პირი<sup>1</sup>.

გლახთა ამ მოძრაობით ისეც საკმაოდ შეფიქრებულსა და, შეშინებულ ეკატერინეს ეს მოხსენება კიდევ უფრო მეტ საგონებელში აგდებს; დედოფალი უკვე ველარ ეყრდნობა მარტოოდენ თავისთავს და ავალებს გრიგოლსა და ჭყონდიდელს, როგორც ამ ამბებთან უფრო ახლო მდგომთა და უფრო გაცნობილთ, წარმოუდგინონ მას თავიანთი მოსაზრება და რჩევა, თუ რა ზომები და საშუალებანი მიაჩნიათ მათ საჭიროდ ამ ამბების ლიკვიდაციისათვის. ამიტომ მოხსენების მიღებისთანავე, სასწრაფოდ, იმავე დღეს უგზავნის მათ შემდეგ მიწერილობას:

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქივი, საქმე № 13, გვ. 3.

თანახმად პირველისა ჩემის თქვენდამო მონდობილებისა—  
და დასამატებლად მოხსენებისა თქუენისა დღეის რიცხვიდამ  
№ 1, მე მოვითხოვ თქუენგან ვითარცა უუმახლობელესად  
მცოდნეთაგან, აწმყოისა განდგომილებისა ხალხთ აღძრულების,  
სადაცა პირის-პირ ხართცა, წარმომიდგინოთ ყოვლის სიჩქა-  
რით ჰსჯა და ჰაზრი თქუენი საჭიროდ ცნობილი დამზვიდე-  
ბისათვის ამა აღძრულებისა—ხოლო მანემდის მიიღეთ მკაცრი  
და გონიერი ზომა, რათა გარდასვლა მათი სხუათა სოფლებ-  
თა შინა სიმრავლე შეყრილობისა არ განძლიერდეს უმეტეს  
მისა რაიცა აწ არა არს<sup>1</sup>.

გრიგოლი და ჭყონდიდელიც მტკიცედ ასრულებენ დავალებას.  
დასწრაფოდ ღებულობენ მათგან დამოკიდებულ ზომებს. აჯანყებუ-  
ლები ამ დროისათვის უკვე მიღწეული არიან სოფ. ხიბულამდე და  
მიემართებიან ზუგდიდისაკენ. გრიგოლმა და ჭყონდიდელმა მიუგ-  
ზავენეს მათ დელეგაცია — არქიმიანდრიტი ტარასი და დე-  
კანოზი ბარისოვი ერთ-ერთი თავადის თანხლებით, და  
სთხოვეს მოლაპარაკებაზე დათანხმება. მაგრამ გლეხებმა ისინი  
ახლოსაც არ გაიკარეს და გრიგოლა ქავთარაძის პირით  
შემოუთვალეს, რომ „არავითარის სახით და საშუალებათ“ არ მიი-  
ღებდნენ მათ, არამედ უკუებლივ აღასრულებენ თავიანთ ყოველ  
განზრახვას და არ შეაჩერებენ მოქმედებას, სანამ სალიპარტიანოში  
ღყოფ მათ მეთაურთაგან (მთავარ შტაბისაგან) არ მიიღებენ სათა-  
ნადო განკარგულებას.

გრიგოლი და ჭყონდიდელი დაუყოვნებლივ აცნობებენ ეკატე-  
რინეს, რომ მათ მიერ მიღებული ზომები „უწარმატონი“ აღმოჩნდ-  
ნენ, თანაც არწმუნებენ, რომ აჯანყების ჩაქრობა შეუძლებელია  
უმძალესი მთავრობისა და სხვა ძალთა ჩაურევლად:

მის უგანათლებულესობას მენგრელიის მმართველს მთავრინა  
ეკატერინა ალექსანდრეს ასულს და კავალერას  
წევრთა მიერ საგანზრახვისათა

**მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა**

ამავე რიცხვიდგან მოხსენებასა ჩუენსა თქუენისა უგანათლე-  
ბულესობისადმი პატივი გვაქვს საფუძველსა ზედა მოწერილობისა  
თქუენისა უგანათლებულესობისასა ჩუენდამი მ-ის რიცხვიდგან ამა

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქივი № 13, გვ. 5.



მაისისა № 2980-თა დაძენად, რომელ ვიდრე მოსვლამდენ ჩუენსა მდინარეს ხოფის წყლამდენ მოასწრეს უკვე აღძრულთა მათ ერთა-შეფიცება ყოველთა მცხოვრებთა ხიბულის სოფლისათა და წარგზავრნენ იქიდან პირდაპირ ზუგდიდს აღსასრულებლად განზრახვათავე თვისთა:

თქუენო უგანათლებულესობაე, ყოველნი ჩუენ მიერ ქმნილნი საშვალობანი და მშვიდებისადმი აღძრულთა მათ ერთადმი შეიქმნენ უწარმატონი, მით რომელ არავითარის საშვალობით არ მოგვცეს ადგილი და შემთხვევა მოლაპარაკებისადმი მათთანა; ჩუენ წარგზავნეთ მათთან სოფელს ხიბულას სასულიერონი პირნი არხიმანდრიტი ტარასი და დეკანოზი. ბარისოვი, თანაგაყოლებითა ერთისა თავადისათა, და გამოვიტხოეთ მათ მიერ თანხმობა მისვლისათვის ჩუენისა მათთან კეთილშემთხუევეითა მოსალაპარაკებლად და გამოსაკითხავად მათგან მიზეზთა ასრეთისა მათის თავყრილობისა და ზოგადის ფიცის გახშირებისა; გარნა არ მიიღეს მათ არცა იგინი, შემოუთვალეს მათ თავყრილთა ერთა პირთა აზნაურის გიგოლაქავთ არაძისათა, რომელ როგორც ჩუენ არცა ჩვენ მიერ წარმოგზავნილთა მოციქულთა იგინი არასოდეს არავითარის სახით და საშუალობით არ მიგვიღებენ, არამედ იგინი აღასრულებენ წინამდებარეთა განზრახვათა თვისთა, ყოვლადის განგრძობით და ვითომცისინი დააყენებენ მოქმედებასა თვისსა მაშინ, როდესაც ადგილიდგან სალიპარტიოისა ვითარ დასაბამისაგან ისრეთისა ყრილობისა, მიიღებენ ისინი ვითარსამე ცნობასა მშვიდობისათვის; ამის გამო ჰაზრისამებრ ჩუენისა დამყუდროებისათვის მათისა ვჰგონებთ, რომ საჭირო იყოს უმაღლესისა მთავრობისადმი მიწევნად ცნობისა, რათა სიცოფე აღძრულთა ამათ, არა განეფინოს სრულად სამეგრელოისა მდაბიოთადმი, და მით არა უქნელეს იქმნეს წესსა შინა დადგინება მათი.— ჩუენ უკვე ვიმყოფებით ხობის წყლის პირზედ მომლოდნენნი ახლისა განკარგულებისა თქუენის უგანათლებულესობისა:

ლენგრალ-მაიორი გრიგოლ დადიანი  
მენგრელიის ეპისკოპოსი თეოფანე

№ 2

11-ს მაისს, 1857 წ.

ხობის წყლის პირი<sup>1</sup>

ამავე დროს იმავე დღის თარიღით გრიგოლ დადიანი კიდევ ცალკე დამატებით მოხსენებას უგზავნის თავის რძალს, ეკატერინეს, დაახლოვებით იმავე შინაარსით:

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქივი № 13. გვ. 7—9.

მის უგანათლებულებობას მენგრელიის მმართველას მთავრინა  
ეკატერინა ალექსანდრეს ასულს და კავალერას  
ლენერალ მაიორის გრიგოლ დადიანისაგან

**მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა**

შეხედვისამებრ ჩემისა თავყრილობა რომელთამე ერთა სა-  
შეგრელოისათა უკვე ვრცელდების, მით რომელ გარდადის სოფლი-  
თი სოფლად და მტკიცდების მათ შორის ფიციითი ურთიერთისად-  
მი აღთქმა, ხოლო რაზედ და რაისთვის ესე არა უწყებულ არს  
ჯერეთაც, და ვინადგან კეთილგონიერებითმან შეგონებამან ვერ-  
ლარა ჰპოვა მათ შორის ვერავითარი ადგილი დამყუდროებისა მა-  
თისა, ამისათვის მაგილებ პატივსა მოხსენებად ამაზედ თქუენის  
უგანათლებულებობისადმი, და უმორჩილესად გამოთხოვნად შემდ-  
გომისა ზომის მიღებისათვის დაუყოვნებელისა თქუენისა განკარგუ-  
ლებისა წინდადგომისა და უკუნ ქცევისათვის თავყრილთა მათ  
ხალხთა მიერ შეუფიცებელთა მაინც სოფლებთაგან, რათამცა სი-  
ცოფე მათი არა გარდაეთხიოს მრთელსა მენგრელიასა, ჯერ არს  
მიღებად ფიცხელის ზომისა უკუნქცევისათვის მათისა:

ლენერალ-მაიორი გრიგოლ დადიანი.

№ 3.

11-ს მაისს, 1857 წ.

ზობის წყლის პირი.

ამ მოხსენების მიღებიდან ორი დღის შემდეგ, ე. ი. 13 მაისს  
ეკატერინე სალიპარტიანოდან ღებულობს აგრეთვე ოფიციალურს,  
სრულიად საწინააღმდეგოს, მაგრამ ნაკლებად დასაჯერებელ ცნო-  
ბას მდივანბეგთუხუცეს პეტრე დადიანისა და მდივანბეგ  
გიგო ფაღავასაგან:

მის უგანათლებულებობას სამეგრელოის მმართველას, მთავრინა  
ეკატერინა ალექსანდრეს ასულს და კავალერას

მდივანბეგთუხუცესი პეტრე დადიანის ძის და  
მდივანბეგის გიგო ფაღავას მიერ

**მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა**

სალიპარტიანოს ერის შემოსვლა წესშიდ თერთმეტის ამ  
თვიდგან მოგახსენებთ და აწ თანასწორ მათსა კურძუ ჩუენი მამული-  
ცა ეგრეთუე შემოვიდნენ მორჩილებაშიდ გუშინდელს რიცხვსა  
თორმეტს ამა თვისას.

ხოლო სოფლებთა სერგიეთისა, ბობოთისა, ნახუნუსა, ნალეფ-  
სოუსა და აბელათისანი მოვიდნენ დღეის რიცხვს ჩემთან და მიე-

ცათ მათცა და იგება, რომლითაც იგინიცა უთუოდ მიიღებენ მშვიდობას ვითარცა მათ დაგვარწმუნეს.

გარდა ამისა სხუათა თავმოყრილთა ხალხთათვის უკვე ჩუენ ვჰგონებთ ყუელანი დაემორჩილებიან თქუენსა ბრძანებას და კიდევაც გვეყავს გაგზავნილნი კაცნი ყველა მათ თავმოყრილთა ხალხთათანა დასამშვიდებლად, და უმეტესად სარწმუნოა, რომ თქუენი პირის პირ ხილუა სრულად დაამყუდროებს მათ.

მდივანბეგთუხუცესი კნიაზი პეტრე დადიანი  
მდივანბეგი თავადი გიგო ფალავა

№ 1.

13-ს მაისს, 1857-ს წელსა  
სალიპარტიანო<sup>1</sup>.

ეგ სათუო მოსაზრებანი, „უთუოდ მიიღებენ მშვიდობას“-ო, რომელსაც „ჰგონებენ“ მდივანბეგები, ძალიან ნაკლებად ანუგეშებენ „მთავრინას“, ვინაიდან ფაქტი, სინამდვილე სულ სხვას ეუბნებოდა, და მართლაც, მეორე მხრიდან, თავის საბჭოს წევრთა და უშუალო რწმუნებულთაგან მას სრულიად საწინააღმდეგო ცნობები მოსდიოდა.

ამ უკანასკნელი ცნობის მიღების მეორე დღესავე, ე. ი. 14 მაისს, ეკატერინე ღებულობს მოხსენებას გრიგოლ დადიანისაგან, რომელიც სწერს, რომ ზუგდიდის ვარშემო (აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით) მდებარე სოფლებიდან თავმოყრილი „ლახორა“ — ხალხა, აჯანყებული მასა, უკვე შევიდა ზუგდიდში დღეს (12-ს) და შეეფიცნენ მას ყოველნი იქ მცხოვრებნი მდაბიონი, ხვალისათვის აპირებენ წასვლას დარჩელისაკენ და სხვა გამოსავალი გზა არ არის, გარდა იმისა, რომ უნდა მიმართოთ დახმარებისათვის რუსის მთავრობას, ხოლო აჯანყების სხვა სოფლებზე გადასვლის შესაჩერებლად ვინმართ იარაღიო:

მის უგანათლებულესობას მართებელს მენგრელიისას  
ეკატერინა ალექსანდრეს ასულს

ღენგრალ მაიორის დადიანის ძისაგან

**მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა**

შემდგომად გუშინდელის რიცხვიდგან, ჩუენთა ორთა მოხსენებათა პატივი მაქუს მოხსენებად, ლახორა თავშეყრილი სოფლებთაგან წალენჯიხისა, ჭკადუაშისა, კორცხელისა, ლედგებიისა, ყულის კარისა, ჭაქვინჯისა, კირცხისა და ხიბულისა, უკუე შევიდა

1. იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქივი, საქმე № 13, გვ. 12.

ზუგდიდს და დღეინდელსა რიცხვსა შეიფიცეს მდაბიოთაგანნი ყოველნი მუნ მცხოვრებნი და ხვალისათვის, შეერთებითა ზუგდიდის მცხოვრებთა, ემგზავრებიან, ვითარცა მოგახსენებენ, დარჩელად. განილია-რა ყოველი ღონე შეგონებითი მაზედა ჩუენის მხრით, ყოველად სამღვდელომ განსაჯა, რომელ ყოფნა მისი აქ არს სრულიად უსარგებლო, და წარემგზავრა მონასტრად თვისდა, ხოლო მე უცდი აქ ხობის წყლის პირზედ განკარგულებასა და ბრძანებასა თქუენისა უგანათლებულესობისა მიერ.—აზრისა მეზრ ჩემისა, ჯერ არს მოხსენება მართებლობისად მიღებისათვის ზომისა, ხოლო შინაგან დაცვა სოფლებთა მათ, სადაც იგინი არ შესრულ არიან ძალითა საჭურვლისათა რათა არა იქმნეს ესე საზოგადო, რომელსა ზედა ბრძანებასა თქუენსა ველოდები. ხოლო სხუანი სოფლებნი რომელთა აღასრულეს შეფიცულება, არიან თავთავის სახლშიდ, გარნა ლახორისა სრულიად თანაზიარ და მათთანა ერთ ყოველსა შინა საქმესა.

დენერალ მაიორი გრიგოლ დადიანი

№ 4.

12 მაისს 1857 წ,  
ხობის წყლის პირი<sup>1</sup>.

უკვე საგრძნობლად შეშინებულნი და აღელვებული ეკატერინე, კონვერტის ნაცვლად ამ მოხსენების ბარათის გარენახვევ ქალაქსად გადმოაბრუნებს მეორე გვერდზე და ზედ ფანქრით სწერს გრიგოლს პასუხს, რომლის გარჩევა და ამოკითხვა ჩქარი და უწესრიგო წერის გამო ძნელია:

„მთავრის ლეონ დადიანის-ძეს გრიგოლს, ვინათგან ყოველად სამღვდელო ჭყონდიდელი თეოფანე უკვე მიიქცა [მონასტრად თვისდა], ხოლო თქვენი მანდ მყოფობა შთება უნამყოფოდ, ვითარცა მაცნობებთ მე ამას გუშინდელის რიცხვიდამ № 4, ამის გამო მე უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო უგანათლებულესობავ, დასტოვოთ აწ მონდობილება ესე და მობრძანდეთ თქვენსავე ადგილზედ; ხოლო უკეთუ თქვენთან, ანუ ვინმე მაზრის მდივანბეგთან შეკრებილ არიან თავადნი, ანუ აზნაურნი, ზიღებისთანავე ამისა, მიაქციეთ ისინი თავიანთ სახლთა შინა; ხოლო მაზრის მდივანბეგნი ადგილთა თვისთა აწ მონდობილობათათა“.

№ 3103

14 მაისს ჩყნხ-ს წელს  
ს. სალხინო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქ. საქმე № 13, გვ. 14.

<sup>2</sup> იქვე, № 13, გვ. 16.



ორი დღის შემდეგ, 16 მაისს, გრ. დადიანი თანახმად ეკატერინეს ზემოთმოყვანილი ბრძანებისა, სტოვებს აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელის პოსტს, ხობის წყლის პირას, და მიემგზავრება-რა სალხინოში, უკანასკნელად იხდის მოვალეობას თავის მბრძანებლის წინაშე უკანასკნელი ვრცელი მოხსენებით. ეს მოხსენება არსებითად წინა მოხსენებათა განმეორებას წარმოადგენს, მაგრამ მეტად საყურადღებოა იმ მხრით, რომ იგი უფრო შეჯამებულს, ვრცელსა და სწორ ინფორმაციას იძლევა საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ და თვალნათლივ ადასტურებს ყოველივე ზემოთმოთხრობილს, აჯანყების საერთო მიმდინარეობასა და მებატონე თავად-აზნაურთა უმწეო მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებიდან ექვს გარეშეა ორგანიზებული და დიდი სიმტკიცე აჯანყებული გლეხობისა. ავტორი გულახდილად აღწერს სინამდვილეს და სრულ ახსნა-განმარტებას აძლევს დედოფალს, რომ: მე და ჭყონდიდელმა, თანახმად თქვენი მონდობილობისა, ყოველი ღონე ვიხმარეთ აჯანყებულთა დასამშვიდებლად მაგრამ არაფერი გაგვივიდა და ყოველივე ცდა უშედეგოდ დარჩა. დაინახა რა ეპისკოპოსმა ჭყონდიდელმა თეოფანემ ჩვენი ცდის უნაყოფობა, „მიიქცა მონასტრად“. მძინვარება ხალხთა დღითი-დღე ძლიერდება და გადადის სოფლითი სოფლად, რათა შეიერთონ ყველა გლეხობა. მათი ხანზრახვის გაგება არავითარი ღონით არ იქნა შესაძლებელი, რადგან თავადებსა და აზნაურებს არ იკარებენ და მტკიცედ ინახავენ საიდუმლოს. გლეხთაგანი, არავითარი სასუიღლით არ არის შესაძლებელი გამოეთიშოს მათ და გაამჟღავნოს საიდუმლო. სამთავრო მოხელენი გაძევებული არიან თავიანთ ადგილებიდან. აჯანყებულნი სტეხენ ეკლესიებზე, გამოაქვთ ხატები, მძიმე დანაშაულის ტყვეებს ანთავისუფლებენ საპყრობილებიდან, თავად-აზნაურთა ოჯახები შევიწროებულ არიან უსაზრდოდ და არა აქვთ არავითარი საშუალება და აღწიონ თავი ამ გაჭირვებასო.

ყოველივე ამის გამო გრიგოლი აუცილებელ საჭიროდ სთვლის, რომ ეკატერინემ აცნობოს ეს ამბები ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს და სთხოვოს სამხედრო ძალის დახმარება აჯანყების ჩასაქრობად. იგი ფიქრობს, რომ ამ ჯარის შიშით დაწყნარდება ეს „აღვირახნილი“ ხალხი და ან ადგილობრივ თავად-აზნაურთა მიერ იარაღით უნდა დაქნენ ისინი დამორჩილებული. „ატეხილთა მცირე სისხლი გასწმენდს მრავალთა. ამას შინა ბიწიერთა სისხლ-

თაო“. ხოლო დაწყნარების შემდეგ უნდა გამოირკვეს საქმე და მართალი გამართლდნენ და მტყუანნი-კი დაისაჯონ, ვინაიდან სამეგრელოს მთავრისადმი წინააღმდეგობა არის ღალატი „ჩუენისა უხვმოწყალისა რუსეთის ერთმთავრისაო“...

ს ა ი დ უ მ ლ ო .

„მისს უგანათლებულესობას მმართუელა მენგრელიისას მთავრინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულს და კავალერას

უმალლესად მენგრელიასა შინა დაწესებულის რჩევის 1-ის წევრის ღენერალ-მაიორის გ რ ი გ ო ლ მთავრის-ძის მიერ

### მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

დასაქენელად ჩემთა მოხსენებათა და აღსავსებელად წარმოდგენილთა ჩემ-მიერ ჰაზრთა მოვახსენებ უგანათლებულესობასა თქვენსა შემდეგთა გარემოებათა.

ყოვლად სამლუდელო ჭყონდიდელი თეოფანე და მე თანახმად მონდობილობისა თქუენის უგანათლებულესობისა მივედით მუნ საიღამაც შესაძლო იყო გვემოქმედებია დამშვიდება ხალხთა აღძრულებათა, — ყოველი ღონე ლმობიერებისა, შთაგონებისა, მოზიდვისა, რისხვრსა და თვით უსასტიკესთაცა სასჯელთა, წინადადებათა მხარისაგან ჩემისა განილია; იხილა რა ყოვლად სამლუდელომან თეოფანემ უნამყოფეობა მათი, უკუნ იქცა თვისსავე კათედრად, ხოლო მე განვაგრძობდი მათ ახალთა შეგონებათა შინა დროისამებრ ჩუენებულთა მეცადინეობათა, გარნა ყოველი იგი დაშთა ამო და ვერცალა თუ მცირედი სარგებლობისა იმედი ჰვბოვე მათ შინა, ხოლო გუშინდელსა რიცხვსა აღუასრულე-რა ბრძანება თქვენის უგანათლებულესობისა, მოვიქეც აქავ.

ვინაიდგან ყოველი ესე ესრედ უსარგებლოდ დაშთა და მძვინვარება ხალხთა თანდათან ძლიერდების და სოფლითი სოფლად გარდადის ჰაზრითა, რათა შემტკიცებისა შემდგომად ერთად ყოველთა გლახთათა განაცხადონ ჰაზრი თვისი, რომლის გამოკვლევა აწ არა რომლითამე ღონითა არ შესაძლო იქმნა, მისთვის რომელ თავადთა და აზნაურთა არა მიიღებენ შორის თვისსა და ფარუენ ამა საიდუმლოსა მათგან. ხოლო გლახთაგან არა რომლითამე სასყიდლით არა შესაძლო არს გამოეთიშოს და გაამყლავნოს საიდუმლო მათი, ხოლო სამთავრო მოხელენი განდევნილ არიან ადგილთაგან მათთა. და ვინაიდგან მტკიცისა ჰაზრისამებრ ჩემისა ლმობიერებით შემდგომა საქმისა ამის მისცემს ხალხთა უმეტესსა მიზეზსა ძლიერებისასა — რომლითა აწცა მიწევნილ არს უკიდურესობამდე მით, რომელ ეკვლესიათა სტეხენ და ხატნი მუნიდგან დაყავან, თან მძი-

მეთა ტყუებთა ათავისუფლებენ საპყრობილიდამ, ცოლშვილნი თავადთა და აზნაურთა შეზღუდვილ არიან უსაზრდოდ და არა აქვსთ საშვალობა გამოხსნისა—ესე ყოველნი წინააღმდეგებიან განათლებულსა წესსა რუსეთის მართებლობისასა. ამის გამო მე ვჰპოვებ უსაჭიროესად რათა ეცნობოს ესე ქუთაისის ლენერალ-ლუბერნატორს შემწე გვექმნას იგი წარმოგზავნითა აქა რაოდენთამე მხედრობათათა, რომლისა მიმხედუელნი, ანუ შეშინდებიან ხალხნი ესე უაღვირონი, დაშლიან თავყრასა და საიდუმლოსა ამას გაფიცულობასა, ანუ მათთანა შეგნობითა აქაურთ თავადთა და აზნაურთათა საჭურვლით უნდა დამორჩილებულ იქმნენ. ატეხილთა მცირე სისხლი გასწმენდს მრავალთა ამას შინა ბიწიერთა სისხლთა და რა დადგებიან წესსა შინა, შემდგომად სათანადო არს ძიება სჯულიერი მიზეზისა აღძრულებისა ამისა, რათა აღმოცნობილ იქმნეს ჭეშმარიტი და რათა მისანიჭებელთა სამართლისათა მიეცესთ სამართალი — ხოლო დასასჯელთა დასჯა — რამეთუ წინააღმდეგობა მთავრისა მენგრელიისა შინა არს ღალატი ჩუენისა უხვმოწყალისა და მფარუელისა რუსეთის ერთმთავრისა.

უკანასკნელსა ჰაზრსა ამას ჩემსა მოვახსენებ თქუენს უგანათლებულესობას კეთილ განსახილველად და საქმნელად განკარგულებისა ვალისამებრ ჩემისა.

ლენერალ-მაიორი გ რ ი გ ო ლ და დ ი ა ნ ი<sup>1</sup>.

№ 6.

16 მაისი, 1857 წ.<sup>1</sup>

ეკატერინე ხედავდა, რომ მდგომარეობა იმდენად რთული იყო, იმდენად საშიში ამბები მოსდიოდა ყოველი მხრიდან ოფიციალურად, თუ არაოფიციალურად, რომ აქ გრიგოლი, (რომელიც თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც თვითონვე მიაჩნდა ამ აჯანყების მიზეზად), თეოფანე და ზოგიერთი თავადები მარტო ვერას გახდებოდნენ. ამიტომ დედოფალმა გადასწყვიტა თვითონ პირადად აელოხელში აჯანყების ჩაქრობის ინიციატივა და უშუალოდ გასულიყო ხალხში მეფური ავტორიტეტით ზეგავლენის მოსახდენად. მან ჭკონდიდელთან ერთად გამართა მოლაპარაკება სალხინოს გარშემო მდებარე სოფლებიდან თავმოყრილ ხალხთან. მოლაპარაკების დროს ვერ დაჰფარა როგორც თავისი გულის წყრომა, ისე განზრახვაც და გამოამყლავნა, რომ ძალით სურდა დაემორჩილებინა მემამობე ხალხი.

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქივი, საქმე № 13, გვ. 17.



შეატყვეს თუ არა გლეხებმა ასეთი ტენდენცია, უკმაყოფილების ჩოჩქოლი ასტეხეს. მაშინ გამოვიდა ეპისკოპოსი ჭყონდიდელი თავისი ხატითა და ქადაგებით, მაგრამ გლეხები პირისპირ წარუდგნენ მას და დაურიდებლად ამხილეს: „შენ სულიერი მწყემსი კი არა, დედოფლის მსახური ხარო“... აღელვებულმა ხალხმა რამდენიმე კაცს სცემა დედოფლის ამალიდან.

ამის შემდეგ დედოფლის გაჩერება სალხინოში შეუძლებელი იყო და ის იძულებული შეიქმნა თავი შეეთარებია თავისი ნათესავის, მენიკი და დიანის სასახლეში — ქვაშიხორში.

დედოფალი ეკატერინე აშკარად ხედავდა აჯანყებული გლეხობის წინააღმდეგ თავად-აზნაურთა უძლურებას და საკუთარ უმწეობასაც. იგი სრულიად და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისთვის საკუთარი, შინაური ძალებით ამ საქმის თავის გართმევა და აჯანყების ჩაქრობა ყოველად უიმედო იყო. მან გადასწყვიტა გარეშე ძალისათვის ეთხოვნა დახმარება და კიდევ მიმართა რუსეთის მეფის მთავრობის მოხელეს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ნ. კოლუბიაკინს შემდეგი წერილით:

№ 3110

16 мая 1857<sup>1</sup>

К о п и я  
секретно

### Милостивый Государь Николай Петрович!

Между простым народом владения Минггельскаго возникли беспорядки. ч-рнь, отступив от должнаго повиновения своим помещикам и местной власти, делают общую присягу: „быть друг другу верными и стоять во всех обстоятельствах за одно“—необнаруживая более сего никакой цели такого беспорядка, день ото дня стремятся окончательно соединиться присягой в одно всем крестьянам Мингрелии и затем уже приступить к осуществлению предмета им одним только известного.—Меры благоразумных внушений, кротких и строгих убеждений оказываются пока напрасными, кроме тех мест, где я сама нахожусь, принимая все возможности отклонить их от погубных последствий такого заблуждения, но если и засим чернь

<sup>1</sup> ბორობდინი ამ წერილის მიღების თარიღად „1857 წლის თიბათვის ერთ-ერთ სალამოს“ სდებს (იხ. მისი შრომა „სამეგრელო“—გვ. 52), მაგრამ ამ დაახლოებით თარიღზე უფრო სანდოდ უნდა ჩაითვალოს თვით ამ წერილზე დასმული თარიღი.



останется в той же ослушности, то обуздать их нахожу необходимым страхом, и даже силою оружия.

Чтобы вселять в них страх, нужно иметь донских казаков, которых следует действовать здесь по моим указаниям.

Так как Г. Кутаисский генерал губернатор находится ныне в дали от нас, то я обращаюсь к вам с покорнейшею просьбою, с получения сего, выслать в м. Сенаки триста, или сколько под рукой можно иметь, козаков, при распорядительном офицере, которому приказать в точности исполнять собственно от меня даваемые приказания.

В случае весьма крайней необходимости, оружие также должно быть употреблено не иначе, как с моего разрешения.

Уведомляя обовсем этом вместе с сим и Г. Кутаисского генерал губернатора, я прошу Ваше превосходительство прилагаемый у сего пакет за № 3111 отправить к его сиятельству с нарочным.

Покорнейше прошу принять уверение в совершенном моем почтении и преданности. Подлинное подписала правительница Мингрелии княгиня Екатерина Дадиан<sup>1</sup>.

ამავე დროს, ამასთან ერთად, მსგავსივე შინაარსის მიმართვა ვაგებუნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, რაც აღნიშნულია ზემოთ მოტანილ ასლებზე შემდეგი მინაწერის სახით:

№ 3311, 16 მაი

Кутаисскому генерал губернатору того же содержания с должными переменами<sup>2</sup>.

სწორედ იმავე დღეებში ლეზულობს ეკატერინე იმ დროს სობუში მყოფ ქუთაისის გუბერნატორ გაგარინისაგან შემდეგ წერილს:

Ваша Светлост, Княгиня Екатерина Александровна

Здесь несколько дней носят слухи о каких то беспорядках в мингрелии, но, не получая от вас никакого о том сведения, я нахожусь вынужденным отправить к вам состоящего при мне Коллежского Советника Изюмского

<sup>1</sup> იხ. Акты Кавк. Арх. Ком. т. XII—გვ. 252—253.

<sup>2</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქივი, საქმე № 13, გვ. 20.

и покорнейшее просить вашу светлость уведомить с ним меня о достоверности этих слухов.

С истинным почтением и совершенною преданностью имею честь быт вашей Светлости.

А. Гагарин

№ 211.

12 мая, 1857 года.

г. Сухум-кале<sup>1</sup>

კოლუბიაკინმა ეკატერინეს წერილის მიღებისთანავე, ახლობელ ამხანაგ-მოხელეებთან ამ საკითხზე მცირე მოთაჯბირების შემდეგ, გადასწყვიტა პირადად თვითონ წამოსულიყო „სამეგრელოს საქმეების მოსაწესრიგებლად“. რა თქმა უნდა, მას აქ სრულეზით არ ამოძრავებდა გლახთა ინტერესები, არამედ მხედველობაში ჰქონდა მშართველის გულის მოგება სამეგრელოში ახლადფეხშემოდგმული რუსეთის მთავრობის მხრით, რომლის მოქმედებას აშკარად ედვა სარჩულად იმდროინდელი რუსეთის იმპერიალისტური ტენდენციები.

კოლუბიაკინი, საკმაო რაოდენობის შეიარაღებული ძალებით, მეორე დღესვე, 17 მაისს ეწვია ეკატერინეს ქვაშიხორში, მენიკის სასახლეში.

უსაზღვრო სიხარულითა და იმედებით აღივსო დედოფალი გუბერნატორის დანახვაზე. საჩქაროდ უამბო ყველაფერი დაწვრილებით. განსაკუთრებით ხაზს უსვამდა თავის მაზლის — გრიგოლის, ვითომდა მოღალატურ მოქმედებას და თავის სწავიშ მდგომარეობას: „საქმე იქამდე გამიჭირდაო — ამბობდა იგი, — რომ იძულებული ვარ ჩემი ნათესავი ქალის სახლში ვეძიო თავშესაფარი, მაგრამ აქაც უშიშრად არა ვარ, — აქედან სულ რამდენიმე ვერსის მოშორებით გლახების აუარებელი ბრბოა გაჩერებულ და შემოტევას გვიქადის, ვიცი, ამ გლახებმა რაც დღე დააყენეს თავიანთს ბატონებს, და ადვილად შესაძლებელია მეც გამიბედონ ყოველგვარი სისაძაგლე“...<sup>2</sup> და მოითხოვდა გრიგოლის გაყვანას სამეგრელოდან... კოლუბიაკინი დაეთანხმა და ეკატერინეს მაზლები — გრიგოლი და კონსტანტინე თბილისისაკენ გაისტუმრა.

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქივი, № 13, გვ. 21.

<sup>2</sup> იხ. ბოროზდინი, „სამეგრელო“, თარგ. თ. საზოკიასი, გვ. 110.

კოლუბიაკინი შეუდგა თავისი სამოქმედო გეგმის კონკრეტულ დამუშავებას. ორი დღე აწარმოვა აჯანყებულებთან მოლაპარაკება, ხოლო მესამე დღეს, 20 მაისს იგი თავისი ამალით—შეიარაღებული ყაზახრუსებით—თვითონ გაემართა მემამოხეთა ბანაკისაკენ. ხუთიოდე ვერსის გავლის შემდეგ, კოლუბიაკინმა მოშორებით შენიშნა რამდენიმე ცხენოსანი. ესენი იყვნენ უტუს ჯარის მზვერავი რაზმის წევრები. ყაზახრუსების დანახვაზე სწრაფად მიიმალნენ. ცხადი იყო, რუსის ჯარის მოახლოების ამბავი წაუღეს თავიანთებს. კიდევ ორი-სამი ვერსი და კოლუბიაკინი შესდგა ერთ მაღლობზე. ძირს, ფართოდ გაშლილ მინდორზე დაბანაკებულიყო სამხედრო წესზე განლაგებული, ფართოდ გაშლილი ათი ათასამდე კაცი—გლეხობა. ყაზახრუსების დანახვაზე ხალხში საომრად მოსამზადებელი ფაცაფუცი და ჩოჩქოლი შეიქმნა. გრიგოლისა და ეკატერინეს აზრი: „შეიარაღებულ ძალთა დანახვაზე აჯანყებულები შეშინდებიან და დაიშლებიან“, სრულიადაც არ გამართლდა, — პირიქით, უცებ გაისმა საყვირის მრისხანე ხმა, რომელიც მედგრად მოუწოდებდა ხალხს შესაგროვებლად და საომრად მზადყოფნისათვის. გენერალი თავისი ჯარით დაეშვა ხალხისაკენ, ხალხიც სრულიად შეუპოვრად, უშიშრად და გაბედულად წამოვიდა გენერლისაკენ. წინ მამაცურად მოუძლოდა ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი, მხარზე ხმალგადაკიდებული საშუალო ზნის, ლომივით ვაჟკაცი. მხლებლებმა აუხსნეს გენერალს, რომ ეს იყო მემამოხეთა ბელადი — მჭედელი უტუმიკავა.

„ძნელია დაწვრილებით წარმოვიდგინოთ ის პროცესი, — ამბობს ამ ამბების უშუალო დამსწრე კ. ბოროზდინი<sup>1</sup>, რომელიც ასეთს ბრბოებს წარმოშობდა და ამ ზომამდე გაზრდიდა, და უფრო ძნელია აღამიანს მოვუყვეთ მათის წოწივლით ცხოვრების ამბავს მთელის ნახევარ წლის განმავლობაში; მხოლოდ ის არის უეჭველი, რომ ამ ბრბოში შესულნი იყვნენ ისეთნი, ვინც სასოწარკვეთილებამდე იყვნენ მისულნი დაუსრულებელის დევნულებითა და ტანჯვა-წამებით და თავი მოეყარათ რამდენისამე გულად ვაჟკაცების გარშემო, რომელთაც მეთაურების ადგილები დაეჭირნათ. იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ბატონის ძალა-უფლებისათვის, რომ მას კრიჭაში ჩასდგომოდნენ, ეჯობნათ მისთვის, რომ ხელფეხი შეეკრათ ადგილობრივის ადმინისტრაციისათვის და დასასრულს, იმისთვის, რომ დაეწყოთ რაღაც არანორმალური, დამოუკიდებელი არსებობა, გლეხებს ოღონდაც რომ უნდა გამოერჩინათ დიდი

<sup>1</sup> ბოროზდინი, „სამეგრელო“, თარგ. თ. სახოკიასი, გვ. 112.



ენერგია, როგორც აქტიური, ისე პასიური. გენერალი, მაშასადამე, თავის წინაშე ხედავდა ხალხის ღუნდგოს, თავზე ხელაღებულს, და არ იცოდა, ეს ღუნდგო რასა ჰფიქრობდა, გულში რა ედო; აბა, რალა თქმა უნდა, ყაზახრუსები, მას რომ მოჰყვებოდა, სრულებით საკმარისნი იყვნენ არამც-თუ მათს გასარეკად, არამედ ამოსაწყვეტადაც; ამ ხალხის გროვას ეს თვითონაც უნდა ჰქონოდა შეგნებული, მაგრამ მიუხედავად აშკარა მოსალოდნელის საშიშროებისა, ეს ხალხი იმისკენ მოდის შესახვედრად... აქედან ცხადია, თუ რა ძლიერი ნებისყოფით იყო აღჭურვილი აჯანყებული გლეხობა — „უტუს ჯარი“, თუ რა მტკიცე იყო მათი გადაწყვეტილება: — ან სიკვდილი და ან ამ ჯოჯოხეთური წამებით ცხოვრების თავის დაღწევა, — და ამ მიზნისათვის შეუდრეკლად თავის განწირვა, — ერთი ყველასთვის და ყველა ერთისათვის... და ბოლოს გენერალი კოლუბიაკინი თავისი ყაზახრუსებით და აჯანყებულ გლეხთა ურდუში პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს.

გენერალმა ხალხს სუსხიანი საყვედურებით მიმართა არეულობისათვის, მებატონეთაგან განდგომისათვის, დედოფლის ბრძანებების შეუსრულებლობისათვის: „თქვენმა დედოფალმა, — ამბობდა გენერალი<sup>1</sup>; — მომიწვია მე რათა თქვენ ურჩობაზე ხელი აგაღებინოთ. ნახევარი წელიწადია, რაც კანონიერ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებით თურმე. თვით დედოფალს თურმე ბევრი ზომები ჰიუღია, მაგრამ თქვენს მორჯულებას არაფერი ჰშველვია. თქვენს მებატონეებს არამც-თუ გამოქცევისხარო, არამც თუ არ აძლევთ, რაცა გმართებთ მაგათი, არამედ იმ ზომამდე გაკადნიერებულხარო, რომ ვინც ხელში ჩაგივარდებათ, დაუსჯელად არ უშვებთ. ნუ თუ გგონიათ, რომ ბოლომდე ასე შეგრჩებათ. მე მოვედი თქვენს დასასჯელად და მანამდე არ წავალ აქედან, სანამ ურჩობაზე ხელს არ აგაღებინებთ, თუნდაც იძულებული გავხდე — ერთი ცოცხალი არ გაგიშვათ...“

გენერლის ამ სიტყვებზე ხალხი შეიშმუშნა, თითქოს შრიალი, ან თუ ჩურჩული ასტყდა.

გენერალმა ამაში უკმაყოფილების ნიშანი დაინახა და დაუყვირა: „ჩუმაღ! თორემ ვღბრძანებ — გესროლონ“...

ესევე სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს ხალხის გროვა ერთგან შეინძრა, ჯგუფი გაირღვა და წინ წამოდგა თოვლივით თეთრი თმაწვერა მოხუცი, შივიდა გენერალთან, გადუღვა წინ და სიტყვის უფლება სთხოვა — წყალობა მიყავ და მალაპარაკეო და ხმამაღლა

<sup>1</sup> იხ. ბოროზდინი — „სამეგრელო“, თარგ. თ. სახოკიასი, გვ. 13—14.



შეჭაღადა: „გვესროლე, გენერალო, როგორც წყალობას, ისე გთხოვთ. ათას წილ გვირჩევნია დავიხოცნეთ, ვიდრე იმ მდგომარეობაში დავრჩეთ, როგორშიაც ახლა ვართ...“

...„მართალია, მართალი, გაისმა ხალხში ხმები:

— ...და აი, ახლა, როცა შენ ჩვენს წინაშე ბრძანდები, ჩვენ შენის ბრძანებით კი არა, ჩვენის ნებით ვემხოებით პირქვე და გუხვეწებით: გვესროლეთ. გვირჩევნია ერთს დღეს გავსწყდეთ, ვიდრე ნელნელა ვიტანჯოთ; მაგრამ სანამ გვესროდე, გენერალო, მოგვისმინე ..

გენერალი დათანხმდა, გადადგა შარა-გზიდან, ჩამოხტა ცხენიდან, იქვე ფართოდ გაშლილი ხის ჩრდილში მოიკალათა და ხალხიც აქ მოიხმო.

— აბა, სთქვით, გისმენთ.

რამდენიმე კაცმა ერთად დაილაპარაკა.

— ჩუმად. — დაიყვირა ისევ გენერალმა, — ამოირჩიეთ ერთი კაცი და იმან ილაპარაკოს. —

— მიქავა, მიქავა... გაისმა ყველა მხრიდან, — შენა სთქვი მიქავა...

კოლუბიაკინმა მიქავა მოიხმო და უბრძანა ელაპარაკნა. „ურდუმი“ კიდევ ერთხელ შეტორტმანდა, რაზმი გაირღვა და სწორედ იმ მხრიდან, საითაც შეამხოხეთა დროშა — წითელი შილა ფრიალებდა, გამოვიდა წითური სახის, 30 — 35 წლის, ახოვანი, მხარბეკიანი, მსხვილძვალ-ძარღვიანი, გოლიათი ვაჟკაცი სახალხო ტრიბუნის, გლებთა აჯანყების ბელადი — მჭედელი — უტუმ მიქავა.

უტუმ მისთვის ჩვეულებრივი ენერგიითა და ალტყინებით დაიწყო თავისებური ცეცხლით აღგზნებული სიტყვა ხალხის ტანჯვათა შესახებ. ზედმეტი არ იქნება სრულად მოვიყვანო ეს სიტყვა, რადგანაც იგი საკმაოდ აშუქებს ამ აჯანყების როგორც მიზეზებს, ისე მის შინაარსს და შეიცავს მთელს მისს პროგრამას:

— ამ ერთს წელს წინად, ბატონო, ჩვენს ქვეყანას ოსმალთა ჯარი შემოესია, მტერმა გააჩანაგა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. შეველა არსაიდანა გვექონია; რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები, იმის მაგიერ რომ დავეფარნეთ, ბიჭებსა და გოგონებსა გვტაცებდნენ და თურქებზე ჰყიდდნენ. აუარებელი წაასხეს თურქებმა ოსმალეთში. თურქები წავიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, თურქებზე უარესად, მოგვდგნენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენი შრომის ნაყოფი იმათა რჩე-

მათ; მათ რომ კაცმა ჰკითხოს, გლეხს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც რამ აბადია, ყველაფერს ართმევენ თუ მოხერხებით არა, ძალით — მაინც. ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, საქმე ის გახლავთ, რომ ამბობენ ვითომ ჩვენ ადამიანის სულიც კი არ უნდა გვედგას. მათის აზრით, რა პირუტყვი გნებავსთ, ჩვენ არა გვეჯობდეს. ვსთქვათ, ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა, ადგება და ერთ კომლ გლეხს აძლევს მეზობელს, ოღონდ კი იმან მიმინო დაუთმოს; მწვერის, ან მეძებრისათვის რამდენიმე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები, აქავე, ყურის ძირში, ცხენის წყალსა და რიონს გაღმა, ადამიანებს ასე როდი ეპყრობიან. ჩვენ ვიცით, რომ იქ არსებობს სამართალი და კანონი<sup>1</sup>. ნეტავი რა დავაშავეთ ისეთი ღმერთთან, რომ ჩვენთანაც ისევე არ არის. როცა ბატონს თავისას ვაძლევდით, მხოლოდ იმსავთხოვდით — ისე მოგვეტყოდნენ, როგორც ამას ჩვენი ძველი, ჩვენთან მამაპაპათა მიერ დადგენილი, ჩვეულება მოითხოვდა, მაგრამ ეს წმინდა ჩვეულება მემატონეებმა, დიდი ხანია, ფეხთ ქვეშ გასთელეს, უგულვებელ ჰყვეს, ხოლო ნაომევეს მათმა სისასტიკემ ყოველსავე საზღვარს გადააცილა. გვეჩვილნა! აბა ვისთან გვეჩვილნა? დედოფალი აქედან შორს იყო, ხოლო მისს მდივანბეგებს (პოლიციის მოხელენი) მემატონეების მხარე უჭირავსთ, მათგან ძალდატანების მეტი არაფერი გვახსოვს, თვითონ დედოფლის მოურავები ისე გაგულქვავდნენ და ისე უდიერად იქცევიან, რომ მისმა საკუთარმა გლეხებმაც კი გადასწყვიტეს — არ დამორჩილდნენ და ხატზე დაიფიცეს — დედოფლის ჩამოსვლამდე ერთმანეთს მხარი დაუჭირონ და ერთი-მეორეს არ უღალატონ. ჩვენც მათ მაგალითს მივბაძეთ. გვეგონა, ჩქარა დაბრუნდებოდა; მაგრამ გაიარა თვეებმა, ჩვენ იქით-აქეთ დავეხეტებოდით, და როცა დევნა დაგვიწყეს და ძალებით ნადირობდნენ ჩვენზე, ერთად შევეერთდით და ძალას ძალა დაუპირდაპირეთ. ამასობაში დადგა გაზაფხული, ყანები არ დათესილა, მემატონენი არ გვითმობდნენ და აღარც ჩვენ ვუთმობდით. ბოლოს, ზაფხულში დედოფალი ჩამოვიდა. მაგრამ რა გამოვიდა. არამც თუ მფარველობა არ გაგვიწია, ყურშიაც არ უნდა შეუშვას ჩვენი გაჭირვება. — „როგორ გაჰბედეთო, — გვიბრძანა დედოფალმა, — და ბატონებს ხელი ახელითო“. ჩვენი ხელის ხლება კი ის გახლდათ, რომ ჩამოვართვით ხაჯალურები და დადიანურები, რომლითაც ისინი გეტანჯავდნენ, და მათს სახლებიდან გამოვიყვანეთ

<sup>1</sup> იმერეთში ამ დროს უკვე დამკვიდრებული იყო რუსეთის მმართველობა.—ი. გ.

ჩვენი დები და ქალიშვილები, რომლებსაც მოახლეები ერქვათ და ნამდვილად კი მათი ხასები იყვნენ, და ქრისტიანულის წესით გავათხოვეთ. მოხუცმა მართალი მოგახსენათ: შენ რომ არ მოსულიყავ, ჩვენ თვითონ გეახლებოდით შენთან; მთელი ეს ხალხი მე მომყავდა და რამდენსამე დღეში ცხენის წყალს გაღმა ვიქნებოდით. ჩვენი სამშობლო შეგვზიზღდა, გადავწყვიტეთ მოვშორდეთ აქაურობას სამუდამოდ და სადმე ჯანდაბას გადავიკარგეთ... რაც უნდათ, ის გვიყონ, თუნდაც დაგვზვრიტონ ყველანი, მაგრამ ერთმანერთს შევფიცეთ: არაფრის გულისათვის დავბრუნდეთ აქეთ. აი, ოხრად-კი დარჩეს ისეთი სამშობლო, საცა თავიც-კი ვერ შეგიფარებია სადმე, საცა შენზე ნადირობენ, გარეულ ნადირივით დაგდევენ. დედოფალს ყოველივე ეს ესმოდს ჩვენგან და არ მოინდომა ჩვენთვის ეშველნა. იმას თავის დღეში არაფრით დავმუქრებივართ, ჩვენი არაფერი შიში უნდა ჰქონოდა, არც ავაზაკები ვართ და არც მემამბოხენი, უბედურები ვართ, სამართალსა ვთხოულობთ, მეტს არაფერს. გვიწყალობე, გენერალო, ეს სამართალი, გვიყავი სიკეთე, თქვენი ყურმოჭრილი ყმები ვიქნებით, ყველაფერს გაგიგონებთ. მანამდე-კი თქვენის ბედნიერის თვალებითა ნახეთ... აქ მიქავა გლეხებს მიუბრუნდა და მეგრულად რაღაცა უთხრა. ერთ წუთში რამდენსამე კაცმა მოათრია მთელი გროვა მძიმე ჯაჭვებისა და ძირს დაჰყარა.

— აი, რითი გვაბამდნენ და გვაწამებდნენ...

გენერალმა უნებურად წარბები შეიჭმუხნა, როცა ეს საწამებელი იარაღები დაინახა.

— აბა რა უნდა გვექმნა. — განაგრძო მიქავამ, — მოძალადის წინააღმდეგ ძალა უნდა გვეხმარა ფარად თუ არა? ისე გუფლიად გეუბნებით, როგორც ღმერთს. აი, თუნდაც გუშინ, იძულებულნი ვიყავით ასეთის საშუალებით გვეპასუხნა ერთ-ერთ აქაურ მემამულესათვის, შეუყრია თავისი თანამოგვარენი, მოულოდნელად დაეცა გლეხის ოჯახს და მოიტაცა იქიდან ქალი, რომელიც წინაღ მასთან მოახლედ იყო და რომელიც ჩვენ იქიდან წამოვიყვანეთ და ჯვარი გადავსწერეთ; ეს ქალი სადღაც დამალეს, ამბობენ, აფხაზეთისკენ წაიყვანეს გასასყიდადო. ჩვენ ეს ძალადობა არ შევარჩინეთ და თვითონ მემამულე, გაბაწრული, ჩვენი ტყვე არის, სანამ მოტაცებულ ქალს არ დაგვიბრუნებს“<sup>1</sup>.

დასასრულ უტუმ წარუდგინა გენერალს აჯანყებულთა მთავარი მოთხოვნებიანი:

<sup>1</sup>. იხ. ბოროზდინი, „სამეგრელო, გვ. 114—116.



1. კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს.
2. ნაცვლად ბატონთა უანგარიშო მმართველებისა, უნდა იქნეს ერთი კანონიერი მმართველი.
3. უნდა მოისპოს ყმების ყიდვა-გაყიდვა.
4. გადასახადები უნდა განისაზღვროს ზომიერი ნორმებით.
5. ყმა უნდა სარგებლობდეს ადამიანური უფლებებით.
6. საკუთრება არ უნდა იყოს დამოკიდებული ბატონის თვითნებობაზე, არამედ უნდა არსებობდეს სავალდებულო ნორმა.
7. უნდა მოისპოს სხვადასხვა სატანჯავი იარაღებით ადამიანის წამება და უნდა დაწესდეს სამართალი ბატონსა და ყმას შორის.
8. უნდა არსებობდეს განმტკიცებულ ადათებისადმი პატივისცემა<sup>1</sup>.

კოლუბიაკინმა გულდასმით და დამშვიდებით მოისპინა ეს გულის მომწყველელი მოთხრობა გლეხთა გაჭირვებულ მდგომარეობაზე. ბრძანა დაუყოვნებლივ აეშვათ და მოეგვარათ მისთვის უტუს მიერ შეპყრობილი მებატონე. მოიყვანეს. გენერალმა ბრძანა დაებრუნებიათ მისთვის იარაღი და გაენთავისუფლებიათ. შემდეგ მიუბრუნდა მას და დამაჯერებელი რიხიანი ჩაღაპარაკებით უბრძანა: „გთხოვთ ახლავე აქ მომგვაროთ თქვენ მიერ წართმეული ქალი; თუ იგი გაყიდულია აფხაზეთში, იცოდეთ პასუხს გაგებინებთ. წადით და გახსოვდეთ, რომ მე ჩვეული არა ვარ დიდხანს ველოდო ჩემი ბრძანების შესრულებას“<sup>2</sup>.

ამ დროს გზაზედ გამოჩნდა რამდენიმე ცხენოსანი. ესენი იყვნენ ადგილობრივი მდივანბეგი და მებატონენი. გენერალმა ბრძანა მოეხმოთ ისინი:

— მე თქვენი ასახსნელი საქმე არაფერი მაქვს, ბატონებო! უთხრა მათ გენერალმა, — თქვენმა დედოფალმა მომიწვია აქ გლეხების აჯანყების ჩასაქრობად, და კიდევაც ჩავაქრობ მას, მაგრამ იცოდეთ კია, რომ ამიერიდან თქვენც სულ სხვანაირად უნდა მოიქცეთ, ვიდრე აქამდე იქცეოდით. მთავრობა აღარ გაპატივბთ უღმერთო საქციელს და გაიძულვით არ გადასცდეთ იმ ფარგლებს, რა ფარგლებსაც ადათი გვიჩვენებს ხოლმე.

ამის შემდეგ გამოაყვანინა ხალხიდან ამ მდივანბეგებს გლეხები. ას კაცამდე იქნებოდა და მიმართა მათ:

<sup>1</sup> იხ. კოლხიდელი, „გლეხების აჯანყება სამეგრელოში“ 1857 წ. გვ. 47.

<sup>2</sup> იხ. ბაროზდინი, „სამეგრელო“, გვ. 147 (რუს. გამოცემა).



„ — აი, თქვენი ბატონები. დაუბრუნდით ისევ ისე მათ და აკეთეთ იგივე, რაც აქამდე გიკეთებიათ მათთვის. იცოდეთ, რომ კანონი დაგიფარავთ უსამართლობისაგან. აუ დაგჩაგრეს, მიდით თქვენი დედოფლის მიერ დაყენებულ მდივანბეგთან, თუ მდივანბეგმა დაგჩაგრა — დედოფალთან იჩივლეთ. გახსოვდეთ, რომ ყოველ ურჩობისათვის სასტიკად დაისჯებით. თქვენ-კი ბატონო, მემამულენო, — მიუბრუნდა გენერალი მდივანბეგებს, — გირჩევთ თქვენთან დაბრუნებულ გლეხებს ავად აღარ მოექცეთ, და ვითომ არც კი ყოფილა თქვენს შორის რაიმე უთანხმოება. ახლა შურისძიების დრო არ არის, ეცადეთ რაც შეიძლება ტკბილად მოეპყრათ. მაშ, წაბრძანდით... ჯგუფი დაიძრა და მალე თვალთაგან მიეფარა.

ამასობაში მებატონემაც მოიყვანა მის მიერ მოტაცებული ქალი. იგი ქმარს დაუბრუნეს. მებატონეს-კი ქალის ძმებმა გადაუხადეს ქალის გამოსასყიდი 10 მან....

ახლა ყველამ კარგად დამიგდეთ ყური, — მიუბრუნდა ბოლოს გენერალი უტუს ჯარს, — თქვენი კრება ახლავე უნდა დაიშალოს. თქვენ — თქვენსა წადით, უთხარით თქვენს ბატონებს, რომ მე გამოგზავნეთ და თვალყურს ვადევნებ თქვენს ურთიერთობას. შენ, მიქავა, გიბრძანებ, — აუხსნა ყველაფერი ეს გლეხებს და ჩააგონო, რომ რაც ახლა ვსთქვი, ყველაფერი დაუყოვნებლივ უნდა ასრულონ; გლეხები ერთმანეთისათვის მიცემულ ფიცისაგან გამინთავისუფლებია, ახლა თითოეული მათგანი დამშვიდებულის სინდისით დაბრუნდეს შინ და შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას“<sup>1</sup>.

გენერლის ასეთმა ტაქტიკამ გასჭრა და მისი შემარიგებლური პოლიტიკა ორივე მხარის მიერ თანაბარის იმედით იქნა გაზიარებული.

გენერლის მიერ თავადების მიმართ ზემოთმოთხრობილი მ ქმედებით და აჯანყებულთა მიერ წაყენებულ მოთხოვნათა შესრულების დაპირებით დაიმედებულმა გლეხობამ მიიღო მისი წინადადება, სრულიად დარწმუნებულმა იმაში, რომ ამიერიდან რადიკალურად შეიცვლებოდა მათი მდგომარეობა. თუმცა მათ გარკვევით არ ჰქონდათ წარმოდგენილი მომავალი და არც ის იცოდნენ, რომ „ცხენის წყლის გაღმა არსებული კანონი“ მათს პირობებს ოდნავადაც არ აუმჯობესებდა, მაგრამ ისინი მაინც აღსდგნენ „იმიტომ, რომ მათი მდგომარეობა აუტანელი გახდა, რომ არ უნდოდათ დახოცილიყვნენ უსიტყვოდ და წინააღმდეგობის გაუწევლად“. (ლენინი, ტ. V, 312).

კოლუბიაკინს ყოველ სოფელში ხვდებოდა აჯანყებულ გლეხთა ამგვარი ჯგუფები, მაგრამ ცბიერი გენერალი ყველგან იმავე წესით,

<sup>1</sup> ბოროზდინი, გვ. 119 (რუს. გამოც.).

მისთვის სასურველ შედეგს აღწევდა—მოჯანყენი ნელნელა იშლებოდა, ხოლო უტუ მიქავა, უაღრესი ნდობითა და ავტორიტეტით აღჭურვილი ფართო მასებში, ყველგან უდიდეს როლს თამაშობდა. ზემოსამეგრელოს ზოგიერთ სოფლებში წინააღმდეგობის გაწევა დაუპირეს კოლუბიაკინს, მაგრამ საკმარისი იყო უტუს ერთი გამოსვლა მოწოდების სიტყვით, რომ ისინი მყისვე დამშვიდებულიყვნენ.

ამგვარად, ეს აჯანყება, რომელიც, მთელი ნახევარი წლის განმავლობაში მძვინვარებდა, თანდათან იშლებოდა და ქრებოდა ისე, რომ მაინცადამაინც რთულ ექსცესებს გენერლის ჯარსა და აჯანყებულ გლეხთა შორის ადგილი არ ჰქონია. ამ გარემოებამ კიდევ უფრო დაარწმუნა ეკატერინე, როგორც თავის სამხედრო უძღურებაში, ისე პოლიტიკურ უსუსურობაში. ეს თვალსაჩინო გახდა მთელი მხარისათვის, რითაც დედოფლის თავმოყვარეობა საქვეყნოდ იქნა შელახული. ამიტომ იგი მადლობის ნაცვლად უკმაყოფილო შეიქნა კოლუბიაკინისა და დასწამა მას:

„ჩემს სამფლობელოში ჩემდა უნებურად შემოიჭრა და აჯანყებულ გლეხობას მფარველობსო“.

რა თქმა უნდა, ეკატერინე აქ ცდებოდა და კოლუბიაკინის შემპარავი ტაქტიკური მოქმედება აჯანყებულთადმი ღმობიერებად და გლეხების მფარველობად ეჩვენებოდა. მას ეწადა თავის მიერ მუხანათურად გამოწვეული მეფის რეგულარული ჯარის—ყაზახ-რუსების საშუალებით შური ეძია აჯანყებულთა წინააღმდეგ, ვერაგულად დაეღვარა უდანაშაულო გლეხთა სისხლი, რათა დაენახვებია მათთვის თავისი სუსხი და რისხვა, ერთთავად თავზარი დაეცა და მომავლისათვის „ჰკუა ესწავლებინა“ მათთვის.

ცხადია, კოლუბიაკინმაც არსებითად ამავე მიზანს მიაღწია, მაგრამ უფრო სხვა გზით და, შეიძლება, ეს გზა გაცილებით უფრო უარესი იყო გლეხთა მოძრაობისათვის, ვიდრე მტერთან აშკარა დაპირისპირება.

ყველაზე მეტად იყო განრისხებული ეკატერინე და შურისძიების ჟინი ჰკლავდა აჯანყების ზოგიერთი მეთაურისა და, კერძოდ, უტუ მიქავას მიმართ. ამიტომაც იგი არა ერთხელ დაჟინებით მოითხოვდა კოლუბიაკინისაგან იმათს დაუყოვნებლივ შეპყრობას და სასტიკად დასჯას. მაგრამ კოლუბიაკინმა ესეც არა ჰქნა, რადგან იგი ამგვარ საქმეებში უკვე იმერეთის მაგალითებით საკმაოდ გამოცდილი და დახელოვებული, ძალიან კარგად ხედავდა იმ უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას, რომლითაც იყო აღჭურვილი მთელი სამეგრელოს გლეხობა უტუ მიქავას მიმართ და მისი უხეშად ხელის შეხება, იმ გამწვავებულ მომენტში, ცეცხლზე ნავ-

თის დასხმას ემგვანებოდა, რაც უეჭველად გამოიწვევდა გლეხთა აჯანყების უფრო მეტის განმძვინვარებით და სრულიად ახალი ფორმებით აფეთქებას. რასაც უსათუოდ მოყვებოდა ორივე მოპირდაპირე მხარისათვის მეტად მძიმე და, შეიძლება, რუსეთის პოლიტიკისათვისაც უფრო საზიანო ექსცესები. გენერალი კი თავისი მოქნილი ტაქტიკით შემპარავად და მოხერხებულად მოქმედებდა, ცხადია, ცარისტული რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, და მიზანსაც აღწევდა—„დაემშვიდებია“ ის აჯანყება, რომელიც პეტერბურგის უმაღლეს წრეებშიც არანაკლებ შემფოთებას იწვევდა (აქტები, ტ. XII, 319).

ეკატერინე, კოლუბიაკინის რჩევით, ქვაშიხორიდან ზუგდიდში გადავიდა. ამ დროს აქ (ზუგდიდში) სოხუმიდან გამოიარა ქუთაისის გუბერნატორმა გაგარინმა. ეკატერინე და გაგარინი შეხვდნენ ერთმანეთს მანამდე, სანამ კოლუბიაკინი ზუგდიდში ჩამოვიდოდა. ამით ისარგებლა ეკატერინემ და დაარწმუნა გაგარინი, რომ მას კოლუბიაკინისათვის პირადად ჩამოსვლა არ უთხოვია, არამედ სთხოვა მხოლოდ ჯარის ნაწილით დახმარება, და მან კი თავისი ჩამოსვლით და სამეგრელოს შინაურ საქმეებში პირადად უხეში ჩარევით უფრო აუჯანყა გლეხები. როცა კოლუბიაკინი ზუგდიდში ჩავიდა, გაგარინმა აგრძნობინა მას თავისი უკმაყოფილება და უსაყვედურა უტაქტო და თვითნებური მოქმედებისათვის. ცხადია, ამან ძალზე ააშფოთა კოლუბიაკინი, მან კარგად იცოდა ვისი ჩაგონებით იყო ეს, მივიდა დედოფალთან და გულდაწყვეტით მოახსენა: „სულითა და გულით ვწუხვარ, რომ უკეთ ვერ შევძელი თქვენთვის მეამებინა“-ო და თან დასძინა: „თავის დღეში მხარს არ დაუჭერ, ქალბატონო, ფეოდალურ რეჟიმს, რომელიც თქვენ მკვდრეთით გინდათ აღადგინოთ“-ო<sup>1</sup>.

ქუთაისში დაბრუნების მეორე დღესვე კოლუბიაკინმა გაუგზავნა მოხსენება მეფის ნაცვალს — ბარიატინსკის — სამეგრელოში თავისი მოქმედების შესახებ. მოხსენებაში იგი ამტკიცებდა, რომ სამეგრელოში გლეხთა აჯანყება სრულიად ბუნებრივი შედეგია იმ უკვე დრომოქმული ფეოდალური წყობილებისა, რომელიც მეტად უხეშ ფორმებში დღემდე დარჩენილია აქ და დედოფალი მეტისმეტად გულმოდგინედ ცდილობს მის შენარჩუნებას, ისიც მხოლოდ თავისი შვილების ქონებრივ ინტერესებისათვის. საქმის გამოსასწორებელ ერთადერთ საშუალებად სთვლიდა იგი არსებული ადმინისტრაციის შეცვლას სხვა შემადგენლობით.

<sup>1</sup> იხ. ბოროზდინი, „სამეგრელო“, გვ. 122.



გაგარინმა ურჩია დედოფალს გორდში გადასულიყო შემდეგი განკარგულების მიღებამდე და თვითონ კი ქუთაისში გაემგზავრა.

ამანაც გაუგზავნა მეფის ნაცვალს მოხსენება და თავისი მოსაზრებანი სამეგრელოს ამბების შესახებ, მაგრამ მისი ცნობები და მოსაზრებანი სავსებით ეწინააღმდეგებოდა კოლუბიაკინის მიერ გაგზავნილ ცნობებს. ამან გაჯრკვეველ მდგომარეობაში ჩააყენა ბარიატინსკი. მან საჭიროდ სცნო, სანამ საკითხს საბოლოოდ გადასჭრიდა, წინასწარ შეესწავლა და გამოერკვია საქმის ვითარება ადგილობრივ. ამ მიზნით მიავლინა სამეგრელოში საგანგებო კომისია, სასამართლოს ნამდვილი წევრის იპოლიტე დ'ასკიპ დუკრუასის ხელმძღვანელობით.

თავის მხრით ეკატერინემ მიმართა რაფიელ ერისთავს (რომელიც კოლუბიაკინს ახლდა) შემდეგი წერილით:

№ 3099.

21 მაისს, 1857 წ.

„ქუთაისის ვოენნის ლუბერნატორის ჩინოვნიკს უფალს კოლევსკის სეკრეტარს თავადს ერისთავს.

ცნობადმდე ჩემსა მოწვენილ არს, რომელ რომელნიმე სამეგრელოს ხალხნი აღიძრნენ ვითომც მისთვის, რომელ აქუთ რაოდენიმე შეიწროება ანუ მებატონეთაგან და ანუ მოხელეთაგან სამთავროთა სოფლებისათა. — ესე თვით ხალხსაცა გამოუცხადებია უფალს ქუთაისის ვოენნის ლუბერნატორის ლენერალ-მაიორის კოლუბიაკინისათვის.

ვინათგან თხოვნანი ამა საგანსა ზედა ხალხის მხრით ჩემდამო არა მოწვენილ არს ჯერეთაც, ჰგავს ვისიმე მიზეზით, ამის გამო მიმხედველი, რომელ თქუენ აწ ხართ მათთანა, გთხოვთ სახელითა ჩემითა განუცხადო საზოგადოდ მათ, რომელ უკეთუ ნამდვილ მათგანი ვინმე ჰგოდნობს რისამე შეიწროებასა, მაშინ ნებას ვაძლევ წარმომიდგინონ მე თქუენის საშვალობით აღწერა მათისა მდგომარეობისა, — თქუენ მოგანდობთ განიხილოთ სიმართლე მათი და ერთად თქუენის ჰაზრითურთ მე წარმომიდგენთ. — მე განმხილველი ყოვლისა ამის სჯულიერად დავაკმაყოფილებ მათ, ვინცა სიმართლისა გამო მისისა ღირსი იქმნება; ხოლო უკეთუ რომელნიმე მათთა თხოვნათაგანნი უსაფუძვლო იქმნენ, მაშინ ესეცა დაუფარავად გამოეცხადებათ მათ, თუ რომლის მიზეზისათვის. ხოლო იგინი მოვალე არიან იქმნენ მყუდროდ და მორჩილად ისევე ვითარცა აქამომდე.



გთხოვთ ყოველი ესე შთააგონით ხალხთ და უბრძანოთ სახელთა ჩემითა დაიცვან იგი სიმტკიცით“<sup>1</sup>

რამდენიმე დღის შემდეგ ეკატერინე უგზავნის იმავე ერისთავს შემდეგ ცირკულარულ განკარგულებას:

„საზოგადო ბრძანება. უფალს ქუთაისის ვოენნის ლუბერნატორის ჩინოვნიკს თავადს ერისთავს აქვს მინდობილი შემოყვანა თანხმობასა შორის თავადთა და აზნაურთა სამენგრელოისათა და ყმებთა მათთა და შთაგონება გლახთად დამორჩილებად უფლობათ; თანასწორე მასვე აქვს ჩემგან მინდობილი შეკრება საჩივართა გლახთაგან მებატონეთა ანუ ადგილობითთა მოხელეებთა ზედა და მოთხოვნა ამათგამცა პასუხისა, ამისთვის მე ვუბრძანებ ზოგად თავადთა, აზნაურთა, მოხელეთა და გლახთა, რათა მოთხოვნილობასა თავადის ერისთავისას კანონიერად აკმაყოფილებდნენ და აღსრულებისათვის ამა მინდობილობისა და საჩქაროთ ჩემთან წარმოსადგენელად აძლევდნენ ყოველსა ჯეროვანსა შემწყობასა“.

კე-ს მაისს, ჩყნზ წელსა ს. აბასთუმანი<sup>2</sup>.

ეკატერინე ხედავდა, რომ კოლუბიაკინი არც ისე საიმედო გამოდგა მისთვის, ამიტომ ცდილობდა დამოუკიდებლად ემოქმედნა აჯანყების ჩასაქრობად, რათა თავისი ძლიერებაც ეჩვენებინა ხალხისათვის და შერყეული ავტორიტეტი აღედგინა, მაგრამ ვერც თავისი მოქმედების შედეგებს ხედავდა დამაკმაყოფილებელს, რადგან საკმაო ძალა აღარ შესწევდა, ამიტომ მიმართა გაგარინს თხოვნით გამოეგზავნა ერთი ბატალიონი რეგულარული ჯარისა, რომლის პირველ გამოჩენისათანავე, მისი აზრით, არეულობა შეწყდებოდა და კლახობა ისევ ყურმოჭრილ მონად გაუხდებოდა მებატონეებს.

№ 3117.

25 мая, 1857 г.

Абастумани.

Г. Кутаисскому Генерал Губернатору

От 16 сего мая за № 3111 я имела честь уведомить Ваше Сиятельство о беспорядках возникших в мое отсутствие между мингрельскими крестьянами и о моих распоряжениях, — успокоив Салипартианцев это более 2-х душ, 17 числа получила известие, что Г. Кутаисский военный-Губернатор генерал майор Калюбякин, а равно и

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქივი საქმე № 13, გვ. 23.

<sup>2</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქივი საქმე № 13, გვ. 26.

присланный вашим сиятельством чиновник коллежский советник Изюмский, прибыли в Квашихоры, поспешила к ним для дальнейших действий вместе с ними, подробности действий наших с того по настоящее время и самое положение мингрелии доложить вашему сиятельству Г. Изюмский все это а равно раз'езды мои по деревням имели, то некоторое влияние, что главнейшие виновники востания от тревожного состояния как будто перешли к спокойствию, обещались признать власть помещиков и местной полиции и показали тем дух покорности, но на самом деле нет еще результатов таковой их покорности и хотя положительного заключения иметь еще и невозможно, потому что это будет зависеть от успеха мер принимаемых Г. генерал маиором Колюбякиным и подробно известных Г. Изюмскому, но предусматривая необходимость других более решительных мер для ведения в черни первобытного спокойствия и послушания властям, я прошу Ваше Сиятельство приказать отправить сюда баталион регулярного войска при первом появлении котораго надеюсь безпорядки пресекутся.

Затем предполагая лично заняться разбором причин могущих возбудить подобные здесь безпорядки, я желаю, чтобы со стороны правительства находилось при этом доверенное лицо, и потому имею честь покорнейше просить Ваше Сиятельство назначить и от себя одного благонадежного чиновника, который должен находиться при мне доокончательного разбора настоящего дела, о результатах котораго я долгом сочту уведомить Ваше Сиятельство в свое время.

Подлинное подписала Правительница Мингрелии  
Княгиня Екатерина Дадзиани<sup>1</sup>.

ეკატერინე ამავე დროს კოლუმბიაკინსაც არ უვლის გვერდს და მეორე დღესვე (26 მაისს) ოფიციალურ მიმართვაში ცდილობს დაარწმუნოს იგი, რომ დაუყოვნებლივ „მცირედი დროის დაუკარგავად“ და აჯანყების გამომწვევი მიზეზების კვლევადიების გარეშე ჩაქრობილ უნდა იქნეს „შავი მასის“ არეულობა. ამისათვის-კი საჭიროა:

<sup>1</sup> იხ. Акты Кавк. Арх. Ком. т. XII, № 258.



სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა  
(1816 — 1882)



1. მხარი დაუჭიროთ ძველი წყობილების ხელისუფალთ (თავად-აზნაურობას) და უცილობლად დაუმორჩილოთ მას მცხოვრებლები.

2. აღდგენილ იქნეს უცვლელად მემამულეთა უფლებები.

მოეთხოვოს აჯანყებულ გლეხობას — გასცენ აჯანყების მეთაურები და შეფიცონ მებატონეებს ერთგულება და სხ.

№ 3119

К о п и я.

26 маѣ, 1857 года

### Милостивый Государь Николай Петрович!

Известно уже Вам, что жители некоторых деревень, где я была, давали присягу в послушности и повиновении властям, и так раз'езды мои по деревням хотя до сих пор и имели влияние на успокоение народа, но ныне небудучи более в состоянии продолжать таковые по случаю слабости здоровья, я отправляюсь в Горди, нахожу необходимым сообщить Вашему Превосходительству, некоторые мои желания, основанные на ближайшем знании края, понятия здешняго народа, характеры жителей и настоящего положения дела, и просить Вас покорнейше предписать кому следует, чтобы возстание черни, без малейшей потери времени и дальнейших изысканий каких либо причин, было утушено, а чтобы утушить это, нужно теперь же принять следующие меры: 1) Поддержать власти прежняго управления и безусловно подчинить оным жителей и 2) Этим, а равно и строжайшим внушением крестьянам от имени правительства возстановить неизменного права помещиков, подчинить крестьян всем хозяйственным их распоряжениям и для этого разослать письменныя прокламации строжайше внушающия крестьянам все сии обстоятельства и об'явления их по всем деревням возложить на чиновника Вашего превосходительства князя Эристова при назначенном от меня Мдиванбеге мингрельского верховнаго правления Поручике князе Гиго Пагаве, — чтобы иметь в исполнении всего здесь предписаннаго верное со стороны крестьян ручательство необходимо: а) потребовать выдачу главнейших виновников возстания и держать их под стражею до следующих распоряжений, б) приводить крестьян к присяге на подчиненность властям



правительственным и помещичьим, и не только на невозстановление в предь подобных беспорядков, но и неимении в том с другими никогда сотоварищества.

Форма таковой присяги присем прилагается.

В случае упорного отказа в этом крестьян (чего в прочем при благоразумных распоряжениях ожидать не должно) Употреблять силу могущую навести на них страх, для этого достаточно расположить теперь же пехоту, сколько теперь здесь, на лесичинских высотах с донскими казаками и с милициею князей и дворян от близких же селений побывать во всех деревнях.

Что касается причин могущих произвести в мингрелии подобныя беспорядки, то предмет этот как второстепенный будет мною разобран по утушении уже пожара беспорядков, способом, о котором я в свое время сообщу Вашему Превосходительству.

Настоящее мое мнение как единственное и непременно полезное в настоящих обстоятельствах, я передаю на дальнейшее распоряжение Вашего Превосходительства, поручая и вместе с сим Высочайше назначенным при мне в помощь для совета, Генерал-Маиору князю Григорию и Маиору князю Константину Дадиановым находиться при Вас вместо меня и оказывать Вам всякое местное содействие сообразное с настоящим предположением<sup>1</sup>.

ეკატერინე ამავე დროს გრიგოლსა და კონსტანტინე დადიანებს უგზავნის ამ მიმართვის ასლთან ერთად შემდეგს მინდობილობის ბარათს:

К о п и я

Состоящим при мне по Высочайшему повелению, в помощь и для совета Г. Г. Генерал-Маиору и Кавалеру князю Григорию и маиору и кавалеру князю Константину Дадиановым.

По слабости здоровья я не в состоянии более продолжать раз'езды мои по деревням для внушения черни спокойствия и послушания властям.

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის არქივი № 13, გვ. 23.

Оставляя в Ваших руках дальнейшее распоряжение по сему предмету вместо себя передаю Вам и копию с отзыва моего к Г. Кутаисскому Военному Губернатору за № 3119.

Следуя в точности и неотступно начертанным здесь данным вы обязаны оказывать все возможное содействие Г. Военному Губернатору принимающему меры к утуплению возстания черни. Разрешаю так-же Вам, все то, что укажет Вам надобность и обстоятельства, по мимо оснований мною данных, употреблять, но всю ответственность за последствия оных возлагаю так-же на Вас.

Подлинное подписала правительница Мингрелии Княгиня

Екатерина Даднани<sup>1</sup>.

(გაგრძელება იქნება)

<sup>1</sup> იხ. ზუგდ. მუზ. არქივი № 13 გვ. 30.

## ჯ ე ბ ე თ ა

ჯეგეთა სამეგრელოს ერთ-ერთი, დღემდის უცნობი, პატარა ისტორიული ძეგლია, რომელიც საინტერესოა უფრო მეტად თავისი ლაპიდარული წარწერით, ვიდრე არქიტექტურული სახით.


1943—44 წ.წ. დეკემბერ-იანვარს ზუგდიდის რაიონში ცაიშის ტაძარზე მუშაობის დროს<sup>1</sup> საშუალება მომეცა დამეყო რამდენიმე საათი ამ მხარეში სახელგანთქმულსა და ლეგენდებით მოცულ „ჯეგეთას“ მთაზე.

პირველი მოხილვისთანავე ჩემთვის ცხადი გახდა ამ მთაზე დაკული ძეგლების ისტორიული მნიშვნელობა. ამ ძეგლებიდან აქ ძირითადად მხოლოდ წმ. გიორგის ეკლესიის წარწერას შევხებით, დანარჩენს კი ვაკვრით მოვიხსენიებთ.

სამეგრელოს არა ერთ კუთხეში ხშირად შევხვდებით სხვადასხვა ვერსიით, მაგრამ ძირითადად ერთი აზრის მატარებელ მოარულ ლეგენდას იმის შესახებ, თუ როგორ აბამდნენ თათრები(!) ამ მთაზე გემებს (sic). მოხუცები დღესაც მიგვითითებენ იმ ადგილს, სადაც თითქოს ჯაჭვი იყო დაკიდული გემების დასაბმელად. რა ვუყოთ, რომ თვითონ არ უნახავთ! სამაგიეროდ მათ გაუგონაოთ, მამისა თუ პაპისაგან, რომ სწორედ აქ უნახავთ მათ ხსენებული არაჩვეულებრივი ჯაჭვი; მის რგოლებში კაცის თავი თავისუფლად ეტეოდა, სიგრძით კი ხუთ საეენამდე ატანდაო. ჯერაც არ დალეულან ყოველგვარი ექსტრავაგანტული შემთხვევების მოყვარულნი, რომელნიც ჩირგვის ძირას თუ ხის კენჭეროზე, თავგამოდებით ეძებენ ამ ზღაპრულ ჯაჭვს.

<sup>1</sup> ესარგებლობთ შემთხვევით და უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანს ამხ. გრ. ჩაჩიბაიას იმ ყურადღებისათვის, რომელსაც ის მუდამ იჩინდა ჩემი სამეცნიერო მუშაობის დროს სამეგრელოში.

ერთი შეხედვით თითქოს გასაგებიცაა, რომ სწორედ ამ მთას  
 მიაწერენ ასეთ ლეგენდას. საკმაოდ მაღალი, კონუსური მოყვანი-  
 ლობის ჯეგეთის მთა მდებარეობს კოლხეთის დაბლობის დასას-



1 ჯეგეთა. გენ. გეგმა  
 რულისა და დასაწყისში იმ მთაგრეხილთა ქსელისა, რომელიც  
 ჩრდილოეთით აკრავს ამ დაბლობს.



ჯეგეთას სილუეტი ბატონობს ამ მხარეში და ერთ დროს გზის მაჩვენებელსაც კი წარმოადგენდა შავი ზღვის სტიქიასთან მებრძოლი გზადაკარგული გემებისათვის.<sup>1</sup>

არანაკლები პოპულარობით სარგებლობს ლეგენდა ოდესლაც ამავე მთაზე არსებული „ქვის ქალისა“. ეს ლეგენდა საკმაოდ გრძელია და აქ მას ადგილს ვერ დავუთმობთ.<sup>2</sup>

ჯეგეთას მთა დღეს უკაცრიელია. მის სიმყუდროვეს ხანდის-ხან მონადირე, ან ათასში ერთხელ, მოგზაური-მკვლევარი თუ დაარღვევს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სადგ. ხეთის აღმოსავლეთით ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, ძველი სამთავრო გზა თურმე ამ მთის ძირში გადიოდა დასავლეთით. დღეს ამ გზის კვალი ზედმიწევნით აღარ ირკვევა.

მთაზე ასვლა, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდანაც შეიძლება ბილიკით, ხოლო საურმე გზა მარტო ჩრდილოეთის ხევიდან იწყება და აღმოსავლეთით ადგება ეკლესიას. მთელი მთა ტყითაა დაბურული და სანამ არ ახვალთ, ნაგებობათა შემჩნევა შეუძლებელია.

მთის ფერდობზე სამი გამოქვაბულია (იხ. სურ. 1), რომლიდანაც მხოლოდ ერთია ხელოვნური, ორი დანარჩენი კი ვიწროა და გრძელი, სტალაქტიტებითაა დაფარული (ამ გამოქვაბუ-

---


<sup>1</sup> ხემოთმონხუნებული რკინის ჯაჭვის დანიშნულება ადგილობრივთა დავიწყებიათ, თორემ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში. აკად. ივ. ჯავახიშვილი ეკლესიებში დაცული ასეთი ჯაჭვების შესახებ შემდეგს წერს: „ამ საყდარში (საუბარია გორის ჯვარზე) ინახება დიდი მძიმე რკინის ჯაჭვი. როცა მლოცველი, რომელსაც წმ. გიორგისათვის შეთქმული აქვს, ეკლესიის კარზე მივა, აქ მძიმე ჯაჭვს კისერზე დაიდებს და სამჯერ გარს შემოუვლის ხოლმე. ამ შემთხვევაშიაც შენახულია ძველი ადამიანის მსხვერპლის შეწირვის სიმბოლური ჩვეულება“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 112—140, 1913 წ. თბილისი).

ამავე საკითხზე იხ. ხუბუას ვრცელი წერილი: „ხაჯალური“ და „დადიანური“, — მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 2, 1937 წ.

ჯეგეთას ეკლესიაში, ერთ-ერთი მნახველის (ჯაჯუ, ქვის ქალი სამეგრელოში, „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 238) გადმოცემით, ყოფილა დიდი მშვილდი, რომელიც ტრადიციულად „ივლისის ერთ დღეს“ მღვდელს გამოჰქონდა თურმე და შიგ მლოცველებს ატარებდა; ვინც გაივლიდა, ცოდვებისაგან იწმინდებოდა.

<sup>2</sup> ამ „ქვის ქალის“ ლეგენდისადმი, როგორც ვიცით, სტატია აქვს მიძღვნილი ჯაჯუს. მისი აზრით ეს არაჩვეულებრივი თეთრი მარმარილოს „ქვის ქალი“ ელინური წარმოშობისაა. ჩვენ ამაში შეუძლებელს ვერაფერს ვხედავთ, თუ მივიღებთ მხედველობაში ძველი კოლხეთის ურთიერთობას ხმელთაშუა ზღვის ძველ კულტურულ კერებთან.


ლების სიღრმეების გაზომვა ვერ მოვახერხეთ). პირველი მათგანი მდებარეობს ეკლესიის ჩრდილო აღმოსავლეთით 60—70 მეტრზე, მეორე კი დასავლეთით 40—50 მეტრზე. რაც შეეხება ხელოვნურს, ის ეკლესიის სამხრეთითაა, გამოჭრილი კლდის ვერტიკალურ ფერდობზე (დაახლოებით  $3 \times 3$  მეტ.). ამ ძნელად მისაღწევ გამოქვაბულში დღეს ორბნი ბუდობენ.



2. ჯეგეთა. გეგმა.


მთის წვერზე ერთმანეთის ახლოს ორი ნაგებობაა: პირველი, ცენტრში მდებარე, ეკლესიაა, ხოლო მეორე, ჩრდ.-დასავლეთით ხუთმეტრიოდ მეტრის მანძილზე, რაღაც ორსართულიანი შენობის ნანგრეფია, რომლის მხოლოდ ქვედა სართულიაა შემონახული. ეს გადარჩენილი ნაწილი კვადრატულ აბრისში მოქცეულ სხვადასხვა სიგანის ორ გრძელ დარბაზს წარმოადგენს (სურ. № 2). აღმოსავ-

ლეთით მდებარე დარბაზი გადახურულია ორ გამბჯენ<sup>1</sup> თაღზე დაყრდნობილი ცილინდრული კაშარით, ხოლო დასავლეთით მდებ-



3. ჯეგეთა. განაკვეთი II—II.

ბარე დარბაზი ამავე სისტემის ისრული კამარით არის გადახურული.




4. ჯეგეთა. განაკვეთი III—III.

ჩრდილოეთის მხრიდან დარბაზებს აქვთ თითო შესასვლელი რომლებიც ამავე დროს ერთადერთ სინათლის წყაროს წარმოად-



გენს. შიგნით, თლილი ქვით, მხოლოდ თაღებია ამოყვანილი, დანარჩენი კი ფლეთილი ქვითაა. გარედან ეს ნაგებობა შემოსილია სწორი კვადრებით, ჰორიზონტალური რიგების დაცვით. ძალიან კარგადაა შესრულებული მთავარი, ე. ი. სამხრეთის ფასადი (სურ. ფოტო № 6). შენობის ზედა სართულის მხოლოდ ჩრდილო და სამხრეთი კედლებია გადარჩენილი და ისიც ორი მეტრის სიმაღლისა. ძველს გადაკეთება არ ეტყობა, მთლიანად ერთდროულია.

თვით წმ. გიორგის ეკლესიაში დაცული ყოფილა, უკანასკნელ დრომდე უამრავი „ბორზალი“ (წმ. გიორგის ორკაპა). ზემოხსენებული მნახველის, ჯაჯუს (იხ. დასახელებული სტატია) გადმოცემით 1911 წ. მათი რიცხვი სამოციოდე ყოფილა; წინათ კი ზოგჯერ ასიოდეცო.



პილასტრის დეტალი.

ადგილობრივი მკვიდრნი ასეთ ცვალებადობას წმ. გიორგის აწერდნენ და ამითვე ტყობილობდნენ მის განწყობილებას მათდამი. „ბორზალის“ ასეთი არაჩვეულებრივი რაოდენობა, ცხადია, დიდ სახელს უხვეჭდა ამ ეკლესიას<sup>1</sup>. სამეგრელოს სხვადასხვა კუთხიდან მას მლოცველთა ტალღა აწყდებოდა, განსაკუთრებით ეკლესიის დღესასწაულზე, რომელიც 23 აპრილს (ძველი სტილით) სრულდებოდა.

ეკლესიას ადგილობრივ „ჯეგეთას წმ. გიორგის“ უწოდებენ.

პროფ. ი. ყიფშიძის განმარტებით მეგრული „ჯეგე, ჯგეგე, ჯგეჭე, გეგე“ ნიშნავს საერთოდ წმინდანს, ხატს, ეკლესიას<sup>2</sup>, აქედან „ჯეგე-მარიაში“ წმინდა მარიაშია, „ჯეგე-ხანგარამი“—წმ. ხანგარამია (ეკლესიაა სოფ. ნაესაკუში, აბაშის რაიონში), „ჯეგე-მოჯიკო“—წმ. მოჯიკოა (ეკლესიაა სოფ. ხამისკურში, ჯეგეთადან ორ-სამ კლმ. ჩრდ.-დასავლეთით, ამჟამად მხოლოდ უფორმო ნანგრევია), „ჯეგე-ფერცხულავა“—წმ. ფერცხულავა (ეკლესიაა სოფ. აბასთუმანში, ზუგდიდის

<sup>1</sup> ამ ეკლესიის „ბორზალის“ რამდენიმე ეკზემპლარი ინახება ზუგდიდის მუზეუმში. ისინი სხვადასხვა ზომისანი არიან; ორ წვერიან რკინის მახვილს მოკლე რკინისავე ტარი აქვს.


<sup>2</sup> Кишшидзе И. Грамматика мингрельского языка. СПб, 1914 г. გვ. 412. იხ. სიტყვა „ჯეგე“.



რაიონში. ამჟამად არქიტექტურული ნაგებობის კვალი ძლიერ-  
და ირკვევა), ჯეგე-მისარონი<sup>1</sup> და სხვ.

ყველაზე მეტად გავრცელებულია „ჯეგე-გიორგი“ — წმ.  
გიორგი. უფრო ხშირად არც კი სთვლიან საჭიროდ წარმოს-  
თქვან „გიორგი“, რადგანაც მას ჰგულისხმობენ, როდესაც  
იტყვიან „ჯეგე“-ს.

„ჯეგე“-ს გენეზისის დადგენას, როგორც აკად. ნ. მარ-  
მა გაარკვია, აღრინდელ სამყაროში გადაყვებით. „ჯეგე“-ს  
მნიშვნელობისა ყოფილა სვანური „ჯგზრაგ“-იც, როგორც  
ამას აკად. ნ. შარის ნარკვევიდან ვტყობილობთ. მისივე დაკ-  
ვირვებით ამ სიტყვების ერთ-ერთი ვარიაცია აფხაზურსა და  
ადიგეურ ენებშიც გვხვდება. ნ. მარმა ჩვეული შორსმჭვრე-



5. ჯეგეთა. განაკვეთი I—I.

ტელობით გაარკვია, რომ მეგრული „ჯეგე, ჯეგე, ჯეგე, გე-  
გე“ და სვანური „ჯგზრაგ“ თავდაპირველად ნიშნავდა წარ-  
მართულ წმინდანს, სალოცავს, სწორედ—მუხას, წმ. მუხას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში „ხეთა მსა-  
ხურება“ ისტორიულად დადგენილი ფაქტია. სალოცავი ხე  
თავდაპირველად მხოლოდ მუხა უნდა ყოფილიყო, გვიან კი

<sup>1</sup> ჯეგე-მისარონის კულტის გენეზისის საკითხის გარშემო შემდეგი ვრცე-  
ლი შრომა მოიპოვება: ს. მაკალათია — „ჯეგე-მისარონის კულტი ძველ-  
საქართველოში“, თბ. 1938. გვ. 39—40.

დასკვნებში ის წერს: „ღვთაება მირსას რწმენა გავრცელებული იყო  
წარმართულ საქართველოში მაზდენურ მოძღვრებასთან დაკავშირებით“, და  
შემდეგ: „საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ ჩვენში შემოდის წმ. გიორგის  
რწმენა და წმ. გიორგი ხალხის რელიგიურ შემეცნებაში თანდათანობით იღებს  
მირსას (მითრას—პ. ზ.) განსაზიერებას, ამას მოწმობს სამეგრელოში დაცული  
სალოცავი „ჯეგე-მისარონი“ (წმ. გიორგი—მირსა) თავისი რიტუალობით“.

ცაცხვიც ასრულებს ამ დანიშნულებას. განსვენებული [აკად. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს: „სამეგრელოში ხე-მცენარეთა თაყვანისცემის არსებობის საუკეთესო დამამტკიცებლად უნდა ჩაითვალოს ძველ საქართველოში განთქმული ჭყონდიდი, რომელიც მეგრულად დიდ მუხასა ნიშნავს და თავდაპირველად უეჭველია მუხის მსახურების სალოცავ ადგილად უნდა ყოფილიყო“<sup>1</sup>. ასეთივე სალოცავ ადგილს წარმოადგენს, ალბათ, ქართლში რკონიც (თეძმის ხეობა), რაც ხეთა მსახურების გადანაშთად უნდა მივიჩნიოთ.



ბ. ეკლესიასთან მდებარე შენობის ნანგრევი.


რაც შეეხება თვით „ჯეგეთა“-ს, აკად. ნ. მარი<sup>2</sup> ასე განმარტავს: „с абх. суфф.— $\Theta\alpha$ ; ჯეგეთა  $\delta ege-\Theta\alpha$  место <святны>  $\delta ege$ , возвышенность в селе Хет'а ( $Qe-\Theta\alpha$ ) Зугдидскаго уезда со старинною церковью, где по преданию, хранятся копыя св. Георгия“.

წმ. გიორგის ეკლესიას, როგორც დღეს ადგილზე ირკვევა, ირგვლივ უვლიდა დაახლოვებით ოთხკუთხედი მოხატულობით ქვის გალავანი (ხაზი მიჰყვება რელიეფს). დღეს მხოლოდ ჩრდ.-დასავლეთის კედლის ნაწილია შერჩენილი და დანარჩენის აღდგენა ძლივსა ხერხდება (სურ. 1).

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი. იხ. დასახელებული შრომა, გვ. 140.

<sup>2</sup> ნ. მარი, „О религиозных верованиях Абхазов. Христ, Восток. Т. IV, в. I, стр. 136—140.“

თვით ძეგლი წარმოადგენს ტალანივით გრძელ ერთნაგვიანი დარბაზული ტიპის ეკლესიას (სურ. № 7). მისი გარე ზომები მცირეა:  $3,60 \times 7,30$  მეტრზე. საკურთხევლის აუცილდა ჩახაზულია გარე ოთხკუთხედში. კარი მხოლოდ ერთი აქვს, სარკმელი ორი: ერთი აღმოსავლეთით და ერთი სამხრეთით. შიგა სივრცის კედლები მოკლებულია ყოველგვარ შევრილებს. გადახურულია ცილინდრული კამარით (სურ. № 8 და 9). კამარა ეყრდნობა სამ თანასწორ მანძილზე განლაგებულ გამზჯენ თალებს. თვით თალები კონსოლებზეა დაბჯენილი. შემოსვა ნარევია: თლილი ქვებით შემოსილია მხოლოდ საპასუხისმგებლო ადგილები, როგორცაა კამარა და გამზჯენი თალები. ისინი კარგად თლილი, თითქმის თანასწორი ზომის კვადრებითაა ზუსტად ფარგალზე ამოყვანილი და კარის წირთხლებიც შედარებით აქცენტირებულია, ასევე ისე, სწორი კვადრების ხმარებით. დანარჩენი ნაწილი, ე. ი. აფსიდა კონკრეტული და კედლები, ფლეთილი ქვათაა აგებული, თუმცა აქა-იქ ჩატანებულია თითო-ორიოლა გათლილი ქვებიც.



7. ჯგუფთა. გეგმა.

საკურთხეველი ერთი საფეურით ყოფილა აწეული. დღეს მისი აღდგენა ძლივსა ხერხდება. არსად ჩანს ტრაპეზი, თუმცა მისი საფუძვლის ნაშთი მიგვითითებს მის ოდესღაც არსებობაზე.


საკურთხევლის ჩრდილო მხარეს, სარკმლის გასწვრივ, თლილი ქვით მშენებრად არის ამოყვანილი ოთხკუთხა ნიში თალოვანი გადახურვით.



შიგა სივრცე მთლიანად ფრესკით ყოფილა დაფარული. ახლა მხოლოდ ნაფლეთებია შერჩენილი კამარასა და თაღებზე (ადგილობრივთა გადმოცემით ჯერ კიდევ ოცი-ოცდაათი წლის წინათ ფრესკის უმრავლესობა შერჩენილი ყოფილა). მხატვრობა, როგორც ორნამენტულ მოტივთა გამოყენებით, ისე ფერებითა და შესრულების მანერით ძალიან ახლოსაა ცაიშის საყდრის მხატვრობასთან.

გარე მასები უფრო საცოდავად გამოიყურება; სახურავი სრულიად გადაცლილი აქვს, აღარსადაა კარნიზიც.

გარე კედლები მთლიანად ქვითაა შემოსილი, მაგრამ ფასადების შემოსვას შორის კონტრასტული განსხვავებაა. დასავლეთის ფასადი მთლიანად შემოსილი ყოფილა კარგად თლილი საკმაოდ მოზრდილი კვადრებით, შემდეგნაირი განლაგებით: დიდი კვადრების ჰორიზონტალებს შორის გამყოფად ჩატანებულია მათი სიმაღლის მესამედის-





8. ჯეგეთა. განაკვეთი II—II.

ოდენა წვრილი ქვების რიგი (იხ. ფოტო № 10). დანარჩენი ფასადები კი ფორმა-მიცემული გრძელი ქვებითაა ნაწყობი, შედარებით ჰორიზონტალური რიგების დაცვით, აქა-იქ აქცენტირებულია თლილი კვადრებითაც. ფასადების დეკორი რამდენიმე ორიგინალური რელიეფური ფიგურებისაგან შედგებოდა.



კონქის ცოტა ქვემოთ, დასავლეთის ფასადზე, მოთავსებული ყოფილა ფასადის სიბრტყიდან გამომწვერილი რელიეფით საკმაოდ მოზრდილი ცხვრის თავი გრძელი კისრითა და წინა ფეხებით en face<sup>1</sup>.

აღმოსავლეთის ფასადზე მოთავსებული ყოფილა სამი ელემენტისაგან შემდგარი კომპოზიცია. სარკმლის ცოტა ზემოთ, ღერძზე, ორ ქვაზე ცალცალკე ამოკვეთილი ყოფილა რელიეფი, მათ ზემოთ კი რაღაც ცხოველის (ცხვრის?) თავი.



9 ჯეგეთა. განაკვეთი I—I.

ორი ქვედა კომპოზიციიდან მხოლოდ ერთია გადაჩვენილი. ამ ქვაზე ბრტყლად ერთი სანტიმეტრიანი რელიეფია: სპარსულად ფეხმორთხმული კაცი ჩონგურზე, თუ თარზე, უკრავს. რელიეფი მეტად პრიმიტიულია, სახის ნაკეთები აღნიშნულიც კი არ არის (სურ. № 11).

ქვედა კომპოზიციის მეორე ქვაზე ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, ასეთივე ოსტატობით გამოსახული ყოფილა ფიგურა ხელში ლანგრით (sic).

<sup>1</sup> ეს კომპოზიცია ჩემს იქ ყოფნის დროს ადგილზე არ ყოფილა, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ ჩემზე ადრე ს. მაკალათიას გადაუღია ფოტო-სურათი, რომელზედაც შედარებით კარგად ჩანს. ამავე სურათზე ჩანს, რომ კარის მარცხენა წირთხლზე მიყუდებულია რაღაც ფიგურა, რომლის გარკვევა არ ხერხდება (ფოტო-სურათის ჩემს განკარგულებაში გადმოცემის გამო დიდ მადლობას ვწირავ პატივც. ს. მაკალათიას).

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ამ ძეგლის ყველაზე საინტერესო ნაწილს წარმოადგენს ლაპიდარული წარწერა, რომელიც მოთავსებულია დასავლეთის კარის არქიტრავის ქვაზე<sup>1</sup>. წარწერა მოკლებულია იმ სიმკვეთრეს, რომელიც კლასიკურ, თუ ადრინდელ




10. ჯეგეთას ეკლესიის შენობის წინა ფასადი.

საშუალო საუკუნეების ძეგლებს ახასიათებთ. - გაწვრთნილი თვალი მას პირველი შეხედვიდანვე მიაკუთვნებს განვითარების გვიან ხანას. წარწერის ქვა მოლიანია, 70×105 სანტ., თვით წარწერა შედგება თერთმეტი სტრიქონისაგან. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქვედა სამი სტრიქონის შუა ნაწილის ცოტათი დაზიანებას, წარწერა კარგადაა შენახული.

<sup>1</sup> ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის, ი. გოგიას თაოსნობითა და ამხ. ანდრიკუკავას ხელისშეწყობით დღეს ეს წარწერა და რელიეფური ფიგურები გადატანილია ხსენებულ მუზეუმში.

თითქმის ყველა სიტყვას ბოლოში სამი წერტილი უზის.  
 წარწერა შემდეგია:



ქარაგმების გახსნით ეს წარწერა ასე იკითხება:

„აჰა ესერა ზედამხედველმან და განმგებელმან ყოველთა-  
 მან წყალობა მისი რისხვად შესცვალა და მოავლინა<sup>1</sup>  
 ძრვა საშინელი სრულიად ერთს წელიწადსა. დაიქცა საყდარი  
 ცაიშისა და ესეც, და მრავალნი<sup>2</sup> საყდარნი და შენობანი.  
 ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ცაიშელ-ჯუმათელ მამათ-  
 მთავარმან გურიელის შეილმან, პატრონმან მალაქია მიყვავი  
 კელი აღშენებად საყდარსა ამას და აღღაშენეთ ბრძანე-  
 ბითა<sup>3</sup> დადიანისა, პატრონისა ლეონისითა, და ბიძის მისისა  
 ლიპარტიანისა პატრონისა ეიორგისასა და მეაბჯრეთ<sup>4</sup> ლუხუ-  
 ცისობასა მერაბ და კაცია[დ]სასა<sup>5</sup> | . . . . |<sup>6</sup> ჩვენთათვის,  
 ამინ. ეილ<sup>4</sup> და<sup>5</sup>“.

<sup>1</sup> ასეთ ფორჩხილებში ის ასოებია ჩასმული, რომლებიც დაწერილი არ არის, მაგრამ იგულისხმება.

<sup>2</sup> [ ] ფორჩხილებში იმ ასოს ესვამ, რომელიც არა ჩანს ქვის გაფუჭების გამო, მაგრამ უნდა ყოფილიყო ადგილის არსებობის მიხედვით.

<sup>3</sup> ეს სიტყვა სულ არ იკითხება.

<sup>4</sup> ეს სამი ასო ძალიან პატარაა და ამავე დროს ძლივსღაა დაფხაჭნილი, მაშინ, როდესაც დანარჩენი ასოები საერთოდ ღრმადაა ამოკვეთილი.

<sup>5</sup> ავტორს თითქოს განზრახული ჰქონია განეგრძო ტექსტი, მაგრამ უადგილობის გამო შეუწყვეტიაო. საერთოდ ეს და ამის წინა სამი ასო გაუგებარია.



წარწერა უქარონიკონოა. დასადგენია, როდის უნდა იყოს შესრულებული ეს წარწერა, ან უკეთ, როდისაა ეს ეკლესია აგებული?

როგორც ვნახეთ, წარწერა მოგვითხრობს იმ საშინელ მიწისძვრაზე, რომელსაც დაუნგრევია იქ მდგარი ეკლესია, ცაიშის საყდარი (აქედან შვიდიოდე კილომეტრითაა დაშორებული) და მრავალი სხვა საყდრები და შენობები.

ცნობები ამ საშინელ სტიქიაზე, რომელიც ამ მხარეში თითქმის ერთ წელიწადს ბობოქრობდა, ჩვენ სხვა წყაროებიდანაც გვაქვს, სახელდობრ, თვით ცაიშის საყდრის ხატების რამდენიმე წარწერიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, იქაც არც ერთ მათგანს არ უხის ქარონიკონი. მდგომარეობა თითქმის გამოუვალია, რადგანაც ამ წარწერაში სხვა ხელმოსაკიდი არაფერია. მაგრამ ვგონებ არსებობს ერთი გზა (თუმცა შორი), რომელიც სასურველ დასკვნამდე მიგვიყვანს.

ქტიტორი ეკლესიისა, როგორც წარწერიდან ჩანს, არის მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში საკმაოდ ცნობილი მალაქია (ეს ის მალაქიაა, რომელმაც გაიარა აღმავლობის თითქმის ყველა საფეხური და თავისი ჭკუისა და მოხერხებულობის წყალობით მიაღწია უმაღლეს მდგომარეობას). გურიელი გიორგის ძე მალაქია ჩვენი ცნობების მიხედვით პირველ ხანებში გვევლენება ცაიშელ-ჯუმათელ მთავარეპისკოპოსად, ცოტა ხანში ხონის კათედრაც მიემატა, შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსად, და ბოლოს ლევან II დადიანის დახმარებით გურიის მთავრად. (ჩემი აზრით, ეს ერთადერთი ადამიანია საქართველოს სინამდვილეში, რომელსაც ერთსადიმავე დროს ხელთ ეპყრა როგორც სასულიერო, ისე სამოქალაქო ხელისუფლება).

მალაქიას ეს ეკლესია აუგია ლევან II დადიანის ბრძანებით და გიორგის ღიპარტიანობის დროს. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ეს ამბავი უნდა მომხდარიყო ლევან II-ის გამეფების პირველ წლებში, რადგანაც ლევანს მისი მცირეწლოვანობის გამო სწორედ გიორგი ღიპარტიანი მიუჩინეს აღმზრდელად და სამთავროს განმგებელად. ეს რეგენტობა იწყება 1611 წლიდან, როდესაც მამამისი მანუჩარ I ნაღირობის დროს ტრაგიკულად დაიღუპა.

თეათინელი ბერი, არქანჯელო ლამბერტის<sup>1</sup> ცნობით, გიორგი ღიპარტიანი დაჯილდოვებული იყო ყველა იმ თვისებით, რაც აუცილებელია მცირეწლოვანი ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი-

<sup>1</sup> ლ ა მ ბ ე რ ტ ი, ა.—სამეგრელოს აღწერა, გვ. 15, თბილისი, 1938 წ.

სათვის. იგი მცირეწლოვან მთავართან ერთად მეტად გულმოდგინედ განაგებდა სამთავროს და ამიტომაც მის დროს „კოლხიდაში არავეითარი არეულობა და აჯანყება არ მომხდარა“. როდესაც ლევანი სრულწლოვანი გახდა, იგი თვით შეუდგა სამთავროს მართვას, მაგრამ გიორგი ლიპარტიანს ამის შემდეგაც პირველი ხმა ჰქონდა სამთავროს გამგებლობაში. ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა: ლევანმა თავის პირველ მეუღლეს, აფხაზეთას მთავრის შერვაშიძის ქალს ეჭვიანობის ნიადაგზე ცხვარა მოსჭრა და უკანვე მიჰგვარა მშობლებს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ უმადურმა აღზრდილმა დაივიწყა აღმზრდელისა და ბიძის ამბავი, წაართვა ახალგაზრდა ცოლი, სილამაზით განთქმული ნესტან-დარეჯანი, ჭილაძის ქალი, და თვით შეირთო. ძაძებში მოსილი გიორგი ლიპარტიანი შურის საძიებლად ომის მხადებისას გაურკვეველი მიზეზით უცებ გარდაიცვალა. აქ აღწერილი უკანასკნელი შემთხვევის თარიღი დადგენილი არ არის, მაგრამ ვუიქრობთ, რომ 25-იან წლებთან ახლოსაა.



სურათი 11.

რადგან ეს ეკლესია ორივეს ზეობაშია აგებული, სატიქრებელია, რომ ეს უნდა მომხდარიყო მათი კარგი დამოკიდებულების დროს, ე. ი. მმართველობის პირველ წლებში. ამ აზრის დასამტკიცებლად ჩვენ ხელთა გვაქვს სხვა საბუთებიც, რომლებიც უკვე დაკავშირებულია თვით მალაქიასთან და რომლის მიხედვითაც შესაძლებელია თითქმის ზედმიწევნით დავათარილოთ ძეგლი.

მალაქია ამ ეკლესიის აშენების დროს ყოვილა მხოლოდ ცაბშელ-ჯუმათელი მთავარეპისკოპოსი, ე. ი. ეს მომხდარა მისი

აფხაზეთის კათალიკოსად არჩევამდე, 1616 წლამდე<sup>1</sup> (ხონის ეპისკოპოსობა მან მიიღო უფრო გვიან). ამ თარიღის სისწორეს თუ დაეუწებოთ, მაშინ ცაიშის ხატების წარწერების<sup>2</sup> მიხედვით ჩვენ მივიღებთ, რომ მიწისძვრა მომხდარა 1614 წელს. მაშასადამე, ჯეგეთას წმ. გიორგის ეკლესიაც დანგრეულა ამავე წელს. ხოლო რადგანაც იქა „იძროდა ვითარ წელ ერთ“, ამიტომ იმავე წელს ყოვლად შეუძლებელი იყო ეკლესიის აშენება. ამავე დროს 1616 წლის შემდეგ უკვე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იგი აგებული იყოს, რადგანაც საკმაოდ თავმოყვარე მალაქიას, დღიდან მისი კათალიკოსად დანიშვნისა ჩვენამდე მოღწეულ საქველმოქმედო, თუ სხვა საბუთებშიაც არსად ავიწყდება თავისი ასეთი — საპატრიო ტიტულის მოხსენება.

მაშასადამე, ჯეგეთას წმ. გიორგის ეკლესია აგებულია 1615 წელს, უკეთ, მიწისძვრის დაწყებიდან მალაქიას კათალიკოსად დანიშნამდე, ე. ი. 1614 წლიდან—1616 წლამდე. რაც შეეხება იმას, ტექნიკურად შესაძლებელი იყო თუ არა ასე მოკლე დროში ძველი ეკლესიის ადგილას სრულიად ახლის აგება (ამას ხაზს, იმიტომ ვუსვამთ, რომ ძველი ეკლესიის კვალიც კი ახლა გათხრების გარეშე არ ჩანს), ამას ყველა ნათლად წარმოიდგენს, თუ მხედველობაში მიიღებს აბსოლუტურ ზომებს.

წარწერაში მოხსენებულ ორ დანარჩენ პირს კი—მეაბჯრეთ-უხუცეს შერაბსა და კაციას,—ჩვენ სრულებით არ ვიცნობთ სხვა საბუთებით, ამიტომ მათზე ვერაფერს ვიტყვი.

ამრიგად, ჯეგეთას მთაზე შერჩენილ ნანგრევთა და სხვა წყაროების ცნობათა შესწავლის ნიადაგზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ოდითგანვე შეიცავდა საკულტო ნაგებობათა კომპლექსს, და ერთ-ერთ პოპულარულ სამლოცველო ადგილს წარმოადგენდა სამეგრელოს გარკვეული მხარისათვის.

ამნაირად, მალაქიას მიერ აგებული მცირე ეკლესია (მის სხვა ნაამაგართან ერთად) მოწმობს სამეგრელოს მისწრაფებას კულტურულ აღმავლობისაკენ, მიუხედავად იქ არსებული ისეთი მძიმე პირობებისა, როგორიც მას ჰქონდა წინა საუკუნეებთან შედარებით მე-17 საუკ. დასაწყისში, მაგრამ სამწუხაროდ, იგივე ეკლესია თავისი მხატვრული ღირსებით კვმმარტი მათუწყებელია იმისა, თუ რამდენად დაეცა ამ დროისათვის ხელოვნება სამეგრელოში.

<sup>1</sup> ამის გარშემო იხილეთ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „საციიშლოს გამოსავლის დავთარი“—1913 წ. გვ. 1, მისივე „აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი დავთარი“, საისტორიო მოამბე, წიგნი მეორე, გვ. 177—197. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, 1878 г. გვ. 151.

<sup>2</sup> თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი II, თბილისი, 1914 წ. გვ. 157—176.



## ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი

### შესავალი

1872 წლის ჟურნალ „Кавказская старина“-ში (იხ. გვ. 68—72), დაბეჭდილია ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის წერილი: „Путевые записки по Мингрелии“, რომელიც დაწერილია 1867 წელს და ასახავს ამ კუთხის იმდროინდელ სინამდვილეს.

წერილის პირველ ნაწილში: „от Анаклии до м. Зугдиды“ — ავტორი ამბობს: „При этом доме<sup>1</sup> тот-же владетель<sup>2</sup> развел сад с оранжереями по Европейскому образцу, который был единственный в своем роде и чуть-ли не лучший во всей империи по экземплярам редких растений, громадных по климатическим условиям...“

Сад этот можно-бы назвать чисто ботаническим по разнообразию растений как умеренного, так и жаркого климатов...

კ. ბორჯღიძის შრომაში: „Омер-Паша в Мингрелии“ (из воспоминаний о 1854-ом, 55-ом, и 56-ом годах<sup>3</sup>) ნათქვამია: „В Зугдидах был большой и удобный дом с прекрасною мебелью, привезенною из Парижа и при нем — сад действительно очаровательный“. Владетель Давид ничего не жалел на разведение этого сада, из Милани выписывал он самые редкие деревья, растения и цветы и содержал трех садовников приглашенных из загра-

<sup>1</sup> ლაპარაკია სამეგრელოს მთავართა — დადიანების სასახლეზე.

<sup>2</sup> იგულისხმება სამეგრელოს მთავარი — დავით ლევანის ძე დადიანი.

<sup>3</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის საარქივო ბიბლიოთეკა № 1800, გვ. 18—19.

ნიცი, из которых главный — славянин Бабин, был вполне знаток своего дела...

... При саде находились великолепные оранжереи и грунтовые сараи, в которых насчитывалось более 500 деревьев апельсинных, лимонных, папельмосов, бананов и других редких фруктовых деревьев, но особенно хорош был цветочный отдел; трудно было счесть все сорта роз"... და სხვა... შემდეგ ავტორი ასახელებს ბაღში არსებულ მრავალ უცხო მცენარეს, ავგიწერს იმათს საერთო სიმშვენიერეს და ბოლოს დაასკვნის: „Одним словом Зугдидский сад был замечателен во всех отношениях, а в Закавказском крае он не имел себе равного“.

არანაკლები ჭებით იხსენიებს ამავე ბაღს მეორე უცხოელი მეცნიერი, საქართველოს ცნობილი ისტორიოგრაფი, მარა ბროსე.

დასასრულ იმ პერიოდის სამეგრელოს ყველაზე უფრო სანდო შეისტორიე იონა მეუნარგია თავის წერილში, რომელიც დაბეჭდილია 1882 წ. გაზეთ „Кавказ“-ის 249, 250, 251—№№-ში წერს: „Ея-же<sup>1</sup> личным трудам обязан своим существованием наилучший из существующих в Закавказьи садов<sup>2</sup>, Зугдидский владетельский сад...“

Чтобы придать какую-нибудь жизнь этой глуши, княгиня задумала развести сад возле своего дворца, выписала необходимые семена и деревья из королевского, Версальского сада Луи-Филиппа, и действительно, развела такой сад, которому нет подобного на Кавказе“...

ყოველივე ეს საკმაო საბუთად უნდა ჩაითვალოს იმისათვის, რომ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის წარმოშობა-განვითარების შესახებ რამდენიმე ცნობა მოვიგონოთ, აღვადგინოთ და, როგორც მასალა, გადავსცეთ ისტორიის მომავალ მკვლევართ...

### ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ისტორიისათვის.

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი,—„თბილისის ბოტანიკური ბაღის სუბტროპიკული განყოფილება“, რომელსაც ამჟამად ეწოდება „ქ. ზუგდიდის კულტურისა და დასვენების პარკი“, წარმოადგენს

<sup>1</sup> იგულისხმება ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა.

<sup>2</sup> ხაზი ჩემია. ი. გ.

სამეგრელოს ყოველ მთავართა—დადიანების—სასახლესთან გაშენებული დეკორატიული ბაღის გაგრძელებას და მისი ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია თვით სასახლის, როგორც მთავართა რეზიდენციის, ისტორიასთან; ამიტომ, რამდენადაც თვით ზუგდიდი ზღემა სამეგრელოს მთავართა რეზიდენციად მათი ბატონოების მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში, იმდენადვე ამ ბაღსაც დიდი ხნის ისტორია არა აქვს...

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ეს ბაღი მთლიანად, ერთდროულად არ გაშენებულა იმ სახით, როგორც დღეს არსებობს, არამედ თავის ჩასახვა-წარმოშობიდან დღემდე მან მრავალი ცვლილება და ზოგჯერ სტიქიური კატასტროფაც კი განიცადა, რომელთა მიხედვითაც შეიძლება მისი განვითარება დაყოთ რამდენიმე ეტაპად, ანუ პერიოდად.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავარკვიოთ და მიახლოვებით მაინც დავადგინოთ, თუ როდის დაიწყო ამ ბაღის გაშენება და როგორი იყო მისი შემდგომი განვითარება?..

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი მე-18 საუკუნის დასაწყისში იხსენიებს ზუგდიდში: „სასახლე დადიანთა დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი“-ო<sup>1</sup>... აგრეთვე ამბობს: „ქვალად ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი, მთითბარამდე“<sup>2</sup>... მაგრამ ამ დიდ-შენი და პალატებიანი სასახლის გარშემო წალკოტის, ანუ ბაღას არსებობაზე სრულებით არას ამბობს...

არ იხსენიებენ მას არც მე-17 საუკუნის მისიონერი არქანჯელო ლამბერტი და არც შემდგომი მკვლევარ-მოგზაურნი, ვიდრე მე-19 საუკუნემდე. მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ბაღი წარმოიშვა დაახლოვებით მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. მის პიჯველ, ანუ დასაწყის პერიოდად უნდა ჩაითვალოს სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანის დრო—მე-18 საუკუნის ბოლო და მე-19 საუკუნის დასაწყისი,—როდესაც ეს მიდამოება ჯერ კიდევ დაფარული იყო გაუვალი ტყეებით და წარმოადგენდა იმ ერთი მთლიანი უდაბური ტყის გაგრძელებას, რომლითაც უძველეს დროიდანვე დაბურული იყო კოლხიდა შავი ზღვის ნაპირებიდან მთის კალთებამდე.

ცნობილი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც 20 წელი დაჰყო ოდიშში (1633 წლიდან 1653 წლამდე), ასე

<sup>1</sup> ვახუშტი—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის გამომც. 1941 წ., გვ. 167,

<sup>2</sup> იქვე—გვ. 170.



აღწერს იმ დროის ამ ადგილებს: „ზღვის ნაპირი თითქმის სულ დაცულია ტყეებითა და გაუვალი ჭაობებით, ეს ტყეები და ჭაობები კედლების და თხრილების ჩაიფრობას ასრულებენ და ამ რიგად უშიშრად ხდიან ამ კუთხეს გარეშე მტრების თავდასხმისაგან“...<sup>1</sup> ქვემოთ იგი უფრო მეტსაც ამბობს „ჩამთარში მეგრელი თავს იფარებს ტყეში, სადაც შეშას ბლომად შოულობს და ცეცხლს განუწყვეტლად ანთებს სახლში, თან ხშირი ხეები ქარისაგან იფარავს და თან გარეული ღორი!ა და ირმის სიმრავლისა გამო, ნადირობასაც მუდამ შეეჭკვევა“...<sup>2</sup>

ამ ტყეებში ხეებს შორის სჭარბობდა: მუხა, რცხილა, წიფელი, ჭადარი, წაბლი, კაკლის ხე, თელა, თხმელა, ხშირი იყო აგრეთვე ნეკერჩხალი, იფანი, დიდკულა, ცაცხვი, ხურმა, თუთა, ლელვი, ბალამწარა, ტყეშალი, პანტა, ვაშლი, მსხალი, შვინდა-ანწლა, ბზა, კეთილშობალი დაფნა და სხვ. დაბალ ჯიშებიდან: ბროწეული, შინდი, კოწახური, კუნელი, ზღმარტლი, შაშვიპურა, მოცვი, იელი, (ყვითელი ალენდრა), ხოლო გაბატონებული ადგილი ეჭირა გარეულ თხილს; მხვევადიდან—(ИЗ ВЬЮЩИХСЯ) სუროს და ფშალას—(მხვევადი იასამანი და ლიანა შემდეგ არის შემოტანილი).

ამ ხეებიდან ზოგ ადგილებში ვეებერთელა ფართობები ეჭირათ ცალკეულ ჯიშებს, რის გამოც წარმოშობიდან და დღემდე დარჩენილან ასეთი სახელწოდებები: „ჯოღეჯიანი“, „თხირიში“, „ხომალონი“, „ზაკალონი, „ქყონა“ და სხვ.

დღევანდელი ზუგდიდის, ინგურ-ქალაქის კომბინატის, სახერხი ქარხნის და ინგურის რკ.-გზის სადგურის მიდამოები მთლად მუხის ტყით ყოფილა დაფარული. ტყეში მრავლად ბუდობდა რკოთი ნაკვები გარეული ღორი, საიდანაც ამ ადგილს ეწოდა სახელად „ჯოღეჯიანი“ (საღორია). თუმცა დღეს აქ იმ მუხათა ფესვებიც აღარ მოიპოვება, ხოლო გარეული ღორების ხსენებაც კი გამჭრალა, და მათ ნაცვლად თვალუწევდნელ მინდვრებზე ზღვასავით გადაჭიმულა საბჭოთა მწვანე ოქროს მშვენიერი პლანტაციები და ქალაქ-ცელიულოზის ქარხნის მაღალ საყვირს საათობით გააქვს გუგუნი, რათა შორით-შორს მიაწვდინოს-საბჭოთა ინდუსტრიის აყვავების სასიხარულო ამბავი,—სახელი „ჯოღეჯიანი“ მაინც ჯერ კიდევ შერჩენია ამ არე-მარეს.

ამგვარადვე, ჯოღეჯიანიდან რუხის მამართულებით რამდენიმე ასეული ჰექტარი წარმოადგენდა პირწმინდა თხილნარს, რა მი-

<sup>1</sup> სამეგრელოს აღწერა, არქანჯელო ლამბერტისა, „ფედერაციის“ გამრც. 1938 წ. გვ. 6.

<sup>2</sup> იქვე გვ. 32.

ზეზითაც ამ ადგილს დღემდე შერჩენია სახელად „თხირიში“ (თხილისა)...

ეს ტყეები ყოველთვის მდიდარი იყო აგრეთვე სხვადასხვაგარეული ცხოველ-ნადირით; მათ შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო და ცნობილი იყო: ირემი (კავკასიური), შველი, გარეული ღორი, დათვი<sup>1</sup>, მგელი, ტურა, მელა, კურდღელი, წავი, ციყვი-თრითინა, მაჩვი და სხვა... ხოლო ფრინველთაგან: გედი, იხვი, ხოხობი, ტყის ქათამი (куропатка) და სხვა, რომელთა შთამომავალნი (გარდა ირმისა და დათვისა) დღესაც მრავლად მოიპოვება ამ ტყეთა ნაშთებში<sup>2</sup>.

ამ ტყეთა დიდი ნაწილი—ზუგდიდი და მის გარეშემომცველი მიდამოები—ითვლებოდა საუფლისწულო, —სადადიო მამულად, და მას წინაპირველად საგანგებო მცველები—მეტყევეები ჰყავდა მთავრის მიერ დაყენებული, რათა სხვებს: გლეხებს ან თავად-აზნაურებს არ გაეჩანაგებიათ, ან არ მიეთვისებიათ იგი.

ამ ვითარების სინამდვილეს ადასტურებს ოფიციალური ისტორიული დოკუმენტი, —გენ. გესსეს რაპორტი გენ-ადიუტ. სიპიაგინისადმი 1828 წ. 22 თებერვლის № 34-ით. გესსე წერს:

Кн. Дадияни имеет у себя заповедный лес для зверинной охоты, по эту сторону р. Ингура находящийся, разстоянием от Зугдиди в 8-ми верстах, в который запрещено им всем жителям не пускать скота и приставлен для наблюдения за оным караул“...<sup>3</sup>

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტი ამ ტყეებში თეთრი დათვის არსებობასაც კი ამტკიცებს. იგი ამბობს: „მთებში ძლიერ ბევრი დათვია. ცაიშის მთაზე, რომელიც განცალკევებულია სხვა მთებისაგან და არის შუა კოლხიდაში, მოიპოვება სრულებით თეთრი დათვი. ჩემს დროს აქ იპოვეს ერთი ასეთი დათვის ბელი, რომელიც აჩუქეს მთავრის შვილს — მანუჩარს, ეს ბელი მოშინაურდა, იგი სასახლეში ჰყავდათ სახალისოდ. იმავე მთაზე ერთმა დიდებულმა მოჰკლამეორე [თეთრი] დათვი, რომლის ტყავი მაჩვენა მე“...

(იხ. არქანჯელო ლამბერტი: „სამეგრელოს აღწერა“, თარგ. ალ. ჭყონიასი, 1938 წ. გამოც. გვ. 186).

<sup>2</sup> ამასვე ადასტურებს მეორე მე-19 საუკუნის ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე რაფ. ერისთავი, როცა ამბობს: „В здешних лесах так много было дичи, что олени и дикие козы табунами бродили в близи самых Зугдиди“... (იხ. „Путевые записки по Ментрелии“ — ეურ.: „Кавказская старина“, 1872 г. გვ. 68).

<sup>3</sup> იხ.: Акты Кавказской археографической комиссии, 1878 г. т. VII, გვ. 398, § 3261 (ვიცავთ ორიგინალის სტილს—ი. გ.)

ეს ნაკრძალი, სადადიო მამულები, როგორც აქვე მოყვანილ დოკუმენტიდანაც სჩანს, წარმოადგენდა უშთავრესად სანადირო ფართობს.

აქ ზედმეტი არ იქნება, რომ ცოტა გადავუხვიოთ ჩვენს პირდაპირ თემას და ორიოდ სიტყვით შევეხოთ ამ ნადირობის საკითხსაც (რაც, ვფიქრობ, მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება)...

ნადირობის ტრადიცია დასაბამითვე მოსდევდა ქართველ ღრდებულებს და სამეგრელოს მთავარნიც, ლერმონტოვის სიტყვებით რომ ვთქვათ: „Свято соблюдали родной обычай старины“. ამის შესახებ მე-19 საუკუნის ცნობილი მწერალი რაფაელ ერისთავი წერს: „В прочем, страсть к охоте преобладала почти во всех владетелях Мингрелии и членах их дома. Мы видим из летописей грузинских, что из владетелей мингрельских Леван I-ый, будучи на охоте, был сбит лошадыю и он сломав себе шею скончался в 1572 году; Манучар I-ый был раздавлен табуном диких оленей в 1611 году<sup>1</sup>“.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ნადირობა არ იყო მარტო მამაცობისა და გმირობის გამოჩენის სურვილით, ან სხვა რაიმე მოსაზრებით აკვიატებული ჟინი, არამედ იგი აუცილებელიც იყო, რამდენადაც თვით ნადირი უსაჭიროეს რამეს წარმოადგენდა ყოველი შეძლებული მებატონისათვის.

უცხო ნადირის ხორცი სუფრაზე დიდ ღირსებად ითვლებოდა მასპინძლისათვის: ის იყო ქართული ტრადიციული სუფრის ყველაზე უჯრო საპატიო კერძი. უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმდროინდელ სუფრას. ამ მხრით გამომუშავებული და დადგენილი იყო მთელი წესი, რომელიც თანდათან იქცა მხარის კულინარიის ტრაქტატად და ბოლოს მასზედ გამომუშავდა კვების, სმა-ჭამის თავისებური ტრადიცია. ამის მიხედვით, იმდროინდელი ცოტად თუ ბევრად შეძლებული და ღირსეული სუფრის აუცილებელს და დამამუშვენებელ ნაწილს შეადგენდა სხვადასხვა გარეული ფრინველისა და ნადირის ხორცი. აი რას ამბობს ამის შესახებ მე-17 საუკუნის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი:

<sup>1</sup> იხ. „Путевые записки по Мингрелии“, („Кавказская старина“ 1872 г. гв. 68 — 72.)



„რაც შეეხება ქორწილს, ან სხვა დიდი წვეულების დღეს, როდესაც პატივობენ სტუმრებს ასობით, მაშინ ბლომად ჰკლავენ ხარებს, ვინ ათს, ვინ ოცს და ვინ ოცდაათს, იმდენსავე ღორს და ასიოდე ქათამს და ყვერულს, რომელიც ხონჩებით მოაქვთ სტუმრებთან, ხშირად ორმოცდაათამდე დაალაგებენ ამისთანა ხონჩებს, რაც დიდკაცობის და სიმდიდრის ნიშანია. გარდა ამისა დაამზადებენ ყოველნაირ ფრინველსა<sup>1</sup> და ნადირს, რომელიც კი იმ დროს იშოვება და წამოაგებენ შამფურზე. ერთ შამფურზე წამოცმულია კურდღელი, ზეორეზე ხოხობი და ა. შ. ... ყველა ესენი ორმოცდაათი კაცის საყოფი მაინც უნდა იყოს“ და სხვ...<sup>2</sup> საერთოდ მეგრული სუფრის თავისებურება, ძველადგანვე ცნობილი, მე-19 საუკუნის ბოლომდე აღწევს, ხოლო მისი ზოგიერთი გადმონაშთი დღესაც წიობოვება სამეგრელოს სხვადასხვა განაპირა კუთხეში. განსაკუთრებით განირჩეოდა მთავართა ოჯახების ნადიმი. აი როგორ აგვიწერს ამას რაფიელ ერისთავი „Тут происходили чисто гомерические пиры, которые можно еще изредка встречать, хотя и в меньшем виде, в Имеретии, Гурии и Мингрелии, на этих пирах подают безчисленное множество блюд холодных под разными кислыми соусами, жаркия из целых баранов, ягнят, поросят и даже иногда коров, в которой лежит жаренный теленок, в теленке—ягненок, в ягненке курица, а в курице яйцо... Мало этого перед каждым гостем лежат целые куски говядины; лопатки, филлеи, ребра и пр. Попойка идет страшная: знаменитые питаки выпивают по 10—15 бутылок вина, поют, беседуют и обеденная трапеза иногда заменяется ужином и продолжается до следующего дня. Кроме способности их с'едать огромное количество яств и выпивать неимоверное количество вина, вас удивит еще этикет, и терпение их высиживать почти целые сутки не вставая с места“...

მაგრამ ყველა ამ ნადიმს, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, უეჭველად, ამშვენებდა უცხო ნადირთა და გარეულ ფრინველთა ხორცი,—უამისოდ მთავრის სუფრა სრულყოფილად არ ჩაითვლებოდა.

<sup>1</sup> იგულისხმება გარეული ფრინველი.

<sup>2</sup> იხ. არქანჯელო ლამბერტი: „სამეგრელოს აღწერა“. გვ. 44.

<sup>3</sup> იხ. უტრ.: „Кавказская старина“ 1872 г. стр. 68—72.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ ნადირისა და, მაშასადამე, ნადირობის აუცილებლობა ფეოდალურ სამეგრელოში, ხოლო ამისათვის კი, ცხადია, აუცილებელი იქნებოდა თვით ამ ნადირობის ობიექტის—ნადირის არსებობა გარემოში, ბუნებაში. მისი სიუხვე და მისაწვდომ ადგილებში ბინადრობა უეჭველად სანატრელი უნდა ყოფილიყო, ხოლო სიმცირე და სიშორე სავალალო იქნებოდა მონადირისათვის, ამავე დროს თუ როგორია მაშინდელი სინამდვილე, ამის პასუხს ვხედავთ იმავე „Путевые записки по Мингрелии-ში“,—სადაც ავტორი ამბობს: „В здешних лесах так много было дичи, что олени и дикие козы табунами бродили вблизи самых Зугдид, но за-то теперь так редки стали дикие козы, (а оленей и вовсе нет), что нужны большие усилия, чтобы отыскивать их пары две“...<sup>1</sup>

ამის შემდეგ სრულიად გასაგებია ის გარემოება, რომ ზემოთ მოხსენებულ ტყეთა ერთი ნაწილი გამოცხადებული იყო საუფლისწულო, სადადრო ნაკრძალ მამულებად. და სწორედ ეს ნაკრძალი მამულები უნდა ჩაითვალოს ზუგდიდის დღევანდელი ბოტანიკური ბაღის პირველ სათავედ.

ახლა ისწება კითხვა, როდის, ანუ რა დროიდან და ვისგან იწყება ამ ტყის გარდაქმნა დეკორატიულ ბაღად?

როგორც ზემოხსენებული დოკუმენტებიდან ჩანს, 1838 წ. ზუგდიდის სასახლესთან ყოფილა სამეგრელოს მთავრის ნაკრძალი ტყე—სანადირო („Заповедный лес для звериной охоты“...), ხოლო ბაღის ხსენებაც კი არ არის, მაგრამ 1848 წელს გამოცემულ შრომაში: (იხ.: Муравьев—„Грузия и Армения“—часть III, стр. 278), ავტორი წერს: За версту от Зугдида, в густом лесу, встретил нас Владетель Давид... Прежде, нежели ввести меня в дом свой, он пригласил пройти через сад, любимый предмет его сельских занятий, и действительно, обилие цветов европейских, под роскошным небом Азии, привлекательно для взоров“...

თუცა ეს წიგნი დაბეჭდილია 1848 წელს და ცენზურის მიერ ნებადართული 1847 წ., მაგრამ, ცხადია, ცენზურაში წარდგენამდე რამდენიმე წლით (1—2) ადრე იქნებოდა დაწერილი. ხოლო ბაღი, რომელიც მისი დამზადების დროს ევროპული ყვავილების

<sup>1</sup> იხ.: „Кавказская старина“—1872 წ. გვ. 68.

სიუხვე, აზიის მშენებელი ცის ქვეშ უკვე თვალწარმტაცი იყო“, — უეჭველად რამდენიმე (4—5) წლის გაშენებული მაინც უნდა ყოფილიყო.

მაშასადამე, ზუგდიდის ტყეების ბაზაზე, ბოტანიკური ბაღის ჩასახვის პერიოდად უნდა ჩაითვალოს 1828 წლისა და 1840 წლების შუალედი—10—12 წელი.

მართლაც, გრიგოლ დადიანის (1788-1804 წ.) და შემდეგ მისი მემკვიდრის ლევან მე-5 დროს (1804-1846 წ.), როდესაც, სამეგრელო პოლიტიკურად უკვე შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ და ამასთან დაკავშირებით ზუგდიდი საბოლოოდ განმტკიცდა სამეგრელოს მთავართა რეზიდენციად, და თანახმად რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მიერ ბოძებული 1806 წ. 31 მაისის რესკრიპტისა, ზუგდიდს გრიგორიოპოლიც კი ეწოდა სახელად, როგორც ი. მეუნარგია ამბობს: „განსვენებულ — უგანათლებულეს თავად გრიგოლ დადიანის, სამეგრელოს აწინდელი მთავრის მამის მოსაგონებლად“<sup>1</sup>, — „სასახლის გარშემო მდებარე ტყეების ერთი ნაწილი შემოფარგლულ იქნა ხელოვნური ზღუდით და მიჩნეულ იქნა სასახლის ბაღად“... და აი სწორედ, ეს პერიოდი უნდა ჩაითვალოს ამ ბაღის განვითარების პირველ ეტაპად.

ბაღის მშენებლობა უძველეს დროიდანვე ისახავდა ორ უმთავრეს ამოცანას: პირველი — უტილიტარულს, როდესაც ბაღი შენდებოდა გამოყენებისა და გამორჩენის თვალსაზრისით; ამ შემთხვევაში მთავარი ყურადღება ექცეოდა ისეთ მცენარეთა ჯიშებს, რომელთაც რაიმე პრაქტიკული, გამოყენებითი მნიშვნელობა ჰქონდათ (ხეხილი, საშენი მასალა, შეშა, წკნელი, ნადირთა მოშენება, ქარის საფარი და სხ.), ან მეორეს — დეკორატიულს, ე. ი. ბაღი შენდებოდა სილამაზის მიზნით, და მაშინ მთავარი ყურადღება ექცეოდა როგორც საერთოდ ბაღის, ისე მისი შემადგენელი ნაწილების და ცალკეულ მცენარეთა გარეგნულ მხატვრულ სილამაზეს, გაფორმებას, დეკორაციას.

დადიანების პირველი ბაღიც სწორედ იმ პირველით — უტილიტარული მიზნით შენდებოდა, და ამიტომაც მას თავისი პირველყოფილი, ველური სახე დიდად არ შესცვლია. პირიქით, იზოლირება და დაცულობა იწვევდა მისი უფრო მეტად შემკვრივებას, გავლურებას, თუმცა ამავე დროს თვით მცენარეთა თავის-თავად

<sup>1</sup> ი. მეუნარგია: „სამეგრელო დავით დადიანის დროს“ ს. ცაიშვილის რედაქციით: გვ. 48.



სიმშვენიერე დეკორატიულ იერსა და ელფერსაც არ აკლებდა მას...

სასახლის ბაღად მიჩნეულ ადგილებში შესვლა, მცენარეთა მოჭრა, ხილით სარგებლობა, საქონლის შეშვება და ნადირობაც, როგორც ზემოთმოხსენებულ ოფიციალურ დოკუმენტიდანაც და ვინახეთ, მთავრის ნებართვის გარეშე სასტიკად ეკრძალებოდა ყველას გარდა მისი ოჯახის წევრებისა.

ბაღში დღითი-დღე მრავლდებოდნენ როგორც მცენარეები, ისე ცხოველებიც, იგი თანდათან ხდებოდა მთავართა გასართობ სანადირო შინაურ ასპარეზად. ასე იყო ლევან მე-5 დროს.

1840 წელს მთავარმა ლევან მე-5-ემ სიცოცხლეშივე გადასცა სამთავრო ტახტი თავის შვილს დავითს.

დასავლეთ ევროპის კულტურასა და ცხოვრების წესებს უშუალოდ გაცნობილი ახალგაზრდა დავითი, მმართველობის ხელში აღებისთანავე, შეუდგება რა თავის სამთავროში პოლიტიკური სიახლის შეტანას, მართვა-გამგეობაში ახალი რეფორმების გატარებას, ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით ეკიდება სასახლეების და მის გარშემო არხებისა და ბაღების მშენებლობის საქმეს. სამთავროს ბიუჯეტიდან რესურსების გაღებით და სპეციალისტ მებაღეთა მუდმივი შტატის ინსტიტუტის დაწესებით, იგი მტკიცე საფუძველს უყრის ევროპული სტილის დეკორატიულ ბაღს. ამავე დროს თავის მეუღლეს—ეკატერინე ჭავჭავაძის ასულს უმთავრეს საზრუნავ საგნად მიუჩენს სასახლის ბაღის მართვა-გამგეობას.

ამასვე ადასტურებს კ. ბოროზდინიც იმავე ზემოხსენებულ შრომაში: „Омер-Паша в Мингрелни“<sup>1</sup> როცა ამბობს: „Одним словом Зугдидский сад был замечателен во всех отношениях, а в Закавказском крае он не имел себе равного и был преимущественно творением самой княгини Дадиан, до страсти любившей садоводство.“

ეკატერინე სიყვარულით და დიდი ენერგიით ჰკიდებს ხელს ამ საქმეს. თითქოს ეჯიბრება ქმარს და აქ, ამ საქმეში ცდილობს გამოიჩინოს თავისი სახელმწიფოს მართვის ნიჭი, უნარი და მაღალკულტურული ესთეტიკური გემოვნება. ამიტომაც სრულიად მართებულად და ისტორიული სინამდვილის შესაბამისად ამბობს ი. მეუ.

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის მუზეუმის საარქივო ბიბლიოთეკა № 1800, გვ. 18;

ნარგია თავის წერილში:<sup>1</sup> „მისსავე პირად შრომას უნდა უმაღლოდეს თავის არსებობას ამიერკავკასიაში არსებულ ბაღებს შორის ყველაზე საუკეთესო, — ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი. გამოიწერა ამისათვის საჭირო თესლეული და ხეების ნერგები მეფის — ლუიფილიპეს ექრსალის ბაღიდან და მართლაც გააშენა ისეთი ბაღი, რომლის ბაღადი არ მოიპოვება კავკასიაში“.

ბაღს სულ მალე დაეტყო მოსიყვარულე და მაღალი ესთეტიკური გემოვნების პატრონთა ნზრუნველი ხელი. ბაღის მშენებლობის მთავარ ხელმძღვანელად მოწვეული იყო ქ. ტრიესტიდან სპეციალისტი მებაღე ჟოზეფ ბაბინი<sup>2</sup>.

აი, აქედან იწყება ამ ბაღის რადიკალურად გარდაქმნა სრულიად ევროპულ-დეკორატიული ბაღის სტილზე. ეს პერიოდი უნდა ჩაითვალოს მისი განვითარების მეორე ეტაპად... ბაღი დაიხვეწა, გაიწმინდა უხეირო, ველურ ჯიშებისაგან და მათ ადგილას გაჩნდა მრავალი ახალი, შორეული, და ადგილობრივი, თუ უცხო ჯიშები და უკვე 1847 წელს გამოცემულ შრომაში: „Грузия и Армения“ (იხ. ტ. III, გვ. 278-9), მურავიოვი — წერს: „და მართლაც ევროპული ყვავილების სიუხვე, აზიის მშვენიერი ცის ქვეშ თვალწარმტაცი იყო“-ო.

ხოლო 1852 წელს გაზ. „Кавказ“-ის № 76-ში დაბეჭდილ ფელეტონში — „Возвращение“ — ავტორი ამბობს: „Мы шли мимо оранжерей, по аллеям чудесного сада“.

იმვე გაზეთის იმავე წლის № 77-ში იმავე წერილის გაგრძელებაში ავტორი ამბობს: Тут-же недалеко вы увидите дерево<sup>3</sup>, под которым владетельный князь принимает жалобы своих вассалов и одним словом решает их споры. Тут происходят народные игрища, где никогда, никто не забудется перед старшим и где однако не всем свободно и весело, но павилион, в котором так резко изображается картина средневекового быта, окружен роскошным английским парком, устроенным вы-

<sup>1</sup> იხ. გაზ. „Кавказ“, 1882 წ. № 249—51.

<sup>2</sup> ი. მეუნარგია: „სამეგრელო დავით დიდიანის დროს“, სოფ. ცაიშგელის რედაქციით, გვ. 58.

<sup>3</sup> ეს იყო უზარმაზარი კაკლის ხე, რომელიც იდგა ნიკო დავითის-ძე დიდიანისეულ სასახლის (ებლა მუხეუმის შენობა) ახლო, მისი დიამეტრი 1 მეტრს აღემატებოდა, მოადწია 1919 წლამდე.

писанными из-за границы садовниками<sup>1</sup>. Кругом разводятся плантации“...

ჟოზეფ ბაბინმა განსაზღვრა და დააზუსტა წმინდა დეკორატიული ბაღის ფართობი, მოაწყო პირველი სანერგე და ორანჟერეა. მან პირველმა დაგეგმა ეს ბაღი ფრანგული სიმეტრიული სტალით, გაათორმა ცალკეული ნაკვეთები, ყვავილნარები, გაზონები, ჩამოაყალიბა ხელოვნური პეიზაჟები, რომელთაც სცვლიდნენ შიგადაშიგ შეხამებით დატოვებული ბუნებრივი პეიზაჟებო.

ამ დროიდან იწყება აქ ჩვენი ქვეყნისათვის იშვიათი მცენარეების, მანამდე უცხო და უცნობი ეგზემპლარების შემოტანა.

ამრიგად გაჩნდა აქ პირველად მაგნოლია, ტიულპანი, ბევნონია, მიმოზა, კორპის ხე, კვიპაროზი, კრიპტომერია, ლაგუსტრემია, სხვადასხვანაირი ტუია, პავლოვანია, ქრისტეს-გვირგვინა, ცრუ აკაცია და სხვ., რომელთა პირველი ეგზემპლარები, საცდელი ნიმუშები, შემოტანილ იქნა დასავლეთ ევროპიდან, განსაკუთრებით იტალიიდან და საფრანგეთიდან. ხოლო ეგზოტიკური მცენარეების მასობრივი შემოტანა ხდება უფრო გვიან, დავითის გარდაცვალების შემდეგ, და განსაკუთრებით-კი მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, ეკატერინე ჭავჭავაძის პარიზიდან დაბრუნებისა (1869 წ.) და მასი სიძის—პრინც აშილ მიურატის სამეგრელოში გადმოსახლების (1870—72 წ.) შემდეგ.

ამ ბაღის იმდროინდელ ფაქტიურ მდგომარეობას ასე აგვიწერს რაფ. ერისთავი 1867 წელს ზემოთ მოხსენებულ წერილში:

„В особенности он богат цветочными деревьями и кустарниками. Тут между магнолиями и меллиями увидите сирени, туи и гледичии, между плющем и пассифлора,—вьющихся роз и биноний—индика, легистремией и зонтичных акаций—глекциний и кипарисы; между стафилеа и азалей—лириодендроны и филадельфус; словом, чтобы исчислить все растения сдешняго сада, нужно составить целый лексикон, а описание его превышает предел настоящей статьи. В этом-же саду видите пруд, когда-то полный рыбами и редкими птицами; тут-же увидите мраморные обломки фонтанов и развалины сожженного тогда-же<sup>2</sup> каменного дома<sup>3</sup>, на котором стоял легкий

<sup>1</sup> ხაზ ჩემია—ი. გ.

<sup>2</sup> დასწვა ისკანდერ ფაშამ 1856 წელს, ოსმალთა შემოსევის დროს.

<sup>3</sup> ეს ის ხანგრევია, რომელიც დღესაც სდგას ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში, ალაყაფის კარების მახლობლად.



деревянный, прекрасной резной работы дом с стеклянной галлерей, где, как говорят, помещалось до 400 гостей веселившихся с владельцем в большие праздники“.

ყოველივე ზემოთ მოხსენებულს ნათლად ადასტურებს აგრეთვე კ. ბოროზდინი თავის შრომაში: „Омер-Паша в Мингрелии“<sup>1</sup>, სადაც, ამ ბაღის მშენებლობის პირადად მომსწრე ავტორი წერს შემდეგს: „В Зугдидах был большой и удобный дом с прекрасною мебелью, привезенною из Парижа, и при нем сад действительно очаровательный. Владелец Давид ничего не жалел на разведение этого сада, из Милани выписывал он самые редкие деревья, растения и цветы и содержал трех садовников приглашенных из заграницы, из которых главный—славянин—Бабин был вполне знаток своего дела, а благодетельные климат и почва Мингрелии помогли разрастись всему насаждаемому. Магнолии, грандифлора, бигнонии, паулонии, мимозы, кипарисы, алеандры достигли до колоссальных размеров и образовали сплошные аллеи. При саде находились великолепные оранжереи и грунтовые сараи, в которых насчитывалось более 500 деревьев апельсиновых, лимонных, папельмосов, бананов и других редких фруктовых деревьев. Но в особенности хорош был цветочный отдел; трудно было считать все сорта роз, а из них некоторые кустами своими разрослись до саженной вышины, также богата была и коллекция камелий. Одним словом Зугдидский сад был замечателен во всех отношениях, а в Закавказском крае он не имел себе равного и был преимущественно творением самой княгини Дадиан, до страсти любившей садоводство.“

В соседстве с Зугдидским садом находился парк, населенный дикими козами, оленями и данилками, перевезенными сюда из крымского имения князя Воронцова. Звери эти до того были ручные, что шли на зов и из рук ели корм“...

ა ახედვეთ მ გვიტხრობის დავით დადიანის დროის სამეგრელოსა და სვით დავითის ცხოვრება-მოღვაწეობის სახლო წესტორიე ი. მეუარგია:

<sup>1</sup> კ. ბოროზდინი: „Омер-Паша в Мингрелии“. გვ. 18—19. იხ. ზუგდიდის მუზეუმის საარქივო ბიბლიოთეკა, № 1.800.

„ქოზეფის გეგმით გაშენდა ბაღში მშვენიერი ორანჟერეა, რომელსაც პირი სასახლისაკენ ჰქონდა მიქცეული, და დაინერგა ხეების ლაბირინტი. შემდეგ გაკეთდა ვრცელი აუზი, რომელსაც ასაზრდოვებდა მდ. ჩხოუშიდან გამოყვანილი არხი<sup>1</sup>.

ჩრდილოეთის მხრით აუზში შედის ბაღიდან ალღეა, ამალღებული ნახევარკუნძულად, ამ ადგილზე იყო გაშენებული, აქვე დარგული ხეებისაგან შემდგარი ფანჩატური<sup>2</sup>, აქ, სალამობით სასეირნოდ გამოდიოდა მთავრის ოჯახი. აქედან უყურებდნენ ნავით მიმოსვლას აუზში და გედების ცურვას, ან ცოცხალ-ცოცხალი თევზების ჭერას სასროლი ბადით.



ტბა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში.

სამხრეთის მხრით, იმ ადგილზე, სადაც აუზიდან გამოდის წყალი, იდგა თლილი ქვისაგან აყვანილი საყაფე, აქ მთავარი და მისი ოჯახობა წვეწოლებით მიირთმევდნენ ყავას.

<sup>1</sup> ეს არხი და აუზი თავისი ძინიატურული ხელოვნური კუნძულით, ნახევარკუნძულით, ყელით, სრუტით, უბით და ნავსადგურით, 1937—38 წ. რესტავირებული დაცულია დღემდე.

<sup>2</sup> ეს ხეები: 1 ძირი წიფლა, 1 ძირი წაბლი, 1 ძირი რცხილა, და 5 ძირი მუხა ახლაც დგანან ამავე აუზის ნახევარკუნძულზე.

ბალის ერთი ნაწილი იყო მაღალი მესრებით შემოზღუდული, ს.დაც იყო დამწყვედელი 30 ირემი. ეს ირემები დიდხანს იყვნენ აქ, სანამ ერთმა მათგანმა ვინმე კვილია არ მოჰკლა. ამის შემდეგ მთავარმა წააყვანია ირემები ეწერს, საცა შემოაღობინა მათთვის 200 ქცევა ტყე-გელი<sup>1</sup>. როგორც ამბობენ მის შემოღობვაში 1500 კაცი იყო ჩაბნული, ბალში განუწყვეტლივ 60 კაცი მუშაობდა, უმეტესად ლენტეხლები<sup>2</sup>. დავითი მუდამ დღე მოდიოდა მათთან და მუშაობას თვალყურს ადევნებდა.

„ბალის-ყურეში, იმ ადგილას, საცა იწყება ქალაქის დიდი ალღეია, ბალს ამშვენებდა თუჯის დიდი ალაყაჯის კარები, სტამბოლიდან მოტანილი“...<sup>3</sup>

დავითის გარდაცვალების შემდეგ (1853 წ.), სამეგრელოს სამთავროს მართვასთან ერთად ამ ბალის პატრონობაც სრულად გადავიდა ეკატერინე ჭავჭავაძის ხელში. ეკატერინეს ოდნავადაც არ შეუსუსტებია ყურადღება და მზრუნველობა-ბალზე. პირიქით, ნიშნად ახლად გარდაცვალებული მეუღლის სიყვარულისა და პატივისცემისა, უფრო მეტად იღწვოდა ამ პარკის კეთილმოწყობისათვის. ბალი დღითიდღე იზრდებოდა და ხდებოდა მხარის ერთ-ერთ საამაყო ადგილად. მისი სახელი და ჭემა შორს გაითქვა და საზღვარგარეთაც საკმაოდ ცნობილი გახდა—მარი ბროსეს და სხვა მეცნიერ-მკვლევართა თუ მოგზაურთა მეშვეობით... მაგრამ მისი აყვავების ხანა არ იყო ხანგრძლივი. 1856 წელს მას სტიქიური უბედურება ეწია, რამაც იგი თითქმის მთლად აღგავა პირისაგან მიწისა...

1855 წელს, როდესაც ომერ-ფაშამ, ყირიმის კამპანიასთან დაკავშირებით, ზუგდიდი აიღო, თვით იმერეთისაკენ გაემართა და აქ ზუგდიდში დასტოვა თავისი ჯარის ერთი გარნიზონი ისკანდერ-ფაშას მეთაურობით,—ეკატერინე მცირეწლოვანი შვილებითურთ მოშორდა ზუგდიდის სასახლეს და გაიხიზნა მურის ციხეში (ლენხუმი). ისკანდერ-ფაშამ სასახლის ერთერთ შენობაში მოაწყო თავისი შტაბი. ოსმალთა ჯარის უკან დახევისას ისკანდერ-ფაშამ ზუგდიდის სასახლე ცეცხლს მისცა და მთელი ბალი სულ ძირში მოაჭრევინა (1856 წ.).

<sup>1</sup> ეს ადგილი ძვეს ჭ. ზუგდიდიდან სამხრეთ-დასავლეთით, ჯოდეჯიანის მომიჯნედ. ქალაქიდან დაშორებულია 6—7 კილომეტრით. აქ ამ ყამად გაშენებულია საკმაოდ დიდი სოფელი, რომელსაც ეწოდება „ო ი რ ე მ ე“ (საირმე).

<sup>2</sup> ლენტეხი—სოფელია ყოფილ ლენხუმის მაზრაში, ამ ყამად ქვემო-სვანეთი.

<sup>3</sup> იხ. ი. მეუნარგია: „სამეგრელო დავით დადიანის დროს“, ს. ცაიშვილის რედაქციით, და შენიშვნებით, გვ. 60.



აი როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს მისი თანამედროვე და მოწმე კ. ბოროზდინი.

„ზუგდიდში ოსმალთა ჰოსპიტალი და გარნიზონი იყო ისკანდერ-ფაშას მეთაურობით. ისკანდერ-ფაშამ თავისი რაზმი წაიყვანა რომ ომერ-ფაშას შეხვედროდა (ყულევში). სწორედ ამ დროს ქმეგრელების მილიცია ოსმალთა გარნიზონს დაესხა და უმეტესი მათგანი ტყვედ წაასხა.



კუნძული, ნახევარკუნძული, უბე და სრუტე ტბაზე ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში.

ეს რომ გაიგო ისკანდერ-ფაშამ, საშინლად გაბრაზდა იგი და განიზრახა მეგრელებისათვის სამაგიერო გადაეხადა, დაბრუნდა ზუგდიდში, გადაბუგა მთელი დაბა, მთავრის სასახლე, წინასწარ-კი სასახლიდან ყველა ძვირფასი ნივთი გააზიდებინა, ორანჟერეებიდანაც, რის გამოტანა კი შეიძლებოდა, ყველაფერი გაატანინა, ხოლო ბაღში ხეები სულ ძირში დააჭრევინა, ამ სახით ის საუცხოვო ბაღი, რომელიც დედოფალმა გააშენა და რომელსაც თვალისჩინივით უვლიდა, მიწასთან იქნა გასწორებული“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ. კ. ბოროზდინი, „სამეგრელო და სვანეთი“, თარგმ. თ. სახოკიასი გვ. 48.

ამავე ეპიზოდის შესახებ პოეტი რაფიელ ერისთავი წერს:

„Сад этот срублен и опустошен Искандером-пашей вместе с домом. На уничтожение того и другого он собирался целую неделю. Прежде всего взята была вся мебель и ценные вещи в тысяч двадцать, а также редкие растения вместе с ученым садовником и все это на обывательских и своих подводах отправлено, как говорят, до Редут-Кале для Омера паши. Затем двери и рамы дома вымазаны нефтью, дом наполнен хворостом и подожжен, а сад срублен на корне.

Сад с этих пор пошел от корня и поправился, хотя все еще носит на себе тяжелые следы опустошения“...<sup>1</sup>

აი აქედან იწყება ამ ბალის შესამე პერიოდი...

ოსმალთა მიერ არა თუ ვერაგულად გაჩანაგებულს, არამედ პირისაგან მიწისა სრულიად აღგვილს ბალში, ჩრავალი ძვირფასი ეგზემპლარი გახმა და გადაშენდა; ზოგიერთმა ხემ კი კვლავ ამოიყარა, მაგრამ ბევრმა ამონაყარმა დიდხანს, ხოლო ზოგმა მათგანმა სრულიადაც ვერ მიიღო პირვანდელი მშვენიერი სახე...

ეკატერინემ გული მაინც არ გაიტეხა, ბალზე ზრუნვას ხელი არ შეუშვა. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა მის განახლება-აღორძინებას და წვეავე დანაკლისთა შევსებას. სასწრაფოდ აღდგენილ და ამოქმედებულ იქნა სანერგე-სათბურები, ორანჟერეები. ბალი რამდენიმე წლის განმავლობაში თითქოს განახლდა, მაგრამ წინანდელს ბევრი უკლდა, ჯერ კიდევ ათეული წლები იყო საჭირო მისი სრული აღდგენისათვის, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ 70-იან წლებიდან...

1869 წელს, როდესაც ეკატერინე პარიზიდან დაბრუნდა, მან მოიწვია ქ. ვარეზედან (იტალია, მილანის ახლოს) ახალი სპეციალისტი მებაღე-დეკორატორი გაეტანო ზამბერლეტი,<sup>2</sup> რომელსაც დააკისრა ორი ბალის—ზუგდბდისა და გორდის—დეკორირების ხელმძღვანელობა. რომ საქმე უჯრო დაეჩქარებია და მუშაობაც უფრო ნაყოფიერი გაეხადა, ეკატერინემ გაეტანოს დასახმარებლად მალე დამატებით მოიწვია მისივე უმცროსი ძმა—ჯიოვანო.

<sup>1</sup> იხ. „Кавказская старина“, 1872 წ. გვ. 68—72.

<sup>2</sup> გაეტანო ზამბერლეტი იყო იტალიელი, ყოფილი სამხედრო პირი.

ზამბერლეტი,<sup>1</sup> და ბალის მშენებლობაც სწრაფი ტემპით წავიდა წინ...

ჯიოვანო დიდხანს არ დარჩენილა სასახლის მეზღვედ. როდესაც პრინც აშილ-მიურატი, სიძე ეკატერინე დადიანისა, 1872 წ. გადმოსახლდა საფრანგეთიდან სამეგრელოში, ეკატერინემ ჯიოვანო დაუთმო თავის ქალიშვილსა და სიძეს — სალომეს და აშილ-მიურატს, ზუგდიდის სასახლის ბალის მთავარ ხელმძღვანელად კი დარჩა ისევ გაეტანო ზამბერლეტი.<sup>2</sup>



ზუგდიდის ბოტანიკური ბალის კადრების ხეივანი.

ჯიოვანომ თავისი მხრივ, ზუგდიდში, პრინც მიურატის სასახლის ეზოში (ახლანდელი 1-ლი მაისის მოედანი) გააშენა მეტად მშვენიერი ევროპული სტილის ყვავილების დეკორატიული ბაღი; მაგრამ, როდესაც 1895 წელს პრინცის სასახლე ზუგდიდში დაიწვა და პრინცი მთელი ოჯახით სოფ. ჭკადუაში გადავიდა,<sup>3</sup> ჯიოვანოც თან წაიყვანა. ჭკადუაშის სასახლის ეზოში ჯიოვანოს ხელმძღვა-

<sup>1</sup> მამა ამავე ბალის ეხლანდელი მეზღვის — ბიბი ზამბერლეტისა.

<sup>2</sup> ბიბი ზამბერლეტის ცნობით.

<sup>3</sup> პრინც-მიურატს სასახლე და მამულები, გარდა, ზუგდიდისა, ჭქონდა სოფ. ჭკადუაში (ზუგდიდის რაიონი, ქ. ზუგდიდიდან ჩრდილოეთით 15 კილომ.) და სოფ. სალხინოში (გეგეჭკორის რაიონი).



ნელობით გაშენდა მცირე ნასშტაბის დეკორატიული ბაღი და ჩაყრილ იქნა პრინც მიურატის ათობით ჰექტარი ვენახი (ბაღის ნაშთები, — რამდენიმე ძირი დეკორატიული მცენარე — ახლაც მოიპოვება).

ამ უცხოელმა მებაღეებმა ჩამოიტანეს უცხო მცენარეთა იშვიათი და ძვირფასი ჯიშების მრავალი თესლი და ნერგი. მათ ძირითადად მიიღეს ბაღის წინანდელი გეგმის ჩონჩხი, მხოლოდ შეავსეს დანაკლისი, გაათართოეს მისი სივრცე და გააგრძელეს ბზისა და სხვა ხეების ხეივნები. ბაღში ახლა უკვე მასობრივად იქნა დანერგული ახალი ეკზემპლარები, ზოგი ისევ ადგილობრივი, უფრო მეტად-კი უცხო ჯიშები. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ზუგდიდის პარკში ეკზოტიკური მცენარეების მასობრივი შემოტანა. ამავე პერიოდს უნდა მიეწეროს ის უზარმაზარი ჭადრები, რომლებიც ბაღის მთელ სიგრძე-სიგანეზე (1182 მეტრი) ულამაზეს ხეივნებად ჩამწკრივებულან და თავისი სიმშვენიერითა და გრანდიოზულობით ხიბლავენ მნახველებს, ხოლო რუხილების ხეივნები, რომელთა საერთო სიგრძე 187 მეტრს უდრის და რომლებიც თავის სიმშვენიერით ბევრად არ ჩამოუვარდება ჭადრების ხეივნებს, წარმოადგენს ოსმალთა მიერ გაჩეხილ ძირებზე ამონაყარს...

ბაღი თანდათან წამოიზარდა და თითქოს სრულიად მოუშუშდა და შეუმჩნეველი გაუხდა ის ჭრილობები, რომლებიც მას მიაყენა ოსმალთა ჯარმა. იმ დროიდან მას მსგავსი კატასტროფა აღარ განუცდია. 1882 წელს გარდაიცვალა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, რის შემდეგაც წყდება ბაღის გაფართოება და ახალ-ახალი კოლექციებით გამდიდრდება, მაგრამ უკვე არსებულის ბეჯითი მოვლა და უკლებლივ შენარჩუნება მაინც გრძელდებოდა 1900-ან წლებამდე...

1903 წელს გარდაიცვალა ნიკო დავითის-ძე დადიანი (მინგრელსკი). იმავე წელს გარდაიცვალა მთავარი მებაღე, მოხუცი გეტანო ზამბერლეთიც, რის შემდეგ, ბაღის მოვლის საქმე თანდათან ჩამოქვეითდა... მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბაღის გაშენების კულტურა მაინც გასცდა სასახლის ფარგლებს და დაინერგა ფართო მასებში. მრავალი სასარგებლო და ლამაზი ჯიში გავიდა სასახლის ბაღიდან, გავრცელდა სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში და მრავალი კარმიდამო დაამშენა. დღესაც ყოველ მეგრელს წესად აქვს მიღებული, რომ, რაც უნდა მცირე მიწის ფართობი არ ჰქონდეს თავის განკარგულებაში, მისი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნაწილი დაუთმოს ბაღს და თავისი სამყოფელ-საცხოვრებელი ბინა შეამკოს დეკორატიული მცენარეებით. ამგვარად, გავრცელდა

ამ კუთხეში თითქმის ყველა ის დეკორატიული მცენარე, ურომლი-სოდაც დღეს წარმოუდგენელია ჩვენი ქალაქ-სოფლების კულტურულად, ლამაზად და ჰიგიენურად მოწყობა...

სწორედ ამით უნდა აიხსნას ეგზოტურ მცენარეთა და დეკორატიული ბაღების ის სიუხვე, რომლითაც მეტად თვალსაჩინოდ განსხვავდება ზუგდიდი საქართველოს ყველა ქალაქთა შორის.

დადიანთა გარდაცვალების შემდეგ, სასახლესთან და სასახლის სხვა დანარჩენ ქონებასთან ერთად, ბაღსაც იცავდა მთავართა ვეჟილი. მართალია, ბაღი ჯეროვან მოვლას მოკლებული იყო, მაგრამ მისი არსებობა-არარსებობის საკითხი არ დასმულა. მხოლოდ 1917 წლიდან 1921 წლამდე, საქართველოში მენშევიკების ბატონის დროს, ბაღი სრულ უპატრონობას განიცდიდა. ამ დროს მისი უბრალო დაცვის საქმეც არ იყო მოწესრიგებული; ღობის დიდი ნაწილი დატაცებულ იქნა, საქონელს ბაღში თავისუფლად შესვლის შესაძლებლობა მიეცა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბაღს ჯეროვანი ყურადღება მიექცა და მიღებულ იქნა სათანადო ზომები მისი აღდგენა-დაცვისა და შემდგომი გაუმჯობესებისათვის. აღდგენილ და გამაგრებულ იქნა ღობეები, აღკვეთილ იქნა ბაღში საქონლის შეშვება და მცენარეების მოჭრა, დაყენებულ იქნა მცველები, დაენიშნა სპეციალისტი მებაღეები და მათი ტექნიკური თანამშრომლების მთელი შტატი. ამ ღონისძიებათა შედეგად ბაღი ისევ განახლდა.

1924 წლიდან ბაღის ბატონ-პატრონი გახდა ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, ხოლო 1926 წლიდან საქ. სსრ მიწსახკომის განკარგულებით იგი გადაეცა თბილისის ბოტანიკურ ბაღს. ვერც ერთმა და ვერც მეორემ სათანადოდ და საბოლოოდ ვერ უზრუნველჰყვეს ზუგდიდის ბაღის სრული დაცვა და მისი ბუნებრივი ზრდა.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორის პროფ. ი. ლომოურის განსაკუთრებული ყურადღება და ღვაწლი ამ ბაღის მიმართ. ი. ლომოური პირადად ჩამოვიდა ზუგდიდში და ჩამოიყვანა სპეციალისტი ბოტანიკოსი პროფესორი სოსნოვსკი, რომელმაც აღწერა ბაღში არსებული ყველა ჯიში და გაუკეთა მათ სათანადო ნუმერაცია და წარწერები აბრებზე. ლომოურმა დაუნიშნა ბაღს გამგე სპეციალისტი უმაღლესი განათლებით, რომელმაც ბაღი შემოაკავა მაგარი მესერით, შემოავლო ცოცხალი ღობე ტრიფოლიათისა, ზოგიერთი დაზიანებული ხეივანი გასწმინდა და აღადგინა და გააშენა

დამატებით ბზის ახალი ხეივანები, რომელთა დაგეგმვა-დარგვაში პირადად იღებდა მონაწილეობას.

1928-29 წლებში ზემცენარეობის საკავშირო საკვლევო ინსტიტუტმა ბაღში აიღო რამდენიმე ჰექტარი (4—5) ნაკვეთი, სადაც მოაწყო ეგზოტიკურ მცენარეთა სანერგე. სანერგე მოქმედებდა 1940 წლამდე და ამ ხნის განმავლობაში მან თვალსაჩინო მომსახურეობა გაუწია საქართველოს სხვადასხვა კუთხეს საჭირო ნერგების მიწოდებით...

მისი დღევანდელი დენდროლოგიური შემადგენლობა და მცენარეთა ფაქტიური მდგომარეობა აწერილი აქვს პროფ. ვ. ი. მირზაშვილს თავის შრომაში: „ბუნების ძეგლებად აღიარებული სამი დეკორატიული ბაღი“.<sup>1</sup>

პროფ. მირზაშვილს აღნიშნულ შრომაში ზუგდიდის პარკიდან აწერილი აქვს უცხო ჯიშები შემდეგი სახით: „1. ორნაკვეთიანი გინკო. ზუგდიდის პარკში ამ ხის ექვსი ეკზემპლარია, მათში ორი მდედრობითი ხეა, ოთხი მამრობითი, დაახლოებით ერთიდაიმავე სიმაღლისა (25 მეტრი). მდედრობითი ხეები გაცილებით წვრილებია (30—40 სანტ.), ვიდრე მამრობითი (50—60 სანტ.): თავს კარგად გრძნობენ, განვითარებულნი არიან ნორმალურად და კარგი ნაყოფიერება აქვთ“.

დაახლოებით ამ სახით აქვს ავტორს აწერილი სულ 26 სახელწოდების უცხო ჯიშები: 2. კუნინგამი, 3. სექვოია, 4. კრიპტომერია, 5. ჭაობის ტაქსოდია, 6. დასავლეთის ტუია, 7. კვიპაროზი, 8. ევროპული სოჭი, 9. კანადის ტუია, 10. ჰიმალაის ნაძვი, 11. ვეიმუტის ფიჭვი, 12. დიდყვავილა მაგნოლია, 13. დიდფოთოლა მაგნოლია, 14. წითელყვავილა მაგნოლია, 15. ლირიოდენდრონი, 16. ქრისტეს-გვირგვინა, 17. ცრუ-აკაცია, 18. ცხენის-წაბლა, 19. მარად მწვანე ხე-შავი, 20. ჩინური ალარია, 21. პავლოვია, 22. ბევრონიასებური კატალპა, 23. ლიქუიდამბარი, 24. ქალაღის ხე, 25. სტერკულია და 26. ლაგერსტრემია.

ნისივე ცნობით ზუგდიდის პარკში ადგილობრივ ჯიშებიდან გვხვდება: 1. უთხოვარი, 2. აღმოსავლეთის ტუია, 3. აღმოსავლეთის ნაძვი, 4. ქოლგა ფიჭვი, 5. ალვის ხე, 6. ნიგვზის ხე, 7. რცხილა, 8. წითელი, 9. გრძელყუნწა მუხა, 10. წაბლი, 11. ჭადარი, 12. ბზა, 13. თხილი, 14. თელამუში, 15. თუთა, 16. ლელვი, 17. მაქალო.

<sup>1</sup> იხ. „საქართველოს სსრ ბუნების ძეგლები და ნაკრძალები“ საქ. სსრ არსებული ნაკრძალთა კომიტეტის გამოცემა, I, 1938 წ., გვ. 107—112.



18. ნაკერჩხალი, 19. ბალამწარა, 20. ცაცხვი, 21. ბროწეული,  
22. სურო, 23. შინდანწლა, 24. ჭანჭყატი, 25. კოწახური  
26. იფანი, 27. დიდგულა.

პროფ. მირზაშვილის აზრით ეს ადგილობრივი ჯიშების უმრავლესობა პარკის დეკორაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და ამ მხრივ არაფრით არ ჩამორჩება ეგზოტურ მცენარეებს. დანარჩენი ნაწილი კი მოუვლელად არის გაფანტული პარკის ტერიტორიაზე.

ამ პარკში 35 უცხო სახელწოდების და 19 ადგილობრივი ჯიშია. ხეების რიცხვის მიხედვით უცხო ჯიშის 187 ხეა, ადგილობრივი კი—577.

ზუგდიდის პარკში მოიპოვება ყველა პირობა ეგზოტური მცენარეების აკლიმატიზაცია-ნატურალიზაციისათვის.

საჭიროა პარკის ძირითადი დეკორატიული ჩონჩხი, მისი სტილი დაცული იყოს და ყოველგვარი მუშაობა, რომელიც ამ პარკის ისტორიულ მნიშვნელობას უკარგავს და ძირითად სტილს ამახინჯებს, აკრძალული უნდა იქნესო, სრულიად სამართლიანად და მიზანშეწონილად ასკენის პატივცემული პროფესორი, ვ. ი. მირზაშვილი, შემოხსენებულ შრომაში...

აღნიშნული პარკი ამჟამად გამოცხადებულია საქ. სსრ ნაკრძალ ძეგლად და ყოველდღიურ ყურადღება-მოუწყვეტილ ზრუნავენ მის მოვლა დაცვაზე, მის შემდგომ ზრდა-განვითარებასა და გამშენიერებაზე. ამ მიზნით დღეს იგი მტკიცე ზღუდით არის საგანგებოდ შემოკავებული, ჰყავს უფროსი, მეთვალყურე-გამკე და უზრუნველყოფალია სპეციალისტ დეკორატორ-მებაღეებისა და ტექნიკურ მომუშავეთა სათანადო შტატით. ბაღი გაწმენდილია, ხედმეტ, გარეშე, მავნე ელემენტებისაგან, მისი ყველა ნაწილი, აგრეთვე აუზი არხითურთ, აღდგენილია და მოყვანილია წესრიგში მათი წინანდელი ისტორიული სახის დაცვით. მას შეუერთდა აგრეთვე ქალაქის განახლებული დეკორატიული ხეივანი, 300-მდე მეტრი სიგრძისა, და პირველი მაისის მოედანი (პრინც მაიურატის ყოფილი ეზო), რომლებიც ამ პარკის ბუნებრივ გაგრძელებას შეადგენენ.

ამავე პარკთან იქნა დაკავშირებული ქ. ზუგდიდში ყველაზე უმშენიერესი ნაგებობა — სახელმწიფო თეატრი, პირველი მაისის მოედნის-ს მხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა კუთხეში, საითკენაც ბაღს არა აქვს გაფართოების პერსპექტივები.

კულტურისა და ხელოვნების ეს კერა კიდევ უფრო გაამშენიერებს და გააფართოვებს ბოტანიკურ პარკის მნიშვნელობას.

## იონან გეგეჰკორისა და კოლხიდელის იგივეობის შესახებ \*

აღნიშნული საკითხი მე-19 საუკუნას მიწურულში თათქოს გაშუქდა და გადაიჭრა. და ეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იონან მეუნარგია ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს გამოეხმაურა<sup>1</sup>, ზ. ჭიჭინაძემ მეორეჯერ დაბეჭდა იონან გეგეჰკორის პოემა „რუხის ბრძოლა“ ცალკე წიგნად<sup>2</sup>, კოლხიდელმა თავისი ლექსების კრებული<sup>3</sup> გამოსცა და „ივერიაში“ მოთავსდა ნეკროლოგი გრიგოლ დადიანის გარდაცვალების გამო<sup>4</sup>.

მაგრამ საკითხის ნათელსაყოფად და ამოსაწურავად ყველაფერი ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. დოცენტ ტრიფონ რუხაძეს თავის ფრიად მნიშვნელოვან შრომაში, „ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში“<sup>5</sup>, აღნიშნული აქვს, რომ: „იონან მეუნარგიამ ამ თხზულების<sup>6</sup> შესახებ მეტად გაბედული და დაუსაბუთებელი მოსაზრება წამოაყენაო“, მოყავს იმავე ავტორის წერილიდან ზოგიერთი ადგილი და ასკვნის, რომ პოემა „რუხის ბრძოლის“ ავტორი არის იონან (გულას-ძე) გეგეჰკორი, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მსახური, რომელსაც პოემა დავითისათვის მიუძღვნიაო. ამის შემდეგ მკვლევარი ახდენს ერთგვარ ცდასაც—დაადგინოს გეგეჰკორის ბიოგრაფია: რომ იგი დაბადებულია 1816 წ., რომ მას: ეს პოემა დაუწერია 1836 წელს, მონაწილეობა მიუღია 1843—45 წლებში დავით დადიანის ლიტერატურულ სალონში წარმოებულ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ცნაზე გადათარგმნაში, რის გარშემო წერილიც მიუწერია პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის და უთხოვია „შეწევნა ვეფხისტყაოსნის თარგმნაში“ და ბოლოს,

\* ერთი თავი მონოგრაფიიდან „კოლხიდელი“.

<sup>1</sup> „კვალი“, 1895, № 19.

<sup>2</sup> „რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა, თქმული იონან გეგეჰკორისაგან (გრ. დადიანი)“, 1895 წ.

<sup>3</sup> „ლექსთა კრება“ კოლხიდელისა (გრ. დადიანი), ქუთაისი, 1901 წ.

<sup>4</sup> „ივერია“—1901 წ. № 282.

<sup>5</sup> ტფილისი, 1939 წ., სტალინის სახ. სახელმ. უნივერსიტეტის გამოცემა.

<sup>6</sup> პოემა „რუხის ბრძოლა“.

აღნიშნული პოემისა და წერილის გარდა იოანე გეგეჭკორს კიდევ ეკუთვნის სხვა ლექსებიც: „ნატვრა გეგეჭკორისა“ (ა. წალკოტი ნომცა... ბ. წყალი დამახრჩობს...), „ტულევზე დაწერილი“ და სხვ.; ავტორი იმოწმებს აგრეთვე აკად. ს. ჯანაშიას წერილს<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ და საბოლოოდ ასკვნის: ერთია, პოეტი იოანე გეგეჭკორი—„რუხის ბრძოლისა“ და სხვა აქ დასახელებულ ლექსთა ავტორი, ხოლო მეორე—გრიგოლ დადიანი, რომელიც სულ სხვა პიროვნება აჩისო. მაგრამ მრავალა საგულისხმო დოკუმენტი ადასტურებს, რომ ეს ასე არ არის.

იოანე გეგეჭკორის ხელმოწერით მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ცნობილია ნხოლოდ ერთი პოემა „რუხის ბრძოლა“<sup>2</sup> და რამდენიმე წერილი შაირი. ამიტომ ამ ნარკვევის მსჯელობის მთავარი საგანიც ეს პოემა იქნება, ხოლო საბჭოთებად—მისა ავტორის გარშემო არსებული ოჯიციალური ცნობები და სხვა საარქივო მასალები:

\* \* \*

1780 წ. სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის სოფ. რუხს (ზუგდიდის რაიონი) მოხდარს ომი<sup>3</sup> „რუხის ბრძოლის“ სახელწოდებით გალექსა სამმა ქართველმა პოეტმა: 1. იმ დროს იმერეთის მეფის კარზე მყოფმა და ამ ომის პირადად დამსწრემ<sup>4</sup> ცნობილმა

<sup>1</sup> „ლიტ. გაზეთი“—1935 წ. № 5.

<sup>2</sup> იხ. დ. ჩუბინაშვილის „ქართული ქრისტიანობა“, ნ. II, 1863 წ. ს. პეტერბურგი, გვ. 28.

<sup>3</sup> აფხაზეთს, ნამდვილად თურქეთი, ი. წ. ოტომანის დიდი პორტა, ამოქმედებდა, რასაც თავისი მიხეზები ჰქონდა, რომელთა გარკვევა ჩვენს საგანს აღემატება.

<sup>4</sup> ამ საკითხის შესახებ არსებობს პლატონ იოსელიანის შემდეგი ცნობა: „ესე რუხის ომის ამბავი ბესარიონს გაბაშვილს, თვითონ იქ დამსწრეს იმ ომში დიდ შაბათს, ომის შენდგომად დაუწერია ბესარიონს ლექსად და ამბად“. ხოლო იცნობდა თუ არა დავით და გრიგოლ დადიანები ბესიკის ამ ხოტბას ადრევე, სანამ ზუგდიდში 1836 წ. ამ თემაზე ეს მორე პოემა (იოანე გეგეჭკორის ხელმოწერით) დაიწერებოდა, ამის შესახებაც პლ. იოსელიანივე იძლევა ცნობას: „ლექსი ესე ქმნილნი, ვითარცა ჰგონეიენ, ბესარიონ გაბაშვილისაგან, გადმოვაწერინე ლექსითი-ლექსად და მარცვლითი-მარცვლათ დედანით, რომელიც აქვინდა დავით ლევანის-ძეს დადიანს, წე ს.ა. 1837-სა, ნოემბრის 12-სა დღესა ქ. ტფილისს“. აქედან ცხადია, რომ ი. გეგეჭკორი (გრ. დადიანი) არა თუ მხოლოდ იცნობდა ბესიკის „რუხის ბრძოლას“. რამედ შესწავლილიცა ჰქონია იგი, რის ჯავლენაც უეჭველად ეტყობა ახალი პოემის მთელ რიგ სტროფებს (მაგ „უჩარდიას ელჩობა“, მეფე „იმე“თა ხანია“, მეფის ტანისამოსის აღწერა, „დავითის ნათესავთაგან“, „სოლომონ მეფის შექება“, „ვაი-თარიას“ სიმღერა, „აფაახთა-დახ სიათება“ და სხვ. მრავალი).





კოლხიდელა  
(გრიგოლ ლევანის-ძე დადიანი 1814—1902)

პოეტმა ზესიკმა (ბესარიონ გაბაშვილი), შეიდეგ უფრო ვრცელ და სიუჟეტური პოემით იოანე გეგეჭკორმა და ბოლოს, მეცხრამეტე საუკუნის 70-ან წლებში, ქართულ მწერლობაში ნაკლებად ცნობილმა დავით გიორგის-ძე დადიანმა (1831—1907), რომლის ვრცელი და პირველ ორისაგან განსხვავებულ სუჟეტზე აგებული პოემა „რუხის ომი“, ჯერაც დაუბეჭდავი, დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში<sup>1</sup>.

ჩვენი კვლევის მაზანია მხოლოდ პოეტ იოანე გეგეჭკორის პიროვნებისა და ვინაობის გარკვევა. როგორც აღვნიშნეთ, სრულიად უმართებულოდ უარყოფილ იქნა ამ საკითხს შესახებ იონა მეუნარგიას ცნობა<sup>2</sup>, ხოლო აკად. სიმონ ჯანაშიამ თავის შესანიშნავ მონოგრაფიაში—„გიორგი შარვაშიძე“—გეგეჭკორის ნამდვილი ავტორობის შესახებ სამართლიანი ეჭვი გამოსთქვა და თან დასძინა „დაწვრალებით ამ საკითხებს მხოლოდ სპეციალური კვლევა თუ მოჰყენს შუქს“<sup>3</sup>.

სპეციალურ კვლევას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ „იოანე გეგეჭკორი“ პირველხანების ლიტერატურული ფსევდონიმია, მეცხრამეტე საუკ. ქართულ მწერლობაში საკმაოდ ცნობილ „კოლხიდელისა“—გრიგოლ ლევანის-ძე დადიანისა—სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის მომდევნო ძმისა, რომელიც გარდაიცვალა 1902 წ. 5 იანვარს<sup>4</sup> 88 წლის ღრმა მოხუცებაში.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს უმჯობესია ჩამოვთვალოთ ყველა ის ფაქტიური მასალა, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ დაგროვდა:

იონა მეუნარგიას მიერ გრ. დადიანის შესახებ შედგენილ ჯერ გამოუქვეყნებელი მონოგრაფიის<sup>5</sup> მეორე თავში უყოყმანოდ ნათქვამია, რომ „გრ. დადიანის „რუხის ბრძოლა“ პირველი ისტორიული პოემაა ამა საუკუნისა, სანახევროდ ახალი ენით დაწერილი. მისი უმთავრესი ღირსებაც იმაში მდგომარეობს, რომ იმაზე ადრე ისტორიული პოემა მე-19 საუკ. არ დაწერილა ჩვენს ენაზე. ამიტომაც მაშინდელმა (1836—40 წ.) პეტერბურგის ქართველმა საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო ეს პოემა, რომელიც დადიანმა შემ-

<sup>1</sup> ლიტ. მუზეუმის IV ფონდის № 486 (4).

<sup>2</sup> იხ. „კვალი“ 1895 წ. № 19.

<sup>3</sup> იხ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, III, თბილისი, 1940 წ., გვ. 53.

<sup>4</sup> თარიღი ნაჩვენებია ახალი სტილით.

<sup>5</sup> ავტოგრაფი დაცულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმში.

დღე „გეგეჭკორის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა (იხ. დავ. ჩუბინოვის ქრესტომათია). თეიმურაზ ბატონიშვილმა, რომელთანაც განსაკუთრებით ნჭიდრო ურთიერთობა და კეთილი განწყობილება ჰქონდა გრ. დადიანს, ეს ახალი ქართული პოემის ავტორი შეამკო ლექსით, რომელიც ასე თავდებოდა: „ღირსი ზარ კარგთა პოეტთ გრჭქვან: ურაო, გეგეჭკურაო“.

მოსე ჯანაშვილის 1894 წ. გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ ფურცლებზე პოეტ იოანე გეგეჭკორის შესახებ აღნიშნულ სტრიქონებს (496 გვ.) და ქართული წიგნის უანგარო მუშაკის ჩაქარია ჭიჭინაძის მიერ 1895 წ.<sup>1</sup> პოემის ცალკე წიგნაკად გამოცემას— „რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა, თქმული იოანე გეგეჭკორისაგან“,—მოკლე რეცენზიით გამოგზავნა, ამ პოემის უკვე ღრმად მოხუცი ავტორის უახლოესი მეგობარი, ი. მეუნარგია, რომელმაც აღნიშნა: „იოანე გეგეჭკორი დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა, გარნა „რუხის ბრძოლის“ დაწერი ჯერეც ცოცხალია და ისევ-ისე ერთგული ქართული სიტყვიერებისა. „იოანე გეგეჭკორი“ ფსევდონიმია მოხუცი მოშიარის გრიგოლ ლევანის-ძის დადიანისა, რომელიც ჩვენს მწერლობაში ცნობილია კიდევ სხვა ფსევდონიმით—კოლხიდელით... მაშინ ახალგაზრდა პოეტს ვერ გაუბედნია თავისი სახელის მოწერა და პოემის ქვეშ დაუსვამს სახელი და გვარი მისი ძმის დავითის მსახურის ივანე გულას-ძის გეგეჭკორისა“<sup>2</sup>. ამ სიტყვების შემდეგ გრ. დადიანმა კიდევ 14 წელი იცოცხლა, და ავტორის სიცოცხლეში ყველა ამის თქმა საბუთად უნდა გამომდგარიყო.

აღნიშნული დასაბუთება გამომცემელს (ზ. ჭიჭინაძეს), მართლაც, მხედველობაში მიუღია და ეს უნებლიე შეცდომა იმით გამოუსწორებია, რომ შემდეგში, ამ პოემის მეორე გამოცემის სატიტულე ფურცლის წარწერა ამგვარად გაუფორმებია: „რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა, თქმული იოანე გეგეჭკორისაგან (გრ. დადიანი), ტფილისი, 1896 წ.“ მაგრამ საკითხს ვერც ამ გამოცემამ უშველა.

საგულისხმოა ისიც, რომ გრ. დადიანის გარდაცვალების გამო ივერიაში<sup>3</sup> მოთავსებულ ნეკროლოგშიც ასეთივე უყოყმანო და „გაბედული“ აზრია გამოთქმული: „მისს (გრ. დადიანის) ნაწერთა შორის აღსანიშნავია პოემა „რუხის ბრძოლა“. დ. ჩუბინაშვილის

<sup>1</sup> „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში (I ტ. გვ. 156 (948) შეცდომით 1885 წ. აღნიშნული.

<sup>2</sup> იხ. „კვალი“, 1895 წ. № 19.

<sup>3</sup> ივერია, 1901 წ. № 282.



ქრესტომათიაში დაბეჭდილი იოანე გეგეჭკორის ფსევდონიმით „ეპოსის“ ავტორის მიერ ეს წერილი უგულვებელყოფილ იქნა.

მეფის-ძის თეიმურაზის და გრ. დადიანის მჭიდრო ურთიერთობისა და მეგობრობის შესახებ მრავალი მასალა მოიპოვება, როგორც დადიანის, ისე თეიმურაზ ბატონიშვილის არქივებში. შოთა მესხიას საინტერესო ნარკვევებში<sup>1</sup> ამ მხრით მოყვანილია ერთი მეტად დამახასიათებელი ცნობა, სადა თეიმურაზ ბატონიშვილი თავის პოემას („ვაშლი“) უძღვნის გრ. დადიანს და პოემის შესავალშივე წერს:

გრიგოლისათვის ჩემის დისწულის<sup>2</sup>  
დადიანის ძის, ვინ არს ღექსთ მყურად,  
მე მისთვის შრომას არ ვრიდებ თავსა  
რადგან გულთ ვარ მისდამი მსურად,  
გსასოებ, ამ ღვაწლს არ შეურაცხყოფს,  
ხშირად წარმოსთქვამს რიტორიკულად.

ამგვარივე „რიტორიკულად“ წარმოთქმული სიტყვები მიუძღვნა თეიმურაზ ბატონიშვილმა თავისა დის შვილიშვილს, ახალგაზრდა პოეტს გრიგოლს, რომელმაც მეტი სიმორცხვისა გამო თავის პირველ პოეტურ ცდას „გეგეჭკორი“ მოაწერა,—აი ეს სტრიქონებიც:

კოლხთ ასპარეზის ახალთ გმირო, შაირთ ზღვას მცურავო,  
ღირს სახსოვართა ბრძოლათა ჯილდოდ მამაცთ გულთ მჭურავო,  
ცნობა მსურს, ამად სალამს გძღვნი, ომერის ბაძვის მწყურავო,  
ღირსი ხარ კარგთა პოეტთ გრჭქვან: ურაო, გეგეჭკურაო,

ამ ბიბლიოგრაფიული ხასიათის სტროფში უეჭველად მოსჩანს „რუხას ბრძოლის“ ავტორის დიდი ჩამოჩაველობა, პოემაში გაბნეული ძველი კოლხეთის რომანტიკა და თვით „კოლხიდელობისაკენ“ სწრაფვაც-

პატივცემულ ტრ. რუხაძეს<sup>3</sup>, ლექსის ეს უკანასკნელი სტრიქონი კოპლიმენტით—„ურაო გეგეჭკურაო“—მიჩანია იმის დადასტურებად, რომ პოემა დადიანს არ ეკუთვნის. უეჭველია, თეიმურაზ ბატონიშვილს, მისი დროის პირობაზე მალაღვანათლებულსა

<sup>1</sup> იხ. „მასალები საქართ. და კავკასიის ისტორიისათვის“ I, 1939 წ., 35 გვ.

<sup>2</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ ამხ. შ. მესხია ცდება, როცა ამ სტრიქონის მიხედვით გრ. დადიანს თეიმურაზის დისწულად იხსენიებს. დისწული გრიგოლი კი არ იყო, არამედ მისი მამა ლევანი, რომელს დედა იყო მეფე გიორგი XIII-ის ქალი ნინო. ლექსშიაც ასეა თქმული „ჩემის დისწულის დადიანის-ძის, (გ. ი. ლევანის-ძის) გრიგოლისთვისო. თეიმურაზი კი გრ. დადიანის მამის ლევანის მკვიდრი ბიძა იყო.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 210.

და ევროპაშოვლილს<sup>1</sup>, ევროპული სტილის მწერალსა და მეცნიერს  
არ ეცოდინებოდა ლიტერატურული ეთიკის თუნდაც ის ექვემდებარე  
ტარული წესი მაინც, რომ თხზულების ავტორი ყოველთვის ამ  
თხზულების ქვეშ მოწერილი ვინაობით იხსენიება? ჩვენში მუდამ  
ამბობენ და წერენ: ბესიკი, ვაჟა-ფშაველა, ნინოშვილი, არაგვისპი-  
რელი, აბაშელი, ქიაჩელი, გრიშაშვილი... და არა მათს ნამდვილ  
სახელსა და გვარს. განსაკუთრებულ შემთხვევის გარდა არცა გვაქვს  
ამის უფლებაც.

სხვა მასალებიც საკმაოდ მოიპოვება ურთიერთობის შესახებ  
თეიმურაზ ბატონიშვილისა და გრიგოლ დადიანისა, რომელსაც  
შეთის-ძე დაცინვით, თუ ხუმრობით, ხან „გეგეჭკორს“, ხან იმისი  
მამის სახელს—„გულას“ ეძახდა.

გრიგოლ დადიანის ცხოვრების აღწერიდან<sup>2</sup> ცნობილია, რომ ის  
1837-41 წლებში პეტერბურგში იმყოფებოდა. იქ ის აქლო ურთიერ-  
ობაში იყო საქართველოს ბატონიშვილებთან და განსაკუთრებით  
თეიმურაზთან, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახელწიფო  
მუზეუმის კოლხიდელისეულ საარქივო ფონდში მრავლად იპოვება  
თეიმურაზისა და გრიგოლ დადიანის ამ ურთიერთობის ამსახველი  
მასალა—მიწერ-მოწერისა, შაირობისა, დღიურებისა და მოგონება-  
თა სახით. მასალათა ამ სერიიდან ჩვენ აქ მოვიყვანთ მათს გაშიი-  
რებასა და გრიგოლ დადიანის მოგონებათა ზოგ ადგილებსაც.

პეტერბურგში ნამყოფი გრიგოლ დადიანი ერთ ადგილას იგო-  
ნებს: „ბატონიშვილი თეიმურაზი დიდი ხანი არ მენახა. ზამთარი  
იყო და სანით მივდიოდი. ბაზარში რომ გავიარე ის თურმე იქ  
ბრძანდებო ა. რომ დავენახე თავი მაჩვენა. მე გავუარე. შეჰჯდა-  
რიყო სანახედ. გვერდით გამიარა. შინლით პირმოფარებული მქონ-  
და და ვითომ ვერ დამინახავს. შინ რომ მივედი ეს შაირი მსევწერე:

დღეს მე მყისვე დაგინახე რა რომ თავი დამანახე,  
შენი სანა ჩემსა სანას, გარონინებით შეახე;  
პირი შინლით დამეფარა, არა მჯერა რომ არ მნახე,  
უმუნობას მე ვერ გავძლებ, შენ ხარ მეგობრობის ძახე.

იოანე გეგეჭკორი.

როგორც ხედავთ, გრ. დადიანისაგან თეიმურაზ ბატონიშვილი-  
სადნი მიწერულ ამ შაირს „გეგეჭკორი“ აერია. ემდგვ ეს ლექსი  
კოლხიდელმა თავის „ლექსთა კრებაში“ შეიტანა.

<sup>1</sup> ი. ხ. ზუგდიდის მუზეუმში დაცული ავტოგრაფი თ. ბატონიშვილისა  
„მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“.

<sup>2</sup> ი. ხ. ზუგდიდის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმში,—ი. მეუნარგია „გრ. დადიანი“.

იმეფე წელს ბატონიშვილი თეიმურაზ ავად გამხდარა, გრიგოლის ნახვა მონატრებია და მისთვის ამგვარი შაირი მიუწერია:

გრიგოლ, შეუძლოთ გყავს მეგობარი,  
არა კითხულობ და არცა იცი,  
ღმერთსა ვიმოწმებ, უმჯობეს შენსა  
არავინ მყავდეს, რად გინდა ფიცი.  
მე შენთან მოსვლა ხომ არა ძალმიძს,  
მნახე თუ არ გაქვს გული ყოველ მქისი.  
ჩემთან მოსვლისა ნუ გეშინია,  
არ ვეტყვი ძაღლსა გრიგოლს სი-სი-სი.

როგორც ჩანს, გრიგოლს მაინც დაჰგვიანებია, რაღაც მიზეზთა გამო, მეგობართან მისვლა, რასაც უფრო მეტად გაუხერხიანებია მეფის-ძე და კვლავ ამგვარი შაირი მიუწერია:

გრიგოლ საცალა გარდაგვექაჯა,  
არღა ისმინა მოყვასთა აჯა.

არც ამის შემდეგ მისცემია დადიანს დრო და საშუალება ენახა მეგობარი ბატონიშვილი, რომელსაც გრიგოლისათვის შიკრიკის ხელით ბეჯდითად უბოძებია ამგვარი შაირებით აჭრელებული ბარათი:

ეს ორი კვირა აგერ გავიდა  
ვეღარა გნახე მოყვასო ჩემო,  
რად გმიხეზობს, რათ არ მაცნობე,  
გასცუდებია გულს გოლის გემო,  
თუ დაგავიწყდი, ეს ვით ეგება?  
თუ არ გახსოვარ, გინდა რომ გცემო!  
თვალთ სწყურის წყარო უკვდავებისა  
ჭირთ ღანმაქარვო, მო, ჩემო მრწემო!

გრიგოლმა მისდადამოუკიდებელ მიზეზთა გამო კვლავ დააგვიანა ნახვა ბატონიშვილისა, რომელსაც ხელახლა ამგვარი ლექსი მიუწერია:

გრიგოლ აქამდის რად დამემალე?  
მგრძნობელი გული რად გაისალე?  
შენ ხომ არ იცი ღვინით სიმთვრალე!  
ნუ თუ არ იქმენ ერთ დღეს მოცალე?  
დავიწყებულმან დაგისამსალე,  
აზრი და ენა რომ დამიკრძალე!  
არ მჯერა სხვაზე კნი-ლა შემცვალე,  
თუ კი გიყვარვარ მნახე მალ-მალე!..

ამის შემდეგ, როგორც იქნა, დადიანი ჰხლებია მეგობარს, მაგრამ ვიდრე პირადად ნა ავდა, ერთგვარი ბოდიშის მოსახდელად, წინდაწინ ეს შაირი მიუერთმეფია:



ესდენი ჭირნი გარდაგზდეს ჩემითა მოგონებითა,  
რისთვის მოვმორდე ანგელოზს ქაჯისა მოწონებითა,  
ღმერთო, ცოდვილთა მოგვხედე, მიხსენ, ტყვე ვიქმენ გრძნებითა,  
ვსტირ შენდა სინანულითა, მზურვალედ მავედრებითა.

### იოანე გეგეჰკორი.

ეს შაირიც, როგორც ვხედავთ, გეგეჰკორის ხელმოწერით არის მირთმეული თეიმურაზისადმი, რომელსაც უკვე უმჟღავნებს დადიანი თავის გასაჭირს, რომ იგი შეპყრობილია და „გრძნებით ტყვე ქმნილი“, რამაც მას ლამის არის, მეგობარიც დაავიწყა, დროც შეუბოჭა და სინანულში ჩააგდო.

ეს ის პერიოდი იყო, როცა გრიგოლ დადიანი ეტრფოდა გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის ქალს ტერეზიას, მაშინ პეტერბურგში მყოფს, იმპერატორის სასახლეში, ნიკოლოზ პირველის მეუღლის ფერიად. გულისხმიერ ბატონიშვილს, ცხადია, არც ეს გატაცება გამოჰპარვია ახალგაზრდა გრ. დადიანისა, რომელიც იმ ხანებში პეტერბურგის მახლობელ სოფელში მყოფ ტერეზია გურიელს ჰხლებია. თეიმურაზს მისთვის, იმავე სოფელში ამგვარი საოხუნჯო ლექსი მიუწერია:

მე გავიგონე გრიგოლ მოსულა.  
ვინა ნახავს მას, იქ არის სულა.  
ერთად შეყრილან გული და გულა,<sup>1</sup>  
ამან იგი და მან ესე სწყლულა,  
იგი ვარდობს და ეს ებულბულა,  
ეშხით სატრფოსით ვინ არ დაბმულა?!

ამ ლექსით სავსებით გარკვეულია, თუ სად და ვისთან არის გრიგოლ წასული. რომ ის მუდამ „იქ არის“, ე. ი. ტერეზიასთან, რომ „ერთად შეყრილან გული და გულა“ ე. ი. ტერეზია (გული) და გრიგოლი (გულა) ე. ი. გეგეჰკორი (რომლის მამას მართლაც გულა რქმევია), რომელმაც ვარდს (ტერეზიას) ებულბულა—გრიგოლი (ხუმრობით გულა) და ბოლოს, დასძენს ბატონიშვილი: „ეშხით სატრფოსით ვინ არ დაბმულა?..“

მართლაც, სატრფოს ეშხით დაბმულ გრიგოლ დადიანს, თეიმურაზის ოხუნჯობით „გულას“, ბევრი ოფლისა და ჭირის დღე დაადგა, მისი ქორწინება შესათანხმებელი იყო ცალკე მეფის კართან, ცალკე დედოფალთან და ცალკე თავის მშობლებთან, რის გამო პეტერბურგსა და ზუგდიდს შუა მიწერ-მოწერა გაჩაღდა. ამ მიწერ-მოწერაში ჩაბმულია თეიმურაზ ბატონიშვილიც, რომელსაც ამ საკითხზე გრიგოლისათვის კიდევ ამგვარი შაირი მიუძღვნია:

<sup>1</sup> ხაზი ჩემია—ს. ც.

სკვინჩა უცხოდ მგალობელი მე რომ მესმის თქვენ გყოლიათ,  
გაგფრენიათ სხვას სავარდედ, გული მასთან წაგყოლიათ,  
დაშთომილხართ უნუგეზოდ, უმისოდ ხართ ფერმკრთალიად,  
სდევთ და ველარ შეგიპყრიათ, ვერ ყოფილხართ ფარხმალიად!

გრიგოლ დადიანმა საიმისო ფარხმალი აისხა, ტერეზია გური-  
ელზე იქორწინა პეტერბურგს, იმპერატორის კარის ეკლესიაში,  
მეჯვარეებად „შვიდთა იყლიმთა მპყრობელი“ ნიკოლოზ პირველი  
და მისი მეუღლე ჰყავდა, მაგრამ ეგ ამ შემთხვევაში საინტერესო  
როდია, ხოლო მსჯელობის საგნისათვის მოყვანილი მასალა თეიმუ-  
რაზ ბატონიშვილისა და დადიანის (გეგეჭკორის) ურთიერთობის  
შესახებ, ვფიქრობ, იკმარებს.

პოემის ავტორი თვითონვე ამჟღავნებს თავის ვინაობას თხზუ-  
ლების შესავლის (რომელიც დღემდე დაუბეჭდავია პოემის ტექსტ-  
თან ერთად) შემდეგ სტროფში:

ესე ამბავი მიამბო ასი წლის ტვირთად მქონემან  
ლომკაციმ, ქელბაქიანმა, ოჯალოს სოფელს მცხოვრებმან,  
გამზრდელმან ჩემის გამზრდელის, ამა ბრძოლაში დამსწრემან,  
და აწ თქვენ მოგითხრობთ მკითხველნო, ვითა შეიძლო ღონემან.

აქ, სტრიქონი „გამზრდელმან ჩემის გამზრდელის“ ამჟღავნებს  
ავტორს,—გრ. დადიანს; ის ძველი ოდიშის ჩვეულებისამებრ და-  
ბადებიდანვე გაძიძავეებული იყო და იზრდებოდა თავად ბახვა ფა-  
ლავას ოჯახში, ხოლო შემდეგ, ყრმობის ხანაში — ზემო სამეგრელოს  
მცხოვრებ მანუჩარ დადიანის სასახლეში. ბახვა ფალავას მეუღლე  
ასული იყო მანუჩარ კაციას (II) ძე დადიანისა. ამ ნათესაობამ,  
უეჭველია, შექმნა გრიგოლის აღზრდის ამგვარი საფეხურები. ხო-  
ლო მანუჩარის აღმზრდელი და კარისკაცი ყოფილა ლომკაც ქელ-  
ბაქიანი<sup>1</sup>—დამსწრე ამ „ღირს სახსოვართა ბრძოლათა“. ამ სტრი-  
ქონიდან თავისთავადაც უნდა ვაგულისხმოთ, რომ ივ. გეგეჭკორს,  
დავით დადიანის ხელზე მოსანსახურეს „გამზრდელის გამზრდელი“  
და არცა გამზრდელი ეყოლებოდა. მარტო ესეც კმარა გეგეჭ-  
კორის ნამდვილი ავტორობის უარსაყოფად.

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის ლიტე-  
რატურულ სალონში პოეტ ბარტლდინსკის მიერ ნათარგმნი „ვეფხის-  
ტყაოსნის“ საუკეთესო ადგილები 1846 წ. გაზეთ „ილუსტრაციე-  
ნის“ № 6 და 7-ში მოთავსდა<sup>2</sup>. შემდეგ, 1847 წელს იგივე

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის ისტ.-ეთნ. მუზეუმი—მთავრის კანცელარიის მასალები  
და აგრეთვე დღიურები თვითონ გრ. დადიანისა.

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე, გაზეთი „Кавказ“ 1846 წ., № 27.

თარგმანები უფრო ვრცლად, კავკასიაში მოგზაურმა ნ. მურავიოვმა თავის ნარკვევში<sup>1</sup> შეიტანა, როგორც ნიმუში ქართული კლასიკური პოეზიისა.

ორივე შემთხვევაში ბარტდინსკის უშუალო დამხმარედ და სტრიქონ-სტრიქონ მთარგმნელად, რომელიც „გადასცემდა მთარგმნელს უცხო ენიდან აზრებსა და სიტყვებს, და იყო გამსჭვალული მშობლიური პოეზიით, ახერხებდა ამ უკანასკნელისათვის შესაფერისი გამოთქმის მოძებნას რუსულ ენაში“, — დასახელებულია დადიანი, ძმა მთავრისა, პოეტი და ლიტერატურული მოღვაწე, „გატაცებული პატრიოტი მშობლიური მწერლობისა“, და არა გეგეჭკორი. მურავიოვის სიტყვით „დადიანი ადგილობრივი ჩვეულების მიხედვით იყო აღზრდილი სოფლად, იმ ადგილას, საცა იწყება სათავე ხობისწყლის ანკარა ჩქერებისა და იშლება მომაჯადოებელი ბუნება ზემოსამეგრელოსი. აქ გაიფურჩქნა მისი სიჭაბუკე და პოეტური სახეები“. აქვეა ის პატარა სოფელი ქოყოც, რომელიც მან „მშენიერი და გრძნობიერი ლექსით შეამკო“<sup>2</sup>. აქვე უამბეს მას ბევრი საგმირო საქმეები წარსულის დროებისა, რომელთაგან რუხის ბრძოლის ამბავმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა მასზე.

ვინ უნდა იყოს ეს პოეტი დადიანი ძმა მთავრისა, თუ არა შემდეგში „ცისკრის“ მუდმივი თანამშრომელი და კონსულტანტი „სასიქადულო კოლხიდელი“ (დიმ. ყიფიანის თქმად)? არსად, აღნიშნული სალონის გამოუქვეყნებელს თუ გამოქვეყნებულ მასალებში გეგეჭკორი არ იხსენიება.

ამ მხრით უმჯობესია სიტყვა ძვითონ ბარტდინსკის მივცეთ, თუმცა სანამ ბარტდინსკი ალაპარაკდებოდეს, კიდევ უფრო უმჯობესი იქნება ბარტდინსკისა და დადიანის ამ ღვაწლის ირგვლივ ალაპარაკდეს ევგ. სტალინსკი, რომელმაც 1888 წ. ტფილისში გამოსცა წიგნი<sup>3</sup> „ვეფხისტყაოსანზე“. ამ წიგნში შეტანილია რუსთველის უკვდავი ქმნილების ნაწყვეტები რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ქართულ და სომხურ ენებზე. კრებულში მოთავსებული რუსული თარგმანი პოემისა ეკუთვნის ბარტდინსკისა და გ. დადიანს. ე. სტალინსკი ამ თარგმანის შესახებ აღნიშნავს: პირველი აზრი „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე გადათარგმნისა ეკუთვნის ბარტდინსკისა და გრ. დადიანს (გ. ლ. შინგრელსკის), რომელიც სიტყვა-

<sup>1</sup> იხ. „Грузия и Армения“, ტ. III, გვ. 236-37.

<sup>2</sup> ი. მეუნარგა, — „გრ. დადიანი“, ზუგდიდის მუზეუმი.

Е. С. Сталинский, „Барсова кожа“, вып. II, Тифлис, 1888 г.



სიტყვით თარგმნიდა პოემის ტექსტს, ხოლო ლექსად პოეტი ბარტდინსკი, რომელმაც ამ თარგმანებს წარუძღვარა მშვენიერი გარიტმული ლექსი მიძღვნილი უგანათლებულეს თავად<sup>1</sup> გ. ლ. მინგრელსკისადმი (დადიანისადმი) და იქვე მოჰყავს აღნიშნული ლექსიც, გაზ. „კავკაზიდან“ მთლიანად ამობეჭდილი:

К Князю Г. Л. Дадияну-Мингрельскому.

На родине твоей, среди глухой дубравы,  
Под сенью развесистых ветвей,  
Сокрытый от лучей, от взоров и от славы,  
Кипит гремящий ключь обильною струей.  
Глубоких вод его таинственные волны,  
Текут как схимника таинственная речь,  
И в тех волнах, живых событий полных,  
Отцов твоих, быть может, ржавит мечь.

Столетия минули,— а таинства святыни  
Еще никто народам не раскрыл,  
И ключь по прежнему гремит в глухой пустыне,  
И свет луча к нему, как прежде, не пробил.  
Пора, пора сломать печать забвенья,  
И в глушь веков промять себе следы:  
Дай руку мне, питомец вдохновенья,  
Пойдем к ключу—испить живой воды!

Я чувствую влиянье благодати,  
И может быть заветную скрижаль  
Исторгнем мы из тех скупых об'ятий,  
Которым прошлаго для будущего жаль.  
Пора, пора сломать печать забвенья,  
И в глушь веков промять себе следы:  
Дай руку мне, товарищ песнопенья,  
Идем к ключу—испить живой воды!<sup>1</sup>

*И. Бартдинский.*

<sup>1</sup> „Кавказ“, № 27, 1846 г., Е. Сталинский, „Барсова-кожа“, 1888. стр. 3.

ეს ლექსი<sup>1</sup> სავსებით ააშკარავებს გრ. დადიანის როლს ამ დიდ ლიტერატურულ საქმიანობაში, რომელიც პირველი ნაბიჯი იყო იმ დროს რუსთველის გენიალური ქმნილების რუსი ხალხისათვის გასაცნობად.

აკად. სიმონ ჯანაშიას გამოთქმით: „საინტერესო კულტურული ჰაბიტუსის პატრონია დავითის (დადიანას) ძმა გრიგოლიც, ეგზომ ალტაცებით აწერილი იმავე მურავიოვის მიერ, რომლისთვისაც იგი შეგზური და ინტერპრეტატორი იყო ქართულ სიძველეების შესწავლისას“<sup>2</sup>

ამ კულტურულმა ჰაბიტუსმა შეაძლებინა გრ. დადიანს ბარტდინსკისათვის თანაავტორობა გაეწია ისეთ დიდ საქმეში, როგორიც იყო თარგმნა „ვეფხისტყაოსნისა“ რუსულ ენაზე. ამ მხრით ის მტკიცება<sup>3</sup>, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დავით დადიანმა უთარგმნა ბარტდინსკის, საუფძველს მოკლებულია. იმ ხანებში სამეგრელოს სამთავრო ტახტზე ახლად აყვანილი დავით დადიანი ამ საქმისათვის ვერც მოიცილიდა, სამაგიეროდ მან ყოველგვარი პირობა შეუქმნა

<sup>1</sup> თავად გრ. დადიან-მინგრელსკის

შენს სამშობლოში, უდაბური მუხნარის გულში,  
ფართო ტოტები რომ გაშლილან დამრჩდილავ კარვად,  
სინათლეს, სახელს და კაცის თვალს მოშორებული  
წყარო უშრეტი, უდგარი ამოქუხს მძლავრად.  
იმის ღრმა წყალთა საიდუმლო ტალღების ჩქეფა  
გავს სქიმოსანის გამოუცნობ ფარულ ღაღადისს  
და მრავლის მომსწრე მის წიაღში ხომ შეიძლება,  
შლაში ჰფარავდეს და ჟანგავდეს წინაპართ მახვილს?!

საუკუნეთა გადუქროლეს ამ წმინდა ადგილს,  
ხალხს კი მისკენ გზა ვერ გაუხსნა ვერავინ დღემდის,  
ყრუ უდაბნოზე ძველებურად ის წყარო გარბის,  
მაგრამ მხის შუქი, როგორც ძველად, მაინც ვერ ეტრფის.  
დროა, აწ დროა გავხსნათ კარი დავიწყებისა  
და საუკუნეთ ღრმა წიაღში შევავლოთ კვალი...

მომეცი ხელი, ანაზარდო შთაგონებისა,  
მივიდეთ, შევსვათ სასიცოცხლო იმ წყაროს-წყალი.

მე ვგრძნობ ცის მადლის ზეგავლენას, სულის დამტკობზელს,  
და შეიძლება ჩვენ წავაწყდეთ ალთქმის კიდობანს,  
და გამოვტაცოთ კლანჭებიდან იმ გულშივე მფლობელს,  
ვინც არ გვანებებს, რომ ნამყოთი ვაგებდეთ მყოფადს.

დროა, აწ დროა. გავხსნათ კარი დავიწყებისა  
და საუკუნეთ ღრმა წიაღში შევავლოთ კვალი...

მომეცი ხელი, მეგობარო სიმღერებისა,  
მივიდეთ, შევსვათ სასიცოცხლო იმ წყაროს წყალი!

თარგმნა ს ა ვ ლ ე ა ბ უ ლ ა ძ ე მ .

<sup>2</sup> იხ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. III, 1939, გვ. 50.

<sup>3</sup> იხ. ტ. რუხაძე „ქართული ეპოსის გარდამავალი ხანის ლიტერატურაში“  
გვ. 210.

ამ სიმპატიური იდეით გატაცებულ პოეტებს—ძმას გრიგოლსა და მის სალონში მოწვეულ რუს პოეტ ბარტდინსკის.

აკად. სიმონ ჯანაშია უფრო ფართოდ სვამს საკითხს, როცა აღნიშნავს, რომ „გეგეჭკორ-დადიანის იგივეობის სასარგებლოდ კი ერთგვარი საბუთია აქვე, ქვემოდ მოყვანილი ცნობა გეგეჭკორის ურთიერთობის შესახებ ალ. ჭავჭავაძესთან ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის საქმის გამო: არავითარი კვლი გეგეჭკორის (თუ მისი მონაწილეობით შესრულებული) თარგმანისაგან არ დარჩენილა, გრიგოლ დადიანისეული კი გამოქვეყნებულია. ბუნებრივია ამიტომ ვიფიქროთ, რომ ორსავე შემთხვევაში ერთსადაიქვე თარგმანს ეხება საქმე“<sup>1</sup>.

მართლაც, ვეფხისტყაოსანზე ამ სალონში ჩატარებული მუშაობის მასალები გეგეჭკორს არსად არ იხსენიებს, გარდა ერთი ლექსად დაწერილი ბარათისა: „გეგეჭკორისაგან მიწერილი ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ოდეს სთხოვა მან შეწევნა, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში“. ამ წერილში უეჭველია, „შეწევნას“ ალ. ჭავჭავაძესა სთხოვენ, ხოლო აქ ნახსენები „გეგეჭკორი“ იგივე გრ. დადიანია, რომელსაც რაკი წერილი ლექსად „უთქვამს“, თავის ზემონაჩვენებ ჩვეულებისამებრ, ქვეშაც მისი ლიტერატურული ფსევდონიმი მოუწერია, თორემ ივანე გულას-ძე გეგეჭკორს როგორ შეეძლო ალ. ჭავჭავაძისათვის წერილის მიწერა იმ ხანებში (1843—45 წლებში), როცა ის 1838 წელს უკვე გარდაცვლილი იყო. ამის უტყუარი საბუთია დავით დადიანის 1838 წლის 28 ივნისის თარიღით გრიგოლ დადიანთან მიწერილი ბარათი<sup>2</sup>, საცა ნათქვამია: „მე უკვე მოვიქვეც ექსპედიციიდან<sup>3</sup>, მუნ დამტევებელი სამარადისოდ ჩემის ძვირფასის მეგობრის ივანე გეგეჭკორისა, რომელიც ამხანაგის მარცხად გავარდნილმა დამბაჩისაგან ტყვიამ უწყალოს სიკვდილით მიმტაცა, ჯერეთ ყრმა, ახალგაზრდა, სახიერი, მშვენიერი, ჭკვიანი, ზნით კეთილმო-

<sup>1</sup> „მასალები“, 1939, III, გვ. 53.

<sup>2</sup> იხ. ზუგდიდის ისტ.-ეთნოგრაფ. სახელმწ. მუზეუმი—დავით დადიანის წერილები გრ. დადიანთან.

<sup>3</sup> ეს ის ექსპედიციაა, რომლის შესახებ 1838 წ. 24 თებერვალს თბილისიდან დავით დადიანი მის ძმას გრიგოლს სწერს: „სულთ ჩემო გრიმა, მე ჩამოველ თბილისს გასაცილებლად უძვირფასესის ბარონისა, რომელიცა არის.. პატიოსანი, ხოლო სოფლის ამოებისაგან.. და კაცთაგან მისგან ნაკეთილმოქმედებითა დატევებული, გიობილი, განბასრული. ესთავე შესაგებებლად დოლოვინისა. ხოლი რამდენსამე დღეს.. მისის მოსვლისა უნდა წავიდე ექსპედიციად, საცა მიდის მხედრობა მენგრელთა რიცხვით ას ერგასი“. (იქვე)



ბილი, მყვარებელი და თან უეკრული მეგობარი. მე მრავალს წინეთ მოველოდი მისის კეთილის ზნისაგან და განქარდა უკვე ყოველი მოლოდება ჩემი. ესრეთ უკვე სრულჰყო მან სრბა თვისი, გარნა მე უკურნებელს კაეშნით მოცულს სენში გამხვია“.

მოყვანილ წერილიდან ჩანს, თუ როგორ ჰყვარებიათ ძმებს დავით და გრიგოლ დადიანებს თავიანთი „ყრმა, მშვენიერი და



დავით დადიანი (1813—1853)

ქვეიანი“ მსახური ივანე გულას-ძე გეგეჰკორი, რომლის უდროო და ტრაგიკულ დაღუპვას, დიდი მწუხარება და გლოვა გამოუწვევია. ამ სამწუხარო ფაქტმა, უეჭველია, მისცა საბაზი გულით მოყვარე და მგრძნობიარე ახალგაზრდა დამწყებ პოეტ გრიგოლ დადიანს ლიტერატურულ ფსევდონიმად (პირველ ხანებში მაინც) „იოანე

გეგეჭკორი“ აერჩია, რითაც ის უკვდავყოფდა თავისი საყვარელი მსახურისა და ყრმობის მეგობრის სახელსაც. ამ არჩევანში, შესაძლოა, დავითსაც ედვა ერთგვარი წვლილი.

ამის შემდეგ სავსებით მართებულია და საფუძვლიანი აკად. ს. ჯანაშიას ზემოაღნიშნული დაეჭვება. რაც შეეხება ხსენებულ ლექსად დაწერილ ბარათს, იგი ყველა ნიშნების მიხედვით გრიგოლ დადიანისაგან არის დაწერილი, რის გამო საჭიროდ დავინახეთ მისი მთლიანად აქვე მოყვანა:

ხელოვნებითა ნახელოვნევი  
ოქროსი როგო ძმისგან მომეცა:  
ვარსკვლავ-ფუტკართა ნათლისა მდენთა,  
შოთას ყვავილთა სურნელი ვცა.  
სულს, გულს ზეცისა და გოლის წვეთი  
დამატკობდელი ჰსწყურის, დაეცა,  
ეწყოთ იგვრდივი ფრენა ჩემდამო,  
რათა რუსთ მისგან გემო მიეცა.  
სადაფის ლარნაკს შინა მდებარე,  
ბრწყინვალედ თვალნი სხვადასხვა გვარნი,  
მანათობელნი, შუქის მფრქვეველნი,  
ანუ მთიებნი ცისა მას მყარნი,  
გამოხატულნი, გამოსახულნი  
სიამოვნისა ჩემისა დარნი,  
მეტყოდნენ: „აღსდევ და დაუტევე  
კაბუკობისა თავისა ქარნი;  
გვაჩვენე შენის მამა, დედისა,  
ძმისა, მეგობრის საუნჯის თვალნი:  
რუსთაველისა საკვირველისა,  
ცხოველობისა უკვდავნი წყალნი!  
კაცნი და ქალნი, სულნი და ძალნი,  
ტარიელისა ემზისა აღნი“.  
მესმა, და აჰა! განისხნა ბჭენი,  
საუნჯისა მის განსაკვირველნი:  
რიყე ძვირფასთა ქვათა გათლილთა,  
საუკუნენი რომელთ ჰყვა მცველნი;  
მტილი შოთასი, ხენი ოქროსნი,  
მარგალიტ სხმული ედემის ველი, —  
სანატრელისა, ივერთა მზისა,  
მეფე თამარის შესაქცეველი.

ამ ლექსის პირველ სტრიქონებიდანვე შევიტყუეთ, რომ ამ დი-  
დი საქმის ინიციატორი-სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი  
ყოფილა- ამავე დროს გარკვევით იგრძნობა ბარტდინსკის ზემო-

მოყვანილ ლექსისადმი გამოხმაურებაც, რასაც ნ. მურავიოვიც ადასტურებს თავის აქ დასახელებულ შრომაში და „ეპოსის“ ავტორმაც აღნიშნა: იოანე სწერს ლექსად ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომ დავით დადიანს „ვარსკვლავ-ფუტკართა, ნათლისა მდენთა, შოთას ყუავილთა სურნელი ეცა“-ო, მაგრამ ისიც კი საყურადღებო იყო, რომ ლექსის პირველსავე სტრიქონში წერილის ავტორი დავითს ძმას უწოდებს. ივანე გულას-ძე გეგეჭკორს არ შეეძლო დავ. დადიანისათვის ძმა ეწოდებინა. ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიწერილი ეს ბარათი კი უდავოდოკუმენტია ახალგაზრდა გრ. დადიანის დამოკიდებულებებისა სამეგრელოს სამთავრო სასახლის იმ ლიტერატურულ სალონისადმი, სადაც, პირველად საქართველოს სინამდვილეში, ითარგმნებოდა რუსთველის უკვდავი ნაწარმოები დიდი რუსი ერის გასაცნობად. ამ მხრით, ცხადია, დახმარება იმგვარი ავტორიტეტისა, როგორიც ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო ახალგაზრდა დადიანისათვის, რომელიც ასე გატაცებული ყოფილა „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონ-სტრიქონ თარგმნით, დარაც შეეძლებოდა, პოეტური სიტყვისა და სახეების დაცვითაც, — დიდად წამახალისებელი და გამამხნევებელიც იქნებოდა. ჯერ ცნობილი არ არის, მართლაც გაუწია თუ არა ალ. ჭავჭავაძემ დახმარება ზუგდიდის ლიტერატურული წრეების ამ მნიშვნელოვან წამოწყებას, მაგრამ ერთი მაინც ცხადია: ალ. ჭავჭავაძე ამ ლიტერატურულ სალონთან იმდენად ახლო მდგარა, რომ მას დახმარებასაც კი სთხოვენ ისეთ საქმეში, როგორიც თარგმნაა. შესაძლებელია ვიფიქროთ, ალ. ჭავჭავაძის კონსულტაცია მართლაც წინ უძღოდა გრ. დადიანისა და ბარტდინსკისეულ იმ ლამაზ თარგმანებს რუსთველის ქმნილებებისას, რომელიც შემდეგ პეტერბურგში გამოქვეყნდა (1846). მით უფრო, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე სამეგრელოს სამთავრო ოჯახთან ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა და 1841 წელს მისი ხანგრძლივი ყოფნა სამეგრელოში (ზუგდიდსა და გორდს) დოკუმენტალურად დადასტურებულია<sup>1</sup>.

საკითხის ნათელსაყოფად აქვე უნდა გავიხსენოთ ისტორია მეორე ლექსისა „ნატვრა გეგეჭკორისა“ (ანუ „წადილი“), რომელიც ტრ. რუხაძემ დაუბეჭდავად მიიჩნია, და გეგეჭკორის ნამ-

<sup>1</sup> იხ. ი. მუხნარგია, „სამეგრელო დავით დადიანის დროს“ გვ. 60, ტფილისის 1939 წ.; „ლიტ. საქართველო“, 1937 წ. № 29.

<sup>2</sup> გრ. დადიანს საერთოდ სჩვევია თავისთავზე მესამე პირით ლაპარაკი: მაგალითისათვის იხ. ზუგდიდის ისტ.-ეთნ. სახ. მუზეუმში დაცული მისი მოგონებების ავტოგრაფები.



დვილი ავტორობისა და პოეტური შექოქმედების დამამტკიცებლად დასახა<sup>1</sup>. ეს ლექსი, არა თუ გამოუქვეყნებელია და უცნობი, არამედ სხვადასხვა დროს ორ სხვადასხვა გამოცემაშია დაბეჭდილი: პირველად — „ცისკარში“<sup>2</sup> „კოლხიდელის“ ხელმოწერით და შემდეგ — თვით კოლხიდელის „ლექსთა კრებაში“. იგივე ითქმის ლექსზე „ტულევზე დაწერილი“, რომელიც მოთავსებულია კოლხიდელის იმავე „ლექსთა კრებაში“.

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმში დაცულ გრიგოლ დადიანისეულ ხელნაწერებში მოიპოვება ავტორის რომელიღაც მდივნის მიერ (მას ასეთები ჰყავდა — ს. ც.) კალიგრაფიული ხელით, ლამაზად გადაწერილი აღნიშნული პოემის სრული ტექსტი, რომელსაც ახლავს ბარათი „კოლხიდელის“ ხელმოწერით „ცისკარის“ რედაქტორ ივ. კერესელიძისადმი. ბარათში ნათქვამია, რომ ჩუბინაოვის ქრესტომათიაში დაბეჭდილ პოემის ტექსტში ბევრი „შეცდომილებაა შეპარული“, რასაც „ავქსონის“ გული ვერ ითმენს და მოითხოვს მის ხელახლა დაბეჭდვას „უმეტნაკლოდ“, „თუმცა ძლიერად არ არის გამოთქმული, მაგრამ ყრმობის დროის ნაღვაწია, ხოლო მოთხრობა მართალი, სწორი და ჭეშმარიტია“.

როგორ შეეძლო „ავქსონის“ გულს ეგრძნო ეგ „შეცდომილება“, თუ კი ეს „ავქსონი“ მართლაც ი. გეგეჭკორი იყო, რომელიც პოემის დაბეჭდვას (1846) არამც თუ არ მოსწრებია, არამედ მწლით აღრე იყო გარდაცვლილი?

დ. ჩუბინაშვილის მიერ დაბეჭდილთან შედარებით პოემის ამ ხელნაწერში, მართლაც, 120-ამდე შესწორებაა შეტანილი, და ბევრიც არსებითი და საგულისხმო. მაგალითისათვის დავასახელოთ მხოლოდ ერთი და ისიც უკანასკნელი სტროფი პოემისა:

ჩუბინაშვილს აქვს:

ამისთვის რა გამობრუნდა, ჩრდილოის ტახტსა მიჰმართა,  
ორთავიანსა არწივსა ბრჭყალ შინა თავი მიართვა,  
მან თვისის უხვიერებით ფრთა ირგვდივ მისსა გამართა  
და, ესრეთ დასრულდა ამბავი, რუხმან კეთილი დაგვმართა.

დადიანს: —

ამისთვის ბოლოს იფიქრა... ჩრდილოისაკენ დამართა,  
ორთავიანსა არწივსა რუსეთისასა მიჰმართა;  
მან თვისის უხვიერებით ფრთა ფარად მისად გამართა, —  
და, ესრეთ დასრულდა ამბავი, რუხმან ესსაქმე დაგვმართა.

<sup>1</sup> იქვე, „ქართ. ეპოსი“. გვ. 211.

<sup>2</sup> იხ. „ცისკარი“, 1859 წ. № 1.

ამ შედარებიდან აშკარაა რედაქტორის (ჩუბინაშვილის) ხელა, რომლით განაწყენებული „აქსონი“, ხელახლა ითბოვდა „ცისკარში“ მის დაბეჭდვას. მოყვანილ ცნობას კოლხიდელის სასარგებლოდ კომენტარიები არ სჭირდება.

გრიგოლ დადიანს (იმავე „გეგეჭკორს“, „კოლხიდელს“) ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში, თავისი დაბეჭდილი და დაუბეჭდავი ლექსები შეუტრია, შეურჩევია, ქრონოლოგიურად დაულაგებია და 1900 წ. გამოუცია ერთ წიგნად<sup>1</sup>, რომელიც „რუხის ბოძოლით“ იხსნება. აქვეა შეტანილი ზევით დასახელებული „ნატვრაცა“ და „გეგეჭკორის“ ხელმოწერით ცნობილი სხვა ლექსებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნულ შეცდომებმა სხვა, უფრო დიდ გამოცემებამდისაც მიაღწიეს მაგ., წიგნის პალატის მიერ გამოცემულ „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ I ტ. (496) იოანე გეგეჭკორი იოანე დადიანად არის ახსნილი, ხოლო პ. გუგუშვილის „ქართულ ჟურნალისტიკაში“ (გვ. 107, 122, 473) ლექსი „არეს“-ავტორად გრიგოლის ნაცვლად გიორგი დადიანია ნაჩვენები, როცა არც გიორგი და არც იოანე დადიანები ქართულმა მწერლობამ არ იცის.

მოყვანილი ცნობებისა და მასალების შემდეგ, საკითხი ამოწურულად უნდა ჩაიკვალოს. დადიანისაგან დამოუკიდებლივ, იოანე გეგეჭკორის ნამდვილი ავტორობის, ე. ი. როგორც ასეთი პოეტის ცალკე არსებობის შესახებ, საკითხი საბოლოოდ უნდა მოიხსნას, მაგრამ მისი კიდევ უფრო ნა ელსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია აქვე იქნას მოყვანილი პოემის („რუხის ბოძოლა“) ის ადგილები, რომელიც ამ თხზულების არც ერთ გამომცემელს არ დაუბეჭდია. ესენია: პოემის პროლოგი, — ერთგვარი სატიტულე გვერდი, საცა პოეტს ნოუთავსება: ა) „მიძღვნა სამ-გრელოს სამთავროს მეკვიდრე დავითის დმი“ — სულ ხუთსტრიქონიანი ერთი სტროფი და ბ პოემის ავტორის „წინასიტყვაობა წარმკითხველთათვის მთხზველის გან“ ოთხი სტროფის მოცულობით:<sup>2</sup>

## I. მიძღვნა სამეგრელოს სამთავროს მეკვიდრე დავითისადმი

რათა მიღოს ნაყო მან ედემს რგულმან,  
მშვიდ ან ტარი მან, იგუგოდ ვ სიმართლე ცმულმან,  
მემკიდრემ დავით, კოლხიდის მთავრის წულმან,

<sup>1</sup> იხ. „ლექსთა კრება“ კოლხიდელისა (გრ. დადიანისა), გამოცემა ვარლამ ჭილაძისა, ქუთაისი, ვ ჭილაძისა და ანხ. სტამბა (იქვე მეორე გვ. მიწერილია: Дозволено цензурю. Тифлис, 9 сентября, 1900 г.).

<sup>2</sup> აღნიშნული ტექსტები ქვეყნდება საქართველოს მუზეუმში დაცულ ხელნაწერების (S—3723) მიხედვით.

მეგრეთ ცისკარმან, ჩრდილოს ვარსკვლავით მკულმან,  
რა ეს იშრომა, მონაზან ზემო თქმულმან:

## II წინასიტყვაობა წარმართხველთათვის მთხზველისაგან.

1. ესე ამბავი მიაგზო ასის წლის ტვირთად მქონემან,  
ლომკაციმ ქელბაქიანმან, ოჯოლას<sup>1</sup> სოფელს მცხოვრებმან,  
გამზრდელმან ჩემის გამზრდელის, ამა ამბისა დამსწრემან,  
და აწ თქვენ მოგიხრობთ, მკითხველნო, ვითა შეიძლო ღონემან<sup>2</sup>.
2. თუმცა ვიცოდი ბრძოლის წესს სევა ხამდა გამოცდილება,  
კალმის ჭეჭითა, მელნისა, მჩქეფარე სისხლად ცვლილება,  
ღელვა ლექსებთა ცხოველთა ცეცხლის ვარსკვლავთა ვლილება,  
და მათა ვაკეთა და ტყეთა ლმობიერებით ვსილება.
3. მაგრამ თქვენც იცით მოყვასნო, გრძნობა ჭაბუკთა ცხარეა,  
ალატყდა ჩემშიდ, ვით ცეცხლი, რა ესა გასახარია.  
მისცა ხელს ძალად კალამი, უთხრა მეგრულად „ჭარია“  
და მან სუსტმან წერად მყის იწყო, გრძნობას ვერ უთხრა ვარია.
4. აღწერა გამოუცდელმან ამბავი აქა მდებარე.  
ხედავთ მკვირვალებს ამბავი, სუსტის შაირით მყეფარე;  
მაგრამ მე აწ ვსთხოვ თუ არის შოთაებრ ვინმე მქებარე  
და აწეროს, ამარგალიტოს, მე არ ვიქნები მგებარე.<sup>3</sup>

პროფ. ალ. ხახანაშვილმა თავის „Очерки по истории грузинской словесности“-ს მეოთხე წიგნში გრიგოლ დადიანს (კოლხიდელს) შესაფერი ადგილი დაუთმო როგორც ჟურნ. „ცისკრის“ თაობის თვალსაჩინო პოეტსა და ქართული ლიტერატურის მოამბეს. ამ გამოცემის<sup>4</sup> 262—63 — გვერდებზე მან მოკლედ, მაგრამ მაინც ჯეროვანად შეაფასა კოლხიდელის პოეტური მემკვიდრეობა და მისი ისტორიული მნიშვნელობაც. ამ მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული მნიშვნელობით არის აღნიშნული აგრეთვე მისი

<sup>1</sup> ოჯოლა, სოფელია, ამჟამად ტყიბულის რაიონში შედის.

<sup>2</sup> ამ სტროფს შემდეგი ვარიანტიც აქვს:

„პატივცემულმან მხცოვანმან, ასის წლის ტვირთად მქონემან,  
ლომკაციმ ქელბაქიანმან ოჯალას სოფელს მცხოვრებმან,  
მ ი ა მ ბ ღ ბ რ ძ ო ლ ა რ უ ხ ი ს ა, და აწ ვ რ ი ლ ე ბ ი თ ა მ ც ო დ ნ ე მ ა ნ,  
და, აწ თქვენ მოგიხრობთ, მკითხველნო, ვითა შეიძლო ღ ნ ე მ ა ნ.

<sup>3</sup> შდრ. „გ. ფ. ტყ.“ სტროფები: 163, 573, 1095, კ. კიჭინაძის რედაქციით, „ფედერაცია“, 1934 წ.

<sup>4</sup> იხ. „Очерки по ист. груз. сл.“ вып. 4-й, XIX в.—Москва, 1906 г.



ისტორიული პოემა „რუხის ბრძოლა“, რომლის შესახებ ნახანაშვილი წერს, რომ ეს პოემა გეგეჭკორის ფსევდონიმით დაიბეჭდა დავით ჩუბინაშვილის ქრესტომათიაშიო.

ბოლოს ისიც აღსანიშნავია, რომ იოანე გეგეჭკორის ეს პოემა („რუხის ბრძოლა“) მოექცა ისეთ გამოცემაში, როგორც არის დავით ჩუბინაშვილის „ქართული ქრესტომათია, ან გამოწერილნი სტატიები სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან“.

როგორც დავინახეთ, ი. გეგეჭკორი ამგვარი „ჩინებული მწერალი“ როდი იყო, არც მისი პოემა „რუხის ბრძოლა“ იყო ისე გამოჩენილი, რომ იგი ზუგდიდიდან პირდაპირ პეტერბურგში გამოცემულ (1846) ქრესტომათიაში მოქცეულიყო და ამით გვერდით ამოსდგომოდა ისეთ, მართლა ჩინებულ, მწერლებსა და პოეტებს, როგორც არიან: თეიმურაზ პირველი, სოლომონ ლეონიძე, ანტონ პირველი, დიმიტრი ბაგრატიონი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბესიკი, საათნოვა, პ. ლარაძე, ნ. ბარათაშვილი და სხვ.

მართალია, როგორც უკვე იყო აღნიშნული, პოემა საქართველოს წარსულის ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ასახავდა, ისტორიულ ფაქტებზე იყო აგებული და ამდენად, თუ პოეტური ღირებულება არა, ისტორიული მნიშვნელობა მაინც ჰქონდა, და მასთან, როგორც ი. მეუნარგია აღნიშნავს, იგი პირველი პოემა იყო ახალი დროის დამდევს, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაწერილი, მაგრამ მაინც შესაძლებელია, სხვა შემთხვევაში და სხვა ავტორისა, ის დასახელებულ გამოცემაში ვერ შესულიყო.

სულ სხვა ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა მაშინ უგანათლებულეს თავადს გრ. დადიანს. იგი დაკავშირებული—რუსეთის მეფის უმაღლეს კართან, უახლოესი ნათესავი იმ დროს პეტერბურგში მყოფ საქართველოს მეფის-ძეთა და თვითონაც ძე სამეგრელოს მთავრისა, დიდი უპირატესობით სარგებლობდა. ამ თავისი „ყრმობის ნაღვაწის“ ქრესტომათიაში შეტანისათვის მას, უეჭველია, ბატონიშვილი თეიმურაზი აქეზებდა, რომელმაც თავის დროზე კიდევ მოუწონა ეს თხზულება, მაგრამ დადიანს იმდენი მოკრძალება და თავმდაბლობა გამოუჩენია, რომ ქრესტომათიაში მოთავსებულ პოემისათვის მისი ძმის—დავითის, უკვე გარდაცვლილი, მსახურის იოანე (ივანე) გეგეჭკორის სახელი მოუწერია და ამგვარად, ერთხანობაზე იგი ლიტერატურულ ფსევდონიმადაც უტარებია და მეგობრებთან „სალალობოდ“ ნამდერ შაირებშიც გამოუყენებია როგორც დამწყებ პოეტს.

მას შემდეგ, რაც ეს ქრესტომათია გავრცელდა, მასში მოთავსებულმა „რუხის ბრძოლამაც“ სალიტერატურო უფლება მოიპოვა და თვით ავტორი—გრიგოლ დადიანი—დამწყები პოეტის სტადიას გასცილდა და შეიქნა „ცისკრის“ მუდმივი თანამშრომელი და, როგორც დიმიტრი ყიფიანი იტყვის, „სასიქადულო კოლხიდელი“, მან ძველი ფსევდონიმებიც („მეგრელი“, „კ“, „გ. დ“, „გეგეჭკორი“, „კოლხიდელი“) გახსნა და, როგორც უკვე ნათქვამი იყო, პირველადი ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომების გასწორებასაც შეუდგა.

ამგვარად, ამ საკითხის გარშემო ყოველგვარ ლიტერატურულ ექსკურსებს, საარქივო მასალებისა და საბუთების შესწავლას მხოლოდ ერთ დასკვნამდე მივყავართ, რომ „იოანე გეგეჭკორი“ იგივეა, რაც „კოლხიდელი“—ეს ფრიად გახმაურებული ფსევდონიმი გრიგოლ ლევანის-ძე დადიანისა, ჟურნალ „ცისკრის“ მუდმივი თანამშრომლისა და მოამაგისა.

## იონა მეუნარგიას წერილები

იონა მეუნარგიას ფართო ნაცნობობა ჰქონდა ქართველ და უცხოელ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. ეს ნაცნობობა ხშირად ახლო ურთიერთობაში გადადიოდა, ურთიერთობა კი უმთავრესად საზოგადოებრივი ხასიათის საქმიანობით იყო გამოწვეული, რასაც ხშირი მიწერმოწერა და პირადი შეხვედრაც მოსდევდა.

ამ ნაცნობობისა და საქმიანი ურთიერთობის შედეგია იონა მეუნარგიას არქივში დაცული მრავალი ბარათი, რომელთა მეტი ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან მემკვიდრეობად ქართულ ეპისტოლარულ ლიტერატურაში. ვინ გნებავთ, რომ იქ არ აღმოჩნდეს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიდრე მიმდინარე საუკუნის 20-ან წლებამდე? დიმ. ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, დავ. ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, ივ. მაჩაბელი, იაკ. გოგებაშვილი, დავ. გურამიშვილი, ოლღა გურამიშვილი, გრ. დადიანი, გ. თუმანიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, პ. უმიკაშვილი, სოფ. მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, არტურ ლაისტი, ელიზე რეკლუ, ე. რენანი, მიურატები და სხვ. არიან წარმოდგენილი ამ წერილებში.

ცხადია, მათი წერილები უპასუხოდ არ დარჩებოდა. ადრესატი ამ მხრივ მეტად წესიერი და ზუსტია. ის თითოეულ წერილზე აწერს, თუ როდის მიიღო, ან გაეპასუხა. ამიტომაც, რომ სხვადასხვა მუზეუმსა და ოჯახში დაცულ დასახელებულ პირთა არქივებში ი. მეუნარგიას წერილებიც უნდა იპოვება.

წინამდებარე წერილთა უმეტესობა (5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 15, 16, 17, 18 და 20) დაცულია საქართველოს საელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, დანარჩენები (1, 2, 3 და 4) ინახება თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ნ. ნიკოლაძისეულ ფონდში, საქართველოს მუზეუმსა (14) და ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახ. მუზეუმში.

მათი ადრესატებია: ოლღა გურამიშვილი (შემდეგ ნიკოლაძისა), ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, დავით გურამიშვილი, ელისაბედ საგი-



ნაშვილისა, ალ. ყიფშიძე (ფრონელი), გ. ყიფშიძე, იაკობ გოგებაშვილი, ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა, ანასტასია მაჩაბლისა, დუტუ მეგრელი, იპ. ვართაგავა და სხვ.

არცერთი მათგანი ქართულ ლიტერატურისმცოდნეობისათვის ინტერესს მოკლებული არ არის. მაგრამ აქიდან განსაკუთრებით გამოირჩევა წერილები ო. გურამიშვილისა, ნ. ნიკოლაძისა და ივ. მაჩაბლისადმი. აქ მთელ რიგ სხვა ფაქტებთან ერთად მოცემულია საყურადღებო ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ გ. ქართველი შვილისეული მდიდარი გამოცემის შესახებ.

რუსთველოლოგიაში თითქმის უგულვებელყოფილია ღვაწლი ივ. მაჩაბლისა და, კერძოდ, იონა მეუნარგიასი „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული გამოცემის საქმეში. მითითებული წერილები კი ნათლად ამჟღავნებენ ამ ორთა დიდ შრომას, დაუცხრომელ ენთუზიაზმსა და პატრიოტულ წვას რუსთველის გენიალური ქმნილების ამ მდიდრულ გამოცემისათვის.

სულ მოკლედ ეს გზა ასეთი იყო:

პარიზიდან ახლად დაბრუნებული (1879) ი. მეუნარგია ჩაება იმ ხანებშივე დაარსებულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუშაობაში. აქ ის არჩეულ იქნა გამგეობის დღივანდ და, როგორც ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, ეს თანამდებობა გამოიყენა ჯერ კიდევ ვ. ჰიუგოსთან თავის შეხვედრისას და შემდეგ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მეცადინეობით შთაგონებულ ოცნებათა განსახორციელებლად.

ამ ოცნებას უფრო შორეული მანძილიც ჰქონდა გამოვლილი. ჯერ კიდევ 1874 წლის 14 მარტის დღიურში პოლიტიკურად არაკეთილსაიმედოობისათვის თბილისის სასულიერო სემინარიის უკანასკნელ კურსიდან დათხოვნილი ჭაბუკი იონა მეუნარგია ამგვარ სტრიქონებს წერდა:

„ნეტავ ვიცოდე რა კაცი გამოვა ჩემგან? ნუ თუ ჩემგან უხეირო რამე გამოვიდეს? მაგრამ მე რომ ჩემი თავის რწმუნება მაქვს, მე რომ ვგრძნობ ჩემში რაღაც ძალას?.. ნუ თუ ამ რწმუნებამ, ამ ძალამ, ამ ძალის გრძნობამ უბრალოდ და ფუჭად ჩაიაროს?.. მაგრამ არა. მე არა მგონი, რომ ისევ იმ ძველი გზით დავიწყო სიარული, რომლითაც, სანწუხაროდ, ჩვენი სემინარიელები დასეირნობენ დღემდე. ჩემს სისხლში სიცოცხლის წყალიც ურევია და კარგად თუ ავად მე არ შემიძლია უბრალო, საშუალო ცხოვრებაში დავრჩე. მე ისე მინდა „*большому кораблю большое плаванье*“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ხუგდიდის ისტ.-ფონ. მუხეუმი—იონა მეუნარგიას დღიურები.



იონა მიხეილის-ძე მეუნარგია (1852—1919), უკანასკნელი პორტრეტი.



თავისთავისადმი რწმენით აღჭურვილს სათანადო ინიციატივაც და სიმტკიცეც აღმოაჩნდა. ზოგიერთ ქველმოქმედთა და მაშინდელ ფილანტროპთა დახმარებით იმავე წლის ზაფხულისათვის ი. მეუნარგია უკვე ქ. ჟენევაშია. აქ მას ეგულებოდა მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობის მრავალი წარმომადგენელი. მათ შორის ისეთი ნაცნობ-მეგობრებიც, როგორც იყვნენ: ს. მესხია, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ალ. სარაჯიშვილი, ალ. ჭყონია, დიმ. დადიანი, დ. მიქელაძე, დ. გურამიშვილი, ოლ. გურამიშვილი, ალ. მაყაშვილი, ალ. ნანეიშვილი და სხვ. მათ შორის ი. მეუნარგია ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა გახდა და ამასთანავე ჟენევის უნივერსიტეტის მსმენელიც.

ოთხი წლის შემდეგ, 1877 წლის გაზაფხულზე ი. მეუნარგია პარიზში გადავიდა, სადაც გაეცნო იქაურ ქართულ ლიტერატურულ წრეებს, ქალაქს, ისტორიულ ძეგლებს, პარიზის სალონებს, გამოჩენილ მწერლებსა და მოღვაწეებს (ჟირარდენს, რომფორს, რენანს, ვილმენსს). ამ ექსკურსიებს ი. მეუნარგია წინასწარ ჰგეგმავდა და ისე ატარებდა. მისს პარიზულ უბის წიგნაკში დარჩენილია ერთი ამგვარი გეგმის შემდეგი მონახაზი:

რა უნდა ვნახოთ პარიზში.

1. მილე ტოკვილოს კონფერენც.—პარასკევი.
2. „აიუშკა“. ვისტავკაზე არაბეთ. ყავახანა. Bne di Caire.
3. რენანი
4. ვ. გიუგო
5. В отделе машин Эдисонов фонограф.
6. „Альбе Вольтер“...

როგორც ირკვევა ეს მთელი კვირის გეგმაა, საიდანაც მეოთხე მუხლის განხორციელების ფაქტიც მის იმდროინდელ წიგნაკშივე ფრაგმენტულად მაინც დარჩენილა. სანდრო მაყაშვილთან ერთად იგი სწვევია საფრანგეთის უდიდეს პოეტს ვიქტორ ჰიუგოს და ამ შეხვედრის ანგარიში თავის უბის წიგნში აღუნიშნავს, საიდანაც, სამწუხაროდ, მხოლოდ შემდეგი სტრიქონები-ლა მოღწეულა:

„... ვ. გიუგო: რუსეთიდან ბრძანდებით?

მე. არა, საქართველოდამ.

გ. ლამაზი ქალებით განთქმულ ქვეყნიდამ?

მე. არა მარტო ქალებით, დიდო პოეტო, სხვებითაც.

გ. მაგალითად?

მე. პოეზიით.

გ. ვინ გყავთ გამოჩენილი პოეტი?

მე. რუსთაველი.



გ. რა დაწერა?

მე. საგმირო პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

გ. გამეგონია, მხოლოდ შორიდან, საინტერესოა, რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა?

მე. მეთორმეტეში.

გ. კიდევ უფრო საინტერესოა...<sup>1</sup>

ლილოგი აქ წყდება და ძნელი სათქმელია, თუ რას ეხებოდა დანარჩენი მსჯელობა, ან რა დასკვნა ჰქონდა მას. ამიტომ ამ ფრაგმენტის რამდენადმე შესავსებად და ფაქტის საბოლოო დასადასტურებლად მეტად მნიშვნელოვანია წერილი (1) იმ ხანებში თბილისში მყოფ ოლგა ალექსანდრეს-ასულ გურამიშვილისადმი (ნ. ნიკოლაძის მეუღლე).

ეს წერილი ადასტურებს ი. მეუნარგიას ამ შეხვედრას ვიქტორ ჰიუგოსთან, რომელსაც სცნობია, რომ საქართველო ლამაზმანების ქვეყანაა, ჰსმენია აგრეთვე რუსთაველზე და ვეფხისტყაოსანზე, მაგრამ იგი მას არ სცოდნია.

უნდა ვიფიქროთ, რომ იონა მეუნარგიას, როგორც ქართული კულტურის პატრიოტსა და ახალგაზრდული თავმოყვარეობით გატაცებულს, პირველად ამ მომენტმა აღუძრა სურვილი, სამშობლოში დაბრუნებისთანავე შესდგომოდა „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა-ძიებას, — ტექსტის დადგენისა, ილუსტრაციისა და გამოცემის საკითხებს და რაც მისთვის მთავარი იყო, რუსთაველის ამ გენიალური ქმნილების გადათარგმნას ვიქტორ ჰიუგოს ენაზე. მან ყველა ეს გადაწყვეტილებანი ბრწყინვალედ განახორციელა.

როგორც აღვნიშნეთ, სამშობლოში დაბრუნებისთანავე მეუნარგია შეუდგა ძიებას: თუ „რომელიდაა დაუმახინჯებელი, ყველაზე უფრო ნამდვილთან სწორი პოემა რუსთაველისა. არის თუ არა სადმე, თუ არა რუსთაველის ხელით, იმისი დროის მახლობელი პირისაგან მაინც გადანაწერო ქმნილება დიდის პოეტისა“<sup>2</sup>.

ამ ოცნებით გატაცებულმა, უკვე „ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ბის გამგეობის მდივანმა და გაზეთ „დროების“ ერთერთმა აქტიურმა თანამშრომელმა ი. მეუნარგიამ ამ მხრით პირველი ნაბიჯიც იმით გადადგა, რომ 1880 წ. „დროების“ № 241-ში რაფ. ერისთავისა, იაკ. გოგებაშვილისა და თავისი ხელმოწერით გამოაქვეყნა მოწოდება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გადასინჯვისა და დადგენის შესახებ, სადაც ვკითხულობთ:

<sup>1</sup> ზუგდიდის ისტ.-ეთნოგრ. სახ. მუზეუმში დაცულ ი. მეუნარგიას არქივი  
<sup>2</sup> იხ. ავტობიოგრაფია, დაცულია ჩემთან.—ს. ც.

„ისეთ დიდ პასუხისგებას, როგორც არის „ვეფხისტყაოსნის“ ხელის ხლება, ჩვენ მარტო ვერ ვიღებთ ჩვენს თავზე. გვინდა, რომ საქმეში ყველამ მიიღოს მონაწილეობა, ვისთვისაც რუსთაველი შეადგენს ძვირფასს ნაციონალურ სიმდიდრეს.

ამიტომ ქართული ლიტერატურის მოყვარულთა ვალია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, აღადგინონ ნამდვილი პოემა დიდის პოეტისა ისეთსავე მეცადინეობითა და მოწიწებით, რა მეცადინეობითაც სხვა ერები ეპყრობიან თავიანთ საუკეთესო პოეტების მანუსკრიპტებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართველ ლიტერატორს არცა აქვს ნება და არც შეუძლია უბრალო რამ ცვლილება მოახდინოს „ვეფხისტყაოსანში“, თუ ეს ცვლილება არ იპოვება თვითონ პოემის სხვადასხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება.

ჩვენი განზრახვა არის:

ა) შევათანხმოთ „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ვარიანტებთან რაც აკლია შევმატოთ ტექსტს და რაც ნამეტანია გამოვაკლოთ.

ბ) დავსხათ პოემაში, თავ-თავის ადგილზე, მართლწერის ნიშნები. ამ ნიშნების შეცდომას ბევრი ზიანი მოაქვს მკითხველთათვის, რადგანაც მისი გონება ირყვნება გაუგებარი აზრის ზეპირებით;

გ) თუ შესაძლებელი იქნება: შევიტყოთ—ვინ არიან ავტორნი იმ დამატებათა, რომლებიც არ იქნებიან რუსთაველის ნაწერად ცნობილი; მოვიყვანოთ წიგნში სრული, ბიოგრაფიული ცნობა რუსთაველზე; შევადგინოთ საზოგადო შენიშვნა „ვეფხისტყაოსანზე“ და შევკრიბოთ ცნობა იმაზე, თუ ვის, როგორი „ვეფხისტყაოსანი“ აქვს ამ უამად“.

აღნიშნულ მოწოდებას გაზეთი „დროება“ თავის მეთაურ წერილში მეორე დღესვე ამგვარი სიტყვებ თ გამოეხმაურა: „გუშინდელ ნომერში წაიკითხავდით სამი პირისაგან ხელმოწერილ შენიშვნას, რომელიც გვაუწყებს, რომ შემდგარა განსაკუთრებული რედაქცია ჩვენი უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შეცდომათა შესასწორებლად. „ვეფხისტყაოსანი“ უნდა მიგვაჩნდეს ჩვენ საუკეთესო ძეგლად ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, ჩვენი წარსულის ლიტერატურისა და საერო ცხოვრების დიდებისა. ექვსი დაბეჭდილი გამოცემა გვაქვს ჩვენ ამჟამად „ვეფხისტყაოსნისა“ და არცერთი არ ჰგავს ერთმანეთს; არ ჰგვანან ერთმანეთს აგრეთვე არც ძველი ხელნაწერები, რომელნიც ახლაც ბლომად მოიპოვებიან ჩვენში.

ამიტომ დიდის სიამოვნებით შევიტყუეთ ჩვენ ზემოხსენებული რედაქციის დაარსება, რომელიც განსაკუთრებით იმ განზრახვით შედგა, რომ ყოველის მხრით შეასწოროს ეს, დიდებული პოეტის დიდებული ქმნილება. ალტაცებით მივეგებებით ჩვენ „ვეფხვის-ტყაოსნის“ რედაქციის დაარსებას და სრული იმედი გვაქვს, რომ ყველა ქართველი, რომელსაც კი რითიმე დახმარება შეეძლება, ამ რედაქციას დაეხმარება“ („დროება“, 1880 წლ. № 242).

სჩანს, „ვეფხვისტყაოსნის“ რედაქციას, რომელიც ფაქტიურად ი. მეუნარგიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შექმნილა, საკმაოდ ფართო მიზანი ჰქონია დასახული, რომლის განხორციელებაც, ცხადია, მართო ახალგაზრდა ინიციატორის ავტორიტეტსა და კეთილგანზრახვას არ შეეძლო. ამიტომ მან გამოიყენა გრიგოლ ორბელიანის დიდი ავტორიტეტი. ამ უკანასკნელის ხელმოწერით საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცნობილ ოჯახებსა და მოღვაწეებს დაურიგდათ შემდეგი სახის სპეციალური მიმართვები:

„თქვენო...

ქართულის გაზეთით მოხსენებული გექნებათ, რომ არის სურვილი შეთანხმდეს დაბეჭდილი „ვეფხვისტყაოსანი“ სხვადასხვა ხელთნაწერ „ვეფხვისტყაოსნებთან“. ამისათვის ზოწვეული არიან ქართულის მკოდნენი პირნი და აგრეთვე ყოველივე, ვისაც ექნება ხელთნაწერი „ვეფხვისტყაოსანი“ ათხოვოს წიგნი ამ კეთილის საქმის მოსურნეთა.

მე თვითონ მივიღე მონაწილეობა ამ სასარგებლო საქმეში და უმორჩილესად გთხოვთ, თუ გქონდესთ ანუ თუ შოვნა შეგეძლოსთ, დროებით გამოგვიგზავნოთ ქვემოდ მოყვანილი აღრესით ხელთნაწერი „ვეფხვისტყაოსნისა“.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდეგ შესწორებისა, თქვენი წიგნი უნაკლოდ მოგერთმევათ.

თქვენის... გულითად პატივის-მცემელი  
თავადი გრიგოლ ორბელიანი.

30 ნოემბერს, 1880 წ.

აღრესი: Тифлис, в канцелярию Общества распространения грамотности. На Саперной ул. № 41\*.

ამგვარ ღონისძიებათა ჩატარების შემდეგ შეგროვილა 22-ამდე ხელნაწერი რუსთველის უკვდავი ქმნილებისა. 1881 წლ. „დროების“ № 22-ში ჩამოთვლილია ყველა მათი მესაკუთრეთა სახელები.



ბიკ<sup>1</sup>. მათ შორის უძველეს ეგზემპლარად დასახელებულია ნ. კორინთელისა (1646 წ. გადაწერილი) და ბეჟან წერეთლისა (1671 წ.), რომელთა გარდა რედაქციას სახელმძღვანელოდ ხელთა ჰქონია აგრეთვე, მანამდე გამოცემული „ვეფხისტყაოსნებიც“, განსაკუთრებით ვახტანგისეული, ბროსესი, მესამე გამოცემა პეტერბურგისა 1860 წ. და თბილისისა 1867 და 1875 წლებისა.

პირველი სხდომა რედაქციისა (ფაქტიურად მეორე, რადგან პირველი შეკრება 1880 წ. 24 ნოემბერს<sup>2</sup> მომხდარი უფრო დამფუძნებელი იყო რედაქციისა და მისი სამოქმედო პროგრამის მიმომხილველი, ვიდრე სამუშაო) 1881 წლის 6 თებერვალს შემდგარა გრიგოლ ორბელიანის თავმჯდომარეობით, რომლის რჩევითაც იმავე სხდომაზე მიღებულ იქნა სიტყვა „ვეფხი“ ნაცვლად „ვეფხვისა“ (იხ. ავტობიოგრაფია ი. მეუნარგიასი). რედაქციის მუშაობა გრძელდებოდა მთელი წლის მანძილზე. მისა მოწვევა და სხდომათა შედეგები, ოქმების სახით შეჯამებული თვით ი. მეუნარგიას მიერ სისტემატურად თავსდებოდა გაზეთ „დროებაში“.

ამ სხდომებს სხვადასხვა დროს ესწრებოდნენ: გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, დავ. ერისთავი, ნ. ტ. დადიანი, რაფ. ერისთავი, დ. ჯორჯაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, ვლ. მიქელაძე, თ. ჟორდანიას, გ. იოსელიანი, ვახტ. თულაშვილი, ი. წინამძღვრიშვილი, გ. წერეთელი, ალ. მიქელაძე და სხვა ათიოდე ყმაწვილი კაცი—აღნიშნავს „დროება“,—რომელთა შორის იყო იტალიიდან ახლად ჩამოსული მხატვარი ბერიძე“. „ნესტან-დარეჯანის სქესიდან—აღნიშნულია იქვე ი. მეუნარგიას მიერ—მუდმივად ესწრებოდნენ: ოლღა თად. ჭავჭავაძისა, ქეთ. ირ. ბაგრატიონ-მუხრანბატონი, ნინო ორბელიანისა, ეკ. გაბაშვილისა და ა. შაიშველაშვილი“.

აღნიშნული რედაქციის მუშაობისა და შედეგების ნათელსაყოფად საკმარისია ი. მეუნარგიას ავტობიოგრაფიიდან შედეგად სიტყვები: „მთავარი განზრახვა ხელნაწერების შეკრებისა — მომწვედელიყო ტფილისში „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერი,

<sup>1</sup> ესენი არიან: ალ. ჭავჭავაძე, დ. თუმანიშვილი, ალ. თუმანიშვილი, კ. მაჩაბელი, გიგო მუხრანბატონი, ზაქარია ჭიჭინაძე (3 ეგზ.), ალ. მელიქიშვილი, დ. ბაქრაძე, ეფრემ მარჯანიძე, ბეჟან წერეთლის მემკვიდრეები, ნესტორ წერეთელი, ი. მერკვილაძე, ნ. კორინთელი, რ. ერისთავი, გ. თუმანიშვილი, ალალო თუთაევი, პეტრე უმიკაშვილი, დ. კეხელი, ი. მეუნარგია (ერთი ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნით“, მისგან შეთანხმებულ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის საკუთარ ორ „ვეფხისტყაოსანთან“) და ნინო ყარალოვი.

<sup>2</sup> „დროება“ 1880 წ. № 250.

დარჩა მიუწვდომელი, რადგან მე-16 საუკუნეზე ადრე დაწერილი ეგზემპლარი არსად არ აღმოჩნდა, მაგრამ ტექსტების შედარებამ კი გადაიჭერთა რა?დენიმე დამახინჯებული ადგილი რუსთველის ქმნილებისა გამოასწორა, რის შედეგადაც დაიბეჭდა გ. ქართველი-შვილისეული ძვირფასი, თუ შეიძლება ითქვას, პირველი მდიდრული და აკადემიური გამოცემა უნგრელი მხატვრის მიხ. ზიჩის ილუსტრაციით“.

მეტად საგულისხმოა ი. მეუნარგიას წვლილი ამ ილუსტრაციაშიც. აღნიშნული რედაქციის მაშინდელი თემჯდომარე ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ სხდომაზე<sup>1</sup> მას პირდაპირ ავალებს უფრო დაჩქარებით და სწრაფად თარგმნონ „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე—წასაკითხავად მხატვარ ზიჩისა, რომელსაც მოუთხოვია ეს პოემა წაეკითხა რომელიმე მის მიერ დაუფლებულ ევროპულ ენაზე და თუ როგორ შეასრულა მთარგმნელმა აღებული ვალდებულება, ამის შესახებ მაშინ საქართველოში მყოფი უცხოელი მწერლები ე. მურიე და ბ. ბ. ფ. სუტნერი მოგვითხრობენ თავიანთ ვრცელ ფელეტონებში<sup>2</sup>; ხოლო იმ ხანებში საქართველოსთან ახლადამეგობრებული არტურ ლაისტი ამ ამბით აღტაცებული ერთ-ერთ კერძო წერილში ი. მეუნარგიას სწერს: „Кавказ“-ში წაეკითხე, რომ თქვენი თარგმანი „ვეფხისტყაოსანი“ უკვე დაბეჭდილია, და წარსულ კვირას ამის შესახებ მოკლე ცნობა გაუუგზავნე „Magazin“-ს. მაგრამ არ კმარა ამ საუცხოვო პოემის მარტო თბილისში გამოცემა, უნდა ეცადოთ ევროპაში გაავრცელოთ“-ო<sup>3</sup>.

ამის შესახებ და აგრეთვე ზიჩის მუშაობის ნაყოფიერების ირგვლივ მეტად კონკრეტულ და ფაქტიურ მასალას იძლევა თვითონ იონა მეუნარგიასაგან 1885 წ. პეტერბურგში მყოფ ნიკო ნიკოლაძისადმი მიწერილი ბარათი, რომელიც მთლიანად მოყვანილია ქვემოთ, თავის ადგილას. (3).

აღსანიშნავია ამ ფაქტის ირგვლივ აღფრთოვანება ქართული მწერლობის კორიფეებს ვახტანგ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძისა, რომელთაც საჯაროდ დალაღჰყვეს თავიანთი აღტაცება—პირველმა ლექსით „ნანგრევთა შუა ლამპარი“<sup>4</sup> და მეორემ, გაზეთ „დროების“ რედაქციისაგან სპეციალურად საფრანგეთის საელჩოს

<sup>1</sup> „დროება“ 1884 წ. № 211.

<sup>2</sup> „Кавказ“, 1884 წ. № 265, 267, 268, „დროება“, 1884 წ. № 258, 9, 60, უკვე ე. მურიე, № 256.

<sup>3</sup> წერილი ი. მეუნარგიასადმი, დაცულია ზუგდიდის სახ. ისტ. - ვთნოგრ. მუზეუმში.

<sup>4</sup> ვ. ორბელიანის ლექსების კრებული გვ. 109, 1928 წ.

კომიტეტისათვის გამართულ ბანკეტზე, საცა ილიამ თავის ისტორიულ სიტყვაში საქართველო დიდი მუხის გვერდით აყვავებულ იას შეადარა და თავისი სიტყვა ამგვარად დააბოლოვა:

„დღეს როგორღაც წილად მხვდა, საცა დიდს იხსენიებენ იქ პატარაც მოვიხსენიო. როცა პირველყოფილი კაცობრიობა, მზის ბრწყინვალეობით განცვიფრებული, თაყვანს სცემდა მას, ვითარცა ღმერთს, იმავე დროს პატივსა სცემდა მთვარესაც, რომელსაც მხოლოდ მზის შუქი ანათებს. რაკი სამართლიანის თაყვანისცემით მოვიხსენიეთ რუსთაველი, მაშინ უსამართლობა და უმადურობა იქნება დავივიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთაველი მზეა და მთვარე მისი მთარგმნელი—მეუნარგია იქნება; რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთოვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენს მოღვაწეთა შორის. ღმერთმა ადღეგრძელოს მეუნარგია“<sup>1</sup> (ხაზი ჩვენია,—ს. ც.).

დიდი მგოსნის ამ სიტყვებს დიდი გავლენაც ჰქონდა. ბრწყინვალედ დაწყებული საქმე დასასრულს უახლოვდებოდა სწორედ იმ წლებში, როცა ქვემომოყვანილი ბარათები იწერებოდა ივ. მაჩაბლისადმი, რომელსაც როგორც პოემის აღნიშნული გამოცემის ბოლომინაწერი გვამცნევს, რედაქციამ მიანდო წიგნის საბოლოო რედაქტირება, ტექნიკური გაფორმება და ბექტდვის პროცესში ყურის გდება<sup>2</sup>, რაც მეტად მძიმე და შავი სამუშაო იყო. მუდამ მედგარ და უშრეტი ვნერგიით აღსავსე ვანო 1887 წ. საქმეს უყოყმანოდ შესდგომია, ხოლო ი. მეუნარგია, ინიციატორი და პრაქტიკულად განმხორციელებელი დაწყებული საქმისა, დაგვირგვინების — წიგნის ბექტდვის დაწყების მომენტში, შემთხვევით შორსდარჩენილი, გულდაწყვეტილი და ნერვიული ტონით სწერს მეგობარს: „მომწერე „ვეფხისტყაოსნის“ საქმე. არამც და არამც არ დაიწყო ბექტდვა შემოდგომამდის. მე გამოცდილი ვარ ბექტდვაში და ვიცი: ბექტდვა მაშინ უნდა დაიწყო კაცმა, როცა ყველაფერი მზად არის... ძნელია და თავსაქექი ეგ საქმე, მაგრამ რა კი ხელი მოჰკიდე, მეტი რა ღონეა, თავში ქვა უნდა იცე, კიდევ იკითხო, ასწორო, ოფლი ღვარო და სულ ყველაფერი რომ დამზადდება, მერე მოჰკიდო ხელი ბექტდას... აი კიდევ ერთი რჩევა: თუ სხვა-ფრივ მზათა ხართ, დაბექდე ნამუშად ერთი ფორმა (რვა გვერდი), ვითომ და მართლა გამოსაცემად ბექტდავთ, თავის ბორღიურებითა და სხვა ჰანგე-

<sup>1</sup> „დროება“ 1884, № 260.

<sup>2</sup> იხ. ქართველიშვილისეული გამოცემის „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოსიტყვა.



ზით, წმინდად, ფაქიზად, დაბეჭდე ასე, ოციოდე ეგზემპლარი. აჩვენე ნაცნობ-მეგობრებს, იმათი აზრი მოისმინე, შენც და სხვათაც დააკვირდნენ ამ ზატხულ (დრო დიდი ოსტატია) და ბოლოს, ვნახოთ რა გამოვა რისაგან. დამიჯერე, ხარჯს ნუ მოეჩიდები. ამ ფორმის აწყობა თუმანზე მეტი არ დაგიჯდება და ეს ერთი თუმანი ბევრ ჭკუას გასწავლის, ხომ ხედავ, საფრანგეთი მილიონს ხარჯავს სამაგალითო მობილიზაციისათვის, ვითომ შენც ბულანჯე ხარ“.

მიუხედავად ამგვარი გაფრთხილებისა ივ. მაჩაბელს პოემის ბეჭდვა მაინც დაუწყია (სიხანს ყველაფერი მზად ყოფილა ამისათვის), რის შესახებაც სვანეთიდან გაბრუნებულ ი. მ-ს „ნოვოეობოზრენიეში“ წაუკითხავს ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვა დაიწყესო და სიხარულით აღელვებული კვლავ სწერს ვანოს: „И В ДОБРЫЙ ЧАС, არ იქნება კარგი, რადგანაც ეს პირველი გამოცემა არის, „როსკოშისა“, მაგრამ ხომ უნდა დაიწყოს როდისმე? — ჩვენი თაობის შეცდომებზე მეორე თაობა დალაქობას ისწავლის. მაგრამ რაც შეიძლება ცდას ნუ დააკლებთ, — გამოცემას შენი სახელი ერქმევა. ჰკითხე ასთა და „სრედნათ“ გამოარჩიე. ასე ჩემო ვანიჩქა“.

ვანოსაც თხოვნა მეგობრისა შეუსრულებია. იონასათვის სანიმუშო და საცდელი კი არა, ნამდვილი „ოტისკები“ (ანაბეჭდები) გაუგზავნია და ზედ წერილიც მიუყოლებია 1887 წ. 27 აგვისტოს თარიღით, სადაც სხვათა შორის სწერს:

ძმაო იონა, გიგზავნი [ვეფხისტყაოსნის] „ოტისკს“, რასაკვირველია, შავს: შევუდექით ბეჭდვას, ჯერ უნიფხვოდ იბეჭდება, ე. ი. უასობოდ, უკანტოვკებოდ, უბორდიურებოდ, უსათაურებოდ. შემდეგ როცა გათავდება მთელი წიგნი, მაშინ ხელახლად დაუბრუნდებით და ფერადით დავბეჭდავთ ამ მორთულობას წიგნისას. ყდა კარგი გამოდის, სურათებსაც არა უჭირს-რა. ნახავ თუ ჩვენმა პირველმა დალაქობამ არ გასჭრას. წიგნი პირველ იანვრისათვის ვგონებ გამოვიდეს, ბევრი თავში ცემა უნდა: ხელახალი რედაქცია სჭირდება ნიშნებისა და ორთოგრაფიის მხრივ. შეგებრალები რომ ნახო ჩემი სიტყვების სია; სად რა, როგორ უნდა იწერებოდეს: შექმნა თუ შეჭმნა, სდას თუ დის, სულთქა თუ სულ-თქმა და სხვა ამითანა დავიღარაბა მგონი რუსთველს ფეხებზე ეკიდა ამისთანა ორთოგრაფია და იქნება ამ საგნის მასწავლებელს „ორი“ შინაურად დაესვა მისთვის და ჩვენ კი თვალსა და გულს ვიწყალებთ. როგორ მოგეწონა „ოტისკი“ მომწერე, მაგრამ გულს კი ნუ გამიხეთქავლულადის შენიშვნები მეყოფა. იმ დღეს ერთი ყოფა დამაწია, რო-

გორ თუ არ იცი „გარტი“ რა არისო<sup>1</sup>. ერთი ყოფა დამაწია და კი არ ამიხსნა. შენ კი იცი, იონა, თუ იცი, მანდელამ მაინც მიხსენი. ყველას მოეწონა ეს „ოტისკი“. იმედია შენც მოგეწონება თუ ეს იმედი ჩვენებურ მოწინავე წერილების იმედს არ ჰგავს“...<sup>2</sup>

ეს „ძნელი და თავსაქეჭი საქმე“ საბოლოოდ 1888 წლ. მარტში დაგვირგვინდა<sup>3</sup>.

დანარჩენ წერილებზე, რომელთა ადრესატები ზემოთ ჩამოვთვალეთ, სიტყვას არ გავაგრძელებთ. ისინი ნაკლებ მნიშვნელოვანია, გარნა ყოველი მათგანი მაინც იძლევა თითო-ოროლა ახალ ცნობას ჩვენი საზოგადოებრივ და ლიტერატურული ცხოვრების განვითარების სკეროდან; მაგ., მნიშვნელოვანია წერილები დავ. გურამიშვილისადმი ნ. ნიკოლაძის მინაწერით, ელისაბედ საგინაშვილისა, ფრონელის (ალ. ყიფშიძე), ი. გოგებაშვილისა და სხვებისადმი.

წერილი იბ. ვართაგავასადმი გამოხატავს მკვლევარის მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს ამათუიშ მოღვაწისა და მწერლის ცხოვრების აღწერისას.

ნაკლებ საინტერესო არც ანასტასია მაჩაბლისადმი მიმართული წერილია. უდროოდ და უგზოუკვლოდ დაღუპულ ივ. მაჩაბლის მეუღლე თავის ერთერთ წერილში სთხოვს იონას—შეადგინოს ივანე მაჩაბლის „ცხოვრების აღწერა“ დასართველად მის ნაწერთა კრებულისა. უკანასკნელს ეს მოვალეობა არ უკისრია აქვე მოყვანილ წერილში ნაჩვენებ მიზეზთა გამო, მაგრამ დაუსახელებია ის პირობი, რომლებსაც შეეძლებოდათ იმის შესრულება, ხოლო თვითონ უპირობია ვანოზე თავისი მოგონებების მოწოდებას.

ქართულ წერლობაში ივ. მაჩაბლის გარემო ჯერჯერობით ასეთი არაფერი გაკეთებულა, ვიდრე გიორგი ლეონიძე არ დაიწყებდა თავის საინტერესო ნარკვევის—„ივანე მ. მაჩაბელი“<sup>4</sup>—გამოკვეყნებას, რომელიც დღესაც დაუმთავრებელია. მკვლევართათვის მაინც საყურადღებოა და მხედველობაში მისაღები, თუ რა გააკეთეს ამ მხრივ ან მიშომ, ან ფავლესიშვილმა და ან თვითონ

<sup>1</sup> გარტი—ხმარებიდან გამოსული, გაცვეთილი შრიფტი—ს. ც.

<sup>2</sup> იხ. ზუგდიდის ისტ-ეთნოგრ. მუზეუმში დაცული ი მეუნარგიას არქივი

<sup>3</sup> იხ. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ отд. I, стр. 25-26.

<sup>4</sup> № 85, 86, 87... და ა. შ.

<sup>5</sup> იხ. „მნათობი“ 1924 წ. № 2, 4, 5. 1928 წ. № 1, 4, 5-6.

მეუნარგამ, რომელმაც ვანოს გარშემო თავისი მოგონებების მიწოდება მაინც იკისრა,

დაწერის თარიღი ყოველ წერილს თანვე ახლავს. თუ წერილი უთარიღო იყო და ჩვენ მოგვიხდა მისი დადგენა, ისინი (თარიღები) აღნიშნული გვაქვს სქოლიოში ან კვადრატული ფრჩხილებით. ზოგიერთი ცნობის საჭირო განმარტებაც ვარჩიეთ სქოლიოში მოგვეთავსებია. მოხსენებულ პირებზე შედგენილი ცალკე შენიშვნები დართულია ტექსტის ბოლოს.

შესავალი წერილი შეიძლება ერთობ გამიჭიანურდა, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო, მაგრამ იმედი მაქვს შეპატიება, ვინაიდან აქ მითიფიკებული ცნობები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რატომღაც გამორჩენილი და მიჩქმალულია იმ დროს, როცა ი. მეუნარგიას ღვაწლი ამ ნხრივ არც ისე მცირეა და ჩრდილში დასაყენებელი. ამას თვით დიდი ილიას ნაჭედი სიტყვები და ვახტანგ ორბელიანის ლექსის მგრძნობიარე სტრიქონებიც ადასტურებენ.

#### 1. ოლგა ალექსანდროვნისადმი

Париж, 25 мая [1877 г.]

Получил я ваше письмо, Ольга Александровна и очень и очень вам благодарен за ваши добрыя намерения, за вашу, если позволите сказать, дружбу. Я сердился на ваше молчание и причислил вас к лику тех наших „прямолинейных“ людей, для которых не существует ни прошлого, ни дружбы, ни слова данного, но оказывается, что вы, как говорится, не спали за нас. Благодарю, не скажу, что не ожидал.

Вы вашей, как вы выражаетесь „распорядительностью“ ранили мое самолюбие. Этакая история второй раз со мной в заграничной моей жизни. Машико Церетели<sup>1</sup> могла вам сказать, что в прошлом году в Кутаисе, без моего ведома, открыли подписку по случаю моей болезни. Она и то могла вам сказать, что это было мне сильно неприятно. Но это прошло. Теперь по крайней мере на неделю я должен буду проклинать вас, потому что и это



меня огорчило, ей-ей. Грустно, то, что во всяком подобном случае ясно сознаешь, что находишься в положении тех несчастных, которые пристают к вам чтобы вы выкупили их из известных мест. Тебя осматривают, взвешивают, над тобой подсмеиваются и т. д., а ты, сознай свою слабость, унижайся, сдавайся..., словом... Ох! Никаким словом не выразить на что это похоже. И потому покончу с этой печальной историею. Я вам очень благодарен, милейшая Гурамова, благодарю и тех, которые приняли участие в представлении. Я жду получения денег, которые придут не раньше 5—6 дней и тогда напишу в роде квитанции маленькое к вам письмо для представления в ареопаг. Написал бы и теперь, но не знаю сколько денег. В одном месте вы пишете что 20 р., а в другом 15. Так, что не знаю сколько выслано: 20, 15 или 35. В ожидании этого позвольте мне поделиться с вами несколькими теплыми словами. За этими счетами, за этим молчанием, за этими горами позвольте найти ту чернооковую... (ამოხეული) и коротенькую барышню, которую я называл: Олико. Как живете, что делаете, кого видите, в кого влюбились, кто родился, кто умер, кто что говорит—напишите на все это ответ. Чем больше сплетень сообщите, тем приятнее. Надеюсь, что не откажете.

Я давно в Париже. С каждым днем он растет на моих глазах, этот чудесный Париж. Вы, вероятно, узнали уже, что здесь с каждым днем ожидают *сopn à Etat*\*. Разсерчал солдат. Но и Гамбетта<sup>2</sup> молодец. Никогда я его так не любил как в эти дни. Мирабо<sup>3</sup> да и только. Что мне более писать вам о Париже. Датиго<sup>4</sup>, более искусный рассказчик чем я, вам лучше, должно быть, описал Париж. Бываю в театрах, *café*, библиотеках, музеях, на собраниях, лекциях... был даже у... сказать ли?... но боюсь, чтоб вы, подчас *gamine*, не дерзнули бы расхохотаться... Был с

---

\* მაკ-მაჰონის წინააღმდეგ, მისი „16 მაისის“ ნაბიჯისათვის (პარლამენტის დათხოვნა და რესპუბლიკური კაბინეტის შეცვლა რეაქციონურით).

визитом у... Гюго<sup>5</sup>. Потасил туда Сандро<sup>6</sup> тоже. очень радушно принял нас старик. Прощаясь он пожал руку и сказал зайти к нему, если я буду на выставке. Я сказал, что еду из Парижа. Говорили о Грузии, о красавицах, о Париже, о Франции и пр. и пр. Если бы Вы могли видеть его, Ольга Александровна, если бы вы могли иметь его сочинения вышедшие на днях. Стоит только удивляться тому, каким образом незаметно становишься современником великого человека. Для меня он теперь идол (как поэт он выше всех кто только носил его имя). И потому я вошел в его дом с таким же благоговением с каким входят в церковь.

Быть в Версали, видеть национальное собрание, побывать во всех редакциях, Figaro и charivari у compris\*.

Скоро три недели, как Френк<sup>7</sup> уехал в Женеву и потому до его скорого возвращения m-me Корф<sup>8</sup> предложила мне, через Жданова<sup>9</sup>, свою hospitalité'. Вероятно, еще мне придется злоупотреблять ее любезностью. Пишите по тому же адресу.

Четыре полных месяца я жил с ними, издерживал его деньги на все увеселения, на пансион, приехал из Женевы на его деньги и он, уезжая в Женеву, оставил мне франков 50. Обещался даже высылать. И все это gratis.

Бумага кончается, места нет на этом листе, а второго листа я боюсь. Передайте мой поклон, мой сердечный и дружеский поклон Владимиру Михайловичу, Елене Антоновне и Анне Владимировне<sup>10</sup>. Ах, с какой бы охотой я побеседовал теперь с Владимиром Михайловичем хоть на один час.

За тем до свидания,  
дорогая сестрица (Не милосердия, конечно.)

Ваш... ах, опять ваш...

Просто: Меунаргия.\*\*

\* „ფიგაროს“ და „შარივარის“ ჩათვლით. პირველი ოფიციალური იყო მაკ-მაჰონისა და ჟირარდენის და ფრანს-ის მოწინააღმდეგე, მეორე კი სატირიკული ჟურნალი იყო იმ დროს რუსეთის თანამშრომლობით.

\*\* ამ წერილის პირის მოწოდებისათვის პროფ. რუსუდა ნიკოლაძეს დიდ მადლობას მოვახსენებ—ს. ც.

ძვირფასო ძმაო ნიკო!

შენი წიგნი მივალე ვლადიკავკაზიდან და სურათებს ამ კვირაში გამოგიგზავნი, თუმცა კი არ ვიცი, დადიანის<sup>1</sup> პორტრეტი როგორ გამოგვზავნო.

როგორც ეს წიგნი მოგივიდეს, უთუოდ იმ დღესვე, ან მეორე დღეს მაინც, ზიჩისთან<sup>2</sup> მიდი (Семеновский переул.). ეს ხუთი დღეა გამიგზავნია მისთვის სურათები და, თარგმანი და ცალკე წერილში მივწერეთ, ნიკოლაძე მოვა და თუ რამე საჭირო იქნეს იმას უთხარით (თუ თქო, არ ვიცი). შენ იცი რასაც ეტყვი თარგმანზე; მე მაგინე რამდენიც გინდა, მხოლოდ წიგნის დიდება არ დაუმცირო იმას, თორემ გულს აიყრის. უთხარი, რომ ჯერ თარგმანს ბევრი შესწორება სჭირია-თქო, მთარგმნელი აპირებს კიდევ ორი-სამი თვე ზედ იმუშავოს-თქო.

ახალი ამბავი დიდი, დიდი ამბავი ეს გახლავს, რომ გუშინ წინ მომივიდა რენანის<sup>3</sup> წერილი. ცწერს, გამომიგზავნე თარგმანი<sup>4</sup> და მე პარიჟის აზიურ საზოგადოებას წარუდგინო. თარგმანს, რასაკვირველია, მე იმას არ გაუგზავნი, რადგანაც მარტში მე თითონ ვაპირებ პარიჟში წასვლას, მაგრამ ეს კი იცოდე, რომ მაშ მეგრელი არ ვყოფილვარ, თუ წინასიტყვაობა მე არ დავტყუე მას.—ზიჩისაც უთხარი ეს ამბავი.

აქაურობა ისევ ისეა, როგორც დასტოვე. მურიემ<sup>5</sup> ზაჰლა წაიღო. მუხრანსკიმ<sup>6</sup> პოდნოსკა ჩამოართვა о неведже, მაგრამ მერე მივცვივდით ყველანი და ისევ ახსნა. ვერ მოვიცილეთ თავიდან ვერა და ვერა.

ბარონი სუტნერი<sup>7</sup> სამეგრელოში, ჩემს სოფელში, მიმყავს ამ დღესასწაულებზე და იქ გვინდა ერთად და ბეჯითად გარღვიკითხოთ და გადავასწოროთ თარგმანი.

ვასილი<sup>8</sup> გეთაყვანება. დღესაც არ მიუღია საწყალს. ახალი ამბავი, ესეც დიდი, დიდა ანბავი, ეს არის რომ გუშინ წინ მეორე გიმნაზიის მასწავლებელმა, კუზმინმა<sup>9</sup> (ადრინდელი დირექტორი საქალბო გიმნაზიის) . . . ტრესკოვსკის<sup>10</sup> შვილი, 8 წლის ბავშვი. ტრესკოვსკიმ პროკურორს მასცა განცხადება და ერთი ამბავია ეხლა ქალაქში ამ საქმის გამო.

ეს უკანასკნელი ამბავი გეყოფა ამ ჟამად.

შენი ერთგული იონა.



P. S. შენი ჭირიმე, ნიკოჯან, უთუოდ მალე შედი ზიჩისთან. უთხარი, სხვა-  
თა შორის, რომ გექტოგრაფის მეღნით არის დაწერილი და წყალი არსად  
დაასხან, თორემ გაფუჭდება,—ამას გარდა ზოგიერთი ქართული სიტყვები, რომ-  
ღელნიც გამოხატავენ თანამდებობას, მუსიკის იარაღებს და სხვ., ქართულად  
არიან ნახსენებნი და შენ განუმარტე. არამც და არამც არ დაიხარო წასვლა.

### ვ. მ ა ს ვ ე

9 იანვარს 1885 წ.

ცაიში.

ძმაო ნიკო,

ეს ორი კვირაა ქალაქიდან წამოსული ვარ და არ ვიცი მოგი-  
წერია თუ არა რამე პასუხი ან ჩემთვის, ან ილიასთვის<sup>1</sup> შესახებ  
„ვეფხისტყაოსნისა“ და ზიჩისა<sup>2</sup>. ჩემი წერილი, უეჭველია, მოგი-  
ვიდოდა.

ამ წიგნს აი რატომ გწერ: როგორც გაცნობე ამას წინათ, მე  
სუტნერები<sup>3</sup> სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმეორედ შეუდექით  
თარგმნას, უფრო უმეტესის დაკვირვებით და სინიღისით. ჯერ უკა-  
ნასკნელს რედაქციას ვადგენთ ფრანციცულად და მერე იქვე ნემე-  
ცურად ვთარგმნით წიგნსა. ეს ორი კვირაა დღე და ღამე ვმუშაობთ  
და როგორც იყო ერთს მეოთხედს მოუღეთ ბოლო. ამ პირველს  
მეოთხედში ერთი შეცდომა შებზდა წინანდელის ჩემის თარგმნისა,  
რომელიც უთუოდ უნდა გასწორდეს ზიჩის ეგზემპლარში, თორემ  
შხატვრობა ნამდვილი არ გამოვა. ეს შეცდომა არის იმ სცენში,  
როდესაც ტარიელი პირველად დაინახავ ნეტან-დარეჯანსა (მგო-  
ნი, მეოთხე სცენა). მიდი ზიჩისთან, უთუოდ ნახე წიგნი, გადაშალე  
თავი „Ici Tariel devient amoureux (ამის მონახვა შეგიძლია ჩემგან  
შედგენილი რეკვიზიტით, საცა გვერდები ნაჩვენებია) და ამ თავის  
შესამე ხანა, რომელიც იწყება ასე:

„Un mur d'émeraudes et une rangée d'aloès entouraient  
ce „bakhtcha“.

გადასწერე ასე:

„Une rangée d'alva (platane oriental) entourait le jardin  
d'un mur d'émeraudes“.

ეხლა ვგრძნობ ყოველს ნაკლულოვანებას ჩემის თარგმანსას,  
მაგრამ ჯერ გვიან არ არის, ჩემგან გაბრუნდებულს ჩვეე გავასწო-  
რებ. სხვათა შორის, ზიჩის უთხარი ლაპარაკის დროს, რომ ჩემს  
თარგმანში, სიტყვა ქართული „ალვა“ ცუდად ვთარგმნე ბროსეს  
წყალობით; მე მიწერია: aloès (რადაც უხეირო მცენარე) მაშინ

როდესაც უნდა იყოს *Platane oriental*. მეორე თაგმანში მე ვ'წერ *alva*-ს და პლატან შენიშვნაშია ძირს.

სხვა, ჩემო ძვირფასო ნიკო, რასა იქ და როგორა ხარ. მომწერე შენი ავან-ჩავანი, რა პლანები გაქვს, რა ჰაზრები. ხომ ზაგრანიცაში არა ხარ, ან არ იყავი, ან არ მიდიხარ. ჩემი პარიჟში წასვლა, მგონი, აპრილამდის დამიგვიანდეს. გზის ხარჯი რომ ბევრი არ მომივიდეს, ვაპირებ პარახოდით წასვლას მარსელამდის, მაგრამ მეშინიან კი სული ამომძვრეს პარახოდზე.

შენი ჭირიმე, ნიკოჯან, ზიჩისთან უთუოდ მიდი და უთუოდ პასუხი მომწერე.

შენი ერთგული იონა.

P. S. როგორც შევატყე ნემეცურ ენაზე უფრო ადვილი სათარგმნი ყოფილა „ვეფხისტყაოსანი“. ქართული ფრაზა ფრანციულ ენაზე უთუოდ უნდა შეიცვალოს როგორმე და ნემეცურად კი პირდაპირ გადადის.

#### 4. ოლგა გუკამიშვილ-ნიკოლაძისადმი

28 მარტს 1886

როსთოვი

ძვირფასო დაო და ბატონო ოლიკო!

აბა ერთი გამახარე თქვენის კარგის ამბებით. მომწერე რა გადაგხდიათ ჩემი წამოსვლის შემდეგ, როგორ არის ნიკო<sup>1</sup>, რასა იქს შენი თვალის ჩინი—რუსა<sup>2</sup>. უეჭველია, ისევ სასტუმროში დგახართ და ემაღებით თქვენი ოთახების მიკრობებს. ის მამაძალი მიკრობები! დასწყევლოს ღმერთმა, თქვენთან რა დაკარგვია, რომ მოსვენებას არ გაძლევთ!

ნეტაი პეტერბურგში მქნა იმ დღეს, როდესაც თქვენ ისევ თქვენსა გადახვალთ—ნუ აუჩქარდებით! — წარმომიდგენია ყველა თქვენგანი აღჭურვილი პულვერიზატორებით. ძირის კიბილამ დაწყებული სულ ფფუ, ფფუ, ფფუ! როცა შინ შეხვალთ იქ ხომ სულ კარბოლკას აბანო იქნება. კარრიკატურის დახატვა რომ ვიცოდე, დახატავდი მაშოს<sup>3</sup> ევას ტანისამოსში, ვანნაში მცურავს, რომელსაც რუსა ერთს ილიაში უჭირავს და სხვ. და სხვ.

რაკი მხატვრობაზე გადავიდა სიტყვა, უთხარი ჩემ მაგიერ დათიკოს<sup>4</sup>, რომ მოსკოვში ენაზე *les ateliers de notre jeune peintre m-r Mrevloff!*<sup>5</sup> ეტყობა ნიჭიერი კაცი არის, *un peu trop academi-cien!* საკვირველია, რა „ვერტიუ“ გამოიჩინა, ჩემი ნაღვტერიტალო ნიკოჯან, თბილისის არე-მარემ. ბერიძე<sup>6</sup> მცხეთელი ყოფილა, მრევლოვი მცხეთელია, დათიკო<sup>7</sup> ავჭალელია, გაბაევი<sup>8</sup> კიდეც პოდ-ქა-

ლაქელია, ასე გასინჯე, ჩვენი პროფესორი ცაგარელი<sup>9</sup>, რომელმაც დამარწმუნა—ხატვა ვიციო, დიღმელია. გაგონილა, ამდენი ხუდოფნიკები ამ მცირე ტერიტორიაზე! აბა, ვინძლო, რუსამაც დაიწყოს მხატვრობა და მერი-ობა გამოიჩინოს!

მოვიკითხავ დიდის პატივისცემით კნენას<sup>10</sup>, მაშოს<sup>11</sup>, ნინიჩკას<sup>12</sup>, კლარას<sup>13</sup>, დათიკოს და ნიკოს სალამი.

მწვიდობით, ნახვამდის. როდის იქნება ერთი ლაზათიანად ავჭალის ბალკონზე ვიჯდეთ და ვიძახდეთ: პიკი, ტრე, ბეზ-კოზირეი. დღეს პირველ საათზე ქალაქს მივდივართ და იქიდანაც მოგწერ ჭორებს.

თქვენი ერთგული იონა მეუნარგია.

ჩემი ადრესი: Зугдиди (через Тифлис)

Ионе Михайловиче Меунаргия

### 5. ივანე მაჩაბლისადმი

23 ივნისი 1887

ზუგდიდი.

ასე არ უნდა, ძმაო ვანო, თორემ შენ იცი, ანუ:

ისევე შენ, თორემ სხვა ვინ? მე ვიცი, ილია<sup>1</sup> მომწერს წიგნს და შემისრულებს თხოვნას. არც აქეთ, არც იქით. უნდა გამომიგზავნო: ახალგამოცემული ჩარკვიანის<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსანი“ და „ძმური სიტყვა“ მაჩხანელისა<sup>3</sup>. Diable, le voilà placé à coté de Roustavel\*. თუ რაში ახალი წიგნი არის და იმასაც ზედ დაატან კარგი იქნება, მაგრამ უნდა გამოგზავნო შენებურად, ე. ი. à la vapeur\*\* მიღებისთანავე, რომ მე დროზე მივიღო, თორემ ლეჩხუმს მივდივარ საზაფხულოდ და მერე გვიან იქნება. სექტემბერში ჩამოვალ ქალაქს და მოგართმევ რაც მემართება.

ვანო-ჯან, მომწერე რა ამბავია ქალაქში. არაფერი არ ვიცი რა ხდება გაზეთს გარედ—ათასში ერთხელ თუ ნიკოლაძე მომწერს, თორემ არავის ვახსოვარ.

ეჰ, წავიდა უშნოდ, უგემოდ, ეს სიყმაწვილევც, მეგობარი არა, საყვარელი არა, ცოლი არა, შვილი არა, იმედი არა.\*\*\* შენ მაინც

\* რუსთაველის გვერდით ეშმაკი დამჯდარა.

\*\* გემით.

\*\*\* ეს სიტყვები: გრ. ორბელიანის ერთ-ერთ კერძო წერილიდან არის, სჩანს იმ ხანებში, როცა ეს ბარათი იწერებოდა, მეუნარგიას უკვე ჰქონია ისინი დაგროვილი და შედგენილი.



მოხედვე გაჭირვებულს და დიდი, დიდი თაბახი მომწერე გადაჭრელებული ამბებითა, ჭორებითა და არშიყობით.

მომწერე „ვეფხისტყაოსნის“ საქმე. არამც და არამც არ დაიწყო ბეჭდვა შემოდგომამდის. მე გამოცდილი ვარ ბეჭდვაში და ვიცი: ბეჭდვა მაშინ უნდა დაიწყოს კაცმა, როცა ყველაფერი მზად არის, როცა ტიპოგრაფიასთან პირობა გაქვს შეკრული შტრაფით, რომ არც ის დაიგვიანებს ბეჭდვას და არც შენ, როცა ერთი სიტყვით არაფერი დაბრკოლება არ არის რედაქციის მხრით, თორემ, შენი მტერი... „დასტურ-ლამალსავით“ საქმე მოხდება. მოუმზადებლად რომ დაიწყოს საქმე და შენებურად აჩქარდეს, კიდევ უარესი. ტექსტს რომ თავი დავანებოთ, „ზაპიტაიები“ და „ტოჩკები“ არ არის დასმული ჯერ რიგიანად. ძნელია და თავ-საქექი ეს საქმე, მაგრამ რა კი ხელი მოჰკიდეს, შეტი რა ღონეა, თავში ქვა უნდა იცე, კიდევ იკითხო, ასწორო, ოფლი ღვარო და სულ ყველაფერი რომ დამზადდება, მერე მოჰკიდოს ხელი ბეჭდვას. აი კიდევ მეორე რჩევა: თუ სხვა-ფრივ მზათა ხარ, დაბეჭდეს, ნიმუშად, ერთი ფორმა (რვა გვერდი), ვითომ და მართლა გამოსაცემად ბეჭდავთ, თავის ბორდიურებითა და სხვა ჰანგებით, წმინდათ, ფაქიზად, დაბეჭდეს ასე, ოციოდეს ეკზემპლარი. აჩვენე ნაცნობ-მეგობრებს, იმათი აზრი მოისმინე, შენც და სხვათაც დააკვირდნენ ამ ზაფხულ (დრო დიდი ოსტატი არის) და ბოლოს ვნახოთ რა გამოვა რისაგან. დამიჯერე, ხარჯს ნუ მოერიდები. ამ ფორმის აწყობა ერთ თუმანზე მეტი არ დაგიჯდება და ეს ერთი თუმანი ბევრ ჭკუას გასწავლის, ხომ ხედავ, საფრანგეთი 8 მილიონს ხარჯავს სამაგალითო მობილიზაციისათვის. ვითომ შენ ბულანჯე<sup>4</sup> ხარ.

წიგნები ქუთაისში გამომიგზავნე ამ ადრესით: Кутаис. Его светлости, Генерал-адютанту Кн. Григорию Дадияни. გადაეცით ი. მე-უნარგიას.

ქალაქი გათავდა. შენი იონა.

გ. შ ა ს ვ შ

ძ მ ა ო ვ ა ნ ო,

შენი წიგნი სწორედ იმ დროს მომივიდა, როცა სვანეთში ვაპირე წასვლა. და ამიტომ ვერ მოგწერე შემხვედბოდა ჩამოსვლა ქალაქს, თუ არა. მას აქეთ განზრახვა ასრულებაში მოვიყვანე, — ვნახე სვანეთი—სვანეთი, საცა სამი კვირა დავყავ და გაბრუნებულზე „ნოვოე ობოზრენიეში“<sup>1</sup> წავიკითხე „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვა დაიწყესო. И в добрый час, არ იქნება კარგი, რადგანაც ეს პირ-

ველი გამოცემა არის „როსკოშისა“ მაგრამ ხომ უნდა დაიწყოს როდისმე,—ჩვენი თაობის შეცდომაზე მეორე თაობა დალაქობას ისწავლის. მაგრამ, რაც შეიძლება ცდას ნუ დააკლებ,—გამოცემას შენი სახელი ერქმევა. ჰკიოხე ასთა და „სრედნათ“ გამოარჩიე. ასე, ჩემო ვანიჩკა.

მე ხომ ვარ და ვარ მუხთალი. ქალაქს ვერ ჩამოვალ, რადგანაც გუბერნატორს დაუნიშნია „ვოინსკი პრისუსტვის“ წევრად და სალდათობა ოქტომბრის დამღვეამდის არ გათავდება. მაშინ კი ჩამოვალ, თუმცა კი გვიან იქნება. ოტტისკი რათ არ გამომიგზავნე? თუ ძმა ხარ, გამომიგზავნე, სული მიმდის, სანამ დავინახავდე. ამასთან მომწერე в негизетная новости литературно-политического свойства, პოლიტიკური რაღა უბედურება იქნება? შენ რა გააკეთე თამარაშენში? მოათავე თუ არა „ოტელლო“<sup>2</sup>, გული არ აიცრუო.

1 სექტემბრამდის ქუთაისს მომწერე გრიგოლ დადიანის<sup>3</sup> სახელზე, მერე ზუგდიდს პირდაპირ ჩემს სახელზე.

მომიკითხე: ილია<sup>4</sup>, პეტრე<sup>5</sup>, აკაკი<sup>6</sup>. აკაკის უთხარი ჩემს მაგიერ, რით ვერ მორჩი ამ წერილების წერას გაზეთებში-თქო?

შენი ერთგული იონა მეუხნარგია.

19 აგვისტო 1887 წ.

სურამში.

## 7. დავით გურამიშვილისადმი \*

17 აგვისტო 86

ავჭალა

ძვირფასო ძმაო, დათიკო!

Tu as tort de Thatharhan<sup>1</sup> mon vieux \*\* ერთობ იგვიანებ და! არც ასე ვარგა. ბერიძე აპირებს ქართულის (არწრუნისეულის<sup>2</sup>) თეატრის ფარდის დახატვას. ძვირად არ დაუჯდება ბანკს ამის დახატვა, 80 თუმნად გადაკეთებო. თუ ეს ზაკაში მისცეს, შენ რაღა უნდა დაგახატვინოთ, როცა ჩამოხვალ, სიონი და მცხეთა დახატულდება. შენ კარგად იყავი რა სამუშაოს იშოვნე. (P. S. შენ პოდრიადად მოგცემენ გოგებაშვილის<sup>3</sup> პორტრეტის დახატვას).

ქალაქისა მეტი რა მოგწერო, სულ მინისტრები და პობედონოსეევი<sup>4</sup> მოდიან და ჩვენს ქებაში არიან. ივანე მუხრანსკი<sup>5</sup> ამბობს: საცა იმათი თქვან, იქ ჩვენიცა თქვანო. ძალიან მახვილი

\* წერილს თავზე აწერია ფრჩხილებში—(დახიე)—ს. ც.

\*\* შენ შემცდარი ხარ თათარხანზე, ჩემო მოხუცო.

კაცია ეს ივანე. სულ თავისებურად ხსნის ყველაფერს. ბანკის (პრო-  
კაზის) თაობაზე მოვიდა ქალაქი: ხელმწიფემ განიხილა თავად-  
აზნაურობის შემადგენლობა და დააწერაო: „К сожалению, здесь  
действительно нечего делать“. ყველას გვეწყინა, ივანემაც  
გაიგო, რომ აქ „ატკაზი“ იყო და ცოტა ხანს დანაღვლიანდა, მაგ-  
რამ მალე ისევ გამხიარულდა, თქვენ არ იცით ეს რა რეზოლუცია  
არისო. ხელმწიფეს უბრძანებიაო „Здесь“ ნეჩეგო დელატ, ე. ი.  
პეტერბურგშიო, თორემ ის კი არ დაუწერიაო, რომ იქ, ქალაქში  
არა მოხერხდება რაო!..

ეხლა ქუთაისის ქორეზზე მოვიდეთ. Дуэль, ნესოსტოიაგშია-  
სია! გიორგი შარვაშიძის<sup>6</sup> დასთან<sup>7</sup>, თამართან ყოფილან სოფელში  
გიორგის ძმა მიშო<sup>8</sup>, თათარხან დადემქელიანი<sup>9</sup> და სხვ. სადილო-  
ბის დროს თათარხანს უთქვამს მიშ-სთვის: „Ты врешь!“ ოხ,  
როგორ თუ ვრიოშო, На дуэль. ჰაი, უი, აცვენილან, ქალებს  
ტირილი დაუწყიათ და ყვ-ლანი ქალიან-კაციანათ ქუთაისში წასუ-  
ლან და იქ შეურთიგებიათ;

ქუთაისის ოსტრიაკი, გრაფი ვალუევი<sup>10</sup> მოკვდა ქილადის<sup>11</sup>  
გოსტინიცაში. მგონი იცნობდი.

ქუთაისში დიდი ამბავი ჰქონდათ თურმე ამ ზაფხულს სტუ-  
დენტებს. დაყოყოჩობდნენ. გიორგი შარვაშიძეს ერთი ლექცია  
წაუკითხავს На тему о вреде цивилизации. კირილესაც<sup>12</sup>  
წაუკითხავს о поэзии.

ხუნდაძეს<sup>1</sup> შეურთავს პატკულია<sup>14</sup>,—მიქელაძის ქალი, რომ  
აკტრისობდა ის. მეორე, მიქელაძის ქალი, ლამაზ-ლამაზი, სიმონის<sup>15</sup>  
და, თხოვდება ვიღაც აბაშიძეზე<sup>16</sup>. მესამე მიქელაძის ქალი, ორლოვს-  
კის<sup>17</sup> ცოლი... ამათი საქმე ცუდათ არის. ორლოვსკის ნოვორო-  
სიისკში რალაც პოდრიადი აუღია, „პროიგრალ“ და თურმე კაბებს  
ყიდისო ცოლისას.

ასე ჩემო შაო დათიკო. ცუდათ მიდრს ეს სოფელი. შენს მეგო-  
ბარს დათა მიქელაძეს<sup>18</sup> ვლადიმერ მიქელაძისათვის<sup>19</sup> დაუგირავე-  
ბია თავისი სახლ-კარი 700 თუმნად.

მომავალ წლიდამ ჩვენში „ვოენნი პოვინოსტობა“ შემოდის.

გეყო თუ არა? თქვენები კარგად არიან. რუსა<sup>20</sup> დასახატავია,  
ლამაზი, ჭკვიანი. ინას მეძახის, იონას შაგიერ. რეკაზ ჩოლოყაევი<sup>21</sup>,  
და ვლადიმერ ჯანდიერი<sup>22</sup> იანეს მეძახიან ეზლამდის. ils ne sont  
pas beaucoup avancés, comme tu vois\*. კბილი რომ ჩაატვირის  
ამ ურჯულოებმა, ეს გეცოდინება. მოეშველე შენს დისწულს, თო-

\* არც ისე წაწეულა წინ როგორც შენა გგონა



რემ აქ სრულებით ყურს არ უგდებენ. ჩასხდებიან და ვინტს თამაშობენ, რუსა ვის ახსოვს.

მშვიდობით, ნახვამდის, შენი იონა.

P. S. შენ რომ ცალკე წიგნი მოგწერო გაწყენს<sup>23</sup>.

გოგებაშვილის თაობაზე აი ერთი ახალი ამბავი, „სანაკვესო“<sup>24</sup> (როგორც აქ ამბობენ „ივერიელნი“). გახსოვს მე რომ „ობზორი“<sup>25</sup> დავიწყე, გოგებაშვილმა<sup>26</sup> თავისი თანამშრომლობა შემპირდა (თუმცა მე არ მითხოვნი). მერე როცა მესხთან<sup>27</sup> პოლემიკა ამიტყდა ენების თაობაზე, გოგებაშვილმა, რაკი ქუჩაზე შემხვდა, გამომიცხადა: დღეის იქით „ობზორი“ აღარც ერთ სტრიქონს არ ეღირსება ჩემსასაო“. გადავინარხარე მაშინ ძალიან, რადგანაც არც იმდღემდე ერთი მისი სტრიქონი არ ღირსებოდა „ობზორს“. ეხლა იგივე გოგებაშვილი იონას შეხვედრია გუშინ, და უთქვამს; „ზოგიერთი შენი სტატიები ისეთი მშვენიერიანო, რომ თვითონ მეც მოვაწერდი მათზე ჩემს სახელსაო“. ერთი სიტყვით შეშლილი იყო, არის და იქნება. უბედურება ესაა, რომ ამგვარ შეშლილს გავლენა ჰქონდეს ჩვენს მხარეში.

შენი ნ. ნიკოლაძე.

### 8. მ ა ს ვ ე

და თ ი კ ო ჯ ა ნ !

გწყალობდეს ზედა-ზენი. ესეც არის პარაკლისი გადაიხადეს თქვენებმა, მე, რასაკვირველია, დიაკვანი ვიყავი. ვეჭვობ, აქაურ დიაკვანს ძალიან სწყინს, რომ ვეცილები, ჰგონია რომ ადგილი უნდა წავართვა.

აქაურობისა რა მოგწერო. გაბაევი<sup>1</sup> ჩამოვიდა, ძალიან ინტერესნი არის. ბაესტრო ბერიძე<sup>2</sup> ნამდვილ მხატვრობას ჩემობს.

ლიტერატურა ჩვენი ჩვეულებრივად მიძინებულა. rien de nouveau, de .... quant\* — ეს წელი, მგონი, ისე ჩაივლის რომ არასაშობს.

ქუთაისი ისევ ისეა, როგორც დაგიტოვებია, ვალუევი<sup>3</sup> მოკვდა მხოლოდ. ბიძინა<sup>4</sup> აპირებს იქედამ წამოსვლას, მებელი სულ დაყიდა. მარო<sup>5</sup> თავისი შავი თვალებით იმ კვირია ვნახე. ვალერიანის ქვრივი<sup>6</sup> და მე ახალ გათხოვილზე, ერთად მოვდიოდით რკინის გზით.

— რა ვქნა ჩვენებურმა არავინ შემირთოო და უცხო ქვეყნის კაცს გავყევიო.

Молва (გაურკვეველია) ... საწყალ იმ კონსულთან მისულა შამია გურიელი<sup>7</sup>: М. Г. я знаю, что вы живете с моею род-

\* არაფერი ახალი . . . . ისაგან. ერთი სიტყვა გაურკვეველია.

ственницей кн. Микеладзе<sup>8</sup>, или женитесь, или выходите на дуэль. საწყალს წეშინდა და შეირთო. ერთი მაჩანჩალა სუბტილნი რალაც არის.

სანდრო ჭავჭავაძე<sup>9</sup> (დავითის შვილი) ირთავს შაქრო მალალოვს დას<sup>10</sup>, თიკოს, ეს გაგეგონება.

გიორგი ორბელიანი<sup>11</sup> ირთავს მიურატის გერს, ორბელიანის ქალს. ეს ესე. ეხლა მოვიდეთ სასულიერო საქმეებზე.

ლალიევმა<sup>12</sup> რომ რექტორი მოკლა გეცოდინება. გეცოდინება ისიც, რომ 20 წლის კატორგა გადაუწყვიტეს. ექსარხოსმა დამარხვის დროს „რეჩი“ სთქვა, საცა ვითომ ულაპარაკნია „წყეულ იყოს ის ხალხი, რომელმაც დაბადა ასეთი ბოროტმოქმედიო“. ამაზე დიდა აყალმაყალი ატყდა ჩვენს „დვორიანსტვოში“. დიმიტრი ყიფიანს<sup>13</sup> მიუწერია ექსარხოსისაჯვის, თუ მართლა გითქვამს ეს შენ, უნდა არქიერობას თავი დაანებო თორემ მოგკლავენო.

რა კი ყიფიანზე ვლაპარაკობთ აი მისი ხ... le mot de lin\*.

ქუთაისში, ბანკში, ინშ. ცინრ. დიმიტრიმ სიტყვა წარმოსთქვა. იმას ვილაც ჩოხიანმა პასუხი გასცა. ამ პასუხზე ყიფიანმა სთქვა: я очень сожалею что не могу ответить вам, князь, вы одеты не по фоме, вы без шашки. ვიცი, ეს შენ მოგეწონება. ესე და ამა პირსა ზედა.

შენი იონა.\*\*

## 9. მ ა ს ვ ე

### ძმაო და თიკო!

ეს ღვთის წყალობა ტელეფონი მანდა გაქვს და დეპუტ. სობრანიეცა შენი სახლია. თუ ძმა ხარ, კითხე თუმანოვს<sup>1</sup> და სხვას ვინც გეგულებოდეს და თუ რამე იშოვებოდეს ნაბეჭდი ან ხელნაწერი გურიის ნავთზე მიშოვნე და გამომიგზავნე თუნდ დროებით, რითაც ძლიერ დამავალე. ყოველი კაცი ნავთზე ლაპარაკობს აქეთ-კენ და მეც, მოლა მასრადინასავით, იმაზე წინდა ვილაპარაკო<sup>2</sup>. მხოლოდ ევროპიულად კი ჰქენი. პასუხი მომეცი და არ დამიგვიანო. ორივე კ-ანები პატივისცემით მომიკითხე.

შენი ერთგული ი. მეუნარგია.

28. 9. 1911.

\* უკანასკნელი სიტყვა.

\*\* წერილი უთარიღოა, მაგრამ მასში ყველა მონაცემი ნათელყოფს, რომ ის 1886 წ. არის დაწერილი.—ს. ც.

მოწყალეო ხელმწიფევე, ბატონო ელისაბედ  
გრიგოლის ასულო!

ქალაქიდან წამოსვლის შემდეგ დღემდის რაც რამ, ამბები ჩვენ გადაგვწყდა ამის წერას რომ მოგიყვე, ბოლო არ ექნება და ამიტომ ეს ამბავი ჩემზე იყოს. როცა ჩამოვალ მაშინ მოგახსენებ. მანამ აი, ერთი ამბავი.

დღეს მე და სტარია მუხრანსკი<sup>1</sup> ზაღაში ვზივართ და რაღაცას ვმუშაობთ. უცებ კარი გაიღება და შემოვა ერთი ყმაწვილი-კაცი, ლამაზათ მოყვანილი, შავგვრემანი, მალალის ტანისა, დიდ-ცხვირა, კარგი მანერის პატრონი, რასაკვირველია, ფრაკით და პერჩატკებით.

ჩვენ წამოვდექით ფეხზე. ყმაწვილმა კაცმა ჯერ სალამი გაუკეთა კნიაზ ივანესა<sup>2</sup>, მერე მოვიდა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— პოზვოლტე პრედსტავიტსია, კნიაზ ჭავჭავაძე<sup>3</sup>.

— ოჩენ რად, კაკოვო ჭავჭავაძე სინ?

— ია პლემიანიკ ილიი ჭავჭავაძე<sup>4</sup>.

— ოჩენ რად, ოჩენ რად.

ილიას პლემიანიკობა რომ გავიგონე, ახლა მე მივეარდი.

— პოზვოლტე ი მნე პოზნაკომიტსია ს ვამი, ია პრიატელ ილიი ჭავჭავაძე ი ოჩენ ხაროში ზნაკომი ელიზავეტი<sup>5</sup> გრიგორიევნი.

— ოჩენ რად, ოჩენ რად.

— ა კაკ ტიოტკა პოჟივავეტ, ანა ნე პოსტარელა?

— კაკოი პოსტარელა. ანა ეშჩო მოლოდა ი ალექსანდრ დიმიტრიჩ<sup>6</sup> მოლოდ, ვსე ბოდრი ი ზდოროვი.

— ოჩენ რად, ოჩენ რად.

ამ ოჩენ რადებით ვილაპარაკეთ დიდ ხანს. კარგი ყმაწვილი ყოფილა. შევეიტყვე, რომ ვორონეჟის პომეშჩიკი ყოფილა, პალტარისიაჩი დესიატინა ჰქონია, ბევრი ცხვრები ჰყოლია.

ხვალ, მაგიერ ვიზიტს გადაუხდით და ერთი კარგა ლაზათიანად უნდა ვიპაჟარნოთ, უცოლოც ყოფილა!

რასაც ვიპაჟარნებთ იმასაც მოგახსენებთ, როცა გეახლები.

სააღდგომოდ იმედი მაქვს გნახოთ.

ალექსანდრეს უბრძანეთ: ასე არ უნდა ალექსანდრე, თორემ მენ იცი-თქო.

ტიტიკო რასა იქს? ე მანდ უჩემოდ ქორწილი არა სჭამოთ-თქო. თქვენნი ერთგული ი. მე უნარგია.

P. S. ილია<sup>8</sup> და კნენა ოლიკო<sup>9</sup> მომიკითხე. ნეტა ვიცოდე, ილია ძალიან ხგნეშის?



ძმაო ალექსანდრე!

უეჭველია, ამდენ ხანს, შენ მოაგროვებდი სენატის გარდაწყვეტილებათ, რომელთაც პრინციპიალური მნიშვნელობა აქვთ საგლეხო საქმეებში. თუ ეს ასრე არის, უნდა ჩვენც ჩამოგვირჩინო და საგლეხო საქმეებში ახლად შესულებთ გაგვიადვილო სამსახური. საუბედუროდ გარდა გორემიკინისა<sup>1</sup> და კუჩაევისა<sup>2</sup> არაფერი არა მაქვს და კიდევ დანილოვის<sup>3</sup> უკანასკნელი კრებულისა, და არც ვიცი არის თუ არა რამე წიგნი ქვეყანაზე. აწი ეგებ გვიან იყოს ამაზე ფიქრი, მაგრამ ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი Местн.

полож. გამოეცა სენატის განმარტებით ყოველ სტატიის ქვეშ, როგორიც არის, მაგ. „ქალაქის დებულება“ მიწისა, და თუ ეს არ შეიძლებოდა, ხელნაწერში მოაქუჩავებდეს ვინმე სენატის განმარტებით. მე ამგვარ მუშაობას შევუდექი კიდევ და იმედი მაქვს შენს შემწეობას არ რომაკლებ. თუ რამე შეკრებილი გაქვს, დასვი ერთი და ერთი შენი მწერელი, გადააწერინე და გამომიგზავნე და შემდეგშიაც სახეში გქონდეს შენს კრებას უმატო და უმატო. თუ არა გაქვს და, წარსულშიდამ რაც რამ დიდად საინტერესო განმარტება იყოს ის ამოაწერინე და მოვალშიაც სახეში გქონდეს. მაგიერი ჩემგანაც მიიღე თუ საჭირო იყოს თქვენის გუბერნიისათვის.

განსაკუთრებით ორ საგანზე გთხოვ მომაწვდინო თუ რამ მოგეძევა სენატისა. გქონდათ თუ არა შემთხვევა სენატს გამოეთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, რამდენი მიწა ეკუთვნის გლეხს, იმდენი რამდენიც უსტ. გრამოტაშია ნახსენები, თუ იმდენი რამდენიც უსტ. გრამოტას საზღვრებს შორის აღმოჩნდება. მეორე: შეიძლება თუ არა გლეხკაცს ძმები ან შვილები გამოეყოს „უსადბიდამ“ და ცალკე „უსადბები“ გაიკეთოს სანადელო მიწაზე? თუ შეიძლება, გადასახდელი რა იქნება იმ შემთხვევაში, როცა მებატონის თანხმობა არ იქნება ცალკე დასახლებაზე.

თუ ღმერთი გწამს, არ დაგეზაროს ამ თხოვნის შესრულება. ყოველ შემთხვევაში გთხოვ პასუხი მომწერო და პასუხში ისიც ჩამიწერო რა და რა წიგნები გაქვს საგლეხო საქმეებისათვის (ჩვენში) გამოსადეგი, სად შეიძლება იმათი შეძენა და რა არის იმათი ფასი?

თუ რამე ნაბეჭდი ცირკულარები ან ბროშურები გეგდოს (лишние экзем.), გამომიგზავნე და მით დიდად დამავალე.

თქვენი ერთგული ი. მეუწარგია.

ადრესი: В Зугдиди, Мировому посреднику Ионе Михайловичу  
Меунаргия.

## 12. მ ა ს ვ ე

ძმაო ალექსანდრე, ბატონო გუბერნატორო!

მომილოცავს ახალი მაღალი თანამდებობა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. წავედით წინ სემინარიელები! ნეტა ვიცოდე გიგა რას ამბობს? იმ ნიჟნით რომ გუბერნატორი ხარ, დიდ-ხანს უნდა გააჩერო კარიდოროში, ბევრიმც იყოს ნარედაქტორალია და კასსირი.

ნახვამდის, თქვენო აღმატებულებავ.

თქვენი ერთგული ი. მეუწარგია.

ჯერ პრიკაზი არ წამიკითხავს, მაგრამ მაინც გილოცავ. ამით ხომ არა დაშავდება რა?

2 აგვისტო 1905 წ.

## 13. მ ა ს ვ ე

ძმაო ალექსანდრე!

გიორგი ეპისკოპოსს<sup>1</sup> მიულოცე კურთხევა და მაშინვე პასუხი მომცა. ერთს ვიცე-გუბერნატორს მიულოცე ამას წინად დანიშვნა, მაგრამ პასუხი არ გამცა. ამით ის უნდა გითხრა, რომ წერილს პასუხი უნდა.

მომწერე შენი ჭირიმე რა ამბავი ჩამოიტანა ქალაქიდა გუბერნატორმა. რჩება, თუ არ რჩება, მკვლელობისაგან შეშინებული შირინკინის<sup>2</sup> ცირკულარი რომ წავიკითხე იმედი მომეცა: იმას, ე. ი. იმის პროგრამას მტერი არ უნდა ჰყავდეს თბილისში. თქვენც გაამხნევეთ, ე. ი. შენ და პეტრემ<sup>3</sup> და არსად გაგვიქციოთ ეს კურთხეულის შვილი, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენის ქვეყნისათვის. თუ შემთხვევამ მოიტნოს, ჩემის მხრითაც უთხარით: წასვლა გაქცევა იქნება თქვა ჭირს გამაგრება უნდა.

ხომ ახალი განკარგულება არ არის რა შესახებ მიწის ლალისა მებატონეთათვის? თუ არ არის, რა უნდა ვქნათ, რათა დავაკმაყოფილოთ ადენი დამშეული თავად-აზნაური?

რა ამბავია თბილისში!

ჩვენში მშვიდობაა. ესაა მხოლოდ, რომ არას იხდიან. ხვალ  
ფაპირებ წასვლას სოფელ-სოფელ და ერთის კვირით შინ არ ვიქ-  
ნები. გაზეთებში წავიკითხე ერობაზე ლაპარაკი დეკემბრამდის გა-  
დაიდგაო და მეც მანამდის თავისუფალი მგონია თავი თბილისში  
წასვლიდამ.

ბევრი ამბავი მომწერეთ, რაც დაგაკლდეს პეტრემ მოათავოს.  
პეტრეს დიდი მოკითხვა, რაც მოიწერება ჩვენში დარჩება.

მარად თქვენი ერთგული ი. მეუნარგია.

წერილი არ დამიგვიანო, თორემ მოსისხლე მტერი ვიქნები თქვენი.

30 სექტემბერი, 1905 წ.

#### 14. იაკობ გოგებაშვილისადმი

29 აგვისტო, 1901. სურამში.

ჩემო ბატონო იაკობ!

ამას წინათ ალაღოვს<sup>1</sup> შევხვდი სენაკში და მითხრა: ხანანოვი<sup>2</sup>  
იყო აქ და ეშურებოდა ბორჯომს წასვლას გოგებაშვილთან<sup>3</sup> საიუ-  
ბილეო წიგნის შესადგენადო. ამ ნიშნით შენ უნდა იყო თავი გამ-  
გე ამ წიგნისა და ამისთვის გწერ ამ ბარათს.

მაგრამ ჯერ არაკი უნდა გითხრა.

ერთს ზაფხულს კვირა დღეს, ასე, საათის 12-ზე, როცა თბი-  
ლისის ხალხისაგან სასახლის ქუჩაზე ტევა აღარ არის, ზედ სასახ-  
ლის ბაღთან, საცა პროსპექტი თავდება, შევხვდი მე მიხაკ სარა-  
ჯოვს<sup>4</sup>. „დახე, რამდენი ხალხი დადის, მითხრა იმან, ერთი არავინ  
გაჩერდება და არ მკითხავს: მიხაკ, დღეს რასა სკამ?“

ამის არ იყოს, ამდენი კომისია არის საიუბილეო წიგნისათვის  
და ერთს არავის უთქვამს ჩემთვის: იონა, ერთი-ორი გვერდი შენც  
შეგვაწიე რამ ალბომისთვის, თუნდ შენს ღვთაება ორბელიანზეო.  
(მხოლოდ ქოჩაქიძემ<sup>5</sup> მითხრა, დამიწერე რამე ჩემს ძმაზეო—ჭალა-  
დიდელზე — მაგრამ მისგან დაპირებულ მასალას ჯერ არსად ვხედავ).

არავინ მითხრა და მეც ჩემს ჩვეულებრივს მუჯობას არ ვუმტ-  
ყუნე, მეტიჩარა არამკითხე არ შევიქენი და გაუღიებული ვზივარ  
შინ. მაგრამ ორბელიანი<sup>6</sup> სხვა რამ ჯავაირია და გულმა არ მიყო,  
არ-მეკითხა შენთვის: რას უწევთ მის სურათს ტექტად? მოკლე  
ბიოგრაფიას თუ რაიმე ნაწყვეტს მისი ნაწერიდან? თუ ბიოგრაფიას,  
ვინ სწერს? თუ ნაწერს, რას, სახელდობრ და რა ენაზე? ჩემს რჩე-  
ვას თუ მიიღებთ, აი როგორ სჯობია: ბიოგრაფიაც უნდა იყოს  
მოკლე, არა უმეტეს ერთის ან ორის გვერდისა და ნაწერის ნიმუ-



შიც. ბიოგრაფიას თქვენ თითონ შეადგენთ. ნიმუშს მე მოგარა-  
შევთ, რადგანაც ალბომი რუსულად იწერება და, ვიცი რუსული  
ნაწერი ორბელიანისა თქვენ არა მოგეძევათ რა. გიგზაენი ამასთან  
სამს წერილს და ორს სხვას მე თითონ ჩამოგიტან სექტემბერში  
(ამჟამად აგარაკათ ვარ ამოსული ლეჩხუმს და თან არა მაქვს ეს  
ორი). ამ წერილებიდან ყველაზე უკეთესი, საყოველთაოდ მოსაწო-  
ნი, არის წერილი [პოლი]ტეხნიკურ შკოლებზე. ეს წერილი მე  
დავბეჭდე, თუ მოგხვდა თვალში, გაზეთ Нов. Обозрение-ში ნიკო-  
ლაძის დროს, მოწინავე სტატიად. დიდი წერილი მირსკისთან<sup>7</sup>,  
რომელსაც ამასთან გიგზაენა, ყველა ქართველებს მოეწონება, მაგ-  
რამ ალბომისთვის მე ის ნაკლად მომწონს, რადგანაც რუსობას არ  
მოეწონება და მე კი იმისი მსურველი ვარ, რომ ორბელიანი ყო-  
ველ კაცს მოსწონდეს.

მომწერე, როდის დაბოლოვდება ალბომის რედაქცია. ვის  
აღირსეთ უკვდავება და ვის არა? შედიან თუ არა ამ ალბომში  
მთავრები: ლევან<sup>8</sup> დადიანი (ამის პორტრეტი გიორგი დიმიტრის-ძე  
შარვაშიძეს<sup>9</sup> აქვს), დავით დადიანი<sup>10</sup> (ამის პორტრეტი პრინცესა  
მიურატს<sup>11</sup> აქვს), მამია გურიელი<sup>12</sup> და მათი მემკვიდრენი: ნიკო  
მინგრელსკა<sup>13</sup> და ტერეხია<sup>14</sup> დადიანისა. გრიგოლ დადიანის<sup>15</sup>  
პორტრეტისთვის ტექსტს ვინ გიწერთ? ყველა ამეების შესახებ შემ-  
წეობა შემიძლია, თუ საჭირო იქნება.

თუ საჭირო იქნება, ჩემი ნაწერებიდან ალექსანდრე ჭავჭავა-  
ძეზე<sup>16</sup>, გრ. ორბელიანზე, ტატო ბარათაშვილზე<sup>17</sup>, გიორგი ერის-  
თავეზე<sup>18</sup> და მამია გურიელზე<sup>19</sup> მე თითონ ამოგიჩვენ შესაფერ  
ადგილებს.

მარად თქვენი პატივისმცემელი ი. მეუნარგია.

მირსკისადმი წერილის დაბეჭდვისათვის თუ საჭირო იყოს, მელოჟოვა<sup>20</sup>  
ნებართვა სთხოვოს მის შვილს პეტრე მირსკის<sup>21</sup>,—მინისტრის ამხანაგს. მერე  
ტენხორიც უფრო გამბედოვანი იქნება.

ი. მეუნარგია.

ჩემი აღრესი: ზუგდიდი.

## 15. ოლლა თ. ჭავჭავაძისადმი

ბატონო კნეინა,

თქვენი წიგნი მომივიდა.

სანამ პირად:დ არ წაიკითხავდით ჩემს მოგონებას<sup>1</sup> ილიას  
შესახებ, ან რად დაიჯერეთ, რომ ვითომ მე ილია გაზე იცხოს, მე-  
ძაგებიოს, მიწასთან გამესწორებიოს? თქვენ თვითონ კარგად მიც-

ნობთ, შეიძლებოდა ეს თუ არა? ხომ არ გავგიჟებულვარ? მე რაც წაგიკითხე ქუთაისს სულ ერთიანად ილიასაგან განაგონი და ჩემგან წიგნში ჩანაწერი ამბები იყო. გოგებაშვილი<sup>2</sup> აყოლია ვიღაც ფსევდონიმებს და უმართებულოდ „მიწასთან მასწორებს“, მლანძღავს. ველი მისი წერილის გათავებას, რომ პასუხი გავცე, მანამ კი დარწმუნდით, რომ თუ ვისიმე გულში ილიას ჭეშმარიტი სიყვარული არის დაცული, ეს გული ჩემი გულია. დიდად ვსწუხვარ, რომ თუნდ ერთის წამით თქვენ გაფიქრებიათ ვიღაცაებმა, რომ მე ილიას ხსოვნას ასე უმადურად და უგემურად ვულალატე.

ხელს გაკოცებ, თქვენი იონა.

## 16. ღუბუ მებკელისადმი

ძ მ ა ო ღ უ ტ უ!

ფოთის ნავთ-სადგურის საჭიროებისათვის ქალაქის გამგეობა აგროვებს მასალას, სხვათა შორის, იმაზე, თუ რამდენი მუშა ხალხი მიდის შავი ზღვით—დროებით, თუ ემიგრანტად—ევროპაში ან ამერიკაში სხვადასხვა გუბერნიებიდამ. ამ კვირაში თქვენს გუბერნატორს ქალაქით ვსთხოვეთ სამი უკანასკნელი წლის ირვიც губернии იმ განზრახვით, რომ ამ ცნობებს ეგებ იმ ანგარიშში წავაწყდეთ, თუმცა არ ვიცით, ვიპოვით კი იქ ამ ჩვენთვის საჭირო ცნობებს და ან შეეღევა კი გუბერნატორი გამოსაგზავნად ჩვენგან ნათხოვარ ეგზემპლიარს?

ამისათვის გულ-დანდობით გთხოვ გაისარჯო, მიხვიდე გუბერნატორის კანცელარიაში და მოელაპარაკო იმ მოხელეს, რომელსაც აბართა პასპორტის გაცემა, ან სტატისტიკური ცნობების შეკრება და დაავალო იმას, მოგცეს ცნობა იმ კითხვებზე, რომელიც აწერილის მესამე გვერდზე არის მოთავსებული.

დიდად და დიდად დამაველებ თუ ამ თხოვნას ხანდაუყოვნებლივ შემისრულებ და მეორე წერილის მოწერით არ შემაწუხებინებ თავს. თქვენს მეტი ნაცნობი არა მყავს თქვენს ქალაქში და თუ არა თქვენ, არ ვიცი ვის უნდა ვემუდარო, მომაწოდოს საჭირო ცნობები.

მარად თქვენი ერთგული ი. მეუნარგია.

ადრესი; Поти, члену управы И. М. Меунаргия.

6 მაისი, 1910 წ.

ფოთი.

ამ წერილის მესამე გვერდზე მოთავსებულია კითხვები:

1. Существует-ли массовое передвижение жителей губернии в Америку или Европу на заработки или в виде эмиграции и, в утвердительном случае, сколько человек выехало из губернии за последние три года, с указанием количества выселившихся за каждый год особь.

2. К какой национальности принадлежать передвиженцы, и с какого уезда они выехали и в какую местность государства направились.

3. Имеется ли сведения каким путем они направляются в Америку по железной дороге до ближайших портов Германии и морем через Батуми?

4. Нет-ли обратного движения масс на родину?

## 17. იპოლიტე ვართაგაძეასადმი

ძმაო იპოლიტე!

ქალაქიდეგლის<sup>1</sup> ნაწერების გამოცემა დაქვს მონდობილი და ამ გამოცემის წინასიტყვაობისათვის, საცა იქნება ლაპარაკი მისი ლექსიკონის სიღარიბეზე, საჭიროა ჩემთვის, ვიცოდე საზოგადოდ, რამდენად თავისუფლად სწერდნენ ქართულ ენაზე ჩვენა წერლები—მეგრელები. ამისთვის გთხოვ: თუნდ რომ წაკითხულიც გქონდესთ „გრდემლში“ (წგნი I) ვ. ბარნოვის<sup>2</sup> მოთხრობა „თებე ას დანაშნული“ ხელ-ახლა გადაიკითხოთ ეს მოთხრობა კარანდაშით ხელში, და ხაზი გაუსვათ ყველა იმ სიტყვებს, რომელიც არამც თუ თქვენ არ იცით და პირველად გესმით, არამედ ისეთ სიტყვებსაც, რომელნიც თუმცა თქვენ იცით ბუნდოვანად, მაგრამ ასა წელიწადი რომ იცხოვროთ ეს სიტყვები თქვენ არც ენაზე მოგედებათ და არც კალმის წვერზე. კითხვა რომ გაათავოთ, ეს სიტყვები ამომიწერეთ და წერილით გამომიგზავნეთ ფოთს 15 დეკემბრამდის. მოთხრობა 35 ფურცელია და ერთი საღამო გეყოფათ წასაკითხად. ჩემდა თავად მე ასს სიტყვას გაუსვა ხაზი, მაგრამ ამ სიტყვების უფიცი მარტო მე არ ვყოფილვარ. იმერელს რომ წავაკითხე, ას-ორს სიტყვას ამოუსვა ხაზი და გურულმა ას ოცდა თერთმეტს.

თუ ძმა ხარ, არ დამიგვიანო<sup>3</sup>.

შენი იონა მეუნარგია.

29 ნოემბერი.

## 18. ტასო მარაბლისადმი.

12 აპრილი 1913 წ.  
ფოთი.

ბატონო კნეინა,

თბილისს გარეშე ვანოს<sup>1</sup> ბიოგრაფია არ დაიწერება და ამისათვის, რადგანაც თბილისში ყოფნა მე არ შემიძლია, ჩემდა სამ-

11. ხუგდიდის მუხეუმის შრომები.



წუხაროდ, აღთქმულ ბიოგრაფიის წერას თავი უნდა დავანებო. ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ პირობას ვერ ვასრულებ, მაგრამ რომ მოვიკიდო ხელი და არ გამოდგეს ისეთი, რაც ვანოს სიმკვირცხლეს და მნიშვნელობას ეკადრება, ეს კიდევ უარესი.

რატომ მიშო<sup>2</sup> არ მოკიდებს ხელს წერას, ან პავლენოვი<sup>3</sup>, ან სხვა ვანოსთან დაახლოვებული პირები. მე შემიძლია დამწერს ჩემი მოგონება რამე შევაწიო, როცა შევიტყობ ვინ იკისრებს ბიოგრაფიის წერას.

მარად თქვენი პატივისმცემელი იონა მეუნარგია.

### 19. გიგა ყიფშიძისადმი

ძმაო გიგა!

წულაძის<sup>1</sup> შესახებ მოგეწერა. პასუხი დღემდის ვერ გამოგიგზავნე, რადგანაც საქმე წარმოებაში იყო. ახლა კი საქმე ასე დაბოლოვდა: ღუმამ<sup>2</sup> გადაწყვიტა — რადგანაც ვინ იცის ქართული და ვინ არა, ამის გამგე-გამკითხი წერა კითხვის საზოგადოება არისო, ამ საზოგადოების გამგეობას ეკითხოს კანდიდატის დასახელებათ. ამის გამო მე დღეს ვწერ გაგეობას, ეს კანდიდატი დაგვისახელოს და თან ვუგზავნი სახეში ჩისალებად წულაძის და ჩიხლაძის<sup>3</sup> თხოვნას. ახლა შენ იცი და გაგეობამ.

ჰა, სხვა რა ამბავია, როგორ, თქვენ და თქვენი იუბილეი.

მარად შენი ერთგული ი. მეუნარგია.

P. S. ეპისკოპოსი ლეონიდიც წულაძეზე შუამდგომლობს.

ი. მეუნარგია.

## შ ე ნ ი შ ზ ნ ე ბ ი

### 1. (გვ. 144).

1. მაშიაკო წერეთელი—გიორგი წერეთლის და (1852—1883), სწავლობდა შვეიცარიაში, იყო სახ. „უღელის“ წევრი და თანამშრომელი რუსული პოესისა შვეიცარიაში.

2. გამბეტა ლეონ (1838—1882)—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, რომლის მოქმედებას იმდროინდელი საქართველოც ენმაურებოდა (იხ. მისი გარდაცვალების გამო გრცელი ნარკვევი ი. მეუნარგიასი გაზეთ „შრომაში“, 1883 წ. № 6).

3. მირაბო (1749—1791)—საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე და განთქმული ორატორი.

4. დათიკო—დავით ალექს. ნდრეს-ძე გურამიშვილი (1857 — 1926) — ძმა ამ წერილის ადრესატისა, მხატვარი, საზოგადო მოღვაწე.

5. გიუგო—ვიქტორ ჰიუგო (1802—1882)—საფრანგეთის დიდი პოეტი და რომანისტი. ფრანგი რომანტიკოსების მამამთავარი. ახალგაზრდა ი. მეუნარგიას მოუხერხებია ერთგვარი rendez-vous მაშინ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მყოფ ვიქტორ ჰიუგოსთან—თავისივე ახალგაზრდა მეგობრის, სანდრო მაყაშვილთან ერთად და ამ საინტერესო შეხვედრის საუბარიც უბის წიგნში ჩაუწერია, რომლის მხოლოდ რამდენიმე სტრიქონმა მოაღწია ჩვენამდე (იხ ამ წერილების შესავალი, გვ. 134 და გ. აბზიანიძის სტატია „ქართველების შეხვედრა ვ. ჰიუგოსთან“—გახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1944 წ № 10).

6. სანდრო მაყაშვილი (1855—1908) — ხალხოსანი, დავით გურამიშვილის მეგობარი.

7. ფრენკი—როგორც წერილიდან ჩანს ბინის მეპატრონე ყოფილა მეუნარგიასი მისი შვეიცარიაში ყოფნის დროს.

8. კორ ფი—აგრეთვე მეუნარგიას დიასახლისი, შემდეგ ფრენკისა,—პარიზში.

9. ფდანოვა რუსი სტუდენტი.

10. დი. შაო ოვსეობ ს ოჯ. ხი ტფილისში. მათთან ახლო მეგობრობა ჰქონიათ ალ. გურამიშვილის ოჯახსა და ი. მეუნარგიას.

### 2. (გვ. 146):

1. დადიანი (?)

2. ზინ, მ. ბეილ ალ-ქანდრეს-ძე (1829—1906) — უნგრელი მხატვარი, იმ დროს რუსეთის მეფის კარზე მყოფი. მოწვეული იყო საქაო-ველოში „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებლად (დ წერილებით იხ. ამ წერილების შესავალში).

3. რენა ი ერნესტ (1823—1892)—გამოჩენილი ფრანგი მწერალი და მეცნიერი,—ავტორი საყოველთაოდ ცნობილი თხზულებისა „ცხოვრება იესოსი“ და სხვათა.

4. ლაპარაკია „ვეფხისტყაოსნის“ მეუნარკიასეულ თარგმანზე.

5. მურაე ფულ — ფრანგი ორიენტალისტი—ჟურნალისტი (officier d'akademie), ავტორი რომისა „სამეგრელო“ (1884 წ. ოდესა, ფრანგ. ენაზე) და გამომცემელი ფრ. ნგ. ჟურნალისა საქართველოში „Revue commerciale et industrielle“ (1887—89) და „le Caucase illustré“ (1889—93).

6. მუხრანსკი (ბაგრატიონ - მუხრან - ბატონი) — ივანე კონსტანტინეს-ძე (1812—1895), გენერალ-ლეიტენანტი, თავად-ახნაურობის თბილისის საგუბერნიო მარშალი, დიდი მემამულე და გავლენიანი პირი, სიძე ლევან დადიანისა (ნინო დადიანის მეუღლე), სარდალი გურია-სამეგრელოს რაზმებისა ომერ ფაშას წინააღმდეგ 1854-55 წ. სამეგრელოში. სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინემ ბოლოს დალატი დასწამა და სარდლობიდან გადააყენა (დანარჩენი ცნობები იხ. ქვემოთ, წერილი 7).

7, ბარონ სუტნერი—გერმანელი მწერალი—ეჟურნალისტი. ცოლქმარი სუტნერები 70-იან წლებში საქართველოში ცხოვრობდნენ. ცოლი ბერტა ფონ-სუტნერი (1843—1914) ცნობილი რომანისტი ქალი, ავტორი გახმაურებული რომანისა „ძირს იარაღი“ და მისი მეუღლე არტურ გუნდაკარი ფონ-ზუტნერი 1876 წ. ესტუმრნენ სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს და 10 წელიწადი დაჰყვეს საქართველოში. საქართველოს ცხოვრებიდან მათი ნაწერები („დარეჯან“, „ბატონი“, „აჭარა“ და სხვ.) დაბეჭდილია გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

8. ვასილი—მაჩაბელი, ძმა ივანე მაჩაბლისა.

9. კუზმინი—თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი.

10. ტრსკოვსკი—ტფილისში მცხოვრები ვინმე რუსი მოქალაქე.

### 3. (გვ. 147).

1. ილია ჭავჭავაძე (1837—1907), რომლის თავმჯდომარეობით მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი და საგამომცემლო კომისია 1880—1888 წლებში.

2. ზაჩი (იხ. ზევით, შენიშვნა, 2).

3. სუტნერები (იხ. შენიშვნა, 2).

### 4. (გვ. 148).

1. ნიკო ნიკოლაძე (1843—1928) — გამოჩენილი ქართველი ეჟურნალისტი მწერალი და პუბლიცისტი.

2. რუსუდან, ნიკოს ასული ნიკოლაძე-პოლიევექტოვისა—ამჟამად ცნობილ პედაგოგი, მწერალი და ქიმიის პროფესორი.

3. მაშო—გურამიშვილის ასული, ოლიკოს და.

4. დათიკო გურამიშვილი — ძმა ოლგა გურამიშვილ-ნიკოლაძისა (იხ. ზევით, შენიშვნა 1).

5. მრევლოვი—ქართველი მხატვარი, ალექსანდრე მრევლიშვილი. ამის შესახებ იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წ. № 48, დიშ. ჯანელიძის ნარკვევი).

6. ზერიძე—იმ ხანებში ახალგაზრდა მხატვარი იტალიაში სწავლა-მიღებული, რომელსაც ქართული ეჟურნალ-გაზეთები მრავალ შეკვეთებს აძლევდა, განსაკუთრებით მწერალთა პორტრეტებისას.

7. დათიკო—იგივე დავით გურამიშვილი (იხ. ზევით, აქვე).

8. გაბაევი—ცნობილი მხატვარი გიგო გაბაევილი (1862—1936).

9. პროფესორი ცაგარელი—ალექსანდრე თომას-ძე (1844—1929).

10. კნინა — იგულისხმება დედა ოლგა გურამიშვილისა, ალექსანდრეს მეუღლე.

11. მაშო გურამიშვილი (იხ. ზევით, 3).

12. ნანიჩკა—მაშოს ქალი (ჯაგრიშვილის ასული).

13. კლრა ფრანცეს ასული, მეუღლე დავით გურამიშვილისა.



5. (გვ. 149).

1. ილია ჭავჭავაძე (იხ. ზევით).
2. ჩარკვიანი—გრიგოლ ჩარკვიანი—ცნობილი ბუკინისტი, მესტამბე და წიგნის გამომცემელი.
3. მჩხანელი—დიმიტრი ნადირაშვილი (1861—1903), მწერალი, „ივერიის“ თანამშრომელი.
4. ბულანუე—საფრანგეთში 90-ან წლებში მონარქისტული მოძრაობის მეთაური ფრანგი გენერალი.

6. (გვ. 150).

1. „ნოვოე ობზრენიე“ — ყოველდღიური რუსული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1884 წლიდან ა. ვ. სტეფანოვის რედაქციით, 1887 წლ. რედაქტორობდა ნ. ნიკოლაძე, ხოლო 1891 წლ. გადავიდა ძმათა გ. და ვ. მიხ-ძე თუშანიშვილების ხელში.
2. დრამა შექსპირისა, რომლის თარგმნას იმ ხანებში აწარმოებდა ივანე მაჩაბელი.
3. გრიგოლ ლევანის-ძე დადიანი (1814—1902)—მწერლობაში „კოლხიდელი“.
4. ილია ჭავჭავაძე (იხ. ზევით).
5. პეტრე უმიკაშვილი (1818—1904)—ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ფონოგრაფი, გამომცემელი.
6. აკაკი წერეთელი (1840—1915)—ჩვენი დიდი ლირიკოსი პოეტი.

7. (გვ. 151).

1. თათარზან დადუშქელიანი—ჩამომავალი სვანეთის მთავრისა, ახოვანი და ლამაზი ვაჟკაცი, რომელიც ქალთა საზოგადოების დიდ ყურადღებას იმსახურებდა, მაგალ. „ერთ დარბაისელთ საზოგადოებაში ერთი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, დიდი გვარის შვილი ბ [აბო] შ [არვაშიძე დიდხანს ლაპარაკობდა თავ. თათარზან დადუშქელიანზე. იქ მყოფმა მამია [გურიელმა] დიდ ხანს უტდო ყური ივას, რომ გაათავა ბანოვანმა ლაპარაკი, წაიდუღუნა თავისთვის, მაგრამ ისე, რომ სხვებსაც გააგონა:

„სულ თათარზან,  
სულ თათარზან,  
ჩვენც ხანდა-ხან  
ჩვენც ხანდაზან“. (იხ ი. მეუნარგია, „ქართული მწერ-  
ლები“, II წ. გვ. 88).

2. გრ. ი. არწრუნი (1845—1892)—სომეხი პუბლიცისტი. სომხური გაზეთ „მშაკის“ რედაქტორ-გამომცემელი. ქარვასლა, რომელშიაც იყო მოთავსებული ქართული თეატრი ეკუთვნოდა მის მამას ი. არწრუნს.

3. აკობ გოგებაშვილი (1840—1912) — გამოჩენილი პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი, ავტორი სახელმძღვანელოებისა: „დედა ენა“ I და II ნაწ., „ბუნების კარი“, „Русское слово“ და სხვათა. ამ სტრიქონებში ზუმროპით არის ნათქვამი გოგებაშვილის პორტრეტზე.

4. პობედონოსცევი, კ. პ. (1827—1907) იმპერატორ ალექსანდრე მესამის მასწავლებელი და მინისტრი, რუსეთის ფაქტიური მმართველი, უკიდურესი რევოლუციონერი და სასტიკი მებრძოლი რევოლუციონერთა წინააღმდეგ, უშმ. სინოდის ობერ-პროკურორი (1880—1905 წ.). მეფე და მთელი სამინისტრო მის გავლენის ქვეშ იყო.

5. მუხრანსკი, ივანე კონსტ.-ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი (1812—1895)—გენერალ-ლეიტენანტი და ცნობილი დიდი მემამულე, მისი გონებამახვილობისა და მოხერხებულობის ნათელსაყოფად მრავალ უცნაურობათაგან აი ერთი ეპიზოდით მის ცხოვრებიდან:

როგორც საერთოდ სჩვევოდა სხვისი მამულების მიჩემება, ივ. მუხრანსკიმ არც სახელმწიფო დაინდო და ე. წ. სახაზინო მამულები მიითვისა. საქმე სასამართლოში გადავიდა გასარჩევად. მუხრან-ბატონი წინდაწინ მოელაპარაკა სადაო მიწებზე მდგარ გლეხებს. იმათ უპასუხეს, ხატზე გვაფიცებენ, სიცრუის თქმა არ შეგვიძლია, სწორე უნდა ვთქვათ, თუ ვის მიწებზე ვდგავართო.

მუხრან-ბატონმა მთელი ეს სამოცამდე გლეხი წინ გაირეკა თავის ეზოში. ყველას ახალი და სრული ქალამნები დაურიგა, სათითაულოდ ამოთხრევიანა აყალო მიწა და ჩააყრევიანა ქალამნებში და ისე უბრძანა ჩაცმა. ჩაიცვეს.

— ახლა ვის მიწაზე დგებართო,— შეეკითხა იგი.

— მუხრან-ბატონის მიწაზეო.— უპასუხეს ერთბაშად.

— ჰო და მეტი მე არაფერი მინდა, წამოხვალთ სასამართლოში და აგრე იტყვითო.

და მართლაც, როცა სასამართლო, ხატის წინაშე შეეკითხა მოწმედ მოყვანილ ამ გლეხებს, თუ ვის მიწაზე დგანან ისინი, მათ ერთხმად უპასუხეს: მუხრან-ბატონის მიწაზეო, და მამულიც ივანეს მიესაჯაო. (ივ. მუხრანსკის შესახებ სხვადასხვა პირთა მოგონებების კრებული იხ. საქ. ლიტ. მუზეუმში).

6. გიორგი შარვაშიძე (1846—1918)— აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის- მიხეილის-ძე, მწერალი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე.

7. გიორგი შარვაშიძის და თამარი — ნიკოლოზ ელიზბარის-ძე დადიანის მეუღლე, მეორე ქორწინებით ზანძელ თავად ფალავაზე გათხოვილი, გარდ 1925 წ.

8. მიშო— შარვაშიძე, გიორგის უმცროსი ძმა.

9. თათარზან— დადემქელიანი (იხ. ზევით. აქვე).

10. გრაფი ვალუევი— ქუთაისის საგუბერნიო მოხელე, 90-ან წ. წ. შესაძლებელია ნათესავიც იყო ცნობილ მინისტრთა კომიტ. თავმჯდომარე პ. ვალუევისა.

11. ჭილაძე— ძმები ჭილაძეები სტამბის მეპატრონენი და აგრეთვე გამომცემელნიც იყვნენ; მაგ. ვარლამ ჭილაძემ 1900 წ. გამოსცა გრ. დადიანის „ლექსთა კრება“ და სხვ.

12. კირალე ლორთქიფანიძე (1839 — 1918) — პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ცნობილი „თერგდალეული“ მოღვაწე.

13. ხუნდაძე (?)

14. პატკულია, მიქელაძის ქალი, ხუნდაძის მეუღლე.

15. სიმონ მიქელაძე (?)

16. აბაშიძე (?)

17. ნიქელაძის ქალი, ინჯენერ ორლოვსკის მეუღლე.

18. დათა მიქელაძე (1844—1918) — მწერლობაში ცნობილი ფსევდონიმით „მეფელე“, პუბლიცისტი, „ივერიის“ თანამშრომელი.

19. ვლადიმერ მიქელაძე — „ივერიის“ თანამშრომელი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი.

20. რუსა—ნ. ნიკოლაძის ქალი (იხ. ზევით).

21. რევაზ ჩოლოყაშვილი (?)

22. ვლ. ჯანდიერი (?)

23. ეს მინაწერი ეკუთვნის ნ. ნიკოლაძეს. ჩანს ამ წერილის დაწერისას ნიკოც მანდ ყოფილა და როცა იონას დაუმთავრებია წერა, კალამიც მისთვის გადაუცია და მასაც ამ ქალღმერთზე დარჩენილი ცარიელი ადგილი გამოუყენებია.

24. „ნაკვესი“—პატარა ზომის მოსწრებული სიტყვა, ენამანვილობა. თვითონ სიტყვა „ნაკვესი“ ილიას გამოგონილი ყოფილა (იხ. ილიას წერილი ი. მეუნარგიასადმი, აქვე, გვ. 178), თავსდებოდა იონა მეუნარგიას მიერ ლელოს ხელმოწერით „ივერიის“ თითქმის ყოველს ნომერში. შემდეგ ცალკე კრებულადაც გამოიცა 1887 წ. „ივერიის“ რედაქციისაგან. იგივე კრებული ე. მურვის პ. მირიანაშვილის დახმარებით ფრანგულ ენაზე უთარგმნია ჟურნალ Le caucase illustre-ში მოსათავსებლად. ამ ჟურნალს სცემდა ე. მურიე თბილისში 1889 წ. 1893 წლამდე.

1895 წ. თ ე დ თ ს ა ხ თ კ ი ა მ გამოსცა ცალკე კრებულად „აკაკის ნაკვესები“.

1904 წ. ქართული წიგნის ბუკინისტსა და ეთნოგრაფ ს ო ს ი კ ო მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე ს გამოუცია აგრეთვე პატ. რა კრებული ნაკვესებისა.

1933 წ. გამოვიდა ი. ზ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ შეკრებილი „აკაკის მოსწრებული სიტყვები“.

1938 წელს გამოიცა ჩვენს მიერ გაზეთ „ივერიიდან“ ამოკრეფილი „ნაკვესები“ (იხ. „ნაკვესები“ ამოკრეფილი გაზეთ ივერიიდან ს ო ლ . ც ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. მისივე რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით—მხარეთმცოდნეობის საზღვის გამოცემა, გვ. 196) უფრო სრული სახით და შერჩეული მასალით.

25. „ოზორა“—ყოველდღიური რუსული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1878 წლ. ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით. სშირად წყდებოდა გამოცემა, მაგრამ კვლავ განაახლებდნენ. ამგვარ პირობებში მიღწია 1883 წლამდე, თანამშრომლობდნენ, გარდა ადგილობრივი ძალებისა: ცნობილი ფრანგი მწერალი როშფორი, გლებ უსპენსკი, მ. ანტონოვიჩი, პოეტი ნ. სიმბორსკი და სხვ. (იხ. გრ. ყიფშიძის „Париодическая печать на Кавказе“).

26. გოგებაშვილი იაკობ (1840—1912).

27. სერგეი მესხი (1845—1883)—ნიჭიერი პუბლიცისტი-ჟურნალისტი, რედაქტორობდა ყოველდღიურ გაზეთ „დროებას“ 1869 წლიდან 1883 წლამდე (გარდაცვალებამდე).

## 8. (გვ. 153).

1. გაბაევი—მხატვარი გ. გაბაშვილი (1862—1936).

2. ა. ბერიძე (იხ. შენიშვნა 4)—მხატვარი.

3. ვალუევი (იხ. შენიშვნა 7).

4. ბიძინა, ოთარის-ძე ჩოლოყაშვილი—ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის ამახანაგი და მეგობარი.

5. მარო (?)

6. ვალერიანის ქვრივი (?)

7. მამია გურიელი (1836—1891)—ცნობილი პოეტი.

8. მიქელ ძე (?)

9. სანდრო დავითის-ძე ქავეჭავაძე—პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის-შვილი.

10. შაქრო მალალაშვილის და.



11. გიორგი, ორბელიანი ილიას-ძე—ძმისწული და მემკვიდრე პოეტ გრიგოლ ორბელიანისა; მიურატის გერი, რომელიც იმან შეირთო, იყო ალექსანდრე დავითის-ძე ორბელიანის ქალი—შვილისშვილი განთქმული მანანა ორბელიანისა, გარდაიცვალა 1916 წ.

12. იოსებ ლალაშვილი (1866—1913)—თბილისის სახ. სემინარიის მოსწავლე. 1886 წ. მაისში მოჰკლა სემინარიის რექტორი ჩუღუცი. მიესჯა 20 წლიანი კატორღა. გაიქცა. სახლინიდან ამერიკაში და სამუდამოდ იქ დაჩა (იხ. არქ. ხუნდაძე „ი. ლალაშვილი“).

13. დიმიტრი ყიფიანი (1814—1887)—გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ჩუღუცის მკვლელთა-ის გამო ექსარქოსის მიერ წარმოთქმული სიტყვის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის გადასახლებულ იქნა სტავროპოლში, სადაცვე მოჰკლეს ვერაგულად.

#### 9. (გვ. 154).

1. თუმანოვი, გიორგი მიხეილის-ძე თუმანიშვილი (1854—1920) — საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, თეატრალი, თვითმართველობის წევრი, კავკასიის-მცოდნეობის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

2. იმ ხანებში ფოთის ქალაქის თავის მოადგილე იონა მეუნარგია გურიის ნავთის საბადოებით იყო დაინტერესებული. წერილის პასუხი დ. გურამიშვილს არ დაუყოვნებია (იხ. „წერილები იონა მეუნარგიასადმი. აქვე, გვ. 248).

#### 10. (გვ. 155).

1. მუხრანსკი (იხ. შენიშვნა 7).

2. იგივე მუხრან-ბატონი (იხ. შენიშვნა 7).

3. კნააზ ჭავჭავაძე—ილიას ძმის—კონსტანტინეს შვილისშვილი.

4. იგულისხმება ილია გრიგოლის-ძე, დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

5. ელაზავეტა გრიგორიევანა—ამ წერილის ადრესატი, ილია ჭავჭავაძის და-ღია—მეუღლე ალექსანდრე საგინაშვილისა.

6. ალექსანდრე დიმიტრის-ძე საგინაშვილი—გენერალი.

7. ტიტულო იოსების-ძე ჭავჭავაძე—შორეული ნათესავი და მეგობარი ელი-საბგდისა და ალექსანდრე საგინაშვილებისა.

8. ილია ჭავჭავაძე.

9. მეუღლე ილია ჭავჭავაძისა, ლელა გურამაშვილი (1843—1929).

#### 11. (გვ. 156).

მიწერილია ალექსანდრე თევდორეს-ძე ყიფშიძისადმი (1862—1916), რომელიც ფრონელის ფსევდონიმით თანამშრომლობდა „ივერიასა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. მის ცალკე წიგნად გამოცემულ ნარკვევებიდან აღსანიშნავია მონოგრაფიები: „მთიულეთი 1804 წ.“ „კახეთის ამბოხება 1812 წ.“, „დიდებული მესხეთი“, მთის არწივი შამილი“ და სხვ.

იმ ხანებში იონა მეუნარგია მომრიგებელ შუამავლად იყო და, მაშასადამე, ამ საკითხებით დაინტერესებული.

1. გორემიკინი—რუსეთის-პრემიერ-მინისტრი ვიტტეს შემდეგ, ახალი კონსტიტუციის მომხრე.

2. კუჩავი, მ. მ. (1835—1893)—კავკასიაში გლეხთა საკითხებზე მთავრობის განკარგულებათა კრებულის შემდგენი (1880—86), ავტორი რიგი სტატიებისა

„Материалы по изучению экономического быта госуд. крестьян За-  
кавказья“ (1885—1889), „ტაინი სოვეტნიკი“, მთავარმართებლის საბჭოს წევრი.  
უკანასკნელად იყო დირექტორი საგლეხო საქმეთა კანცელარიისა (იხ. „Словарь  
Кавказских деятелей“).

3. დანალოვი—იხ. წერილები ი. მეუნარგიასადმი, აქვე გვ. 209.

#### 12. (გვ. 157).

1. გიგა—გრიგოლ ყიფშიძე (1858—1921)—ძმა ალ. ყიფშიძისა. ილიას გაზეთ  
„ივერიის“ რედაქციის მდივანი.

2. ალ. ყიფშიძე 1905 წელს დროებით ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად იყო,  
ლიბერალი გუბერნატორ სტაროსელსკის მოადგილად.

#### 13. (გვ. 157).

1. გიორგი, ეპისკოპოსი ქუთაისისა, გვარად ალადაშვილი.

2. შარიკაინი—რუსი ჩინოვნიკი, რეაქციონერი, თვითმპყრობელობის მო-  
ხელე.

3. პეტრე—წულუკიძე, იმერელი მემამულე (მამა საბჭოთა მეცნიერი ურო-  
ლოვი პროფ. ა. წულუკიძისა).

#### 14. (გვ. 158).

1. ალ დოვი—შემდეგში ქუთაისის ეპისკოპოსი გიორგი.

2. ხანანოვი (?)

3. გოგებაშვილი იაკობ სიმონის-ძე (1840—1912)—მწერალი, პედაგოგი. ამ  
წერილის ადრესატი, ერთ-ერთი ხელმძღვანელი იმ საიუბილეო წიგნისა, რომე-  
ლიც 1900 წელს, რუსეთთან შეერთების 100 წლისთავზე უნდა გამოსულიყო.

4. მიხა ხარაჯიშვილი—ახლო ნათესავი დავით ხარაჯიშვილისა — თბილი-  
სელი მოქალაქე.

5. ქოჩაქიძე, ალექსანდრე—ძმა პოეტ ჯალაღიძისა.

6. გრიგოლ ორბელიანი (1800—1883)—პოეტი, რომლის „ცხოვრება და  
ღვაწლი“ იმ ხანებში ყოველმხრივ დამთავრებული ჰქონდა მის ავტორს და  
ვერსად გამოცემა ვერ მოუხერხებია. შემდეგ დაიბეჭდა ურნ. „მოაბმეში“  
(იხ. 1904 წ. № 3, 4, 5, 7, 8, 10, 12, 1905 წ. № 2, 3).

7. სვიატოპოლკ-მირსკი, დიმიტრი—იაკობ ორბელიანის ასულ სოფიოს  
მეუღლე, გარდაიცვალა 1899.

8. ლევან დადიანი, გრიგოლის-ძე—სამეგრელოს მთავარი, (დაიბადა 1792 წ.,  
გამთავრდა 1812 წ., მთავრება გადასცა თავის მემკვიდრე დავითს 1840 წ.,  
გარდაიცვალა 1846 წ.

9. გიორგი დიმიტრის-ძე შარვაშიძე—თბილისის გუბერნატორად ნამყოფი,  
სამხედრო პირი, ქართველთა მოსარჩლე ჩეფის მოხელე, აფხაზთა უკანასკნელი  
მთავრის ბიძაშვილი.

10. დავით ლევანის-ძე დადიანი—დაიბ. 1813 წ., 1831 წ. დამტკიცებულ იქნა  
სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრედ, 1840 წელს მთავრად, 1853 წელს  
გარდაიცვალა.

11. პრინცესა მიურატი—სალომე დავით დადიანის ასული (1848—1913) —  
მეუღლე ფრანგი თავადის აშილ მიურატისა.

11. გიორგი, ორბელიანი ილიას-ძე—ძმისწული და მემკვიდრე პოეტ გრიგოლ ორბელიანისა; მიუზრატის გერი, რომელიც იმან შეირთო, იყო ალექსანდრე დავითის-ძე ორბელიანის ქალი—შვილისშვილი განთქმული მანანა ორბელიანისა, გარდაიცვალა 1916 წ.

12. იოსებ ლალაშვილი (1866—1913)—თბილისის სახ. სემინარიის მოსწავლე. 1886 წ. მაისში მოჰკლა სემინარიის რექტორი ჩუფუცი. მიესაჯა 20 წლიანი კატორღა. გაიქცა სახალინიდან ამერიკაში და სამუდამოდ იქ დარჩა. (იხ. არქ. ხუნდაძე „ი. ლალაშვილი“).

13. დიმიტრი ყიფიანი (1814—1887)—გამორჩენილი საზოგადო მოღვაწე, ჩუფუცის მკვლელობის გამო ექსარხოსის მიერ წარმოთქმული სიტყვის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის გადასახლებულ იქნა სტავროპოლში, სადაცვე მოჰკლეს გერაგულად.

#### 9. (გვ. 154).

1. თუმანიძე, გიორგი მიხეილის-ძე თუმანიშვილი (1854—1920)—საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, თეატრალი, თვითმართველობის წევრი, კავკასიის-მცოდნეობის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

2. იმ ხანებში ფოთის ქალაქის თავის შოადგილე იონა მეუნარგია გურიის ნავთის საბადოებით იყო დაინტერესებული. წერილის პასუხი დ. გურამიშვილს არ დაუყოვნებია (იხ. „წერილები იონა მეუნარგიასადმი. აქვე, გვ. 248).

#### 10. (გვ. 155).

1. მუხრანსკი (იხ. შენიშენა 7).

2. იგივე მუხრან-ბატონი (იხ. შენიშენა 7).

3. კნაზ ჰავჭავაძე—ილიას ძმის—კონსტანტინეს შვილისშვილი.

4. იგულისხმება ილია გრაგოლის-ძე, დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

5. ელაზავეტა გრიგორიენა—ან წერილის ადრესატი, ილია ჰავჭავაძის და ლია—მეუღლე ალექსანდრე საგინაშვილისა.

6. ალექსანდრე დიმიტრის-ძე საგინაშვილი—გენერალი.

7. ტიტულ იოსების-ძე ჰავჭავაძე—შორეული ნათესავი და მეგობარი ელი-საბუდისა და ალექსანდრე საგინაშვილებისა.

8. ილია ჰავჭავაძე.

9. მეუღლე ილია ჰავჭავაძისა, ლევა გურამიშვილი (1843—1929).

#### 11. (გვ. 156).

მიწერილია ალექსანდრე თევდორეს-ძე ყიფშიძისადმი (1862—1916), რომელიც ფრონელის ფსევდონიმით თანამშრომლობდა „ივერისა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. მის ცალკე წიგნად გამოცემულ ნარკვევებიდან აღსანიშნავია მონოგრაფიები: „მთიულეთი 1804 წ.“ „კახეთის ამბოხება 1812 წ.“, „დიდებული მესხეთი“, მთის არწივი შამილი“ და სხვ.

იმ ხანებში იონა მეუნარგია მომრიგებელ შუამავლად იყო და, მაშასადამე, ამ საკითხებით დაინტერესებული.

1. გორემიკინი—რუსეთის-პრემიერ-მინისტრი ვიტტეს შემდეგ, ახალი კონსტიტუციის მომხრე.

2. კუჩავი, შ. ნ. (1835—1893)—კავკასიაში გლეხთა საკითხებზე მთავრობის განკარგულებათა კრებულის შემდგენი (1880—86), ავტორი რიგი სტატიებისა



„Материалы по изучению экономического быта госуд. крестьян За-  
кавказья“ (1885—1889), „ტაინი სოვეტნიკი“, მთავარმართებლის საბჭოს წევრი.  
უკანასკნელად იყო დირექტორი საგლეხო საქმეთა კანცელარიისა (იხ. „Словарь  
Кавказских деятелей“).

3. დანილოვი—იხ. წერილები ი. მეუნარგიასადმი, აქვე გვ. 209.

#### 12. (გვ. 157).

1. გიგა—გრიგოლ ყიფშიძე (1858—1921)—ძმა ალ. ყიფშიძისა. ილიას გახვთ  
„ივერიის“ რედაქციის მდივანი.

2. ალ. ყიფშიძე 1905 წელს დროებით ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად იყო,  
ლიბერალი გუბერნატორ სტაროსელსკის მოადგილად.

#### 13. (გვ. 157).

1. გიორგი, ეპისკოპოსი ქუთაისისა, გვარად ალადაშვილი.

2. შირიაკინი—რუსი ჩინოვნიკი, რეაქციონერი, თვითმპყრობელობის მო-  
ხელე.

3. პეტრე—წულუკიძე, იმერელი მემამულე (მამა საბჭოთა მეცნიერი ურო-  
ლოვი პროფ. ა. წულუკიძისა).

#### 14. (გვ. 158).

1. ალ დოვი—შემდეგში ქუთაისის ეპისკოპოსი გიორგი.

2. ხანანოვი (?)

3. გოგებაშვილი იაკობ სიმონის-ძე (1840—1912)—მწერალი, პედაგოგი. ამ  
წერილის ადრესატი, ერთ-ერთი ხელმძღვანელი იმ საიუბილეო წიგნისა, რომე-  
ლიც 1900 წელს, რუსეთთან შეერთების 100 წლისთავზე უნდა გამოსულიყო.

4. მიხა სარაჯიშვილი—ახლო ნათესავი დავით სარაჯიშვილისა — თბილი-  
სელი მოქალაქე.

5. ქოჩაქიძე, ალექსანდრე—ძმა პოეტ ქალაღიდეღისა.

6. გრიგოლ ორბელიანი (1800—1883)—პოეტი, რომლის „ცხოვრება და  
ღვაწლი“ იმ ხანებში ყოველმხრივ დამთავრებული ჰქონდა მის ავტორს და  
ვერსად გამოცემა ვერ მოუხერხებია. შემდეგ დაიბეჭდა ურნ. „მოაბმეში“  
(იხ. 1904 წ. № 3, 4, 5, 7, 8, 10, 12, 1905 წ. № 2, 3).

7. სვიატოპოლკ-მირსკი, დიმიტრი—იაკობ ორბელიანის ასული სოფიოს  
მეუღლე, გარდაიცვალა 1899.

8. ლევან დადიანი, გრიგოლის-ძე—სამეგრელოს მთავარი, (დაიბადა 1792 წ.,  
გამთავრდა 1812 წ., მთავრება გადასცა თავის მემკვიდრე დავითს 1840 წ.,  
გარდაიცვალა 1846 წ.

9. გიორგი დიმიტრის-ძე შარვაშიძე—თბილისის გუბერნატორად ნამყოფი,  
სამხედრო პირი, ქართველთა მოსარჩლე ჩეფის მოხელე, აფხაზთა უკანასკნელი  
მთავრის ბიძაშვილი.

10. დავით ლევანის-ძე დადიანი—დაიბ. 1813 წ., 1831 წ. დამტკიცებულ იქნა  
სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრედ, 1840 წელს მთავრად, 1853 წელს  
გარდაიცვალა.

11. პრინცესა მიურატი—სალომე დავით დადიანის ასული (1848—1913) —  
მეუღლე ფრანგი თავადის აშილ მიურატისა.

12. მამია სიმონის-ძე გურიელი—გურიის უკანასკნელი მთავარი—1810 წლიდან 1826 წლამდე (მამია V-ის სახელწოდებით).

13. ნიკო მინგრელსკი (1847—1903) — სამეგრელოს უკანასკნელი მთავარ დავითის-ძე, რომელმაც უარყო სამეგრელოს სამთავრო ტახტი, მიიღო რუსეთის შეფისაგან მილიონი ოქროთი, უგანათლებლუდესობის ხარისხი და გვარი მინგრელსკისა.

14. ტერეზია დადიანისა (1827 — 1871) — ასული გურიის მთავრის მამია V და მეუღლე გრიგოლ ლევანის-ძე დადიანისა.

15. გრიგოლ დადიანი (1814—1902)—ძმა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითისა, უგანათლ. თავადი, გენერალ-ადიუტანტი—გენერალი ინფანტერიისა, საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მუდმივი თანამშრომელი ჟურნალ „ცისკარისა“ ლექსებით. მისი ფსევდონიმებია: „იოანე გეგეჭკორი“, „კოლხიდელი“, „მეგრელი“, „ბ. დ.“, „კ“ და სხვ. (დაწვრ. იხ. აქვე, გვ. 109).

16. ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786—1846)—გამოჩენილი ქართველი პოეტი, გენერალ-ლეიტენანტი, საზოგადო მოღვაწე. მისი ბიოგრაფია დაწერილი ჰქონია ი. მეუნარგიას ჯერ კიდევ 80-ან წლებში, მაგრამ არ გამოუქვეყნებია. პირველად დაებეჭდეთ ჟურნ. „მნათობში“ 1937 წ., შემდეგ ცალკე წიგნად იმავე წელს, ხოლო 1941 წ. შევიტანეთ მეუნარგიას თხზულებათა I ტ. („ქართველი მწერლები“ ნ. I).

17. ტატო ბარათაშვილი—ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816—1845) — დიდებული ლირიკოსი პოეტი, რომლის ბიოგრაფია დასწერა იონა მეუნარგიამ (იხ. გაზ. „ივერია“ № 85—103, 1893 წ. და ჩვენი გამოცემა „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ 1945 წ. თბილისი)

18. გიორგი დავითის-ძე ერისთავა (1813—1864)—პირველი ქართველი დრამატურგი—კომედიოგრაფი, ქართველ/მოლიერად წოდებული, რომლის ბიოგრაფია დაწერა პირველად ი. მეუნარგიამ (იხ. „ქართველი მწერლები“, ნ. II. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, 1944 წ.),

19. მამია დავითის-ძე გურიელი (1836—1891)—ცნობილი ქართველი პოეტი, ჩამომავალი მთავრის მამია V გურიელისა. მამია გურიელის ბიოგრაფია ი. მეუნარგიასგან შედგენილი დართული აქვს პოეტის თხზულებათა კრებულს (1897 წ.), ჩვენ იგი შევიტანეთ იონა მეუნარგიას „ქართველი მწერლები“ II ნ.)

20. მელიქოვი, პეტრე ლევანის-ძე—გენ. მაიორი.

21. პეტრე მიჩსკი—შვილი ცნობილი დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისა.

## 15. (გვ. 159).

წერილი წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მეუღლის—ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილ-ჭავჭავაძისადმი (1843—1928) მიწერილ ბარათის შავს.

1. იგულისხმება 1908 წ. ილიას დღეობაზე ქუთაისში წაკითხული მოხსენება, რომლის გამო იაკობ გოგებაშვილმა იონა მეუნარგიას წინააღმდეგ უმართებულო განცხადება ასტეხა პრესაში. ი. გოგებაშვილს ეს მოხსენება არც მოუსმენია და არც წაუკითხავს, დამყარა რა სოციალდემოკრატების (მენშევიკების) გაზ. „ალში“ მოთავსებულ პროვოკაციულ კორესპონდენციას, ი. მეუნარგია უშვერი და შეუფერებელი სიტყვებით გალანძღა გაზ. „საქართველოს“ ფურცლებზე. ი. მეუნარგიამ მხედველობაში მიიღო იმ ხანებში ილია ჭავჭავაძის გარშემო შექმნილი ატმოსფერო და ის პროვოკაციული წერილები და კორესპონდენ-



ნინო კაკავაშვილი - გრიბოედოვისა — ახალგაზრდობაში.  
მხატვ, დესენის აკვარელიდან. დაცულია ზუგდიდის მუზეუმში.



ციები, რომელიც მაშინ ასე ხშირად თავსდებოდა აღნიშნული დაჯგუფების გახეთქებში და მდგომარეობა რომ უფრო არ გაემწვავებინა, გოგებაშვილს პასუხი არ გასცა პრესაში, ხოლო ეს მისი მოგონებები წაკითხა ილიას თბილისელ მეგობართა შორის, საცა გოგებაშვილიც იყო მიწვეული, მაგრამ გოგებაშვილი სალამოს არ დაესწრო. სხვა დამსწრეებმა კი ერთხმად აღნიშნეს: ნამდვილი ილიას ზასიათები, ცოცხალი ილია წინ დაგვიყენო.

ჩვენ ეს მოგონებანი პირველად გამოვაქვეყნეთ ჟურნ. „მნათობში“ 1937 წ. და შემდეგ ცალკე წიგნად გამოვეცით (იხ. „ნანახი და განავლნი ილიას ცხოვრებიდან“, 1937), ხოლო 1944 წ. შევიტანეთ. ი. მეუნარგიას ნაწერების მეორე ტ. (იხ. „ქართველი მწერლები“ II ნაწ.)

2. გოგებაშვილი იაკობ (იხ. ხევით).

16. (გვ. 160).

1. წერილის ადრესატია დუტუ მეგრელი—დიმიტრი თომას-ძე ხოშტარია (1867—1938)—ცნობილი პოეტი, რომელიც იმ ხანებში მსახურობდა ერევნის გუბერნიაში.

17. (გვ. 161).

1. ქალადიდელი — გიორგი ქოჩაქიძე (1847—1898)—პოეტი, რომლის თბხულებათა კრებული იონა მეუნარგიას რედაქციით და მის მიერვე შედგენილი პოეტის ბიოგრაფიის დართვით გამოვიდა 1913 წ. ქუთაისში.

2. ვახილ ბაჩნოვი (1857—1934) — გამოჩენილი ქართველი რომანისტი ავტორი მრავალი ისტორიული ნოველისა და რომანისა.

3. მსგავსი წერილი ი. მეუნარგიას გაუგზავნია: გ. გვახავას, თედო ეორდანიასა და ჯაჯუ ჯორჯიკიასათვის (იხ. მისი არქივი. ზუგდიდის მუზეუმი). ამ წერილის ადრესატია ცნობილი კრიტიკოსი იპოლიტე ვართაგავა.

18. (გვ. 161).

1. ვანო — ივანე გიორგის-ძე მაჩაბელი (1854—1898)—ცნობილი ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი შექსპირის პიესებისა, დაიკარგა უცხოუკვლოდ 1898 წელ 26 ივნისს.

2. მიწო — მიხეილ მაჩაბელი, აგრონომი, თბილისის გარეუბნის სოფ. ლილოს მცხოვრები.

3. ფავლენაშვილი, მიხეილ — ლიტერატორი, მოღვაწე, ვანოს მეგობარი.

19. (გვ. 162).

1. წულაძე ლავრენტა — ფოთელი მოქალაქე, შემდეგ მღვდელი, კორესპონდენტი — თანამშრომელი ქართული გახეთქებისა „ვერმიცანიძის“ ფსევდონიმით.

2. დუმა — ასე ეძახდნენ რუსულად ფოთის ქალაქის თვითმართველობას, რომლის წევრიც იონა მეუნარგია იყო.

3. ჩილაძე — ფოთელი მოქალაქე, მასწავლებელი.

## წერილები იონა მეუნარგიასადმი

ცნობილი ჟურნალისტისა და დრამატურგის, დავით გიორგის-ძე ერისთავის დასაფლავებაზე, მისმა უახლოესმა და გულთაძმა მეგობარმა იონა მეუნარგიამ თავისი გაძოსათხოვარი ვრცელი სიტყვა ამგვარად დაასრულა: „მომავალმა ისტორიამ ქართული მწერლობისამ შენს სახელზე შეიძლება ბევრიც არ ილაპარაკოს, მაგრამ როდესაც ეს ისტორია გადაწლის ქართული სცენის ამბავს, უეჭველად შეჩერდება იმ ფურცელზე, სადა იქნება შენი სახელი და გვერდით დააწერს: აქ ვიღაც ყოფილაო\*. ნეტავი იმას ძმაო, ვინც თუნდაც ასე მცირედა ყურადღება დაიმსახურა შთამომავლობისა“ \*\*...

ეს სიტყვები მის მთქმელზეც უნდა გავავრცელოთ. უმჯობესი დახასიათების ძებნა კიდევ გაგვიჭირდებოდა.— „აქ ვიღაც ყოფილაო“ იტყვის მომავალი გენტიანი ქართული მწერლობისა, როცა მისს სახელისათვის განკუთვნილ კაბადონს მიადგება. ამ „მყოფობის“ დამადასტურებელი, თუნდაც, მისდამი მიწერილი კერძო ბარათებია, რომელთაც ქართულ ეპისტოლარულ ლიტერატურაში საპატიო ადგილი უეჭველად დაეპოება. მით უფრო, ჩვენი მწერლობა არც ისე მდიდარია ეპისტოლარული მასალით, რომ მან უგულვებელყოფს იონა მეუნარგიას ადრესანტები, რომელთა უმრავლესობა ჩვენი საყვარელი და სასიქადულო მწერლებია, ან და მათი თანამედროვე კულტურული ძალები და საზოგადო მოღვაწენი. ყველა ამათ თავის დროზე საკუთარი შეძლების მიხედვით შესაფერი წვლილი გაუღიათ ქართული ლიტერატურისა და საზოგადო საქმისათვის, რის გამო ჩვენი აზროვნებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში შესამჩნევი კვალი დაუტოვებიათ.

ილია ჭავჭავაძე, დიმ. ყიფიანი, აკაკი წერეთელი, დავით და კ. ერისთავები, ივ. მაჩაბელი, დავით და ოლგა გურამივი-

\* ხაზი ჩვენია.

\*\* „ივერია“, 1890 წ. № 210.

ლები, ნიკო ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, პ. უმიკაშვილი, ნ. ლომო-  
ური, სოფ. მგალობლიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ნაკაშიძე,  
თ. ფორდანიას, ალ. სარაჯიშვილი, გრ. დადიანი, ილია და ალექ-  
სანდრე ჭყონიები, ბ. ბებურიშვილი, იასე რაჭველი, დუტუ  
შეგრელი, ილია ბახტაძე (ხონელი), ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი,  
ეპისკოპოსნი: გრიგოლ, გიორგი და ლეონიდე, არ. ჭუბაძე,  
ნ. ყიფიანი, დავ. სულიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ი. გელოვანი,  
ი. თანცხავა, ს. ხოშტარია, კ. მიქაბერიძე, პ. გოთუა, დ. ნიჭარაძე,  
კ. მესხი, მ. გედევანიშვილი, ალ. ყიფშიძე (ფრონელი), გ. კალანდა-  
რიშვილი, მიურატნი (სალომე, ანტუჟანეტა, ლუსიანე და ნაპო),  
გ. ყიფშიძე, გ. თუმანაშვილი, ს. გორგაძე, ალექსი ბერი, მელ. გო-  
ბეჩია, ელ. გურიელი, პახ. ლიფონავა, ანასტ. მაჩაბლისა, სტ. ძი-  
მისტარიშვილი (კორტოხა), ქოჩაქიძე, კ. ნიკოლაძე და რამდენიმე  
ცნობილი უცხოელები: ელიზე რეკლუ, ერნესტ რენანი, არტურ  
ლაისტრი და სხვები,—ისინი არიან, რომელთა წერილები სიყვარუ-  
ლით შემოუნახავს ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრა-  
ფიული მუზეუმის სეიფში დაცულ იონა მეუნარგიასეულ არქივს.  
შასალათა ეს გროვა თვალწინ წარმოგვიდგენს ქართველი ერის  
შეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის კულტურული ცხოვრების  
ერთ ლამაზსა და საკმაოდ ფართო ასპარეზს, სადაც მძლავრად  
ჩქეფდა შემოქმედებითი პოტენცია და ეროვნული ძალა.

ამ შემოქმედებისა და ეროვნული დუღილის სხვადასხვა პრო-  
ცესებში თავიდანვე ჩაება ხსენებული წერილების ადრესატი და ამით  
შეუსრულდა მას ის იქვიანი და სევდით სავსე ოცნება და სურვი-  
ლები, რომელიც მან 1874 წ., სასულიერო სემინარიიდან პოლი-  
ტიკურად არაკეთილსაიმედოობისათვის ახლადგარიცხულმა, 22 წლის  
ყმაწვილმა, გამოსთქვა თავის დღიურებში\*.

ამ ოცნების შემდეგ მან, მართლაც გაბედული ნაბიჯი გადად-  
ვა, სემინარიელთა „ჩვეულებრივ სასეირნო“ გზა, — მღვდლობისა,  
უარჰყო და რომ მის ცხოვრებას, მასში ნაგოდობ ძალს „ფუჰად“  
არ ჩაეგლო, სწავლის მისაღებად შვეიცარიაში გაემზავრა და 4—5  
წლის განმავლობაში მოვლო ის ევროპა, როლის შესახებ იმ ხა-  
ნებში, ქართული გაზეთის ერთი ვეტერანთაგანი, სერ ეი მესხი  
წერდა: „რაკი ჩვენი ახლათობა ნამდვილად დარწმუნდა, რომ ეს  
ძველი გზა ყოველშემთხვევაში გამოუსადეგარი და ხანდახან მავნე-  
ბელი გზაც იყო, შეუდგა ახალი გზის მოსახვეს და ამ ახალი თაო-  
ბის საქებრად უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მო-

\* იხ. „ლიტ. მატრიანე“ № 3—4, გვ. 217.



ნახეს. ეს გზა დასავლეთი ევროპის გზა არის. ყოველგვარი ცოდნა-  
სა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატების  
წყარო ჯერჯერობით დასავლეთი ევროპაა.

ყველა ხალხი, და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწაუებიან  
და აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუ-  
გეშებელია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის-თავისა და  
თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ევროპის



ონა მეუნარგია. სურათი გადაღებულია 1893 წელს.

ცხოვრება და მეცნიერება კარგად და ჭეშმარიტად გაუცვნია. გაუ-  
ნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებას (ხოლოდ ის კაცი ნოლტანს  
სარგებლობას, რომელიც ძვითონ ევროპულ სწავლა-მეცნიერებაში  
განერთარებულია და თავის თვალთ უნახავს და შეუსწავლია სი-  
ღარიბის მომსპობი და კეთილ დღობის მომნიჭ ბელი სახსრები.  
სხვა არა იყოსრა, უბრალო დანახვაც განათლებულ ერთა ცხოვრე-

ზისა და მეცნიერების ნაყოფისა არა მცირედ სარგებლობას მოუტანს ისეთი ქვეყნის შვილს, როგორც ჩვენია“\*.

საქართველოში პირველი ევროპული ყაიდის გაზეთ „დროების“ რედაქტორის ეს სიტყვები, „დროებაშივე“ მოთავსებული, იმ დროის ახალი თაობის სახელმძღვანელო იყო და ყოველი მათგანი ცდილობდა ამ დარჩევების მიღებასა და შესრულებასაც, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა თავისთავისა და ქვეყნისათვის მეტი სარგებლობის მოტანა.

მეუნარგიასადმი მიწერილი წერილების გულდასმით გადაკითხვის შემდეგ დავრწმუნდებით, რომ სწორი იყო სერგეი მესხის ზემოთმოყვანილი აზრი და ი. მეუნარგიას სიყმაწვილს ოცნებაც განხორციელდა მით, რომ ის მართლაც გახდა თავის დროისათვის შესამჩნევი პირი და სამშობლოს მოაზრებთა შორის ერთერთი საიმედო მუშაკი.

მაგრამ ეს ბარათები ნარტო მით როდია საგულისხმო, რომ ყოველი მათგანი თავიანთი აღრესატის ან ავტორის ღვაწლსა და ცხოვრების რომელიმე დადებით მხარეს აღნიშნავენ. არა. იქ სხვადასხვაგვარი ლიტერატურული ფაქტიც არ მოაკლდება ჩვენი მწერლობის მეისტორიის გულისყურს, თუნდაც ამგვარი: „მშვენიერია მარიამ, ვახტანგ ორბელიანის ქალი, ამ დღეებში დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და აპირებს მამის ლექსების დაბეჭდვას. წუხელის გამოცემის თაობაზე მასთან ვიყავით: ი. გოგებაშვილი, თაყაიშვილი და მე. დაიბეჭდება სურათით, ბიოგრაფიით და წინასიტყვაობით. ეს წინასიტყვაობა და ბიოგრაფია შენ მოგანდეს. ამისათვის მასალები უნდა შევკრიფოთ და გამოვიგზავნოთ. როგორც მახსოვს, ფოთში ყოფნის დროს ამაზე მოგელაპარაკე და შენ, ვგონებ, უარზე არ იყავი, რომ გეტვირთნა. ახლა გთხოვთ დაუყოვნებლივ და დაწყევტით მაცოდინო, ტვირთულობ თუ არა?“\*\*

ამ ნიმუშიდან გარდა იმისა, რომ აღრესატის ღვაწლი და ადგილი მოსჩანს ქართული მწერლობის სარბიელზე, ცნობილი ხდება აგრეთვე იმგვარი ფაქტებიც, რომელთაც თავისებური, ახალი და ახალი შუქი შეაქვთ ჩვენს ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

ამ ნიმუშის მოყვანა იმიტომ დაგვჭირდა, რომ აღვეჩინოთ ყოველ აქ მოყვანილ ბარათზე ცალკე მსჯელობის შედეგიანობა, თუ ადგილი, რამდენადაც შესაავალი წერილის ხასიათი ამის ნებას იძლევა.

\* იხ. სერგეი მესხის ნაწერები, ტ. I, გვ. 107.

\*\* აქვე პ. უმიკაშვილის წერილი იონასადმი. 1891 წ. 14 ოქტომბერი.

აქ კი, მხოლოდ ზოგადად მოვხაზავთ ნაგულისხმევ ბარათებში გაშუქებულ, ან აღძრულ საკითხებს. ესენია: ა) გაზეთი „ივერიის“ დაარსება, რედაქციის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი მუშაობის გეგმები, დასახული მიზნები და თანამშრომლების დასახელება; ბ) ბანკის საკითხები; გ) ლიტერატურის ისტორიისათვის მასალა: „ვეფხისტყაოსანი“, გრ. ორბელიანის „ცხოვრებისა და ღვაწლის“ აღწერა, წერა-კითხვის საზოგადოება, ცნობება გრ. ორბელიანის წერილების შესახებ, გოგებაშვილის „დედაენის“, „ბუნების კარის“ და სხვათა გამოცემის გარშემო. ქართველი ინტელიგენციის ალბომი, აკაკისა და ილიას მწერლობა, ს. მესხის ნაწერების კრებული გამოცემა, დავ. ერისთავის ბიოგრაფიის შედგენა, მაჭახელაძის წერილები, ნ. ნიკოლაძის „ობზორი“ ივერიის შესახებ, მაჩაბლის სახსოვარი და მისი ბიოგრაფია, მამია გურიელის ცხოვრების აღწერისათვის და სხვ.; დ) ქართული ჟურნალისტიკის მასალა, ე) ისტორიული ცნობები, ვ) სამეურნეო საკითხები, ზ) ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, თ) პუბლიცისტიკა, ი) ქართული თეატრი და დრამატურგია, კ) ჟურნალები, გაზეთები, მათი თანამშრომელნი, ლიტერატურული მიმართულებანი, ჟანრები, ლ) ენის საკითხები და სხვა მრავალი.

ამგვარად, მეუნარგიასადმი წერილების მნიშვნელობა საკმაოდ ფართოა, ისინი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ხასიათისანი და მასთან ერთად, ჩვენი გამოჩენილი ადამიანების ზოგიერთ პირად ლტოლვათა და ზრახვების გამომხატველნიც არიან. ამგვარ ნაწყვეტებსაც ზევრის თქმა შეუძლიათ ამათუიმ დიდი შემოქმედის, ან რომელიმე ფართო დაპაზონის მოღვაწის სხვადასხვა მხარის დასახასიათებლად.

როგორც ცნობილია, ადამიანის პირადი და საზოგადო სულიერი დელვისა და ხორციელი ცხოვრების ნიუანსები მუდამდება ხშირად უბის წიგნში ჩაწერილ შენიშვნებში თუ დღიურებში და მეტადრე ამაჲნაგ-მეგობრებისადმი მიწერილ ბარათებში. აქ ადამიანი ყველაზე უფრო გულწრფელია და უბრალო. ამავე დროს ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ წერილის ავტორზე გავლენას ახდენს ისიც, თუ ვისა სწერს იგი ამ ბარათს? ამგვარად, ერთი ეპისტოლე სხვადასხვა მხრივ შეიძლება ორ პიროვნებას ახასიათებდეს, მათი საქმიანობისა და შემოქმედებითი სახეების მიხედვით. ეს ორი პიროვნება, ცხადია, ადრესანტი და ადრესატია (ამ შემთხვევაში იონა მეუნარგია), და ამდენად აღნიშნულ მასალა ამ უკანასკნელის ერთგვარ მოქმედებას, მის მიერ გავლილ გზასა და მისი ცხოვრების ეპიზოდებსაც გვაცნობს, წერილების ავტორთა ცხოვრების დღეებთან ერთად.



აქ, ჩამოთვლილ ადრესანტებისა მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი. მათი მთლიანი მოცემა, სიმრავლისა გამო, ტექნიკურადაც მოუხერხებელი იქნებოდა. აქიტიკ, მისახვედრია ჩვენი ხანზრახვა—მეტი გადახრა ლიტერატურისაკენ და ამ ნიშნის მასალების შერჩევა და თავმოყრა ავტორების მიხედვით, შიგადაშიგ რაც შეიძლება, ქრონოლოგიის დაცვითაც.

თითოეული წერილის კომენტარი, ან საჭირო განმარტება მოცემულია ბოლოა, შენიშვნების სახით. თვით წერილების ტექსტში, რაც შეიძლება, დაცულია ავტორის სტილი და მართლწერა. რ სული წერილებისათვის თარგმანის გაკეთება საჭიროდ არ დავინახეთ, ხოლო ფრანგული წერილების ქართული თარგმანები მოცემულია შენიშვნებში.

### 1.

„დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვებ ს დღეს. ვსტირით და ვურიალებთ უშეობის გამო, მაგრამ რა გა წყობა, თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბერს გვაკლიხარ, მა რამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ 1-ლი იანვრისათვის, ვნახოთ ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო. გიგზავნა გ მოცხადებულს და ყველგან გაგზავნილს უწყებას ჩვენის ახალის გაზეთის<sup>1</sup> გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებმა და ტერმინებმა მოწონების და დაწუნების ლაღადი მოჰფინეს ჩვენს სალიტერატურო არემარეს. ჩვენ ვაუგეშობთ და ვამბობთ: значит свет нас заметил. უარარაობას კიკიდევ ესა სჯობია. ახ, ნეტავი ეხლა ჩვენთან იყო. ყნემ მაგ უმადურ და უსიხარულო ქეყნისამ გული არ გაგიყინოს და არ დაგვლუპოს შენდამი მსასოებელნი.

შენი ფსევდონიმა არც ერთი არ ჩომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმა: I. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენხედ ზედგამოჭრილია, II. „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენც ცხლი მოგიკიდა როგორც აბედს და შენ, ჩვენ გადმოგვეცი... ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საუთს ეისცემს ქართული აბედი რუსულ ინედ-ად გადააქციოს; მაინც შენ სხვის სადილე ის დაძებარს გეძახოდა და დაგცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრამით მაცნო ე.

ასო ბისათვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩაპოვასხმევენეო და ძალიან ცოტა განსხვავება აქვს მნდაურებაან. წიგნები რაც საჭირო იყო, დავიბარეთ, ვიდრე შენი წერილი ლამივიდოდა.

ნიკოლაძესა<sup>2</sup> სთხოვე და შეეხვეწე ჩემ მაგიერ, ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევეს ამჟამად, რომ საკუთარს წერილს არა ვწერ. ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვაწბილდეს და გულიდამ ამოიღოს ჩვენი გაზეთი, წვრილმანმა წვრილმანს მოუკიდოს ცეცხლი.

ქალაქის თაობაზე სერებრიაკოვს<sup>3</sup> წერილი მივწერე და პასუხს ველი, ჯერ ხანად Новое Обозрение-ს<sup>4</sup> ფორმატის ქალაქს ვიხმარებთ.

კაცო, რატომ არა გვწერ, — ეგ მუხრანბატონი<sup>5</sup> რას სჩადის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეები. შენგან მიკვირს და მეოცება. ღერტსა ვაზოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვას შენგან და არც მეორე. ასე, ჩემო იონავ, იყავ მშვიდობით და დღ გრძელობათ და არ დაივწყო, რომ შენ ერთადერთი მეგობარი გყავს და ის ერთადერთი — შენი ილია ჭავჭავაძე.

20 დეკემბერი 1885 წ.

P. S. მოუთმენლად ველი შენს სტატიას, ოლიკომ<sup>6</sup> მოგიკითხა, მოიკითხე ჟველა ჩვენი ნაცნობები.

2.

### საყვარელო ძმაო იონავ!

შენი წერილი მ-ვილე და ვწუხვარ, რომ ვერაფერს სანუგეშოს ვერ მოგწერ. აი საქმე რაშია: ჩვენ ყოველს გასასესხს ვგზავნით დასამტკიცებლად სამინისტროში, რომელსაც უნდა ვაჩვენოთ რამოდენა შემოსავალი აქვს მამულს; ეს შემოსავალი ერთი 12<sup>1</sup>/<sub>2</sub>-ზე უნდა აიღოს და ის იქნება ფასი მამულისა. ამ ფასისა 60 პროცენტამდე შეგვიძლიან სესხად მივცეთ. რუსულად მოგწერ, რომ უფრო კარგად გაგაგებინო:

Чистый годовой доход помножается на 12<sup>1</sup>/<sub>2</sub> и произведение определяет стоимость имущества; с этой стоимости выдается 60 проц.

პრინციპს<sup>1</sup> მამულს შემოსავალი აქვს, შენ იწერები, 4.000 მანეთი, აქედან კანონით უნდა გამოვიდეთ 20 პროც. სხვადასხვა ხარჯისათვის, დარჩება 3.200 მანეთი. ეს 3.200 მანეთი უნდა ავიღოთ 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>-ჯერ და გამოვა 4.000 მანეთი — მთელი ფასი მამულისა. აქედან 60 პროც. შეიქმს 24.000 მანეთსა. ჩვენ ზოგიერთის მო-

<sup>1</sup> სალომე, ასული დავით დადიანისა, აშილ მიურატის მეუღლე, გარდაიცვალა 1913 წ. წერილი უთარიღოა, დაწერილია, შეკველად, მიურატის გარდაცვალების (1895) შემდეგ — ს. ც.

აქ, ჩამოთვლილ ადრესანტებისა მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი. მათი მთლიანი მოცემა, სიმრავლისა გამო, ტექნიკურადაც მოუხერხებელი იქნებოდა. აქიტოვ, მისახვედრია ჩვენი ხანზრახვა—მეტი გადახრა ლიტერატურისაკენ და ამ ნიშნის მასალების შერჩევა და თავმოყრა ავტორების მიხედვით, შიგადაშიგ რაც შეიძლება, ქრონოლოგიის დაცვითაც.

თითოეული წერილის კომენტარი, ან საჭირო განმარტება მოცემულია ბოლო, შენიშვნების სახით. თვით წერილების ტექსტში, რაც შეიძლება, დაცულია ავტორის სტილი და მართლწერა. რ სული წერილებისათვის თარგმანის გაკეთება საჭიროდ არ დავინახეთ, ხოლო ფრანგული წერილების ქართული თარგმანები მოცემულია შენიშვნებში.

1.

„დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვებ ს დღეს. ესტირით და ვლრიალებთ უშეობის გამო, მაგრამ რა გა წყობა, თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბეკრს გვაკლიხარ, მა რამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ 1-ლი იანერისათვის, ვნახოთ ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო. გიგზავნა გ მოცხადებულს და ყველგან გაგზავნილს უწყებას ჩვენის ახალის გაზეთის<sup>1</sup> გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებმა და ტერმინებმა მოწონების და დაწუნების დაღადი მოჰფინეს ჩვენს სალიტერატურო არემარეს. ჩვენ ვაუგეშობთ და ვამბობთ: *значит свет нас заметил*. უარარაობას კიკიდევ ესა სჯობია. ახ, ნეტავი ეხლა ჩვენთან იყო. ყნემ მაგ უმადურ და უსიხარულო ქეყნისამ გული არ გაგიყინოს და არ დაგვლუპოს შენდამი მსასოებელნი.

შენი ფსევდონიმა არც ერთი არ ზომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმა: I. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენხედ ზედგამოჭრილია, II. „აბეჯი“, ვითომ ნაკვესმა შენც ცხლი მოგიკიდა როგორც აბედს და შენ, ჩვენ გადმოგვეცი... ეს უახასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საუთეს ინიცემს ქართული აბედი რუსულ ინედ-ად გადააქციოს; მაინც შენ სხვის სადილე ის ჯაძებარს გეძახოდა და დაგცინოდა. ორში ერთი ამოიჩხიე და ტელეგრამით მაცნო ე.

ასო ბისათვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩაპოვასხვევინეთ და ძალიან ცოტა განსხვავება აქვს მნდაურებას. წიგნები რაც საჭირო იყო, დავიბარეთ, ვიდრე შენი წერილი სამივიდოდა.



ნიკოლაძესა<sup>2</sup> სთხოვე და შეეხვეწე ჩემ მაგიერ, ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევეს ამჟამად, რომ საკუთარს წერილს არა ვწერ. ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვანზიდდეს და გულიდამ ამოიღოს ჩვენი გაზეთი, წერილმანმა წერილმანს მოუკიდოს ცეცხლი.

ქალაქის თაობაზე სერებრიაკოვს<sup>3</sup> წერილი მივწერე და პასუხს ველი, ჯერ ხანად Новое Обозрение-ს<sup>4</sup> ფორმატის ქალაქს ვიხმარებთ.

კაცო, რატომ არა გვწერ, — ეგ მუხრანბატონი<sup>5</sup> რას სჩადის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეები. შენგან მიკვირს და მეოცება. ღწერთა ვაზოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვას შენგან და არც მეორე. ასე, ჩემო იონავ, იყავ მშვიდობით და დღ გრძელობათ და არ დაივწყო, რომ შენ ერთადერთი მეგობარი გყავს და ის ერთადერთი — შენი ილია ჭავჭავაძე.

20 დეკემბერი 1885 წ.

P. S. მოუთმენლად ველი შენს სტატიას, ოლიკომ<sup>6</sup> მოგიკითხა, მოიკითხე ჯველა ჩვენი ნაცნობები.

## 2.

### საყვარელო ძმაო იონავ!

შენი წერილი მ-ვიღე და ვწუხვარ, რომ ვერაფერს სანუაგშოს ვერ მოგწერ. აი საქმე რაშია: ჩვენ ყოველს გასასესხს ვგზავნით დასამტკიცებლად სამინისტროში, რომელსაც უნდა ვაჩვენოთ რამოდენა შემოსავალი აქვს მამულს; ეს შემოსავალი ერთი 12<sup>1</sup>/<sub>2</sub>-ზე უნდა აიღოს და ის იქნება ფასი მამულისა. ამ ფასისა 60 პროცენტამდე შეგვიძლიან სესხად მივცეთ. რუსულად მოგწერ, რომ უფრო კარგად გაგაგებინო:

Чистый годово́й доход помножается на 12<sup>1</sup>/<sub>2</sub>, и произведение определяет стоимость имущества; с этой стоимости выдается 60 проц.

პრინციპს<sup>1</sup> მამულს შემოსავალი აქვს, შენ იწერები, 4.000 მანეთი, აქედან კანონით უნდა გამოვიდეთ 20 პროც. სხვადასხვა ხარჯისათვის, დარჩება 3.200 მანეთი. ეს 3.200 მანეთი უნდა ავიღოთ 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>-ჯერ და გამოვა 0.000 მანეთი — მთელი ფასი მამულსა, აქედან 60 პროც. შეიქმს 24.000 მანეთსა. ჩვენ ზოგიერთის მო-

<sup>1</sup> სალომე, ასული დავით დადიანისა, აშოლ მიურატის მეუღლე, გარდაიცვ. 1913 წ. წერილი უთარიღოა, დაწერილია, უეჭველად, მიურატის გარდაცვალების (1895) შემდეგ — ს. ც.

საზრებით ამაზე მეტი დაუნიშნეთ. სახელდობრ 28.500 შან. და ამასაც ვშიშობ, ვაი თუ სამინისტრომ არ დაამტკიცოს. ბევრიც რომ მოვიწოდოთ ზემოხსენებულ ანგარიშს ვერ წაუვალთ და ვერც ვერაფერს გავხდებით, რა კი შემოსავალი 4.000 მანეთზე მეტი არ არის. სავსუხაროდ ჩემდა, შენს წერილზე ამაზე უკეთესს და მეტს პასუხს ვერ მოგახსენებთ. რაც არ შეიძლება, იმას ჩვენი გამგეობა ვერ იქმს.

შენი ერთგული ილია ქავჭავაძე,

3.

ძმად იონა!

ბატონობა დიდიხანია გადავარდა და ძმობაც აღარსად არის, მაგრამ მაინც სიტყვის მასალად მეორის ხმარება სჯობია.—შენი წერილის პასუხი თუ აქამომდე ვერ მოგწერე, მიზეზი ჩემი ავადმყოფობა იყო. და ან რა უნდა მომეწერა! ისეთ რამეს მეკითხები, რომ პასუხის ღიაცემა ძნელია. „ენის მხრით რომელი უფრო მოგწონს შენი ლექსიო“—მეკითხები, და მე დღემდე ბევრი მომწონდა, მაგრამ დღეს კი „ივერია“<sup>1</sup> ისე ამრია, რომ აღარ ვიცი, როგორ გავარჩიო... მე მგონია, რომ აღარც ერთი აღარ ვარგა, რადგანაც ჩემი ენა თურმე მოიიფერლებს და არა მოიხვესურ-მოიბაჩანავებს!...

ბევრი რამ მქონდა მოსაწერი, მაგრამ ამ უკანასკნელმა შემთხვევამ და ქუთათურების ქცევამ, ისე გამაბრუეს, რომ თავ-ტანის აღარა გამეგება რა... ეჰ, ნეტავი იმას, ვინც უაზროთა და უკრძნობლად გაჩენილა ჩვენში.

მარად შენი აკაკი.

30 ოქტომბერი, 1887.

ქუთაისი

4.

ძმად იონა!

მეც შენსავით „ბატონობით“ მინდოდა მომეწერა ეს წერილი, მაგრამ როგორც მესამოცე წლების ქუქს, არ მეხერხება... ისევ „ძმობითა“ გწერ და ნურას უკაცრავად. დღეს ავიღე აქ ნებართვა, რომ მანდ შაბათს ლექცია წავიკითხო და პარასკევს ღამით თვითონ ჩამოვალ მანდ. რაც შეეხება „აზნაურის სტუმრობას“, მე დიდი ხანია ხელაღებული ვარ აზნაურობაზე და სტუმრობაც ძალიან მე-

ზარება: მე უფრო შენი ნახვა მინდა, რომ ცოტა რამ მასალა გამოგტყუო ჩემი ახალი თხზულებებისათვის: „ვორონცოვი“. წვეულება სრულიად საჭირო არ არის. თუ კი ვისმეს უნდა ჩემი ნახვა და მოხუცის ჩიფჩიფის გაგონება, ლექციაზეც მნახავს.

შენი მარად ენა-მწარი და გულ-ტკბილი მოყვარული

აკაკი.

5.

ძმაო იონა!

ამ-სააღდგომოდ დავრჩი ქუთაისში და ჩენზე უცოდვესი ძალიც აღარ არი. ისეთ მოწყენილობაში ვარ ჩავარდნილი. ამ დღეებში აქ ერთი ლექცია წავიკითხე და იმის წაკითხვის ნება გუბერნატორმა დამართო ფოთშიაც, მაგრამ რადგანაც ქალაქ-მთავარი<sup>1</sup> შენა ხარ, არ შემიძლია არ შეგეკითხო: როდისთვის უფრო მოსახერხებელი იქნება ეს საქმე. შემატყობინე მალე. ადრესი: ქუთაისის სასტუმრო „ფრანცია“.

შენი მარად მოყვარული აკაკი.

6.

ძმაო იონა!

თუ მეტად სამძიმო არ იქნება შენთვის, გთხოვ მაცნობო პასუხი ჩემის წერილისა, რომელიც გამოგიგზავნე გასულის ოქტომბრის 12-ს. იმ წერილით მე გთხოვდი რამდენიმე მეგრული სახელეების<sup>1</sup> და სიტყვების განმარტებას. თუ ან წერილი არ მიგიღია და ან შეუძლებელია მოხსენებული სიტყვების განმარტება, ისიც მაცნობე.

შენი ერთგული აკაკი.

24/XI 900. ტფილისი.

7.

ალბომში ჩაწერილი \*

იონასთან ვიყავ,

ბევრი ვიციენე;

კარგად ვსვი, ვჭამე

გამოვიძინე.

აკაკი.

26 სექტემბერი 1911.  
ფოთი.

\* ამ ალბომის შესახებ იხ. აქვე, შენიშვნები, გვ. 272.



9 Февраля 1883. Среда, Квишхети.

Без могущественной руки помощи, поданной вчерашним № 31 „Кавказа“, Квишхетский генералитет чуть-чуть не свалился в зияющую пропасть грехопадения в отношении мировоззрения на Ваше обещание, дорогой Иона Михайлович! Подумайте сами: он готов был, т. е. совершенно так же был готов подумать, что Вы проехали обратно, не заехав к нему по обещанию. Но „Кавказ“ вчера нам сообщил, что Вы изволите здраво и невредимо пребывать все еще в Тифлисе. Слава Богу! Однакож, как ни прикидывай, а все Вы виноваты, что генеральству грозила такая опасность. Поэтому оно и позволяет себе предписать Вам, в виде наказания:

1. Выслать немедленно, неотложно и непустительно, Княгине Пелагии Кайхосровне Церетели<sup>1</sup>, в Кутаис, принадлежащую ей книгу „Вепхвис-Ткаосани“,—о чем телеграфировано недавно и Князю Григорию Димитриевичу<sup>2</sup>,—и

2. Прочсть самим и кому вы думаете,—а то, пожалуй, и напечатать (против чего, думаю, и адресат не будет отставать), прилагаемую копию с письма, относительно смертной казни, отправленного сегодня к О. А. Быкову<sup>3</sup>.

Если по чему нибудь нельзя будет напечатать, то копию эту не оставьте возвратить.

А об исполнении 1-го поручения не оставьте тотчас известить сельский генералитет,—крот (?) конечно, не забудете этого,—продолжаем ждать Вас со всем патриархальным разумием.

Ваш Дим. Кипиани.

9.

15 Июля 1883 г. Пятница. Квишхети.

Дорогой Иона Михайлович!

На обильное редкими любезностями письмо Ваше от 4 с. м. и до сих пор не отвечал, думая послать Вам ответ с тем же моим Колей<sup>1</sup>, к-рый доставил мне письмо; но отъезд его в Тифлис замедляется еще на несколько дней

и потому пишу Вам общеустановленным почтовым путем, и пишу вот что:

Вашею готовностью подать мне руку дружбы желаю воспользоваться и хватаю Вас не за одну, а за обе руки разом:

1. Коля мой приедет 18 или 19-го и, имея уполномочие, дать доверенность Вашему зятю вести дело моей генеральши о ссуде из Банка под залог ее имения.

2. Так как дело это может затянуться более или менее, за выполнением разных формальностей, — между прочим в ожидании выдачи межевого плана, — и так как, при нынешней финансовой засухе изсякли все мои источники не только на покрытие расходов, с к-рыми дело сопряжено. — но и на неотложные требования моего хозяйства; то и прошу Вас, дорогой Иона Михайлович, устроить так, чтоб достать для меня, под гарантию одной из двух разом предпринимаемых операций, — тысячи полторы денег, чтоб из них до 500 р. отложить в сторону, в распоряжение Вашего зятя, а 1000 р. выслать мне; все это конечно, под вексель от жены моей, — или от меня, — с причислением % в таком размере, какой Вы определите, хотяб это превышало и максимальную цифру, и с условием получить прямо из ссуды.

А предпринимаемые операции Вам известны: 1. отдача на эксплуатацию, или полное отчуждение, 1600 десятин девственного леса и 2. заем, о к-ром теперь ведем речь, 1362 десят. имения, размежеванного и окончательно утвержденного. — О первой операции есть уже спрос, но просят немного повременить. Ускорение второй будет зависеть от Михаила Георгиевича<sup>2</sup>. Что раньше осуществится, то и покроет вексельный долг.

Исполнением этой просьбы Вы меня обяжете, не скажу весьма, или очень, а чрезвычайно. Не скрою от Вас, что в этом залегает теперь единственная моя надежда поставить дело моего хозяйства на сколько нибудь устойчивую почву.

Чем скорее откликнитесь мне на это ауканье, тем кордильнее пожмет Вам руку искренно Вам преданный

Дим. Кипиани.

P. S. Из просимого займа надобно будет покрыть расходы на напечатание об'явления в „Кавказе“<sup>3</sup> „Моск. Вед-х“<sup>4</sup> и „Новом Времени“<sup>5</sup>—или где признаете удобным.

10.

9 августа, 1883. Квишхеты.

Дорогой Иона Михайлович!

Где пределы любезности необ'ятны и недостижимы, как у Вас.—там не может быть никаких поводов к извинениям; нет их и у Вас. Я могу не роптать на Вас, а только удивляться, что хватает у вас и сил, — среди сионских жаров Тифлиса,—и терпения, при разнообразии Ваших публицистических работ, писать еще и к нам, Квишхетским обитателям. Хорошо Ваше желание побывать у нас, но гораздо лучше было-бы осуществление этого желания; лучше потому, что нам всем доставили бы реальное удовольствие; а себе пользу, подышав несколько дней воздухом, до идеальности благорастворенным,—в особенности для пыхтящих в Тифлисе.

План будет. Приступлено к этому самым солидным образом: 17 с. м. будут технически обойдены границы, чтоб поставить курганы, знаки безспорности, на месте треугольников, вырытых там на пунктах, бывших в споре; затем есть надежда получить, в течении двух недель, план и залоговое свидетельство, и дело в шляпе. На плане будет видно, сколько земли под пашнями, сколько под дугами или сенокосом и сколько под лесом; а ценность тех, других и третьих известна ценовидику, т. е. осматривавшему их на месте члену оценочной комиссии.

Все наличные члены моей 11 членной семьи искренно Вам кланяются.

Хотелось бы писать Вам больше, но перо попало отвратительное.

Коля<sup>1</sup> мой давным давно возвратился бы в Тифлис, еслиб геморройдальные страдания не уложили его в постель.

На днях будет в состоянии оставить ее и поехать.

Костюк<sup>2</sup>, как ученый агроном, занимается своею специальностью по сельскому хозяйству.

Сердечно Вам преданный Дим. Кипиани.

Р. S. Читаете-ли „Юрид. обозрение“?

11.

დიდი-ჯიბანიში, 27/II 1862

ძმარ იონა!

არ მესმის რა დაგმართნია, რამ დაგკუტა მასე, რომ ამდენი ხანია ვერც ჰოდა, ვერც მოიწერე რამ. შენგან არ ველოდი მაგვარ საქციელს. ნუ თუ ყაითმაზოვის<sup>1</sup> ქალის სიაშრემ მასე დაგჩაგრა? მახლას! მაგიერად, გაქვს სიცოცხლე, მანასეინმა<sup>2</sup> იმას ჩაჰკრა, ესე იგი მამა მისს!..

შეგონა, Новое обозрение-ს ათიოდე სტატიას მაინც გამოუგზავნიდი სხვადასხვა საგნებზე. შენ კი არც ერთზე არ აშოგილია ხმა. ოლიკოსთვის<sup>3</sup> კი მოგეწერა, მიკვირს, ნიკო თავს რისთვის იკლავსო. ნუ თუ არ იცი რისთვის? „წერიტაც მოკვდება კაცი, უწეროტაც, მაშ იხევე წერაში სულის ამოხდენა ვარჩევნიე“, შემიძლია გიპასუხო მალოროსიულ ანდაზის გადმოკეთებით. იმედი მაქვს, რომ სრულიად უნაყოფო არ დარჩეს ეს წერაც. ერთის თქმაც კი შემიძლია: დარწმუნებული ვარ, რომ გაისათ, ესე იგი 1 იანვრიდან, გაზეთი სრულებით თავის ხარჯს აუვა, ესე იგი ჩემგან გროშსაც არ მოითხოვს. იქნება ჩემ წერაში ორასიოდე თუმანიც დამრჩეს წელიწადში. და ამ გვარად ნაშოვნი ორასი თუმანი მე ოცი ათას მანეთს რკინის გზაზე ნაშოვნს მირჩევნია. სხვები ამას არ დაიჯერებენ, რადგანაც არ ესმით, მაგრამ შენ კი დამიჯერებ, ვიცი.

საშინლად მაკვირვებს, ვიმეორებ, შენი დუქილი, და განსაკუთრებით შენი წიგნები ოლიკოსთან: <sup>4</sup> მოვიდეო, მიპილებთო, გამოვიაროო, კაცო, საკითხავია ამისთანები შენსა და ჩვენს შუა? არ შეგონა. ალბათ, დიდი რამ დაგიშაგებია, დიდი „ხლაფოთი“ შეგმთხვევია, თუ მაგრე მორცხვობ. ისევე ჯობია, მოხვიდე, პირადად ვილაპარაკოთ. წერა მეზარება, უიმისოდაც მხარი დამეცალა ამდენი ჯლაბნით გაზეთისათვის.

გაზეთი რიგიანად მიდის. შენი აზრი არ ვიცი, მაგრამ საზოგადოებაში, საზოგადოდ — კმაყოფილნი არიან და ყურს უგდებენ გაზეთის სიტყვას. ასე გასინჯე: თურმე იაკობ სიმონიჩი<sup>5</sup> გვაჭებს და გვადიდება!!! რას მივაწეროთ ეგ მოვლინება?



წაიკითხავდი ჩემს „კრიტიკას“<sup>6</sup> შენს „ნაკვეთებზე“<sup>7</sup>. იქნება, დამეთანხმებოდლი სრულებით და ყველაფერში, ასე გასინჯე, ლანძღვაშიაც, ხომ?

იცოდე, გელით. იქნება ამ შაბათს (დღეს რომ პარასკევია, ხვალ) ქუთაისს წავადე და იქედან—თბილისს, ხუთშაფათამდი. ხუთშაფათს კი შინ ვიქნები, უსიკვდილოთ. იმავ დროს დათიკოც<sup>8</sup> აქ მოვა. დღეისწორ შაფათს გამოსულა მიუნხენიდაჲ, დეპეშა მოგვივიდა.

შენი ერთგულა ნ. ნიკოლაძე.

P. S. დათიკო მიუნხენშია. გზიდან ის აი რას იწერებოდა კარანდაშით, იმ წიგნის თაობაზე, რომელიც ჩვენ იმას აქედან გაუგზავნეთ, ხომ გახსოვს?

„ნიკოსა და იონას, როგორც ეტყობათ, ავქალაში მუზები (ბუზები არ გეკონოს) დასევიან და ლექსებს ათხზვეინებენ. გეთაყვა ჩემ მაგიერ ეს ლექსი გადაეცი იმათ:

„იონამ უთხრა ნიკოსა—  
მოდრი ვჭამოთ ვახშამიო,  
კლარა რო იქ გაგიშვიათ გულში ჩამიდგა შხამიო!  
ნიკოლაძემ შეუძახა: შენდა შენი ვახშამიო,  
გულს მე უფა ბალდამიო!  
მომაწოდე კალამიო —  
ლექსი შევთხზა დრამულიო,  
მერე ეჭამოთ ხრამულიო,  
წამოვგორდეთ ტიტველიო  
და ვიძახოთ „ტიტველიო“!

ლექსი მართალია, კოჭლობს, მაგრამ „ივერიის“ ლექსებთა შედარებით მაინც მოგეწონება.

მუროემ<sup>9</sup> მოგიკითხა. გუშინ იყო ჩვენთან, ისა და იასონ იოსელიანი<sup>10</sup>. ძლიერ ემდურება თავის ბედს ორივე. ოლიკომ ათასი მოკითხვა დამაბარა შენთან და მამაშენთან.

იონა, როცა გარდინაცვლო ბინა, ადრესი მოიწერე შენი, სად გაგიგზავნოთ „პი. მო“, მიხაილ<sup>11</sup>.

12.

5 მარტს 1883.

შენი წიგნი მომივიდა, ძმაო იონა, მაგრამ შენ ვერ წარმოიდგენ, რა შთაბეჭდილება მოახდინა იმან ჩემზე, არა, რა პირით, რა ნამუსით მწერ დაცინვას, ვითომ მე ჩვენი ქვეყნის ამბები აღარ მსურდეს, ჩვენებურობის ხსოვნა აღარ მქონდეს, როგორ არ უნდა

გაეცინოს ღმერთს, ამგვარი სურათის წინ? არა, თქვენ ურჯულოებო, მე უნდა მისაყვედუროს კაცმა, დავიწყება, თუ თქვენ? სანამ მანდ ვიყავი, დიდმა და პატარამ, კარგმა და ავმა, მტერმა და მეგობარმა მარტო ის ეცადეთ, რომ გაგეშწარებიათ, მოგეშხამათ და წაგეპილწათ ჩემი სიცოცხლე და მოქმედება, და როცა მოგშორდით, გზა დაკილოცეთ, ალაგი დაგიცალეთ,—ეხლა მევე მებრალლებო „ჩვენი არაფერი გწამსო, ჩვენ არ გახსოვართო!“ რა მახსოვს, რა მიყვარს და რა არა, ეს ჩემი საქმეა, მაგრამ შენვე გკითხავ, — თქვენ კი გახსოვართ? თქვენ ძმებო, მარტო მაშინ მახსენებთ, მარტო მაშინ მიგონებთ და ხმას მცემთ, როცა გჭირივართ რასმეში, როცა მოხმარება შეგიძლიათ ჩემი თქვენ-და სასარგებლოთ, ძველი ამბავია ეს ჩემთვის doch blei es sie imer seue აი, მაგალითად შენ, წელიწადია მას აქეთ, მოგწერე ბარათი, ჩემ საქმეზე ხომ არა, საზოგადო საქმეზე, იმისთანაზე, რომელსაც თქვენ და პირადად შენ ვითომ თავს სწირავთ, ხომ პასუხიც არ გამეცა, ხომ ხმა არ ამოიღე და ეხლა კი მწერ, როცა რკინის გზის ბილეთი დაგჭირდა, როცა შეგიძლია დამასაქმო... კარგი და პატიოსანი, იცი ჩემი ამბავი, რომ უგულღვიძლო „მეგობრებს“ კი არა, გამწარებულ მტერსაც არ დაუზოგავ დახმარებას, თუ კი შემიძლია, მაგრამ საკუთარ შენ პირშაობას რომ გრძნობ, მევე მახვევ თავზე, მევე მებრალლებ დავიწყებას, „ინტერესიც აღარა გაქვს ჩვენი ქვეყნისაო“, ამას იმიტომ შვრები წყალ გაღმა გავედღვები, წყალ გამოღმა არ დამედღვოსო, ამისთანები ხართ ყველანი, ძმაო: პატარძალი... მაყრებს უწყურბოდაო, იმისი არ იყოს თქვენ საკუთარ ბრალს, თქვენ საკუთარ უგულღვიძლობას მე მაწერთ...

ამასთანავე გიგზავნი ჩემ კარტოჩკას. მიუტანე ახალ უბრაველიაუშჩის პრესნიაკოვს<sup>1</sup> და იმედი მაქვს შეგისრულებს სურვილს.

ეხლა ორიოდე სიტყვა შენი ბარათის სხვა მხარეებზე. მეორე შენი შეცოდება არის შენი Легкомыслие-ს შედეგი. მინდა ეს გარემოება აგიხსნა და დაგიმტკიცო, იმ იმედით, იქნება შემდეგში მაინც აშორდე ამგვარ შეცდომას, შენ მწერ: უწინ გამბეტტა<sup>2</sup> ზეცამდი აგყვანდა, ეხლა კი ტალახში სვრიო და ამატებ ზედ lacheur, vol! კარგი, რომ პირადად მე და კერძო წიგნში მომწერე ეს აზრი, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ სტამბით გამოგეთქვა ეს, როცა ჩეც სტამბაში ვერიე, ხომ ტყავს გაგართვამდი, ხომ სანიადაგოთ თავს მოგჭირდი? აი რისი თქმა და დამტკიცება შემეძლებოდა მაშინ: სტყუის უფ. მეუნარგია, როცა ამბობს, ვითომ მე გამბეტტა ოდესღე ზეცამდი ამეყვანოს. აი რას ვწერდი მე გამბეტტაზე „დროებაში“<sup>3</sup> 1870 წლის, ომიანობის დროს და ამოგიწერდი იმავე მსჯელობას,

როგორც ეხლა Oger Sou-ში გამოვთქვი. აი კიდევ რას ვწერდი კრებულში“<sup>4</sup>, 1873 წ. სტატიაში, „საუბარი ლუი ბლანთან“, აი კიდევ რას ვწერდი სტატიაში, „რომფორი“<sup>5</sup>, კრებულში იმავე წლისა. მაჩვენოს უფ. მეუნარგიამ ერთი სტრიქონი ჩემი ნაწერისა, სადაც გამბეტა ზეცამდი ამყვანდა, მარტო ერთხელ დავწერე *Ордо*-ში კვიანურად შერება გამბეტა, რომ იზიდავს რესპუბლიკისკენ ყველა სწავლულ და სახელოვან პირებსთქო, და ამ შხრით გამბეტა მე ვაქე ეხლაც Oger Sou-ში, მაშასადამე-თქო, დავძენდი, უფ. მეუნარგია ისეთი მსაჯულია, რომელიც ხეპრულად წამოროშს ხოლმე მსჯელობას, და იმას კი არ ეძებს, რომ სიმართლე თქვას კეთილსაინჯისიან მსჯელობაზე დამყარებით თქო და სხვ. და სხვ. ერიდეთ ძმობილო, სხვებს არ წააწყდე, ასე უხეიროთ, თორემ მე რა.

მწერ კიდევ შენი სტატია გამბეტაზე აქ წავიკითხეთ და არ ზოგიწონეთო, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინაო „უნდა გამოგიტყდეთ, შენ წინააღმდეგ იყვნენ ყველა მკითხველებიო“, არა, ძმობილო, თქვენ სამარის მეტი ვერა გაგასწორებთ, და თვალს ველარაფერი ავიხელსთ. ეგეც ხომ ლოლობერიძე? არ იყო, ეს თქვენი ღმერთი გამბეტა, რომ პირადობა რამე მიმეწერა, ან ამგვარი, რამე გრძნობა? როდის ისწავლით თქვენ ბრძებო, სჯას იმ მოაზრების, იმ თაქტების ძალით, რომელიც სტატიაში წარმოდგენილია და არა ავტორის უკანა აზრის ძებნაში? ტყუილი თაქტები წარმოვადგინე ჩემ სტატიაში, თუ მართალი? უსაფუძვლო მოსაზრებები დავწერე, თუ საფუძვლიანი? გადავასხვავებ რამეში ისტორიული თაქტები? თუ ესეები ჩავიდინე, რისი გეშინიათ, სხვებიც გამლეწდენ, და სიმართლე აღდგინდებოდა, მაგრამ თქვენ თვითონ რომ ბრძებო ხართ, თქვენ თვითონ რომ სიბრძნვე შეგყვარებიათ, სწუხხართ და ბრახდებით, სხვა რათ არის თვალგახსნილიო, სხვა რატომ არ ბრძავდებო, აბა ნახე „Вест. Европы“, „Дело“, და ყველა სხვა საზღვარგარეთულ ხეირიან ჟურნალებში როგორ სჯიან გამბეტას, ისე, როგორც მე გავსაჯე, თუ სხვაფრივ?

ეჰ, რა გავაგრძელო, რაც გინდათ ის იფიქრეთ, როგორც გინდათ ისე გასაჯეთ, ერთი კი იცოდეთ, ოღონდ, რომ ჩემდა სამწუხაროთ (ამას გულწრფელათ გეუბნები, გეუციცები პატიოსნებას). ვერ ვხედავ მე თქვენს მსჯელობაში, თქვენს ჭკუაში, თქვენს *ИНСТИНКТ*-ში ვერაფერს ისეთს, რითაც უმეძლოს ვიხელმძღვანელო. ჩემი ბრალია განა, რომ ათი წლის განმავლობაში ნელ-ნელა შემაჩვიეს ყველას, აღარ მქონოდა ხათრი არც თქვენი დაფასებისა, არც თქვენი პატივისცემისა, არც თქვენი სჯისა? კაცი მარტო სამართლიანი, პატიოსანი, ჭკუიანი პირების აზრს და სჯას მისდევს, აფა-

სებს, ეძებს, თქვენ კი ისეთი უსამართლო, უხეირო, სუსტი და უსაფუძვლო მსაჯულები გამოხვედით ჩემ თვალში, რომ თქვენი მსჯელობა ჩემთვის, და ბავშვების, ძუძუმწოვარი ბავშვების აზრით და იგივეა, გინდ მაგინეთ, გინდ მაქეთ, გინდ ტალახში მარეთ, გინდ ზეცამდის ამიყვანეთ, არც თქვენი რისხვა მაწუხებს, არც თქვენი ალერსი მახარებს; ვიცი, უმნიშვნელოა, უსაფუძვლოა, ბავშურია ქებაც და გაკიცხვაც. იმას კი გთხოვთ,—რამდენათაც შეიძლებოდეს მაშორეთ ქება და ალერსი; ვაი იმ საზოგადო მოქმედ პირს, რომელიც მათ დაიმსახურებს. დახედეთ აკაკის<sup>8</sup>, ილიკოს<sup>9</sup> — რამდენათ დაიფუტა მათი ტალანტი და დაიშრო მათი ВДОХНОВЕНИЕ მასაქეთ, რაც ჩვენი საზოგადოება მათ ტაშს უკრავს და აღარ ლანძღავს. ღვთის მადლით, იმედი მაქვს, რომ მე ჯერ შორს ვარ ამგვარ განსაცდელიდამ, და ყველაზე უფრო ეს მახარებს.

ნუ გეწყინება ეს მკვახე სიტყვები ჩემი მხრით, კარგათ იცი რომ პირადად შენ არ გეხება ესე, საზოგადოთ და საყოველთაოთ მიგვრძენია, შენი წილი ამ გრძნობაში ერთობ მცირედია. რავექნა, კალამა წაცდა ამ გრძნობის გამოხატვა და შეუნდე.

მადლობელი ვარ ილიკოს პოემის გამოგზავნისათვის, იქნება ბევრს მოსწონდეს ჩვენში ეს პოემა, მე კი, საუბედუროთ, ვერ შეუერთდები ამაში, როგორც ყველაფერს სხვაში—ჩვენს საზოგადოებას, არ მომწონს, რა ვქნა, რიტორიკაა, რაგინდ კეთილ განზრახული იყოს, ვერ ვცნობ ამ პოემის დამწერში, იმ ილიკოს, რომელსაც „კაცია ადამიანი“ და გლეხების „სურათებში“ რიტორიკა კი არა, ნამდვილი გრძნობა, ჭეშმარიტა ნაგრძნობი აზრები ჰქონდა ბლომათ... მაგრამ იმედი მაქვს, ამ ჩემს მსჯელობას შენ ნამდვილ ახსნას მოუძებნი, კარგათ იცი, ხომ, რომ ნიკოლაძე უსამართლო მსაჯულია, მიმდგომი ЗЛОПАМЯТНЫЙ ალბათ, მარტო ამის გამო არ მოეწონებოდა იმას „განდეგლი“.

თუ ხანდისხან მანდაურ ამბებს შემატყობინებ დიდად დამაფალებ; მე აქ არავისგან არც წიგნი მომდის, არც ამბავი.

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

13.

ძმად იონა!

ამას წინათ როტშილდის<sup>1</sup> წიგნი მომვიდა—მთხოვდნენ ამომერჩია ორი პირი სადირექტოროდ ბათუმში, და ორი სხვა—საკანდიდატოდ. ერთი ამ კანდიდატთაგან შენ ამოგირჩიე და კიდევ



წიგნწერე იონასაგან ჩინებული სეკრეტარა გამოვა-მეთქი (რადგანაც კანდიდატს ჯამაგირი არ ენება, ასე ვამჯობინე, რომ კანდიდატათ დაგნიშნონ და სეკრეტრის ჯამაგირი დაგნიშნონ.). თუ არ მოინდომე ბათუმში ცხოვრება, შეგიძლია ცაიშმა<sup>2</sup> დარჩე უჯამაგიროთ, იქონიო კანდიდატ ს ტიტული და ხანდისხან წახვიდე ბათუმში, როცა ერთი დირექტორთაგანი სადმე წავა: მაშინ დროებით დირექტორის ჯამაგირი მოგეცემა. ეს უკითხველად ვქენი, იმედი მაქვს არ გეწყინება. სხვა ვინადა ვინ ავარჩე დირექტორებად და მერე კანდიდატად, ან რა მიზეზით და მოახრებით, ამას ყველაფერს პირადად ავიხსნი, როცა გნახავ. ვიცი ბევრი დამემდურება და მაღლიერი არვინ დარჩება, მაგრამ იმუღებული ვიყავი ასე მოვქცეულეყავ, საშინლათ მინდოდა აკაკი<sup>3</sup> ჩამეკვებებინა ამ საქმეში, მაგრამ პირველი პირობა როტშილდისა ის იყო — ერთი გროში ვალო არ უნდა ეს არც ერთ დირექტორს და კანდიდატს (რადგანაც მათ სახელზე როტშილდმა ბეთ უნდა დადვას თითოსთვის 10,000 მანეთი). არა, შენ მარტო ეს წარმოიდგინე — ქართველი და უვალო! ... აი რა მიზეზით დიდი თავისუფლება არ მქონდა არჩევანში.

მაგრამ იმედი მაქვს, რომ აკაკის მაინც უშოვნი კარგ ადგილს не по выбору, а по назначению ამავე როტშილდის საზოგადოებაში, ან ბათუმს, ან ბაქოს.

შენ მართალი ვითქვამს, „ქართველს ფულის შოვნის შნო ვინ მისცაო“. იცი რით გათავდა ჩემი „კ მისიის“ საქმე ფელებენთან<sup>4</sup>. ისეთი ფული შემომძლია, რომ შევაფურთხე და გამოვედი: „ნა ეც შენთვის მიჩქებია მეთქი“. ეს გახლავს მიზეზი, რომ 15 აპრილს ვაპირებდი წამოსვლას, და დღემდინაც კი ვერ მომიხერხებია...

დიდ მაღლობას გიძღვნი შენგან გამოგზავნილი გრამატიკული განცხადებისათვის. რა დოკუმენტა ის რომავლისათვის, რა იცოდე! ჩვენს დროში, როცა მთელ ხალხს კვჭი უხმება, ამ ხალხის „უწარჩინებულესი და უგანათლებულესი შვილები“ გროვდებიან იმ ს გამოსაკვლევად თუ რა ჯობა „უოი“ თუ „ბური“, ბიზანტიანობა თუ გვიხდა ეს გახლავს.

შენ ან მოწერილი, ილიკოს<sup>5</sup> მოწინავე სტატიების შესახებ, სრულიათაც არ მაკვირვებს. აკი გაუბნებო ი, ის წერს თქო, ისე დალაღვს, დაასუტბა და მოკლავს მაგის ნიჭს ამგვარი წერა, როგორც ქრონიკული სუსუნატი ერევა ძოლქე ვაჟკაცს. ეჰ, „მახლას“, რაც ურჩევნია ისა ჰქაას. თე კი დარწმუნებული ვარ ერთი

ხელოვნური ბელეტრისტიკული სურათი უფრო მეტ ხეირს დააყრიდა „ივერიას“ და ჩვენს მწერლობასაც, ვინემ ათასი მაგისტანა მოწინავე სტატია, რომელსაც, სულ ერთია, ხომ მაინც არავინ წაიკითხავს, ცენზორისა და კორექტორის მეტი.

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

27 პარიზს 1886. პეტერბურგი.

14.

ავქალა, 15 ივნისს 1886.

ძმაო იონა!

არ გეგონოს დამეიწყებოდეს შენი თხოვნა ამბავი შემატყობინეო, მაგრამ აქამდე არც დრო მქონია, არც არა რამ მცოდნია ნამდვილი,—ეხლა გარდაწყვეტილი მარტო ის არის, რომ ახალი პრავლენიე ბათუმში იქნება და მის წევრებად, ფრუსის გარდა, დავით ერისთავი<sup>1</sup> და კოლია ორბელიანი<sup>2</sup> აირჩევიან ივლისის დამლევისათვის. რაც შეეხებათ კანდიდატებს, იმათზე არონმა<sup>3</sup> ადვილზე ვერა გადაწყვიტა რა. მაგრამ თითქმის სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ ამ საგანზედაც ჩემი ნაჩვენები კაცები გაიმარჯვებენ. ყოველ შემთხვევაში შენ კი ექნება ა გილი, კანდიდატის სახელით თუ სექრეტრისა, ეს ხომ სულ ერთია; ძნელია კი რომ ორივეთი. თრანცუხებს შენ მოეწონე—მ გარი ეს არის, და დანარჩენი შემდეგს მივანდოთ.

ამ წიგნის წერას ვჩქარობ, მინდა პოე<sup>4</sup> დეა არ გამასწროს, ის ეხლავე მოკა.

თუ ძმა ხარ მამაშენთან ბოდიში მოჰადე, რომ მასი წიგნის პას-ხ ამდენი ხანია არ მომიწერია. ის წიგნი დაწერილი ყოფილა 15 მა-სს, მე კი მაი<sup>5</sup> ის დამღვს მომივიდა. ის სწორედ ის წიგნი იყო, რომლის კონვერტზე შენ ორიოდ სიტყვა წავწერა და, რომ ლიც შენ თიჯონ რიონის სტანცია ე დაგეტოვებინა. იმ წიგნის პასუხათ ეს ჩემი ბარათი იყოს. წააკითხე ეს მამაშენს, და მაშინ დაინახავს, რომ ჩისი სურვილი მალე აარულდე<sup>6</sup>.

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

15.

ჯიხაიში, 15 (10. 86)

ძმაო იონა!

მევიღე და წავეკითხე შენი „უსტარი“, მაგრამ შენ ვერ წარმოიღვე ჩემ გაკვირვებას, ასე იციო თქვენ ყველა, —ნიადაგ ქართულ ანდახას ასრულვებთ ამირან გულშა მკეროდა, მოყმენო ბა-

ნი მითხარითო\*.—მადლობა ღმერთს, რომ ეხლა ქე-მანც ამ ან-  
დაზას არ აყოლილხარ, და გულწრფელად შენი სამღურავე და  
საწყენი ყველაფერი მოგიწერია. დიდი მადლობელი ვარ ამის, რად-  
განაც ჩემი ახსნა დაგანახებს იუ რამდენათ უმანკო ვარ ყველა-  
ფერში, რაც გწყენია.

გიჟი ხომ არ ვიყავ სანდროსათვის<sup>1</sup> რამე დამებარებინა, უშე-  
ნოთ. შენ რომ წამოსვლის წინ ხელში ჩამეგდე, მაგრამ გაიხსენე:  
შენ მუხრანსკისას<sup>2</sup> დარჩი იმ ღამეს და მითხარი, ეხლავე კლუბში  
მოვალო, მაგრამ არ მოდი, ვერც მეორე დილას ვნახე, წამოსვლის  
წინ (ესეიგი მეორე დილას) სანდრო კი ვნახე, და იმას მაშინ და-  
ვაბარე, ისიც სხვა მიზეზითაც, უნდა იცოდე, რომ ჩამოველ თუ არა-  
თბილისს, კოწიამ<sup>3</sup> მითხრა, მამაჩემი სრულიად დათანხმდა ყველა  
იმ მოთხოვნებზე, რომელიც იონასათვის დაგიბარებიაო. ეს კოწიამ  
მითხრა სანდროსთან დასწრებით. ეს ერთი. ეხლა მეორეც მოისმი-  
ნე: როცა იმ საღამოს კნ. ივანესთან<sup>4</sup> მოვედი, გამოვედი თუ  
არა, კოწიამ გვითხრა აგრეთვე მე და სანდროს, რომ მამა ჩემი თა-  
ნახმაა ფულის მიცემაზე, მაგრამ დღეს შუათ არა აქვსო, ხვალ  
სხვაგან მიდისო, და ამ დღეებში კი მოგცემსო. რასაკვირველია, მე  
ხმა არ ამომიღია. მაშინ სანდრომ უთხრა: თუ ასეა, მე მაქვს ხვალ  
დილას ასაღები ასი თუმანი, იმას ნიკოს მივცემ და თქვენ მე მო-  
მეცითო. კოწიამ უპასუხა—ძლიერ კარგიო, და ამით საქმე გათავდა.  
მე, ხომ იცი, ჯიხაიშს მივდიოდი, ფულის წაღება თან რათ მიწ-  
დოდა, და ვთხოვე სანდროს იმ ასი თუმანიდან ასი მანეთი ელიზ-  
ბარს<sup>5</sup> მიეცი, ოთხას ოცი ფრანკი ბოტის<sup>6</sup> გაუგზავნე და დანარ-  
ჩენი ქუთაისს გაუგზავნე ლუკა ქორჭაშვილს<sup>7</sup>-თქო. თუ ძმა ხარ რა-  
ვიცოდდი, თუ სალაპარაკო იყო აქ რამე, ან საშოვნელი, ან უშენოდ  
გასარიგი. ეგებები რომ მცოდნოდა, ნუ თუ ხმას ამოვიღებდი. ან  
სანდროს გაურეგდი ლაპარაკში, ან დავაბრუნებდი რასმე. შექვე-  
ლია, კოწიას თავისი აზრები და გადაწყვეტილება მამა მისთვის  
მიუწერია. თუ ძმა ხარ ნუ დამემღურები ამაში, ხომ ხედავ ჩემი  
ბრალი არ ყოფილა: უფრო შენი ბრალია, რომ ვერ ჩავიგდე სა-  
ლაპარაკოდ, და როცა ჩავიგდე, ისე მოწყენილად იყავი, რომ პირი  
ვერ გააპე სიტყვის სათქმელად.

ეხლა, რასაკვირველია, „ჯერ არსს რათა მოვსპოთ ყოველივე  
ეს ლაპარაკი“, და ვნახავ. ამ აზრით მისწერო კნ. ივანეს. საქმე  
იმას ამით არ წაუხდება, რადგანც შეუძლია პირდაპირაც წარუდგი-  
ნოს საქმე როტშილდის სახლს (ენჯობინება არონის სახელზე გაგ-  
ზავნოს ამ ადრესით: Paris, 21 rue Laffitte. მგონია იმდენად მი-  
ნობ, რომ დარწმუნებულიც იქნები და ივანესაც დაარწმუნებ, რო-

როცა მკითხავენ კარგ და ივანესთვის ს სარგებლო აზრებს ვიტყვი როგორც წინეთაც მითქვამს არონისათვის). ეს კი დაუმატე, თხოვე რომ მე ორასი თუმანი ჩართო იმისათვის ვითხოვე, რადგანაც სრულებით დარწმუნებული ვიყავი საქმის კეთილად დაბოლოებაში. რასაკვირველია, საქმე რომ არ გათავებულყო, უკანვე იაუბრუნებდი მას ფულს: იმის იმედ-ც მქონდა, რომ 2000 მანეთს იმაჩინდა როგორმე ის მგზავრობა, თუ მაგ საქმეში არა, სხვა საქმეში ხომ მაინც ასე თუ არ იქნება, ამასაც მალე დაგიმტკიცებთ.

სრულიად არ მესმის, ძმაო იონა, რას იწყებდი ჩემს ჰლოვნიე-ს შესახებ შენი ბილეთისა. არ მახსოვს, რომ რამე მეთქვას, კნზე მძმ, შანი-ის მსგავსი და არა მგონია, რომ მეთქვას ოდეს-ს, ამიტომ რომ შენც იცი, როგორ პატივს გცემ და როგორ მიყრხნარ. ასე ადვილად გრძნობის შეცვლა მე როდღი ვიცი, არც ეცივლია, თორემ ყველაზე უწინ ხომ შენ შეგატყობინებდი იმი გრძნობის შეცვლას შენზე. მაშ, საიღამ უნდა დაბადებულ იყოს ეს ჰლოსლოვნიე—ვიზეორებ არ ვიცი. დაივიწყე, თუ ძმა ხარ: ასმე სიცრუე იქნება, ან ყრუთ გაგებული და გადასხვაფერებული იტყვა.

სჯობს ჩვენსა მოხვიდე, დაათვალიერე სახლი, ეზო და სხვა, მაგრამ დღეს თფილისში მივდივარ და დავბრუნდები ორშაბათს ან იმშაბათს. მამაშენი პატივისცემით მომიკითხე.

შენი ერთგული წ. ნიკოლაძე.

P. S. თუ ძმა ხარ, როცა სამტრედიიაში გამოიარო, ეს „პოსილკა“ გამოთართვი კომპიტნარის სტანციის ნაჩაღნიკს ჩააბარე, თუ აქვთ არ მოდიოდე.

16.

ძმაო იონა!

შომიტვეე, თუ ძმობა გწანს, ამდენი ხნის უზღელობა, მაგრამ მოცდილებით გეცოდინება თუ იაუბრუ როგორ ეწვევა კაცს და ველაფერი როგორ ავიწყდება აქაურ უსაქმურ წრიალში და მთხოველებთან ბოღიალში. ასე გასინჯე, ამას წინათ, ა) ათი დღის წინაა, ვექსილის ვადაც კი დამავიწყდა, თფილისის საურთიერთობის საზოგადოებაში! მღებროვის<sup>1</sup> (ნოტარიუსის) ახალი ცოცხი რომ არ ყოფილიყო—პროტესტს მიპირებდნენ. აწი ხომ, რა კი თორგი თუმანოვი<sup>2</sup> შებრძანდა იმ ბანკში, ველარც ლევან მღებროვი მიშველის! რაც იქნება, იქნება.

შენი წერილის მიღებამ მეტად გამახარა. ის მომიტანა ბიძა შენმა<sup>3</sup>, რომელიც დაბარებული მყავდა დღეს ადგილის მისაცემათ,



ნი შნაეთ ბაზრას ზედაშედველათ, უბედურ ჩაჩავას<sup>4</sup> მაგიერ, რომელიც გოგორუხინმა<sup>5</sup> ათავალწუნა და დაგვათხოვინა. ბაძა შენს როდი უნდოდა ადგილის მიღება: კოსტა<sup>6</sup> ჩემი ნათესავეაო. ძლივს დავაჯერეთ, რომ კოსტას საქმე წასულია, და ლუკმა გავარდეს ჯაშში ჩ ვარდესთქო. ესლა დათანხდა, და დადათ მახარია, რომ შენი სურვილი ავასრულე და ადგილი უ<sup>7</sup>ოვე. ესლა შენც ურჩიე: რომ პოლიცეისტერთან საქმე წესიერად დაიკავოს, თორემ ჩვენ<sup>8</sup> ერე ველარაჯერს ვუშველით.

რალა ლაპრაკი უნდა შენი, ადგილის თაობაზე, რაც კი შეგვადლია, ან შეგიღია — ყოველგვარ შეაწუქობას აღმოუჩენ ბიძა შენს, მაგრამ ნუ მიმავეწყებინებს მაგ საქმეს!

ილიკოს<sup>7</sup> წერილებს ვკითხულობ: ძალიან ჭკვიანათ არის დაწერილი, მაგრამ რა ვქნა, ხელოვება აკლია (не художник), შთაბეჭდილებას ვერ იქონიებს, ვერ მოახდენს მკითხველზე, რომელიც იღრჩეება მრავალსიკვანობაში, გამეორებაში, ცოხვნაში და დაწვინდის სხვილისაგან გაურჩევლობაში, პუბლიცისტის, როგორც ორატორის ნიჭი — იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველი ან მსმენელი ართუ დაღალველათ, შეუმჩნევენელათაც და გულის ფართქალით მისდევდეს აზრს და ვერკვი გრძნობდეს თუ კითხულობს ან ყურს უგდებს. ეს რასაკვირველია, ნიჭის საქმეა, გარეშე ფორმისა. რაც შეეხება შინაარსს, მჯელობას, საბუთს, ილიკოს ნაწერს ნაკლი არ მოეოება. საუბედუროთ, ჩვენში ეს როდი ვის ესის, ან ერთობ ცოტაა ესმის, მგონია ეს იმის მიხეზია, რომ ბუნებრივი ფესვები მოესპო ან მოსპობა ჩვენებურ მამულიშვილობას: მარტოსიტყვეთ, მარტო მბაძვეთ, მარტო ბალღურათ ვპატიოტობთ, და არა მათლა — გვიყვარს სამშობლო ისე, როგორც მე და შენ ჩვენი შეღები გვიყარს და მათი დაჩაგვრა ან გაცარცვა გვაწხებს. პატრიოტობაც რიტორიკაა ჩვენთვის, და არა ბუნებური გრძნობა, მახლას!

ჩვენი ახლა გუბერნატორის შთაბეჭდილება „ჩემზე დამოუკიდებელივ მხეზის“ საქმეა. არც მამ ჯადავს, არც ვცდილვარ დამმსახურებია მათი ქება. ისიც სათქმელაა, ღმერთ ან, ეს ოთხი წელიწადის განმავლობაში ბევრი ვიმეყვე აქ, და ცდვა იქნებოდა, რომ ამდენი შრომა და მცვაღინეობა არ დარჩნოდა ქალაქს თვალსამ ნევნათ. იქ ხომ არ არის ჩემ დროს, როგორც შენს დროს იყო: შენ კალიფ ნაჩას იყავი, არც შენ გქონდა მედი ხვალინდელი დღისა, არც სხვა გჯერებდ, და დრო უნამყოფოთ მიღიოდა, დიდი საქმეა ნუბა და ერთობა, მიყოლა, დაჯერება! ქუთაისს, ბათუმს, თფილსს ამებების უქონლობა ლუბავს, სხვა ათაფერი.

ჩინებული „ანეკდოტია“ იმ წყეული კალისტრატეს<sup>1</sup> „სიტყვა“ დათა ლორთქიფანძეზე<sup>2</sup>. რა უბედურებაა ჩვენი ქვეყნის, რომ მისი ნაჭი და მოხერხება ასე-ცუდათ არის მიმიზნული. შენი ერთგული ნ. ნ კოლაძე.

ჩვენებურათ, ძველებურათ ზედ-წარწერა: გთხოვთ შენს მეუღლეს ჩემმაგიერ გუჟღერდელი მოკითხვა და პატივისცემა გადასცე. ამ წერილის დაბოლოვებას უკანასკნელათ, რომ ვსთქვა, ორმოცმა კაცმა შეუშალა ხელი.

17.

პარიეი: 14 თებერვალს 1887  
26 შაფათი.

### ძმად იონა!

ორივე შენი წიგნი მივიღე, ჯერ პოსტ-რესტანტით გამოგზავნილი, მერე როტშილდის<sup>1</sup> ადრესზე, მოველ თუ არა, ეფრუსიმ<sup>2</sup> მითხრა მიურატის<sup>3</sup> წიგნი მოგივიდაო, იცნობ თუ არა M-r Mama... M-r Moumor. მიეხვდი, შენზე იყო ლაპარაკი, რასაკვირველია, გაქე და გადიდე. ეფრუსი მიპირდება, როგორც კი პირველი ვაკანსია იქნება, უსათუოდ ამოვარჩევინებო. ორჯერ-სამჯერ მკონდა მასთან ამ საგანზე ლაპარაკი: ყოველთვის ინიციატივა ეფრუსის ეკუთვნოდა. ერთი სიტყვით, ახსოვხარ, და შენი საქე გარიგებულად მიმაჩნია, მაგრამ მარტო მაისისათვის, ან, იქნება, ივნისისათვის. ერთი სიტყვით იმ დროისთვის, როცა არჩევანი მოხდება ვინმეს მაგიერ.

მეხრანსკის<sup>4</sup> საქმეზე, დამჯერე, სრულებით საჭირო არ იყო ის დეზები, რომელსაც შენ მე მთავადრებ. უშენოთაც კარგად მესმის, რამდენად საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის ამ საქმის ხეირიანად გარიგება. მეტსაც გეტყვი: ჩემი საკუთარი პირადი სარგებლობაც საკმარის მაიძულებს ამ საქმის დაჩქარებას. მაგრამ აჩქარებითაც რომ რამე წავახდინო, მგონია არ დამიმადლებ, ხომ ასეა, მე ჩემი ცდა არ დაიკლია, და მერწმუნე, არ დაგაკლებ. ლმერთმანი, ეს ორი კვირა თითქმის მარტო ღვინის საქმის შესწავლას მოვანდომე, რამდენი ხალხი გავიცანი, არ შეგიძლია წარმოიდგინო. ჩემ ბედზე აქ ეხლა გამართულია le congrès agricole და მთელი საჟრანგეოსი მაშულის პატრონები და მეღვინეები აქ არიან ეხლა. რამდენი მათგან დაეწურე, რამდენი საჭირო ცნობები დავაძვრე, ვინ მოთვალს. არონთან<sup>5</sup> დიდი და ხანგრძლივი ლაპარაკი მკონდა თითქმის ყოველ დღე ამ საგანზე, და ელაც მაკვს. ღვინოები აქ ყველა ძლიერ მოსწონებიან. ეტიკის ღვინოები, გარდა როტშილდისა,

აგრეთვე დეტალები სათვის დაურიგებია, რომელნიც ალტაცებით  
 იხსენებენ ამ ღვინოს და ნაცნობებს ჰაწია რუმკებით ასმევენ, რო-  
 გორც vins très délicats, მარტო ერთმა არონმა მიგინა ეს ღვინოე-  
 ბი, გროშად არ ღირანო. ეს გახლავს უჩუობესი ნიშანი, რომ  
 როტშილდი ამ საქმეს აიღებს: არონს მარტო ის უნდა, რომ ბევ-  
 რი არ ვთხოვოთ. სწორედ ასე აგინებდა ის ნავთის საქმესაც. საუ-  
 ბედუროდ ეხლანდელი დრო მეტის მეტად ძნელია ამ გვარი საქ-  
 მისათვის: აქ ყველა ომს მოელის და ძნელია, სანამ ომიანობის  
 ხმაურობა არ შეწყდება, გააბედვინო ვისმე მილიონების დახარჯვა,  
 ყოველ შემთხვევაში ამ გაზაფხულზე როტშილდი გზავნის მანდეთ  
 თავის სპეციალისტს ღვინის საქმისა, რომელიც გასინჯავს მუხ-  
 რანსკის მამულებს და პოდვალებს. მარტო იმის შემდეგ, როცა ეს  
 სპეციალისტი დაბრუნდება, როტშილდი მიიღებს რაიმე გარდაწყვე-  
 ტილებას. მინდოდა ეს ყველაფერი მუხრანსკისთვის მომეწერა, და  
 კიდევ გაუგზავნე ორი დეპეშა, მაგრამ იმ დალოცვილს ჰგონებია,  
 რომ ამგვარი საქმის გათავება და ლობიოს ჭამა ერთიაო. კნ.  
 კოწიამ<sup>6</sup> მომწერა დეპეშა, მალე ჩამოართვი პირობა თორემ რუსეთ-  
 ში სხვა კამპანია დგებაო. რასაკვირველია მე ამ დეპეშას მნიშვნე-  
 ლობას არ ვაძლევ: მე ჩემსას ვიხამ, დავაჩქარებ რამდენიც შეიძ-  
 ლება - ამ კაცების დაჩქარება, და თუ მანამდის რუსები რამეს გაა-  
 რიგებენ, ნეტავი ასე იყოს, მაგრამ... ღმერთმა ჰქნას ჩვენმა ხბომ  
 მგელი დაიჭიროს!... იმედი ნაქვს ამ ხუთი დღის შემდეგ მივატო-  
 ვო პარიჟი და შინისაკენ წამოვიდე, იცოდე მეტ წიგნს ნუ მომწერ-  
 აქეთკენ. თუ რამე გინდოდეს, კოპიტნარს მომწერე, ან უფრო უკე-  
 თესი, თვითონ მობრძანდი ჯიხაიშს. მართლა: თუ ძმობა გწამს ნუ  
 დაგაევიწყდება, რომ ყოვლად საჭიროა შენი დაპირება შემისრულო  
 თებერვლის დამლევისათვის: უნდა შემაწიო რაც შეიძლება მეტი  
 დატენის ძირები და რამდენიმე წყავისა (лавровишневое дерево  
 და არა рододендрон) ერთი ვაგონი მაინც უნდა შემაწიო, იცოდე  
 მამაშენი გულწრფელი პატივისცემით მომიკითხე. სხვა, ვისურ-  
 ვებ შენს ბედნიერად ნახვას.

შენი ნ. ნიკოლაძე.

18.

ტფილისი, 7 მაისს, 1887.

ძმამო იონა!

ბოდიშს ვიხდი რომ ამდენი ხანი ბარათი ვერ მოგწერე, მაგ-  
 რამ რა ვქნა ვერ მოვახერხე და არც ბეჯითი რამე მქონდა მოსა-  
 წერი, ნამდვილი, შეურყეველი. ველოდი ამბებს დათიკოსაგან და  
 პარიჟიდან და ეხლა როცა მომივიდა, გწერ რაც ვიცი.



ჯერ ერთი ეს, რომ ჩემს დებეშას შენ თაობაზე, როგორც მ შინოდა, გავლენა აღარ ექნებოდა. იმ წყევულ და შეჩვენებულ ორბელიანის<sup>1</sup> საქმეს ერთობ საშინლად მოუტეხია ჩემთვის ფეხი პარიჟში: ისე მემდურთან თურმე, ისე, რომ მეტი აღარ შეიძლება: *il a été bien léger; bien léger, m-r Nicoladze*, უბრძანებია ალფონსს<sup>2</sup> და შენ კარგა იცი, თუ რა მნიშვნელობა აქვს კაპიტალისტების და საქმის კაცების პირში ამ უბრალო სიტყვას „léger“; ამას გარდა, ქართველებზე ორბელიანის ისტორიების შემდეგ, ისეთი აზრი შეუდგენიათ პარიზში, რომ, ღმერთმა შეინახოს. რა ექნათ ბედი არ გვექონია!... ამის გამო როტშილდს, როგორც მწერენ, ისევ ფეიგლი<sup>3</sup> დაუყენებია დირექტორად და კანდიდატად ისეთი კაცი, რომლის გვარი მე პირველათ მესმის. არც შენი, არც გრუზინსკის<sup>4</sup> კანდიდატურა არ შეუწყნარებია, თუკა ეფრუსის<sup>5</sup> მეტის-მეტად გამოუდვია თავი.

მას აქეთია, რაც პარიჟში გაუგიათ ორბელიანის ამბავი, არც არონს, არც ბაერს<sup>6</sup>, არც კომიტეტს ჩემთვის ერთი სტრიქონიც არ მოუწერიათ, არც დებეშით, არც წიგნით, ერთი ბარათი მოწივიდა ეტიენისგან, თორემ სხვა არავინ გაჭაჭანებულა.

რა კი შენ ჩვენ ძველ მწერლობას თაყვანს სცემ, ჩაუროთე შენს მემუარებში ერთი ნამდვილი ცნობა: შარშან ამ დროს, როცა არონმა მითხრა, ბანკებმა ცუდი ცნობები მოგვცეს კოლია ორბელიანზეო, მამამისმა ღრმად პატივცემულმა ავტორმა „იმედისამ“, ჩვენმა სახელოვანმა ვახტანგ ორბელიანმა<sup>7</sup> შემომფიცა — წინაპრები შთამომავლები გაიწყვიტა — რომ ჩვენს შვილს რაც ვალეები ჰქონდა ყველა მე გადაუხადე და ეხლა გროში აღარ მართებსო. მეც ამ ფიცის გამო (მარტო ამ მოხუცებულ კაცის ხათრით და ნდობით) შევფიცე არონს, რომ ბანკები შემცდარი არიან-თქო, თურმე, ნუ იტყვი; ერთი კაპეიკიც არ გადაუხდია ბატონ ვახტანგს, და ამით გაბრაზებულს მის ღირსეულ შვილს აუღია და ორჯერ მეტი ახალი ვალეები უკისრია და რაც ნდობა და სახელი შემიძენია როტშილდების თვალში, ამოდენა ცდითა და ღვაწლით, სულ ერთიანად მეკარგება ამ ერთ სიცრუეში უნებური გარევით. ნამდვილი დურაკი ვარ თორემ, ერთი მითხარ აბა რას მრჯოდა, რის ან ვის გულისთვის ვუციცავდი, რათ უიტებდი სახელს ამისთანა კაცების გულისთვის, ვისაც გაგებაც არა აქვსთ თუ სიტყვა რაა, ფიცი რას ნიშნავს, და სიცრუეს მოკლე ფეხი აქვს... ეჰ, მახლას!...

ისევ თავიდანვე უნდა დავიწყო ჩემი სიზიჯის შრომა. რა ლამაზი ბედი მაქვს!



ასე ჩემო ძვირფასო იონა, თუ ძმობა გწამდეს როგორც მოი-  
ცალო ამოდი ჯიხაიშს. ნუგეში ვცეთ ერთმანეთს და ვეცადოთ  
შემდეგისთვის რავე მოვახერხოთ, უფრო ჭკვიანური, ვინემ აქამ-  
დი. მამაშენი ნამდვილი პატივისცემით მომიკითხე.

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

კვირას ჯიხაიშს ვიქნები და დავრჩები იქ ერთი თვე მაინც.

19.

დიდი-ჯიხაიში, 2 მაისს 1888

ძმაო იონა!

ბევრი რამ მინდა გადმოგცე ეთრუსის<sup>1</sup> ნალაპარაკევი შენზე,  
მაგრამ წერა მეზარება, რადგანაც თითები მტკივა ბევრი წერისა-  
გან. ამას გარდა განა წერილით შესაძლებელია ამოდენა რამეების  
გადმოცემა? ერთი ის იცოდე: ნამდვილათ დავრწმუნდი, რომ ამ კაცს  
გულწრფელად სურს მიურატის<sup>2</sup> თხოვნის შესრულება, და აღრე  
თუ გვიან უსათუოთ შეასრულებს, იმედიც კარგი რამ არის, თუ  
პეტრეს მოსვლამდი პავლე არ მოკვდა.

ოლიკო<sup>3</sup> გთხოვთ: და გიავლის: შათათს, 6 მაისს, ჩვენში ქაშ-  
ვეთობააო, და თუ იმ დღეს შენ არ გაჩნდი, ან შენ და ან მეო,  
მეც ძალიან მეამება რომ მოხვიდე, და იმედიცა მაქვს, რომ შენ  
დაპირებას აასრულებ—შენს თხოვლებას მომიტან გრ. ორბელიან-  
ზე<sup>4</sup>. კაცო, დავპირდი მკითხველებს დავბეჭდავ მალეთქო, და შენ  
კი გაშტერებული ზიხარ ცაიშში, მომიტანე, ძმაო, ეგ შენი ქალა-  
დები, და მე გადავთარგმნი.

იცოდე, გელთ ყველანი შაბათს.

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

P. S. შეგაჩვენა ეშმაკებმა, ესეც—არის ერთი კონვერტი (შტემ-  
პელიანი...) წავახთინე შენი მიზეზით: ასე დავწერე В Зугдиди  
Его преподаванию, ეხლა ნეტავი ზუგდიდს ერთი არხიმანდრიტი  
მაინც მყავდეს ნაცნობი, კონვერტს გამოვიყენებდი ან გავასაღებ-  
დი. მახლას!

20.

ჯიხაიში, 25 ოქტომბერს, 1888.

ძმაო იონა!

უკაცრავათ ვარ, რომ ამდენი ხანია შენი წიგნის პასუხი ვერ  
მოგწერე, მაგრამ მოუცლელობის ბრალი იყო: ერთობ ბევრ ჯაფას  
ითხოვს ამ სახლის კეთება.—რაც შეეხება შენი ადგილის საქმეს

მეც ველაპარაკე დათიკოს<sup>1</sup>, რომელმაც ამიხსნა თქვენი უთანხმოება. მაშინ შენი წიგნი მიღებული არ მქონდა, და შენი აზრი როდი ვიცოდი, მე უთხარი უსათუოდ იონა დანიშნეთ-თქო და ამორჩევის მიზეზებიც ისე დაწვრილებით აუხსენი, რომ მგონია დარწმუნდა. ფულის თაობაზე, რასაკვირველია, გავლანძღე, მისი ურული სიძუნწისათვის. არ ვეჭობ ოც თუმანს დაგინიშნავენ და ვისურვებ, ღმერთმა სიკეთეში მოგიხდინოს. დასაწყისისათვის, ვფქრობ, ესეც ჩინებულია. დანარჩენი თვითონ შენზე იქნება დამოკიდებული.

ტფილისის ამბავი არა ვიცი რა, გარდა იმისა, რომ 15 ოქტომბერს წავედი და 19-ს დავბრუნდი. ჩემი საქმეებიც ბლომად მქონდა იქ, სხვის რა შეკითხებოდა—ვნახე დათიკო ერისთავი და კოლია ორბელიანი<sup>2</sup>, რომელნიც ბათუმში მიდიოდნენ, მათ თან მიყვებოდა ფეიგლი<sup>3</sup>. ერთად წამოვედით კოპიტნარამდი. ერთი სიტყვით თფილისიდან დაწყებული კოპიტნარამდი, ესეიგი მთელი ათი საათის განმავლობაში შეუწყვეტელი „ხასელანიე“ იყო ჩვენს კუბეში როტშილდის კამპანიისა. ერთი საქმე კარგი გადაწყვიტეს: არ ვიცი როტშილდისათვის იქნება ის სასარგებლო თუ არა, და ჩემთვის კი ერთობ სასიამოვნო და სასარგებლო იქნება. Управление-მ გადაწყვიტა გამიკეთოს ტელეფონი კოპიტნარიდან ჩემს სახლამდი... აი, მაშინ ადვილად შეგვეძლება ვიმუსაიფოთ ბათუმსა და ჯიხაიშს შუა!..

მეორე ახალი ამბავი, უურო უსიამოვნო, იმაში მდგომარეობს რომ პარიჟიდან ბრძანება მომივიდა, დაუყოვნებლივ წამოდიო. რასაკვირველია, სახლის მოთავებამდი, ესეიგი 10 ნოემბრამდი, არ დავიძვრი. მართლა რას იწერები არონის დეპეშაზე, რატომ არ შემატყობინე მისი მიღება, არონიდან დეპეშების გარდა მე წიგნებიც ხშირად მომდის, და ძლიერ კარგად ვიცოდი, რომ იმ დეპეშას მარტო 10—15 დღის მნიშვნელობა ჰქონდა. ვიცოდი, რომ ნოემბრის დამდეგში უსათუოდ მომიხდებოდა წასვლა და იმიტომ არ მოგწერე. თუ ძმა ხარ ჩემს სიტყვეს ან ჩემს ღუმელს ნურასოდეს задн; цель-ს ნუ მიაწერ: რისიცი თქმა მინდა, ან გულში რა მიძევს ამას ვამბობ ყოველთვის, დაუმალავათ. ოინები საჩემო საქმე როდია, ჯერ ისე არ დავძაბუნებულვარ რომ ამისთანაებს ხელი მივყო.

არ მინდა კიდევ შემწამო დამალვა რისიმე, და ამის გამო დაწვრილებით მოგწერ იმის შესახებ ყველაფერს, რაც ვიცი. როცა ამას წინეთ დათიკომ და კოლიამ ბათუმში დამიბარეს, მაშინ არონს წიგნი მივწერე მათ შესახებ, და თან მივწერე იქნება წამოსვლის დროს ფული არ მექნეს და დეპეშია მოსწერეთ ბათუმის კანტონ-რას სამგზავრო ფული მომცენ თუ მოვითხოვ-თქო. ეხლა ზროდ-

ლოესკი<sup>1</sup> მწერს, ბრძანება მოგვავიდა გადმოქცეთ 1 500 მანეთით, ეს მაშინ იმიტომ მივწერე, რომ იმედი არ მქონდა (ან დარწმუნებული არ ვიყავი) მუხრანსკისთან<sup>2</sup> რამე გამეთავიშებინა და არ მინდოდა უფულობის გამო წასვლა გადამედება. მე ასე ვფიქრობდი რომ მუხრანსკისათვის ათასჯერ უფრო ჯობდა წავსულვიყავ მაგათ მხრით და მაგათ, მუხრანსკების ხარჯით: მაშინ მე მათი კაცი ვიქნებოდი, და არა როტშილდისა. მეგონა, უსინდისობა იქნებოდა, ჩემის მხრით, როტშილდის ფულით წავსულვიყავ და რათ წინააღმდეგ მეომა მუხრანსკის სასარგებლოდ ასეა ეს თუ არა. ეხლა კი საქმე ისე წავიდა, რომ როცა თქვენ არონა მისწერეთ, მე ლაპარაკში უნდა ველაპარაკო როდშილდების ინტერესების სასარგებლოდ, და მუხრან კის ინტერესები მეორე პლანზე უნდა ვიქონიოთ. ეჭვი არა მაქვს, რომ ეხლა საქმე ისე მოხდება, რომ როტშილდი მე მომანდობს მაგ საქმის გათავებებს მუხრანსკისთან, და არა მეგონა, რომ ეს ემიჯობინოს იმ უკანასკნელისათვის: მე იმდენს ვერ ვაკბედავ, ხომ იცი რამდენს ფეიგლი ან თვითონ არონი ვაბედავდა. ეხლა ხომ ხედავ, რომ ხანდისხან „ეკონომია“ მეტის მეტად საზარალო რამ გამოდის. ის ურჩევნოდა ივანეს, რომ ასიოდე ცხვარი გაემეტებინა და გაეყიდნა, ვინამ ის მომხდარიყო, რაც მოხდა ეხლა რაც მოხდა, მოხდა, ურჩიე ივანეს რაც შეიძლება, მალე მისწეროს არონს თავის წინადადება, ისე, რომ ჩემს იქ ყოფნის დროს კიდევ განხილული ჰქონდეს მაგას წიგნი და ანგარიშები. როცა მიდიოდე თბილისს, ჯიხაიშს გამოიარე და წაილე რაც პლანები და წიგნები მომიტანე ამ საქმის შესახებ. მე თუ არ ვიქნები ჯიხაიშს ოლიკო<sup>6</sup> ხომ იქნება და ის მოქცემს. შენ რასაც იწერები ამ საგანზე, ის სულ „ნაივენოსტობა“ გახლავს. მე რაც ვთქვი, ვთქვი. ყმაწვილობაში არ მცოდნია ვაჭრობა და სიბერეში უნდა შევეჩვიო. თუ სრული უფლება მქონდა (ყოველი ადამიანი ჩემს მდგომარეობაში ისე მოიქცეოდა) მომეთხოვა ივანესაგან ათას თუმანზე მეტი: თუ ძმა ხარ მეტი რა ღონე ჰქონდა რომ არ მოეცა. მისი და მისი შვილის პატივისცემის გამო იმ კეთილი საქმის დასახმარებლად, რომელიც იმათ დაუწყიათ, მე შევამცირე ჩემი მოთხოვნა ისე, რომ მტრ შემცირება, პატიოსნებას გეფიცები, ყოველად შეუძლებელი იყო ჩემთვის. მაგიერათ კარგი ლაზათიანი სილა მტკვლიცეს ყბაში. ჩემთვის ეს იყო უკანასკნელი უპოკ-ი: დღეის იქით პირში ჩაჰაფურთხე, თუ როდისმე შიშო, რომ საქმეში „სენტ-ტიმენტალისტობა“ გამირევიან. საქმე, საქმე იყოს, პატივისცემა, — პატივისცემა. ასე ჩემო იონა. სხვებრ ვისურვებ შენს წარმატებას და კეთილ-დღეობას. მამაშენი პატივისცემით მომიკითხე ჩემ მაგიერ და ჩვენი ოჯახის მხრით. ჩვენ ბმა მოგიკითხეს.

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.



დიდი ჯიხაიში, 12 დეკემბერი 1889

ძმად იონა!

ნოემბრის დამლევს წიგნი მოგწერე ზუგდიდს (ოლიკომაც<sup>1</sup> მოგწერა მაშინვე). მასაქეთ გელით, გელით და ვერ ველირსეთ შენ მოსვლას. დათიკო<sup>2</sup> მოვიდა და აქ არის. შენი ნახვა ყველას გვინდა, მაგრამ განსაკუთრებით მე. მინდა გამოგკითხო რამე-რაები ფოთისა და სამეგრელოს საქმეებზედ და გარემოებებზე, გაზეთისათვის თუ შეიძლება და ამოხვალ თფილისში ძალიან კარგს იზამ: ორშათათს მე და დათიკო მივდივართ იქ, მე ქუთაისიდან და დათიკო აქედამ პირდაპირ. თუ ეს ვერ მოახერხო, იქნება ორშათათს მარელისამდის მაინც გამოისეირნო. ძალიან დამავალებ: გამოგკითხავ, და მარელისიდან, ისევე დებრუნდები ფოთს.

თფილისში ორივე დავრჩებით ათიოდე დღეს. თუ მანამდე ვერ ვნახე, რაღა თქმა უნდა, რომ საშობოთ გვეწვევი ჯიხაიშს, ხომ? იცოდე მაშინაც თუ არ მოდი—ერთხანეთს დავკარგავთ.

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

22.

ძმად იონა!

არ გეგონოს, რომ ანთის<sup>1</sup> ქუთაისში მოსვლა შენ გათავისუფლებდეს იმ მოვალეობისაგან, რომელსაც ასე ვშვენიერად ასრულებ. ეს მხატვრობისათვის, გარეგანი მხატვრობისათვის იგზავნება: შენ კი შინაგანი „დუხი“ უნდა გამოგვისახო, კარგად მიიღე და უხელმძღვანელებ.

ტყვილათ მენდური შენი სტატიის თაობაზე. სტილი შენიც კარგი იყო, და გასწორება წახდენდა. რაც წაშლილია, სულ ცენზორმა „ვოენნი ცენზორმა“ წაშალა. ყველაზე უფრო მეწყინა გრ. ორბელიანის<sup>2</sup> წიგნის აღკრძალვა. ვეცადეთ, მაგრამ ვერა გავარიგეთ რა.

შენ იცი როგორც დავგვხმარები და გვასახელებ. მაგიერი მე რე მომთხოვე.

შენი ერთგული პატივისმცემელი ნ. ნიკოლაძე.

31. 10. 90 წ.



ტფილისი, 22 იანვარს, 1891.

ძმ ალ იონა!

მონაწერეო, მაგრამ რა მოგწერო. მადლობა შენი „Дневник“-ისათვის? ხომ იცი, რომ მადლობელი ვარ: სხვა რაღა დარჩა? აქაური ამბები რაც ვიცით „Новое Обозрение“-ში ებეჭდება. მანდაურზე კი წერილებს შენგან ველით.

დღეს დიმიტრის<sup>1</sup> წერილი მომივიდა. მწერს ჩამოდიო, გლასნები ნახეო, შეიტყვე მათი აზრიო და გვირჩიეო, ვინ გამოვიდეთ ასპარეზზე და ვინ დავრჩეთო. ეს, რასაკვირველია, საჩემო როლი არარის, მაგრამ თქვენ რომ შინაურობაში დათანხმებოდეთ და ერთმანეთს ბრძოლას არ დაუწყებდეთ—მშვენიერი საქმე იქნებოდა. შეკრიბეთ ჩვენებური ხმოსნები და იმათმა თვითონ გადაწყვიტონ შინაურულათ, ვინ გამოვიდეთ ასპარეზზე და ვინ უკან ჩამოდგეს. რასაკვირველია, თუ სხვა კანდიდატი არვინ იქნა, თქვენ ორის მეტი, ამას დუმა გადაწყვეტს ოფიციალური კენჭის ყრით. მაგრამ თუ მესამე იქნა ვინმე—გონია ის ემჯობინება, რომ ან გავყოთ ჩვენების რაზმი და ერთათ ერთი კანდიდატი ვიყოლიოთ. შენ ამაზე რას იტყვი? ყოველ შემთხვევაში აქედამ ამ საქმის გასჯა შეუძლებელი საქმეა. მანდ უნდა იყოს კაცი, რომ დაინახოს ნათლათ მდგომარეობა. აქ ჩემთვის (entre nous) ის არის სასაცილო, რომ შენც და დიმიტრიც თითქმის ერთივე სიტყვით იწერებით „იმას არავითარი შანსი არა აქვსო“. იმას... ესეიგი დიმიტრის, ან იონას. რომელია თქვენ ორში შემცდარი? განა მე რომ ჩამოვიდე მანდ, ვინმე პირდაპირ ამიხსნის ამას? განა ჩვენში იციან გულახდილად პასუხის მიცემა ამ გვარ კითხვებზე? მახლას. ჩამოსვლით კი უსათუოთ ჩამოვალ, რომ დიდი და გულწრფელი მადლობა უთხრა ყველა ჩემ ამოპრჩევლებს და მონაწილეობა მივიღო ქალაქის თავის და უბრავის ამორჩევაში. ნამდვილათ რომ შეიტყო როდის იქნება ეს არჩევნები, შემატყობინე.

დიდი ხანია ჩამოვიდოდა, რომ ძლიერ არ მეძნელებოდეს აქედან დაძვრა. თითქმის შეუძლებელია ეს ეხლა ჩემთვის, მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა...

მართლა, შეიტყვე თუ არა რომ წლეულს შარშანდელზე 260 ხელის მომწერი მოგვემატა ერთბაშად? ამდენი არც პირველ წელიწადში მოგვემატებია სტეჟანოვის<sup>2</sup> სიკვდილის შემდეგ.

შენი ნ. ნიკოლაძე.

ფოთი, 14 დეკემბერი, 1895.

ძმაო იონა!

მართლა რომ დიდათ დამნაშავე ვარ შენთან, აზდენი ხანო წიგნის მოუწერლობაში, მაგრამ ამ უკანასკნელ თვეებში ისეთი დავიდარაბაა ფოთს, რომ ერთი წუთის მოცალეობა არა მაქვს. — ეგნატე თურქიას<sup>1</sup> თაობაზე შენი სურვილი გადავეცი ივ. იაზ. ტატიშვილს:<sup>2</sup> ისიც ჩემსავით შენი აზრისაა, რომ მაგ საქმეში შენი გადასახადი არაფერია სრულებით. ეგნატემ გვიჩივლა ჯერ საბჭოსთან და მერე „სუდში“. ვნახოთ რით დაბოლოვდება საქმე-ყოველს შემთხვევაში შენ ამ საქმეში არც არაუფერი გეკითხება, არც შეგეხება.

გლინკას<sup>3</sup> „დოკლადი“ საბჭომ დაამტკიცა. შენი პასუხი სიტყვა-სიტყვამდე, თავიდაპირ ბოლომდე წაუკითხა. თვითონვე თავმჯდომარეობდა. ამ საგანზე მე არას მოგწერდი, სხვა საქმე რომ არ მქონდეს შენთან. ივან იაზონიჩმა<sup>4</sup> „გოგოების კლასს“ („Девичье уч. св. Ольги“) თავი რომ დაანება, ახალ კაზნაჩიისს, თუ კაზნაჩიისს, გავარუხინის<sup>5</sup> ცოლს რაღაც შენი ბარათი გადასცა, რომელშიაც წერია, რომ შენ გბარებია იმ სკოლის ასი მანეთი „на могущих представить по училищу нужды“ ბარათი დაწერილია 1 მკათათვეს 1893 წ. ზედ ტატიშვილის ხელით აწერია: „еще... Ионе Михайлов. 25 рублей 5 ноября 1893 г. მეორე გვერდზე იგივე ივან იაზონიჩი აწერს 6 აგვისტოს 1895 წ. რომ შენზე დარჩენილია 36 მანეთი და 41 კ.—თუ ძმა ხარ დაუჩქარე ამ უკანასკნელი ფულის გამოგზავნა გავარუხინის ცოლის სახელზე, რომ წიგნებში შენი სახელი ამაოდ არ იხსენიებოდეს. იქნება ეს ფულიც (36 მ. 41 კ.) სკოლის საჭიროებებზე გქონდეს დახარჯული და კვიტანციები ან საბუთები (определенные докум.) შეგრჩენოდეს — ამ შემთხვევაში ესრე მოსწერე გავარუხინის ცოლს, თუ გირჩევნოდეს — მე გამომიგზავნე და გადავეცემ. კომიტეტში ეს საქმე გადავადებინე — უთხარი იონას მივწერ ბარათს და გარემოებას მერმე მოგახსნებთქო.

დიმიტრის<sup>6</sup> სტატიას არ დაგიკარგავ: მოგიძებნი და გამოგიგზავნი.

შენი ერთგული

ნ. ნიკოლაძე.

ძმაო იონა!

ორივე ქალაღი როგორც განდოდა ისე დაგიმზადებინე და დღესვე გიგზავნი (შენი წერილი დღეს დილას მომივიდა). თქვენი კანცელარიაც ასე მალე რომ ასრულებდეს საქმეებს რა ბედნიერი ვიქნებოდით.

ბოდიშს ვიხდი რომ ვერ გნახე, მაგრამ დილას მოველ და სალამოს წამოვედი, ვიყავ ავთიმყოფი და ერთობ ბევრი საქმე მქონდა: ამ მიზეზებით, იმედი მაქვს, მომიტევენ უნახაობას. ეხლა მომილოცავს მორჩენა, რომელშიაც სრული რწმენა მქონდა.

შენი ჭირიმე, იონა, შემატყობინე ნომერი თქვენი წარდგინებისა ჩვენი ტყის თაობაზე. თუ შეიძლება მისი заключительная часть-ის კოპიოც გამომიგზავნე.

ქუთაისს 21 ნოემბრამდე ვერ ამოვალ და შენს პასუხს ველი მოუთმენლად.

რა დაგემართათ, რით ვერ მოგვაწოდეთ ის უბედური 200 მანეთი? გვიჭირს, ადამიანო! ილიკომ<sup>4</sup> მოგიკითხა, გულწრფელად გილოცავს მორჩენას, ხვალ ქუთაისს მიდის, და ალბათ გნახავს, ამ წერილს იმას ვატან.

შენა მეუფლე<sup>5</sup> თუ მანდ გყავს დიდი პატივისცემით მოიკითხე ჩემ მაგიერ. აქ ცუდი ამბები ისმის უგანათლ. თ. გრიგოლის<sup>6</sup> ჯანმრთელობაზე, მართალია?

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

13/11, 97, ფოთი.

26.

ფოთი, 14 დეკემბერი 1904.

ძმაო იონა!

დიდათ მეწყინა შენი ბარათის მიღება (რომელიც ბეს. ხოფერიას<sup>1</sup> ხელით გამომიგზავნე) მით, რომ შემატყობინე—ვბეჭდავ და ვერისთავის<sup>2</sup> ცხოვრების აწერასო. მეწყინა არა შენი ბარათის წაკითხვა, —შენი ნაწერის წაუკითხველობა როგორ იქნება, მაგრამ გუშინ თბილისს ვიყავი, და იქ გავიგე რომ ჩემი წერილიც გადაგიცია დასაბეჭდათ, და ამან, ხომ სულ ამაშკოთა. მე ის წერილი ხომ დასაბეჭდათ არ მომიწერია შენთვის! მისი დაბეჭდვა მეტად უდროოა ეხლა, ან, როგორც უმაღლესათ მიღებულია სჯა... თუ ძმა ხარ მისწერე დაბეჭდვ-მდი იმ წერილის პირა გამომიგზავნონ, და უჩემოთ არ და-

ბეჭდონ. თუ მოგცემ იმ წერილის დაბეჭდვის ნებას, მარტო იმ პო-  
რობით, რომ მე თვითონ აღვნიშნო რა დაიბეჭდოს იმ წერილიდამ,  
და რა გამოიშვას. უნდა იცოდეთ, რომ სხვისი წერილი დამწერის  
ნება დაუბრუნებლად ვერ დაიბეჭდება, თუ ძმობა გწამს ეს თხოვნა  
შემისრულე და-ნუ გაამწვავებ ქართველთა და სომხებს შუა ურთი-ერ-  
თულ დამოკიდებულებას დღეს, როცა ჩვენ ასე უძლურნი და უთა-  
ურნი ვართ, და ისინი-კი დარაზმულ და გაძლიერებულნი ახალ-  
ახალი გამარჯვებით, ეხლა როცა რუსები ისეთ გაჭირვებაში არიან,  
და მათი პრესტიჟი—ჩვენი მთარველი თათრებისაგან—ისე შეილახა,  
ჩვენ ქართველები, დიდათ უნდა დაუახლოვდეთ სომხეთს, რუსებს  
და საზოგადოთ ყველა ქრისტიანებს, იქნება ამით გადავრჩეთ ერ-  
თიანად გაწყვეტას ლეკ-თათრებისაგან, როცა მთელი ამიერ-კავკასი-  
სია გაგვეერთინება, როცა შიგ აღარაფერი რუსის „წესი“ და  
„ვლასტი“ აღარ მოიძიება—ესე იგი გაისს და გარდამაისს...

მეორე თხოვნა მაქვს კიდევ, გთხოვ რაც უფრო კარგი პორტრეტი  
გქონდეს შენი, გამომიგზავნო ან სამუდამოთ, ან თუ ეს  
შეუძლებელია ორიოდ კვირით მაინც, გვინდა ჩვენი საბჭოს ხალაში  
უწინდელი თავების პორტრეტები დაეკიდოთ, საწყალი ვახრამოვის<sup>3</sup>  
და თავდგირიძის<sup>4</sup> (საწყალს, ხომ, ჩვენში გადაცვლილებზე ხმარო-  
ბენ) და შენიც, თუ შეიძლება, მალე გამომიგზავნე. თუ ხეირიანი  
პორტრეტი არ გქონდეს—გადაიღე და გამოგზავნე. რომ განახა რა  
მშვენიერი პორტრეტი (ზეთის ფერადებით) გავაკეთებინე პეტერ-  
ბურგში დეკანოზ მაჭარაშვილისა<sup>5</sup>, შისი ძალიან უმნიშვნელო კარ-  
ტოჩკის შემწეობით, გაგიკვირდება, პორტრეტი დაჯდა 50 მანეთი,  
და რამკა წითელი ხისა—9 მანეთი. რომ ნახო კი გეგონება  
500—600 მანეთი ღირსო.

შენი მეუღლე პატივისცემით მომიკითხე.

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

მოუთმენლად ველი შენს პასუხს და პორტრეტს.

27.

2 დეკემბერს, 1908,  
СПБ., Надеждинская, 23

ძ მ ა ო ი ო ნ ა !

რა მოწერო? ჩვენი საქმე ყოველ-დღე იცვლება: ერთ დღეს  
მე ვიმარჯვებ, მეორე დღეს—ზდანოვიჩი<sup>1</sup>. მას ჰყავს შანაყმა პრო-  
კოფა<sup>2</sup>, რომელსაც უწერს ყოველგვარ სიცრუეებს, და შეიტანს ის  
ამ სიცრუეებს თუ არა, დერხე<sup>3</sup> მაშინვე ახალ გამოძიებას ნიშნავს.



დერხე იასუკოვიჩის<sup>4</sup> მომხრე და ინოვრევატელ-ი ყოფილა, უჯერის ყურმოჭრილ ყმასავით, და ვარ ამ წვალებაში. გამარჯვების იმედი კი არ დამიკარგავს, და ფოთის საქმეები არასოდეს ასე მალლა არ ყოფილა, როგორც ეხლა. თლათაც რომ უარი გვითხრან  $\frac{1}{2}$  კაპეიკის ბაეზე, სახელმწიფო საბჭოსთვის ცხადი შეიქნა რა „Жемчужина“ ყოფილა ფოთი (ეს სიტყვა წარმოსთქვა მარკოვმა<sup>5</sup>, რომელზე უაღრესი ავტორიტეტი არა ჰყავს სახ. საბჭოს, აი იმან, ვინც ამჟამის გზა გაიყვანა საბჭოში) მაგრამ  $\frac{1}{2}$  კაპ. ბაეზეც მოგვეცემა. დაშენდება გიმნაზიები და ზღანოვიჩის აგიტაციას მეტი შე ევი არ ექნება. თაყვანისცეს მას ამისთვის ჩვენმა, ვითოზ, ინტელიგენციამ. ვჟუშაობ, ვწერ, ვეთრევი, ვხლათფორთობ, ვბაასობ დილის 8 საათიდან შუალამემდე, ვალღები როგორც არასდროს. დარწმუნებული ვარ, ორი თვე არაფერში ვივარგებ საქის დაბოლოვების შედეგ.

ამასთანავე გიგზავნი ქალღლებს შესახებ ალექსანდრე მეორის სტატუისა. ამ საქმეზე თავს ვიქცევ. მოუხდება ჩვენს ქალაქს, ყველასაგან დავიწყებული „განმათავისუფლებელი“. დაგვკირდება ამ ფორმალისტობის შესრულება, უამისოდ მე აქ არა გამივა რა.

პოლუშკინის<sup>6</sup> წერილი შეინახე—უოკუმე ტია, იცოდე. მე ინია შერე უარი არ მითხრან მუქთად წაოღებაზე.

იცოდე კიდევ: М. Н. Боткин<sup>7</sup> დიდი ვინმეა: არის Вице-президент Имп. Академ. Худ. და Председатель правления Р. О. П и Т. ორივე ადგილას დიდად დამეხარა. კარგს იხამ, რავასაც და Сергею Ивановичу Полушкину, დებ შას რომ მოსწერდე, დამის სახელით მადლობისას, პირველს დახმარებისათვის აკადემიაში, და ორაღეს—მუქთათ გადატანისთვის.

გულზე გავსკდი, გოგებაშვილის<sup>8</sup> სტატუია რომ წავიკითხე შ ნს წინააღმდეგ. Мертвые хоронят мертвых! დაბეჭდე შენი ლექცია, ან დაბეჭდე პასუხი, რომ კრიტიკის ეტი ბევრი სხვაც იყო კეთილი ილიკოზეთქო. ნუ ნიაყრუებ ა საქმეს, ხომ იცი, მკვდრების ქვეყანაში ვცხოვრობთ.

ინია ვანოენას გულწრფელ მოკითხვას ვუთვლით მე და ოლიკო. ვისურვებ შენს და თქვენს ბედნიერებას.

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

28.

Cher ami Jonas!

ეს არის ეხლა სადილს უკან „ტკილსიზმარ ზმანებში“ ვიყავი, რომ შენი წიგნი მომივიდა შიკრიკის ხელით! მიიღე ძნური მად-

ლობა!.. „შიკრიკი თავს ჩადგას უკან უნდა დაბრუნდეს“ და დრო არ მაქვს ბევრი ლაპარაკისა. შენი წერილი ჯერ არ წამიკათხავს. ფელეტონის დაწერის აზრი მომწონს. ჩადგანაც „Новая Газета“ „ნოვი“ არის, ამიტომ ვგონებ, რომ ადგილი მისცეს—ამ შენს სტატიას, სათაურს გაუკეთებ „Гр. Экзархат“ და დანაჩენებიც ისე იყოს, როგორც მწერდი. „ბალუანი“\* სიცხეები დაიჭირა და ამ თვის გასულს თუ ჩამოვალ. არ დამივიწყო. მესხი<sup>1</sup> მოვა და მალე განთავისუფლდები.

შენი დავით ერისთავი

ს. კასპი, 6 აგვისტოს 1881.

29.

ს. თბილი, 12 აგვისტოს, 1881.

11 საათ საღამოს

Cher ami!

დღეს დილით რომ გავიღვიძე, შენი წერილი დამხვდა, გაზეთის<sup>1</sup> დაკრევა შევიტყე ტელეგრაფით, რომელიც გუშინ მილ-ლერმა<sup>2</sup> მომწერა... ეს არის საღამოზედ ბებუთოვის<sup>3</sup> წიგნი მომივიდა, ხუთ აგვისტოს დაწერილი, აი რას იწერება ახალ გაზეთზედ: „Невозможно описать тебе характер, произведенный здесь этой проделкой. Поражение надзора принято публикой как торжество над какимнибудь злейшим врагом, и, без преувеличения, первый № „Нов. газеты“ вызвал здесь несравненно большой восторг, чем известие о взятии Гектапа! Само управление по делам печати как-бы способствовало успеху маскарада: став на законную почву (это в России-то!), оно пока не изобретало никаких препятствий. Говорят, впрочем, что составлен систематический план уничтожить всю либеральную печать. Так будто бы обречены на смерть: Страна“<sup>4</sup> „Порядок“<sup>5</sup> „Московск. телеграф“<sup>6</sup> и „Русск. Курьер“<sup>7</sup>. Это писано накануне запрещения газеты! Приходится воскликнуть: да торжествует „Дрозба“<sup>8</sup> и его Абастуманский корреспондент!.. მე 16 ამ თვის ვაპირებ ჩამოსვლა... Qua t à moi, vous vous trompez, cher ami! Je supporte en philosophe assez indifféremment le malheur dont la „Providence a voulu nous frapper“! Je reste enrôlé

\* იმერლებს დასცინის—ძლიერის მაგივრად ამბობს,—ს. ც.

dans ma chambre, quand même vous croyez que „je ne suis pas bâti\* de cette chair-la“... et me console en recitant les vers de Malherbe:

Notre „feuille“ était du monde, où  
Les plus belles choses  
Ont le pire destin;  
Et „feuille“ elle a vécu  
Ce que vivent les „feuilles“  
L'espace d'un matin!

Et en attendant les „лучшие времена“, comme s'exprime notre ami Nicoladzé, je me „bati.. le devant“! A propos.. „Sarah-Bernard à nous“ peut-être fait la même chose au clair de la lune auprès d'une claie quelconque chez le peintre Clai... ron!... Excusez-moi ce calambour franco-iberien!..

შენი დავით ერისთავი.

30.

1-го Сентября 84, вечером Тифлис

И о н а !

Получил твоих два письма; одно почтой, другое—через Колю<sup>1</sup>. Последнее письмо твое произвело на меня такое удручающее впечатление, что я ношу его два дня, и только теперь решил перечесть. Не знаю, понимаешь ли, как оскорбительны для меня твои упреки, и обращения ко мне, как ростовщику! Впрочем, это не первый раз; одно такое письмо твое хранится у меня—для биографии. Сожалею, что не обладаю, широкою натурою Коции<sup>2</sup> и Коли;<sup>3</sup> зато и наказан за это. К моей помощи чаще прибегают, чем к широким натурам. Но об этом, если придется, скажу тебе когда-нибудь ... Теперь приступим к делу:

Коция давно здесь и никуда не ездил; танцует на собраниях и очень весел. По приезде он был на другой день у меня и сказал, чтоб я выслал тебе 50 рублей. Что он на днях мне возвратит. Я отказал. Прошло более недели, а он тебе ничего не выслал и будь уверен, что не вышлет! Когда получил твое письмо, я объявил ему, что

\* ეს სიტყვა რომ დავწერე, საშინელი მიწის ძვრა იყო აქა, რომელიც გაგრძელდა 10—15 სეკუნდს—11 საათი და 15 მინ. ღამისას მანდაც ხომ არ იყო?..

ты требуешь не 50 руб., а 150 руб. Он широко раскрыл рот. В первом письме ты глухо намекаешь, что хочешь расплатиться с Картвеловым<sup>4</sup>! ... Похвальная аккуратность! Ты сидишь там и переводишь „Барсову кожу“<sup>5</sup> для живописца. Если я тебе одолжу деньги, то, так сказать, приму некоторое участие или, лучше сказать, содействие к изданию.

Появится книга, воскурят фимиам „нашему уважаемому гражданину Картвелишвили“ и ругают Эрстова литературным эксплуататором. Кажется, картина тебе знакома?.. Если Картвелов<sup>6</sup> даст 10 т. на издание, то почему на предварительные расходы не ассигновать ему некоторую сумму? Ведь такой труд, какой ты принял, стоит не 30 0 а/т. рублей?!. Кажется, логично!.. Я изложил все это Ваню, Мачабели<sup>7</sup>... Он категорически отказал доложить об этом Картвелову—„ვერ გაუბედავო“. Он обвиняет тебя, ты, оказывается, сказал, что больше 100 рублей не возьмешь, и что эта сумма вполне тебе достаточна в Абастумане. Вольно, говорит, ему было не попросить 300, ვინ დაუჭერდავო. მაგრამ ახლა კი ვერ „გაუბედავო“ თხოვნასკო, რადგანაც это будет походить на мазурничество!.. Ты тоже намотай себе на ус, какис деликатные люди бывают на свете! Помни, что это говорит представитель грузинской литературы, для которой ты много работал безвозмездно!.. Когда ты перестанешь, как пчитка Божия, смотреть на жизнь, и узнаешь людей?.. Раз как-то Шакро<sup>8</sup> предложил мне купить его дом, я прочел ему нотацию, что ему дома не следует продавать. На это он возразил: я вас просил купить дом, но не просил давать советов. Не смотря на это, я, всетаки, дом тебе не советую, и представляю счет:

От Ваню Мачабели ты получишь—	125	р.
От Данилова* <sup>9</sup>	— 25	„
„ Коли	— 40	„
„ теперь высылаю	— 30	„
	<hr/>	
	Итого—	220 р.

\* Требует от меня! Иона говорит, скажи, что Давид заплотит...



Нас было в Кисловодске 5 человек; после месяца мы сведем счеты и было издержано 150 рублей.. ზებ რომ ჩაღა-მხესავით ფულებს ჰფანტავდე, ჩვენი რა ბრალია!.. Ты меня только успокаиваешь, что уедешь и ничего не будешь писать! Хорошее утешение!.. Ты меня бросаешь в самую трудную пору, работаешь для возвеличения нашего почтения и вперед обещаешь ничего не делать! Прекрасная перспектива... Впрочем, едва ли я буду нуждаться впредь твоим трудом. На газету мало надежды. Назначили комиссию, под председательством Якимова<sup>10</sup>, с правом выбора членов. Он выбрал Мартыновского<sup>11</sup> (учителя) и, за отсутствием Дингельштета<sup>12</sup>—Малик-Меграбовал Якимов обещал взять Дингельштета, как только он придет; он приехал, но он не приглашен!.. У меня была одна надежда на Дингельштета, так как, он ненавидит Маркова<sup>1</sup>, и сам же конкурент, то стал-бы за меня горой!.. Сильную надежду имеет землемер-фотограф Кондратенко!<sup>14</sup> В наше время все возможно. Вообрази, какую утку я пустил; Марков не приезжал, я узнал это только на днях. Меня подвел мерзавец Шавердов<sup>15</sup>. Так как, это известие появилось самостоятельно и в „Нов. Обозрении“, то я не сомневался в истине. Оказалось, что это ложь: говорит, что ему кто-то сказал. Что значит, Марков не кандидат? Он прислал заявление из деревни; его подбил брат, к-рый поехал к нему и до сих пор там.

Мы будем жить опять на старой квартире: хозяйка сбавила 150 руб. Маша<sup>16</sup> сегодня должна быть во Владикавказе. Сюда приедет числа 15-го.

Твой Д. Эристов.

P. S. Получил на твое имя оплаченную телеграмму: „Как дело Тимофея Жвания<sup>17</sup>, Василий Жвания“. <sup>18</sup> Сегодня застал у себя карточку Г. Шервашидзе; <sup>19</sup> просит назначить день, чтобы прочесть „Барсову кожу“ Бобринского<sup>9</sup>.

Сообщу результат.

აბასთუმანი, 26 აგვისტოს, 1887 წ.

ძმაო იონა!

მაშ კარგი, შენვე ზემღურები? Ah თუ-დგან დავიწყოთ. მე ჩამოვედი ქალაქში 3-ს აპრილს ეკსტრენის პოეზდით, რომელიც მოვიდა ქალაქს 7 საათზე. შენ ქალაქს იყავ იმ ღამეს და გეთქვა, უთუოდ შემოვივლიო და არ შემოიარე... თუმცა წვიმდა. შენი სიზარმაცე არ მომეწონა... 2-რე, არავითარი წიგნი არ მიმიღია შენი შადინოვის<sup>1</sup> ხელით, და არ ვიცი რა დუბროვინზედ<sup>2</sup> ლაპარაკობ. მიკვირს, რომ იმისთანა კაცისათვის ჩაგობარებია წიგნი... კარანდაში გაგიკეთებინე.—ახლა ჩენს ადრესზე ვილაპარაკოთ. — რკინის გზაზე რომ შემხვდი, მაშინ თუ გახსოვს, ისე დავაწყევით, რომ დებეშა პაროქში უნდა მიგეწერათ მაშინვე, რადგანაც ერთი კვირა-ლა რჩებოდა სობრანიეჟდინ, და წინათვე ხომ არ ვიცოდი, რომ გადასდებდნენ, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ საქმე გაჩარხებულია. პეტე ბურგში რომ მივედი, იქ დავრწმუნდი, რომ ჩვენი საქმე გათავებულია და ყოველივე კრედიტი დავკარგეთ ქართველებმა. ერთს სიტყვას არ მიჯერებდნენ და ყოველ ჩემ მიწერილ დებეშაზედ ბანკის იურისკონსულტს მისდიოდა კითხვა, ერისთავის დებეშა მართალიაო თუ არა. ერთის სიტყვით ბანკშიც უჭვირდათ და მეც მარცხვენდნენ. ამის გამო მე მივწერე ათ თაბახზედ დიდი წერილი, რომ ლშიაც „რეზკი ვირაჟენით“ ვუსაყვე ურებდით, რომ თქვენი საქციელი ჩემთვის აბიდა არის მეთქი, და მართლა ველური კავკასიელი თუ გგონივართ მეთქი. ნიკოლაძეს წაუყითხე ეს წერილი, და მან თვის „განკეთილება“ აღვიარა, არ ვიცი, შენ რომ წაიკითხავ რა მტყუვი... ესე იყო საქმე... ძალიან ცუდ გუნებაზედ ვიყავ, რადგანაც დავრწმუნდი, რომ ჩვენი საქმე ცუდათ არის, და ცოტა, არა ჩემ ფეხებ ქვეშ ნიადაგმაც დაჩყო ბრუნვა... ვიფიქრე, რა მიგწერო მეთქი იონას... სუყველაფერი ამაო იქნება მეთქი... მე კარგს ვერას შეგატყობინებდი და თუ შენ გინდოდა ჩემი ადრესი, იცოდი, და თუ არა და ყოველთვის შეგატყობდი, და თუ საქმიოთ ნახადი მომწერიდი რამეს... თუ სხე-ხეზაა,—ეხლაც მოხერხდება, რადგანაც სობრანიე ჯერ არა ექონია ვიზრებისათვის და ბათუმს უნდა მოხეტეს. დირექტორათ ნიზნავენ ვიეგელს<sup>3</sup>, კანდიდატათ ვილაკ ვილჩინსკი<sup>4</sup> უნდათ დანიშნონ, მაგრამ ძალიან უჭირდებათ, რა განაც ავკანონი ში უნდა იყოს. ნიკო ერისთავმა<sup>5</sup> ბეიერს<sup>6</sup> წიგნი მისწერა და სთხოვა გიორგი გრუზინაის<sup>6</sup> კანდიდატათ დანიშვნა, მაგრამ

არამც თუ დანიშვნა, პასუხიც კი არ მოუვიდა წიგნზე, ... თუ შეგიძლიან ეცადე კანდიდატობას, რადგანაც ფონ-სმიტი<sup>7</sup> ერთს წელიწადზე მეტი არ რჩება, ცოლს ირთავს და მალე წავა. შენს, სწორედ ქალურ „უპროცესებს“ ვაგდებ უპასუხოდ... ჩარ გინდოდა ჩემი ამხანაგი განხორციელო... ამხანაგობაზედ და მეგობრობაზედ იმისთანა კაცს ხეა არ ამოეღება, რომლისთვისაც: გრიგოლ დადიანი<sup>8</sup>, დავით ერისთავი<sup>9</sup> და ლენერალი ვეზიროვი<sup>10</sup> ერთია!

მე ორი კვირით აბასთუმანი დავტოვე და ქალაქს და ბათუმს ვიყავ. შენი წიგნი ჩემის იქ ყოფნაში მოსულიყო. მამაშენი ერთხელ ვნახე დასალაპარაკებლათ, მერე ერთი ორჯერ მოვეკარ თვალი და აღარ მინახავს, მალე დაბრუნდა—მე აქაურ ხალხს იშვიათად ვხედავ, რადგანაც „როსჩაში“ თითქმის არ დავდივარ. ვბანაობ 12<sup>0</sup> წყალში და ფრთები შემესხა. სწორედ გითხრა სკუჩხობაა, მოსვლა დაგვიანებული არ არის, რადგან ეხლა დაიწყო სიცხეები და კარგი დარბები.—ჩვენ 15 სექტემბრამდინ დავრჩებით, ნუ თუ დეკემბრამდინ არ ჩამოხვალ ქალაქს?..

შენი დავით ერისთავი.

32.

თბილისი, 29 ივლისს, 1888 წელსა.

ძმად იონა!

როგორც ვეცდებოდა, ჩვეულებისამებრ „ბუღირუიტას“ მიშვრები, რომ წიგნს ძაშას<sup>1</sup> სახელზედ იწერები, ჩვენ ძალიან გვიან მოვედით აქა 27 ივნისს. ახალა ამბავი აქ რა მეცოდინება, „დევიჯეროა“ გაზეთები არ მოგდისთ... წაიკითხავდი ნიკოლაძის<sup>2</sup> სტატიას, სადაცა იწერება, რომ „კომისიამ“ ბანკს მიმართა, 400,000 მანეთისთვისა და უარი მიიღო. ერთს საათზე მოგროვდება ეგ ფულიო... გუშინ მოვიდა ჩემთან „დვორიანსკი სობორსჩიკი“... მითხრა თქვენ უკანასკნელ მოგმართეთო და გამომიშვირა შევნივრად დაბეჭდილი და დაშურავებული კვიტანციები. ქალწულნი... მოუგლჯულნი... მე შემრცხვა, ამოვიღე ფული რაც მეწერა და გაუშვირე... წარმოიდგინე... არ აიღო. მრცხვენთან, მარტო ხომ შენ არ იქნებო... უნდა მივწეროო, რომ დუშეთის უეზლში კაპეიკი არ ერგებაო... ამბობენ ლეტნი სობრანიეში ახალ როტონდას აშენებენ და სმეტა არის შედგენილი 20,000 მანეთისაო... ეს რასაკვირველია კოწიას<sup>3</sup> ამბავია. ახლა პატრონი არავენ არის, რომ დააბან??!! მე 31 ივლისს ქალაქს მივდივარ, და 3-ს აგვისტოს მინდა

ოდესსაში გავემგზავრო ორის კვირით, შინდა ძველი მეგობრები ვნახო. 27 აგვისტოს დავბრუნდები და 15 სექტემბერს ქალაქს ჩამოვალ, ამ დროს რომ გვეწვიო კარგსა იქ, მაგრამ მე შვილო ღენერალი და სვეტლეიში არა ვარ და რათ მიკადრებ!..

შენი დავით ერისთავი.

33.

ბათუმი, 2 მარტს, 1886 წელს.

ძმაო იონა!

გატყობინებ ჩვენს საინტერესო ამბებს. 1-ლი, დეპეშა მოგვივიდა, რომ ნიკოლაძე<sup>1</sup> გამოვიდა პარიჟიდან 25 თებერვალს, მაშასადამე, ბათუმს მოვა 10 მარტს. II—კიდევ დეპეშა მივიღეთ, რომ ჩვენი საზოგადო ყრილობა მოხდება პეტერბურგს, 31 მარტს... უნდა გავემგზავროთ ჩრდილოეთის პალმირაში—მე წიგნსა ვწერ პარიჟში, რადგანაც ეს ვადა ჩქარია, ჯერ „სჩოტი“ მხათ არ არის, რომ პირველი ყრილობა ნუ შედგება და დავნაშნოთ მეორე ყრილობა 14 აპრილს. თუ 31 მარტს იქნება, ჩვენ უნდა წავიდეთ აქედან 21 მარტს; თუ 14 აპრ. 4 აპრილს.—ახლა დავიჯერო-კია, ვნახავ წასვლამდინ? ნიკოლაძე რომ მოვიდეს, მაშინ მოდი! — ჩემი წიგნი მიიღე თუ არა? — დავით ერისთავი.

34.

16 იანვარს, 1887 წელს  
ჭ. ბათ (ი?) უმი.

ძმაო იონა!

მოთლოდნვლად შენი წიგნი მივიღე; სად ხარ რომელ მხარეს გადაკარგული, ღმერთმა იცის. ვხედავ ძალიან მოგვწყენია, რომ ახალი ამბის შესატყობლად კალამი ხელში ავიღია. ქალაქის ამბავსა მკითხავ, აბა რა გითხრა, რომ არც ქალაქელი ვარ და არც ბათუმელი. ისლა მაკლია რომ ბახმუტში წავიდე, მაშინ ხომ ბახმუტელი ვიქნები. ქალაქში ნ-ს იანვრამდინ დავჰყავ და ბალიდგან პირდაპირ რკინის გზაზედ გამოვწიე. ბალი ჩვეულებრივ ძალიან გაჩაღებული იყო; ჰმეფობდა შენი კერპის<sup>1</sup> ნასლედნიკის ცოლი ი. ორბელიანი-სა. ზორბა მოსული ქალია. აგრეთვე ამშვენებდა საღამოს, ჩასული ვარსკვლავი, ნინა ჩოლოყაშვილისა<sup>2</sup>, მაგრამ ხომ გაგიგონია: Храм оставленный—все храм; кумир, повер, все бог! სხვა ბევრი შესანიშნავი არა იყო-რა. დირიჟორათ იყო საშიკო<sup>3</sup>. სხვა ქალა-



ქისა არა ვიცირა. ნიკოლაძე<sup>4</sup> პარიჟში პეტერბურღზედ იმიტომ<sup>5</sup> წავიდა, რომ ჩვენი (ხომ ხედავ) საქმე ჰქონდა ვაგონების თაობაზედ. ეხლა ჯერ პეტერბურღს არის და მალე წავა პარიჟში.— ჩვენში ახალი ის არის, რომ მოგვივიდა პარიჟიდან Chef du departement Commerciale de la maison Rotchild frere „M“ Fudaloky. ანგარიშს სჩხრეკს და ციფრების მეტი ქვეყანაზედ არა ესმის-რა! სულ ახალგაზრდაა, მაგრამ, როგორც ეტყობა დიდი დურაკია. თუ არა ჰკითხე რა, ხმას არ იღებს. ამან მოგვიტანა ამბავი, რომ არონი<sup>6</sup> ამ დღეებში მოვაო. მერე გამოვიდა, რომ გადაურევია. ვიულ არონი მის ძმასთან გუსტაფთან<sup>6</sup> ფონსმიტი და გუსტაფ არონი მოდიან აქ. გუსტაფ არონი ტურისტია და საქმისა არა გაეგება რა. ჰკითხულობ, ისევ მუქათათა სჭამთო პურსაო! ის უნდა გიპასუხო, რაც აკაკის<sup>7</sup> ერთხელ უთხარი. რაღაცა ვთქვი და აკაკიმ მითხრა ტყუილიაო. მე უპასუხე, შე დალოცვილო, ერთხელ მეც მათქმევინე ტყუილი მეთქი. შე, კურთხეულის შვილო, შენ, მთელ სიცოცხლეს მუქათათა სჭამ პურსა, და რა იქნება, რომ ჩვენც ნახევარი წელიწადი ვჭამოთ? ჩვენი მდგომარეობა ისევ ისეა: გვეგონა ახალ წლიდან დაიწყებოდა „ფაქტიორი“ დირექტორობა, ამის გულისათვის ზრუდლოვსკის<sup>8</sup> „დავერენოსტი“ ძალიან შეუმოკლეთ, მაგრამ ამაოთ, არა გამოვიდარა.— ახლა არონია ჩვენი იმედი.

გუშინ მოვიდა აქ გიორგი წერეთელი<sup>9</sup>, და ბაბო შარვაშიძისა<sup>10</sup> თავისის ძმით. პეტერბურღში მიდიოდნენ, მაგრამ ცუდის დარის გამო ველარ წავიდნენ, და დღეს უკანვე დაბრუნდნენ, და მთით წავლენ. გუშინ საღამოს იმასთან გავატარეთ დრო. გიორგი წერეთელიც იქ იყო და ჩემს ჩვეულებრივ ჩლუნგ ენას იმაზედ ვლესავდი. მოულოდნელად კარგა მომდიოდა და გიორგი წერეთელს მართლა სწყინდა. აქაური ამინდა აუწერელია. ერთი საჟენი თოვლი მოვიდა და ეხლაც არ გამდნარა, სამი დღე კარში არ შემოისვლენოდა, და ერთი ფაეტონი არ იყო. ეს 14 დღეა, რაც შეუყენებლივ თოვს და წვიმს. ჩვენს „ხლევი“ ძალიან წვიმა ჩამოდის და იმიტომ ვერა გაბატივობ. ამ თვის 25 ვგონებ ბაქოში მოგვიხდება წასვლა ფრანცუზითურთ. სხვა, სად იქნები შემატყობინე.

შენი დავით ერისთავი.

35.

ქ. ბათუ(ო)ში 23 თებერვალს,  
1887 წელსა.

ძმაო იონა!

ყოველ ადამიანს უფლება აქვს მისწეროს ვისმე რად დამივიწყეო, მაგრამ შენ კი ეს არ შეგიძლიან. ახლა რომ მწერ დამივიწყეო,

სად უნდა მომეწერა წიგნი? განა ადამიანმა იცის რა ადგილას იმყოფები!?. შენი დეკრეტი მივლევ, მე მეგონა ბილეთი იზოგნე, სანდრომ<sup>1</sup> ჩვენც მოგვატყუა, „ნადნიახ პოლუჩიტო“ და ეს ნადნიახი ერთი თვე გახდა. ჩვენს მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ვართ ისევ ორ წყალ-შუა. ეს სამი კვირაა ნიკოლაძეს<sup>2</sup> დეპეშით მივწერე, მაგრამ პასუხი არ მომსვლია. ფეიგელი<sup>3</sup> ორი სა ი დღეა, რაც პარიზში მივიდოდა და ჯერ ვერას გაარიგებდა ასე მალე. ქალაქში მითხრეს, შაბუროვს<sup>4</sup> მოსდის ნიკოლაძის დეპეშებით. ვკითხე სოლომონს და მითხრა ხშირად მომდისო; რას იწერება შეთქი და აი რასაო: „Вышлите мне столько-то, и пошлите Илико столько-то“-ის „გნებლო ვსებ რაზვარტოვ“ (რაზვარტოვ). ამის შეტს არას იწერებო. კოწიამა<sup>5</sup> ჰკითხა თავისი საქმე და ეს პასუხი მოუვიდა: „Pour parler difficile, maison préoccupée guerre“, —არ ვიცი შენ რის თაობაზედ მისწერე წიგნი, თუ შენს საქმეზედ, ეხლა იქნება გარიგდეს, რადგანაც ფონსმიტი უთუოთ კანდიდატობიდან გამოდის. ერთი სულიერის დანიშვნაზე ნიკო ეხლა თავში იცემს, იცნო რაც კაცია. მე რაც შენა მნახე, ბათუმში აღარა ვყოფილვარ, ამ თვეს 19 მოვედი მარტო. კარგი დარები მეგონა და თურმე ერთი თვეა გადაუღებელი წვიმებია. წუხელი გლევა, ქუხილი, და მიწისძვრა იყო! მაშოს<sup>6</sup> და კატოს<sup>7</sup> უნდათ მოსვლა და არ ვიცი ჯერ გაჰბედვენ თუ არა... ბაქოში რვა დღე ვიყავით.

ახლა ქალაქის ამბავი: აკაკის „ცბიერმა“<sup>8</sup> ყველანი აღტაცებაში მოგვიყვანა. დრამას თავი დავანებოთ, მაგრამ ისე თამაშობენ, რომ მოგეწონება. მეორე აქტში მესხიევი<sup>9</sup> და ანდრონიკოვისა<sup>10</sup>, სარას<sup>11</sup> და დათას<sup>12</sup> დაჯავიწყებს. ჯერ ქართულათ ესე თამაშობა არ მინახავს. წარმოიდგინე, რომ ყველამ „უზაპინკოთ“ იცოდნენ როლები. პირველ წარმოდგენაზედ სავსე თეატრი იყო. აკაკის მიართევს საწერელი ოქროს კალმით და სტოლის საათი. მთელი „სბორი“ იმისა იყო; რომ მიუტანეს, ჯერ არ აიღო (400 მან.), მაგრამ იმდენ „თხოვნას“ ვერ აუვიდა და „აამპოშა“. „ივერიიდან“ შეიტყობდი, რომ „სიზონი“ დიდის დეფიციტით (1500 მ.) გათავდა. აქტიორებმა ვასო თუმანოვს<sup>13</sup> დაფნის გვირგვინი დაადგეს. ეს ამბავი ფრიად საინტერესოა... უკანასკნელ წარმოდგენაზედ, როგორც ვსთქვი, გვირგვინი უძღვნეს მეთქი ვასოს. ამ უკანასკნელმა ტრუპა ვახშმად დაჰპატიჟა და ვახშამი თვით სცენაზედ გაშალეს. უნდა გითხრა, რომ მათში აბაშიძე<sup>14</sup>... (მიხვდები რომ ისტორია გამოვა რამე) არ ერია. ერთი კვირის წინათ გაფხუკიანდა და ბენეფისიც არ აიღო... დასხდნენ ვახშამზედ; შექეიფდნენ და დაიწყეს ტოსტები. ვასო თუმანოვი ადგა და რეჩი წარმოსთქა, დიდი მად-

ლობა უნდა შემოგწიროთ ბატონებო, რომ ამ წელს ჩვენში დიდი მშვიდობიანობა იყო. ამ დროს გაიღება კარი, აბაშიძე შემოვარდება... დიდი ჯოხით და მიჰვარდება თუმანოვს—აი, შენი დედა ასე და ისეო, როგორ გაჰბედეო, რომ ჩემს ცოლსა... (აკაკი გვარწმუნებს, რომ სწორეთ ეს „ლექსი“ უთხრაო და მოდი ნუ დაიჯერებ). შეიქმნება ერთი ალიაქოთი... „ხანჯლის ტრიალი, სტაქნის ბრიალი, ბოთლის კრიალი“. ამ ხაოსში მოისმის ხმა სირინოზის ჩვენის სარასი. „თუმანოვი არ მოჰკლან! თუმანოვი, თუმანოვი“... რა თუმანოვი, თურმე იგი ორკესტრში გადამხტარა და უქუდო, ქუჩაში გავარდნილა.

ახლა მივმართოთ მათ, ვინც ველიდგან არ გაქცეულა. შეიქმნება ერთი ცემა-ტყემა. გაზი გაქრება და ვინ ვისა სცემს არაუინ იცის. აბაშიძეს თავს გაუტყვენ. თურმე მესხიევეს დაუკრავს. მეორე დღეს შეიქმნება დუფლობა... აბაშიძემ „პროვოკე“ უყო მესხიევეს და რა დღესაც წამოვეცი იმა დღეს „კოჯრის გზაზედ“ უნდა მომხდარიყო რანკონტრი. თუ აქამდის „ივერიაში“, ან ერთის, ან მეორის ნეკროლოგი არ არის... ორივე ცოცხლები უნდა იყვნენ. მეორე დღეს, როდესაც „დასი“ შეიკრიბა... ფულის მისაღებათ, მეც დავვსწარ. ქალებმა ძალიან მასხარათ აიგდეს თუმანოვი. სარასთან ფონდი ძალიან წაუხდა, ვგონებ აღარ...—იძახდა, „მე იმის ფიქრში ვიყავიო და ეს კი უნამუსოთ გაიქცაო, რაღა ჩემზედ გამოიჩინა სომხობაო“!.. თუმანოვი თავს იმართლებდა, მე შეგონა მთვრალი იყო, და ეხლა რადგანაც დავრწმუნდი, რომ ფხიზელი იყო, უთუოთ „ტემუანებს“ გაუგზავნიო... მე წამოვედი და არ ვიცი რით გათავდა ეს საქმე. სარა, გაბუნიას<sup>15</sup> აბრალებს, იმან მიყოლო ინტრიგაო. „კლაკორებს“ იქერდა, რომ ჩემთვის დაეშტვინათო (მიუტევე ჩვენს პრემიერშას თეატრის ტეხნიკური სიტყვების უცოდინარობა)...

წიგნი ფაგრძელდა და ჯერ ეს იკმარე... თუ პასუხი მომივა კიდევ მოგწერ რასმეს... „ივერიას“ აქ არა ვკითხულობ, შენს სტატიას მოვკარი თვალი, მაგრამ არ წამიკითხამს; თუ გაქვს გამომიგზავნე.

ბილეთი იშოვნე, თორემ მოკვდები.

იყავ მშვიდობით, შენი დავით ერისთავი.

P. S. მაშოს მოველოდი, მე თითონ უნდა ეს წიგნი სამტრედიაში ჩამეგდო, მაგრამ ქალაქის გზა არ არის და ფოჩტითა ვგზავნი.

ტფილისი, 16 დეკემბერს, 1888 წელს.

ძ მ ა ო ი ო ნ ა!

ისე უნამუსოთ წახვედი ქალაქიდან, რომ არა მნახე; იმ დღეს-ვე წიგნები მომივიდა, ასე რომ, შეგეძლო წალება... მე ამ თვეში ერთი ჯერა ბათუმს ვიყავი. ახალი ამბავი ის არის რომ პეტერბურღს მგზავნიან... ჰაი, თუ ჩაიცინებ და იტყვი, ოხერი ფულებიო... 8 იანვარს ვაპირებ გამგზავრებას, და ჯერ სწორეთ არ ვიცი ზღვით წავალ, თუ ვლადიკავკაზზედ. ახლა აღარ ჩამოხვალ საახალწლოთ?! აქ ბევრი ამბავი არა არისრა, გამოვიდა გუნიას<sup>1</sup> კალენდარი, სქელი, ძალიან კარგათ არის შედგენილი. ამ კალენდარში დავით სოსლანის<sup>2</sup> საახალწლო ექსპრომტებია, შევედი მალაზიაში კალენდრის სასყიდლად და მითხრეს შენზედაც არისო. გადავშალე და აი რა წავიკითხე: დ. ერისთავს: „ურიის პური ჭაჭე და ურიის ხმალი მოიქნიე“. მე მაშინათვე ქალაღი მოვიტხოვე და აი რა დავწერე:

დავით სოსლანი და ერისთავი  
ენსახურება ორივე ერსა.  
ერისთავი სჭამს ურიის პურსა  
და სოსლანი კი ყოველ დღე მ...სა.

რას აკეთებ და სადა ხარ?... „ფრანსილიონი“ მომივიდა რომლისთვისაც ძალიან გმადლობ. ...წიგნების გამოგზავნას ტყუილად ნუ მომწერ, არც შემიძლიან და დროც არა მაქვს. შენ თითონ მოდი და წაიღე.

გელი საახალწლოთ.

შენი დავით ერისთავი.

ტფილისი, 8 მარტს, 1889 წელს.

ძ მ ა ო ი ო ნ ა!

ჩემზედ გაჯავრებული უნდა იყო. როგორც შენს წიგნს ეტყობა, მაგრამ მიზეზი შენვე ხარ. იმისთანა „პორუჩენიები“ მომეცი, რომ იქ არა ღირდა შესრულება. 1-ლი, ორდენისა შევიტყე, რომ ორკვირაზედ უთუოდ გამოგვზავნიოთ. ე. ი. პირველს მარტის რიცხვებში, ბრილიანტები ჯერ არ მიგვიღიაო, ეტყობათ „ზაგრანიციდგან“ მოსდისთ.—II, გინდა შეიტყო შინაარსი „ფარისისა“<sup>1</sup>. ... შე



დალოცვილის შვილო, პეტერბურღის ბიბლიოთეკა რად გინდა, როდესაც ქალაქში შეიძლებოდა შოვნა. რუსულად არის გამოცემული წიგნი „Мицкевич в переводе русских поэтов“, სადაც „ფარისი“ დაბეჭდილია. ეს წიგნი მე თითონ ცენტრალურ მალაზიაში ვნახე და „ფარისი“ წავიკითხე... მესამე ესა, როგორ დაგავიწყდა, რომ მე მაქვს ფრანციტულ ენაზედ მიცკევიჩის თარგმანი (პროზად) ორი ტომი, შენ თითონ, ოძისში რომ იყავ, ნახე და თვით „ფარისი“ წავიკითხე... აღარ გახსოვს?.. ღუბროვინი ვერ მოგიტანე, იმიტომ რომ „ოხერი“ ფულები აღარა მქონდა. ასე რომ, წამოსასვლელად კოწიასაგან<sup>2</sup> ვისესხე,—მართლა, კოწიაზედ ბევრს ანეკდოტებს გიამბობ, როცა ვნახავ...—პეტერბურღში ძალიან სკუჩნად გავატარე დრო... (გაურკვეველია) без амюземан შენი ხელობა დავიწყე: ხან ერთ მინისტრს „ტაპე“-ს ვუშვრებოდი მუცელზედ, ხან მეორეს... (ვიშნეგრადსკის და ოსტროვსკის)... ორატორობაც გამოვიჩინე ეს ოხერი. სხვა რა გინდა?.. ამის მიხეზით ფრანცუზებს ვეუბნები, რომ თუ „ოხერი“ ფულები არ მომიმატეს, გამოვდივართქო სამსახურიდგან!.. ეფრუსის<sup>3</sup> ისტორიას შეიტყობდი, რომ 12 მილიონი წაფლანგა<sup>4</sup> ამბობენ ჩვენს „ოფჩესტვიდან“ გამოაგდებსო როჩილდი<sup>4</sup>.—ბიგრი<sup>5</sup> აქ არის.—ერთი საათით ვნახე აქა, ბათუმს წავიდა. მე 15 ამ თვეს ბათუმს მივდივარ და ათი დღე-დავრჩები. სხვას „ლიჩნი სვიდანიაზედ“ გიამბობ. — აქ ჯერ ნაჩაბლების<sup>6</sup> მეტი არავინ ღინახავს.

როდის მოხვალ ან აქ, ან ბათ(ო)უმს.

შენი დავით ერისთავი.

მე, 4 ამ თვეს დავბრუნდები.

38.

ს. ოძისი, 17-ის ივლისს, 89.

ძ მ ა ო ი ო ნ ა !

სადა ხარ, რომელ კუთხეში?.. ნუ თუ პარიჟში გაიგულავე?.. არც კი ვიცი რომელის ადრესით მოგწერო ეს წიგნი — გრიგოლ დადიანის<sup>1</sup> სახელს ვაწერ—იქნება იმ ნ მოგაწოდოს. — დამპირდი მოსვლას, მაგრამ სადა ხარ?.. ამ კვირას ახალ გორს ვიყავი, დავით ლუარსაბისძე ერისთავი<sup>2</sup> გადაიცვალა. გიორგი ციციშვილი<sup>3</sup> იყო იქა (პოსრედნიკი) და ბევრი ისტორიული ფაქტები სცოდნია ჩვენს მეფეებზედ. — გიორგი ზეფეს მაგის პაპიდა ჰყავდა ცოლათ, როგორც იცი, და მაშისაგან ბევრი გაგონილი ამბავი აქვს პოსრედნიკსა...



დავით ერისთავი (ზის) და იონა მეუნარგია.

დიდი ხანია მინდოდა შემეტყო „გლავნოკომანდიუშიმ“ ციციანოვ-  
მა<sup>4</sup> ქართული იცოდა თუ არა და გიორგისა ვკითხე, ხომ არ იცი  
შეთქი?!. (მან მიპასუხა, იცოდა კი არა, კარგ ლექსებსაც სწერდა  
ქართულათაო (რუსულის ლექსების წერა ხომ იცოდა, როგორც  
ბიოგრაფია ამბობს). ჩვენში ბევრსა აქვსო იმისაგან ქართულად  
დაწერილი წერილებიო. შემდეგი ანეკდოტიც მოიგონა.

ერთმა მღვდელმა თურმე არზა მიართვა ციციანოვს და სთხოვ-  
და მაღალ ხარისხსა. ციციანოვმა ეს რეზოლუცია დააწერა არზაზედა:

გასაკრეჭო ხუცესო,  
არზას მაძლევ ცბიერსა,  
მე ფილონი ვინ მომცა, —  
სთხოვე შენს არქიერსა!

ამის მეტი შენთვის ვერა მოვაგროვერა ამ მარტოობაში... ამ  
ერთი კვირის წინ ქალაქს ვიყავი, ორის დღით—არაგინ არის, სულ  
დაცარიელებულია. სავათა შორის მოვიტანე „Henriette“ F. Coppé  
და „Disciple“ ბურჟესი!... და ვიწყებ კითხვას. გიჟ დე მოპასანის  
„Fort comme la Mort“ არ მომეწონა.

მოდი, სვინდისი შეუშვა! ჩემები ბევრ მოკითხვას გითვლიან  
და მოგვლიან.

შენი დავით ერისთავი.

P. S. იმ დღეს ნიკოს<sup>5</sup> წაგნი მომივიდა და ძალიან ჯავრობს ფულებს  
არ მიგზავნისო.

39.

27 აგვისტო

ძმაო იონა!

გწერ შენის წერილის პასუხს, მაგრამ საიმედოს ვერას გატ-  
ყობინებ დიმიტრი ბაქრაძის<sup>1</sup> წიგნების თაობაზე. გასაყიდი არ  
არის, თითონ ბაქრაძესა ვთხოვე და ასე პითხრა: путешествие  
по Гурини и Аджарини გასაყიდი აღარ არისო და путеш. по  
Сванетини-კი დაბეჭდილი იყო დიდი ხანია—რალაც სპეციალური  
ჟურნალი დამისახელა — იქაო. თითონა ვთხოვე ვთხოვებინა შენ-  
თვის, მაგრამ შორს დაიჭირა, არა მაქვსო და როცა ჩამოვა, ვუშოვ-  
ნო. მე ისე შევატყე, რომ აქვს და თუმცა ძალიანა ვთხოვე გა-  
მოგზავნა შენთვის, მაგრამ, როგორცა სჩანს, არ გენდობა, შეგრე-  
ლი ხარ. საყიდელი რომ ყოფილიყო, სადმე, დაწმუნებული იყავ,  
გიყიდდი.

გიგზავნი ოტტისკს, რასაკვირველია, შავს; შეუდექით ბეჭდვას-  
 ჯერ უნიფხვოდ იბეჭდება, ე. ი, უასოებოდ, უკანცოვკებოდ, უბორ-  
 დიურებოდ, უსათაურებოდ. შემდეგ როცა გათავდება მთელი წიგ-  
 ნი, მაშინ ხელახლად დაუბრუნდებით და ფერადით დავბეჭდავთ ამ  
 შორთულობას წიგნისას<sup>2</sup>. ყდა კარგი გამოდის, სურათებსაც არა  
 უჭირს-რა. ნახავ თუ ჩვენმა პირველმა დალაქობამ არ გასჭრას,  
 წიგნი 1 იანვრისთვის ვგონებ გამოვიდეს, ბევრი თავში ცემა უნდა:  
 ხელახალი რედაქცია სჭირდება ნიშნებისა და ორთოგრაფიის მხრივ.  
 შეგებრალები რომ ნახო ჩემი სიტყვების სია, სად, რა, როგორ უნდა  
 იწერებოდეს: შექმნა თუ შეჭქმნა, სდას თუ დის, სულთქმა თუ  
 სულ-თქმა და სხვა ამისთანა დავიღარაბა. მგონი რუსთველს ფე-  
 ხებზე ეკიდა ამისთანა ორთოგრაფია და იქნება ამ საგნის მასწავ-  
 ლებელს ორი შინაურად დაესვა მისთვის და ჩვენ კი თვალსა და  
 გულს ვიწყალებთ. როგორ მოგეწონა ოტტისკი, მომწერე, მაგრამ  
 გულს კი ნუ გამიხეთქავ. დულადის<sup>3</sup> შენიშვნები მეყოფა. იმ დღეს  
 ერთი ყოფა დამაწია, როგორ თუ არ იცი „გარტი“ რა არისო-  
 ერთი ყოფა დამაწია და კი არ ამიხსნა. შენ კი იცი, იონა! თუ  
 იცი, მანდელამ მაინც მიხსენი. ყველას მოგეწონა ეს ოტტისკი. იმე-  
 დია, შენც მოგეწონება, თუ ეს იმედი ჩვენებურ მოწინავე წერილე-  
 ბის იმედს არ ჰგავს.

სხვა რაღა მოგწერო. თეატრს კარგს ვაშენებთ, მაგრამ სა-  
 თეატრო პიესები კი არ იწერება-რა, ლიტერატურაშიაც ვსუსტობთ.  
 ნაკოლაძე<sup>4</sup> Обзорение-ში პოლიტიკო-ეკონომიკობს, ილია<sup>5</sup> ამ-  
 ზადებს ряд передовых статей о производстве хмеля  
 вообще, на Кавказе—в частности. მე ოტელო<sup>6</sup> გაუთავებელი  
 შემექნა, მაგრამ იმედია, მალე შევუტევ ჩემებურად. ილია ეხლა  
 საგურამოშია და აპირობს თურმე შოთა რუსთაველზე ლექციების  
 წაკითხვას. ტყუილად კი არ ამბობს დავით ერისთავი<sup>7</sup>, რას ჩაა-  
 ცივდით ამ შოთა რუსთაველს, მამაჩემმა რაღა დააშავა, რომ იმას  
 კი არ ახსენებთო.

ნახვამდის ჩემო იონა შენს კარგ ამბამდის.

შენი ი. ვ. მაჩაბელი.

თუ შენ ჩაიზუღდიდებ და ჩაისურმუშებ<sup>1</sup> ხოლმე, ჩემო დაუდგრო-  
 მელო იონა, მცც ვიცი ხანდისხან თამარშენის მონახვა, — და აი შე-  
 ნი წერილი, სწორედ მეორე დღეს მომივიდა თამარშენში მისვლის



შემდეგ. მიამა, გულ-ახდილად გეტყვი, შენის წერილის მიღება, მაგრამ (ს კი არ მიამა, გულახდილადვე გეტყვი, რაც შიგ ამოვკითხე. შენ, ჩემო ძმაო, მომიკიდებ ხოლმე, მეტყვი შენს მეტი ვერავინ გააკეთებსო, და ვინ იცის რას არ მაკისრებ. აბა, რა ჩემი საქმეა ვენზელების ყურისგდება, ან რომელი ესტეტიკი ვარ, რომ სასახლის შესაფერი რამ მოვამზადებინო... მაგრამ... ჩვეულებას ვერ წაუვედი და ალექსანდრე ჭავჭავაძის<sup>3</sup> არ იყოს... „კისრად ვიღე და დავდუმდი“. დავდუმდი კი არა, ე<sup>4</sup>თი კარგი ჭრელი წერილი მივწერე ავგაროს<sup>4</sup> და ავუხსენ ყოველისუფრი შენგან მოწერილი.

ისიც ურჩიე, რომ ჩემს ჩასვლამდის შეუდგეს საქმეს, მხოლოდ ის დაუმტე შენს აირს, რომ უმიხნო არ იქ ება თუნდაც პატარა, უფრო უნოიანი და მკვიდრი იყოს, მაგ. ტყავისა ხავერდ-გადაკრული და ოქროს ვარაყით გვერდებზე, როგორც შენ იწერები, თუ არ დაიზარა გიგომ<sup>5</sup> და ქართველიშვილთან მივინა ამ საქმეზედ, ძალიან კარგი იქნება, მაგრამ მე ეტვი მაქვს, რომ ჩემს ჩასვლამდის ხელი მოჭკადოს. მე თბილისში ჩავალ 18-სან 19-ს და მაშინ უნდა შეუდგე ზიჩისთვის<sup>6</sup> მოსამზადებელ „ვეფხისტყაოსანზე“ ზრუნასაც. ეს, ვგონებ ნაკლები საჭირო არ იყოს—თორემ წგნი დიდი ხანია გამოვიდა და ზიჩის კი არას ვუგზავნათ, კიდევ კარგი, რომ Новое Обозрение-მ და „ივერია“ (თუმცა, მგონი, ზიჩი არც ერთს არა კითხულობს) ხმა არ ამოიღეს წიგნზე, თუმცა გამოსვლამდე ყურები გამოგიჭედეს: აი გამოდის, გამოდის და კნალამ ყიფშიძემ<sup>7</sup> ისიც კი არ ჩააგდო გაზეთში შევევრემანი ამწყობი აწყობდა წიგნს, თუ ქერა. ბევრი რამა მაქვს მოსაქეოი, მაგრამ ქალაქი მითავდება და აი რას მოგწერ მხოლოდ გაკვრით, რაც გაზეთში არ ყოფილა.

ილია<sup>8</sup> რუსეთში წავიდა, რალაც სტანციაზე, რალაც საქმი ათვის, ვილაც მოიგანა სავურამოში და თუმცა მე და შენსავით— ცნობის-მოყვარენი ამბობენ, რომ მილიონებს ელოდა და ელის (გაურკვეველია) მაგრამ ჯერ არაფერი ახბავია და როცა ილიას ამ საგანზე ჩაოუგდებენ ლა არაკს, ჯავრობს.

ილიას წასვლის გამო დროებით ანუ „ზა“ რექტორობა ჩაუვარდა რაფიელს<sup>9</sup> და ამ ანბავს უნდა ვუმჯლიდეთ, მთაურ ბს ჯიბკირების მენებლობაზედ. საწყალი რათიე ი, ე ედება კი ზა-ზრედს დატელობა, ზარექტორობა, ზაეტნოგრაფო და მე რომ ბაქოშიც ვიყავ, ეხლახან— ზად რექტორადაც კი იყო. ჩენს პარციაზე მე ჯერ არ იფიქრია, სოფელში ვარ და ვსვე ეა от трудов. შენ რა ქენი შენის ორბელთანისა<sup>10</sup>, იმედი გაქვს დაბეჭდო თუ არა? ნაკამიდე და იმტკიცეს თუ ნართლა გადაყენეს? Бедный современный Накашидзе.

შენი ერთგული ივ. მაჩაბელი.

2) ნოემბერი, 1900 წ.

ქ. თბილისი.

ძვირფასო ძმაო იონა!

ტფილისში შესდგა თ. ივანე გიორგის-ძის მაჩაბლის პარტიის-მცემელთა წრე, რომელმაც განიზრახა გამოსცეს კრებული ამ სათაურით: „სახსოვრად თ. ი. გ. მაჩაბლისა<sup>1</sup> კრებული“. კრებულში, სხვათა შორის, იქნება მისი სურათი და ვრცელი ბიოგრაფია. ამ საქმის გამო შემდგარმა კომიტეტმა დამავალმა მე, გთხოვით მისი სახელით, რომ შენ იქისრო ბიოგრაფიის შედგენა. საჭირო მასალას კომიტეტი დიდის მადლობით მოგართმევს და ამ მასალას, რომელიც კომიტეტს დღეს ხელთ აქვს და რომელსაც კიდევაც აგროვებს, თუ თქვენსაც ძიუმატებთ, თქვენს ხსოვნასა და მოგონებებს ივანე მაჩაბელზედ ზედ დაურთავთ, მაშინ ხომ მისი ბიოგრაფია „ხელისხელ საგომანებელ მარგალიტად“ გადაიქცევა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ იქისრებ ამ შრომასა. თუ, ვი იცობაა, მოუცუელობისა გამო ვერ იქისრებ,—მე კი სულ სხვას ვთქვობ,—მაშინ შენი მასალა, ხსოვნა და მოგონებანი მაინც მიაწოდე კომიტეტსა. იმედი ნაქვს ამის პასუხს მაჲე გვაცნობებ. სურათი პარიჟში გაუგზავნეთ თ. გიორგი ბ-გრატიონ-დავითაშვილს<sup>2</sup> ამოსაჭრელად და დასაბეჭდათა.

შენი ძმა და მეგობარი სოფრომ მგალობლიშვილი.

42.

ტფილისი, 1888 წ., აპრილის 28-ს.

ძმაო იონა!

ამ დღეებში გრიგოლ ორბელიანის რძალს, ქეთევანს<sup>1</sup>, გადაეცა ილია ჭავჭავაძის იუულ სათვის, ოლგასათვის, გრიგოლის<sup>2</sup> წერილები შენთვის გადმოსცემ. დ, წერილე ი მე გამოვართვი, ბლომად არის, 10-2 წლიდამ უკანასკელ ხნამდ ს, წერილებია ქეთევანთან შნაურ საოჯ ხო საქეებზე, ბევრი მასალა, შენატყობინე სად გმ-გიგზავნო, თუ შენ ჩამოსვლამდე გინდა მღება, აკრესი მაცოდინე.

ჩემი ადრე<sup>3</sup> ი: Около анчисхатской Церкви, в доме Гвиниевой.

ქა-აქში დღეი ა ბებია და შენ კი აქ არა სარ, ოქსფორდს პროფესორ კონებაოს სომხეთმა სადილი აქამს, აბგარ იონანესია-

ნის<sup>4</sup> თამაღობით; ეფრუსის<sup>5</sup> და მისთა სხვათა, ერისთავმა დავითმა<sup>6</sup> ქალაქის ბანკელებით, სომხებით და ქართველებით, ორის გენერლით (ერისთავით<sup>6</sup> და ქიშმიშოვით<sup>7</sup>) და აზგარი იოანესიანის თამაღობით სადილი აჭამა. ახლა მეორე პროფესორი მოაფილია აქა და მაისიც მოდის, სადილი უნდა მოჰყვეს, შენ კი აქ არა ხარ, ეფრუსის სადილზე სუყველას ენა ჩავარდნიათ, ქართველებსაც და ფრანცუზებსაც. მარტო იოანესიანი შეტყველებდა თურმე.

შენი პეტრე უმიკაშვილი<sup>8</sup>

43.

ტფილისი, 28 იანვარს, 1891 წ.

იონა, შენი თავობა უნდათ ფოთშიო, ამბავი გვესმის, ტფილისში ცოტათი ეჭვობენ, მაგრამ შენს ამორჩევას ამჯობინებენ დიმიტრი დადიანისასაც<sup>1</sup> და ვახრამოვისასაც<sup>2</sup>. შენი იმედი აქვთ, უკეთესი იქნება და ამ ანდაზის ძალით უნდა გადასწყვიტო კიდევ ერთს ქვეყანაში უკეთესი ვერა ნახესო და ვირი ყალიათ დასვესო, შენ თუ რაიმე ყოყმანობ, მეორე ანდაზა მოგებმარება: სხვა სხვის ომში ბრძენიაო.

თუ მართლა შეიდანზე გამოსულხარ, ჩანს გრიგოლ ეპისკოპოსის<sup>3</sup> მეგობრობა არ გიშლის, რომ მის ძმას შეეკამათო, მაგრამ რაღასაც ყური მოგკარი, ვითომ ყოყმანობდე ახლა და არ აპირობდე კენჭის ჩამოტარებას<sup>4</sup>. დიდი შეცდომა იქნება შენგან და ამ წიგნს ამიტომ გწერ, დღეს თუ ვერ გაიტანე ბურთი, ხვალ შესაძლებელია, თუნდა ესეც არ გეგულეობდეს, იმისათვის მაინც საჭიროა, ხალხში იცოდეს, რომ არიან ისინიც, რომელთაც დიმიტრი დადიანი უვარგისად მიაჩნიათ საზოგადო საქმეში, ქვეყანა ლაპარაკობს მანდღამ აქამდისინ, რომ „დადიანი ჯე კაციო“. დრო არ არის, რომ საჯაროდ მაგანაც თავი იცნას? და თუ არ ესმის, არ უნდა ჩააგონოთ?“ აი ამიტომ კიდევ, რაკი დაგიყვია საქმე და ბევრსაც ლაპარაკობენ შენზე, კენჭი უნდა ჩამოიტარო და ჩამოიტარო, რაღა ყოყმანი უნდა, დადგი ყუთი, თუნდა ხუთი კენჭიც არ გერგოს, ეგ სირცხვილი ამომრჩევლებისა იქნება და მაგის ნაყოფს ისინი შესჭამენ და შემდეგ ჭკუას ისწავლიან.

შენი პეტრე უმიკაშვილი

ტფილისი, 14 ოქტომბერს, 1891 წ.

იონა! მშენიერია მარია<sup>1</sup>, ვახტანგ ორბელიანის ქალი, ამ დღეებში დაბრუნდა სამზღვარგარეთიდან და აპირებს მამის<sup>2</sup> ლექსების დაბეჭდვას. წუხელის გამოცემის თაობაზე, მ. სთან ვაყაკით, გოგებაშვილი<sup>3</sup>, თაყაიშვილი<sup>4</sup> და მე. დაიბეჭდება სურათით, ბიოგრაფიით და წინასიტყვაობით, ეს წინასიტყვაობა და ბიოგრაფია შენ მოგანდეს. ამისათვის მასალები უნდა შეეკრიფოთ და გამოგიგზავნოთ, როგორც მახსოვს, ფოთში ყოფნის დროს, ამაზე მოგელაპარაკე და შენ, ვკონებ, უარს არ იყავი, რომ გეტვირთნა. ახლა გთხოვთ დაუყოვნებლად და გადაწყვეტით მაცოდინო, ტვირთულობა თუ არა?

ჩვენ ამ ერთი, თვის განმავლობაში შეუდგეთ ლექსების ბეჭდვას და ყოველ ფორმას დაბეჭდვისთანავე გამოგიგზავნით წინასიტყვაობისათვის. მანამდე კიდევ თანდათან მასალასაც მოგაწოდებთ.—რადგანაც გამოცემა რიგიანი იქნება (კარგი ქალაქი, ინიციალები, ყველა ლექსი ახალის გვერდით) ძვირათ ჯდება, 500 მანეთამდე, და მეტის დახარჯვა ვერ მოუხერხებია მარია ვახტანგონას, ამიტომ შენი შრომის ფასზე არავის უფიქრია. ამ წერილის დროს მომაგონდა და ამას გაცოდინებ, რომ მოლოდინი არ გქონდეს, რას იტყვი ამაზე; შემატყობინე, იქნება სხვა საქმეცა გქონდეს და მუქთად მუშაობა ვერ მოახერხო!

ლექსების რიგი თვითონ განსვენებულ ვახტანგსა აქვს აღნიშნული, ხაგრამ მე ურჩევ ხრონოლოგიურის რიგით დაბეჭდვას. ჯერ გადაწყვეტილი არა გვაქვს. ლექსები ცალ-ცალკე გადაწერილი მზათ არის. ავტორის სიცოცხლის დროსვე მოვამზადე. განსვენებულს დაულაგებია, მაგრამ მაინც არეულად დაულაგებია და ვგონებ არ ვარგოდეს. მომწერე შენი აზრი და საზოგადოდ შენი შენიშვნა და რჩევა გამოცემის შესახებ.

აკადემიის ასოთი აიწყობა.

ქალაქის ამბები რა მოგწერო, დავით ერისთავის<sup>5</sup> წლის წირვა იყო, ძეგლი დაუდგეს, ხუდაროვიჩის<sup>6</sup> მოდელით. ბიუსტი იტალიაში გაუკეთებიათ, სახე ძალიან ვერა ჰგავს, უკანა მხარე თავისა, კინკრიხო და კისერი უფრო ჰგავს. ვიდრე პირი. კვარცხლბეკი კარარის მარმარილოსი, არ მოწონს, უფრო ტლანჭი, რაღაც რუსული სტილისასა ჰგავს, ერთი სიტყვით ვერ არის მხატვრობითი ხელოვნება. არ ვიცი ვინ ყოფილა მოდელის მოწონი და ამრჩევი. წირვაზე მშენიერად ჰგალობდნენ ქართულად, ამისთანა



გალობა შეწყობით და შეხამებით ჩემ დღეში არ გამიგონია, მაშასადამე, წამატება ჩნდება ქართულ გალობაშიაც, ალექსანდრე ეპისკოპოსი<sup>7</sup> წირავდა.

ილია ჭავჭავაძე<sup>8</sup> ჩამოვიდა, გაკეთებულა, წამლობას ურგია, ზახარინს<sup>9</sup> უწამლია, ახლა იმის ლექსების ბეჭდვას შეუდგებიან. გამომცემელი ამხანაგობა ბეჭდავს.

აკაკის<sup>10</sup> ამბავი არა ისპის რა, ამბობენ ანეგრიზმით ავათ არისო, ადრესი წინდა ვიშოვნო და მივწერო წიგნი. მისწერე რამე გამმხნეებელი. ვგონებ არაგან არაფერსა სწვრდეს, იმის ლექსებსა სთარგმნის ველიჩკო<sup>11</sup> და ჰბეჭდავს Сев. Вестн.-ში და Русск. Мысль-ში. ველიჩკოს ლექსი Нива-ს თვ ურ წიგნებშიაც არის, უკანასკნელ ნომერში Цар. Тамара „ივერიის“ საქმე არ ვიცი როგორ წავა, ჯერჯერობით სძინავს, ხანდახან კალამი გაუსვ-გამოუსვია და გამოგზავნე რამე.

იზმაილოვი<sup>12</sup> წასულ კვირას გააშავეს, ხელმეორეთ აპირობსო კენჭის ჩამოტარებას.

ქალაქის ზამთრის სეზონი ნელნელა აპირებს გაჩაღებას თეატრებში, დუმა იუწყება, აქაური მუზიკის მოყვარენი აპირობენ ოერების გაძარტვას, ქართველი ჩემუსიკენიც აპირობენ ოპერეტების დადგმასაო, „ივერიამ“ გვაცნობა. მე არა მჯერა, ქორიძე<sup>13</sup> და ძნ ლაძის<sup>14</sup> ქალი რასმე მოაქეზებენ? მაგრამ ერთი ორიოდ რა თუ დასდეს, იმისიც მაღლობელი უნდა ვიყოთ. სომხური თეატრი კარგად მუშაობს, ქართული-კი მეტად კოჭობს და ხალხი იმდ რება.

ქალაქში ამბობენ, კალისტრატე ჩიკვაძე<sup>15</sup> ბანკს თავს ანბებ-სო. აბა ახლა შეუდგებათ იმერლებს ხათაბალა. თუ მართალი გამოდგა ეს ხმა, მოდი იონა და გაბედვ გამოსვლა. ჰა, რას იტყვი?! თუნდა ჩავაქვან, ვამოდი..

ჩემი ადრესი: близ Анчисхатской церкви, Багратионовская ул., дом Гвиниевой.

წერილი არ დააიგვიანო, დღესვე პასუხი მომწერე.

შენი პეტრე უმიკაშვილი.

45.

ბათუმი, 5 სექტემბერი, 1896.

ძმაო და ბატონო იონა!

მივიღეთ თქვენი წერილი 1-ა რიცხვისა, როგლითაც ნიკოლოზ ბესარიონიძეს ლოლობერიძეს<sup>1</sup> სთხოვთ დახმარება აღმოჩინოს ზუგდიდის გალავას, სპირიტონ აბესაძეა.<sup>2</sup>

აგერ სამი თვეა ბატონი ნიკოლოზი სამხედვარგარეთ იმყოფება და მის დაბრუნებას ოქტომბერში მოველით.

ოქტომბრის შუა რიცხვებში რომ გაისარჯოთ და გაახსენოთ ბატონ ნიკოლოზს, კარგი იქნება, თქვენი წერილის გაგზავნა სამხედვარგარეთ არაფერ სარგებლობას მოიტანს და ამიტომ მოგახსენებ, რომ სჯობია მის დაბრუნების დროს მოუცადოთ და მაშინ განაახლოთ თქვენი თხოვნა.

წინადავე ზემოქალი ვითქვო, რომ ბატონი ნიკოლოზი ჩვეულებებისამებრ არ დაიშურებს თავის დახმარებას, რამდენადაც მას შეუძლია.

მოკითხვისათვის დიდი მადლობა, ისეთი, რომ შეითანბაროდამ გარეთუბნამდის (კიდევ ქალაქში ვიყო თითქოს) არ ეტეოდეს.

შენი პეტრე უმიკაშვილი.

46.

ბათუმი, 19 სექტემბერი, 1896.

ძმაო იონა!

შენი წერილი, 11 ა/თ რიცხვისა, მეორე დღესვე მივიღე, მაგრამ აქამდინ მოცალეა არ მქონდა და ვერ აგისრულე თხოვნა.

ცალკე ბა დეროლით გიგზავნი სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში შესატან ქალაქის ორს ეკხემპლიარს, იქიდან დაინახავთ რა ცნობა უნდა შეიტანო და შიგვე ჩასწერო, დოკუმენტების წარდგენაო: შეიძლება ვვოდნი ლისტ, კუპჩა.

უპრავამაშლისა, ეილ იის მოწმობა ვაჭრობაზე, კონტრაქტები მოძრავ ქონება ე, ხელის მოწერა (подпись) უნდა იყოს პოლიციისაგან დ მოწმებელი, ან ამისთანა კაცებისა, რომერ საც ბანკი იცნოს. ეს ყველა რაც ჩა წერება უმარკოთ წარედგინება ბანს.

უჩრტნი კოჩიტეის წევრები არიან: ბლეი<sup>1</sup>, ბურ, ჰარდტი<sup>2</sup>, ლოლობერიძე<sup>3</sup>, ნ. საბაივი<sup>4</sup> (და არა საბაშვილი, ბათუმში ამის გვარზე განსხვავება ესაა), ვაძელ-ვი<sup>5</sup>, ბაიან<sup>6</sup>, ზროდლოვსკი<sup>7</sup>, სიმონოვი<sup>8</sup> და ოპ ნეზოვი<sup>9</sup>, ცხრა კაცია.

ესეც შენი პორუ ისია!

თუ რ მე გეჭირვება, კიდევ შემატყობინე, მოგწერ.

გიმენეის ბორკილი (ძეწკვი) ვერაფერი რამ არის, მაგრამ მონებრხებაც კი შეიძლება, სე მოეწეს საქმე, კალამიც გეჭიროს და ბაღებს ბაშააკიც უყადო, კაბაც ჩააცვა, რადენი იყვნეა ჩვეაში,

მე დალოცვილო, ყველაფრით სრული ვინ არის და სად არის, მე არა მგონია წერის უნარი არ მოგივიდეს, ოპ რა რამ ყოფილა ეს უნარი.

ქალაქში ჩასვლას არ ფიქრობ? იქ დაბინავებას რამე საქმეზე?

შარშან „მომამბეში“<sup>10</sup> დავწერე ერთი წერილი (მგონი თებერვლის ნომერში, 1895 წლისა) „გასამრჯელო მწერლობისათვის“. მე ძალიან მაფიქრებს ჩვენი მწერლობის მდგომარეობა, რომ მწერლებს საცხოვრებელი უჭირთ და გზაკვალი დაბნეული აქვთ, — წერით ცხოვრება შეუძლებელია, ჩვენში ჯერჯერობით ხელობად არ არის გადაქცეული (შენი აზრია). სხვა ლონე არ არის, ვისაც წერა უნდა და მისთვის სამსახური, ის უნდა ტფილისში დაბინავდეს და საცხოვრებელი სახსარი იქ გაიჩინოს, ტფილისის გარეთ, ჩვენს მდგომარეობაში, საქართველოში არც ერთ ქალაქში და სოფელში არ შეიძლება მწერლობისათვის მუშაობა ხეირიანი, ნაყოფიერი და შეუსწვეტელი. ერთად ერთი კუთხე ტფილისი გვაქვს, ვაი, თუ ვაგლახი, ის არის და ის. ტფილისს გარეთ მწერლის სიცოცხლე სიკვდილია, გონება სულ ჩვენებურ წვრილმანებზე იხარჯება, იდეას და აზრს ფერი ეცვლება, ხუნჯება. კაცს ძალის-ძალათ ტვინში უჯდება ვიღაცა კაცი თუ ქალი, იმის ცხოვრება, იმის ავლადიდება, (დაზიანებულია—რედ.) ჭირი და იკარგება საზოგადო აზრი, საზოგადო მოსაზრება, სულ წვრილმანდება.

ხანდახან საშინელ გრძნობაში ვარ, რუსულად რომ იტყვიან: Я прихожу в ужас, ამ აზროვნების დაკარგვისაგან და კერძო პირადი ინტერესებით გართობისაგან, ან მასზე დამყარებისაგან.

მე ამას საკუთარ ჩემ მოსაქმეობაზე კი არ ვამბობ, ლოლობერიძის კანტორაში რომ ვმუშაობ, ამას საზოგადოდ ვამბობ და რასაკვირველია მეც მასში ვურევივარ.

რამდენი შეიძლება ამაზე წერა და ლაპარაკი, სად წავა. შენ იძახი ეს შეშა, წყალი, სახლი, ძროხა და ურემი, გადასახადი და სხვა და სხვაო. რაც უნდა თქვა, ის, კალამი, რომ თავიდან არ ავცილდება, ჰა რას იტყვი? არ უნდა იმას ფიქრი? ჩვენში რომ ჯერ არ გამტკიცებულა მწერლობა, კალამი, იმას რა უშველოთ, მის გამტკიცებას? არ უნდა ვიფიქროთ, ვიმუშაოთ, ვეწვალოთ და ჩავიშხამოთ დღე? ოპ როგორი მწარე ტკივილი მისერავს გულსა და სულსა.

ქალაქი თავდება და წერტილი უნდა დავსვა, მაგრამ ვერაფერი წერტილი ვერ დავსმის სულის ტკივილსა.

შენი პეტრე უმიკაშვილი.

ტფილისი, 1 მარტი, 1904.

## ძმაო იონა!

ვიგზავნი ნ. ლოლობერიძის<sup>1</sup> წერილს, რომელიც გუშინ მივიღე ზიტცადამ. შენი ადრესი არ სცოდნია და მოხვს გამოვგზავნო შენთან.

დავიწყებია ბერლინში ნახული ჩარჩოები და ველარც ჩვენ ავუხსენით, რა ტაბლიცაა ჩარჩოებზე რო ვწერდით. მაინც მალე აპირებს დაბრუნებას, ასე აპრილში, და მაშინ გავათავებთ ამაზე ლაპარაკს და გაკეთებას. მანამდის მე მივწერ პარიჟში და ავუხსნი, იქნება პარიჟში ან გზაზე ვენაში ნახოს იმგვარი მოძრავი ჩარჩო-ტაბლიცები და უკეთესად მოვაწყობ.

ახლა ნიკო ესპანიაში იქნება მოსავლელად. ბარცელონაში ზროსესს შვილია, ვგონებ რურის კონსულად, ამხანაგია ნიკოსი უნივერსიტეტში და მეგობარია. ამ დღეებში მივწერ პარიჟში წერილს, რომ მივა იქ დაუხვდება.

ახალი ამბავი. გუშინ გალიცინს<sup>2</sup> მიულოცნია ერევნის ვიცე-გუბერნატორ ნაკაშიძისათვის<sup>3</sup> გუბერნატორობა ბაქოში. ეს ამბავი თვითონ ნაკაშიძისაგან შევიტყვეთ, დავით სარაჯოვის<sup>4</sup> სადილზე. კარგი კაცია და გუბერნატორადაც კარგი უნდა გამოდგეს, ვგონებ.

სხვა რა მოგწერო, გრენის<sup>5</sup> გაზეთი მოვიდა ტფილისში, „როსია ი აზია“—პაწია გაზეთია, კიევში გამოდის, საძაგლობაა შიგ, აქამდის გაზეთი შევაჩერეთ უსახსრობის გამო, ახლა ფეშქაში მივიღეთ და ისევ შეუდექით გამოცემასაო. „ივერია“ წარმოსდგა სიტყვისაგან „ვირი“, რომაელების სიტყვაც აქედამ წარმოსდგა და ამიტომ ქართველები თავისთავს ვირის შვილებს უწოდებენ. წერილი О Божественном происхождении Царицы Тамары გინებით და საძაგლობით სავსეა. ერთი ალიაქოთი ასტუხა ამ წერილებმა, მითქმა-მოთქმა. ჭკუაზე შერყეული კაცის ნაწერებსა ჰგავს (კიევის უნივერსიტეტის პრიატ-დოცენტი), თუ ეს მართლა გრენის ნაწერია და არა ყალბი ნამუშევარი სხვისი ვისიმე, უნდა ვიფიქროთ, რომ გრენი ნორმალური კაცის ყოფაში აღარ არის.

სერგეი მესხის<sup>6</sup> ნაწერების დაბეჭდვა გაუთავებიათ. აპირებენ მის მოხსენებას და ჩამცივებიან სურათი—სცენისათვის, დაგვიწერო. დავიწყე და გამიჭირდა კი. არ ვიცი გავათავებ თუ არა და გამოდგება თუ არა. ცოცხლებას გამოყვანა ვერ იქნება კარგი, მკვდრები რომ შევყარო, როგორც სამზადისში, ტიპიური ცოტა იქნება: ცენტრი სერგეის სულის მოძრაობისა—წერტილი თვალისა—



რელიეფურად სანახავი... გამიძნელდა... ვნახოთ რა გამოვა, და გამოვა თუ არა, ისრეც, რომ დაახასიათოს სერგეი და მაყურებელსაც არ მოსწყინდეს, ნამდვილი სურათი დაინახოს, ცოცხალი სურათი და არა მქისე.

შენ რა ქენი, დავით ერისთავის ბიოგრაფია<sup>7</sup>, როგორ მიდის? მე მგონია, კარგი იქნებოდა დაწერის შემდეგ წაგეკითხა შინაურულად, ნაცნობებში, აქ, ტფილსში და ქუთაისში. იქნება კითხვის დროს ვისმე რამ მოაგონდეს და ჩამატება მოგიხდეს. რა მოახერხებდე რა კარგი იქნება.

კაცო, ეცადე როგორმე ტფილსში გადმოხვიდე. შენი ყოფნა ტფილსში ძალიან მენატრება, მანდ უფრო მოწყენილობაა, აქ შენთვისაც და ჩვენთვისაც შემატება იქნებოდა. ორიოდ მეგობრები ერთად მაინც ვიქნებოდით ჭირში და ლხინში.

ნუ დამტოვებ, ხანდახან წერილის მოუწერლად, ხომ იცი? „არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“<sup>7</sup>.

შენი პეტრე უმიკაშვილი.

48.

იონა! როდესაც ამ წერილს მიიღებ, ამ დროს ალექსანდრე ცხველაძე<sup>1</sup> უნდა იყოს ჩამოსული ქალაქში, საიდგანაც მეორე, მესამე დღეს გამომგზავრდება აქეთკენა. გთხოვ როგორმე აპოვნინო იგი და გამოატანო ჩემთან, კავთისხევე ში, გრამატიკა იოსელიანისა<sup>2</sup> და ჩუბინოვისა<sup>3</sup>. მეტადრე საჭიროა ჩემთვის უკანასკნელი წიგნი. სასულიერო სასწავლებლის და სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკებში ბევრი ეკზემპლარი ღებება უხმარებლად ამ წიგნებისა და ადვილად გამოატანიებ იქიდან ნაცნობებს. მათთან გამომიგზავნე 50 ეკზემპლარი წიგნის გამავრცელებელი საზოგადოების წესდებულებისა. — როგორ მიდის სახელმძღვანელოს ბეჭდვა? ხომ არ აგვიანებენ? თუ ქართულ სათაურს ვისმე დააწერინებ იმ გვარი ასოებით, როგორიც არის სამშობლო ხმების სათაური და ჩემი ხარჯით ხეზედ ამოაჭრევენებ (ამომჭრელს მიგასწავლებს ზ. ჭიჭინაძე<sup>4</sup>) ძალიან კარგს იზამ და მადლობელიც დაგრჩები. მხოლოდ ასოები უნდა იყვნენ არა დიდები, არამედ საშუალო ტანისა, რადგანაც ქართულ სათაურს წიგნის ყდაზედ ეჭირება მეორე ადგილი. მოკლე დარიგებას მასწავლებელთათვის გამოგიგზავნით აგვისტოს პირველ რიცხვებში. იგი დაიბეჭდება წიგნის ბოლოსა<sup>5</sup>.

აქ ახლა საშინლათა ცხლა; ჰაჰანაქებისაგან კაცს გული უღონ-

დგება. თბილისი ხომ ახლა უნდა იყოს გახურებული თონე, მტვრით, ბულით და ვაივაგლახით სავსე.

თუ არ დაიხარებ, წერილი რომწერო, მანდაური ანბები შემატ-  
ყობინე და თითო ეკვემპლიარი დაბეჭდილი ფორმებისა გამოიგ-  
ზავნე ცხვედაძის ხელითვე.

შენი ერთგული იაკობ გოგებაშვილი.

P. S. ამ ბარათს გიგზავნი „ივერიის“ რედაქციაში, რომელიც  
გარდასცემს ალექსანდრე ცხვედაძესა, შიგა ვწერ, სხვათა შორის,  
რომ შენ უთუოდ გნახოს. ახ შენ შეგვხვდება და ან რედაქცია  
იპოვის.

1879 წელსა

ივლისის 11-სა დღესა.

49.

იონა!

ჩემს დროებით მოსანსახურეს მოუხდა ქალაქში დაბრუნება  
თავისი ნამდვილი ბატონის საქმეზედ. ვსარგებლობ ამ შეთხვევითა  
და გწერ ამ ჩოკლე ბარათსა.

წიგნი აქამდის შეკრული უნდა იყოს, გამოიგზავნე ამის რომ-  
ტანის ხელით ერთი ეკვემპლიარი; თანაც გამოაბრუნე ორიგინალი  
სტანბაში დატოვებული. მე ზინდა თავისუფალ დროს შევადარო.  
ქალიან შიში მაქვს, პარაგრაფები გარდარეული არ იყოს და მთელი  
გამოცემის დაწვა არ მოგვიხდეს. მაშინ იქნება ჭაბან წყვეტა. Вид-  
но ты не в силах вершить чужого романа (виновать, хо-  
тел сказать произведением) корректуру. А я думал, что  
в этом деле на тебя можно положиться, как на каменную  
гору, მაგრამ მოვიცადო; იქნება სხვა საქმეებით აღიდო სამეგრე-  
ლოს სახელი. ქვათახეობას აღარ გიწვევ; ტელეეკა, რომელიც მე  
უნდა დაეჭირავებინა ამ დღეობისათვის, სხვას უქირავნია ჩემზედ  
აღრე; მონასტრის ოთახებშიც აღრევე ახლო-მახლო თავადებს დაუ-  
ჩემებიათ და სიტყვა ჩამოურთმევიათ არხიზანდრიტისათვის, სხვას  
არავის მისცეს დღეობისათვის. აქედან ფეხით თრევა, იქაც ორ  
ღამეს წოლა გარეთ, ცის ქვეშ, მთაში, ყოვლად შეუძლებელია  
ჩემთვის, და შენთვისაც ადვილი და სასიამოვნო არ უნდა იყოს.  
სამაგიეროთ მოგიწვევ სექტემბერში ხიდისთავს, სადაც შემოდ-  
გომისათვის გადავსახლდები, და იცი რაზედ?—შენს საყვარელ  
და სანატრელ რთველზედ. რა ყურძენი იცის, რომ იცო-

დე ახლავე, თვისწინეთ ნერწყვი მოგივა. ხიდისთავი ადგილი სას-  
ტურო ადგილია გორის სტანციაზედ ერთს ვერსზეა მხოლოდ.  
მაგრამ ერთი პირობით დაგპატიუებ: არ შემარც ვინო. რითი?  
იკითხავ. პირველს კლასში გაბრწყინვალებით. გორელმა დემოკრა-  
ტებმა თუ დაინახეს გენერალ ვაგონში—შენი მტერი იქნება, რომ  
ჩვენ ორივე კაკალა კაცები წავხდებით.

მიხეილ ქიქოძეს<sup>1</sup> წერილი ვერ გაუგზავნე მანდელგან და ახ-  
ლაც ვერა ვსწერ. თუ ცენზურის კომიტეტისაგან რაიმე დაბრკოლე-  
ბა დაინახო, მიხეილ ქიქოძეს ტელეგრამა გაუგზავნე და შეუთვა-  
ლე, რომ ტელეგრამითვე აცნობოს ცენზურის კომიტეტის თავმჯდო-  
მარეს, დიმიტრი ფურცელაძეს<sup>2</sup>, რომ სახელმძღვანელოს გამოცემა  
მე მაქვს მონდობილი.

როცა გრიჭუროვის<sup>3</sup> შალაზისაკენ გაიარო, ნუ დაიზარებ,  
შებრუნდი და ჩემ მაგიერ უთხარი, რომ მან ქუთაისში უოჟოდ  
უნდა იქონიოს სახელმძღვანელოს სკლადი, ან კამისიონერთა ვინმე  
უნდა გაიზადოს, თუ სურს მალე გაასაღოს გამოცემა.

შენი უერთგულესი იაკობ გოგებაშვილი.

50.

ძვირფასო იონა!

გიგზავნი სახსოვრად შენ და შენს ახლად გაცნობილ მეუღ-  
ლეს ჩემს პორტრეტს, რომელიც რამდენიმე დღის წინეთ გადავი-  
ლე, იმ პირობით კი, რომ თქვენი პორტრეტები გამომიგზავნოთ.  
ეს მით უფრო საჭიროა, რომ ახლა მე ვაგროვებ კოლექციას<sup>4</sup> ქარ-  
თველი ინტელექტების პორტრეტებისას, მართალია, შენ ხანდა-  
ხან ცალი თვალით ეთამაშები მეგრულს სეპარატიზმს, მაგრამ  
იანოვსკის<sup>1</sup> მაგ ოიენებით ვერ მოატყუილებ, და რაც უნდა ჰქნა,  
დარბები სამუდამოდ გაფრანგებული ქართველი, ანუ გაქართველე-  
ბული ფრანგი, მაშასადამე, თვინიერ თქვენი პორტრეტებისა, ჩემი  
კოლექცია სრული არ იქნება. ძალიან კარგს იზამთ, თუ რამდენსა-  
მე დღეს დარჩებით თბილისში და როინოვს<sup>2</sup> გადაატყუებინებთ  
პორტრეტებსა. თბილისიც გაცნობას ითხოვს და დაეძღურება შენს  
მეუღლეს, თუ აგრე ადრე დასტოვებთ მას. ფიქრი ნუ გაქვთ, შავი  
ზღვა იმდენს უზრდევლობას არ ჩაიდენს, რომ ფოთი წალეკოს შენს  
აქ ყოუნაში.

თქვენ ბედნიერების მოსურნე იაკობ გოგებაშვილი.

P. S. ეს ფოსტის ქაღალდი იმითია შექანიშნავი, რომ გუშინ-წინ ლოტა-  
რიაში ნაღდადა მხვდა.

კიევი, 1878 წ. მარტის 6.

ჩემო დაუვიწყარო, საყვარელო ძმობილო იონა!

ძლივს, ძლივს ჩავიგდე ხელში შენი ადრესი. მას აქეთ, რაც ბედმა ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორა, შენი ამბის, შენი ცხოვრების შეტყობინების სურვილი, ვგონებ, არასდროს არ მოშორებია ჩემს გულსა და გონებას. შენმა ხასიათმა, შენმა პიროვნებამ — ჩემო მეგობარო იონა — ისეთი, რაღაც ნათელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემში, რომ სიკვდილამდისინაც რომ ვერ გნახო, ვგონებ შენი სახე არასდროს არ გაჰქრეს ჩემის თვალებიდან. აქედამ ცხადია, თუ როგორ მენდობებოდა შენი ამბის შეტყობა, შენთან წერილის მოწერა, მაგრამ აქამდეც მე შენი ამბავი კი არა, ადრესიც ვერას გზით ვერ შევიტყვე; თედო ყორდანიას<sup>1</sup> რამდენჯერმე მივწერე შენი ადრესის შესახებ, მაგრამ ისიც ჩემსავე უცნობი იყო ამისა და სულ „არვიცას“ მწერდა. დღევანდელმა მისმა წერილმა კი სხვა გვარი ამბავი მომიტანა: მე, ამ, მის წერილიდან შევიტყე შენი ადრესი და მაშინვე ვიწყე ამ წერილის წერა. გწერ, მაგრამ გაბედვიო კი არა, რადგანაც — ვინ იცის მიიღებ თუ არა.. არც იმაში ვარ დარწმუნებული ეს ადრესი ნამდვილია თუ არა.. ყველა ამის გამოისობით ეხლა ვერაფერს ვერა გწერ. იმედია, რომ თუ შენ ეს წერალა მიიღე, მაშინ ნამდვილად შევიტყობთ შენს ადრესს და მაშინ უფრო სხვა რაქეს მოგწერთ. თედო, რომელიც ეხლა მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტია, წერს: იონას წიგნი მივწერე და არ ვიცი მიიღებს თუ არაო. მეც კიევის სასულიერო აკადემიაში ვარ. ამავე აკადემიაში არიან: ივანე გაჟურინდაშვილი<sup>2</sup>, მიხა ილუროძე<sup>3</sup> და გიორგი საძაგელოვი<sup>4</sup>. ყველა ამათ ძმური შოკითხვა შემოგითვალეს და უცდიან ნამდვილ ამბავს. შენზედ, რომ ამათაც წერილები მოგწერონ.

ჩემი ადრესი: Студенту Киевской Духовной Академии Николаю Ломоури.

შენი ერთგული მოძმე ნიკოლოზი.

... იორდან ლომთაძე<sup>1</sup> ქუთაისშივეა; ლიაძე<sup>2</sup> და ბენჭევი<sup>3</sup> ოზურგეთის სასულიერო უჩილაშიაში. ალადოვი<sup>4</sup> თბილისის უჩილაშიაში, ბერძენოვი<sup>5</sup> თელავში. ბითეშვილი<sup>6</sup> — ვლადიკავკავში რეგენტათ. გაჩეილაძე<sup>7</sup> და ივანოვი<sup>8</sup> მღვდლებათ, აბრამოვი<sup>9</sup> — აფიცრათ.



ჩემი ღირსეული ილიკო კასრაძეც<sup>10</sup> მღვდლათ. ეს წრეულს ეკუთვნის, ქორწილში მეც დავესწარ—ეს მღვდელი არის კასპის სტანციის ახლო, გომში—ამას ვანო მაჩაბელიც<sup>11</sup> იცნობს და გარდაეცი იმასაც ეს.

ვანოს ძმური მოკითხვა. მე და მაგისმა ძმამ—ვასომ<sup>12</sup> („ბავშვების ზოვლის“ მთარგმნელმა) ჩვენს სოფელში გერისობას (ვანოს ეცოდინება ეს რაც არის) გავიცანით ერთმანეთი.

მაჭახელაძე<sup>13</sup> მანდ აღარ არის? რას გაჩუმებულა, მაგრამ ან ვის მიმართოს?. მოკლდით თუ არა უფ. ნიკოლაძის<sup>14</sup> გაზეთი „ონ-ვიპ“? ჩვენ მოგვდის, მაგრამ ლამის მასზედ ხელი ავიღოთ და მივწეროთ მის რედაქტორს: „თქვენი გაზეთი რედაქტორის სტატიების უმსგავსობისა გამო, აღარ გვინდაო“. მე ნიკოლაძის პატიოსანებაზედ არასდროს მალელი უსხედულება არ მქონია, მაგრამ თუ ის ქართული ლიტერატურის, ენის უსაფუძვლოთ დამცირებას მოინდომებდა, და მერმე ისიც რუსულ გაზეთში, ვერას დროს ვერ წარმოვიდგენდი.

„ივერია“ ზოგწონს თუ არა, იონა! მე მომწონს, თუმცა რასაკვირველია, ნაკლულევანებათაც არ არის მოკლებული ის, მაგრამ რა არის უნაკლოვანებო?

აი ერთი იმ უხეირო ლექსებთაგანი:

თანამედროვე მუშის სიმღერა.

შავი არის ჩვენი ბედი,  
ტანჯვა გვიძღვის მარად წინა;  
დღეს აქა ვართ, ხვალ რა ვიციოთ...  
არ გვაქვს ერთგან ერთი ბინა!

ოღია თუ მშვიდობაა,  
შიმშილი თუ მოსავალი —  
ჩვენთვის სუყველა ერთია,  
ვართ მუდამ მშიერ-მწყურვალი!

მუშა კაცის ოფლმა-ცრემლმა  
მთლად ქვეყანა დააღბესა...  
ჩვენა ვშრომობთ და სხვა ჰხარობს...  
დახე, ქვეყნის სიმრუდესა!

მაშ, ჩვენც ხელი გავიქნით,  
ხელი მუდამ მოცარული;

სიკვდილითა თუ სიცოცხლით  
მტერს მიუწყოთ საწყაული!..

ლაჩარია იგი კაცი,  
ვინც ლოგინში მუქთად კვდება...  
საყვარლისა ტანჯვას ხედავს,  
მღვდლებისაგან იჯიჯგნება...

1877 წ. ქრისტ. 20-ს,

1877 წ. მაისის 1-ს.

მყავდა ერთი მეგობარი,  
მრთელს სამეფოს ის მერჩინა;  
მუდამ იგი თვალწინ მიდგა —  
ფხიზლად ვიყავ თუ მეძინა.

ოდეს გულში, დატანჯულში,  
სევდის ნისლები ჩნდებოდა,  
და გონებაც კაცთ ტანჯვაზედ  
სუსტი ქალივით სტიროდა;

ოდეს ძალა, ენერგია  
თითქოს სადღაც მიქრებოდა  
და ბუნებას ხალხთან ყოფნა,  
მრთლად სიცოცხლე სძაგდებოდა;

მაშინ ერთი მის დანახვა,  
სიტყვა ერთი, მისგან თქმული  
მსწრაფლად ფეხზედ მაყენებდა  
მაგრდებოდა კვალად გული...

და ხელახლად ბრძოლისათვის  
მოვეყვებოდი მზადებასა;  
მხნედ, გაბედვით, თავგანწირვით  
შევქცეოდი მომავალსა.

მაგრამ დიდხანს არ გასტანა  
ამ ძმოპილთან ცხოვრებამა:  
მალე შორიშორს წავგიღო  
უმსგავს ცხოვრების ტალღამა.

მას აქეთ „სული ობოლი“,  
ამაოდ ეძებს მეგობარს!..  
„მასწავლეთ მისი გზა-კვალი“.  
ტყუილად უხმობს მთა და ბარს!!

ამ ორი ლექსის შავი მანამდისინ მექნება, სანამ არ შევიტყობ,  
რომ ესენი შენ მოგივიდნენ. შებდეგ, შენი სურვილისამებრ მათ  
დავხვე.

ჩემს მაგივრად ეცი თაყვანი ყველა მანდაურს წმინდა საფ-  
ლავეს.

მშვიდობით ჩემო იონა.

შენი ზოძმე ნიკო ლომოური.

53.

ძმაო იონა!

გიგზავნი მამიას<sup>1</sup> ნამსახურების აღწერილობას, „მწყემსის“  
ნომერს, სადაც მისი დასაფლავება არის აღწერილი და ამას გარდა  
სამსახურიდამ დათხოვნის ბილეთიდან გამონაწერს, რომელიც კა-  
რანდაშით დანიშნულთან არის ჩასამატებელი.

ლექსები უწერია მამიას 1859 წლიდან, უფრო ადრე დაწერილი  
არ სჩანს.

უფრო უწერია 1859 და 1860 წლებში,  
1866 და 1867 წლებში,  
1871 და 1872 „  
1976 და 1877 „  
1887, 1888, 1889 და 1890 წ.

მაშ, რად იკადრა კორტოხამ ეს კორი? სად უნდა იყოს მისი სათავე? ვფიქრობ, ისევ სკოლის კედლები, სადა კოპის ამხანაგები ვარჯიშობდნენ. შეიძლება ამ თემაზე მართლაც რაიმე ამის მსგავსი დაწერა ძიებისტარიშვილმა, რომლის სიუჟეტი, როგორც მოსაწონი, ქოჩაქიძემა გამოიყენა და დასახელებული ლექსი შექმნა. მსგავსი მაგალითები, ლიტერატურის ისტორიაში მრავალია. ძიებისტარიშვილმა კი, შემდეგ ვერ მოიგონა თავისი მოწაფეობისდროინდელი ნაწერი, მაგრამ რაკი სიუჟეტი კარგად ახსოვდა, ჭალადიდელს „მიათვისებინა“ იგი. ასე და ამგვარად წარმოიშვა სათავე აღნიშნული ლეგენდისა, რომელმაც სწრაფად იცის ხოლმე გაგრცელება ჩვენს ცნობისმოყვარე საზოგადოებაში. ალბათ, ამგვარმა შემთხვევებმა ათქმევინა ბრძენს: კარგი რამ გჭირდეს, ზიკვირდეს, ავირა საკვირველი!

60. (გვ. 277).

I. „სახალხო ფურცელი“—ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში. ადრესატს ამ ლექსის შესახებ წერილის კიდებე მიუწერია. გაუგებანგე 1916 წ. 20 თებერვალს, ხოლო თვით ეს წერილი უთარილოა, ეტყობა ესეც იმ ხანებშია დაწერილი, რადგან აკაკის გარდაცვალების წლისთავი ზომ 8 თებერვალს იქნებოდა ახალი სტილით.

61. (გვ. 248).

1. პავლე (?)

2. აბიზი, გერმან ვილჰელმის-ძე (1806 — 1886), გეოლოგი-აკადემიკოსი, 50-ან წლებში დაწერა ამიერ-კავკასიის შესახებ გეოლოგიური შრომა.

3. ურუშაძე—ინჟინერი. რომელიც დაინტერესებული ყოფილა გურიის ნავთით.

წერილი ეკუთვნის დავით ალექსანდრეს-ძე გურამიშვილს (ამის შესახებ იხ. ხევით, შენიშვნებში).

62. (გვ. 248).

1. ჯამბაკურ—მამია გურიელის ძმა (შინაურობაში ჯაბას ეძახდნენ).
2. მამია გურიელი (1836—1891)—პოეტი, მამია დავითის-ძე.
3. მამია გურიელის ძიძა—მამიას მამის, დათა გურიელის სასახლის მსახურის, ჯორბენაძის მეუღლე, რომელიც მამიას გარდაცვალების შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა (იხ. „ქართველი მწერლები“ ნ. II, გვ. 74).
4. ივლითი—მამია გურიელის და, გათხოვილი ყარამან თავდგირიძეზე.
5. მამიას ცოლი მარიამ—ასული ყორხმაზ მელიქიშვილისა. მათი ქორწინება შესდგა 1868 წ., მაგრამ, როგორც აღნიშნავს პოეტის ბიოგრაფი, ისინი ერთმანეთისათვის არ იყვნენ გაჩენილნი და ორ წელიწადში გაშორდნენ ერთმანეთს (იხ. „ქართველი მწერლები“ ნ. II, გვ. 84).
6. ელენორა—მამია გურიელის რძალი, მეუღლე ჯაბა გურიელისა.
7. კირილე ლორთქიფანიძე (იხ. ხევით).

63. (გვ. 249).

1. წერილი ეკუთვნის ანასტასია ბაგრატიონ-დავითაშვილის ასულს, ივ. მაჩაბლის მეუღლეს, როგორც ხევითაც ვნახეთ, მეუნარგიას ეს მოვალეობა არ უკისრია (იხ. იონა მეუნარგიას წერილები, აქვე, გვ. 161).

64. (გვ. 250).

1. ვლადიმერი, ალშიბაია (?)—მინგრელსკის სასახლის მოურავი (ვეჭილი).
2. როგორც ჩანს ეს მეორე დავალება უკისრია მეუნარგიასა და ზემოხსენებულ ვლადიმერს, რომლის ვინაობა დაბეჯითებით ვერ დავადგინეთ. იმ ხანებში კი ზუგდიდში მოღვაწეობდა ვლადიმერ ალშიბაია, რომელსაც მივაწერეთ მაჩაბლისადმი ეს თანაგრძობა.

65, 66. (გვ. 251—3)

1. ეს ორი ლექსად დაწერილი ბარათი ეკუთვნის იმ დროისათვის უკვლამად მოხუც მოშაირეს პახვალა ლიფონავას. იგი ზუგდიდის მაზრის სოფ. ხორგის მემამულე იყო, შინაური განათლებით, ქართული წიგნების მოყვარული წერდა ლექსებს. გამოცემული აქვს ლექსების სამი კრებული: 1884 წელს (თბილისი, ხელაძის სტამბა), 1886 წელს „ლექსნი თქმულნი პახვალა რ. ლიფონავასაგან“ და 1895 წელს „ლექსნი თქმულნი პახვალა ლიფონავას მიერ“ (ახალსენაკი, თავართქილაძის სტამბა).

2. ნინუცა—ნინო, ივანე ჯორჯიკიას ასული—ი. მეუნარგიას მეუღლე (ამჟამად ცოცხალია).

3. ამის შესახებ იხ. აქვე, „იონა მეუნარგიას წერილების“ შესავალი, გვ. 140.

4. ლაპარაკია 1914 წლის მსოფლიო იმპერიალისტურ ომზე.

19. ზუგდიდის მუზეუმის შრომები.



67. (გვ. 253).

1. წერილის ავტორია მელიტონ გოზეჩია (1878—1914) — პოეტი, ჟურნალისტა, რევოლუციონერი. გადასახლებულ იქნა 1908 წელს. გარდაიცვალა ხარკოვის საკატორღო ციხეში.
2. ლევან გოზეჩია — ბიძაშვილი მელიტონისა, მასწავლებელი.
3. მიხა გოშუა — სოფელ კირცხის მც. აზნაური, რეაქციონერი.
4. ვარადებული გიორგის-ძე აფაქიძე — თავადი, მემამულე, ერთ დროს ზუგდიდის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, გარდ. 1929 წ.
5. შაშა (მიხეილ) იონას-ძე მეუნარგია (1899—1922), ვაჟი იონა მეუნარგიასი, შესამჩნევი ნიჭის პატრონი, 1921 წ. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი, 1922 წ. დაიღუპა ბათუმში, ზღვაში ბანაობის დროს.

68. (გვ. 254).

1. იგულისხმება დავით გურამიშვილი (იხ. წინა შენიშვნები)
2. მ. წერეთელი — მაშეკო წერეთელი, დაი მწერალ გიორგი წერეთლისა.
3. რ. ჩოლოყაშვილი — რევაზ ჩოლოყაშვილი, 1874 წ. გასამართლებულ 50 რევოლუციონერთა ჯგუფის წევრი. ამის შესახებ იხ. ჟურნ. „ნაპოე“. 9/21, 1907 წ. გვ. 177.
4. დოკუმენტები — გურამიშვილებთან დაახლოებული ოჯახი, რომლის წევრებს: ვლად. მიხეილის-ძეს, ელენე ანტონის ასულს და ანნა ვლადიმერის ასულს იხსენიებს აგრეთვე ი. მეუნარგიაც ამ წერილის პასუხად ოლგა გურამიშვილისადმი პარიზიდან 1877 წლ. 25 მაისს გამოგზავნილ ბარათში (იხ. აქვე, „ი. მეუნარგიას წერილები“ გვ. 143).

69. (გვ. 255).

1. ნიკო ნიკოლაძე (იხ. წინა შენიშვნები).
2. რუსუშა — ნიკო ნიკოლაძის ქალი, შემდეგ რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, ამჟამად ქიმიის პროფესორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.
3. მარუსი — კორფი (იხ. 72 წერ. შენიშვნა), აქვე ნახსენები სონია, ბლოკი, ლიზა უცნობი პირებია.
4. კეკელი, დავით (იხ. ზემო შენიშვნები).

70. (გვ. 257).

1. აქაც ნიკოლაძის ქალი, რუსუდანი, იგულისხმება.

71. (გვ. 258).

1. იგულისხმება ნიკოლაძის ქალი რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა (იხ. ზევით).
2. ნიკო ნიკოლაძე (იხ. ზევით).
3. არონი, როტშილდი — ნავთის მრეწველი ბათუმში (იხ. წინა შენიშვნები).
4. დათქო — ნიკოლაძის ცოლის ძმა დავით გურამიშვილი (იხ. ზევით).

72. (გვ. 258).

1. რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა (იხ. ზევით).
2. ნიკო ნიკოლაძე (იხ. ზევით, შენიშვნებში...).
3. უცხოელი, რომელიც იმ ხანებში დაქორწინებულა და ამის შესახებ: მარუსი როპი კი არა კორფი არის — წერს ოლგა გურამიშვილი.

4. გიორგი წერეთელი (1842—1900)—მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ქვისლი ნიკო ნიკოლაძისა, მისი პირველი მეუღლე იყო ალექსანდრე გურამიშვილის ასული—ოლიმპიკადა.

73. (გვ. 259).

1. იგულისხმება ნიკოლაძის ქალი, რუსუდანი.
2. დათიკო—დავით გურამიშვილი (იხ. ზევით).
3. ლაპარაკია დავით გურამიშვილის მიერ დახატულ სურათზე, რომელიც გაუყიდა მიუნხენის გამოფენაზე. გურამიშვილი მხატვარი იყო.
4. უ. მურიე—ფრანგი ჟურნალისტი (იხ. შენ. გვ. 163).
5. ნიკო ნიკოლაძე; 6. იონა მეუნარგიას ასე ეძახდნენ მეგობრები, ფრანგული გამოთქმით.

74. (გვ. 260).

1. ლაპარაკია გასვენებაზე დიმიტრი ყიფიანისა, რომელიც მოკლულ იქნა ვერაგულად მეფის ჟანდარმერიის მიერ სტავროპოლში 1887 წელს.
2. დათიკო—იგივე დავით გურამიშვილი, ძმა ოლგასი (იხ. ზევით).
3. რუსუდანი—ნიკოლაძის ქალი (იხ. ზევით შენიშვნაში).

75. (გვ. 261).

1. ნიკო ზურაბის-ძე ჭავჭავაძე—გენერალი. ამას გრ. ორბელიანი თავის წერილებში ხშირად იხსენიებს „გიჟი ნიკოს“ სახელწოდებით (იხ. წერილების II ტ., გვ. 198, აკ. გაწერელის რედაქციით).
2. გიორგი ილიას-ძე ორბელიანი. (დაიბ. 1854)—გენერალი, გრ. ორბელიანის ძმისწული და შემკვიდრე.
3. საუბარი ეხება იონა მეუნარგიას შრომის „ცხოვრება და დედაწლი გრიგოლ ორბელიანისას“—გამოცემას.  
წერილის ავტორია ნიკოლოზ რევაზის-ძე ერისთავი, დისწული პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

76, 77. (გვ. 261—2).

წერილის ავტორია ანა ეზერსკაია, ყოფილი მეუღლე პოეტი ქალადიდელისა (გ. ქოჩაქიძის), შემდეგ ვინმე პეტროგრადელ მოხელე ველიჩკოზე გათხოვილი. მთელი ეს მიმოწერა ეხება ქალადიდელის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას და პოეტის ბიოგრაფიის შედგენას, რომელსაც აწარმოებდა იმ ხანებში (1912) ფოთში მცხოვრები და ქალაქის თვითმართველობაში მომუშავე იონა მეუნარგია.

- 1, 2, 3. ანტონ, გიორგი და ბორისი ქოჩაქიძეები—იხ. ქვემო შენიშვნაში.
4. აქ მოხსენებული შვილი, არის გიორგი ქოჩაქიძის ვაჟი ბორისი, რომელიც სამუდამოდ დარჩა რუსეთში, და როგორც მისი ნათესავეებიდან გავიგეთ, ამჟამად ცოცხალია.

78. (გვ. 262).

1. ანტონ შაქსიმეს-ძე ქოჩაქიძე—ძმა პოეტისა, სამხედრო პირი, რომელმაც ბელი შეუწყო მეუნარგიას ქალადიდელის თხზულებათა შეკრებასა და გამო-

ცემაში და აგრეთვე საბიოგრაფიო მასალის შოპოებაში (იხ. „ქართველი მწერ-  
ლები“ წ. II, ს. ცაიშვილის რედაქციით, 1944 წ.).

2. იგულისხმება პოეტი გიორგი ქოჩაქიძე (ჭალადიდელი).

3. იგულისხმება შვილი გიორგი ქოჩაქიძისა ბორისი, რომელიც რუსეთში  
დარჩა სამუდამო საცხოვრებლად.

4. ჩანს ამ წერილის დაწერის დროს ი. მეუნარგიას ჭალადიდელის თხზუ-  
ლებათა კრებული მზათ ჰქონია და მხოლოდ ბიოგრაფიას ადგენდა.

5. ლაპარაკია ჭალადიდელის იმ პორტრეტზე, რომელიც მოთავსებულია  
პოეტის ლექსთა კრებულის 1913 წლ. გამოცემაში.

6. ანა სტეფანეს ასული ეზერსკაია-ქოჩაქიძისა (პოეტის მეუღლე), შემდეგ  
ველიჩკოზე გათხოვილი.

7. აღექსანდრე მაქსიმეს-ძე ქოჩაქიძე—ძმა პოეტი ჭალადიდელისა.

79, 80. (გვ. 264).

1. ჭალადიდელის ლექსებზეა ლაპარაკი.

2. საუბარი ეხება ი. მეუნარგიას მიერ შედგენილ ჭალადიდელის ბიოგრა-  
ფიას, რომელიც ამ თხზულებათა კრებულს დაერთო წინასიტყვის სახით.

3. ძმა ჭალადიდელისა.

81. (გვ. 265).

1. ჭალადიდელი (1847—1898)—გიორგი ქოჩაქიძე (იხ. ზევით).

2. იგულისხმება ჭალადიდელის ბიოგრაფია, რითაც ძლიერ ყოფილა დაინ-  
ტერესებული პოეტის მეუღლე.

3. ი. მეუნარგიას, მართლაც ყავს მოხსენებული ჭალადიდელის ცხოვრების  
აღწერაში პოეტის შვილი ბორისი (იხ. „ქართველი მწერლები“—წ. II, გვ. 169).

4. ჭალადიდელის თხზულებათა კრებულის გამომცემელი, ქუთაისელი მო-  
ქალაქე, წიგნის მალაზიის პატრონი.

82. (გვ. 266).

1. ეს ის თავია ბიოგრაფიისა, სადაც გაშუქებულია თემები: გიორგის  
(ჭალადიდელის) პირველი სიყვარული,—მისი დაცოლშვილება და განქორწინე-  
ბა.—გიორგის შვილი. როგორც სჩანს, ეს თავი შეუსწორებია და რამდენადმე  
კიდევ შეუმცირებია, პოეტის ყოფ. მეუღლეს ანა ველიჩკოს (იხ. „ქართველი  
მწერლები“ წ. II, გვ. 169).

2. 3. როგორც ჩანს, ანა ეზერსკი-ქოჩაქიძისა პირადად გასცნობია მეუ-  
ნარგიას ოჯახსაც. აქ მოხსენებული ოჯახის წევრები არიან, იონას მეუღლე  
ნინო და ქალი სალომე.

83. (გვ. 266).

წერილი ეკუთვნის საფრანგეთის სახელგანთქმულ მწერალსა და მეცნაერს  
ერნესტ რენანს (1823—1892), რომლისთვის ი. მეუნარგიას მიუწერია „ვეფხის-  
ტყაოსნის“ თავისი თარგმანის შესახებ და წინასიტყვაობის დაწერა უთხოვია.  
მეუნარგია ამ ამბავს ნიკოლაძესაც აცნობს თავის 1884 წლის 16 დეკემბრის  
წერილში, და თან დასძენს: „მამ მეგრული არა ვყოფილვარ, თუ მას (რენანს)  
წინასიტყვაობა არ დატყუებ“-ო (იხ. აქვე, „ი. მეუნარგიას წერილები“ გვ. 146)  
აქვე მოგვყავს რენანის წერილის თარგმანი მთლიანად:

## ბ ა ტ ო ნ ო,

უსახლდროდ მამამ იმ სიმპატიამ, ჩემდა მიმართ რომ კეთილინებეთ, გამოგვთქვათ. ქართული ენა სრულებით არ ვიცი, ასე რომ ვერაფერში გამოგადგებით. მაგრამ თუ გნებავთ, გამოვიგზავნეთ, ცოტა არ იყოს, დაწვრილებითი ცნობა იმ თხზულების შესახებ, რომელზედაც მელაპარაკებით, და მაშინ ამას საახიო საზოგადოებას მოვახსენებ. ჩვენს თანამოძმეთა შორის, ალბათ, ვინმე გამოჩნდება ისეთი, რომ სსენებულის საგნის შესახებ თავისი აზრის გამოთქმა შეიძლოს.

ამაღლებული პატრიოტიზმის გრძობა, რომლითაც გამსჭვალულია თქვენი წერილი, თქვენდა საქებრად მეტყველებს და მე დიდად ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ შორით ასეთის საქების აზრისანი არიან ჩემს შესახებ.

მიიღეთ, ბატონო, რწმუნება ჩემის თქვენდამი ყოველადის პატივისცემისა და ერთგულებისა

ე. რენანი.

პარიზი, 1884 წ. 15 დეკემბერი.

## 84. (გვ. 267).

წერილის ავტორია საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერი, ცნობილი გეოგრაფი ელიზე რეკლუ (1830—1905), რომელსაც ი. მეუნარგიასთან ნაცნობობა და „კეთილგანწყობილება“ ჰქონია. აქვე მოკვყავს ელიზე რეკლუს ამ მნიშვნელოვანი წერილის თარგმანი მთლიანად:

„ბ ა ტ ო ნ ო, დიდი მადლობელი განლაგართ თქვენი იმ დახმარებისათვის, რომელიც კეთილინებეთ და მე უნდა გამიწიოთ ჩემის შრომის გასაადვილებლად. ამ თქვენის დახმარებით კვლავაც ვისარგებლებ თამამად, ამას მაბედვინებს თქვენი ჩემდამი კეთილი განწყობილება.

გუშინ თქვენს წერილთან ერთად მომივიდა „კავკასიის კალენდარი“<sup>1</sup> 1880 წლისა. ამიერკავკასიის ტიპებისა და ადგილების სურათები, რომელთა შესახებ თქვენა მწერთ, ჯერ არ მომსვლია, მაგრამ იმედი კი მაქვს მომივიდეს. თბილისსა და კლარანს შუა რაზდენიმე დღით დაგვიანება მაინც და მაინც არაფერი გასაკვირია.

წიგნები, მე რომ მჭირია განსაკუთრებით ისინია, რომლებიც შეეხება გეოლოგიას ზოგად გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, სტატისტიკას. ისტორიას ჩემთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩემი თხზულებები ისედაც დიდის ტანისებია და უნდა ვფრთხილობდე ერთიორად მსხვილები არ გამომივიდეს.

რაც წიგნი გამოსულა გერმანულად და ფრანგულად კავკასიის მხარეთა შესახებ, უმთავრესები უკვე, თითქმის, ყველა მაქვს შეძენილი. შევიძინე აგრეთვე წიგნები და მასალები რუსულად, რასაც, თუ თავისუფლად არა, ყოველსავე შემთხვევაში იმდენად საკმაოდა ვკითხულობ, რომ შინაარსი გავიცოთ\*.

<sup>1</sup> „კავკასიის კალენდარი“ გამოდიოდა 1845 წლიდან ყოველწლიურად, რუსულ, ენაზე თბილისში.

\* წიგნების ჩამოთვლა იხილეთ ორიგინალის ტექსტში (გვ. 267).



ჩემს თავს ნებას მივცემ შევადგინოთ სია იმ კითხვათა, რისი ახსნაც მე თვითონ გამიჭირდება. ამ სიას გაახლებთ და გთხოვთ ჩემს კითხვებზე პასუხი გამცეთ.

აი თუნდა დავიწყოთ:

გზა მამისონის უღელტეხილზე გადასასვლელი არდონის ხეობიდან როინის ხეობამდე დამთავრებულია თუ არა?

რაიმე პროექტი ხომ არ შეუშუშავებიათ კავკასიის ქვეშ ტონელის გასაყვანად კავკასია და თბილისს შუა?

პარიზიდან თქვენთვის გამოვაგზავნიებ ჩემის შრომის ყველა საკორექტურო უფრცლებს, მე ჩვეულებადა მაქვს ხალმე, ჩემი ხეონაწერი ავაწყობინო წინდაწინვე იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს მისი გასწორება, მიმატება, წაშლა ჩემის კვლევა-ძიების მსგელობის მიხედვით. თქვენა ნახავთ, რომ მოგივათ იმ ნაბეჭდში, შეცდომებს, სახელები, ციფრები, ფაქტები სწორედ არ იქნება აწყობილი, მაგრამ საკორექტურო ფურცლებს კიდევ გადავავლებ თვალს 6—8 ჯერ მაინც პირველ თავის გარდა, რომელსაც სულ მალე დავაწერ „დაიბეჭდოს“—მეთქი.

თუ კეთილს ინებებთ და თვალს გადავავლებთ ჩემს ნაშრომს და აღნიშნავთ რამე შეცდომას, ან იქნება რამე გამომჩნა, თქვენი დიდობადლობელი ვიქნები.

მიიღეთ ჩემი მოწიწებითი პატივისცემა და დავშთები თქვენგან დავალბეღლი და მადლიერი ელი ხე რეკლუ

აპრილის 30, 1880 წ.

კლარანი (შვეიცარია).

85, 86. (გვ. 268, 269).

წერილები ეკუთვნის გერმანელ მწერალ არტურ ლაისტს (1852—1927), რომელიც შემდეგ საცხოვრებლად საქართველოში დარჩა სიკვდილამდე და რამდენიმე წიგნი დაგვიტოვა; მათგან ქართულ ენაზე გამოიცა (1927) „საქართველოს გული“ I და II ნაწილი, თარგმნა აგრეთვე მთელი რიგი ქართველი მწერლების (რუსთაველი, ჭავჭავაძე, ბარათაშვილი და სხვ.) თხზულებანი გერმანულ ენაზე და დაწერა რამდენიმე წიგნი საქართველოსა და ქართული ლიტერატურის შესახებ (იხ. „საქართველოს გული“ თ. სახოკიას დავ. გუნიას შესავალი წერილებით). ა. ლაისტის მეუნარგისადმი ამ მნიშვნელოვანი წერილების თარგმანი მოგვყავს მთლიანად:

ძვირფასო ბატონო,

„The last is not the least“ ამბობს ერთი ინგლისური ანდაზა და მე მგონი არ გამიჯავრდებით, რომ ხელს ასე გვიან ვკიდებ კალამსა. ათასმა სხვადასხვა საქმემ არ მომაცალა აქამდე მეგსდგომოდი ამ სასიამოვნო საქმეს. ის გარემოება, რომ თქვენ პიატიგორსკში ბრძანებულხართ მაშინ, როცა მე უკანასკნელად თბილისში ჩამოვედი, მეტად საწყენად დამირჩა, რადგან ამ გარემოების წყალობით მოვაკლდი სიამოვნებას თქვენთან რამდენსამე საათს მებაასნა და მეთქვა გამარჯვება, ან ნახვამდის!

იმ წერილებიდან, თავად ერისთავსა<sup>1</sup> და თავად ჭავჭავაძეს<sup>2</sup> რომ მივწერე, თქვენ გაიგებდით, რომ ამჟამად ერთ წიგნსა ვწერ საქართვე-

ლოს შესახებ<sup>3</sup>. მე მინდა ეს წიგნი ნამდვილი მარგალიტი გამოვიდეს და ყოველთა უწინარეს მინდა ჩავურთო ბევრი რამ თქვენი ლიტერატურისა; მაგრამ ამისათვის კაი ძალი დაწვრილებითი ცნობები მიკლია. თავად ჭავჭავაძეს მივწერე და ვსთხოვე მომაწოდოს კიდევ რამდენიმე ლექსი წერეთლისა<sup>4</sup>, ორბელიანისა<sup>5</sup>, ალექსანდრე ჭავჭავაძისა<sup>6</sup> და ბარათაშვილისა<sup>7</sup>; გარდა ამისა, მჭირია თითო-ოროლა ბიოგრაფიული წერილ-მანი თქვენი პოეტებისა. იმედი მაქვს თავადი ჭავჭავაძე კეთილინებებს და ყოველსავე ამას მომაწოდოს, მაგრამ ამის დასახქარებლად მოგმართავთ თქვენ, ჩემო ბატონო, და გებეჭებით ჩემ მაგიერ სთხოვთ თავად ჭავჭავაძეს. მინდოდა აგრეთვე მქონოდა რამდენიმე ნაწყვეტი მიჩხუბარიძის<sup>8</sup> მოთხრობებისა, მაგრამ ვაგლახ მე, არ ვიცი, როგორ დასაიდან ვიშოვნო...

ერთი მიბრძანეთ, რასა შერებთ თბილისში? ცხადია, ჯერ კიდევ ცხელა და შეგიძლიათ მუშტაიდის ბაღში ისეირნოთ. ნეტაი თქვენ, რადგან აქ უკვე ცივა და საცაა ხამთარი დადგება. ძალიან მენატრება თქვენი ამბის გაგება, ძვირფასო ბატონო, და გუხოვთ არ დაივიწყოთ თქვენი ერთგული მეგობარი არტურ ლაისტი.

ჩემი სალამი ჩვენს მეგობრებს! თითქმის ყოველ-დღე მაგონდებით თქვენა და ის სკათები, თქვენთან ესოდენ სიამოვნებით რომ გამიტარება. ყოველივე ამან ისე განგლო, როგორც სიხმარმა, მაგრამ ეს სიხმარი იმდენად ტურფაა, რომ დიდი სიამოვნებით წარმოვიდგენ ხოლმე, ნახვამდის!

გაზაფხულში, თბილისში.

Волынская губ. через Корец. село Камска.

1884, ოქტომბრის 20.

ჩემო ძვირფასო ბატონო,

დიდი ხანია, რაც თქვენთვის წერილი არ მომიწერია, მაგრამ რადგან იმისას, რაც თქვენ შეგეხებათ და გაინტერესებთ, დანამდვილებით ვერას შევატყობინებთ, ამ წერილის მოწერაც დღემდე მიმჩხა. ალბათ, თქვენ უკვე მოგგხსენებთ, რომ განზრახვა მაქვს მისში ჩამოვიდე თბილისში და იქ დავბინავდე. მე მგონია, იქნება ადვილად მოვეწყო გუ-

1. რაფიელ დავითის-ძე ერისთავი (1822—1901) — პოეტი, უთნოგრაფი, ჟურნალისტი, ახლო დამოკიდებულებაში იყო ა. ლაისტთან.

2. ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე (1837—1907), რომლის ოჯახშიც ცხოვრობდა ერთ ხანს არტურ ლაისტი.

3. იგულისხმება არტ. ლაისტის შრომა „საქართველო“, რომელიც მან გერმანულ ენაზე გამოსცა ლეიფციგში.

4. აკაკი წერეთელი (1940—1915), რომლის ლექსები შეტანილია არტ. ლაისტის თარგმანებში.

5. გრიგოლ ორბელიანი (1800—1883).

6. ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786—1846), ცნობილი პოეტი,

7. ნ. ბარათაშვილი (1816—1845), სახელოვანი ქართველი პოეტი.

8. მიჩხუბარიძე — ალექსანდრე მიხეილის-ძე ყაზბეგი (1848—1893) გამოჩენილი ქართველი რომანისტი.

ვერნიორად რომელსამე ქართულ ოჯახში. ჩემს თავს დიდად ბედნიერად ჩავთვლი, თუ ეს მოეწყო, რადგან, როცა თქვენს შორის ვიქნები, მე შემეძლება ჩემი სალიტერატურო მუშაობა შევასრულო უმეტესის სიზუსტით და უმეტესის სიადვილით. თქვენ უკვე მოგეზსენებათ, რომ მე დავწერე ორი წიგნი ერთისა და იმავე საგნის, ე. ი. საქართველოს შესახებ. ერთი მათგანი გერმანულადაა დაწერილი, მეორე—პოლონურად. ამ სამი დღის წინათ ლიფცივიდან ჩემი წიგნი გერმანულ ენაზე გამოცემულმა მაცნობა, რომ სურათები უკვე ცინკოგრაფიით გაკეთებულია და მალე თვით ტექსტის ბეჭდვასაც შეუდგებიან. წიგნი შეიძლება აპრილის თვის დამლევისათვის გამოვიდესო. პოლონური გამოცემა სანახევროდ დაბეჭდილია, მეორე ნახევარი ჯერ კიდევ ცენზორსა აქვს ვარშავაში, მაგრამ სამ კვირაზე წიგნი სრულიად იქნება დაბეჭდილი. აი, ეს შემძლია შეგატყობინოთ დღეს-დღეობით. ამ ორ წიგნს გარდა დავწერე ოთხი მოთხრობა ქართველთა ცხოვრებიდან და შევუდგები ისტორიული რომანის წერას მეფე ერეკლე მეორის ცხოვრებიდან. ვცდილობ ამით გავაცნო თქვენი თავი ევროპელთ.

„KABEAS“-ში<sup>1</sup> წავიკითხე, რომ თქვენი თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ უკვე დაბეჭდილიაო, და წარსულ კვირას ამის შესახებ მოკლე ცნობა გავეუზხავე „Magäzin“-ს<sup>2</sup>. მაგრამ არ კმარა ამ საუცხოვე პოემის<sup>3</sup> მართო თბილისში გამოცემა, უნდა ეცადოთ ევროპაშიც გაავრცელოთ. ჩემს წიგნში რამდენიმე გვერდი აქვს დათმობილი „ვეფხისტყაოსნის“ აღწერას და რამდენიმე ტაბიცი თარგმნილია.

თქვენ მწერთ, რომ ბარონ სუტნერს<sup>4</sup> განზრახვა აქვს სთარგმნოს რუსთაველის პოემაო, ამის შესახებ აი რა მინდა მოგახსენოთ. თუ ბ. სუტნერმა ხელი მოჰკიდა ამას, ეცადეთ დაარწმუნოთ, რომ უნდა ითარგმნოს ჰეკზამეტრით, თორემ უამისოდ პოემის სიმშვენიერე დაიკარგება. მართალია, ეს გაცილებით ძნელი იქნება, მაგრამ სამაგიეროდ თარგმანი უკეთესი გამოვა.

ჩემი გულითადი მოკითხვა მომიხსენებია ყველა ჩემი მეგობრისათვის და მოახსენეთ, რომ საქართველო გულში ხატადა მაქვს და სული მიმდის, სანამ იმის ხელმეორედ ნახვა მეღირსებოდეს.

იმედი მაქვს მალიჩსებთ თქვენს წერილს და თქვენის კარგად ყოფნის ამბავს შემატყობინებთ.

თქვენი ერთგული მეგობარი არტურ ლანსტი.  
ბატონ ცაგარელს ამ დღეებში მივწერ წერილს.

<sup>1</sup> ყოველდღიური რუსული გაზეთი. <sup>2</sup> გერმანული ჟურნალის სახელწოდება.

<sup>3</sup> იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ ი. მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი, რომელიც არ გამოცემულა (ამის შესახებ იხ. აქვე „ი. მეუნარგიას წერილების“ შესავალი). <sup>4</sup> ბარონ სუტნერი, იმ ხანებში თბილისში ცხოვრობდა, რედაქცია გაუქმდა „ვეფხისტყაოსნის“ მეუნარგიასეულ ფრანგულ თარგმანს და „კავკაზში“ (1884 წ. № 265—8) დაბეჭდა ვრცელი ფელეტონი „უცხოელის აზრი ვეფხისტყაოსანზე“. <sup>5</sup> ალექსანდრე ცაგარელი (1844—1929)—ცნობილი ქართველი პროფესორი.

## წერილები

### შესავალი

არავის ჩვენში იმდენი წერილი<sup>1</sup> არ უწერია, რამდენიც გრიგოლ ორბელიანს. როგორც პოეტის ბიოგრაფი აღნიშნავს: „წერილები, რომელთაც უფრო საზოგადო ხასიათი ჰქონდა, ვიდრე კერძო, ნამდვილ მოთხოვნილებად შეექმნა იმას (ორბელიანს) მოხუცებულებაში. ყოველს ღირსშესანიშნავ შემთხვევის შემდეგ სიტყვიერი სჯისა იგი სჯიდა კალმით. სხვა კაცი, სხვა პირობაში მყოფი, ან მეშუარებს დაუწყებდა წერას მის ადგილზე, ან გაზეთების სტატიებს. ეს კი ცოცხალ კაცს სწერდა ცოცხალ საგანზე, არც ერთი მაღალ ხარისხზე ჩდგომი პირა არ დარჩენილა, არც კავკასიაში და არც პეტერბურგში, რომელთანაც იმას არ ჰქონდეს პირახსნილი მწერ-მოწერა და ვინ არ იცნობდა იმას, ვის არ უმსახურნია იმის ხელქვეით კავკასიაში, ვინ არა გრძნობდა მისდამი ღრმა პატივისცემას. მისნი ახლო ნათესავნი და მეგობარნი, იმის წერილებით განვიხილავდით, ავგაროზივით ატარებდნენ მის ბართებს“...<sup>2</sup> და მართლაც, ამოღენა წერილების გადარჩენას, შესაძლებელია ვიფიქროთ, ამ შინაარსიანობამ და ღირსებამ შეუწყო ხელი. ყოველი მათგანი უაღრესად საქმიანია, მრავალი ფაქტითა და ცოცხალი ამბით დატვირთული, ხშირად საგაზეთო ქრონიკებითა და წვრცლმანი ცნობებით აღსავსე, მაგრამ ყოველთვის ეპოქის დამახასიათებელი, თვით პოეტის მდიდარი და ხანგრძლივი ცხოვრების დამსურათხატებელი, სულიერი სამყაროს ღეჟვისა და განცდების ლამაზ თერებში გადმოძევი.

<sup>1</sup> იხ. წერილები გრიგოლ ორბელიანისა I და II ტომი აკ. გაწერვლის რედაქციით და შენიშვნებით.

<sup>2</sup> იხ. იონა მეუნარგია „ქართველი მწერლები“ ტ. I, გვ. 41—42.



გრიგოლ ორბელიანს მემუარები არ უწერია, მისი მრავალფეროვანი და ლამაზი ეპიზოდებით სავსე ბიოგრაფია კი ამას უქველად მოითხოვდა, მაგრამ მემუარების როლი მან ცოცხალ, ყოველდღიურ, საქმიან და თანაც მახვილსიტყვაობით დამშვენებულ წერილებს შეასრულებინა. აღრესატებმაც დიდი დახმარება გაუწიეს პოეტს. პატივისცემის აღსანიშნავად უმეტესობამ შემოინახეს ეს ბარათები და კვლავ დაუბრუნეს ქართულ მწერლობას, როგორც ძვირფასი რამ საგანძური.

სწორად აღნიშნავს გრ. ორბელიანის წერილების გამომცემელი აკაკი გაწერილია, რომ გრ. ორბელიანის წერილები ცხოვრების დოკუმენტებიაო. ამ დოკუმენტობას პოეტს ბარათებს ნამდვილად ის გარემოება ანიჭებს, რომ ისინი მემუარებია, ან მოგონებების სახით კი არ არიან შეთხზულნი და დაწერილნი, სადმე მყუდრო კაბინეტში და შემდეგ მწერლის არქივში დაცულნი შთამოავლობისათვის, არამედ მიწერილია ცოცხალ, საზოგადო ასპარეზზე მოქმედ და ხალხის წინაშე მიჩნეულ პირებთან, გრძნობიერ და პოეტისადმი გულშემატკივარ ადამიანებთან, რომელთაგანაც პოეტი შესაფერ პასუხს ყოველთვის ღებულობდა.

ქვემოთყვანილი წერილები პოეტისა დაცულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმის იონა მეუნარგიასეულ არქივში, სადაც გრ. ორბელიანის სხვა ავტოგრაფებიც მოიპოვება (ზოგიერთი ლექსისა). პოეტის ბიოგრაფია მისი წერილების ძირითადი ფონდი ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაუგროვებია. 400-მდე კერძო ბარათი მოვიპოვეთ, ამბობს ერთ ადგილას (მუნარგია, რომელსაც მთელი ამ კოლექციის პირი გადაუღია, როგორც მდიდარი მასალა პოეტის „ცხოვრებისა და ღვაწლის“ აღწერისათვის. ამჟამად პირების ეს კოლექცია (რუსული და ქართული წერილებისა) ერთად ლეკრული და ზონარ-გაყრილი ზუგდიდის მუზეუმის აღნიშნულ ფონდში ინახება.

ცხადია, აქ მოყვანილი ბარათებიც იმ ხანებშია მოპოვებული. ამას თვით ი. მეუნარგიას დასაწვლელბული შრომაც მოწმობს, მაგრამ ისინი, როგორც უფრო გვიან მიღებული, მის არქივს ავტოგრაფის სახით დაუცავს. მათი რიცხვი ჯერჯერობით მხოლოდ 24-მდე აღწევს. წერილები დათარიღებულია 1841—1880 წლებით. მათი აღრესატებია: ილია ორბელიანი (1), ყაფლან ორბელიანი (5), ზაქარია ორბელიანი (1), გედეონ ბუჭყიაშვილი (4), ლევან მელიქიშვილი (1), გრიგოლ დადიანი (1), ეკატერინე დადიანი (8), ნიკო დადიან-მინგრელსკი (1), დიმიტრი ჯორჯაყე (1) და სოფიო ორბელიანისა (1).

წერილების ამ ჯგუფში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ლევან მელიქიშვილისადმი მიწერილი ბარათი. იგი ნამდვილი ეპოქალური დოკუმენტია, დიდი პატრიოტული გრძნობითა და ლელვით დაწერილი ქართველი ერისა და ქართული ენის დასაცავად. პოეტი მუდამ იმის მქადაგებელი იყო—„რა ენა წახდეს ერიც დაეცესო“; და, როცა თავისი თვალთ შეხედა ამ პროცესს, საქართველოს სინამდვილეში იმ ხანებში უკვე დაწყებულს, იგი მთელი თავისი ძალით წინააღმდეგა ამ „ახალ ამბავს“, როგორც კალმით, ისე საქმით. მართალია, მისი გულის ნადები კერძო წერილის, და არა საგაზეთო პუბლიცისტურ სტატიის, ან არზის სახით იწერებოდა, მაგრამ პოეტი არც პრაქტიკულ საქმიანობას ერიდებოდა. აკი ამბობს კიდევ, რომ „ამ დღეებში ვეახლები ველიკი კნიაზსა განგებ ამ საქმისათვის; იმედი მაქვს, რომ არ იამება ასრეთი განკარგულება დაბრმავებულის სამღვდლოებისა და მოიხმარებს ყოველსავე ღონისძიებასა, რათა ჩაშალოს ეს პროექტი, რომელიც არის ცხადად ძალადობა და დაჩაგვრა ერისაო“...

„ველიკი კნიაზი“, იმ დროს საქართველოსათვის „ამა სოფლის ძლიერი“ პიროვნება, რომელსაც ყველაფრის შემძლე დაერქმეოდა, ძმა „შვიდი იულიმის მპყრობელისა“ (გრ. ორბელიანის სიტყვებით) და თანამდებობითაც მისი მოადგილე კავკასიაში, რას არ შეიძლებდა, თუ კი ისურვებდა, და ან მისი სურვილისა და ცნობის გარეშე ვის შეეძლო, თუ გინდ სასულიერო უწყების მსგავსი „პროექტის“ მიღება მისი საბრძანებლის ფარგლებში? ეს თვით გრიგოლ ორბელიანსაც ეცოდინებოდა, მაგრამ დიპლომატიური მოსაზრებით, უეჭველია, სიტყვას მაინც ბანზე ავდებდა და ამგვარი ტემპერამენტითა და ლელვით დაწერილი ბარათებით საკითხის გარშემო საზოგადოებრივ აზრსაც ამწიფებდა და საკუთარ თეორიასა და ხერხსაც ამუშავებდა მშობლიური ენისა და ერის ღირსების დასაცავად—პეტერბურგიდან თბილისამდე შეხმატკბილებით მოქმედ ცარიზმის აგენტების თავდასხმისაგან. და, მართლაც, გრ. ორბელიანის ამ შფოთვაბა და დრტვინვამ გასჭრა, თუ მისი წერილების გავლენამ, ან სხვა რაიმე ღონისძიებამ, ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება იმ ხანებში ჩაიშალა.

ამით იმის თქმა გვსურს, რომ გრ. ორბელიანის ეს უამრავი კერძო ბარათები უბრალო გასართობად „სამღერელად, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“ როდია დაწერილი, არამედ „დაცემულთ ნუგეშსაცემლად და აღსადგენად“, „სამშობლო მიწის სიყვარული-

თა“ და, რომ კვლავ აღსდგეს „და გაგვიცოცხლდეს, სიტყვა ქართული რუსთაველისა“<sup>1</sup>.

ფაქტების სიუხვითა და ამბავთა ორბელიანისებური თხრობით, წერილთა ამ მცირე კოლექციიდან გამოირჩევა აგრეთვე ილია და სოფიო ორბელიანებისა და ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი მიწერილი ბარათები. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელს გრ. ორბელიანი ბარათზე მინაწერის სახით (იხ. ქვემოთ) უგზავნის აგრეთვე იმ ხანებში დაწერილ თავის ახალ ლექსს „ფსალმუნს“, რომელიც იმავე დროს ილია ჭავჭავაძისათვისაც გაუგზავნია<sup>2</sup> და უთხოვია „ივერიაში“ დაბეჭდვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მისი „ულმობელი კრიტიკოსი“ ოლა (ილიას მეუღლე) მოიწონებდა, და თუ არა, „აიღეთ კარანდაში, წაუსვით და წამოუსვით ასე, რომ მაგ ლექსის სახსენებელიც აღარსად იყოსო“, — სწეოს იგი ილიას.

ცხადია, ეს ლექსი მოწონებულ იქნა. არც ეკატერინეს და არც ილიას იგი არ მოუსპია, პირიქით, ილიამ მოწიწებით დაბეჭდა თავის ყურნალში, ხოლო „წინანდლის ვარდმა“ თავის საპატიო ალბომში მოათავსა.

საკუთარი ლექსებისა თუ თარგმანების ამგვარ შირთმევას თავის „ულმობელ კრიტიკოსების“ — მეგობარ ქალებისადმი, გრიგოლ ორბელიანი ხშირად მიმართავდა<sup>3</sup>. 1872 წ. 5 იანვრის თარიღით დაწერილ ბარათში (იხ. ქვემოთ) იგი სწერს ეკატერინე დადიანს: „მომირთმევია კრძალვით და შიშით სალალუბის ალავერდი და არ ვიცი მოიწონებთ თუ არა. მაგრამ არ დავმალავ, მინდა კი დიდად, რომ მოგეწონოთ. რა ვქნა, სიტყვითი-სიტყვად თარგმანი არ ევარგებოდა; ამის გამო გადმოვიღე მხოლოდ ჰაზრი სალალუბისა და განვაგრცელე ქართველთა ჩვეულების ჩამატებით, და ახლა არ ვიცი, ეს ჩამატება მოუხდა თუ არა. მსაჯული ამისი თქვენ ბრძანდებით“.

ამ სტრიქონებიდან ირკვევა, რომ „სადღეგრძელოს“ ავტორს, სოლოგუბის, იმ ხანებში ფრიად გახმაურებული<sup>4</sup> ლექსი, „ალავერ-

<sup>1</sup> ბრჭყალეებში ჩასმული სიტყვები გრ. ორბელიანს ეკუთვნის.

<sup>2</sup> იხ. აპ. მახარაძის ნარკვევი „გრ. ორბელიანი“ გვ. 52. (საბუთი დაცულია საქ. მუზეუმის წ. კ. ფონდის № 5327).

<sup>3</sup> ამ მხრივ მისი „ნაფიცი“ კრიტიკოსები იყვნენ: მანანა ორბელიანი, ნინო ჭრიბოტლოვისა და სხვ.

<sup>4</sup> სოლოგუბის „ალავერდის“ პასუხია დავით ერისთავის „იხშიოლ“ (რუსულ ენაზე) და მამია გურიელის „ალავერდი“. ამ უკანასკნელს სოლოგუბის ალავერდიც უთარგმნია (იხ. „თხზულებანი“). ეს ნაწარმოები იმ ხანებში იმდენად ავარცხლებელი ყოფილა და მოწონებას იმსახურებდა, რომ მის შესახებ 1971 წ. „კავკაზ“-ის № 147-ში აღნიშნულია; საქვედმოქმედო საზოგადოების მიერ სკოლების სასარგებლოდ დადგმულ სპექტაკლზე ინსცენირებულ იქნა გრაფი სოლოგუბის „ალავერდი“, — რომელიც, „также, как и в первую постановку он на нашей сцене, была встречена всеобщим восторгом“.





გრ. გ. ორბელიანი (1800 — 1883)  
კოლჩინის ნახატი.

საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის კოლექციიდან.



დი“ უთარგმნია, რომელიც, ჯერჯერობით მაინც, უცნობია ქართულ მწერლობისათვის.

1869 წელს ორბელიანი, როგორც აქტიური წევრი ახლად დაარსებულ ქართული წიგნის გამოცემის ამხანაგობისა, დახმარებას სთხოვს ეკატერინესა და მის შვილებს: „დიდს პლანებში ვართ აქა ქართულის ენის მოყვარენიო,—სწერს იგი ეკატერინეს,—ვაბეჭდვინებთ ძველს ქართულს წიგნებსა და ვიმედოვნებთ, რომ ესრეთა საყოველთაოდ კეთილ საქმეში შეგვეწევით ფულითა თქვენცა, სალომეცა, ნიკოცა და ანდრიაცა. ქართული წერილი იყო სამასის წლის უწინარეს ქრისტეს დაბადებისა, და თუ კი არ განჰქრა და მამა-პაპათა ჩვენთა დაიცვეს იგი დროსა საშინელისა გაოხრებისა, დატყვევებისა, აკლებისა მაჰმადიანთაგან ჩუნი მამულისა, ეხლა, ჩვენს მშვიდობიანობის ჟამსა, დიდის მოწყალეს ხელმწიფის მფარველობის ქვეშ დაცული, რად უნდა დაეცეს წერილი ჩვენი? ვის რა დაუშაედება, რომ სხვათა ენათა შორის იყოს ჩვენიცა ცოცხალ?“.

გაიღეს თუ არა აქ დასახელებულმა პირებმა ეს დახმარება ჩვენს კვლევის საგანს არ შეადგენს, ხოლო ეკატერინემ რომ ასი მანეთი შესწირა, ამის შესახებ ქვემოთ მოყვანილი წერილი (16) გვეუბნება და შემდეგ ისიც ხომ ცნობილია, რომ ნიკომ 1885 წელს მთელი თავისი მდიდარი ძველი ბიბლიოთეკა, აღსავსე ძვირფას ხელნაწერებითა და გამოცემათა „ქ. შ. წერა-კითხვის გ. საზ-გადოებას“ გადასცა მთლიანად.

ამით კიდევ იმის თქმა გვინდა, რომ გრ. ორბელიანს თავის უამრავ ადრესატებს შორის ლიტერატურული მეგობრებიცა და მეცენატებიც ჰყავდა; მათი „ულმობელი კრიტიკა“ ერთგვარი ძალაც იყო მისი პოეტური წვისა და შემოქმედებისა, რომლის აღი 83 წლის მოხუცს სამარის კარამდე არ ჩაქრობია.

წერილები იბეჭდება თანამედროვე ორთოგრაფიით, სხვა მხრივ ავტორის სტილი და მისთვის მიღებული „მართლწერის კანონები“ ქართული ენისა მთლიანად დაცულია.

ს. ც.

## 1. ილია ორბელიანისადმი

ჩემო ილიკო!<sup>1</sup>

შენი წერილი მომივიდა, რომლითაც მთხოვ მოწმობის გამოცვლასა ცხენებისათვის, ჩემს მოწმობაში სწერია повальная болезнь და ისე რჯულიერია და უარსაცა ვერავინ გეტყვის. პასუხემა<sup>2</sup> დიდი ძალით მიიღო 120-ის ცხენის ფული, რომელნიცა დაეხოცნენ

აზნში, და ეს სწეულება და ცხენების დახოცვა შენის ბატალიონის მინგრელების და არტილერიისა მიმიწერია კიდევ მთ ვარმართლები-სათვის. როგორ გეტყვიან უარსა!.

შენის ცხენების საქმესა შეუდგა თვით გრიგოლ მუხრანსკი<sup>3</sup>, მაგრამ კბილი ვერარასათვის მოუკიდნია და სლედსტეიეშიც არა გამოდის რა. მოდი შენ ასე ჰქმენ: კიდევ მოიწერე შენის ცხენების დაკარგვისათვის და ისიც გამოაცხადე, ვის ცხენებთანაც ერთად დაიკარგნენ; და ვისი იპოვნეს და ახლვეინეს სოფლებსა, რადგანაც საქმეში არა ჰჩანს ვისიც ცხენები უპოვნიათ.

აი როგორ მომხდარა უდაბნოში მონასტრის გატეხა და ბერების დახოცვა: ორნი თათარნი სანდარადამ და ქესამანიდამ მოსულან მთაში, სადაცა შეუყრიათ 13-ნი ყაჩაღნი შაქელები და აქაურები. სხვადასხვა გზით წამოსულან და მოსულან ალაზნის პირზედ, სადაცა რაოდენიმე აქაურნიც მიჰმატებიან, და ასე წასულან იორისაკენ, სადაცა 15-ნი თათარნი კადევ მიჰმატებიან, უთუოდ ან სამუხელნი, ან ყაზახელნი და ან იორის პირიდამ. საღამოხედგოთხნი კაცნი თათარნი მისულან მონასტერთან და უთხოვნიათ ილამეს იქ სტუმრობა; საბრალო ბერებსაც მიუღიათ სიყვარულით; შემდეგ კიდევ მისულან რაოდენიმე და ესენიცა გაუწვევიათ და მაშინ უშიშვლიათ ხმლები და უღონო ბერები დაუხოციათ, აუკლიათ მონასტერი და დაუტყვევებიათ სამნი ბერნი და ორნი დიაკვნები. ის 15-ნი თათარნი გზიდანვე იქავ დაბრუნებულან და წასულან შინისაკენ თავთავიანთ სოფლებში. ერთი ბელადი თათარი კი ამ ყაჩაღებთან ყოფილა, და იმ ღამესვე იქას მოუპარავს ყაჩაღებისათვის ერთი კარგი ცხენი, ერთი ხმალი ვერცხლის აშურმითა და სხვადასხვა მონასტრის ნივთები და გაპარულა. ახლა აქ მყავს დაქერილი ერთი პატარა ბიჭი, რომელსაცა მითომ გამოეყვანოს ნავითა ეს პარტია ალაზანში და სამნი კიდევ სხვა კაცნი, რომელზედაც ეჭვი მიგვიტანია, რომ ესენიც მითომ ან იქ ყოვილან პარტიაში და ან პური და საგზალი მიუციათ. ბერები არიან ირიბში; და როგორც ისე აქეთ-იქიდამ მესმის, ითხოვენ თითოსთვის 500-ს თუმანსა, მეც შევეუთვალე, რომ ეგენი ბერები არიან, სოფელზედ ხელაღებულნი, თუ გინდ უდაბნოს კლდეში იყვნენ, თუ გინდ ირიბის კლდეებში, სულერთია მაგათთვის, და ხუთს მანათსაც არავინ მისცემს. სასუფეველის მოპოვებისათვის ეგენი უნდა აქ დაიტანჯნენ, და ასეთი პირობაც აქვსთ იმათ დადებული ღვთის წინაშე, და რათ უნდა ჩვენ ეგენი გამოვიხსნათ?!

აქ მშვიდობიანობა არის; გუშინ წინ 1500 კაცი შევეყარე სულ აქაურნი და გავგზავნე в Горный магал, ყაჩაღების საძიებლად და

დასაჭერად. კუსურზე წავიდა აბხაზოვი<sup>4</sup> ჭარელებით და თალელებით გოდორდალისაკენ, მაჩაბელი<sup>5</sup> მუსახელებითა და სხვა სოფლიდაჲ ჯინიხზედ, და ჰაჯი-ალა<sup>6</sup> ელისუს მილიციითა წახურში. ვნახოთ რა გამოვა; და თუ გინდ არა გამოვიდეს-რა დაღისტანი დაინახავს მაინც, რომ აქაურმა ხალხმა აიღო იარაღი იმათ მოპირდაპირედ. აბა სად გაგონილა, რომ ჭარელები წასულიყვნენ ჩაფაულისთვის მთაში?—ამასწინათ ბელაქნელებმა მოიტაცეს 250 ცხვარი ჭურ-მუტისა.

მაგრამ რა გაეწყობა ჩვენს საძაგელ ქიზიყელობას; ამათანა წამხდარი თავადიშვილობა და გლებობა ნუ გგონია ნახო სადმე. გულხელდაკრეფილნი დადიან უთოფ-იარაღოდ, ერთხელ მდევარზედ ვერ გამოვიდნენ; ვერ გაუბედნიათ, რომ თვეში ერთხელ მაინც შეიყარნენ და მოსჩხრიკონ ალაზნის პირები, სადაცა იმათა საქონელია და მწყემსებად პატარა ბიჭები. ირწმენე ილიკო, რომ ქიზიყელობა ასე დაჩვეულა ტყვეობას, რომ უბედურებად აღარ მიაჩნიათ. აქ მარტო რუსის ჯარმა რა ჰქნას. გზები ხომ ისე ვერ შეიკვრის, რომ ხუთი თუ ექვსი კაცი ქურდი ვერ გაეპაროსთ. აქამდის იძახდნენ, წამალი არა გვაქვსო, ჩემის წარდგენით წამალიცა მისცეს მაგრამ მაინც არა გამხდარა.

არლუთინსკი<sup>7</sup> შევიდა ტაბასარანში და ყაითალში, სადაცა ჰაჯიმურად<sup>8</sup> იყო გამაგრებული, და საიდამაც ჰგზავნიდა თარეშადერბენდისაკენ, ყუბისაკენ და ქურის მხარეს. არლუთინსკიმ დასწვა ბევრი სოფლები აქა; შტურმით აიღო ის სოფელი, სადაცა იყო ჰაჯიმურად, რომელიცა ამ ომის შემდეგ გამოიქცა იქიდან ჩირაღისაკენ. აქ შეხვდა სამი როტა, რომელმანცა დაუხოცა ბევრი კაცები და გააგდებინა შაჰვალის<sup>9</sup> ცოლი დატყვევებული; აქედამ გამოვიდა ალაზნის მთაზედ და ჩამოვიდა იხრევის ხეობაში, სადაცა დახვდა რუთულის ნაიბი, ახტის მილიცია როტმისტრის მაკედონსკითურთ<sup>10</sup> და ამათაც დაუხოცეს ბევრი კაცები და ისე გაატარეს მთა არჩისკენ.—გგონია ამასწინად მოგწერე, რომ არლუთინსკი როცა ჯარით წავიდა ტაბასარანისაკენ, შამილა<sup>11</sup> სამის მხრით მივიდა ყაზი-ყუმუხის სახანოზედ, მაგრამ სამსავე აღგიღს დამარცხდა გაშვებულის ზიქ ბატალიონებითა და დაბრუნდა ჭოხისკენ. ახლა მომივიდა ამბავი, რომ შამილა წასულა დარღოს, ჰაჯიმურად ავარი-აში, სულთანის<sup>12</sup> რათლუხს, სადაცა აშენებს სახლს, და ჯარებიცა დაშლილა.—უეჭველია, რომ ასეთმა, ჩვენთვის კეთილად დაბოლოებამ არ დაანახოს დაღისტნის ხალხსა, რომ შამილას არა აქვს ისეთი ყუათი, როგორც ჰგონიათ.

მე ამას წინადა სამის როტით და მილიციით ავედი მოურავდაღ-  
ზედა, პოზიციების გასაჩხრეკად და ადგილის მდებარეობის გასა-  
შინჯავად. იქ ცოტა კინკლაობა მოგვიხდა. — თუშებმა გაიმარჯვეს  
ძალიან თავიანთ მთებში ქისტებზედა, 27 ხელი და 50-ის კაცისა  
იარალი მოიტანეს ნიშნად გამარჯვებისა.

შენი პირველი ბატალიონი კარგად არის, მაგრამ ეს ორი რო-  
ტა სულ ავადმყოფობს, არ ვიცი რა დაემართათ. მშვიდობით.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი.

მინაწერი:

რას ჰშვება სანდრიკო: <sup>13</sup> წიგნი მოაწერიხე, რასა ჰწავლობს?

მინაწერი პირველ გვერდზე:

ჩემი გაგზავნილი ჯარი დაბრუნდა გორნის მაჰალიდამ და აი  
რეზულტატი: 5 მოიყვანეს ტყვედ, რომელთა შორის არის ერთი  
გამოჩენილი ჰაჯი, სულთანის მეგობარა; 8 წყალში დაიხრჩენენ და  
მოჰკლეს, რომელთა შორის ერთი სულთანიც იყო გაქცეული,  
ვერცხლის იარაღით მოკაზმული.

## 2. ყაზლან ორბელიანისადმი

ბატონო ძმაო ყაფლან! <sup>1</sup>

როგორცა შენ ადრე მითხარი, მე ისე დავაბოლოვე; მივეც  
შავად დაწერილი შეკრულობის პირობა, რომ ჯამაათმაც შეიტყოს  
ყოველიფერი. — ახლა კიდევ მოვიდნენ, ლაპარაკობენ არა იმასა,  
რაც თავის დარდი აქვსთ, სხვასა რაღასაც აკონკებენ და მე ვერ  
შემიტყვია სწორედ, თუ რა უნდათ? — ხომ მოგეხსენება, რომ  
წლებულს არსად არა მაქვს თივა, ამის გამო გამოუცხადე, რომ რაც  
თქვენი სათივეები ყოფილა აქამდის, დღევანდლამდის, ის თქვენვე  
დაგრჩესთ, და რაცა რუსებს ეჭირათ და ორს ადგილს კიდევ სხვა-  
გან, რომელიცა არა ყოფილა ამათთვის სათიბად, ისიც მე მინდა  
ავიღო, რომ ორიოდ კვიცები მყავს, ისინი გამოვკვებო. — ამაზე  
მოჰყვენენ ესენი ერთს ნაღსა, რომლისა გათავებას მერმისსაც ვერ  
მოვესწრობით. — ახლა მე შენ გთხოვ:

1) შეაგონო იმათა, რომ ის შავი, პირობის წერილი მომიტანონ,  
რომ გადავაწერინოთ და დავამტკიცებინოთ, და რაც ხარჯი მოუნ-  
დება, ის მივსცეთ მეცა და იმათაც სანახევროდ.

2, რომ სათიბები, რომელიცა თავის დღეში არა ჰქონიათ,  
წლებულს დამითმონ, და თავიანთი თვითონ გასთიბონ როგორადაც  
აქამდის შერებოდნენ.



3) დაიბარეთ ნინიკა<sup>2</sup>, წაუკითხეთ ესე, და თუ, მართლად, ესენი ვერ გასძლებენ უიმსათიბოდ, რომელსაცა მე ვიღებ წლეულს, მაშინ ისე ჰქნან, რომ რაც ჩემთვის საჭირო იყოს ის აიღონ ჩემთვის, მეტი არც მე მინდა, თორმეტამდის კვიცი მეყოლება, რომ ესენი გამოვკვებო და არ დამეხოცნენ.

ეს არის ჩემი დარდი და თქვენთან სათხოვარი.

ძალუა ვარინკა<sup>3</sup> მოდის; მოსკოვიდამ გუშინ გამოვიდოდა, თბილისში მოვა ორს-სამს კათათვესა, და ახლა აქ წავეყისს ვაკონკებ სადგომსა, მაგრამ მაინც კი წვიქნებით ვაწროდ.—რა უყოთ სოფლობა და პახოდობა ორივე ერთი ყოფილა.

ძალიან გამაცოცხლა აქაურმა ჰაერმა; ამოდი აქა, თითქმის მარტოდ ვარ. ძალუას<sup>4</sup> სიყვარულით მოვიკითხავ.

შენი მორჩილი ძმა გრიგოლი.

25 ივნისს, 1841, წაგვისით.

[მინაწერი]

თუ ნინიკა არ იყოს, შენ გადასწყვიტე, როდესაც გამოკითხვით გულდააჯერებთ, რომ სათიბი იმათი სრულებით უბალანთა, და რათ არის უბალანთო, თუ არ იმათი მამაძაღლობა?

მეტი ილაჯი არ არის, რომ ნინიკა მოურავი უნდა ეხლავ წავიდეს და ამ ხალხის და იბრაიმას<sup>5</sup> საჩივარი გაასწოროს, ასე რომ წლეულობით, როგორც სულყოველთვის იაიას სათიბი იბრაიმას ჰქონია, ეხლაც უნდა ჰქონდეს; ამის გარდა კიდევ სხვაგან აქვს თუ არა იბრაიმას სათიბი, უნდა ნახოს, და ისე გაასწოროს ამათი დავიდარაბა.—ესენი ამბობენ, რომ ამათ სრულებით სათიბი არა აქვთ, სულ იბრაიმამ სხვას მისცა ქირითაო.—ეს უნდა. ნინიკამ შეიტყოს, თორემ არ მოვისვენებ.

## მ. მ ა ს ვ ე

ჩემო ღვთის წყალობავ ძმაო, ბატონო ყათლან!

რად დამივიწყე ასე უწყალოდ, ჩემო ყათლან! ხომ იცი რომ უშენოდ ჩემი სიცოცხლე უგემურად მიდის, ერთხელ შენის წიგნით, შენის ამბით მაამე და!?

ზაქარია<sup>1</sup> მოვიდა აქა, პოლკს იბარებს, მეც ამის საწახავად მოვედ ჩემის სახანოდამ<sup>2</sup> და ვარ აქა; ხშირად გიგონებთ და ვლაპარაკობთ შენზედ, და ვინატრით შენს ჩვენთან ყოფნას უწინდელ დროებსავით.

შენი კარგად მოურაობა შევიტყე დიდის სახარულით, დიდი ხაზინა გიპოვნია და წარგიდგენია; ეგ იმის ნიშანია, რომ კარგის სისხლისა და ჩამოშავლობისა ხარ, ეხლა უფრო უმეტესად შემყვარდი, დაამტკიცე რა საქმით შენი ნაჯიბზადობა.

ჩვენი ქალები წასულან მეავე წყალზედ; ეჭ, რა ვუყოთ, ეგრო-  
პიის ჩვეულება არის ესე, არ უნდა დავძრახოთ ჩვენ აზიელთა,  
რომელთანაცა ვერ მივხვდებით მათ განათლების სიმალლესა,  
მაგრამ

შევიტყე რომ შენ უნდა დაასახლო თურმე თათრები, ვილაც  
ქურდები და ჰარამზადები, ჩემს წნორებში; ეხლავ გიცხადებ, რომ  
ეგ არა ჰქნა, თორემ ჩამოვალ და ცხვირს გაგიტებ; ამიტომ, რომ  
თორმეტი წელიწადია ფიქრში მაქვს, რომ ქვეში თავის მაზრათი  
ჩემი უნდა შეიქნეს უკრავუგინებლად სხვათაგან. ქვეში\* ჩემია  
საკუთრივ, სხვათაგან შეუხებელი.—შენ სადაც გინდა ამოარჩიე  
შენთვის, მე ყაბული მაქვს.—ყველამ ყაფლანიანთ<sup>3</sup> კარგად შეიტყე-  
ვით, რომ ქვეში თავის მაზრებით ჩემია.— თუ არ დაიჯერებ, ჩამო-  
ვალ და ცხვირს გაგიტებ.— ეს ასე, მოვიდეთ ახლა ისევ შენთან.

ერთი შემატკობინე, რა გინდა რომ დაღისტნიდამ გამოგიგზა-  
ვრო, რატომ არასა მთხოვ, ხომ იცო ჩემი ცხოვრება, ქონება, ჩემი  
ხაზინა, დოვლათი შენთვის მინდა, შენს მეტი ვილა მყავს ყაფლანი-  
ანთში?

შენი ქულფათი მომიკითხე.

მომწერე ჩემო ყაფლან, დაწვრილებით, როგორ ჰსცხოვრობ  
ბორჩალოში, თათრები როგორ მოდიან შენთან. ... (მოხეულია) ...

შენი გრ [იგოლ ორბელიანი].

2-ს სექტემბერს]\*\*  
თემირ[ხანშურით]

#### 4. მ ა ს ვ ე

ჩემო ყაფლან!

ხომ წახვედი და ეჭ, ღ-თი იყოს შენი მფარველი, მერე: აქა-  
ური ამბავი ეს არის, რომ საწყალი გრიგოლ მუხრანის ბატონი<sup>1</sup>  
მოკვდა, და როგორც ამბობენ შეიდიათასი თუქანი ვალად დარჩა.

ჩვენს უბანში მოკვდა საწყალი თუნგოვიჩი<sup>2</sup>. ჩხეიძემ<sup>3</sup>, სვი-  
მონამ, გაათხოვა ქალი და ქორწილში ტოლუბაშად იყო ბიძა შენი  
კონსტანტინე<sup>4</sup> და შენ იფიქრე რამდენი სტაქანი ისხა და ისხა.

\* სოფელი ბორჩალოს მაზრაში, ამჟამად ბოლნისის რაიონში—ს. ც.

\*\* წელიწადი მოხეულია, მაგრამ რაკი ხაქარაის პოლკის ჩაბარებაზეა  
ლაპარაკი, 1846 წ. უნდა იყოს დაწერილი. მისამართი აწერია სამად გაკეცილ  
ბარათის ხურგზე ამგვარად, „ღვთით, ეს წიგნი წავიდეს ეშიქალაშის შვილთან,  
ბატონ ყაფლანთან, სიმდაბლით“—ს. ც.

გუშინ ნიკომ<sup>5</sup> დაჰპატიჟა მთლად ჩვენი უბანი მუშთეიდის ბაღში მუზიკით, ზურნით, აღასათარით<sup>6</sup> და შუალამის სამს საათ-ზედ დავიშალენით.

დავიდოვი<sup>7</sup> და მისი ცოლი წავიდნენ საფრანგეთში, ტასო<sup>8</sup> მანანას<sup>9</sup> ქალიცა, აპირებს ამ ორს კვირაზე კიდევ ყირინში წასვლასა.

კოწია მუხრანსკიცა<sup>10</sup> აპირებს საფრანგეთშივე წასვლასა ცოლითა და დედითა.

მთავარმართებელი<sup>11</sup> ისევ ისეა; დასუსტებული და გამხდაროწვეს ქვეშაგებში.

გოპარაღა<sup>12</sup> მიიღო მთავარმართებელმა დიდის ყოფით, დიდის პატივით, და სრულიად სულით, ხორციით განსვენებული, სევდაგანქარვებით დაბრუნდა შინა და ახლა ხვალ, ან ზეგ აპირებს წასვლას ყარაბაღისკენ.

ახლა მოვიდეთ შენთან: როგორ მიხველ ბაქოს, როგორ იარჯ გზაზედ, რა ნახე? ყოველივე მომწერე დაწვრილებით, და ჩამიკოცნე შენი ქალი.

შენი ცოლშვილი, ღვითთ, კარგად არიან; დათიკო<sup>13</sup> ხან ძალიან კარგად ჰსწავლობს, და ხან კი სრულებით არა.—ამითი ჰსჩანს, რომ ბუნებითი [ნიჭი აქვს, მაგრამ ხალისი კი არა.—

ხვალ, ესე იგი ყველიერის კვირასა, მთავარმართებელს აქვს დიდად გაჭიმული ბალი, და რადგანაც თვით ავად არის, მე ვიქნებო სახლის პატრონი.—ჩვენი ქალებიცა, რაც კი შეუძლიანთ, იპრანჭებიან და ირჩებებიან.

კნიაზი კონსტანტინე<sup>14</sup> დიდის სიყვარულით და დიდის პატივისცემით მომიკითხე.

ღ-თი იყოს შენი მჯარველი, და მან ჩაგაგონოს მალე დაბრუნება შენს სახლში.

შენი გრიგოლ ორბელიანი.

4 მარტს, 1861, თბილისი.

ნ. შ ა ს ვ ე

ჩემო ძმაო ყაფლან!

შენმა უკანასკნელმა წერილმა დამიმშვიდა გული და დამავიწყა ყოველივე გამწარება შენის აღრინდელის წერილებისაგან. ინშაჰალა, ისევ ჩემი ძმა ყოფილხარ! ხვალ მივდივარ ტამანს მისაგებებლად ხელმწიფის იმპერატორისა, შვიდის იყლიმის მპყრობელისა; დამლოცე ყაფლან, რომ კეთილად დაბოლოვდეს ხელმწიფის ხილვა!

9 სექტემბერს გამობრძანდება ტაიანს და გაზომეგზავრება იმავე დღეს ეკატერინოღარსა; აქედამ მიმოივლის მთლად პრავის ფლანგსა, და შემდეგ ჩაბრძანდება პარახოდში ნოვოროსიისკში და გამოსწევს სუხუმისაკენ, სადაცა დარჩება მხოლოდ ორი საათი და მობრძანდება ფოთზე ქუთაისში 20 ან 21 სექტემბერს.

შენ იფიქრე ახლა შვადის იყლიმის მპყრობელის დახვედრისათვის რა დიდროანს პლანებში ვიქნებით, ასე რომ თითქმის მოსვენებით აღარც კი მძინავს, ვნახოთ ღმერთი და ბედი!

ხელმწიფე ქუთაისში დაჰყოფს მხოლოდ ერთს დღესა და ისევ დაბრუნდება ზღვათვე ყირიმს.

ქუთაისში, თუ ღმერთი შემეწია, დიდი მზადება მაქვს დიდის, შალალის პლანებით დაწყობილი, თუ დარმა არ გვიღალატა... მახლას, ეს ბედის საქმეა და უფრო ზეგარდამო ძალისა.

შენნა ნათესავნი კარგად არიან; ძალუა ელისაბედ<sup>1</sup> და დათიკო<sup>2</sup> და ბაბალე<sup>3</sup> იმყოფებიან კოდას, ბიძია ჯალექსანდრე<sup>4</sup> ავადყო და ეხლა კი უკეთ შეიქმნა. მშვიდობით.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი.

28 აგვისტოს, 1861. თბილისი.

## 6. მ ა ს ვ ე

ჩემო ბატონო, ძმაო ყაფლან!

გუშინ სოსიკოსაგან<sup>1</sup> შევიტყვე ძალუა ელისაბედის<sup>2</sup> ავადმყოფობა ციებითა და დასუსტებით. ვჰსწუხნვარ და მიკვირს, რას უზიზხართ კოდასა, სადაცა არცა წამალია, და არცა ექიმი, რატომ არ ზადიხართ ქალაქში? სიცხე აღარ არის ქალაქში; უბრალოდ დროს წუჰკარგავთ, შეაბით ურემა და ჩადით, ან ფაეტონი ამოაყვანიეთ, რომ რაოდენ ადრე ექიმი წაშლობას დაუწყებს, უფრო ეგოდენ მალე მოიხედავს ავადმყოფა და მანდა ყოფნითა აბა რა უნდა იყოს? უფრო და უფრო დასუსტდება; უიმისოდაც ძალუამ ერთბაშად დიდი სისუსტე იცის.

მოიწერე, როგორ არის დღეს ძალუა, და ან ვინ ჰსწამლობს? იქნება მანდაც გამოჩინდნენ დედაკაცები და აწბობენ „მიზეზია“. წუღარ დაავიანებო, ჩადით ქალაქში და შეუდევით სწორე წამლობას.

შენი მარადს ერთგულა ძმა და მოაქმსახურე გრიგოლი.

ზეგ, ესე იგი კვირას, მეც მივდივარ ქალაქს, რადგანაც ყენი<sup>3</sup> სამშაბათს მობრძანდება.

ტაბახმელა, 10 აგვისტო, 1873.



## 7. ზაძარიძე ოკრებლიანისადმი

ჩემო საყვარელო ძმაო ზაძარიძე!

ეს ორი კვირა არის რაც ვიმყოფები ქალაქში მთავარმართებლის ბრძანებით. მიზეზი კი ეს არის, რომ მე მნიშვნენ ავანტიში, მაგრამ ჯერ კი არ ვიცი თუ რა ვიქნები მე იქა, და ან რა უფლება მექნება? ჯერ ამას სწერენ და სწერენ. ზოგნი მირჩევენ წასვლას, ზოგნი არა. პირველთა რიცხვში კნიაზ მოსე ზაძარიძი<sup>1</sup> დიდი დარიგებით და თითქმის ბრძანებით მირჩევს, იმის უარი არასოდეს არა ვპსტევა, და თვით ამის რეკომენდაციით ვარ დანიშნული. მეც გამოუცხადე შტაბის ნაჩაღნიკს ჩემი თანხმობა და ახლა ვნახოთ, ღმერთი და ბედი. ვიცი ეს ასეთი ადგილია, რომ ან ამწევს მაღლა, და ან სრულიად ძირს დამცემს. ახლა ჩემო სიცოცხლეც, ეს არის ჩემი გაძნელებული საქმე, რომ ცხენები აქედამ როგორ წაშოვიყვანო ათას ვერსს. შენ უნდა ორის კარგის იაზოთი ხელი მომიცვალო. მე ჩემს ცხენებს სულ იქ ვუშვებ და ილიაც<sup>2</sup> არ მანებებს. ჩვენი კაკალიც თან მაქვს; ამის გარდა შენი ერთი თოფი უნდა წავიღო თანა, თუ არ გეწყინება, რომწერე ჩქარა ამის პასუხი.

ილია დიდს ყოფებშია. ის სამოციის დღის ბოსტანს აკეთებინებს, ამათ ჰესაბებს ჩემი ქვეა ეგრ მისწვდომია, სულ ხუთას თუმნობით ანგარიშობენ—მოგებას—ეს და აბრამა<sup>3</sup>, მაგრამ ხშირად კი ჩხუბი და ყინული მოსდით, რომლის შემდგომ აბრამა საიდუმლოდ ჩემთან ჩივის, რომ ეგ ყმაწვილია და მე არასა მკითხავსო. ძალიან სწყინს და კვდება ჯავრით თუ პირველადვე არა ჰკითხა აბრამას რჩევა. შენი წისქვილიც კეთდება, გუშინ ძალუა ქეთევანიც<sup>4</sup> იქ იყო სანახავად. მთავარმართებლის ბრძანებით ილიამ შეადგინა და წარადგინა ზაბისკები თავის ტყვეობისა და იქ ცხოვრებისა. კოცებუს<sup>5</sup> ძალიან მოსწონს, ამგვარად, ილია სთხოვს ერთის წლით ოტპუსკსა (ამოხეულია...). მოიწერე თუ ვით შევატყობინოთ...\*

... რომ ავრე გაანჩხლებულხარ და გაჯავრებული ოტპუსკსა ითხოვ? მე სწორედ გეტყვი კოცებუს ძალიან არის შენზე კარგა და კარგის გულით. მაგრამ, რადგან ორი თუ სამი ქალაქი ზედიზედ მოუვიდა შენგან не по команде, ამისათვის მგონია მაგწერეს ზამეჩანიე და დაგიბრუნეს, მაგრამ აიხე ნუ შესწუხდები..

\* ამის შემდეგ წერილი მთლიანად წაშლილია და ქვემოდან მოხეულიც. ამიტომ არაფერი იკითხება, მეორე გვერდამდე.—ს. ც.

შენი სანდრიკო<sup>6</sup> სასურველი ყმაწვილია. ამის სირბილით და ტიტინით ილაჯი აღარ არას, ეხლა მოსულა და მეუბნება, — ძია, ქალაღი მომეც მამას წიგნი მივწერო. იაკინთეც<sup>7</sup> გუშინ მოვიდა თელავიღამ რამდენსამე დღით. სხვათა ამბებთა შორის ესეც არის, რომ გერასიმეს<sup>8</sup> ქალი ეყოლა. სხვანი სულ ყველა შენი ნათესავება კარგად არიან.

მშვიდობით ჩემო ზაქარიავე, ღმერთმა დაგიფაროს ყოველთა განსაცდელთაგან.

შენი გრიგოლ ორბელიანი

28 მარტსა, 1943 წ.

თბილისით.

მინაწერი:

ქვეშეღების არზა სენატიღამ კიდევ დაგვიბრუნეს, რადგანაც... (გაურკვეველია) ... ის ქალღლღზე არ იყო დაწერილი. ესეც ჩვენი უბედ.. ეხლა ისევე გავგზავნეთ.

### 8. გედემონ გუჯარიაშვილისადმი

ჩემო გულით საყვარელო გედემონ!<sup>1</sup>

ღიღის სიხარულით მივიღე წერილი შენი; ვმადლობ ღმერთსა, შენის კეთიღად სუფევისათვის.—მე, რა გიახელ პახოღიღამ, სულ შეუძლოთა ვარ: ხან მაციებს, ხან არა.—იმედი კი მაქვს რომ ისევე მალე მოვჩიღდე, მაგრამ რა გამოვიდა? დაღესტანს მალე ზამთარი ჰქოღნია, ჩემი თავიც დაითოვღა!

იღიას წიგნი მომივიღა ოღესიღამ 11-ს სექტემბრით მოწერილი; მასვე დღეს წასულა ხელმწიფესთან, მაგრამ უღროღოდ კი მივა: ხელმწიფე ძალიან მწუხარედ ბრძანღებღა. საწყაღლო მიხაიღ პავლოვიჩ<sup>2</sup>, არა თუ მხოლოდ ძმა იმპერატოღისა, თავღადღებით ერთგული, სიკვღიღამღის სიცოცხღის შემწირვეღ, სასარგებლოდ სამსახურისა, თითქმის მთღად არმია იმის ხელშია გაზრღიღი. ღიღი დანაკღისია რუსეთისათვის.—აბა რაღა ეამეღა ხელმწიფეს<sup>3</sup> სხვა და სხვა ამბეღი ჯერ გაუგრიღებღელის გულით?

მთავარმართებღს<sup>4</sup> მიუწერია იღიკოსათვის<sup>5</sup> ღიღი რეკომენღაცია მინისტრთაღა და უთხოვღნია პოღკოვნიკოღა მისთვის.— ვნახოთ ღმერთი როგოღორ ინებებს!

დაწერიღია ფოსტის ქალღლღზე. მეღანი გაზუნებულღა და ძნეღად იკითხეღა, ნახეღარს ქვემოღ პირვეღი გვერღისა დაჭმუჭნიღა და კითხეღა არ შეიძღღება მისი.

ახლა არ მოხვალ კნიაზის<sup>6</sup> სანახავად?—შენ ნუ მომიკვდები  
ეხლა ვერ შემოძლიან, ჩემის უბედურების გამო, თორემ დიდის სი-  
ხარულით მოვიდოდი შენს სანახავად; ხომ იცი მიყვარხარ გულით.  
მშვიდობით, ღმერთი იყოს შენი მფარველი.

შენი უმორჩილესი გრიგოლ ორბელიანი.

11 ოქტომბერს, 1849.  
თემირხანშურით.

მისამართი: Его Высокоблагородию Гедесну Ивановичу Бучкиеву.

დამავიწყდა: შენის შუამავლობის პატივისცემისათვის შენის აფიცრ... გად-  
მოსვლის თანხმობას ჭანუჭხადებ, როცა მომივა მოწერილობა ამ საქმეზედ.

## 9. მ ა ს ზ ე

ჩემო საყვარელო გედეონ!

ყვარელის ბატალიონის გამოჩნდა ვაკანცია, მთავარმართებელ-  
სა ჰსურს იქა აგლინცოვის<sup>1</sup> დანიშვნა: ეს განზრახვა იმან თვით  
მიბრძანა და მკითხა, შენი ჰაზრი როგორ არის აგლინცოვზედაა.—  
მე, რასაკვირველია, ვაქე და მოვახსენე, რომ დიდად ღირსი და  
სამსახურისათვის გამოსადეგი არის.—ახლა მოიფიქრე სიგიჟე, სი-  
სულელე, დურაკობა, ვირობა აგლინცოვისა, რომელსაც მაშინვე  
ვაცნობე ეს ამბავი. მწერს დიდის მწუხარებით, რომ ის ადვილი  
არ მიწდაო; თუ იმ ადგილს მომცემენო, შენა, значит меня по-  
губишь, აბა რა უყო?

ახლა, ჩემო გედეონ, თუ აგლინცოვმა უარი უთხრა, შენ ეხლავე  
მისწერე კოცებუს<sup>2</sup>. რომ სხვამ არ დაგასწროს, და სთხოვე—შენის  
ესოდენის წლის სამსახურის ჯილდოდ ის ბატალიონი, რომლის-  
თვის ათასნი არიან მთხოველნი. შენ იცხოვრებ საქართველოში შე-  
ნის ცოლშვილით განსვენებითა; სამსახურს დიდს სარგებლობას  
მისცემ შენის იქ ყოფნითა; თუ ლეკები მოვლენ ყვარელის ასაკლე-  
ბად, იმედი მაქვს, რომ სტაროვსავით<sup>3</sup> არ დაიშალები კაზარმებში  
და სხვა რაღა გინდა ან შენა, და ანუ თვით სამსახურსა რა უნდა,  
რომ შენისთანა შტაბაფიცტერი ეყოლები იმისთანა ადგილს, აღარ  
გავაგრძელებ ამ ისტორიას; ეხლა უკრავ-უგინებლად მისწერე კო-  
ცებუსა; მეც მალე ჩავალ ქალაქში, და ამ საქმეს თუ გინდა, ადვი-  
ლად შევასრულებთ.

ღ-თი იყოს შენი მფარველი, შენი მორჩილი გრ. ორბელიანი.

21 ოქტომბერი, 1850, ლუჩეჟით.

## 10. მ ა ს ზ ე

ჩემო საყვარელო გედეონ!

ხვალ, ღთის შეწევნით, გიახლები თქვენს მშვენიერს ციხეში და ვეცდები, რომ სადილათაც მოგისწრო. აქეთკენ ჯერ მშვენიერ-ბიანობა არის, მხოლოდ ჰაჯიმურადმა<sup>1</sup> თქვენი ჭირი წაიღო ნუ-ხასა თავის ოთხის ამხანაგით და ამის ამბავსა ხვალ დაწვრილებით მოგახსენებ.

ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს სოფიოს<sup>2</sup> უმდაბლეს მოკითხვას მოგახსენებ.

თქვენი კეთილის მსურველი გრიგოლ ორბელიანი.

შაბათს, 1852 წ.

თემირხანშურით.

## 11. მ ა ს ზ ე

ჩემო საყვარელო გედეონ!

ამ მინუტში ვაჯდებოდით დროშკაში, რომ წავსულვიყავ სადი-ლათ ბრონეესკისთან<sup>1</sup>, მაგრამ შენმა წერილმა შემაყენა. დიდად გმადლობთ კალმახებისათვის, და ის რაღაებიცა, რომ მოგეწერა... ის კი შენ დაგეჯერება, რადგანაც ხარ კარგად გამოცდილი, მაგრამ ჩემთვის კი არაფერი. მე მხოლოდ გაგონებით ვიცი ისა, რაცა შენ თავს გადაგხედა.

სოფოს<sup>2</sup> დიდის პატივისცემით მოკითხვას მოგახსენებ. ვეშუ-რები წერასა, მელიან სადილად და მეც ძალიან მშვიან.

შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი.

31 მაისს

1852. თემირხანშურით.

მისამართი წერლის ზურგზე: Г-ну Подполковнику и кавалеру Буч-жиеву.

25 ოქტომბერი, 1872.

## 12. ლევან ნელიძისილისადმი

ჩემო ბატონო, კნიაზო ლევან<sup>1</sup>. ძლივს მოვედი დღეს გონებაზე. შეიტად შეწუხებული ვარ საბრალოსა ალექსანდრეს<sup>2</sup> გარდაცვალებითა, მიყვარდა გულთ, შევხაროდი მის გონებასა, მისს მახვილ ლაპარაკსა, უწვერობითგანვე ჩემი გაზრდილი იყო. არ ვიცოდი ამის სიკვდილი; ველიკი კნიაზმა<sup>3</sup> ლაპარაკში ანაზღეულად წარ-



მოსტქვა. ისე მომხვდა გულში ლახვრად, რომ ყელი შემეკრა, ხმა ველარ ამოძლიოდა, მახლას, დიდად დაღონებული მიველ შინ და ახლა აქ დამხვდა ერთი კარგი სხვა ამბავი, ახალ-ახალი: ჩვენს სემინარიაში უნდა აღუკრძალონ სწავლა ქართულისა ენისა, რადგანაც არა აქვს ამ ენას მდიდარი ლიტერატურა, და ამის მაგიერ უნდა შემოიტანონ ბერძნული ენა. საწყალი სულხანოვი\*, რომელსაცა არ მოსწონებია ეს განკარგულება და უთქვამს, რომ საქართველოში მღვდლებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა, დაუთხოვიათ სემინარიიდან, ვითარცა წინააღმდეგი მმართველობისა და საშიში კაცი. ამ ამბებმა ერთმანეთზე დაერთებით ამიშფოთეს გული; იმ ღამეს მომცა სიცხე და მხოლოდ დღეს შევძელ ადგომა და გწერ ჩემს დარდებსა. თათრები იტყვიან: „მან ბუღარინ ჰანქსინინ დარდი ჩაქიმ“, ესე იგი, რომლის ერთისათვის ვიდარდო?—შეცდომა შეიძლება ვითარცა კაცისაგან, ვერეოვე მმართველობისაგან, მაგრამ აღკრძალვა ქართულთა ლოცვისა ქართველთ ეკკლესიაში სისულელეზე უაღრესია. საქართველოში არიან მრავალნი ეკკლესიანნი სხვა და სხვა ენისა, სხვადასხვა სარწმუნოებისანი: თათრები, ურიები, სომხები, ~~ლოტრანები~~, ფრანგები\* თავისუფლად ილოცვენ თავიანთ ენაზე; ფრანგები ილოცვენ ქართულს ენაზე და მხოლოდ ქართველებთა კი უნდა მოუსპონ ქართულად თქვან „წმინდაო ღმერთო?“ განა პოლიტიკა მოითხოვს ამასა? განა ეს არის განვრცელება მართლ-მადიდებლობისა აზიაში? რაღა ქართველებზე მოიტანეს ძალი ქადაგებისა გასაქრისტიანებლად? ეს ხომ შეიქნა (გაუკვეველია—ს. ც.)... და ანუ რა სიკეთე წარმოსდგება აქედან? თუ გარუსებას სცდილობენ, ბრმანი ხომ არ არიან, რომ რუსებზე ჩვენ უფრო რუსები ვართ; თუ მართლმადიდებლობისთვის იღვწიან, აი, ურიები, თათრები, სომხები და სხვანი! მაგრამ უსაპართლოება და ძალადობა მარადის ჰბადვენ უსიამოვნებასა, ყვედრებასა, წყევასა და თვით ორგულობასაცა. მიკვირს რას უჩუჩხურებენ ამ საბრალოს, მორჩილს, კეთილს და ერთგულსა ერსა? სამწუხაროა კნიაზო ლევან, რომელს საუკუნეში ვჰსცნოვრობთ?

ამ დღეებში ვეახლები ველიკი კნიაზსა განგებ ამ საქმისათვის: იმედი მაქვს, რომ არ იამება ესრეთი განკარგულება დაბრმავებულის სამღვდელოსი და მოიხმარებს ყოველსავე ღონისძიებას, რათა ჩაშალოს ეს პროექტი, რომელიც არის ცაადად ძალადობა და დაჩაგვრა ერისა, და რომელსაცა, რასაკვირველია, არ მოინდომებს აცა კეთილი გული მისი, და არცა რომელიმე მმართველობა.

\* ქართველი კათოლიკები.—ს. ც.

გონიერად მზრუნველი კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის ერი-  
სა. ასე ჩემო ბატონო.

ავიხინხილე დათიკოსთან<sup>5</sup>; დიდად მიამა მისი ასე კარგად მო-  
ხედვა; მაგრამ ვერ შეუსრულებია კი კურსი, რადგანაც აქედამ  
გასვლა დაუგვიანდა. სახით კარგად არის, პატარა ჯოხით დაიარე-  
ბა ოთახში. იქაურთა დოხტურებთა უჩქვამთ, რომ სიღამბლის  
ნიშნები სრულიად არა ჰქანს, მხოლოდ ცუდად აქიმობას მოუყვა-  
ნია სისუსტეშიო, მემრის, სამის კვირით, კიდევ უნდა წავიდე, იქვე  
საწამებლად და დათიკო შეიქნება ისევ დათიკო და ქეთევან<sup>6</sup> კარ-  
გად ბრძანდება.

რკინის გზა მუშაობს კარგად მაგრამ ძველად ნათქვამია: „კარ-  
გი ფონი ერთს ადვილს აღრჩობსო“. ეს რკინის გზაც კარგია მაგ-  
რამ სურამის მთაზე კი ჰხოცავს მგზავრებსა, ახლა მთაზე გადადიან  
და გადააქვთ პოვოზკებით ეს ამდენი საქონლის ბარგი. ეს ძნელი  
დაბრკოლება გამოუჩნდა ვაჭრობასა.

გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

### 13. გრიგოლ დალიანისადმი

ჩემო ბატონო, კნიაზო გრიგოლ!

თქვენმა წერილმა აღმავსო ჭეშმარიტისა სიხარულითა, ვჰსცან-  
რა თქვენი მიმყუდროებული ცხოვრება მშვენიერს გორდსა<sup>1</sup> კეთილ-  
შეზავებულს ჰაერში, მოშორებით ყოვლისა ბოროტის დელვისაგან  
ამა დაუდგომელისა სოჯლისა. მეცა ვჰგრძნობ, მეცა მესმის თქვენთ-  
ეგრეთ სანატრელი მიმშვიდებით ცხოვრება, რომელშიაცა მხოლოდ  
მდგომარეობს ჭეშმარიტი, შეუწყვეელი ბედნიერება ჯაცისა, მესმის-  
და შემოგნატრი შორადამ!

თბილისში იყო საშინელი, გაუძლებელი სიცხე და ამასთანა,  
ჰაერი სავსე კირითა და ნაგავითა. ერთ ღავე დაყვავ იქა და დავს-  
წყევლე ის ღამე! საკვირველი სანახავია და ამასთანა სასაცილოცა,  
რომ ის საზარელს სიცხეში და მტვერში ქალები გულდამშვიდებით  
და კოხტაობით მიმოსეირნობენ გოლოვინის პროსპექტზედ: — ათმა  
თვემ განვლო და ჩვენ არ გვინახავს თოვლი და წვიმა; ბევრჯერ  
შინატრია ტალახის ნახვა. მოიწვა მთლად თბილისის გარეშე სოფ-  
ლები, არცა ბალახი და არცა მოსავალი პურისა. ახლა ძლივს  
ავვისტოში დაიწყო წვიმა და მწარედ აგრილდა თბილისში.

მოგვივიდა ამბავი, რომ პრუსიის პრინცი ალბერტ<sup>2</sup>, 23 აგვის-  
ტოს მოვა ოდესაში და იქიდან გამოსწევს თბილისისაკენ. სწორედ

შოგახსენო, ძალიან არ მიამა ეს ამბავი; სტანციები, გზები, მიგეზება, დახვედრა, შექცევა, ვინ იცის რეები, აბა ვისა ჰსცალიან<sup>4</sup> ათასი საქმეები თავს მომხვევია, ერთი მეორეზედ უმძიმესნი, და ამასთანაცა, საუბედუროდ, ჩვენის საზოგადოებისაგანაც არავინ არიან ამ დროს აქა. მოდი და ლაზათი გასწიე!

გიორგი მუხრანსკი<sup>5</sup> მწერს, რომ მთავარმართებელი<sup>4</sup> ჰსცხოვრებს ვილსბადენს კარგად, მშვიდობიანად, გულმხიარულად. იქვე არიან ღრად მორნი<sup>5</sup> ცოლითა და კიდევ სხვანი რუსეთიდან და ფრანციიდან მოსულნი არისტოკრატები, და ყოველს დღეს ერთად შეყრილნი ატარებენ სიამოვნებით დროსა. სექტემბერში აპირებს ნამესტნიკი<sup>6</sup> მოსვლასა, ასე რომ, თუ ხელმწიფე<sup>7</sup> წაბრძანდება საზღვარს გარე, მაშინ, იქ ნახავს და იქიდან პირდაპირ გაემგზავრება აქეთკენ; და თუ არ წაბრძანდა, მაშინ კნიაზი<sup>8</sup> წავა პეტერბურგს და შემდეგ აქეთ წამოვა. მაინც, ანგარიშით, ამ დღეებში—უნდა მოვიდეს მთავარმართებლისაგან წერილი სწორეს ამბებითა და მაშინვე მეცა შოგახსენებ. თვით გიორგისაც<sup>9</sup> მოველით ამ დღეებში თბილისში და მე გულით მიხარის ამის დაბრუნება თავის სამშობლო ქვეყანაში, რომლისთვისაც უფრო დიდად საჭიროა ამ გვარნი კაცნი. გიორგის უნახავს კოწიაცა<sup>10</sup> და ლიზაცა<sup>11</sup>, ღვთის ნოწყალებით ორნივე კარგად არიან.

ეკატერინას<sup>12</sup> წერილი მომივიდა, რომელშიაც მწერს, რომ ლონდონში უნახავს კნიაზი ბარიატინსკი<sup>13</sup>, ძალიან კარგად შეუძლიან; ორსავე მხარეს ყოველივე გულის წრფოებით მოულაპარაკნით; კნიაზსაცა ბევრი იმედები და აღთქმები მიჰცია, და ახლანახოთ. შეიღებიც კარგად ჰყავს; სალომეს<sup>14</sup> პორტრეტიც გამოიმიკვანა, მშვენიერებაა!..

ჩემი რძალ<sup>15</sup> ვარინკა<sup>16</sup> გიორგითურთ<sup>16</sup> იმყოფება წინანდალსა; მანანა<sup>17</sup> ყირიმში თავის ქალთან არის და მისი რძალი სოფო<sup>18</sup> — ივანეს ცოლი — კახეთში, ახტალას, რომლისაცა ნაცარტუტი წლეულს დიდს მოდღაშია, მთელი კახეთის თავადიშვილო<sup>19</sup> სულ იქ არიან საბანებლად და ყოველნი მოელიან სიმთელესა, გაყმაწვილებასა და შეტადრე გაღამაზებასა.

საწყალს ჩემს ბიძაშვილს ყაფლანს<sup>19</sup> მოუკვდა შვილი; იმის მეტი ვაჯი არა ჰყვანდა. შეგებრალებათ, რომ იხილოთ, მეტადრე ჩემი რძალი ელისაბედ<sup>20</sup>.

ჩემს მოწყალეს ხელმწიფეს კნენას ტერეზიას<sup>21</sup> პნტივისცემით ხელის კოცნას შოგახსენებ.

შემატყობინეთ რა ანბავია თქვენსკენ, ანუ აფხაზეთისკენ? როგორ იმყოფება მთავარი<sup>22</sup>, ხომ არა ჰსნეულებს?

კნიაზო, გეგულებოდეთ თქვენდამი მარადის ერთგულებითა და ჭეშმარიტისა პატივისცემითა.

თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე გრიგოლ ორბელიანი.

21-ს აგვისტოს, 1862.

კოჯორი.

#### 14. ეკატერინე დალიანისადმი

უგანათლებულესო კნეინავ ეკატერინა!

წაბრძანდით თბილისიდან და მე დავჰშთი თქვენს წინაშე პირშავად აქმდის წერილის მოურთმეველობისა გამო. სიბერეწარის მიზეზი თუ ბაგრატიონები, რომელთაცა დაჰანათლეს ცოტაოდენი პოხონდრია და სევდები, მგონია ორივე ერთად, შემიპყრეს მე და სირცხვილეულმყვეს თქვენს წინაშე, რომლისადმი თავდადებით ერთგულება, პატივისცემა და ჭეშმარიტი სიყვარული მაინც კი ისევ ისე შეუცვლელია, ისევ ისე შეურყეველია!!

წაბრძანდით, და ვისაც კი შეეძლო გასვლა თბილისით, აიშალნენ და წავიდნენ გარეშე საგრილებელს ადგილებში. სასახლე გადავიდა ბორჯომს: მასა შეუდგნენ რებინდერი<sup>1</sup> და აღუტანტები და იქვე წავიდა კნეინა ტერეზია<sup>2</sup>, მირსკიანნი<sup>3</sup>, აპაჩინინები<sup>4</sup>, ივანოები<sup>5</sup>, ტასო აღლობჯიოთი ავიდნენ კოჯორს; იქვე ბრწყინვალებს ანგელოზებრი სახე პოპორილოპულოს<sup>6</sup> მეუღლისა და არიან იოსებ ყორღანოვის<sup>7</sup> სახლობა და არღუთინსკიანნი<sup>8</sup>; მაგრამ უწინდელი კოჯორის დედოფალი ვარვარა<sup>9</sup> თამამშევისა წავიდა საზღვარსგარეთ და მით დაობლდა კოჯორი. ლიზა მუხრანსკისაც<sup>10</sup> ძლივს, რისყოფით გადავიდა დილომს, დიდად გულჩაკლული ქალაქის მოშორებითა; მანანაც<sup>11</sup> აპირებს ყირიმში წასვლას, მაგრამ ჯერ მხოლოდ აპირებს; ელენე და სოფიოცა<sup>12</sup> აპირებენ ტაბახმელას ასვლასა, მაგრამ ესენიც არიან ჯერ ისევ პლანებში და დიდს რჩევაში, ხუთშაბათს გავიდნენ თუ შაბათს. შაბათი ელენეს არ მოსწონს, რადგანაც ურიების დღეა, ხუთშაბათი სოფიოს მიაჩნია ცოდვის დღედ, რადგანაც მის დღეს მაცხოვარი შეიპყრეს ურიათა; კვირა დღესასწაულია, ოთხშაბათი და პარასკევი მარხვა არის; ორშაბათი ყოველმა იცის რა ბაიყუში დღეა; სამშაბათი ჰძულს ელენესაცა და სოფიოსაცა, მგონია უმიზეზოდ, და ამ ბაასში ზაფხული კი მიდის და მიდის ჩუმჩუმად. მეცა ველარ გაუძელ ამათ ესრეთს ყოველდღე რჩევასა და ბაასსა, და წამოველ, კოდას, სადაცა ველი და ველი ჩვენს



შაბაღეს<sup>13</sup> და არ იქნა არ მოვიდა, თურმე ესეც გლის და ელის  
კაკოსა<sup>14</sup> და ზაქარიას<sup>15</sup> წინანდლიდამ. აი, რა ძნელი ყოფილა ქა-  
ლაქიდამ გასვლა. და ჩვენ კი ლიზას წუწუნი არ გვექმის, როცა  
ამბობს „ჩი какая скука Дигომი?“

ვიცი, რა გორც გეწყინებოდათ და შეშფოთდებოდით იმ მიუ-  
ტყევებელს ქვევისაგან, რომელიცა მოახდინა სმიტინმა<sup>16</sup>. სწორედ  
მოგახსენოთ არავინ მოელოდა მისგან ესრეთს საძაგელს საქმეს!  
არა, ვინ ეხვეწებოდა, ანუ ვის აგონდებოდა ეგე? იგივე თავგამო-  
დებით დაიწყო და შეუდგა მაგ საქმესა, თვითვე შეადგინა კონტ-  
რაქტი, რომლისა ყოველი პუნქტი მიიღეთ თქვენ შეუცვლელად და  
ბოლოს თვითონვე უარჰყო და უკუსდგა უმიზეზოდ! ამაზე დიდი  
ლაპარაკი და კითხვა დაიწყო აქაურმა საზოგადოებამ, ასე რომ  
სმიტინმა ველარ გაჰსძლო აქა და გაეშურა სამზავარსგარე დროე-  
ბით. მე და ბარონსა<sup>17</sup> გვექონდა ამაზე ლაპარაკი და ორნივე დავ-  
შითით გაოცებულნი. ნეტავი, მცირე რაიმე მიზეზი მაინც ყოფილიყო  
თქვენის მხრით? ეს არც მმართველობისათვის არის კარგი: საზო-  
გადოება გულდაჯერებულია, რომ სმიტინს დაუშაღეს მმართველო-  
ბის მხრით ამ საქმის მიღება! რასაკვირველია, უსაფუძვლო და  
უგუნური, ჰაზრი არის ესა, მაგრამ საზოგადოება კი ასეა გულდა-  
ჯერებული და! ეს ლაპარაკი და ეს უსაფუძვლო ხმები უფრო აწუ-  
ხებს ბარონსა. მახლას, არავის ეგონა, რომ სმიტინი მოიქცეოდა  
ასე უბატონობით! და რაღა გაეწყობა? მრავალი ამგვარი რამ  
უსამართლოება და უჯიშობა კაცისა გინახავთ; ახლა უნდა გული  
დაიმშვიდოთ და ჰსთქვათ ძველადვე ნათქვამი „ესეც იქ იყოს“ და  
დააწყოთ ახალი პლანი, და იპოვოთ ახალი კაცო დასაბოლოებლად  
ამასა საქმისა. მტერობამ და უსამართლობამ რაც უნდა ღრუბელი  
მიაფარონ, სიმართლე მით არ დაიმალება და გამობრწყინდება ნა-  
თელი მისი! ასეა ღვთისაგან დადგენილი და შეურყეველი ძალი სი-  
მართლისა.

27 ივნისს.

ამის წერა დავიწყე კოდაზე და ვათავებ თბილისში, სადაცა  
მოულოდნელად მომიხდა ჩამოსვლა: ჩემს რძალს ქეუევანს<sup>18</sup> მოუკე-  
და მოხუცებული დედა და მოველ მე, რათა მოვალეობისაგან ჩემისა  
ნუგეშ ვჰსცე შეწუხებულსა. დღეს იყო წირვა ანჩისხატში, სადაც  
ჰგალობდნენ ქართულად და მოგახსენო, დიდად მიამა. იფიქრეთ,  
საქართველოში გვიკვირს ქართული გალობა! გვედრებით, ნუ გააქ-  
რობთ ქართულს გალობას თქვენს ქვეყანაში, სადაცა ათასს წელი-  
წადს ისმენდა ერი თავის ენაზე თავის გალობას.

იყო აქა რამდენიმე დღე ბუტკოვი<sup>19</sup>, მაგრამ მე ვეღარ მოუხ-  
წარ, წასულიყო ყირიმს. ეს ორი კვირა არის მოუწყვეტლივ ჰსწვიმს,  
ჰსქექს და ცივა, ასე რომ 14 გრადუსამდის ჩამოვა სითბო. არ ვარგა  
ესრეთი უდროოდ ცვლილება ჰაერისა. ზაფხულში სითბო, ზამთარში  
სიცივე ზომიერი.

დიდს პლანებში ვართ აქა ქართულის ენის მოყვარენი: ვაბეჭ-  
დვინებთ ძველს ქართულს წიგნებსა, და ვიმედოვნებთ, რომ ესრეთს  
საყოველთაოდ კეთილს საქმეში შეგვეწევიით ფულითა თქვენცა, სა-  
ლომეცა<sup>20</sup>, ნიკოცა<sup>21</sup> და ანდრიაცა<sup>22</sup>. ქართული წერილი იყო სამა-  
სის წლის უწინარეს ქრისტეს დაბადებისა, და თუ კი არ განჰქრა  
და მამა-პაპათა ჩვენთა დაიცვეს იგი დროსა საწინელისა გაოხრე-  
ბისა, დატყვევებისა, აკლებისა მაჰმადიანთაგან ჩვენის მამულისა,  
ეხლა ჩვენს მშვიდობიანობის ჟამსა, დიდის მოწყალეს ხელმწიფის  
მფარველობის ქვეშ დაცული, რად უნდა დაეცეს წერილი ჩვენი?  
ვის რა დაუშავდება, რომ სხვათა ენათა შორის იყოს ჩვენიცა  
ცოცხალ?

ახლა ჩემო მოწყალეო ხელმწიფავ, როგორ ბრძანდებით, რო-  
გორ ატარებთ დროსა თქვენს საგრილებელს გორდსა, ანუ თქვენ,  
და ანუ თქვენნი საყვარელნი, სასურველნი შვილები და მშვენიერი  
სიძე ბატონი<sup>23</sup>. მაგონდებით რა ერთად მყოფნი, გულით მჯერა,  
რომ შადლი ღვთისა ტრიალებს თქვენს სახლში, და იყოსმცა მა-  
რადის კურთხევა მისი განუშორებლივ თქვენზედა, და მეცა ნუ და-  
შვიწყებთ ნუცა ერთი თქვენთაგანი, და გრწამდესცა, რომ საცა  
გინა ვიყო, მაინც ვარ თქვენი ერთგული გულით, სულით, თავდადე-  
ბით ერთგული და პატივისმცემელი გრიგოლ ორბელიანი.

1-ს ივლისს, 1869, თბილისი.

## 15. მ ა ს მ ე

თქვენო უგანათლებულესობავ, მოწყალეო დამო ეკატერინა!

მომირთქევია კრძალვით და შიშით სალალუბის<sup>1</sup> ალლაფერდი  
და არ ვიცი მოიწონებთ თუ არა? მაგრამ არ დავმალავ, მინდა კი  
დიდად, რომ მოგეწონოსთ. რა ვჰქნა, სიტყვითი სიტყვად თარგმანი  
არ ევარგებოდა; ამის გამო გადმოვიღე მხოლოდ ჰაზრი სალალუბისა  
და განვაგრძევე ქართველთა ჩვეულების ჩამატებით, და ახლა არ  
ვიცი, ეს ჩამატება მოუხდა თუ არა? მსაჯული ამისი თქვენ ბრძან-  
დებით.

აქაური ამბები მოისმინეთ. ღმერთმა უშველოსთ ერისთავთა  
კონას<sup>2</sup> და კოტეს<sup>3</sup>, რომელთაცა ძალად ჩასვეს კარეტაში ტასო<sup>4</sup>

და წაიყვანეს საახალწლოდ გორსა, და ამით მოაშორეს, რამდენსამე ხანს, იმ საშინელს მარტოობას, რომელშიც იყო ტასო სევდიანი, მწუხარე, გარეთ გამოუხედველი.

ივანე<sup>5</sup> თავის სოფიოთი<sup>6</sup> არიან ბოთლიხში მშვიდობიანად ნიკოსთან<sup>7</sup> ერთად. თქვენი ძმა დავით<sup>8</sup> აქ არის, და ემდურის ამ სოფლის მუხტლობასა, რომ ველარ აშუღობს უწინდელებრ, ხშირად შევიყრებით ირაკლისას<sup>9</sup> და ვკოზირობთ იარალაშსა. ლამაზი თამარ<sup>10</sup> კარგად არის და მოელის კანკალით თებერვალსა; ძალიან ლამაზი ქალი ჰყავს. ელენეც<sup>11</sup> აქ არის ქმრითა, რომელიცა დიახ, კარგად გაზრდილი ყმაწვილი კაცია, მაგრამ ნეკნები მეტად სუსტია აქვს.—სალომეც<sup>12</sup> მალე აპირებს ჩამოსვლას წინანდალიდამ,—ზაქარიაც<sup>13</sup> გახდა ლენერალი და ჩააბარა პოლკი მეინდორფსა<sup>14</sup>. სანდრო<sup>15</sup> შემოვიდა ჩემთან გახარებული, რომ ეგზამენი კარგად ჩაუბარებია.

მოვიდნენ აქა ნიკოლოზ<sup>16</sup> დავითის-ძე მუხრანსკი ცოლითა; კარგად გაზრდილი დედაკაცია, მოსწონს საქართველო აღტაცებით ლაპარაკითა.—მოვიდა გრიგოლ<sup>17</sup> ერისთავის ცოლი ლამაზის ქალითა,—ეუუუნა თვალებითა.

ამ ზამთარს არის დიდად გაჩაღებული არტისტიჩესკის კრუჟოკი, სადაცა ყრველს კვირას ერთხელ, ორჯელ, ხან აქვს ბალი, ხან მასკარადი, ხან თეატრი. თითქმის მთელი ქალაქი არის ჩაწერილი ჩვენად ამ კრუჟოკში და არის დიდი გაკვრვა-გამოკვრა, — მხიარულება, ტანციობა დიდს ხანსა.

იყო რამდენიმე ლექციები ფიზიოლოგიიდან, რომელსაცა დიდად საქებურად კითხულობდა ახლად გამოჩენილი სწავლული ყმაწვილი კაცი თარხანოვი<sup>18</sup> რამაზის შვილი. ძლივს ველირსენით ერთს მსწავლულს ქართველსა. — ქალებსა დიდად მოსწონთ, და ყაფლანს<sup>19</sup> კი ჰსწყინს.

მოგვივიდა ამბავი, რომ ველიკი კნიაზი<sup>20</sup> შივა პეტერბურღს 20-ს ამ თვისას, იქ დაჰყოფს თითქმის ერთ თვეს, და მერე აქ მოვა, თუ ისევ წავა ნეაპოლში, ჯერ არ ვიცით.

სულით და გულით ჩამიკოცნეთ ჩემი საყვარელი ნიკო<sup>21</sup>, დიდის ოჯახისა შესაფერი შვილი. სად არის და ანუ როგორ ანდრია<sup>22</sup>. ჩემის საკუთარის მშვენიერის სალომეს<sup>23</sup> ამბავი რა მოგეხსენებათ? ახლა შვილების დედაც ბრძანდება; ნეტავი როგორ უვლის თავის შვილსა და ან რა იცის მოვლისა?

დღეს პირველად მოიღრუბლა და გავარდა ცასა მცირედი ნაში. საშინელი გვალვა არის აქამომდის; მდინარეები დაშრნენ, მტკვარი ძაფის სიმსხოდ მოწანწყარებს.



ღმერთსა ვჰსთხოვ თქვენს სუფევასა სიხარულით, გულგანსვენებით, სიმრთელით, თქვენის მშვენიერის შვილებითა, და მეცა მაღირსოს ხილვა თქვენი.

თქვენის უგანათლებულესობისა მარადის ერთგული  
მოსამსახურე გრიგოლ ორბელიანი.

5 იანვრის, 1872.

თბილისი.

## 16. მ ა ს ვ ე

უმოწყალესო დაო ეკატერინავ!

ვგრძნობ ჩემს დანაშაულობას; ვჰსცოდე ცად მიმართ და წინაშე თქვენსა დავჰშთი პირშავად! არ ვიმართლებ თავსა მით, რომ ხან შეუძლებლობა, ხან აქა იქ სოფლებში თრევა, მიშლიდენ აქამოდის წერილის მორთმევასა, და ახლა ისევ თქვენმა გულმა, სიკეთით სავსემ, მომიგონა და წერილითა გამომადვიდა, გამამხნევა და დამარწმუნა, რომ ამ დაუდგრომელს სოფელში არა ვჰყოფილვარ დაკარგული, ღმერთმან თქვენ, თქვენის შვილებითა ისე გაგაბენიეროს, როგორც მე გამახარეთ თქვენის მოგონებითა.

მიბრძანდებით პარიჟში; უფალი მარადის გიძლოდეს თქვენ მფარველად ზღვაშიცა და ხმელეთზედაც. მიხვალთ თქვენს მშვენიერ სალომესთან<sup>1</sup>; იქ მომიგონეთ და ჩემმაგიერ მიულოცეთ ორის ვაჟის<sup>2</sup> დედობა და ჩამიკოცნეთ გულით, სულით სალომეცა, მისი ქმარიცა და შვილებიცა მათი.

ამ ზაფხულს ნიკო<sup>3</sup> ანაზდეულად შემოვიდა ჩემთან, მნახა, და ისევ ელვასავით განჰქრა; მაგრამ ჩემთვის ესეცა კმარა. სად არის ანდრია<sup>4</sup> და როგორ? და ანუ ცხენზე ჯდობა ისწავლა?

აღრევე გამოგზავნილ თქვენგან ათ თუმანს, ქართულის წიგნების დასაბეჭდავად, ჯერ ისევ მე ვინახავ, რადგანაც აქამომდე ვერ მოუმხადებიათ ბეჭდვა.

ამ ზაფხულმა ისე გაიარა, რომ ღრუბელი არ გვინახავს. საშინელმა მოუწყვეტელმა სიცხემ გაახმო მიწა; მოსავალი დაჰსწვა; წყაროები დაშრნენ; მტკვარი ძლივსლა მოხინჩილებდა, მხოლოდ სექტემბრის გასულს მოვიდა პირველი წვიმა და გააგრილა ჰაერი; მაგრამ მილლიონები ცხვარი და საქონელი, ჯოგები, რომელნიცა ჩამოვიდნენ მთიდან, სად იპოვნიან საზრდოსა?

მოვიდა თბილისში პრინცი პეტრე ოლდენბურდსკი<sup>5</sup> გასასინჯავად ინსტიტუტისა; ხვალ აპირებს დაბრუნებას; მცხეთას შეხვდება ველიკი კნიაზი, მომავალი პიატიგორსკიდან და ერთად წავ-  
21. ზუგდიდის მუხეუმის შრომები.



ლენ ბორჯომსა, სადაცა ველიკაია კნენა ჯერ ისევ იქ იმყოფება და ამ თვას თხუთმეტს კი დაბრუნდება თბილისს.

გუშინ აქაური ხალხი რკინის გზით პირველად წავიდა მცხეთას სადღესასწაულოდ. დილით ნ-ს საათიდან შუალამემდის მოუწყვეტლივ მიდიოდნენ და მოდიოდნენ ვაგონები ხალხით გატენილები, ზურნებით, ჭიანურებით, სიმღერით. სასიამოვნო სანახავი იყო, უშლიდნენ ზურნის დაკვრასა, მაგრამ არ დაიშალეს. „ეი, ინგლის, ზნაემ სელოდნია მცხეთობა, პრაზნიკ, ზურნა ნადა!.. ანგლიჩანმაც ვერა გაიგო რა და თავი დაანება. შუალამემდის მოუწყვეტლივ გზაზე ისმოდა. ზურნა და სიმღერა. მიყვარს ეს ჩვენი ხალხი, თუ არიწაუხდინეს ხალხათი.

სადაც დღეებში იყო კნენა ანნეტა<sup>6</sup> თავის ნასტინკათი. მშვენიერი იქნა გეგბა წამოსადეგი ქალი შექნილა ნასტინკა; დაკით<sup>7</sup> ჯერ ისევე წინადალშია.

თავიდანვე გთავის, შვილით გადასულა მოსკოვიდან პეტერბურლს, დაბრუნდა სალიანოშინთან: იქაურს დამპალს ჰაერს ვერ გაუძლებს მისი დასუსტებული სხეული.

მახეილ შარვაშიძის<sup>8</sup> ქალი, ინსტიტუტიდან გამოსული, ველიკიძის<sup>9</sup> ხაზბარე ჩვენს ტასოს<sup>10</sup> გაგარინისას და ჯერ არ მოსულან აქა წიტიშიდამოვიანე და სოფიო<sup>11</sup> არიან დალისტანში მშვიდობიანად, მაგრამ გაიწმიათ ყოფნას, გადაკარგულებს თავის ქვეყნიდან, თავის სახლიდან, და როდემდის ღამათა ესრეთი ყოფნა მიმწარებს მე სიცოცხლესა და, რა გაეწყობა<sup>12</sup>

ლ-თამაყოს მფარველი თქვენი და თქვენს შვილებისა. ჩემს საყვარელს, თვალს ჩინს ნიკოსს იყვარულით მოვიკითხავ.

თქვენ მარკის, სათლავამდის ერთგული

გ რ ი გ ი ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

2 თქვენს, 1872 წელს. გაიწმიათ 6 ევსი ოფიც. თქვენს თბილისი.

17. შ ა ს ვ ე

უგანათლებულესო კნეიხაჲ, უმოწყალესო დათ ეკატერინავ!

წუხელის სრულიად მოულოდნელად თქვენმა ნიკომ<sup>1</sup> მაცნობა ტელეგრამით სასიხარულო ამბავი მღბნიშენა თვისი ღრატენია მარტაში ადელბერტისასზე. ღმერთიან მოუგლბნოსთ კურთხევა თვისი ნიკოსაცა და მის სასძლოსაცა და პეტრის სიცოცხლე მათი პედნიერად ურთიერთისა საყვარულითა, ინისეორგორცა იქაურს გუდსა თქვენსა. ასე არის აქ ჩვენი საზოგადოდ დასტავად ღმრისადმი და

თქვენცა მოკილოცავეთ ჭემპარატიისა სიხარულათა. ახლა კი<sup>ა</sup> განი-  
სვენებ<sup>ს</sup> გული თქვენი ღელვისაგან მუხთალისა სოფლისა.

დაგიკოცნი ხელებსა და ჭემპარიტითა პატივისცემითა და  
ერთგულებით სიყვარულითა ვეგები მარადის.

თქვენის უგანათლებულესია ერთგული მოსამსახურე

თ. გრიგოლ ორბელიანი.

3 იანვარი, 1874, თბილისი.

მინაწერი:

თქვენი სასურველი ანდრია<sup>3</sup> ვნახე და მაგისმა ხილვამ გულით გამახარა.

## 18. მ ა ს ვ ე

თქვენო უგანათლებულესობავ, უმოწყალესო დაო ეკატერინავ!

ჭემპარიტითა გულითადის სიხარულათა გილოცავ ნიკოს  
ქალსა<sup>1</sup>, ესე იგი, გილოცავ ბებიობასა. ღ-მან ნუ განაშოროს თქვე-  
ნის ოჯახისაგან კურთხევა თვისი და მარადას ჰყოს გული თქვენი  
სავსედ მზიარულებითა; და მგონია, დროცა იყოს.

აქაური ამბავი არა არის რა მწუხარების მეტი. ყოვლის მხრით  
ისმის კვნესა, ყოვლის თავად-აზნაურის სახე არის მოღრუბლული  
გამწარებულის ფიქრებითა სიღარიბისა გამო; მთლად ჩვენი საზო-  
გადოება არის ჩაფლული გადუხდელს ვალში და გამომხსნელი არ-  
სად არის, არა თუ საქმით, ცარაელი სიტყვაც არ ისმის ნუგეშე-  
მისა. მთლად საქართველო იყიდება, და თუ გამოჩნდა ვინმე ფუ-  
ლიანი, ის დიახ, იათად და ადვილად შეიქმნება ბატონად ქართ-  
ლისა და კახეთისა. გავჰმართეთ ბანკი, მაგრამ არავის გვაქვს იმე-  
დი, რომ ამით გვეშველოს რაიმე, და ვართ ასე გულს ხელ-დაკრე-  
ფილნი. მერწმუნეთ, ჩემას ავათმყოფობის გარდა, ესრეთი სამწუხარო  
მდგომარეობა ჩვენის საზოგადოებისა უფრო უმეტესი იყო  
მიზეზი, რომ აქამდის ველარ მოკწერეთ; ვიცოდით რომ დიდად შე-  
ვაწუხებდა ეს შესაწუხარა მოხსენება ჩემი.

საწყალი მამუკას<sup>2</sup> შვილი დათიკო დავჰმარხეთ წასულს კვირას  
სიონში, თავის მამა-პაპის მეზობლად.

გუშინ გადაწყვიტა ოკრუჟნი სუდმა საქმე საძაგელის კიკო ჩო-  
ლაყაევისა<sup>3</sup> და მის საბრალო ცოლისა. კიკოს ჰგზავნიან ხუთის  
წლით ირკუთსკის ღუბერნიაში და მერე თორმეტის წლით ციმბი-  
რის ღუბერნიებში საცხოვრებლად.—ძლივს მოაშორეს ამ ქვეყანას  
ეს კაცი, გულით, გონებით აყროლებული. ისტორიაში არ იპოვება  
ამის მსგავსი მტარვალი.

ირაკლი<sup>4</sup>, ღ-თის მოწყალებით, მოდის ნელ-ნელა ღონეზე, ასე რომ კარგს დარში გამოდის გარეთ და თავის სახლის წინ ჰზის ტროტუარზე, და ჩვენცა იქვე უკეთებთ ვიზიტსა, უსხედვართ აქეთ იქით და ვლაპარაკობთ ქვეყნის ჭირებსა. დავით<sup>5</sup> არის წინანდალს მშვიდობიანად თავის სახლშითა.

ტაო გაგარინისა<sup>6</sup>, მგონია, მალე უნდა გამოვიდეს პეტერბურლიდაჲ, და ჯერ არ ვიცი კი როგორ დააბოლოვა თავის ყირიმის მამულის გაყიდვა.

სრულებით მოულოდნელად ველიკაია კნეჟნა<sup>7</sup> გახდა ავად წითელათი, КОРЬ, მაგრამ ღ-თით, არა უჭირსრა. მეტად და მეტად მშვენიერდება; სახე სიკეთის გამოძქმელი, თავმდაბალი, წყნარი, ნელა, ნაზი, მალლა-მალლა ასული, ხმა-სალამური, ერთის სიტყვით, სწორედ ველიკაია კნეჟნაა.

ჩემი ძმისწული გიორგი<sup>8</sup> გახლავსთ კამერპაჟი, და მაისში, თუ ღ-თი შეეწევა, ღვარდიაში გამოვა აფიცრად, და მასთან ერთად კ-ნ. მირსკი<sup>9</sup>, და სუმბათოვი<sup>10</sup>—მიწეილის შვილი. ძალუა ვარინკაც<sup>11</sup> კარგად არის.

იქამდის შეიცვალა ჩვეულებითა თბილისი, რომ დიდმარხვაშიაც არ მოიშალა ტანციობა კრუჟოკში. ეს მეტისმეტად გარდამეტებულია, გამლაშებულია. მარხვა არის დაწესებული სასულიერო ფიქრისა და საქმისათვის, და არა ტანციობისათვის, რომელიცა უეჭველად აღვიძებს მხოლოდ გულსთქმასა ხორციელებრივს ცთომისათვის. მაგრამ თბილისი მალე გაასწრობს პარიჟსა სარწმუნოების უარყოფითა და ამოცხვრების შეყვარებითა. მე ისე ვჰხედავ!

როდის მოელთ ნიკოს<sup>12</sup> ცოლშვილითა? ანდრია<sup>13</sup> როგორ გაეწყო პეტერბურლის ჰაერსა? მშვენიერის სალომესი<sup>14</sup> რა იცით? მაგათის ამბავის დაწვრილებით აღწერიტა გამაჯარეთ, და ჩემმაგიერ მოკითხვა და კუროთქევა შეუთვალეთ, სამნივე მეტად კარგები არიან, ღ-მან გიცოცხლოს და გაცოცხლოს მრავალჟამიერ ჩემდა საბედნიეროდ.

თქვენი მარადის ერთგული მოსამსახურე  
გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

3-ს აპრილს, 1875 წ.  
თბილისი.

P. S. გრიგოლ დადიანი<sup>14</sup> მშვიდობიანად არის. თქვენი ყაფლან<sup>15</sup> ნოხუცებული პატივისცემით ხელის კოცნას მოგახსენებს.



თქვენო უგანათლებულესობავ, მოწყალეო დაო ეკატერინავ!

ვპსკოდე ცად მიმართ, და ვარ წინაშე თქვენსა დამნაშავე და პირშავად; არ ვამართლებ ჩემს თავსა, რომ აქამოდის ვერ მოგართვი პასუხი თქვენის წერალისა, ჩემთვის მარად ძვირფასისა. უნდა მომიტეოთ, რადკანაც მიცნობთ საყრპიდანვე თაუდადებით ერთგულსა და პატივისმცემელსა თქვენსა; უნდა მომიტეოთ, რადგანაც დავჰბერდი, და ამასთანა მეტად უბედური წელიწადია ჩემთვის: დავჰკარგე ჩემი გულით საყვარელი ყაულან<sup>1</sup>, ძმა, მეგობარი, ამხანაგი. დავჰპარხე ჩემი საკუთარი სოსიკო<sup>2</sup>, დიდად პატიოსანი, ჭკვიანი, გულით კეთილი, განთქმული ვაჟაკობითა და ამასთანავე ნასწავლი. და ახლა დადუმდა, გამოყრუვდა ჩვენი იგი ქუჩა, რომელიცა ოდესმე დუღდა მხიარულებითა და იყო სავსე ყმაწვილკაცებითა და ქალებითა, ქებულნი ზრდილობითა, მშვენიერებითა, ზონებითა. აწ დავჰშთი შე ზარტო და ვარ ჩემს იმავე ქუჩაში, ვითარცა ვილაცა უცნობი სხვათათვის.

განგვზორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ,  
თვალთ მიგვეფარნენ, წავიდნენ... ძველთაგან დავჰშთით მე და შენ...<sup>3</sup>

ასე ჩემო უსაყვარლესო დაო, არ უნდა კი მიწყებოდე, უნდა შემიბრალო, უნდა შევიბრალო.—აღარ შეგაწუხებ ჩემის ვაებითა.

რა ამხავი იცით თქვენის ნიკოსი<sup>4</sup> და ანდრიასი? დროა, რომ მოვიდეს ნიკო, დასახლდეს თავის ღამა-პაპეულ მამულში, რომ გაჩნდეს ერთი მაინც ოჯახი საქართველოში განსასვენებლად ჩვენის დაჩაგრულის გულისა. ირწმუნეთ, ნიკოს ბედნიერება მხოლოდ მანდ არის და არაახადავე სხვაგან. წყალობა ხელმწიფთისა არცა მანდ მოაკლდება, და მხოლოდ პეტერბურღისათვისა რა საჭიროა დადიანი? აქ-კეთავს შემოევლება მთლად ჩვენი ქვეყანა.

თბილისი მეტად გადიდდა, გამრავლდა ხალხითა, ასე რომ მახალოვსკის ხიდი ვეღარ იტევს მიმომსვლელთა ეკიპაჟებსა, ფურგონებსა, ურმებსა; ერთი თეატრი ველარა ჰყოფნიან ქალაქის მცხოვრებთა, და ამის გამო გაიმართა კრუჟოკ, რომლისა ჩვენები ირიცხებიან შვიდასზე მეტნი; გაიმართა ტიფლისკის სობრანაჲ, ეგრეთვე რაჰდენისაჲ ასას ჩვენებით, სადაცა მუზიკის გარდა არაან ჩვენნი საზანდრებიცა, სიმღერითა და ლეკუის თამაშობათა; ამის გარდა არის ანგლისკის კლუბი, მეზჩანსკის კლუბი, ცირკი და კარუსელ; ვისაც ყმაწვილია გული აქვს, მხარულობს.

მაგრამ, ვერ წარმოიდგენთ, რა განწირულს მდკომარეობაში მიყოფება ჩვენი თავადობა, რა საშინლად დაეცა და გაწყალდა სი-



ლარიბისაგან!—საქართველო მრავალჯერ აოხრებულა, გადამწვარა, ლანგთემურისაგან, შაჰბაზისაგან, ოსმალთა და სპარსთაგან, მაგრამ გადარჩენილი სიკვდილისაგან ხალხი გამოდიოდა ტყის სიღრმითგან, კლდეების ხეობიდან და თავის მიწაზე აშენებდა თავის ქოხსა და შემდეგ, ჟამთა განმავლობაში, ნელნელა მოდიოდა ცხოვრებაში. ახლა ჩვენს თავადობას აღარსად ექმნება თავის შესათარებელი. ჩვენი მომავალი მეტად დაბნელებულია და არსაიდან ჰსჩანს ნათელი ნუგეშისა!

ველიკი კნიაზი, როგორც ისმის, მობრძანდება თებერვლის გასულს და ისევ დაბრუნდება, რადგანაც მისი უფროსი შვილი უნდა დააფიცონ ცერემონიით მაისში; მერე მგონია გავიდნენ სამზღვარგარე და ბოლოს ივნისში, ივლისში მობრძანდებიან პირდაპირ ბორჯომსა.

სტაროსელსკი<sup>5</sup> წავიდა გუშინ პეტერბურღს სხვა და სხვა პროექტებითა.—კნიაზ მირსკი<sup>6</sup> აპირებს აქედამ სრულებით გადასახლებას პეტერბურღში, და მისს ადგილს მიიღებს ლევან მელიქოვი<sup>7</sup>; მაგრამ, ვაი თუ, ამანაც ვერ გაუძღოს მეტად ძნელს თანამდებობას, და მაშინ, ვინ იცის ვის ხელში ჩავარდება ბედი ჩვენის ქვეყნისა. ეს ფიქრი ძალიან მაწუხებს.

თქვენნი ძმისწულები: სალომე<sup>8</sup>, ელენე<sup>9</sup>, კაკო<sup>10</sup>, თამარ<sup>11</sup> მშვიდობით არიან, და ამშვენებენ აქაურს საზოგადოებას ზრდილობითა, სილამაზითა, გულითა.—მეტად მშვენიერი ვაჟი ჰყავს თამარსა, ჩემი ნათლული, ვეება ტანისა, გასაოცებელის თვალებითა. კარგი ეს არის, რომ თვით თამარიცა ჩემი ნათლული არის. ირაკლიცა<sup>12</sup> ჯერ თუმცა არ არის სრულიად განთავისუფლებული ავთამყოფობისაგან, მაგრამ დიდად უკეთ არის და კარგს ქეიფზეამ პატარა ვაჟმა გააცოცხლა ირაკლიცა და ბატონის რძალიცა.—წინანდალშიაც, ღ-თით, კარგად არიან. გახსოვთ, ჩვენი წინანდალში ყოფნა, როგორ გვეშინოდა მე და დავითს გრძელის მებაღისა!

ტასო გაგარინისა და ელენე კარგად არიან. ეგრეთვე დალისტანში მყოფნი, ბედისგან იქ განდევნილნი, ივანე და სოფიო<sup>15</sup>.—ძალიან მაწუხებს, რომ ორი კვირა არის ძალუა ვარინკასი<sup>16</sup> და გიორგის<sup>17</sup> ამბავი აღარა ვიცირა.—მესამე დღეა, რო მოდის და მოდის მოუწყვეტლივ საზარელი თოვლი.

ამ დღეებში იყო აქა და წავიდა ისევ თავის ლუბერნიაში ჩვენი ნიკო ჭავჭავაძე<sup>18</sup>, უწინდელი გიჟი ნიკო, და ახლა კი დიდად გამოჩენილი ლუბერნატორი ელისავეტოპოლისა. მეტად კარგი რამ არის და გულითაც მიყვარს.

— ღმერთი იყოს მარადის თქვენი მფარველი და თქვენის მშვენიერის შვილებისა, და მეც ოდესმე გახსოვდეთ ხანდახან, და მეყოფა ჩემ საბედნიეროდ.

თქვენი მარადის ერთგული მოსამსახურე  
გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

თქვენი მშვენიერი სალომე, ჩემი გულით საყვარელი სალომე<sup>19</sup>, სად არის, როგორ არის, რა ამბავი მოგდისთ? გთხოვთ, როცა მიჰსწეროთ, ჩემგანაც გამოუტყვადოთ ჩემი ჭეშმარიტი, გულითადი პატივისცემა მისის ღირსეულის ქმრითა.

17 იანვარი, 1879 წ.

თბილისით.

## 20. მ ა ს მ ი

უგანათლებულესო კნენავ, ჩემო მოწყალეო დაო ეკატერინავ!

ჭეშმარიტის სიხარულით მოგილოცავ თქვენის საყვარელის ნიკოს<sup>1</sup> მშვიდობით მობრძანებას ცოლშვილით. — ღ-თმან ჰყოს ბედნიერად, როგორცა საზოგადოდ ჩვენ ვისურვებთ მაგრამ, ეხლა კი დროა, რომ მოხედოს თავის ქვეყანას და დაბინავდეს მამა-პაპეულის მამულსა, ზეგარდმო ნაკურთხსა ნაყოფიერებითა, მშვენიერად შემკობილის მდებარეობითა, საზაფხულოდ გორდითა, საზამთროდ ზუგდიდითა; მთა, ზღვა, ტყე; გარშემო ნათესაობა, ხალხი, რომელთანაცა ხართ დაკავშირებული საუკუნოების განმავლობით და რომლისათვის დიდად არის საჭირო ისევ თქვენივე ოჯახი. — მაშა, ვინ უნდა იყოს მზრუნველი მაგათ კეთილდღეობისათვის? ვისა შეჰსტკივა გული მაგათ უბედურებაში, თუ არა თქვენვე? სამეგრელო და თქვენ ეკუთვნით ერთმანეთსა და ხართ განუყრელნი. — კნიაზჰანიკომ, ეხლავ, ვიდრე ყმაწვილი კაცია, უნდა დაჰკრას ბარი და მკვიდრად, შეურყევლად, აღაშენოს ოჯახი თავისი, რომ დროზე, ხანში შესულმა, ბევრთვე გაიხაროს თავის ღვაწლის ნიყოფითა, თორემ, როცა ჩემსავით მოხუცდება, მაშინ ველარა აშენდებარა. ზუგდიდი ერჩივნოს პეტერბურღსა; ზუგდიდში უნდა იყოს მაგის სიხარული; მანდა უნდა დათესოს ყოველივე კეთილი და მით, დროზე აღადგინოს დაცემული თავისი ქვეყანა და ამას შეიძლებს კიდევცა, ღ-თის შეწევნითა.

ახლა, აქაური სამწუხარო ამბავი ეს გახლავსთ, რომ მოვიდა ღრუბელსავით კალია და მოჰაძმა ქვეყანა ყარაბაღიდან გორამდის და ანანურამდის, და ერთი ვეება ნაწილი ამ ღრუბელ-კალიისა

წავიდა კახეთისაკენაცა, და მოველით დიდს შიმშილობას; მაგრამ, ეტყობა, თბილისი ჯერ მაგდენს არა ჰზრუნავს მომავლისათვის; სად იყო, სად არ იყო, გაჩნდნენ განჯიდამ ნიკო ჭავჭავაძე<sup>2</sup> და დალისტინი<sup>3</sup>დამ ჩვენი ივანე ორბელიანი<sup>3</sup>, აქ დახვდნენ შერემეტიევი<sup>4</sup>, ვასტენ<sup>5</sup> და ჩვენცა და შეირყა თბილისი, და გაიმართა პიკნიკები, სადილ-ვახშმები, სანსუსში, ორთაქალას, ვერაზე კინორუსტში\*, მუ-ზიკა, ზურნა, საზანდრები, მშვენიერი ქალები, მტკვრის პირზე ლე-კურ-ვალცები, იყო ოხვრა-კვენსანიცა, და მართლაც, უამისოდ რომ ლაზათი არა აქვს ცარიელს სადილის ჭამას, აბა რა ვჰქნათ? — ბო-ლოს, ღმერთმა უშველოსთ: ნიკო წავიდა სამზღვარგარე, ივანეცა ისევ დალისტანში და დამშვიდდა, და დაყრუვდა თბილისი.

მცხეთას იყო ქორწილი ბაბოს<sup>6</sup> ქალისა და დრაგუნის ნუხ-რანსკისა<sup>7</sup>, მიხეილის შვილისა, და იქილამვე წავიდნენ ზაგრანიცას; ირაკლის, მუხრანსკის<sup>8</sup>, ქალი შეირთო შაქრო ჯორჯაძემა<sup>9</sup> და საყდრიდამვე გაექანნენ სამზღვარსგარე; ასე გასინჯეთ, ჯენტელ-მენ ონიკოვიც<sup>10</sup> კი წავიდა ვენაში, და იქილამ პარიჟსა. მალე წავ-ლენ იქითკენვე სტაროსელსკი<sup>11</sup> და ტერლუქაზოვიცა<sup>12</sup> — ღენერალი, და დავრჩით მხოლოდ მე და თქვენი დიდის ხნის თაიგული ისაკ თუმანოვი<sup>13</sup>, ორნივე გადაყრუებულნი. — სტაროსელსკის ეყოლა ქალი, მომილოცავს!

მოვიდა შრიკაზის გასაჩხრეკად პეტერბურლიდამ ხიტრავო<sup>14</sup> ცოლით, ოჰ, ოჰ, რა ცოლით, მშვენიერებით სავსე — ამისი ნათელი ყელი და ღაბაბი ინდოეთის ფასად ღირს. კარგია რომ ჩემი ბატონი, გრიგოლ დადიანი<sup>15</sup> აქ არ ბრძანდება, თორემ გახდებოდა ამი-სი მონა, მოსამსახურე, კარის ყარაული!

ჩემს საკუთარს ბატონს ნიკოს და მისს მეუღლეს, ჯერ ჩემგან უცნობსა, გულითადის სიყვარულით მოვახსენებ ჩემს ჭეშმარიტს პატივისცემასა და ღმერთსა ვჰსთხოვ მაგათ ბედნიერებით ცხოვრე-ბას. მიბძანეთ ჩემის საყვარელის სალომეს<sup>16</sup> ამბავი; სად არის ანდრია?<sup>17</sup>

ღმერთი იყოს მფარველი და ნუგეშის მცემელი თქვენი ყოველ-სა ჟამსა და ყოველსა ად-გსა.

ვეგები მარადის ერთგული და პატივისმცემელი

თქვენის უგანათლებულესის უმორჩილესი მოსამსახურე

თ. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

16 ივნისს, 1879.

თბილისით.

\* ამჟამად ამ ადგილას გაშენებულია ზოოპარკი—ს. ც.

ჩემო მწყალობელო დედუფალო! დაკბერდი, სულის გზას შევუდექე, ვჰკითხულობ ფსალმუნსა და აი, მეცა მივჰბადე, და თუ არ მოგეწონოსთ, დახიეთ:

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,  
 სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?  
 სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,  
 ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად,  
 და სიყვარულით შეიწყალა ცთომილი ვნებით ...  
 ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მხეებრ მნათობსა,  
 მონებრ არ მიჰსდევს, ჰაცნობს რა მისს შუქს ფუჭქარმავალსა,  
 ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე  
 და ძმას დაცემულს მისცა ხელი და აღადგინა!...  
 იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,  
 ღვთისა დიდების გალობითა ნ.თელ-მოსილი.

21. მ ა ს ვ ე

უგანაოლებულესო კნენავ, მოწყალეო სელმწიფავ  
 ეკატერინავ!

ქემმარიტის სიხარულით აღვსილი გილოცავ ჩემის გულით საყვარელის სალომეს<sup>1</sup> მშვიდობით გადარჩენასა მშობიარობიდან. ამას კი მართლად ვჰსწუხარ, რომ—წყეული იყოს სიბერე—ვერ მივაჭენე ცხენდაცხენ, ვერ გიახელ, რომ ჩვენებურად ძეობა გაგვემართა, და ქუდი ჭერში გვეკრა!

სალომეს ქალი, უეჭველია, მშვენიერი იქნება თავის დროზე, და ნეტავი იმ მომავალსა ყმაწვილკაცობასა, რომელსაცა მიეთენება შუქი მაგის შვენებისა. მომაგონდა თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილქალობა და მასვე დროს სხვანიცა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, ზიმხიდველნი მაღალზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით. მართლაც, მეტად კარგი დრო იყო, სავსე მხიარულებითა, უზრუნველობითა, და ამასთანა, საითაც შევჰხედავდით, უთუოდ იყო უინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს, სავათნავას<sup>2</sup> ლექსსა. „ნეტა რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს!“ ხშირად, ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლამაზი დრო, ჩემის აწ დაბერებულის გულის გასამხიარულებლად, გასაყმაწვილებლად. დ.თმან გიშველოსთ, მეტად კარგები



იყავით, და ეხლაც ჩემი თავი მით მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეცა თქვენს საზოგადოებაში ვიქცეოდი და მას ვეკუთვნოდი. თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად, და ახლაც თქვენვე ხართ ჩემი ნუგეშის მცემელი! გახსოვო, ჩვენი სწორად ჩხუბი საწყალ მანანასთან<sup>2</sup> აღრევაც მოგაწერათ ჩემთვის<sup>3</sup> და მეც მაშინვე დაველაპარაკე მირსკისა<sup>4</sup> თქვენის ტყის გაკათვაზე, მაგრამ მირსკი, ეს ერთი თვე არის, თითქმის აღარ ერევა საქმეში, რადგანაც მიდის ოტპუსკში და არის მზადებაში; მაინც კი ეს საქმე ჩააბარა პეწჩუროვსა<sup>4</sup> და ამ დღეებშივე ჩე დაველაპარაკე პეწჩუროვსაცა და შტაბის ნაჩაღნიკსაცა და მოვახსენებ პასუხსაცა.

საბრალო ღენერალი ლაზარევი<sup>5</sup> მოკვდა სწორედ მაშინ, როცა სრულებით მოამზადა ჯარი და წავიდა თექეთურქმენის დასაპყრობლად. 24 ამ თვისას მოასვენეს ქალაქში და იქნება მისი ცერემონიით დასაფლავება. მეც იმ დროს ჩავალ უკანასკნელის გამოსალმებისათვის. საკურველი კაცი იყო ლაზარევი. უბრალო მკერვლის შვილი, ყარაბაღელი, უსწავლელი, გაუზრდელი, შეიქმნა ბოლოს გამოჩენილი ღენერალი კავკასიის არმიისა. სულპირველად მე ავიყვანე, როდესაც იყო კაპიტანი შირვანსკის პოლკისა და ჩავაბარე მას აყუშა. იქ გამოჩნდა მაკის გონება და შორსმხედველობა, რადგანაც იყო დიდი შიში და ხალხის აღრეულობა შამილისაგან<sup>6</sup>. გულადი, ვაჟკაცი, გონებიანი, დაღიახლოვე და მალე გამოვიყვანე ჩინებში, ასე რომ კნ. ბარიატინსკიმაც,<sup>7</sup> დალისტინის აღებაში, დაღიახლოვა და ბოლოს, ველიკი კნიაზმაც მისცა დივიზია; მაგრამ შურმა და დაბეზლებამ მალე ჩაამწარეს ლაზარევსა სამსახურში ამაღლება: ველიკი კნიაზმა ჩამოართვა დივიზია და დიდს ხანს ჰსცხოვრო<sup>8</sup> და ბაქოში, ყველასაგან დავიწყებული, ვიდრემდის არ დაიბარეს ამ უკანასკნელს ბრძოლაში, სად:ცა მუხთარ-ფაშის<sup>8</sup> დამარცხებამ და შემდეგ ყარსის აღებამ აღიყვანეს ღენერალ-ადუტანტობად და ჩამოჰკიდეს მეორე ხარისხის წმინდა გიორგი!

გავჰბედავ და დავიკვე<sup>9</sup>ებ, რომ ვინც გაიარეს ჩემს შკოლაში, ყველანი გამოვიდნენ განსხვავებით გამოჩენილნი: რადეცკი<sup>9</sup>, ტერლუქაზოვი<sup>10</sup>, ლაზარევი<sup>11</sup>, დიმიტრი ჯორჯაძე<sup>12</sup>, ღენერალ ასტაფიევი<sup>13</sup>, დივიზიის ნაჩაღნიკი ალექსანდრე თუმანოვი<sup>14</sup>, უდროოდ მკედარი ივანე ბაგრატიონი<sup>15</sup>, ეგრეთვე სოსიკო ორბელიანი<sup>16</sup>, და ალექსანდრე ორბელიანი<sup>17</sup>, ბრუსილოვი<sup>18</sup> უდროოდ დამბლად დატყეული, ღენერალ-ლეიტენანტი ლოპპე<sup>19</sup>, აკოლჩინი<sup>20</sup>, და თვით ცოტარდენად ღრაფ ლორის-მელიქოვიცა<sup>21</sup>, რომელიცა პირველად მე დავნიშნე დერბენდის ღრადო-ნაჩაღნიკად, და სულ ბოლოს, ჩენი საკუთარი ნიკო ჭავჭავაძე<sup>2</sup>, ელისავეტოპოლის დუბენატორი, რომლისა მსგავსი არავინა გვყავს ლუბერნატორებში.

ბარონ ნიკოლაი<sup>23</sup> მშვიდობით იმყოფება ბეთანიაში თავის ქალითა და სიძე-ბატონითა<sup>24</sup>; მე კი ჯერ არ მინახავს.

ჩემს გულით საყვარელს და სალომეს<sup>25</sup> ჩაუკოცნი ხელებსა და იყოს ღმერთი მაგისი და მაგის ქმრისა და შვილებისა მფარველი.

ჩემს საყვარელს ბატონს ნიკოს<sup>26</sup> დაეჭკოცნი შუბლსა, გულსა, და ვსთხოვ რომ ჩემმაგიერ ხელი დაუკოცნოს თავის მეუღლესა და გამაცნოს მაინცა შორიდან.

ღმერთი არის მოწამე, რომ მიყვარხართ დედით, შვილებით, შვილისშვილებით. რა ვჭქნა, სიბერემ მძლია; თქვენი ერთად ყოფნა, ნეტავი მენახა, რომ სულით, გულით დავეტკბარვიყავ.—ეჭ, ლ-თმან გაკუროთხოსთ ერთობლივ,—ოლონდ კი ზოგჯერ გახსოვდეთ.

თქვენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი.

24-ს აგვისტოს, 1879.

ტაბახმელა

## 22. ნიკო დალიან-მინგრაელსკისადმი

თქვენო უგანათლებულესობავ, კნიაზო ნიკოლოზ დავითის-ძე!

გულით, სულით, ჭეშმარიტის სიყვარულით მოგილოცავ დაწინდვასა ღრაფინია მარია ადელბერლისაზე<sup>1</sup>. უფალსა ღმერთსა ვჰსთხოვ ზოილოს ორთავე თქვენზე კუროთხევა თვისი დღეგრძელობისა და ბედნიერად ცხოვრებისათვის თქვენისა. მერწმუნეთ, ამავე სიტყვებითა გლოცავენ ყოველნი თქვენნი ნათესავნი და ძველად პატივისმცემელნი თქვენისა ოჯახისა.

ჭეშმარიტითა პატივისცემითა და ერთგულებით სიყვარულითა ვეგები მარადის

თქვენისა უგანათლებულესისა მორჩილი

მოსამსახურე თ. გრიგოლ ორბელიანი.

5 იანვარი, 1874.

თბილისი.

## 23. დიმიტრი ჯორჯაძისადმი

ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!

წერილსა ამას მოგართმევს დიდის მოწიწებით, ახუნდი მირ-ყასუმ<sup>1</sup>, კაცი ზნეობით წყალაუმღვრეველი და მწიგნობარი, ვითარცა სულეიმან ფეილამბარი<sup>2</sup> ზაბურზამანი<sup>3</sup>, რომლის დარდი და მამწარებელი ამის სიცოცხლისა ეს გახლავს, რომ მუსულმანების

სასამართლოში, მეჯლიშში, გამოჩნდა ვაკანცია, და ითხოვეს ამ ადგილს, რადგანაც ამაზე უმაღლესი მსწავლული და ყურანის სიბრძნის სიღრმეში ჩასული, არავინ იპოება ავღაბრის ხიდიდამ შირაზამდის, სადაცა განისვენებს წითელმოსილი საადი<sup>4</sup> ათასთა ქალწულთა ალერსში, და ამ საქმეში ითხოვეს. თქვენს შემწეობასა დიდის კრძალვითა და, ვითარცა ზრდილობით სავსე ყიზილბაში, მიწადმდე თავდალუნვითა.

სხვებრ იყავნ ნება შენი.

თქვენის მარადის ბედნიერების მსურველი

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

7-ს მაისს, 1880 წ.

[1872 წ.]

## 24. სოფიო ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუავ სოფიო. წავკისში მივიდე შენი წერილი სავსე ყვედრებითა. იქნება მართალიც იყო, მაგრამ რა მოხდა აგრეთი? ქვეყანა ხომ არ დაიქცა? მხოლოდ ერთი კიკნა დამიგვიანდა მოწერა და ესე რად გიკვირს, ან შენს ივანეს?<sup>1</sup> და ანუ ამით რაღა გგონია, რომ ჩვენგან იყო დავიწყებული? მაგრამ სიმძლავრე არის თვისება, ბუნება ერისთვისანთა და სჯობს ისევ თავიდან დავიწყო.

წავიდა ვანო<sup>2</sup> თავის პაწაწა ცოლითა, რომელიცა ძალიან მოგვეწონა და მალეც შეგვეჩვია, არის გულითა კეთილი, დიდად მზიარული, გულწრფელი, ყმაწვილის გუნებისა, ისწავლა კიბეზე ჯდომაცა; საღამ-საღამო ჩვენის ქუჩის დედაკაცობაც ეხვევოდა დიპლიზიტოთი და ლეკურითა; მართლაც უხაროდა აქ ყოფნა და ბევრიც იტირა გამოსალმების ჟამსა, გამოსალმებაც იყო, რაჟაკვირველია, კინგრუსტში; მეორე გამოსალმებაც გორსა, ერისთვისანთა. ვანოს აქ ყოფნა იყო მოუწყვეტელი სადილ-ვახშმობა.

ამ მიწუტში შემოვადნენ სრულიად მოულოდნელად მუხრანის ბატონი გიორგი<sup>3</sup> და ენისელთ მოურავა დიმიტრი ჯორჯაძე<sup>4</sup>. თუქცა თავი დავანებე წერასა, მაგრამ დიდად კი მიამა ამათი ნახვა. საქართველოში ესენი მიყვარან. საღამომდის ხან ვილაქლარავეთ, ხან ვიბაასეთ, მერე მთვარიანს ღამეს ჩაეშვენენ კიდევ თბილისს, ანთებულს თორწეში.

რას მოგახსენებდი, ჩემო რძალო? ჰოო, ვანოს აქ ყოფნა იყო მოუწყვეტელი სადილ-ვახშმობა, ანუ ვახშამ-სადილობა. იქამდის დავსუსტდით რომ ღონე აღარა გვექონდა. „ბატონებო, გათენდა,

კარგია, ავდგეთ! არა, არა ერთი სადღეგრძელო კიდევ გვაკლია, ღ-თმა ადღეგრძელოს ჩვენი საყვარელი ივანე და სოფიო. ჰოო, ჰოო, გვინდა, გვინდა, ურაააა! აგრე კი არა, მე... ღ-თმა... ივანეს სადღეგრ... ჰაა, ჰააა, ურააა! აი, სულ ეს ყოფა იყო. ბოლოს, მეტი რა მექნა გამოვიქეც და ჩავსაფრდი წავკისს და მოვამზადე ჩემი დიდი თოფიცა, რომ თუ ვინმემ კიდევ დამპატიჟა, უთუოდ ვებრძოლო. სოსიკოცა<sup>5</sup>, ვანოს გამოსალმების მეორე დღეს თუ არა, თავის ქოჩითა: ხორეშან<sup>6</sup> სოფო<sup>7</sup>, გიგო<sup>8</sup> ცოლითა და ცოლისძმითა, სანდროს<sup>9</sup> ცოლი, აგიევის<sup>10</sup> ქალი, შვიდიოდ ვაჩნაძეები და აბაშიძეები, გოგო-ბიჭებით, წიწილებით, მწვევრებით, და ავიდა მაღლა, ყიზილჯადის; ყაფლანიცა<sup>11</sup> წავიდა კოდას, და მის მეზობლად არის საგინოვი<sup>12</sup> ცოლითა, კოჯორზე არიან ირაკლი<sup>13</sup> სახლობითა, ბარონი საკენ<sup>14</sup> ცოლშვილითა და ორნივე სდგანან ერთად. მამუკას შვილი ვანო<sup>15</sup> ცოლითა, ალლობჟბონნი<sup>16</sup>, თამამშვევი<sup>17</sup> ერთის ვაჟით და ერთის ქალითა და ამის ცოლი ერთის ქალ-ვაჟით ევლენოვოდსკში, სადაცა ზაფხულობენ ივანოვნოებითა<sup>18</sup> აპაჩინინთა<sup>19</sup>, რომელთაცა მოუვიდათ პეტერბურგიდამ პეტია<sup>20</sup> დიდად გამოჩენილი უნივერსიტეტში ეგზამენითა; არიან კიდევ კარპევა<sup>21</sup> და ანიჩკოვი<sup>22</sup>, მაგრამ ესენი მალე მიდიან რუსეთში... ვუი, ვუი!.. დავართ ასე.

რკინის გზამაც მოაღწია ქალაქამდის, ჯერ არ არის სრულიად შესრულებული, მაგრამ კი ღრადი ლევაშოვი<sup>23</sup> მოვიდა ქუთაისი-დამ აქა ამ გზითა. აგვისტოში მოელიან \* კომისიას, რომელმანცა უნდა შეამოწმოს მუშაობა და ჩაიბაროს გზა და შემდეგ გაიხსნება ხალხისათვისაცა.

გვალვა არის საზარელი, დაიწვა მთლად საქართველო; მთაში, ბარში დაჰშვრნენ წყაროები. ქსანხევით რომ ნახო მტკვარი შეგბრალდებათ. ხომ გახსოვს ენისელის გალავანში რამოდენა წყალი მოდიოდა, ახლა სრულებით დამშრალა. აგრიყორზე ძლივს დაჰპოებენ აქ იქ წყაროებსა საქონლისათვის; ამის გამო ნახევარზე მეტი კახეთისა დაისეტყვა დიდად. სწორედ იობის ღალადისია. აი, ამისთანა სამწუხარო მდგომარეობაში გახლავს ჩვენი საყვარელი ქართლ-საქრისტიანო.

ბორჯომში წლეულს თითქმის არაფინ არიან ხალხთაგან მისულნი: კნენა შახაევსკისა<sup>24</sup> და ლიზა<sup>25</sup> შეადგენენ მთელს საზოგადოებასა; ამათ გარდა არიან სამნი ვილაცეები.

რადგანაც მანდა სხედხართ უსაქმონი, ეგების იშოვოთ შურაში тайн Мадридскаго двора და ზედ მოაბათ Евгения იმპერატრიცა ფრანციისა, თუმცა ბევრი რადებიც არის ჩამატებული,



მაგრამ, ვიცი, ძალიან გაიმებათ ორის სასახლისა შინაური ცხოვრება.

ტასოს<sup>26</sup> წიგნი მომივიდა; თუმცა კარგად არის თავის ორის აყვანილის ქალითა, მაგრამ თავის მამულის საქმე კი, მგონია, მაგდენი ვერა გაურჩევიან რა; და ან რას გაარიგებს მარტო თვით? უეჭველია, უნდა ჰყავდეს კაცი გამოცდილი, რომელსაცა შეეძლოს— თავის სარგებლობისათვის—ტასოს საქმის მიღებაცა და შესრულებაცა. ტასოს ნუ ჰგონია ეგე აღვილ საქმედ: ბევრი ტანტალი, ჯანჯალი და ვაჭრობა მოსდევს მაგ საქმესა, და აბა, ტასო როგორ დააბოლოვებს კეთილად. მაშასადამე, უნდა კაცი და იმ კაცსა უნდა ფასი, ფასზე ტრიალებს ყოველივე საქმე ანა სოფლისა.

დათიკო<sup>27</sup> დიდად ავადმყოფი წავიდა მარტო სამზღვარკარეთ საწამებლად. ფეხები არ უვარგა, ერთი თვალიცა თითქმის უსინათლოდ აქვს და როგორ გაბედა წასვლა მარტო, უმსახუროდ? ვინ უნდა მოუხაროს გზაზე ღონე მოკლებულს? ღ-თო, ასე უგუნურად როგორ იღუპება?!

ჩემი საყვარელი ივანე ჩამიკოცნე. ღ-თსა ვჰსთხოვ, რომ კიდევ ერთად შევეყრილიყოთ. მერწმუნეთ, უთქვენოდ მე უფრო შესაბრალოსი ვარ.

ჩემი საყვარელი ნიკო<sup>28</sup> გულით სულით მომიკითხე. ეგ დამპირდა პატარა ხანჯალსა, რომელიცა უნდა უთქუქაშო მოსკოვში ოლინკასა<sup>29</sup>, ძალუა ვარინკას დასა. უთუოდ დაავიწყდა ნიკოსა და ახლა კიდევ ვაგონებ. — ამის გარდა, შევიტყვე, რომ თურმე მაგასა ჰსურს ჩემის ჯოგისთვის გამომიგზავნოს თავისი კარგი ცხენი, და თურმე ვერ გაუბედნია, რადგანაც ერიდება, ვაი თუ მეწყინოს. — მე ასე მიყვარს ნიკო, რომ მაგის სურვილის უარი არ შემიძლიან; მაგრამ ჩემის მხრიდანაც უნდა მიიღოს პირობა, რომ ყოველწლივ ერთი კვიცი მაგის ცხენის ჩამომავლობისა უნდა მიირთვას ჩემგან. უეჭველად, ეს პირობა უნდა მიიღოს, არ მოეშვები. — წლეულს კი მყავს აჯილღად არაბისტანიდამ დიმიტრისაგან<sup>30</sup> მოყვანილი მშვენიერი ცხენი, სახელად „თაჯ“, — გვირგვინი. ეს და ნადირშაჰის გამოჩენილი ჭაკი ცხენი, აღჯიდალი, ერთის გვარისანი არიან. იფიქრე, ზუთ წელიწადს შემდეგ რა ცხენს მოვართმევ ივანესა და ნიკოსა!.

გეცოდინებათ, რად მოკლეს პეტუხოვი<sup>31</sup> და მისი თანაშემწე. შემატყობინეთ, აქ სრულებით არავინ იცის მიზეზი მაგ შემთხვევისა\*.

[შენი] გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი .

\* წერილი უთარიღოა, მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით იგი 1872 წ, ზაფხულში უნდა იყოს დაწერილი. ამისათვის იხ. ლევ. მელიქიშვილისადმი მიწერილ ბარათში დათიკოს ავადმყოფობა და სხვ.—ს. ც.

შ ე ნ ი შ ზ ნ ე ბ ი

1. (გვ. 302).

1. ილიკო—ილია ზურაბის-ძე ორბელიანი (1814—1853)—გრ. ორბელიანის შესამე ძმა. 1852 წ. მიიღო გენერალ-მაიორის ხარისხი. იყო ნიჭიერი სარდალი და გმირი მხედარი. 1842 წ. ტყვედ ჩაუვარდა დაღესტნის განთქმულ იმამ შამილს. 1853 წ. სასიკვდილოდ დაიჭრა ბაშკადიკლარის ველზე ოსმალებთან გმირულ ბრძოლაში. დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში. დარჩა ქვრივი ბარბარე ილია ბატონიშვილის ასული და მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი, რომლის აღზრდა იკისრა გრიგოლ ორბელიანმა (იხ. გრ. ორბელიანის წერილების I ტ. აკ. გაწერელის რედაქციით, გვ. 222).\*

2. პასხეკი, დიმიდ ვასილის-ძე—გენერალ-მაიორი. 1841 წლიდან მონაწილეობდა მთიელებთან ბრძოლაში. მოკლულ იქნა დაღესტანში დარლოს ალების დროს (1845) ლეკების მიერ („გოწ“ I, გვ. 257).

3. გრიგოლ მუხრანსკი,—გრიგოლ ივანეს-ძე მუხრან-ბატონი, გენერალი გრიგოლ ორბელიანის თანაშემწე ხაქათალაში („კავკასკი კალენდარ“ 1850 წ. ნვ. 14).

4. ახზაზოვი, ალექსანდრე თეიმურაზის-ძე. მსახურობდა ბელაქანში. მონაწილეობდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში („კავკას. კალენდ.“ 1852 წლისა, 565).

5. შაჩაელი, ესტატე—შტაბსკაპიტანი, მსახურობდა არმიაში გრიგოლ ორბელიანის ხელქვეით. მეთაურობდა დრაგუნის დივიზიის II ესკადრონს („გოწ“ I).

6. შაჯი-ალა-ბეგ-ლაიალა-ალა-ოღლი,—მაიორი, ელისუს პრისტავი, რუსების მომხრე („კავკ. კალენდ.“ 1854 წ. გვ. 595).

7. არღუთინსკი-დოლგოროუკოვი (არღუთაშვილი - მხარგძრელი), მოსე ხაქარაის-ძე (1797—1855)—გენერალ-ადიუტანტი, გამოჩენილი სარდალი დაღესტანში რუსეთის ჯარებისა.

8. შაჯი-მურადი—შამილის ცნობილი ნაიბი (1814—1852), მამაცი მებრძოლი, 1851 წელს შეურიგდა რუსებს. გამოცხადდა ვორონცოვთან თბილისში, მაგრამ მალე კვლავ გაიპარა, მოკლულ იქნა გზაზე მდევართაგან 1852 წ. („გოწ“ I, გვ. 253).

9. შაჰ-ვალის ცოლი,—შაჰ-ვალი ცნოვრობდა საკუთარ სოფელ ბუინალში, სადაც 1851 წელს, ივლისში, დაესხა შაჯი მურადი, მოჰკლა შაჰ-ვალი და მისი ერთერთი ცოლი გაიტაცა („გოწ“ I).

\* ამ კომენტარიების ძირითადი წყაროა გრ. ორბელიანის წერილების I და II ტ., გამოც. აკაკი გაწერელის რედაქციით და შენიშვნებით, რომელიც ფრჩხილებში ნაჩვენებია ნიშნით „გოწ“ I ან II —ს. ტ.

მაგრამ, ვიცი, ძალიან გაიმებათ ორის სასახლისა შინაური ცხოვრება.

ტასოს<sup>26</sup> წიგნი მომივიდა; თუმცა კარგად არის თავის ორის აყვანილის ქალითა, მაგრამ თავის მამულის საქმე კი, მგონია, მაგდენი ვერა გაურიგებია რა; და ან რას გაარიგებს მარტო თვით? უეჭველია, უნდა ჰყავდეს კაცი გამოცდილი, რომელსაცა შეეძლოს— თავის სარგებლობისათვის—ტასოს საქმის მიღებაცა და შესრულებაცა. ტასოს ნუ ჰგონია ეკე ადვილ საქმედ: ბევრი ტანტალი, ჯანჯალი და ვაჭრობა მოსდევს მაგ საქმესა, და აბა, ტასო როგორ დააბოლოვებს კეთილად. მაშასადამე, უნდა კაცი და იმ კაცსა უნდა ფასი, ფასზე ტრიალებს ყოველივე საქმე ანა სოფლისა.

დათიკო<sup>27</sup> დიდად ავადმყოფი წავიდა მარტო სამზღვარგარეთ საწამებლად. ფეხები არ უვარგა, ერთი თვალიცა თითქმის უსინათლოდ აქვს და როგორ გაბედა წასვლა მარტო, უმსახუროდ? ვინ უნდა მოუთაროს გზაზე ღონე მოკლებულს? ღ-თო, ასე უგუნურად როგორ იღუპება?!

ჩემი საყვარელი ივანე ჩამიკოცნე. ღ-თსა ვჰსთხოვ, რომ კიდევ ერთად შევეყრილიყოთ. მერწმუნეთ, უთქვენოდ მე უფრო შესაბრალისი ვარ.

ჩემი საყვარელი ნიკო<sup>28</sup> გულით სულით მომიკითხე. ეგ დამპირდა პატარა ხანჯალსა, რომელიცა უნდა უუეშქაშო მოსკოვში ოლინკასა<sup>29</sup>, ძალუა ვარინკას დასა. უთუოდ დაავიწყდა ნიკოსა და ახლა კიდევ ვაგონებ. — ამის გარდა, შევიტყვე, რომ თურმე მაგასა ჰსურს ჩემის ჯოგისთვის გამომიგზავნოს თავისი კარგი ცხენი, და თურმე ვერ გაუბედნია, რადგანაც ერიდება, ვაი თუ მეწყინოს. — მე ასე მიყვარს ნიკო, რომ მაგის სურვილის უარი არ შემიძლიან; მაგრამ ჩემის მხრიდანაც უნდა მიიღოს პირობა, რომ ყოველწლივ ერთი კვიცი მაგის ცხენის ჩამომავლობისა უნდა მიირთვას ჩემგან. უეჭველად, ეს პირობა უნდა მიიღოს, არ მოვეშვები. — წლეულს კი მყავს აჯილღად არაბისტანიდამ დიმიტრისაგან<sup>30</sup> მოყვანილი მშვენიერი ცხენი, სახელად „თაჯ“, — გვირგვინი. ეს და ნადირშაჰის გამოჩენილი ჰაკი ცხენი, აღჯიდალი, ერთის გვარისანი არიან. იფიქრე, ხუთ წელეწადს შემდეგ რა ცხენს მოვართმევ ივანესა და ნიკოსა!.

გეცოდინებათ, რად მოკლეს პეტუხოვი<sup>31</sup> და მისი თანაშემწე. შემატყობინეთ, აქ სრულებით არაფერ იცის მიზეზი მაგ შემთხვევისა \*.

[შენი] გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

\* წერილი უთარიღოა, მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით იგი 1872 წ. ზაფხულში უნდა იყოს დაწერილი. ამისათვის იხ. ლევ. მელიქიშვილისადმი მიწერილ ბარათში დათიკოს ავადმყოფობა და სხვ.—ს. ც.



## ზ ე ნ ი ზ ვ ე ვ ბ ი

### 1. (გვ. 302).

1. ილიკო—ილია ზურაბის-ძე ორბელიანი (1814—1853)—გრ. ორბელიანის მესამე ძმა. 1852 წ. მიიღო გენერალ-მაიორის ხარისხი. იყო ნიჭიერი სარდალი და გმირი მხედარი. 1842 წ. ტყვედ ჩაუვარდა დაღესტნის განთქმულ იმამ შამირლს. 1853 წ. სასიკვდილოდ დაიჭრა ბაშკადიკლარის ველზე ოსმალებთან გმირულ ბრძოლაში. დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში. დარჩა ქვრივი ბარბარე ილია ბატონიშვილის ასული და მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი, რომლის აღზრდა იკისრა გრიგოლ ორბელიანმა (იხ. გრ. ორბელიანის წერილების I ტ. აკ. გაწერელის რედაქციით, გვ. 222). \*

2. პახეკი, დიომიდ ვასილის-ძე—გენერალ-მაიორი. 1841 წლიდან მონაწილეობდა მთიწლებთან ბრძოლაში. მოკლულ იქნა დაღესტანში დარღოს აღების დროს (1845) ლეკების მიერ („გოწ“ I, გვ. 257).

3. გრიგოლ მუხრანსკი,—გრიგოლ ივანეს-ძე მუხრან-ბატონი, გენერალი გრიგოლ ორბელიანის თანაშემწე ხაქათალაში („კავკასკი კალენდარ“ 1850 წ. გვ. 14).

4. აბხაზოვი, ალექსანდრე თეიმურაზის-ძე. მსახურობდა ბელაქანში. მონაწილეობდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში („კავკას. კალენდ.“ 1852 წლისა, 565).

5. შაჩაელი, ესტატე—შტაბსკაპიტანი, მსახურობდა არმიაში გრიგოლ ორბელიანის ხელქვეით. მეთაურობდა დრაგუნის დივიზიის II ესკადრონს („გოწ“ I).

6. შაჯი-ალა-ბეგ-ლაიალა-ალა-ოღლი,—მაიორი, ელისუს პრისტავი, რუსების მომხრე („კავკ. კალენდ.“ 1854 წ. გვ. 595).

7. არღუთინსკი-დოლგოროუკოვი (არღუთაშვილი - მხარგძრელი), მოსე ხაქარიას-ძე (1797—1855)—გენერალ-ადიუტანტი, გამორჩენილი სარდალი დაღესტანში რუსეთის ჯარებისა.

8. შაჯი-მურადე—შამილის ცნობილი ნაიბი (1814—1852), მამაცი მებრძოლი, 1851 წელს შეურიგდა რუსებს. გამოცხადდა ვორონცოვთან თბილისში, მაგრამ მალე კვლავ გაიპარა, მოკლულ იქნა გზაზე მდევართაგან 1852 წ. („გოწ“ I, გვ. 253).

9. შაჰ-ვალას ცოლი,—შაჰ-ვალი ცხოვრობდა საკუთარ სოფელ ბუინალში, სადაც 1851 წელს, ივლისში, დაესხა შაჯი მურადი, მოჰკლა შაჰ-ვალი და მისი ერთერთი ცოლი გაიტაცა („გოწ“ I).

\* ამ კომენტარების ძირითადი წყაროა გრ. ორბელიანის წერილების I და II ტ., გამოც. აკაკი გაწერელის რედაქციით და შენიშვნებით, რომელიც ფრანგილებში ნაჩვენებია ნიშნით „გოწ“ I ან II —ს. ტ.



ამ ფაქტის მიხედვით უნდა ვიგულისხმოდეთ, რომ ეს წერილი უნდა იყოს დაწერილი 1851 წლის ივლისის ბოლოს, ან აგვისტოს პირველ რიცხვებში.

10. მაკედონსკი—რუსი სამხედრო პირი, მილიციის როტმისტრი.

11. შამილა—დაღესტნის განთქმული იმაში შამილი (1798—1871), არაბულ ენაზე განათლებამიღებული პირი. იმამად არჩეულ იქნა 1834 წ., ამ დღიდან 25 წლის განმავლობაში ჰფლობდა დაღესტანსა და ჩეჩნეთს და დაუცხრომლად ებრძოდა რუსეთს. დატყვევებულ იქნა 1859 წელს, 25 აგვისტოს გუნიბში. (გოწ I, გვ. 247).

12. სულთანი,—ალი-სულთანი (?), დანიელ, ელისუს სულთანი (?) თუ სულთან ახმედ-ბეგ-სამხრ. ტაბასარანის მმართველი, მილიციის შტაბ-კაპიტანი.

13. სანდრიკო,—გრიგოლ ორბელიანის ძმის ზაქარიას ვაჟი (1836—1855).

## 2. (გვ. 305).

1. ყაფლან, ასლანის-ძე ორბელიანი,—გრიგოლ ორბელიანის მეგობარი და ნათესავი. გარდაიცვალა 1878 წ.

2. ნინიკა, ზაქრაძე,—გრიგოლ ორბელიანის მსახური და მუდმივ თანმხლები რუსეთში, საქართველოში და სხვაგან.

3. ვარინკა (ბარბარე)—ასული ილია ბატონიშვილისა, ილია ორბელიანის მეუღლე.

4. ძალუა—იგულისხმება ყაფლან ორბელიანის მეუღლე—ნინო.

5. იბრაჰიმა,—ჭარელი თათარი, პრაპორშჩიკი.

## 3. (გვ. 306).

1. ზაქარია ორბელიანი (1806 — 1847)—გრიგოლის ძმა. სამხედრო პირი პოლკოვნიკი. გარდაიცვალა ხალერით. დარჩა ქვრივი ქეთევან და ვაჟი სანდრო.

2. იგულისხმება ავარიის პროვინცია დაღესტანში. გრიგოლ ორბელიანს ავარიის ხანს ეძახდნენ.

3. იგულისხმება ორბელიანთ გვარი, დიდი ყაფლან ორბელის-შვილის ჩამომავლობისათვის.

## 4. (გვ. 307).

1. გრიგოლ ივანეს-ძე მუხრან-ბატონი (იხ. შენიშვნა 1).

2. თუნგოვიჩი (?). 3. ჩხეიძე, სვიმონ (?)

4. კონსტანტინე, ორბელიანი—გრ. ორბელიანის მკვიდრი ბიძაშვილი, ზურაბის ძმის, იოსების შვილი.

5. ნიკო,—ნიკო ზურაბის-ძე ჭავჭავაძე, გენერალი, გრ. ორბელიანის მეგობარი, ხშირად გრიგოლ „გიჟი ნიკოს“ სახელწოდებით იხსენიებს. მონაწილეობდა სჩვადასხვა დროს დაღესტნის ექსპედიციებში. 1859-წ. ამ მხარის მმართველი იყო. 1883 წ. დაღესტნის გენ.-გუბერნატორი (გრ. ორბ. წერ. ტ. II, გვ. 307).

6. აღსათარა—ცნობილი მომღერალი სათარა, რომელსაც ხშირად იხსენიებს თავის წერილებში პოეტი ნ. ბარათაშვილი; სათარა დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ ამიერ-კავკასიაში.

7. დავიდოვი (?).

8. ტასო—მანანა ორბელიანის ქალი—გაგარინის მეუღლე.
9. მანანა ორბელიანი (1808—1870), დავ. ორბელიანის მეუღლე, ასული მირზანოზ ერისთავისა, სილამაზით განთქმული ქალი საქართველოში.
10. კოწია მუხრანსკი—კონსტანტინე ივანეს-ძე მუხრან-ბატონი.
11. იგულისხმება ალ. ივ. ბარიატინსკი (1815—1879)—ამიერ-კავკასიის მეფისნაცვალის 1856—1862 წ. წ.
12. გოჭარაღა—მგებთულის მმართველ იბრაჰიმ-ხანის ასული.
13. დათიკო — ყაფლან ორბელიანის ერთად-ერთი ვაჟი, გარდაიცვალა 1862 წ.
14. კნიაზი კონსტანტინე—იგულისხმება კ. მუხრან-ბატონი.

5. (გვ. 305):

1. ძალუა ელისაბედ—ყაფლან ორბელიანის მეუღლე, ბარათაშვილის ქალი. ეს მეორე ცოლი იყო ყაფლანისა, პირველი—ნინო 1850 წ. გარდაიცვალა.
  2. დათიკო—ყაფლანის ვაჟი (იხ. მე-4 წერ. კომ).
  3. ბაბაღე—ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლე, სამარაგდონ ორბელიანის ასული.
  4. ბიძია ალექსანდრე—ზედმეტი სახელი—ბაკლანა, გრ. ორბელიანის ბიძაშვილი (გიორგის-ძე).
- წერაში მოხსენებული ხელმწიფე რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II-ა (1855—1881), რომელსაც ორბელიანი პინდური ზღაპრების მსგავსად „შვიდის იყლიშის მპყრობელს“ უწოდებს. მეფის ეს მოგზაურობა გრ. ორბელიანს უფრო ვრცლად აქვს აღწერილი (იხ. ი. მეფუნარგია, „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“—„ქართველი მწერლები“, I, გვ. 103.).

6. (გვ. 309):

1. სოსიკო, ორბელიანი კონსტანტინეს-ძე—ბიძაშვილი გრ. ორბელიანისა.
2. ძალუა ელისაბედი—ყაფლანის მეუღლე (იხ. 5 წერილის შენიშვნა).
3. ლაპარაკია ირანის შაჰის ჩამოსვლაზე თბილისს.

7. (გვ. 310):

1. მოსე—ზაქარაის-ძე არღუთაშვილი-მწარგრძელი (იხ. კომენტ. 1).
2. ილია, ორბელიანი—გრიგოლის ძმა (იხ. კომენტ. 1).
3. აბრამა—ილია ორბელიანის მსახური—მოიჯარადრე ებრაელი.
4. ძალუა ქეთევანი—ზაქარია ორბელიანის მეუღლე, ასული დეკანოზ დიმიტრი მესხიშვილისა (1818—1891).
5. კოცებუ, პ. ე.—გენერალ-მაიორი, მონაწილეობდა შთივლებთან ბრძოლაში, 1863 წ. სახ. საბჭოს წევრი. ბოლოს გენერალ-ადიუტანტი. ვარშავის გენერალ-გუბერნატორი და ჯარების სარდალი. გარდაიცვ. 1886 წ. (იხ. Слов. Кавк. деятелей, გვ. 18).
6. ზანჯრიკო—ზაქარია ორბელიანის ვაჟი, გარდაიცვალა 1856 წელს.
7. იაკინთე დიმიტრის-ძე მესხიშვილი—ბ. ორბელიანის მეუღლის, ქეთევანის ძმა.
8. გერასიმე—ყორღანაშვილი, ოკუცერი, მსახურობდა დაღესტანში (გოჭ. ტ. I, გვ. 30).

8. (გვ. 311).

1. გეგონ ივანეს-ძე, ბუჭყიაშვილი (1800—1858)—ქართ. ლინიის მესამე ბატალიონის კომანდირი. მსახურობდა დაღესტანში. გრ. ორბელიანის ახლო მეგობარი.

2. შახაილ პავლოვიჩი—დიდი მთავარი, ძმა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველისა (1798—1849).

3. იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I (1825—1855), რომელ-თანაც აუდიენცია ჰქონდა ილია ორბელიანს (გრიგოლის ძმას). ამის შესახებ თვით ილია წერს ერთერთ წერილში გრიგოლს, რომ ხელმწიფემ იგი გულთბი-ლად მიიღო და კიდევ გადაკოცნა, რასაც დიდ ბედნიერებად სთვლიდა.

4. იგულისხმება მ. ს. ვორონცოვი (1782—1856)—მეფის ნაცვალ კავკასიაში (1845—1854 წ.წ.). გენერალ-ფელდმარშალი. კავკასიაში სამხედრო-ადმინისტრა-ტიულ დარგში მრავალ წარმატებისათვის ებოძა აგრეთვე ტიტული „უგანათ-ლებულესი თავადისა“, მის დროს გაიმართა თბილისში პირველი ქართული წარმოდგენები გ. ერისთავის ხელმძღვანელობით და დაარსდა ქართული თეატრი. მის შესახებ არსებობს მდიდარი ლიტერატურა (გოწ I, გვ. 270).

5. ილიკო, ორბელიანი (იხ. კომენტ. 1).

6. იგულისხმება იგივე მ. ს. ვორონცოვი (იხ. ზევით).

9. (გვ. 312).

1. აკლინცოვი, მინა მაკარის-ძე—ოფიცერი, ტომით სომეხი ყიზლარიდან, 1845-46 წლებში მსახურობდა კავკასიის ჯარების კორპუსში (გოწ I, გვ. 253).

2. კოცუბუ (იხ. კომენტ. მე-7)... 3. სტაროვი—სამხედრო პირი—მაიორი („კავკაზ“—1846, № 51).

10. (გვ. 313).

1. შაჯიშურადა (იხ. კომენტ. 1 წერილისა).

2. ხოჯიო, ნიკოლოზის ასული ბარათაშვილი-ბუჭყიაშვილისა, გედევანის მეუღლე, გარდაიცვალა 1878 წ.

11. (გვ. 313).

1. ბრონევიკი—სამხედრო პირი, გრიგოლ ორბელიანის თანამშრომელი და-ლისტანში.

2. სოვიო—სოფიო ბუჭყიაშვილისა (იხ. ზევით მე-10 კომ.).

12. (გვ. 313).

1. ლევან—ლევან ივანეს-ძე მელიქიშვილი (1817—1892)—ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი, დიდად დაწინაურებული სამხედრო პირი, 1861 წლიდან გენერალ-ადიუტანტი და დაღესტანში დაბანაკებულ ჯარების სარ-დალი, 1880 წ. მთავარმართებლის მოადგილე, სახ. საბჭოს წევრი, მრავალჯ-ორდენის კავალერი. დაკრძალულია მთაწმინდის ტაძარში (გოწ I, გვ. 257).

2. ალექსანდრე—ალექსანდრე დავითის-ძე ორბელიანი, მანანას ვაჟი.

3. „ველიკი კნიაზი“—დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე, კავკასიის მეფისნაცვალ 1863—1883 წ.წ.

4. სულხანავაძე—მღვდელი, სასულიერო სემინარიის მასწავლებელი.

5. დათიკო—ორბელიანი, მაკარის (მამუქას) ვაჟი, გარდა ამისა მაკარის კიდევ ყავდა შვილები: ივანე, კოტე, მარბარე—მეუღლე იოსებ თარხნიშვილისა და ალექსანდრა—ლევან მელიქიშვილის მეუღლე.

6. ქეთევან—ქეთევან ორბელიანი, მამუქა ორბელიანის მეუღლე—ასული „დიდ-კნიაზად“ წოდებულ გიორგი ერისთავისა.

### 13. (გვ. 315).

ბარათის ადრესატია—გრიგოლ ლევანის-ძე დადიანი (1814—1902), უგანათლებულესი თავადი, გენ.-ადიუტანტი, მწერლობაში „კოლხიდელი“.

1. გორდი—სახაფხულო რეზიდენცია სამეგრელოს მთავართა, ამჟამად წულუკიძის (ხონის) რაიონშია.

2. ალბერტ—პრუსიის პრინცი ალბერტი, რომელმაც იმოგზაურა რუსეთსა და კავკასიაში 60-ან წლებში.

3. გიორგი მუხრანსკი—გიორგი კონსტანტინეს-ძე ბაგრატიონ მუხრან-ბატონი (1820—1877), სენატორი, ივანეს ძმა.

4. იგულისხმება ალ. ივ. ბარიატინსკი (იხ. ზევით, 4 წერ. კომ.).

5. დრაფი შორნა?... 6. აქაც ა. ი. ბარიატინსკი იგულისხმება. 7. იგულისხმება რუსეთის მეფე ალექსანდრე II. 8. კნიაზი—იგულისხმება კვლავ ა. ი. ბარიატინსკი. 9. იგულისხმება გ. კ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი. 10. კოწია—კონსტ. ივ.-ძე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი. 11. ლიზა—კონსტ. მუხრანბატონის მეუღლე—ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ასული.

12. ეკატერინა—ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე—დავით დადიანის მეუღლე (1816—1882), სამეგრელოს დედოფალი,

13. კნ. ბარიატინსკი (იხ. მე-4 წ. კომ.).

14. სალომე—დავით დადიანის ასული (1848—1913), მეუღლე საფრანგეთის პრინცი აშილ მიურატისა.

15 და 16. გრ. ორბელიანის ძმის ილიას ცოლშვილი (იხ. მე-2 წერ. კომ.).

17. ზანანა—მანანა ორბელიანი. ასული მირმანოზ ერისთავისა, დავით ორბელიანის მეუღლე (1808—1870) განთქმული ლამაზი ქალი, დადი მეცენატი და მოყვარული ლიტერატურისა და ქართული მწერლობისა.

18. სოფო—მანანას ვაჟის ივანე ორბელიანის მეუღლე. 19. ყაფლან, ორბელიანი (იხ. მე-2 წერ. კომ.). 20. ელისაბედ—ყაფლან ორბელიანის მეუღლე (იხ. ზევით).

21. ტერეზია—ასული გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V-ისა, გრიგოლ დადიანის მეუღლე (1827—1871).

22. იგულისხმება აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ (ჰამუთბეი), შარვაშიძე (+1865).

### 14. (გვ. 317).

1. რებინდერი—გრაფ რებინდერი, ა. მ. მთავარმართებლის კანცლარის მოხელე.

2. ტერეზია—ჭურჩელ-დადიანისა (იხ. 13 კომ.).

3. მირსკიანნი—დამიტრი ივანეს-ძე სვიატოპოლკ-მირსკის ცოლად ჰყავდა იაკობ ორბელიანის ასული სოფო. თვითონ დ. მირსკი ცნობილი სამხედრო პირი, მონაწილე კავკასიის მრავალი ბრძოლებისა ცხოვრობდა თბილისში. გარდაიცვალა 1899 წ. (პოტო, გახ. „ტიფლისკი ლისტოკ“, სურათ. დამატება, № 2, 1899).



4. აპაჩინინები—ალექსი პეტრეს-ძე სპაჩინინს ცოლად ჰყავდა იაკობ ორბელიანის ასული, ბარბარე; ივანოვი სიძე იყო იაკობ ორბელიანისა; 5. ტასო ალოობჟიო (1830—1884), ასული კონსტანტინე ორბელიანისა, გენერალ-ლეიტენანტის ივ. დიბ. ოკლობჟიოს (1818—1880) მეუღლე.

6. პოპორილოპულოს მეუღლე—ალექსანდრე ივ. პოპორილოპულო, —განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე კავკ. მთავარმართებელთან, მეუღლე მასი—ელენე იყო ასული დავით წულუკიძისა; მეორე ქალი დავითისა ნატო იყო ცნობილი სახ. მოღვაწისა და გენერლის კ. მამაცაშვილის მეუღლე.

7. იოსებ ყორღანოვი. 8. არლუთინსკიანნი—იგულისხმება მ. ზ. არლუთინსკი (იხ. 1 წერ. კომენტ.).

9. ვარვარა თამამშევისა—იგულისხმება ცნობილი თბილისელი მდიდაროგატრის გაბრიელ თამამშევის რძალი.

10. ლიზა მუხრანსკისა—კონსტანტინე ივანეს-ძე მუხრან-ბატონის მეუღლე —ფალაგანდიშვილის ქალი.

11. მანანა—მანანა ორბელიანი (იხ. კომ. მე-13 წ.).

12. ელენე და სოფიო—ორბელიანები.

13. ბაბაღე—გრ. ორბელიანის რძალი, ილიას მეუღლე (იხ. ვარინკა).

14. კაკო—დავით ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძის ქალი, მეუღლე ზაქარია ჭავჭავაძისა.

15. ზაქარია—ჭავჭავაძე, დავით ჭავჭავაძის სიძე, კაკოს მეუღლე.

16. სმიტანი სასამართლოს მოხელე.

17. ბარონ ნიკოლაი, ა. პ. (1821—1893), ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალის, სოფიოს მეუღლე. რუსეთის განათლების მინისტრი.

18. იგულისხმება ზაქარია ორბელიანის მეუღლე ქეთევანი (იხ. მე-7 წ. კომ.) რომელსაც იმ ხანებში (1869) მოკვდომია დედა—დეკანოზ დიმიტრი მესხიშვილის მეუღლე.

19. ბუტკოვი (?). 20. სალომე — ეკატერინე დადიანის ქალი, მიურატის მეუღლე (იხ. 13 წერ. კომ.).

21. ნიკო — ეკატერინეს ვაჟი, ნიკო დავითის-ძე დადიანი-მინგრელსკი (1847—1903). 22. ანდრია—აგრეთვე ეკატერინეს მეორე ვაჟი, ანდრია დავითის-ძე დადიანი-მინგრელსკი (1850—1910), რუსეთის გენერალი და ევროპაში განთქმული მოჭადრაკე (იხ. ვახეთი „დროება“ № 6, 1873 წ.);

23. იგულისხმება სალომეს მეუღლე აშილ მიურატი (1845—1895).

15. (გვ. 319).

I. სალაღუბი—რუსი პოეტი გრაფი ვ. ა. სოლოგუბი, (1814—1882) ცხოვრობდა საქართველოში 1850-57 წლებში. მისი ლექსი „ალავერდი“ დიდად გახმაურებული იყო იმ ხანებში: იგი პირველად სთარგმნა მამია გურიელმა, მანვე დასწერა ამ თემაზე საკუთარი ლექსიც „ალავერდი“, შემდეგ აგრეთვე ფრიად მოწონებული პატრიოტული მოტივის სიმძლავრით, დავით ვრისთავმა სოლოგუბის ლექსს „ალავერდს“ უპასუხა თავისი ლექსით „იონშიოლ“ („კავკაზი“ 1871 წ. № 120), იმავე ხანებში ეტყობა გრ. ორბელიანსაც უთარგმნია სოლოგუბის „ალავერდი“, რომელიც დღემდე ცნობილი არ არის. ეკატერინე დადიანის კოლექციაში ამ წერილთან ერთად აღნიშნული თარგმანის ტექსტი ჯერჯერობით არ აღმოჩნდა.

2. კონა ერისთავი — მირმანოვის-ძე — ძმა მანანა ორბელიანისა.
3. კოტე ერისთავი, აგრეთვე მირმანოვის-ძე.
4. ტასო — დავით ორბელიანის ასული, მეუღლე ქუთაისის გენერალ-გუ-ბერნატორის ალ. ივ. გაგარინისა, რომელიც 1857 წ. მოკლა სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა.
- 5 და 6. ივანე და სოფიო ორბელიანები, გრ. ორბელიანების ახლო ნათესავები — ივანე დავითის-ძე ორბელიანი და მისი მეუღლე სოფიო ერისთავის ასული.
7. ნიკო ჭავჭავაძე (იხ. მე-4 წერ. კომ.).
8. დავით ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძე (1817—1894) — გენერალი, ძმა ეკატერინე დადიანისა.
9. ირაკლი, ალექსანდრეს-ძე. ბატონიშვილი (1827—1882) — მეფე ერეკლეს შვილის-შვილი, მამა პოეტი ქალის ელისაბედ ორბელიანისა (1870—1942).
10. თამარ — ეკატერინეს ძმისწული, ასული დავით ჭავჭავაძისა და მეუღლე ირაკლი ბატონიშვილისა.
11. ელენე — აგრეთვე დავით ჭავჭავაძის ასული, ასტაფიევისა.
12. სალომე — დავით ჭავჭავაძის ასული, ოსტენ-საკენისა.
13. ჯაქარია — ჭავჭავაძე (იხ. კომ. 14).
14. მეიენდორფი (?)... 15. სანდრო (ალექსანდრე) დავითის-ძე ჭავჭავაძე.
16. ნიკოლოზ დავითის-ძე. მუხრან-ბატონი, სამხედრო პირი.
17. გრიგოლ, ერისთავი (?).
18. თარხანოვი, ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილი, (1846—1908) ქართველი მეცნიერი, მედიცინის დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ჯამოყენილი ფიზიოლოგი, კითხულობდა მეტად საინტერესო ლექციებს, რომელთაც დიდი პოპულარობა ჰქონდა მოპოებული მოწინავე საზოგადოებაში.
19. ყაულან, ორბელიანი (იხ. კომ. 2 წ.).
20. ველიკი კნააზი — მეფისნაცვალთა კავკასიაში, მიხეილ ნიკოლოზის-ძე, (იხ. კომ. 12).
21. ნიკო — ეკატერინე დადიანის ვაჟი (იხ. კომ. მე-14 წერ.).
22. ანდრია. (იხ. იქვე). 23. სალომე (იხ. ზევით).

16. (გვ. 321).

1. სალომე მიურატი (იხ. ზევით, კომ. 14). 2. დავით დადიანის ასულ სალომე მიურატი ჰყავდა ორი ვაჟი: ნიკოლოზი და ლუსიანი.
3. ნიკო, მინგრელსკი (იხ. ზევით, 14 კომ.). 4. ანტონა, დადიან-მინგრელსკი (იხ. მე-14 წერ. კომ.). 5. პეტრე ოლდენბურგსკი — პრინცი.
6. კნ. ანტონა თავის ნასტინკათი, — იგულისხმება დავით ჭავჭავაძის მეუღლე ანა და მისი ქალი — ანასტასია ჩოლოყაშვილისა.
7. დავით — ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძე (იხ. მე-15 წერ. შენიშვნა).
8. ვარინკა — გრ. ორბელიანის რძალი; ილიას მეუღლე, ბარბარე, ილია ბატონიშვილის ასული.
9. მიხეილ შარვაშიძე — აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, გარდაიცვალა 1865 წ. 10. ტასო გაგარინი — (იხ. ზევით მე-15 წ. კ.). 11. ივანე და სოფიო — ივანე დავითის-ძე ორბელიანი (1825—1893) და მისი მეუღლე, მანანას ვაჟი და რძალი.

17. (გვ. 322).

1 და 2. ნიკო შინგრელსკი (იხ. 14 წერ. შენიშვნა), რომელმაც შეირთო რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის სასახლის მინისტრ გრაფ ადლერ-ბერგის ასული მარიამი, რომლისაგან ნიკოს დარჩა ორი შვილი: ნიკო II (პატარა) და მარია (მარიამ), შემდეგ ობოლენსკიზე გათხოვილი.

3. ანდრია—(იხ. მე-14 წერ. შენიშვნა).

18. (გვ. 323).

1. იგულისხმება ნიკო შინგრელსკის ქალი მარია (მარიამ) შემდეგ ობოლენსკის მეუღლე.

2. დათიკო—მამუკა ორბელიანის ვაჟი.

3. კიკო ჩოლოყაშვილი—კახელი თავადი, მემამულე, ცოლად ყავდა მელანია ვახვახიშვილის ასული; მეუღლის ცემისა და წამებისთვის, ცოლის ძმას შ. ვახვახიშვილს ხანჯალი დაუტრავს. გაუსამართლებიათ 1874 წ. (იხ. გაზეთი „დროება“ 1874 წ. № 454).

4. ირაკლი—ბატონიშვილი (იხ. ზევით, კომ. მე-15 წერ.).

5. დავით—ჭავჭავაძე (იხ. შენიშვნა მე-15 წერ.)

6. ტასო ვაგარინისა—(იხ. კომ. მე-15 წერ.).

7. იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვლის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლთხის-ძის ასული. 8. გიორგი—გრ. ორბელიანის ძმის ილიას-ძე, რომელიც მემკვიდრედ აიყვანა და გამოზარდა გრიგოლმა. 9. მირსკი—(იხ. მე-14 წერ. კომ.).

10. სუმბათოვი, ალექსანდრე მიხეილის-ძე, ყოფ. სამხედრო პირი.

11. ქალა ვარინკა—(იხ. მე-16 წერ. კომ.). 12, 13. ეკატერინეს შვილები (იხ. ზევით). 14. გრიგოლ დადიანი (იხ. ზევით). 15. ყაფლან—ორბელიანი (იხ. მე-2 წერ. შენიშვნა).

19. (გვ. 325).

1. იგულისხმება გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის გარდაცვალება, რომელიც მიეწერება 1878 წელს. რადგან მოყვანილი წერილი 1879 წლის იანვარშია დაწერილი, უნდა ვიფიქროთ, რომ ყაფლან ორბელიანი უნდა იყოს გარდაცვლილი 1878 წლის დეკემბრის თვეში.

2. სოხიკო—კონსტანტინეს-ძე ორბელიანი, ბიძაშვილი გრ. ორბელიანისა.

3. ამ სიტყვებით მიმართავს პოეტი თავის დიდი ნაწარმოების „სადღეგრძელოს“ ეპილოგში ალექსანდრე ვახტანგის-ძე ორბელიანს.

4. ნიკო და ანდრია (იხ. მე-14 წერ. კომენტ.). 5. სტაროხელსკი, დ. ს. (1832 — 1884), გენერალი, სენატორი, მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსად ნამყოფი, გურამიანთ სიძე. 6. მირსკი (იხ. მე-14 წერილის კომ.).

7. ლევან მელიქიშვილი (იხ. შენიშვნა მე-12 წერ.). 8, 9, 10, 11. დავით ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძის შვილები. 12. ირაკლი—ბატონიშვილი, დავით ჭავჭავაძის სიძე, თამარის მეუღლე (იხ. კომ. მე-15 წერ.). 14. ელენე, ორბელიანი

15. ივანე და სოფიო—ივანე ორბელიანი (მანანიჩი) და მისი მეუღლე სოფიო, ასული შალვა ერისთავისა, 16. ვარინკა (იხ. მე-16 წერ. შენიშვნა) 17. გიორგი (იხ. მე-18 წერ. შენიშვნა). 18. ნიკო ჭავჭავაძე (იხ. მე-4 წერილის კომ.). 19. ხალთმე (იხ. მე-14 წერ. კომ.).

1. ნიკო (იხ. მე-14 წერ. შენიშვნა).
2. ნიკო, ჭავჭავაძე (იხ. მე-4 წერ. შენიშვნა).
3. ივანე, დავითის-ძე ორბელიანი, მანანას ვაჟი (იხ. მე-16 წერ. შენიშვნა).
4. შერემეტოვი—სერგეი ალექსის-ძე, სამხედრო პირი, მსახურობდა კავკასიის მთავარმართებელთან.
5. ვასტენ—ოსტენ-საკენი, დავ. ჭავჭავაძის ქალის, ელენეს მეუღლე.
- 6, 7. ბაბო ქალი—ბაბო მამუკის ასულ ორბელიან-თარხნიშვილის ქალი 1879 წ. მისთხოვდა ალექსანდრე მიხეილის-ძე მუხრან-ბატონს.
- 8, 9. ირაკლი მუხრანსკი—ახლო ნათესავი ივ. მუხრანბატონისა, მისი ქალი მისთხოვდა საბუღელ ზაქარია ჯორჯაძეს, რომელიც იყო ზგრონომი-მედიკინე, საზღვარგარეთ სწავლამიღებული.
10. ონიკოვ—დიმიტრი თუ სოლომონ(?), პირველი გრ. ორბელიანის მეგობარი იყო, მას უძღვნა ლექსი „დიმიტრი ონიკაშვილდს დარდები“.
11. სტაროსელსკი—გურამიშვილების სიძე (იხ. შენიშვნა 19).
12. ტერლუკასოვი—არხას არტემის-ძე (1819—1881) გენერალ-ადიუტანტი.
13. ისაკ შიოს-ძე თუმანიშვილი.—სამხედრო პირი, გრ. ორბელიანის მეგობარი, შემდეგ ქალთა ინსტ. სამეურნეო განყოფილების გამგე (კავკ. კალენდარი, 1857).
14. ხიტრაგო—რუჟიბორი, ბანკის მუშაობის შესამოწმებლად მოგლინებული პეტერბურგიდან (იხ. წერილის ტექსტი).
15. გრიგოლ დადიანი (იხ. მე-13 წერილი).
16. ხალამე (იხ. მე-14 წ. შენიშვნა).
17. ანდრია (იხ. იქვე).

## 21. (გვ. 329).

1. ხალამე მიურატს ამ მშობიარობაზე ეყოლა ქალი ანტუანეტა, რომელსაც შინაურობაში ბებეს ვძახდნენ.
2. საიათნოვა—(არუთინ საიათიანი, 1722—1801) განთქმული თბილისელი აშული, ერეკლე ჩეფის კარის მგოსანი.
3. მარსკი (იხ. მე-14 წერ. კომენტ.)
4. პეშჩუროვი, პ. ა.—ნამესტნიკის კანცელარიის მოხელე, შემდეგ შოსამართლე, თბილისის სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე 1880 წლებში (იხ. გაზ. „შრომა“ 1882 წ. № 48);
5. ლაზარევი—გენერალი (იხ. ტექსტი წერილისა).
6. შამილა (იხ. პირველი წერილის შენიშვნა).
7. ბაჩიატინსკი (იხ. მე-4 წერ. შენიშვნა).
8. მუხთარ-ფაშა—თურქეთის ჯარის გენერალი, ყარსის დაცვის სარდალი, რომელიც დაამარცხა ლორის-მელიქოვმა 1854-6 წ. ომის დროს.
9. რადეცკი—სამხედრო პირი კავკასიის არმიაში.
10. ტერლუკასოვი (იხ. ზევით, მე-20 წ. შ.).
11. ლაზარევი (იხ. აქვე),
12. დიმიტრი, ჯორჯაძე (1822—1883), ტაინი სოვეტნიკი, უკანასკნელ წანებში კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოს საბჭოს წევრი.
13. ასტაფიევი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე—გენერალი. ჭავჭავაძიანთ სიძე, ელენე დავითის ასულის მეუღლე.
14. ალექსანდრე თუმანიშვილი—ალექსანდრე გიორგის-ძე თუმანიშვილი, მეუღლედ ყავდა ივანე ანდრონიკაშვილის ქალი—ბარბარე.
15. ივანე ბაგრატიონი—ივანე რომანის-ძე ბაგრატიონი.
16. სოსიკო ორბელიანი (იხ. ზევით).
17. ალექსანდრე ორბელიანი, დავითის-ძე, მანანას ვაჟი.
18. ბრუსალოვი — ნიკ. ალ. გენერალ-მაიორი. მსახურობდა კავკასიაში გენერ. შტაბში (კავ. კალენდ. 1850).
19. ლოპპე—ფედორ ივანეს-ძე, ორბელიანის თანამედროვე ოფიცერი, კასპიის ჯარების პოლკში (იხ. გრ. ორბელიანის წერილები ტ. II, გვ. 371).



20. აკლიჩინი (?). 21. ლორის-მელიქოვი—მინ. ტარიელის-ძე (1825—1888) გენერალ-ადიუტანტი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ფაქტიური მმართველი რუსეთის იმპერიისა. ამის შესახებ იხ. ილია ჭავჭავაძის გამოცანები.

22. ნიკო ჭავჭავაძე (იხ. მე-4 წერ. კომ.). 23. ბარონ ნიკოლაი, ა. პ.—სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის მეუღლე, რუსეთის განათლების მინისტრად ნამყოფი. 24. იგულისხმება გიორგი დიმიტრის-ძე შარვაშიძე, ერთ დროს თბილისის გუბერნატორად ნამყოფი. 26, 27. ნიკო, სალომე (იხ. მე-14 წერ. შენიშვ.).

## 22. (გვ. 331).

1. ღრაფინია ადლერბერგისა—რუსეთის სასახლის მინისტრის ა. ადლერბერგის ასული მარიაძე (იხ. ზევით მე-17 წერ. შენ.).

## 23. (გვ. 332).

1. ახუნდი შირყასუმი (იხ. დახასიათება და ვინაობა ტექსტში).

2 და 3. სულეიმან ფეილამბარი და ხაბურხამანი—მაჰმადიანური რელიგიის საღვთო სახელები.

4. ს. ა. ცნობილი ირანელი პოეტი (1184—1292), დიდი კლასიკოსი, ავტორი „გულისტანისა“ და „ბუსტანისა.“

## 24. (გვ. 333).

1. ივანე—ორბელიანი, დავითის-ძე, მეუღლე წერილის ადრესატისა (იხ. მე-16 წერ. კომენტ.). 2. ვანო—ერისთავი (?). 3. გიორგი მუხრანთ-ბატონი, კონსტანტინეს-ძე (1820—1877). 4. დიმიტრი ჯორჯაძე (იხ. 21 წ. კომენტ.). 5. სოხიკო—ორბელიანი. 6. ხორეშან—ასული კონსტანტინე ორბელიანისა, ჩოლოყაშვილის მეუღლე. 7. სოფო—(?) 8. გიგო—კონსტანტინეს-ძე ორბელიანი—მეუღლე პოეტი ქალის ნინო (აბაშიძე) ორბელიანისა. 9. სანდრო—(?). 10. აგიფის ქალი—კეკელა აგიაშვილის ასული. 11. ყაფლან—ორბელიანი (იხ. შენიშვნა მე-2 წერ.). 12. საგინოვი—გენერალი, ალექსანდრე დიმიტრის-ძე საგინაშვილი. 13. ირაკლი—ბატონიშვილი (იხ. მე-15 წერ. შენ.). 14. ბარონ, ოსტენ-საკენი მაქსიმოლიანე, მეუღლე დავ. ჭავჭავაძის ქალის სალომესი. 15. ვანო—ორბელიანი, მამუკას ვაჟი, ცოლად ყავდა შირსკის ქალი. 16. ალლოპიონნი (იხ. კომ. მე-14 წერილისა). 17. თამაშუვი (იხ. მე-14 წ. შ.). 18, 19. იგულისხმება ივანოვისა და ოპოჩინინის ოჯახები თავიანთი წევრებით; ოპოჩინინზე (იხ. მე-14 წ. შ.). 20. პეტია—პეტრე შირსკი, დიმიტრის-ძე, შემდეგ ცნობილი იურისტი. 21. კარპევა, 22. ანიჩკოვი, ჩინოვნიკები, ორბელიანის ნაცნობნი, რომელთა ხსენება საუბარს ირონიის ელფერს აძლევს. 23. ღრაფი ლევაშოვი, ვლ. ვ.—ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფი. 24. კნენა შახავესკისა—გრ. ორბელიანის მეგობრის მეუღლე (იხ. გრ. ორბ. წერილი 1875 წ. 17 ივნისს); 25. ლიზა — ბაგრატიონ მუხრანბატონისა. 26. ტახო—გაგარინისა (იხ. ზევით მე-15 წ.). 27. დათიკო—ორბელიანი, მამუკას ვაჟი. 28. ნიკო—ჭავჭავაძე (იხ. ზევით, შენ. 3-4 წერ.). 29. ოლგა გრუზინსკაია — ბატონიშვილ ილია გიორგის-ძის ასული (1846—1912), მწერალი ქალი „გულბათის“ ფსევდონიმით. მისი თხზულებათა კრებული გამოცემულია ცალკე წიგნად. 30. დიმიტრი—ჯორჯაძე (იხ. ზევით 21 წერ. შენ.). 31. პეტუხოვი—სამხედრო პირი, პოლკოვნიკი (იხ. „Кавказ“ 1846 г. № 51).

## ზრიგოლ ორბელიანის ნამსახურებითი სია

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ბელნაწერთა VI ფონდში № 144-ით დაცულია გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანის სრული ნამსახურებითი სია (полный послужной список...), რომელიც შევსებულია პოეტის სამხედრო და სამოქალაქო იერარქიის სრული ზეობის პერიოდში—1866 წლ. დეკემბერს.

„ფორმულარი“ საყურადღებოა იმ მხრით, რომ იგი დოკუმენტურად იძლევა მრავალ ახალსა და ზუსტ ცნობას გრ. ორბელიანის ცხოვრებიდან, რომ პოეტი დაბადებულა 1800 წ., პირველად სამსახურში შესულა 1816 წლ. 21 ივნისს — არტილერიის იუნკრად, 1817 წ. 2 მარტს პორტუპაი-იუნკერი ხდება და იმავე ხარისხით 1820 წ. გადადის დიდი მთავრის სახ. გრენად. პოლკში, ხოლო 181 წლის 7 ივნისს ღებულობს ოფიცრის პირველ ჩინს, პრაპორშჩიკისას და ამ დღეს (7 ივნისს) მას შესრულებია დაბადებიდან 22 წელიწადი (იხ. გვ. 2).

ამის შემდეგ გრ. ორბელიანის, როგორც ნიჭიერი ოფიცრის აღმავალი საფეხურები ამგვარია: 1825 წ. 9 აგვისტოს ის ხდება პოდპორუჩიკი, 1828 წ. 2 იანვარს—პორუჩიკი, 1836 წ. ივლისს — შტაბს-კაპიტანი, 1840 წ. 18 იანვარს — კაპიტანი, 1842 წ. 25 ივნისს—მაიორი, 1844 წ. 8 ივნისს — პოდპოლკოვნიკი, 1846 წ. 14 იანვარს—პოლკოვნიკი, 1848 წ. 6 დეკემბერს—გენერალ-მაიორი, 1853 წ. 3 ოქტომბერს—გენ.-ლეიტენანტი, 1857 წ. 10 ნოემბერს — გენერალ-ადიუტანტი, 1862 წ. 30 აგვისტოს—გენ.-ინჟანტერიისა.

აქვე აღნიშნულია, რომ მსახურების ამ ხნის განმავლობაში ორბელიანს ხანგრძლივი შევებულებით მხოლოდ ერთხელ — 1837 წ. უსარგებლნია, ხოლო დაჭრილია, ტყვედ ჩაგარდნილი ან გადამდგარი არასოდეს არ ყოფილა.

საყურადღებოა, რომ მთელ ამ ნუსხაში გვერდავლილია 1832 წლის ცნობილ შეთქმულებაში პოეტის მონაწილეობისათვის, ხოლო ის ერთწლიანი შევებულება, რითაც მას უსარგებლნია მთელი თავის სამხედრო კარიერის მანძილზე, ემთხვევა ამ შეთქმაში მონაწილე-

ბის გამო შიდა რუსეთში გადაყვანილ გრ. ორბელიანის შინ დაბრუნების წელს (1837), რომლის შემდეგ ის სამუდამოდ რჩება სანშობლოში, რომელიც „ამას იქით სასიხარულო მომავალს უმზადებდა სიყმაწვილე ჩამწარბულ პოეტს“ (ი. მეუნარგია).

აღნიშნული ფორმულის მნიშვნელოვანი მხარეა ისიც, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა გრიგოლ ორბელიანის სხვა მრავალ ღირსშესანიშნავ თარიღებთან ერთად დაზუსტდეს პოეტის დაბადების თარიღიც, რის გარშემო ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობასა და ბუნდოვანებას. გრ. ორბელიანის დაბადების თარიღად დღემდე სამი რიცხვია ცნობილი—1799 წ., 1800 და 1804.

პირველი—გაავრცელა ბ. ს. ესაძემ (იხ. „Летопись Грузии“-ის I ტ. გვ. 286), რომელმაც ეს, ალბათ, გაიანგარიშა, ფორმულის იმ ადგილიდან, საცა ნათქვამია, რომ დღეს 1821 წლის 7 ივნისს გრ. ორბელიანს შეუსრულდა დაბადებიდან 22 წელიო. აქედან ირკვევა, რომ პოეტი 7 ივნისს ყოფილა დაბადებული, ხოლო 1799 წელი ექვს იწვევს, რადგან მას არც თვით პოეტი ემხრობა და არც სხვა გარემოებაც უწყობს ხელს, მაგ. მისი უფროსი და ეფემია—ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა—1798 წ. დაბადებულა, ასე რომ, საექვთა ასეთ მოკლე დროში მეორე მშობიარობაც მომხდარიყოს, ხოლო ორწლიანი ინტერვალი ამ მხრივ სრულიად ნორმალურია, თუ თვეებსაც მივიღებთ მხედველობაში.

მეორე,—1800 წ.—მომდინარეობს თვითონ პოეტისაგან და იგი ამავე ნამსახურებითი სიის მიხედვით გაავრცელა გრ. ორბელიანის ცნობილმა ბიოგრაფმა იონა მეუნარგიამ.

მესამე — 1804 წ.—გავრცელდა უკანასკნელ ხანებში პოეტი. გრიშაშვილისაგან („ლიტ. გაზეთი“ 1934). ამ თარიღის შესახებ იონა მეუნარგიაც აღნიშნავს, რომ გრ. ორბელიანის ზოგიერთ თანამედროვეთა გადმოცემით „ამ წელს პოეტის მამა ზურაბი სხვა სამას ქართველ თავადთა შორის იყო ციციანოვის ჯარში, რომელმაც ერევანი აიღო. ექსპედიციის დროს ზურაბ ორბელიანი თავისი ძმით ასლანით და იოანე სარდლით ჩაუვარდა ხელში ფათალიშახს, რომელმაც დაატყვევა იგი. ეს შეეჯყო მის ცოლს, ხორეშანს, პოეტზე ირსულად იყოფს, აღთქმა დაედო ღვთის წინაშე, თუ ზურაბს ცოცხალს დააბრუნებ, ჩემს შვილს ბერად მივცემო“ (ი. მეუნარგია „ქართველი მწერლები“, I, გვ. 37), მაგრამ ბიოგრაფი ამ გადმოცემას არ მიმხრობია, კვლავ ოფიციალურ საბუთს დამყარებია და სამართლიანადაც მოქცეულა. გადმოცემაც სწორია. 1804 წლებში ამგვარი ომები მიმდინარეობდა, მაგრამ დაბეჯითებით ძნელია თქმა იმისა, თუ ვისზე იყო ხორეშანი მაშინ ორსულად

გრიგოლზე თუ ზაქარიაზე, რომელიც, მართლაც, 1806 წელს არის დაბადებული.

სრულიად უგულებელსაყოფი არც ბორის ესაძისაგან წარმოდგენილი თარიღია — 1799 წელი—მაგრამ რაკი ისიც ერთგვარდასკვნაა ამ ფორმულარში მოცემულ ზემოაღნიშნულ ადგილისა, მისი დასაბუთებაც ვერ ხერხდება. რაც შეეხება 1800-ს, მას თვითონ-პოეტი ადასტურებს და ამდენად მასში ეჭვის შეტანაც არ შეიძლება და აი რატომ:

1. აღნიშნული ფორმულარი იმდენად დიდი და მრავალმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომ ნასში დაუზუსტებელი არც ერთი ცნობა არ მოიპოება და, ცხადია, არც დაბადებისა, ამასთანავე არ შეიძლებაოდა გრიგოლ ორბელიანს, ამოდენა კაცს, თავისი წლოვანება და დაბადების თარიღი არ ცოდნოდა. ამის შესახებ თვითონ ფაქტები ლაპარაკობენ;

2. როგორც აღვნიშნეთ, პოეტი 1816 წ. ჩაირიცხა სამსახურში იუნკრად. იგი რომ მართლა 1804 წელს ყოფილიყო დაბადებული, 12 წლის ბავშვს არავინ მიიღებდა სამსახურში, ვერც კეთილშობილთა და ვერც არტილერიის სკოლის დამთავრებას მოასწრებდა ამ ასაკში, ისიც დაგვიანებით შესული, როგორც ამას თვითონვე აცხადებს თავის ერთ-ერთ საჯბარში იონა მეუნარგიასთან.

3. საგულისხმოა ფორმულარის ის ცნობაც, რომ გრიგოლ ორბელიანმა 1821 წლის 7 ივნისს—დაბადებიდან 22 წლისამ მიიღო პირველი ხარისხი ოფიცრისა. ეს საზეიმო დღე ოფიცრის ცხოვრებისა, უეჭველად, შედარებულია რალაც მნიშვნელოვან თარიღთან და რატომ არ უნდა გაეწიოს ანგარიში ბ. ესაძის, ან თვით პოეტის ამ მრავალმხრივ საგულისხმო დოკუმენტის ცნობას, რომ იგი დაბადებულია 7 ივნისს?

4. აქვე უნდა მოვიგონოთ გრ. ორბელიანის ოფიცრად მსახურების 50 წლის იუბილე 1871 წ. 7 ივნისს \* (ი. მეუნარგია „ქართველი მწერლები“, ნაწ. I, გვ. 125), რომელიც, ალბათ, მნიშვნელოვანი თარიღი იყო პოეტის ცხოვრებაში. იგი უეჭველად დაკავშირებულია, თუ სახელწოდების დღესთან არა, დაბადების დღესთან მაინც. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ ორბელიანის სამხედრო ცხოვრების ამ დოკუმენტში ხშირია მნიშვნელოვანი მოვლენების ამ რიცხვთან დამთხვევა ან მიახლოება (7 ივნ., 21 ივნ., 17 ივნ. და სხვ.).

\* იხ. Кавказ, 1871 წ. № 66 და 81.



5. ყურადსადებია ი. მეუნარგიას ის ცნობაც, რომ 188) წლის ივნისს გაზეთი „დროების“ რედაქციას განზრახვა ჰქონია პოეტისათვის დაბადების 80 წლისთავი გადაეხადა, რომ თვით პოეტის სურვილითვე არ ჩაშლილიყო ეს იუბილე (ი. მეუნარგია — „ქართველი მწერლები“, I, გვ. 125).

6. დასასრულ, მხედველობაში ჩისადებია აგრეთვე ნ. ბარათაშვილის სიტყვებიც. ცხოვრების სიღუბჭირე და საკუთარი ბედის უკუღმართობა აიძულებდა ჭაბუკ პოეტს საყვარელ ბიძისადმი საყვედურით მიემართნა, „რომ ქართველ კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი შეიქმნეს, არ აქვს ეს შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვებრძებიო, ჰპოვოს თავი, მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და, როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთოში), მაშინ მაინც ჰქონდეს შემკვებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით“ (იხ. 1843 წ. 21 აგვისტოს წერილი).

კაცი, რომელიც 39 წელსაც ვერ გასცილებია, ამდენად ხანდაზმულ და მოხუცად ვერ წარმოიდგინება, ეს როგორც ნ. ბარათაშვილის აქ მოყვანილ სიტყვებშია წარმოდგენილი ორბელიანის პიროვნება. ის რომ მართლა 1804 წ. ყოფილიყო დაბადებული, ამ წერილის დაწერის დროს 39 წლისა იქნებოდა და ვერც მისი საყვარელი დისწული მიმართავდა ამ სიტყვებით. მაგრამ სულ სხვაა იგი 1799, ან 1800 წელს თუ იყო დაბადებული. მაშინ 43—44 წლისა მაინც იქნებოდა და ეს საყვედურიც რამდენადმე გამართლებული უცოლშვილოდ გადაბერებულ პოეტისათვის, რომელსაც საერთო ორომტრიალისა, საზეიმო აღლუმებისა და განწყობილებებს შორის ცხოვრების საუკეთესო დრო გაჰპარვოდა.

ყველა ამ საბუთებისა და მასალათა მიხედვით უნდა დაკასკვნათ, რომ გრიგოლ ორბელიანმა კარგად იცოდა თავისი დაბადების წელი, თვე და დღეც. ეს ფორმულარიც თავისი ზღანხედველობის ქვეშ შეავსებინა, შეამოწმა და საკუთარი ხელმოწერითაც დაადასტურა. ამიტომ პოეტის დაბადების თარიღის გარშემო დღემდე არსებულ სხვადასხვაობასა და აღრევას ადგილი არ უნდა და რჩეს. საბოლოოდ უნდა იქნეს მიღებული ის თარიღი, რომელსაც თვითონვე ადგენს „სადღეგრძელოს“ ავტორი, — რომ ის დაბადებულია 1800 წლის 7 (1) ივნისს.

ნამსახურებითი სია, როგორც მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი ვრცელი დოკუმენტიც გრიგოლ ორბელიანის ვრცელი და მრავალფეროვანი ცხოვრებისა, ქვეყნდება სრულიად უცვლელად, მისი ყოველგვარი სახისა და სტილის დაცვით.

# ПОЛНЫЙ ПОСЛУЖНОЙ СПИСОК

## ГЕНЕРАЛ ОТ ИНФАНТЕРИИ ГЕНЕРАЛ-АДЬЮТАНТА КНЯЗЯ ОРБЕЛИАНИ

Составлен в Дек. 1866 Года

<p style="text-align: center;">I.</p> <p>Чин, имя, отчество и фамилия.</p>	<p>Генерал от Инфантерии Генерал-Адьютант, числящийся по армейской пехоте, Князь Григорий Дмитриевич ОРБЕЛИАНИ</p>
<p style="text-align: center;">II.</p> <p>Должность по службе.</p>	<p>Тифлиссский Генерал-Губернатор, Председатель Совета Наместника Кавказского и состоящий при Наместнике Кавказском и Главнокомандующем Кавказской Армиию.</p>
<p style="text-align: center;">III.</p> <p>Ордена и знаки отличия</p>	<p>Кавалер Орд. Св. Александ. Невск. алмаз. Украш., Белого Орла, Св. Георг. 4 клас. за 25 л., Св. Владим. 2 ст. с мечами 3 и 4 ст. с бант., Св. Анны 1 и 2 ст. Имп. кор. украш., тех же ст. без украш., 4 ст. с надписью за храбр., Св. Станисл. 1 и 2 ст. послед. Импер. кор. украш. и этой же степ. без украш. имеет золотую шашку, алмаз. украш. с надписью за храбрость, золот. полусаб. с надписью: „за храбр.“ иностр.: Пруссаго Красн. Орла больш. крестъ Итальянск. больш. крест с лентою Маврикия и Лазаря порт. Шаха Персидскаго бриллиант. украш. Медали: сереб. за Персид. и Турецк. войны 1820, 1827, 1828 и 1829 г., светло-бронз. на андреевской ленте в память войны 1853—1856 г. серебр. за покор. Чечни и Дагест.—1857—1859 за покор. запад. Кавказа 1859—1864 г., знак отличия безпорочн. служ. за XX л. и крест за служб. на Кавказе, золотую мед. на Алекс. ленте за особ. труды по освоб. помещ. крест. от крепост. зависимости в Тиф. Губернии.</p>
<p style="text-align: center;">IV.</p> <p>Когда родился</p>	<p style="text-align: center;">В 1800 году</p>
<p style="text-align: center;">V.</p> <p>Из какого звания происходит и какой губернии уроженец</p>	<p>Из Грузинских Князей Тифлиссской Губернии</p>
<p style="text-align: center;">VI.</p> <p>Какого вероисповедания</p>	<p style="text-align: center;">Православного</p>
<p style="text-align: center;">VII.</p> <p>Где воспитывался</p>	<p style="text-align: center;">В Частном учебном заведении</p>
<p style="text-align: center;">VIII.</p> <p>Какое на службе содержание</p>	<p style="text-align: center;">10.000 руб. серебр. в год</p>

IX.

ПРОХОЖДЕНИЕ СЛУЖБЫ:

Когда в службу вступил и произведен в первый офицерский чин  
производство в следующие чины и дальнейшая служба: военная,  
гражданская и по выборам; переводы и перемещения из одного  
места службы или должности в другую, с объяснением по какому  
случаю: по воле начальства, или по собственному желанию; когда  
отправился и прибыл к новому месту службы; награды: чинами,  
орденами, знаками отличия, Всемилостивейшие рескрипты, Высочай-  
шие благоволения.

	Годы	Месяцы	Числа
В службу вступил Юнкером в 21-ю артилле- рийскую бригаду	1816	Июня	21
Портупай-Юнкером в этой же бригаде	817	Марта	11
Переведен в Грузинский Гренадерский Его Императорского Высочества Великого Князя Константина Николаевича полк, с переименованием в Портупай Юнкера	820		
Произведен в Прапорщики тысяча восемьсот двадцать первого года июня седьмого дня, имея от роду 22 года в том полку.	821	Июня	7
Подпоручиком.	825	Августа	19
За разбитие Персиан в 1826 году награжден Св. Анны 4 ст. с надписью за храбрость	827	Янв.	2
За отличие при взятии Крепости Эривани произведен в поручики	828	"	
За отличие при штурм. кр. Ахалциха награж- ден орденом Св. Владимира 4 ст. с бан- том	829	Апреля	2
По воле Начальства командирован в образ- цовый пехотный полк	831	"	19
Прибыл в оный	"	Ноября	3
По воле Начальства переведен в Невский морской полк	833	Июня	
Отправлен в полк	834	Июля	3
Прибыл в оный	"		
Штабс-капитаном	836		
Со старшинством в том же полку	"	Июня	9
По собственному желанию переведен вторич- но в Грузинский Гренад. ныне 14 Грена- дерский Его Императорского Высочества Великого Князя Константина Николае- вича полк	838	Августа	26
Прибыл к оному из отпуска	838	Октяб.	18
За отличие в делах против горцев Капитаном	840	Января	18
Майором	842	Июня	25
Со старшинством в том же полку	841	Сентяб.	5
За отличие против горцев награжден орде- ном Св. Станислава 2-ой степени	842	Мая	8
Баталионным командиром	"	Августа	28
по-	843	Апреля	23

## IX.

## ПРОХОЖДЕНИЕ СЛУЖБЫ:

Когда в службу вступил и произведен в первый офицерский чин; производство в следующие чины и дальнейшая служба: военная, гражданская и по выборам; переводы и перемещения из одного места службы или должности в другую. с объяснением по какому случаю: по воле начальства, или по собственному желанию; когда отправился и прибыл к новому месту службы; награды: чинами, орденами, знаками отличия, Всемилоостивейшие рескрипты, Высочайшие благоволения.

	Годы	Месяцы	Числа
За отличие в делах против горцев Подполковником	844	Июня	8
Со старшинством в том же полку	843	Сентяб.	6
За отличие против Горцев награжден орденом Св. Станислава 2-й степ. Императорскою короною украшеннаго	844	Сентяб.	6
За отличие против горцев в 1845 году награжден орденом Св. Анны 2-й степени	846	Февр.	20
За отличие по службе полковником	846	Января	14
За отличие против горцев награжден орденом Св. Владимира	847	Марта	25
Высочайшим приказом назначен Командиром Апшеронскаго пехотнаго полка	847	Июня	14
Прибыл и вступил в командование полком, по Главкомандующаго Отдельным Кавказским Корпусом, достояния Высочайшаго приказа	847	Июня	20
За отличие против горцев пожалован орденом св. Анны 2-ой степени Императорскою короною украшеннаго	848	Марта	3
За отличие по службе и в делах против горцев Генерал-Майором	848	Декабря	6
С оставлением в этой должности			
За отличие против горцев пожалован орденом Св. Станислава I степени	849	Ноября	1
Высочайшим приказом назначен Командиром I бригады 21-й пехотной дивизии	850	Марта	29
По сдаче полка, отправился к месту назначения	850	Июня	3
Прибыл	"	"	6
Высочайшим приказом назначен Начальником Джаробелоканскаго военнаго Округа и Лезгинской кардонной линии, с зачислением по Армии	850	Дек.	6
По распоряжению Главкомандовавшаго Отдельным Кавказским корпусом, отправлен к месту назначения до воследования Высочайшаго приказа	850	Ноября	15
Прибыл	"	"	27
За отлично-усердную и ревностную службу и труды понесенныя при возведении в 1850 году укр. Лучека, награжден орденом Св. Анны I степ.	851	Июля	18



## IX.

## ПРОХОЖДЕНИЕ СЛУЖБЫ:

Когда в службу вступил и произведен в первый офицерский чин, производство в следующие чины и дальнейшая служба: военная, гражданская и по выборам; переводы и перемещения из одного места службы или должности в другую, с объяснением по какому случаю: по воле начальства, или по собственному желанию; когда отправился и прибыл к новому месту службы; награды: чинами, орденами, знаками отличия, Всемилостивейшие рескрипты, Высочай- шия благоволения.

	Годы	Месяцы	Числа
По распоряжению Главнокомандовавшего Отдельным Кавказским Корпусом командовал войсками в при Каспийском крае, с управлением в оном и гражданского частию, во время нахождения Генерал-Адьютанта Князя Аргутинскаго Долгорукаго, в отпуску за границую с	852	Апреля	20
по	853	Января	10
За отличие оказанное при исправлении должности Командующаго войсками в при Каспийском крае награжден орденом Св. Анны I ст. Императорскою короною украшенным	853	Марта	21
За отличие в делах против горцев Генерал-Лейтенантом	853	Окт.	3
С составлением в прежней должности Начальника Джаробелоканскаго военного округа и Лезгинской кардонной линии			
Приказом по Отдельному Кавказкому Корпусу от 13 Января 1854 года за № 9, поручено временное командование войсками и Управление Гражданскою частию в Прикаспийском крае, впрядь до восстановления растроенаго здоровья Генерал-Адьютанта Князя Аргутинскаго Долгорукаго	854	Января	13
В должность в эту вступил	854	Марта	5
За безпорочную выслугу в офицерских чинах 25-ти лет, Всемилостивейше награжден орденом Св. Георгия 4-го класса	854	Ноября	26
Высочайшим приказом назначен командующим войсками в Прикаспийском крае Управляющим в оном Гражданскою частию	855	Апреля	4
Всемилостивейше награжден знаком отличия беспорочной службы за XX лет с грамотой на оный за № 3	855	Августа	22

IX.

ПРОХОЖДЕНИЕ СЛУЖБЫ:

Когда в службу вступил и произведен в первый офицерский чин; производство в следующие чины и дальнейшая служба: военная, гражданская и по выборам; переводы и перемещения из одного места службы или должности в другую, с объяснением по какому случаю: по воле начальства, или по собственному желанию; когда отправился и прибыл к новому месту службы; награды: чинами, орденами, знаками отличия, Всемилостивейшие рескрипты, Высочайшие благоволения.

	Годы	Месяцы	Числа
За отличие в делах против горцев награжден орденом Св. Владимира 2-й ст. с мечами над орденом	856	Сент.	10
Высочайшим приказом назначен начальником 21-й пехотной Дивизии и командующим войсками в Прикаспийском крае	856	Августа	16
За отличие против горцев, пожалован Золотую шашкою алмазами украшенною с надписью «За храбрость»	857	Окт.	1
Назначен Генерал-Адьютантом к Его Императорскому Величеству с оставлением в занимаемых должностях	857	Ноября	10
Назначен состоять при Наместнике Кавказском и Главнокомандующим Кавказскою Армиею в звании Генерал-Адьютанта	858	Февр.	8
Назначен председателем Совета Наместника Кавказского, с оставлением в прежних должностях и звании	859	Февр.	9
За отличие по службе Всемилостивейше награжден орденом Белого орла	859	Сент.	8
Назначен Командующим Кавказскою армиею	859	Мая	21
по	"	Июня	28
с	1860	Мая	31
по	"	Августа	23
Назначен Тифлиским Генерал-Губернатором с оставлением в прежних занимаемых должностях и звании	860	Января	28
За отличие по службе награжден орденом Св. Александра Невского	861	Сент.	
За отличие по службе произведен в Генерал от Инфантерии	862	Августа	30
За отличие по службе пожалованы алмазные знаки ордена Св. Александра Невского.	864	Июля	20

## IX.

## ПРОХОЖДЕНИЕ СЛУЖБЫ:

Когда в службу вступил и произведен в первый офицерский чин; производство в следующие чины и дальнейшая служба: военная, гражданская, и по выборам; переводы и перемещения из одного места службы или должности в другую, с объяснением по какому случаю: по воле начальства, или по собственному желанию; когда отправился и прибыл к новому месту службы; награды: чинами, орденами, знаками отличия, Всемилостивейшие рескрипты, Высочайшие благоволения.

	Годы	Месяцы	Числа
Имеет медали: Серебрянные за Персидскую войну 1826—1829 Год; Светлобронзовую на Андреевской ленте в память войны 1853—1856 годов; серебрянную за покорение Чечни и Дагестана 1857—1859 годов; За покорение Западного Кавказа 1859—1864 год. Крест за службу на Кавказе, установленный в 1864 году. Золотую медаль на Александровской ленте для ношения в петлице, за особые труды по освобождению помещичьих крестьян от крепостной зависимости в Тифлисской губернии.	865	Января	9
Иностранных орденов: Пруссаго Красного орла большого креста	863	Февраля	6
Итальянскаго большого креста с лентою Маврикия Лазаря	863	Апреля	5
Портрет Шаха Персидскаго бриллиантами украшенный 2-й степени	864	Марта	13
За отличие против горцев получил Высочайшее благоволение	822	Ноября	15
За понесенные труды в авангардных войсках и переход гор Акзеблок и Безобдал против Персиан, удостоен Высочайшаго благоволения в числе прочих офицеров	827	Апреля	23
За сражение и разбитие Персиан бывших под предводительством Абаз-Мирзы удостоился получить именное Высочайшее благоволение	"	Октября	2
За отличное командование Кавказской Армиею удостоился получить Высочайший Рескрипт	862	Октября	11
Исправлял должность Наместника Кавказскаго с по	865	Апреля	20
	"	Сентября	21
Назначен Членом Государственнаго Совета, с оставлением в звании Генерал-Адьютанта	866	Октября	28

## БЫТНОСТЬ ВНЕ СЛУЖБЫ:

а) Во временных отпусках: когда уволен, на какое время и явился-ли в срок, а если просрочил, то сколько именно и призвана-ли просрочка уважительною; б) в безсрочном отпуску, с какого и по какое время; в) для пользования ран: где именно, по чьему разрешению, с какого и по какое время; г) без исполнения службы; д) в плену, когда и где взят и когда возвратился на службу; и е) в отставке: когда уволен и когда внов прибыл на службу.

	Годы	Месяцы	Числа
В отпусках был Высочайшим приказом в 27 день февраля 1837 года был уволен в продолжительный отпуск в гор. Тифлис, сроком на один год, куда отправился	1837	Июня	6
В коем дозволено ему проживать бывшим командиром отдельного Кавказского Корпуса, впредь до получения разрешения о переводе его в один из полков корпуса о чем объявлено ему в предписании Тифлисскаго Военнаго Губернатора, от 22 июня 1838 года за № 1470, прибыл на службу в Грузинский Гренадерский Его Императорскаго Высоч. Всемил. Князя Константина Николаевича...	1838	Сент.	18
Ранен, в плену и в отставке не был			



<p>XI. Холост или женат, на ком, имеет-ли детей; год, месяц и число рождения детей; какого они и жена вероисповедания.</p>	<p>Х о л о с т</p>									
<p>XII. Есть—ли за ним, за родителями его, или, когда женат, за женою, недвижимое имущество, родовое или благоприобретенное.</p>	<p>За ним и племянником его состоит на разд. 5000 десятин земли, на которой живут 150 дымов крестьян и Высочайш. пожалов. ему 10,600 десятин земли в Ставропольск. Губ. Пятигорского уезда.</p>									
<p>XIII. В штрафах по суду, или без суда, также под следствием, был-ли, когда, за что именно и чем дело кончено.</p>	<p>Не был.</p>									
<p>XIV. Бытность в походах и делах против неприятеля, с объяснением где именно, с какого и по какое время, оказанныя отличия, и полученныя в сражениях раны или контузии; особыя поручения сверх прямых обязанностей, по Высочайшим повелениям, или от Начальства; подсудность, не подлежащая внесению в штрафную (XIII) графу.</p>	<p>В 1822 году с 16 февраля по 15 марта в отряде Генерал-Лейтенанта Князя Эристова за р. Алазанью для наказания бунтовщиков. Марта 3-го участвовал в сражении близ села Катехи при разбитии Джарских Лезгин и взятии укрепления, за оказанное в сем деле отличие, удостоился получить Высочайшее благоволение, объявленное в Высочайшем приказе . . . . .</p>	<table border="1"> <thead> <tr> <th>Годы</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1822</td> </tr> </tbody> </table>	Годы	1822	<table border="1"> <thead> <tr> <th>Месяцы</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>Нояб.</td> </tr> </tbody> </table>	Месяцы	Нояб.	<table border="1"> <thead> <tr> <th>Числа</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>15</td> </tr> </tbody> </table>	Числа	15
Годы										
1822										
Месяцы										
Нояб.										
Числа										
15										

